Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

22

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1948

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

22

1915 დეკემბერი — *1916* ივლისი

წინასიტყვაობა

ოცდამეორე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის იმ ნაწარმოებთ, რომლებიც დაწერილია 1915 წლის დეკემბერში — 1916 წლის ივლისში.

ტომში შედის ნაშრომი «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში»; ამ ნაშრომში ლენინმა გააკრიტიკა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიწათმოქმედების არაკაპიტალისტური ევოლუციის ანტიმარქსისტული თეორია.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ სტატიები, რომლებშიც ლენინი ასაბუთებს და განმარტავს ბოლშევიკურ ლოზუნგებს და პროლეტარიატის ამოცანებს 1914 — 1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, ამხელს აშკარა სოციალ-შოვინისტებს, აგრეთვე ცენტრისტებს, რომლებიც ფარული სოციალ-შოვინისტები იყვნენ. ამ სტატიებს მიეკუთვნება: «ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი», «ოპოზიციის ამოცანების შესახებ საფრანგეთში», «უანექსიო ზავისა და პოლონეთის დამოუკიდებლობის, როგორც რუსეთის სადღეისო ლოზუნგების შესახებ», «ვილჰელმ კოლბი და გიორგი პლეხანოვი», ««საზავო პროგრამის» შესახებ», «რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ კონფერენციას», «გერმანული და არა გერმანული შოვინიზმის შესახებ» და სხვები.

ტომში შედის განთქმული წიგნი «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», რომელშიც ლენინმა მოგვცა მარქსისტული ანალიზი იმპერიალიზმისა, როგორც

კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზისა, და ცხადყო, რომ «იმპერიალიზმი პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინადღეა». ამ ანალიზის საფუძველზე ლენინმა წამოაყენა ახალი თეორიული დებულება, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში და რომ შეუძლებელია სოციალიზმის ერთდროული გამარჯვება ყველა ქვეყანაში. ამ გენიალური დებულების ფორმულირება ლენინმა მოგვცა ორ სტატიაში: «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ», რომელიც დაწერილია 1915 წლის აგვისტოში, და «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა», რომელიც დაწერილია 1916 წლის შემოდგომაზე.

ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ახალი, დასრულებული თეორია, რომელმაც გაამდიდრა მარქსიზმი და წინ წასწია იგი.

თეზისებში «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» და სტატიაში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» ლენინმა შემდგომ განავითარა ძირითადი დებულებანი ბოლშევიკური პროგრამისა ნაციონალურ საკითხში. სტატიაში «იუნიუსის ბროშურის შესახებ» ლენინი აკრიტიკებს გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ შეცდომებს.

ტომში ქვეყნდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი დოკუმენტები: «პროექტი დადგენილებისა მეორე სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ», «1916 წლის 24 აპრილის კონფერენციისათვის. დელეგაციის წინადადება» და «საზღვარგარეთის ორგანიზაციების კომიტეტის წერილი რსდმ პარტიის სექციებისადმი». ეს დოკუმენტები ასახავენ ლენინის ბრძოლას რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ ბოლშევიკური პარტიის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ინტერნაციონალისტური ელემენტების შემჭიდროებისათვის.

ახალი მოვნაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ

ნაკვეთი I
კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში[1]

დაწერილია 1914 — 1915 წწ.
პირველად დაიბეჭდა 1917 წ.
ცალკე ბროშურად გამომცემლობაში
«ჟიზნ ი ზნანიე»

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

Книгоиздательство „ЖИЗНЬ и ЗНАНІЕ“.
Петроградъ, Поварской пер., д. 2, кв. 9 и 10. Телефонъ 227-42.

Библіотека Обществовѣдѣнія. Кн. 42-ая.

В. ИЛЬИНЪ (Н. Ленинъ).

НОВЫЯ ДАННЫЯ О ЗАКОНАХЪ РАЗВИТІЯ КАПИТАЛИЗМА ВЪ ЗЕМЛЕДѢЛІИ.

ВЫПУСКЪ I.

Капитализмъ и земледѣліе въ Соед. Штатахъ Америки.

ПЕТРОГРАДЪ.
1917.

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნისა «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთ. შტატებში». — 1917 წ.
დაპატარავებულია

უახლესი კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყანა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს თანამედროვე სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილებისა და მისი ევოლუციის შესასწავლად. შეერთებულ შტატებს არა ჰყავთ თანასწორი მეტოქე არც კაპიტალიზმის განვითარების სისწრაფის მხრივ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, არც მისი განვითარების მათ მიერ უკვე მიღწეული უდიდესი სიმაღლით, არც იმ უზარმაზარი ფართობის მხრივ, სადაც გამოყენებულია მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ტექნიკა, რომელიც ანგარიშს უწევს ბუნებრივ-ისტორიული პირობების შესანიშნავ მრავალგვარობას, არც პოლიტიკური თავისუფლებისა და მოსახლეობის მასის კულტურული დონის მხრივ. ეს ქვეყანა ჩვენი ბურჟუაზიული ცივილიზაციის ნიმუში და იდეალია მრავალმხრივ.

სოფლის მეურნეობის ევოლუციის ფორმებისა და კანონების შესწავლა აქ მით უფრო გაადვილებულია, რომ შეერთებულ შტატებში ყოველ ათ წელიწადში ტარდება მოსახლეობის აღწერა («ცენზი»), რომელთანაც ერთად ხდება ყველა სამრეწველო და სამიწათმოქმედო მეურნეობის შესანიშნავი დეტალური აღწერაც. ვღებულობთ ისეთ ზუსტსა და მდიდარ მასალას, როგორიც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება და რომელიც საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ მთელი რიგი მოარული მტკიცებანი, რომელნიც მეტწილად თეორიულად ჩამოყალიბებული არიან დაუდევრად, მეორდე-

ბიან უკრიტიკოდ, ჩვეულებრივ ბურჟუაზიული შეხედულებებისა და ცრურწმენების გამტარებელნი არიან.

ბ-ნმა გიმერმა «ზავეტის»[2] 1913 წლის ივნისის წიგნში მოიყვანა 1910 წლის უკანასკნელი, მეცამეტე, ცენზის ზოგიერთი მონაცემი და მათ საფუძველზე კიდევ და კიდევ გაიმეორა ყველაზე მეტად მოარული და უაღრესად ბურჟუაზიული — როგორც თავისი თეორიული საფუძვლით, ისე თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით — მტკიცება, რომ «შეერთებულ შტატებში ფერმათა უდიდესი უმრავლესობა შ რ ო მ ი თ ი მეურნეობებია», რომ «უფრო განვითარებულ რაიონებში სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი იშლება», რომ «ქვეყნის ადგილების უდიდეს უმრავლესობაში» «წვრილ-შრომითი მიწათმოქმედება აფართოებს თავისი ბატონობის არეს», რომ სწორედ «უფრო ძველი კულტურისა და უფრო მაღალი ეკონომიური განვითარების რაიონებში» «კაპიტალისტური მიწათმოქმედება ირღვევა, წარმოება წვრილ-წვრილ ნაწილებად იყოფა და ქუცმაცდება», რომ «არ არის ისეთი რაიონები, სადაც უკვე არ ხდებოდეს კოლონიზაციის პროცესი, ხოლო მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედება არ იშლებოდეს და არ იდევნებოდეს შრომითი მიწათმოქმედების მიერ» და სხვ. და ა. შ.

ყველა ეს მტკიცება უაღრესად უსწორობა. ისინი პირდაპირ ეწინააღმდეგებიან სინამდვილეს. ისინი წარმოადგენენ ჭეშმარიტების სრულ აბუჩად აგდებას. და მათი მცდარობის განმარტებაზე მით უფრო ღირს დაწვრილებით შეჩერება, რომ ბ-ნი გიმერი პირველი შემხვედრი, შემთხვევითი ავტორი როდია შემთხვევითი პატარა საჟურნალო სტატიისა, არამედ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ეკონომისტია იმათგან, რომელნიც წარმოადგენენ რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივი აზროვნების ყველაზე უფრო დემოკრატიულ, უკიდურეს მემარცხენე ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ მიმართულებას. სწორედ ამიტომ ბ-ნ გიმერის შეხედულებებს შეუძლიათ ჰქონდეთ — მოსახლეობის არაპროლეტარულ ფენებში კი ნაწილობრივ უკვე აქვთ — განსაკუთრებით ფართო გავრცელება და გავ-

ლენა. ვინაიდან ეს მისი პირადი შეხედულებანი, მისი ინდივიდუალური შეცდომები კი არ არის, არამედ მხოლოდ განსაკუთრებით დემოკრატიზებული, ვითომდა-სოციალისტური ფრაზეოლოგიით განსაკუთრებით შელამაზებული გამოხატულებაა ზ ო გ ა დ-ბურჟუაზიული შეხედულებებისა, სადამდეც კაპიტალისტური საზოგადოების ვითარებაში ყველაზე ადვილად მიდის როგორც გატკეპნილი გზით მოსიარულე კაზიონური პროფესორი, ისე წვრილი მიწათმოქმედი, რომელიც თავისი შეგნებულობით გამოირჩევა მის მსგავსთა მილიონებისაგან.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიწათმოქმედების არაკაპიტალისტური ევოლუციის თეორია, რომელსაც ბ-ნი გიმერი იცავს, არსებითად არის თეორია ბურჟუაზიული პროფესორების, ბურჟუაზიული დემოკრატების უდიდესი უმრავლესობისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ოპორტუნისტებისა, ე. ი. იმავე ბურჟუაზიული დემოკრატების უახლესი სახესხვაობისა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს თეორია ილუზიაა, ოცნებაა, თავის მოტყუებაა მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებისა. ვუძღვნი რა შემდგომ გადმოცემას ამ თეორიის გაბათილებას, მე შევეცდები დავასურათო კაპიტალიზმი საერთოდ ამერიკის მთელ მიწათმოქმედებაში, ვინაიდან ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ის არის, რომ ისინი ცალკეულ ფაქტებსა და ფაქტუნებს, ციფრებსა და ციფრუნებს გლეჯენ პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობათა საერთო კავშირიდან. ყველა მონაცემი აღებულია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკის ოფიციალური გამოცემებიდან; აქ შედის პირველ ყოვლისა მიწათმოქმედებისადმი მიძღვნილი 1900 წ. მე-12 ცენზის და 1910 წ. მე-13 ცენზის მ ე ხ უ თ ე ტომები *,

* Census Reports. Twelfth Census 1900. Vol. V. Agriculture. Wash. 1902. — Thirteenth Census of the United States, taken in the year 1910. Vol. V. Agriculture. Wash. 1913 (აღწერათა ანგარიშები. 1900 წლის მეთორმეტე აღწერა. ტ. V. მიწათმოქმედება. ვაშინგტონი. 1902. — შეერთებული შტატების მეცამეტე აღწერა, ჩატარებული 1910 წ. ტ. V. მიწათმოქმედება. ვაშინგტონი. 1913. — რ ე დ.).

შემდეგ — 1911 წლის სტატისტიკური კრებული (Statistical Abstract of the United States). რაკი ეს წყაროები აღვნიშნე, მე ყოველი ცალკე ციფრისათვის აღარ მივუთითებ ცხრილების გვერდებსა და ნომრებს; ეს მკითხველებს დატვირთავდა და ტყუილ-უბრალოდ დაამძიმებდა ტექსტს, ვინაიდან დაინტერესებული პირები ადვილად მოძებნიან სათანადო მონაცემებს დასახელებულ გამოცემათა სათაურების მიხედვით.

1. სამი მთავარი რაიონის ზოგადი დახასიათება. კოლონიზებული დასავლეთი და ჰომსტედები

შეერთებული შტატების უზარმაზარი ფართობი, რომელიც მთელ ევროპაზე ცოტა ნაკლებია, და მეურნეობის პირობათა უდიდესი მრავალფეროვნება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, — ყოველივე ეს აუცილებლად მოითხოვს, რომ თავისი ეკონომიური მდგომარეობით არსებითად არაერთგვარი მთავარი რაიონები ცალ-ცალკე იქნეს განხილული. ამერიკელი სტატისტიკოსები ამ ქვეყანას 1900 წ. ყოფდნენ ხუთ, ხოლო 1910 წ. ცხრა რაიონად: 1) ახალი ინგლისი — ექვსი შტატი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ატლანტის ოკეანის ნაპირზე (მენი, ნიუ-გემპშირი, ვერმონტი, მასაჩუსეტსი, როდ-აილენდი და კონეკტიკუტი). 2) შუა ატლანტის შტატები (ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი და პენსილვანია); ეს ორი რაიონი ერთად 1900 წელს შეადგენდა «ჩრდილო ატლანტის» რაიონს. 3) ცენტრალური ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატები (ოჰაიო, ინდიანა, ილინოისი, მიჩიგანი და ვისკონსინი). 4) ცენტრალური ჩრდილო-დასავლეთის შტატები (მინესოტა, აიოვა, მისური, ჩრდილოეთი და სამხრეთი დაკოტა, ნებრასკა და კანზასი); ეს ორი რაიონი ერთად 1900 წ. შეადგენდა «ჩრდილო-ცენტრალურ» რაიონს. 5) სამხრეთ ატლანტის შტატები (დელავერი, მერილენდი, დისტრიქტ კოლუმბია, ვირგინია და დასავლეთი ვირგინია, ჩრდილოეთი და სამხრეთი კაროლინა, გეორგია და ფლორიდა) — იგივე რაიონი 1900 წელსაც. 6) ცენტრალური სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატები (კენტუკი, ტენესი, ალაბამა და

მისისიპი). 7) ცენტრალური სამხრეთ-დასავლეთის შტატები (არკანზასი, ოკლაჰომა, ლუიზიანა და ტეხასი); ეს ორი რაიონი 1900 წ. შეადგენდა ერთ «სამხრეთ-ცენტრალურ» რაიონს. 8) მთის შტატები (მონტანა, აიდახო, ვაიომინგი, კოლორადო, ახალი მექსიკა, არიზონა, უტაჰი და ნევადა) და 9) წყნარი ოკეანის შტატები (ვაშინგტონი, ორეგონი და კალიფორნია); ეს ორი რაიონი 1900 წ. შეადგენდა ერთ «დასავლეთის» რაიონს.

ამ დაყოფის მეტისმეტმა სიჭრელემ ამერიკელი სტატისტიკოსები აიძულა შეემჭიდროებინათ იგი 1910 წ. სამ დიდ რაიონად: ჩრდილოეთი (1 — 4), სამხრეთი (5 — 7) და დასავლეთი (8 — 9). ჩვენ ახლა დავინახავთ, რომ ეს დაყოფა სამ მთავარ რაიონად მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითად აუცილებელია, თუმცა, რა თქმა უნდა, აქაც, როგორც ყველაფერში, არის გარდამავალი ტიპები, და ახალი ინგლისი შუა ატლანტის შტატებთან ერთად მოგვიხდება ცალკე გამოვყოთ ზოგიერთ ძირითად საკითხში.

რომ განვსაზღვროთ სამი მთავარი რაიონის სხვადასხვაობაში ყველაზე ძირითადი, ჩვენ შეგვიძლია მათ ვუწოდოთ: სამრეწველო ჩრდილოეთი, ყოფილი მონათმფლობელური სამხრეთი და კოლონიზაციის პროცესში მყოფი დასავლეთი.

აი მონაცემები ფართობის სიდიდის, დამუშავებული მიწის პროცენტისა და მოსახლეობის შესახებ:

რაიონები:	მიწის მთელი ფართობი მილიონ აკრობით	აქედან დამუშავებულია %	მოსახლეობა (1910) მილიონობით
ჩრდილოეთი	588	49%	56
სამხრეთი	562	27%	29
დასავლეთი	753	5%	7
მთელი შეერთ. შტატები	1 903	25%	92

ფართობის სიდიდით ჩრდილოეთი და სამხრეთი დაახლოებით ერთნაირია, ხოლო დასავლეთი თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება ერთსაც და მეორესაც. მაგრამ მოსახლეობა ჩრდილოეთში 8-ჯერ მეტია, ვიდრე დასავლეთში. დასავლეთი,

შეიძლება ითქვას, თითქმის დაუსახლებელია. თუ რა სიჩქარით ხდება მისი დასახლება, ჩანს იქიდან, რომ 10 წლის განმავლობაში, 1900-დან 1910 წლამდე, მოსახლეობა გაიზარდა ჩრდილოეთში 18%-ით, სამხრეთში — 20%-ით, ხოლო დასავლეთში — 67%-ით! ფერმების რიცხვი ჩრდილოეთში თითქმის სულ არ მატულობს: 2 874 ათასი 1900 წ. და 2 891 ათასი 1910 წ. (+ 0,6%); სამხრეთში იგი გაიზარდა 18%-ით, 2,6-დან 3,1 მილიონამდე, ხოლო დასავლეთში — 54%-ით, ე. ი. გადიდდა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, 243-დან 373 ათასამდე.

რა ფორმით ხდება მიწების დაკავება დასავლეთში, ჩანს მონაცემებიდან ჰ ო მ ს ტ ე დ ე ბ ი ს — მიწის ნაკვეთების შესახებ, მეტწილად 160 აკრის, ე. ი. დაახლოებით 65 დესეტინის რაოდენობით, რომელთაც მთავრობა იძლევა მუქთად ან ნომინალურ საფასურად. 10 წლის განმავლობაში, 1901-დან 1910-მდე, დაკავებული ჰომსტედების რიცხვი შეადგენდა ჩრდილოეთში — 55,3 მილიონ აკრს (მათ შორის 54,3 მილ., ე. ი. 98%-ზე მეტს, მხოლოდ ერთ რაიონში, სახელდობრ ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთ რაიონში), სამხრეთში — 20,0 მილიონს (მათ შორის 17,3 მილიონი მოდის ერთ რაიონზე: ცენტრალურ სამხრეთ-დასავლეთზე) და დასავლეთში — 55,3 მილიონ აკრს, რომელიც ხვდება დასავლეთის ორივე რაიონს. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთი — მთლიანი რაიონი ჰომსტედებისა, ე. ი. დაუკავებელი მიწების მუქთი დარიგებისა — ერთგვარად მოგვაგონებს რუსეთის შორეული განაპირა მხარეების დატაცებითს მიწათსარგებლობას, ოღონდ წესრიგდება არა ბატონყმური სახელმწიფოს მიერ, არამედ დემოკრატიულად (კინაღამ ვთქვი: ნაროდნიკულად-მეთქი; ამერიკის რესპუბლიკამ კაპიტალისტურად განახორციელა «ნაროდნიკული» იდეა დაუკავებელი მიწების ყოველი მსურველისთვის დარიგებისა). ჩრდილოეთსა და სამხრეთში კი ჩვენ გვაქვს ჰომსტედების მხოლოდ თ ი თ ო რაიონი, რომელიც წარმოადგენს თითქოს გარდამავალ ტიპს დაუსახლებელი დასავლეთიდან დასახლებული ჩრდილოეთისა და სამხრეთი-

საკენ. აქ აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჰომსტედები სრულიად არაა გაცემული ჩრდილოეთის მხოლოდ ორ რაიონში: ახალი ინგლისისა და შუა ატლანტის რაიონებში. ამ ორ, ყველაზე უფრო სამრეწველო რაიონზე, სადაც კოლონიზაციის პროცესი სრულებით აღარ ხდება, ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება შეჩერება.

მოყვანილი მონაცემები დაკავებული ჰომსტედების შესახებ ეხება პირვანდელ განცხადებებს ჰომსტედებზე და არა საბოლოოდ დაკავებულ ნაკვეთებს; უკანასკნელი სახის, რაიონების მიხედვით განაწილებული, მონაცემები ჩვენს განკარგულებაში არ არის. მაგრამ თუ მოყვანილი მონაცემები, როგორც აბსოლუტური სიდიდენი, გაზვიადებულიც არის, სამაგიეროდ ისინი, ყოველ შემთხვევაში, ზუსტად გამოხატავენ ურთიერთობას რაიონებს შორის. ჩრდილოეთში სულ ფერმებს ეჭირათ 1910 წ. — 414 მილიონი აკრი მიწა, ასე რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამოცხადებული ჰომსტედები შეადგენდნენ დაახლოებით 1/8-ს, სამხრეთში — დაახლოებით 1/17-ს (354-დან — 20), დასავლეთში — ნ ა ხ ე ვ ა რ ს (111-დან 55)! გასაგებია, რომ არევა იმ რაიონების მონაცემებისა, სადაც ფაქტიურად თითქმის ჯერ კიდევ არ არის მიწის საკუთრება, იმ რაიონების მონაცემებში, სადაც მთელი მიწა უკვე დაკავებულია, მეცნიერული გამოკვლევის წესების აბუჩად აგდება იქნებოდა.

ამერიკა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ხაზი გაუსვა მარქსმა «კაპიტალის» III ტომში[3], სახელდობრ, რომ კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში არ არის დამოკიდებული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფ ო რ მ ა ზ ე. კაპიტალს დახვდა სრულიად სხვადასხვა სახის შუასაუკუნეობრივი და პატრიარქალური მიწათმფლობელობა: ფეოდალურიც, «სანადელო-გლეხურიც» (ე. ი. დამოკიდებულ-გლეხური), კლანურიც, თემურიც, სახელმწიფოებრივიც და სხვა. მიწათმფლობელობის ყველა ამ სახეს კაპიტალი იმორჩილებს, მაგრამ სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა საშუალებით. სასოფლო-სამეურნეო

სტატისტიკას, იგი რომ აზრიანად, გონივრულად იყოს დაყენებული, კვლევის თავისი მეთოდები, დაჯგუფებათა წესები და სხვ. უნდა შეეცვალა მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის შეჭრის ფორმების შესაბამისად, მაგალითად, ცალკე გამოეყო საჰომსტედო ნაკვეთები და დაკვირვებოდა მათ სამეურნეო ბედს. სამწუხაროდ, სტატისტიკაში ძალიან ხშირად მეფობს რუტინა, ერთგვაროვანი წესების უაზრო, შაბლონური განმეორება.

რამდენად ექსტენსიურია მიწათმოქმედება დასავლეთში სხვა რაიონებთან შედარებით, ჩანს, სხვათა შორის, მონაცემებიდან ხელოვნურ განოყიერებაზე გაწეული ხარჯების სიდიდის შესახებ. 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე გაანგარიშებით ეს ხარჯები შეადგენდა 1909 წელს ჩრდილოეთში 13 ცენტს (0,13 დოლარს), სამხრეთში — 50-ს, დასავლეთში — სულ 6 ცენტს. სამხრეთის უპირატესობა იმით აიხსნება, რომ ბამბის კულტურა მოითხოვს დიდძალ სასუქს, ხოლო ამ კულტურას სამხრეთში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია: ბამბა თამბაქოსთან ერთად აქ იძლევა ყველა სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულების 46,8%-ს, მარცვლოვანი პურეული — მხოლოდ 29,3%-ს, თივა და ბალახები — 5,1%-ს. პირიქით, ჩრდილოეთში პირველი ადგილი უკავია მარცვლოვან პურეულს — 62,6%, შემდეგ თივას და ბალახებს — 18,8%, ამასთან ჭარბობს ნათესი ბალახები. დასავლეთში მარცვლოვანი პურეული იძლევა ყველა სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულების 33,1%-ს; — 31,7%-ს იძლევა თივა და ბალახები, ამასთან ნათესი ბალახები პირველობას უთმობს მდელოს ბალახებს. ღირებულების 15,5%-ს იძლევა ხილი — სავაჭრო მიწათმოქმედების განსაკუთრებული დარგი, რომელიც სწრაფად ვითარდება წყნარი ოკეანის სანაპიროზე.

2. სამრეწველო ჩრდილოეთი

ჩრდილოეთში ქალაქის მოსახლეობის პროცენტი 1910 წელს აღწევდა 58,6%-ს წინააღმდეგ 22,5%-ისა სამხრეთში და 48,8%-ისა დასავლეთში. მრეწველობის როლი შემდეგი მონაცემებიდან ჩანს:

	პროდუქტების ღირებულება (მილიარდ დოლარობით)				
	მიწათმოქმედებისა	მეცხოველეობისა	ჯამი	მრეწველობისა, ნედლეულის ღირებულების გამოკლებით	მუშათა რიცხვი მრეწველობაში (მილიონობით)
ჩრდილოეთი	3,1	2,1	5,2	6,9	5,2
სამხრეთი	1,9	0,7	2,6	1,1	1,1
დასავლეთი	0,5	0,3	0,8	0,5	0,3
მთელი შეერთ. შტატები	5,5	3,1	8,6	8,5	6,6

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ღირებულების საერთო ჯამი აქ გადიდებულია, ვინაიდან მიწათმოქმედების პროდუქტთა ნაწილი მეორდება მეცხოველეობის პროდუქტთა ღირებულებაში, მაგალითად, პირუტყვის საკვები. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვღებულობთ იმ უეჭველ დასკვნას, რომ ამერიკის მთელი მრეწველობის დაახლოებით $^5/_6$ კონცენტრირებულია ჩრდილოეთის მიერ და რომ ამ რაიონში მრეწველობა სჭარბობს სოფლის მეურნეობას. სამხრეთი და დასავლეთი, პირიქით, უმთავრესად სამიწათმოქმედო ხასიათს ატარებენ.

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ჩრდილოეთი განსხვავდება სამხრეთისა და დასავლეთისაგან მრეწველობის შედარებით ბევრად უფრო მაღალი განვითარებით, რომელიც ქმნის ბაზარს სოფლის მეურნეობისათვის და განაპირობებს მის ინტენსიფიკაციას. მაგრამ «სამრეწველო» — ამ აზრით — ჩრდილოეთი, მიუხედავად ამისა, მაინც კვლავ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა მთავარ მწარმოებლად რჩება. მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნახევარზე მეტი, დაახლოებით მისი სამი მეხუთედი, ჩრდილოეთშია თავმოყრილი. რამდენად უფრო ინტენსიურია მიწათმოქმედება ჩრდილოეთში დანარჩენ რაიონებთან შედარებით, შეიძლება დავინახოთ შემდეგი მონაცემებიდან მთელი სასოფლო-სამეურნეო ქონების — მიწის, ნაგებობების, იარაღებისა და მანქანების, პირუტყვის — ღირებულების შესახებ 1 აკრ მიწაზე გაანგარიშებით: ჩრდილოეთში ეს ღირებულება 1910 წ. შეადგენდა 66 დოლარს წინააღმდეგ 25 დოლარისა სამხრეთში და 41-ისა დასავლეთში. კერძოდ, იარაღებისა და მანქანების ღირებუ-

ლება 1 აკრ მიწაზე შეადგენდა 2,07 დოლარს ჩრდილოეთში, 0,83 დოლარს სამხრეთში და 1,04 დოლარს დასავლეთში.

ამასთან ცალკე გამოიყოფიან ახალი ინგლისისა და შუა ატლანტის რაიონები. აქ კოლონიზაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღარ ხდება. ფერმათა რიცხვი აბსოლუტურად შემცირდა 1900-დან 1910 წლამდე, აგრეთვე შემცირდა დამუშავებული მიწის, ისე როგორც ფერმებში მთელი მიწის, რაოდენობაც. მოსაქმეობის სტატისტიკის მიხედვით, აქ სოფლის მეურნეობას მისდევს მოსახლეობის მხოლოდ 10% წინააღმდეგ 33%-ისა საშუალოდ მთელი შეერთებული შტატებისათვის, 25% — წინააღმდეგ 41%-ისა ჩრდილოეთის დანარჩენ რაიონებში, 51% — წინააღმდეგ 63%-ისა სამხრეთში. მარცვლოვან პურეულს აქ უჭირავს სულ დამუშავებული მიწის 6 — 25% (შეერთებული შტატებისათვის საშუალოა 40%, ჩრდილოეთისათვის — 46%), ბალახებს (მეტწილად ნათეს ბალახებს) — 52 — 29% (წინააღმდეგ 15% და 18%-ისა), ბოსტნეულს — 4,6 — 3,8% (წინააღმდეგ 1,5% და 1,5%-ისა). ეს — ყველაზე უფრო ინტენსიური სამიწათმოქმედო რაიონია. 1 აკრი დამუშავებული მიწის განოყიერებაზე გაწეული საშუალო ხარჯი 1909 წ. შეადგენდა 1,30 და 0,62 დოლარს; პირველი ციფრი მაქსიმალურია, მეორე ჩამოუვარდება სამხრეთის მხოლოდ ერთ რაიონს. იარაღებისა და მანქანების საშუალო ღირებულება 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე — 2,58 და 3,88 დოლარი — მაქსიმალური ციფრებია შეერთებულ შტატებში. შემდგომ გადმოცემაში დავინახავთ, რომ სამრეწველო ჩრდილოეთის ეს ყველაზე უფრო სამრეწველო რაიონები, რომელნიც გამოირჩევიან ყველაზე უფრო ინტენსიური მიწათმოქმედებით, გამოირჩევიან აგრეთვე სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო კაპიტალისტური ხასიათითაც.

3. ყოფილი მონათმფლობელური სამხრეთი

ამერიკის შეერთებული შტატები — წერს ბ-ნი გიმერი — ესაა «ქვეყანა, რომელსაც არასოდეს არ განუცდია ფეოდალიზმი და რომლისთვისაც უცხოა მისი ეკონომიური ნაშთე-

ბი» (დასახელებული სტატია, გვ. 41). ეს მტკიცება პირდაპირ ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, ვინაიდან მ ო ნ ო ბ ი ს ეკონომიური ნაშთები სრულიად არაფრით არ განირჩევა ფეოდალიზმის ასეთივე ნაშთებისაგან, ხოლო შეერთებული შტატების ყოფილ მონათმფლობელურ სამხრეთში ეს ნაშთები ძ ა ლ ი ა ნ ძ ლ ი ე რ ი ა დ ღ ე ვ ა ნ დ ლ ა მ დ ე. ბ-ნ გიმერის შეცდომაზე არ ღირდა შეჩერება, რომ შეიძლებოდეს ის ჩაგვეთვალა მხოლოდ სახელდახელოდ დაწერილი საჟურნალო სტატიის შეცდომად. მაგრამ რუსეთის მთელი ლიბერალური და მთელი ნაროდნიკული ლიტერატურა ამტკიცებს, რომ რუსული შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი თ ი სისტემის — ფეოდალიზმის ჩვენებური ნაშთის—მიმართაც სრულიად ამგვარსავე «შეცდომას» სჩადიან სისტემატურად და არაჩვეულებრივი ჯიუტობით.

შეერთებული შტატების სამხრეთი მონათმფლობელური იყო, ვიდრე 1861 — 1865 წწ. სამოქალაქო ომმა არ აღგავა მონობა. დღევანდლამდე ზანგთა რაოდენობა, რომელიც ჩრდილოეთისა და დასავლეთის რაიონების მოსახლეობაში არ აღემატება 0,7 — 2,2%-ს, სამხრეთში შეადგენს მთელი მოსახლეობის 22,6 — 33,7%-ს. საშუალოდ მთელი შეერთებული შტატებისათვის — მოსახლეობაში 10,7% ზანგია. ზანგების დამცირებულ მდგომარეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია: ამერიკის ბურჟუაზია ამ მხრივ არაფრით არაა სხვა ქვეყნების ბურჟუაზიაზე უკეთესი. როცა ზანგები «გაათავისუფლა», ის შეეცადა «თავისუფალი» და რესპუბლიკურ-დემოკრატიული კაპიტალიზმის ნიადაგზე აღედგინა ყოველივე შესაძლებელი, გაეკეთებინა ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი ზანგების უაღრესად ურცხვი და საზიზღარი ჩაგვრისათვის. კულტურული დონის დასახასიათებლად საკმარისია აღვნიშნოთ ერთი პატარა სტატისტიკური ფაქტი. მაშინ როდესაც წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი შეერთებული შტატების თეთრკანიან მოსახლეობაში 1900 წელს შეადგენდა მცხოვრებთა 6,2%-ს (ნაანგარიშევია მოსახლეობის ასაკი 10 და მეტი წლიდან), ზანგებისთვის ეს % იყო 44,5%!! შვიდჯერ და უფრო მეტად მაღალი!! ჩრდილოეთსა და დასავლეთში

წერა-კითხვის უცოდინარია 4 — 6% (1900 წელი), სამხრეთში — 22,9 — 23,9%!! ადვილი წარმოსადგენია, უფლებრივი და საყოფაცხოვრებო ურთიერთობის სფეროდან აღებული ფაქტების რა ერთობლიობა შეესაბამება ამ ყოვლად სამარცხვინო ფაქტს სახალხო განათლების დარგიდან.

რა ეკონომიურ საფუძველზე აღმოცენდა და არსებობს ეს მშვენიერი «ზედნაშენი»?

ტიპიურ-რუსული, «ჭეშმარიტ-რუსული» შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი თ ი ს ი ს ტ ე მ ი ს, სახელდობრ: მ ო ზ ი ა რ ო ბ ი ს საფუძველზე.

ზანგების კუთვნილ ფერმათა რიცხვი 1910 წელს იყო 920 883, ე. ი. ფერმების მთელი რიცხვის 14,5%. ფერმერთა საერთო რიცხვიდან მოიჯარე იყო 37,0%, მესაკუთრე—62,1%, ფერმების დანარჩენი 0,9% მმართველთა გამგებლობაში იყო. მაგრამ თეთრკანიანებში მოიჯარეთა % შეადგენს 39,2%-ს, ზანგებში კი — 75,3%-ს! ტიპიური თეთრკანიანი ფერმერი ამერიკაში არის თავისი მიწის მესაკუთრე, ტიპიური ზანგი ფერმერი კი — მოიჯარე. დასავლეთში მოიჯარეთა % სულ უდრის 14,0%-ს — ესაა კოლონიზაციის პროცესში მყოფი რაიონი, ახალი, თავისუფალი მიწები, წვრილი «დამოუკიდებელი მიწათმოქმედის» ელდორადო (ხანმოკლე და არამტკიცე ელდორადო). ჩრდილოეთში მოიჯარეთა % შეადგენს 26,5%-ს, სამხრეთში კი — 49,6%-ს! სამხრეთის ფერმერთა ნახევარი — მოიჯარენია.

მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ წინაშე სულაც არ არიან მოიჯარენი ევროპული, კულტურული, თანამედროვე კაპიტალისტური აზრით. ჩვენ წინაშე არიან უმთავრესად ნახევრადფეოდალური ან, — რაც ეკონომიურად იგივეა, — ნახევრადმონური მ ო ზ ი ა რ ე ნ ი. «თავისუფალ» დასავლეთში მოიჯარეთა შორის მოზიარენი უმცირესობაა (25 ათასი 53 ათასიდან). ძველ, დიდი ხნის დასახლებულ ჩრდილოეთში 766 ათასი მოიჯარიდან — 483 ათასი, ე. ი. 63%, მოზიარეა. სამხრეთში 1 537 ათასი მოიჯარიდან მ ო ზ ი ა რ ე ა 1 0 2 1 ა თ ა ს ი, ე. ი. 6 6%.

თავისუფალ, რესპუბლიკურ-დემოკრატიულ ამერიკაში 1910 წელს იყო 1½ მილიონი მოიჯარე-მოზიარე, მათ შორის 1 მილიონზე მეტი ზანგი. და მოზიარეთა რიცხვი ფერმერთა საერთო რიცხვის მიმართ კი არ კლებულობს, არამედ განუხრელად და საკმაოდ ჩქარა იზრდება. 1880 წ. მოზიარეთა პროცენტი შეერთებულ შტატებში ყველა ფერმერის საერთო რიცხვის მიმართ იყო 17,5%, 1890 წ. — 18,4%, 1900 წ. — 22,2%, 1910 წ. — 24,0%.

«სამხრეთში — ვკითხულობთ ამერიკელ სტატისტიკოსთა დასკვნებში 1910 წ. აღწერის გამო — პირობები ყოველთვის რამდენადმე განსხვავებული იყო ჩრდილოეთისაგან და მრავალი სამოიჯარო ფერმა წარმოადგენს იმ პლანტაციათა ნაწილს, რომელნიც მნიშვნელოვანი ოდენობის არიან და სამოქალაქო ომის წინა ეპოქაში წარმოიშვნენ». სამხრეთში «მოიჯარეთა, უმთავრესად ზანგთა, საშუალებით მეურნეობის წარმოების სისტემამ შეცვალა მონური შრომის საშუალებით მეურნეობის წარმოების სისტემა». «საიჯარო სისტემის განვითარება ყველაზე უფრო გვხვდება თვალში სამხრეთში, სადაც დიდი პლანტაციები, რომლებიც წინათ მონური შრომით მუშავდებოდა, მრავალ შემთხვევაში დაყოფილი იყო პატარ-პატარა ნაკვეთებად (პარცელები), რომელნიც ეძლეოდათ მოიჯარეებს. ...ამ პლანტაციებს ბევრ შემთხვევაში არსებითად ჯერ კიდევ დღემდე ამუშავებენ როგორც სასოფლო-სამეურნეო ერთეულებს, რადგან მოიჯარენი რამდენადმე ემორჩილებიან იმის ცოტად თუ ბევრად ანალოგიურ მეთვალყურეობას, რომელსაც ემორჩილებიან ჩრდილოეთში ფერმების დაქირავებული მუშები» (დასახ. თხზ., V, 102, 104).

სამხრეთის დასახასიათებლად საჭიროა დავსძინოთ კიდევ, რომ მოსახლეობა იქიდან გარბის სხვა კაპიტალისტურ რაიონებსა და ქალაქებში, როგორც რუსეთში ყველაზე უფრო ჩამორჩენილი, ბატონყმობის ნაშთების ყველაზე უფრო შემნარჩუნებელი ცენტრალურ-სამიწათმოქმედო გუბერნიებიდან. ვალიაი-მარკოვების ბატონობიდან გლეხობა გარბის რუსეთის უფრო კაპიტალისტურ რაიონებში, სატახტო ქალაქებში,

სამრეწველო გუბერნიებში და სამხრეთში (იხ. «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» *). მოზიარობის რაიონი ამერიკაშიც და რუსეთშიც არის უდიდესი შეჩერების რაიონი, მშრომელი მასების უდიდესი დაბეჩავებისა და ჩაგვრის რაიონი. ამერიკაში იმიგრანტები, რომელნიც ასეთ თვალსაჩინო როლს ასრულებენ ქვეყნის მეურნეობასა და მთელ მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამხრეთს გაურბიან. 1910 წელს ამერიკის გარეთ დაბადებული მოსახლეობის პროცენტი იყო 14,5%. მაგრამ სამხრეთში ეს პროცენტი შეადგენს სულ 1,0 — 4,0%-ს ცალკეულ რაიონებში, მაშინ როდესაც ქვეყნის დანარჩენ რაიონებში მოსულები არიან არანაკლებ 13,9%-ისა და 27,7%-მდე (ახალი ინგლისი). კარჩაკეტილობა, დახავსებულობა, სუფთა ჰაერის უქონლობა, რაღაცნაირი საპყრობილე «განთავისუფლებული» ზანგებისათვის — აი რა არის ამერიკის სამხრეთი. მოსახლეობის უდიდესი დამკვიდრებულობა, უდიდესი «მიმაგრება მიწაზე»: გარდა სამხრეთის იმ რაიონისა, სადაც მნიშვნელოვანი კოლონიზაციაა (ცენტრალური სამხრეთ-დასავლეთის რაიონი), სამხრეთის ორივე დანარჩენ რაიონში მოსახლეობის 91 — 92% დაბადებულია იმავე რაიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ, მაშინ როდესაც საზოგადოდ ამერიკაში ეს პროცენტი შეადგენს 72,6%-ს, ე. ი. მოსახლეობის მოძრაობა გაცილებით მეტია. დასავლეთში, რომელიც კოლონიზაციის მთლიან რაიონს წარმოადგენს, მოსახლეობის მხოლოდ 35 — 41% დაბადებულა იმ რაიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ.

სამხრეთის ორი რაიონიდან, რომლებსაც არ განუცდიათ კოლონიზაცია, ზანგები გარბიან: 10 წლის განმავლობაში, რამაც განვლო ორ უკანასკნელ ცენზს შორის, ამ ორმა რაიონმა ქვეყნის სხვა ადგილებს მისცა თითქმის 600 000 «შავკანიანი» მოსახლეობა. ზანგები, უმთავრესად, გარბიან ქალაქებში: სამხრეთში სოფლად ცხოვრობს ყველა ზანგის 77 — 80%, დანარჩენ რაიონებში კი სულ — 8 — 32%.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 3, გვ. 694 — 700. რ ე დ.

ამერიკის ზანგებისა და სამიწათმოქმედო რუსეთის ცენტრის «ყ ო ფ ი ლ ი მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი» გლეხების მდგომარეობის ეკონომიური ერთგვარობა გასაოცარია.

4. ფერმათა საშუალო ოდენობა. «კაპიტალიზმის დაშლა» სამხრეთში

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ შეერთებული შტატების სამი მთავარი რაიონის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები და სამეურნეო პირობების საერთო ხასიათი, შეგვიძლია გადავიდეთ იმ მონაცემების განხილვაზე, რომელნიც ჩვეულებრივ მოჰყავთ ხოლმე. ესაა, უწინარეს ყოვლისა, მონაცემები ფერმების საშუალო ოდენობის შესახებ. ამ მონაცემების საფუძველზე ძალიან ბევრ ეკონომისტს, მათ შორის ბ-ნ გიმერსაც, მეტად გადამწყვეტი დასკვნები გამოჰყავს.

წ ლ ე ბ ი	ფერმათა საშუალო ოდენობა შეერთებულ შტატებში: მიწის ნაკვეთი რაოდენობა	დამუშავებული მიწის რაოდენობა
	(აკრობით)	
1850	202,6	78,0
1860	199,2	79,8
1870	153,3	71.0
1880	133,7	71,0
1890	136,5	78.3
1900	146,2	72,2
1910	138,1	75,2

საერთოდ, პირველი შეხედვით ვღებულობთ მთელი მიწის საშუალო რაოდენობის შემცირებას და დამუშავებული მიწის საშუალო რაოდენობის გაურკვეველ ცვლილებებს — ხან შემცირებას, ხან გადიდებას. მაგრამ ცხად მიჯნას წარმოადგენს 1860 — 1870 წწ. პერიოდი, რომელიც ჩვენ ამიტომაც აღვნიშნეთ ხაზით. სწორედ ამ პერიოდში ჩანს მთელი მიწის საშუალო რაოდენობის უდიდესი შ ე მ ც ი რ ე ბ ა 46 აკრით (199,2 — 153,3) და დამუშავებული მიწის საშუალო რაოდენობის უდიდესი ცვლილება (79,8 — 71,0) აგრეთვე შემცირებისაკენ.

რაშია საქმე? ცხადია, 1861 — 1865 წწ. სამოქალაქო ომსა და მონობის გაუქმებაში. მონათმფლობელურ ლატიფუნდიებს გადამწყვეტი მახვილი ჩაეცა. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ არაერთგზის დადასტურებას ამ ფაქტისას, რომელიც, სხვათა შორის, ისე საყოველთაოდ ცნობილია, რომ საკვირველად უნდა ჩაითვალოს მისი დადასტურების საჭიროება. ცალ-ცალკე გამოვყოთ მონაცემები სამხრეთისა და ჩრდილოეთის შესახებ.

წლები	ფერმების საშუალო ოდენობა აკრობით სამხრეთში: მთელი მიწის საშ. რაოდ.	სამხრეთში: დამუშ. მიწის საშ. რაოდ.	ჩრდილოეთში: მთელი მიწის საშ. რაოდ.	ჩრდილოეთში: დამუშ. მიწის საშ. რაოდ.
1850	332,1	101,1	127,1	65,4
1860	335,4	101,3	126,4	68,3
1870	214,2	69,2	117,0	69,2
1880	153,4	56,2	114.9	76,6
1890	139,7	58,8	123.7	87,8
1900	138,2	48,1	132,2	90,9
1910	114,4	48,6	143,0	100,3

ჩვენ ვხედავთ, რომ დამუშავებული მიწის რაოდენობა. საშუალოდ ერთ ფერმაზე, დიდად შ ე მ ც ი რ დ ა 1860 — 1870 წწ. სამხრეთში (101,3 — 69,2) და ცოტათი შეიცვალა გ ა დ ი დ ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ ჩრდილოეთში (68,3 — 69,2). მაშასადამე, საქმე სწორედ სამხრეთის ევოლუციის პირობებშია. იქ მონობის გაუქმების შემდეგაც ვამჩნევთ ფერმათა საშუალო სიდიდის, თუმცა ნელსა და არა შეუწყვეტელს, მაგრამ მაინც შემცირებას.

«წვრილი შრომითი მიწათმოქმედება აქ აფართოებს თავისი ბატონობის არეს», — დაასკვნის ბ-ნი გიმერი,—«ხოლო კაპიტალი სოფლის მეურნეობას ტოვებს თავისი გამოყენების სხვა დარგებისათვის»... «სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის სწრაფი დაშლა სამხრეთ ატლანტის შტატებში»...

აი კურიოზი, რომლის პარალელი, მგონი, შეიძლება მოინახოს მხოლოდ ჩვენი ნაროდნიკების მსჯელობაში «კაპიტალიზმის დაშლის» შესახებ რუსეთში 1861 წლის შემდეგ მემამულეთა გადასვლის გამო მეურნეობის საბატონო სისტემიდან შრომამიგებითს (ე. ი. ნახევრადსაბატონო!) სისტემაზე.

მონათმფლობელური ლატიფუნდიების დაქუცმაცებას უწოდებენ «კაპიტალიზმის დაშლას». გუშინდელ მონათმფლობელთა დაუმუშავებელი მიწის გადაქცევას ზანგთა, ნახევრადმოზიარეთა წვრილ ფერმებად (გავიხსენოთ, რომ მოზიარეთა პროცენტი განუხრელად მ ა ტ უ ლ ო ბ ს ცენზიდან ცენზამდე!) უწოდებენ «კაპიტალიზმის დაშლას». ეკონომიური მეცნიერების ძირითადი ცნებების დამახინჯების მხრივ ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია!

1910 წლის აღწერის განმარტებითი ტექსტის მე-12 თავში ამერიკელ სტატისტიკოსებს მოჰყავთ მონაცემები სამხრეთის ტიპიური «პლანტაციების» შესახებ — ამჟამად, და არა მონობის დროს. 39 073 პლანტაციაში არის 39 073 «საბატონო ფერმა» (landlord farms) და 398 905 სამოიჯარო ფერმა. მაშასადამე, საშუალოდ 10 მოიჯარე მოდის ერთ «ბატონზე», «მემამულეზე», «ლენდლორდზე». პლანტაციის საშუალო ოდენობა უდრის 724 აკრს. აქედან დამუშავებული მიწაა მხოლოდ 405 აკრი: პლანტაციაზე მოდის 300 აკრზე მეტი დაუმუშავებელი მიწა. გვარიანი მარაგია ბატონ გუშინდელ მონათმფლობელთა მომავალი ექსპლოატატორული გეგმებისათვის...

საშუალო პლანტაციის მიწის განაწილება ასეთია: «საბატონო ფერმა» — 331 აკრი მიწა, აქედან მუშავდება 87 აკრი. «სამოიჯარო» ფერმები, ე. ი. იმ ზანგ მოზიარეთა მიწის ნაკვეთები, რომელნიც ძველებურად «ბატონისთვის» და მისი ზედამხედველობით მუშაობენ, შეიცავენ საშუალოდ თვითეული 38 აკრ მიწას, აქედან მუშავდება 31 აკრი.

გუშინდელი მონათმფლობელები სამხრეთში, რომელნიც ფლობენ უზარმაზარ ლატიფუნდიებს, სადაც $^{9}/_{10}$-ზე მეტი მიწა დღესაც დაუმუშავებელი რჩება, მოსახლეობისა და ბამბაზე მოთხოვნილების ზრდის მიხედვით, თანდათან გადადიან ამ მიწების ზანგებისათვის მიყიდვაზე, ხოლო კიდევ უფრო ხშირად — მათთვის წვრილი ნაკვეთების საზიაროდ გადაცემაზე. (სამხრეთში 1900-დან 1910 წლამდე იმ ფერმერების რიცხვი, რომელნიც მთელი თავიანთი მიწის სრული მესაკუთრენი არიან, გადიდდა 1 237 ათასიდან 1 329 ათასამდე, ე. ი. 7,5%-ით,

მაშინ როდესაც ფერმერ-მოზიარეთა რიცხვი გადიდდა 772 ათასიდან 1 021 ათასამდე, ე. ი. 32,2%-ით). და აი, გამოჩნდა ეკონომისტი, რომელიც ამ მოვლენას «კაპიტალიზმის დაშლას» უწოდებს...

ლატიფუნდიებს ჩვენ მივაკუთვნებთ ისეთ ფერმებს, რომელთაც 1 000 და მეტი აკრი მიწა აქვთ. სულ შეერთებულ შტატებში 1910 წ. ასეთი ფერმა იყო 0,8% (50 135 ფერმა), ხოლო მიწა მათ ჰქონდათ 167,1 მილიონი აკრი, მთელი რაოდენობის 19,0%. ეს იძლევა საშუალოდ 3 332 აკრს ლატიფუნდიაზე. დამუშავებული მიწის პროცენტი ლატიფუნდიებში სულ არის 18,7%, საერთოდ კი ყველა ფერმისათვის — 54,4%. ამასთან ყველაზე ცოტა ლატიფუნდიები არის კაპიტალისტურ ჩრდილოეთში: ფერმების მთელი რიცხვის 0,5% მთელი მიწის 6,9%-ით, ამასთან დამუშავებული მიწის ნაწილი ლატიფუნდიებში შეადგენს 41,1%-ს. ყველაზე მეტი ლატიფუნდიები არის დასავლეთში: ფერმების მთელი რიცხვის 3,9% მთელი მიწის 48,3%-ით; მიწის 32,3% ლატიფუნდიებში დამუშავებულია. ლატიფუნდიების დაუმუშავებელი მიწის ყველაზე მეტი პროცენტია ყოფილ მონათმფლობელურ სამხრეთში: ფერმების 0,7% — ლატიფუნდიებია; მათ აქვთ მიწის 23,9%; ლატიფუნდიებში დამუშავებულია სულ მიწის 8,5%!! ეს დაწვრილებითი მონაცემები თვალსაჩინოდ ცხადყოფენ, სხვათა შორის, თუ რა უსაფუძვლოა ლატიფუნდიების ესოდენ გავრცელებული მიკუთვნება კაპიტალისტური მეურნეობისადმი — თვითეული ცალკე ქვეყნისა და თვითეული ცალკე რაიონის კონკრეტული მონაცემების განსაკუთრებული განხილვის მოუხდენლად.

ათი წლის, 1900 — 1910, განმავლობაში სწორედ ლატიფუნდიებში და მხოლოდ ლატიფუნდიებში შემცირდა მიწის მთელი რაოდენობა. ეს შემცირება მეტად მნიშვნელოვანია: 197,8-დან 167,1 მილიონ აკრამდე, ე. ი. 30,7 მილიონი აკრით. სამხრეთში ეს შემცირება შეადგენს 31,8 მილიონ აკრს (ჩრდილოეთში მატებაა 2,3 მილიონით, დასავლეთში შემცირებაა 1,2 მილიონით). მაშასადამე, სწორედ სამხრეთი და

მხოლოდ მონათმფლობელური სამხრეთი ხასიათდება ლატიფუნდიების უდიდესი დაქუცმაცების პროცესით, როცა დაშუშავებული მიწა ამ ლატიფუნდიებში სრულიად უმნიშვნელო პროცენტს (8,5%) შეადგენს.

ყოველივე აქედან გარდუვალად გამომდინარეობს, რომ მიმდინარე ეკონომიური პროცესის ერთადერთი ზუსტი განსაზღვრა ასეთი იქნება: გადასვლა მონათმფლობელური ლატიფუნდიებიდან, რომელთა ცხრა მეათედი სრულიად არ მუშავდება, წვრილ ს ა ვ ა ჭ რ ო მიწათმოქმედებაზე. არა «შრომითს» მიწათმოქმედებაზე, როგორც უყვართ ლაპარაკი ბ-ნ გიმერს და ნაროდნიკებს ყველა ბურჟუაზიულ ეკონომისტთან ერთად, რომელნიც იაფფასიან ჰიმნს უმღერიან «შრომას», არამედ სავაჭრო მიწათმოქმედებაზე. სიტყვა «შრომითს» არავითარი პოლიტიკურ-ეკონომიური აზრი არა აქვს და არაპირდაპირ იწვევს შეცდომას. იგი მოკლებულია აზრს, ვინაიდან მეურნეობის ყოველ და ყოველგვარ საზოგადოებრივ წყობაში წვრილი მიწათმოქმედი «შრომობს»: მონობის დროსაც, ბატონყმობის დროსაც და კაპიტალიზმის დროსაც. სიტყვა «შრომითი» ცარიელი ფრაზაა, უშინაარსო დეკლამაციაა, რომელიც ფარავს მეურნეობის სულ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ წყობათა ა ღ რ ე ვ ა ს, რაც ხელსაყრელია მხოლოდ ბურჟუაზიისათვის. სიტყვა «შრომითს» შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, ატყუებს მას, ვინაიდან იგი გადაკვრით მიუთითებს დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შრომის არარსებობაზე.

ბ-ნი გიმერი, ისე როგორც ყველა ბურჟუაზიული ეკონომისტი, გვერდს უვლის სწორედ მონაცემებს დაქირავებული შრომის შესახებ, თუმცა ეს — ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემებია მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის საკითხზე და თუმცა მათ ვხვდებით არა მარტო 1900 წლის აღწერაში, არამედ 1910 წლის აღწერის იმ «ბიულეტენშიც» (Abstract — Farm crops, by states*), რომლიდანაც ციტატები მოჰყავს ბ-ნ გიმერს (მისი სტატია, გვ. 49, შენიშვნა).

* — შერჩევითი მონაცემები ფერმების მოსავლის შესახებ, შტატების მიხედვით. რ ე დ.

სამხრეთში წვრილი მიწათმოქმედების ზრდა რომ სწორედ სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდაა, ეს ჩანს სამხრეთის მთავარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ხასიათიდან. ეს პროდუქტია — ბამბა. ყველა მარცვლოვანი პურეული იძლევა სამხრეთში პურეულისა და მარცვლოვანთა მთელი მოსავლის ღირებულების 29,3%-ს, თივა და საკვები ბალახები — 5,1%-ს, ხოლო ბამბა — 42,7%-ს. 1870-დან 1910 წლამდე მატყლის წარმოება შეერთებულ შტატებში გაიზარდა 162 მილიონი გირვანქიდან 321 მილიონამდე — ორჯერ; — ხორბლისა 236 მილიონი ბუშელიდან 635 მილიონ ბუშელამდე, უფრო ნაკლებ, ვიდრე სამჯერ; — სიმინდისა 1 094 მილიონი ბუშელიდან 2 886 მილიონამდე, აგრეთვე უფრო ნაკლებ, ვიდრე სამჯერ, ხოლო ბამბისა 4 მილიონი ნაკრაულიდან (500 გირვანქა თითო ნაკრაულში) 12 მილიონამდე, ე. ი. სამჯერ. უმთავრესად სავაჭრო სამიწათმოქმედო პროდუქტის ზრდამ გაუსწრო სხვა, ნაკლებ სავაჭრო, პროდუქტთა ზრდას. გარდა ამისა, სამხრეთის მთავარ რაიონში, «სამხრეთ ატლანტის» რაიონში, საკმაოდ მნიშვნელოვნად განვითარდა წარმოება თამბაქოსი (მოსავლის ღირებულების 12,1% ვირგინიის შტატში), ბოსტნეულისა (მთელი მოსავლის ღირებულების 20,1% დელავერის შტატში, 23,2% — ფლორიდის შტატში), ხილეულისა (მთელი მოსავლის ღირებულების 21,3% ფლორიდის შტატში) და სხვ.. ყველა ეს — იმგვარი სამიწათმოქმედო კულტურებია, რომელნიც მოასწავებენ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციას, მეურნეობის ოდენობის გადიდებას მათთვის მიწის ფართობის შემცირების პირობებში და დაქირავებული შრომის გამოყენების გადიდებას.

ჩვენ ახლა გადავალთ დაქირავებული შრომის შესახებ არსებული მონაცემების დაწვრილებით განხილვაზე; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუმცა სამხრეთი ამ მხრივ ჩამორჩა სხვა რაიონებს, — აქ უფრო სუსტია დაქირავებული შრომის გამოყენება, ვინაიდან უფრო ძლიერია ნახევრადმონური მოზიარობა, — მაგრამ დაქირავებული შრომის გამოყენება სამხრეთშიც იზრდება.

5. მიწათმოქმედების კაპიტალისტური ხასიათი

ჩვეულებრივ კაპიტალიზმზე მიწათმოქმედებაში მსჯელობენ იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც შეეხება ფერმების სიდიდეს ან მიწის ფართობის მიხედვით მსხვილი ფერმების რიცხვსა და მნიშვნელობას. ჩვენ ნაწილობრივ განვიხილეთ, ნაწილობრივ კიდევ განვიხილავთ ამგვარ მონაცემებს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ეს — არაპირდაპირი მონაცემებია, ვინაიდან ფართობის ოდენობა ყოველთვის და უშუალოდ სრულიადაც არ გვიჩვენებს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ნამდვილად მსხვილ ოდენობას და მის კაპიტალისტურ ხასიათს.

მონაცემები დაქირავებული შრომის შესახებ შეუდარებლად უფრო დამამტკიცებელი და ნათელია ამ მხრივ. უკანასკნელი წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერებმა, მაგალითად, ავსტრიის 1902 წლის და გერმანიის 1907 წლის აღწერებმა, რომელთა განხილვაზე ჩვენ სხვა ადგილას შევჩერდებით, დაგვანახვა, რომ დაქირავებული შრომის გამოყენება თანამედროვე სოფლის მეურნეობაში — და განსაკუთრებით წვრილ სამიწათმოქმედო მეურნეობაში — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ჰგონიათ. არაფერი არ აბათილებს ისე უცილობლად და ისე თვალსაჩინოდ მეშჩანურ ზღაპარს წვრილი «შრომითი» მიწათმოქმედების შესახებ, როგორც ეს მონაცემები.

ამერიკულმა სტატისტიკამ მეტად ვრცელი მასალა შეაგროვა ამ საკითხზე, რადგან დაკითხვის ბარათში თვითეული ცალკე ფერმერის შესახებ აღნიშნულია, ხარჯავს თუ არა რამეს ის მუშების დასაქირავებლად, და, თუ ხარჯავს, სახელდობრ რა თანხას. ევროპული — მაგალითად, ზემოდასახელებული ორი ქვეყნის — სტატისტიკისაგან განსხვავებით, ამერიკული სტატისტიკა არ აღრიცხავს იმ დაქირავებულ მუშათა რიცხვს, რომელნიც ამა თუ იმ დროს ჰყავს თვითეულ მეურნეს, თუმცა ეს ძალიან ადვილი გამოსარკვევია, და ამ მონაცემთა მეცნიერული მნიშვნელობა, დაქირავებულ შრომაზე გაწეული

ხარჯების საერთო ჯამის მონაცემთა დამატებით, მეტად დიდი იქნებოდა. მაგრამ რაც ყველაზე უარესია — ესაა ამ მონაცემთა ყოვლად უვარგისი დამუშავება 1910 წლის აღწერაში, რომელიც საზოგადოდ გაცილებით უარესადაა დამუშავებული, ვიდრე 1900 წლის აღწერა. 1910 წ. აღწერით ყველა ფერმა დაყოფილია ჯგუფებად მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით (ისევე, როგორც 1900 წელს), მაგრამ, 1900 წლისაგან განსხვავებით, დაქირავებული შრომის გამოყენების მონაცემები ამ ჯგუფების მიხედვით გატარებული არ არის. ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას მიწის რაოდენობის მიხედვით წვრილი და მსხვილი მეურნეობანი ერთმანეთს შევადაროთ მათ მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების მხრივ. ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ საშუალო მონაცემები შტატებისა და რაიონების მიხედვით, ე. ი. მონაცემები, რომელნიც ერთად აერთებენ კაპიტალისტურ და არაკაპიტალისტურ მეურნეობებს.

ჩვენ ქვემოთ ცალკე განვიხილავთ 1900 წლის მონაცემებს, რომლებიც უკეთაა დამუშავებული, ახლა კი მოვიყვანთ 1910 წლის მონაცემებს. ეს მონაცემები ეხება საკუთრივ 1899 და 1909 წლებს.

რაიონები:	მუშათა დამქირავებელი ფერმების პროცენტი	დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების ზადოდება 1899-დან 1909 წლამდე %-ბით	დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯი 1 აარ დამუშავებულ მიწაზე გაანგარიშებით (დოლარობით)	
			1909	1899
ჩრდილოეთი	55.1	+ 70,8	1,26	0,82
სამხრეთი	36,6	+ 87,1	1,07	0,69
დასავლეთი	52,5	+119,0	3,25	2,07
მთელი შეერთ. შტატები	45,9	+ 82,3	1,36	0,86

ამ მონაცემებიდან უწინარეს ყოვლისა უეჭველად გამომდინარეობს, რომ ყველაზე კაპიტალისტურ ხასიათს მიწათმოქმედება ატარებს ჩრდილოეთში (დაქირავებულ შრომას იყენებს ფერმების 55,1%), შემდეგ — დასავლეთში (52,5%) და ყველაზე ნაკლებად — სამხრეთში (36,6%). ასეც უნდა იყოს,

როცა ხდება დასახლებული და სამრეწველო რაიონის თანა-შეფარდება კოლონიზაციის პროცესში მყოფ რაიონსა და მოზიარობის რაიონთან. ცხადია, მონაცემები დაქირავებული შრომის გამომყენებელ ფერმათა პროცენტის შესახებ უფრო გამოსადეგია რაიონების ზედმიწევნით შესადარებლად, ვიდრე მონაცემები დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების სიდიდის შესახებ 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე გაანგარიშებით. უკანასკნელი სახის მონაცემთა შესადარისობისათვის საჭირო იქნებოდა, რომ ხელფასის სიდიდე სხვადასხვა რაიონში ერთნაირი ყოფილიყო. ჩვენ არ მოგვეპოვება მონაცემები ხელფასის შესახებ შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ხელფასის ერთნაირობა რაიონებს შორის არსებულ ჩვენთვის ცნობილ ძირეულ განსხვავებათა პირობებში — დაუჯერებელია.

ამგვარად, ჩრდილოეთსა და დასავლეთში, ორ რაიონში, სადაც თავმოყრილია მთელი დამუშავებული მიწის ²/₃ და მთელი პირუტყვის ²/₃, ფერმერების ნახევარზე მეტი დაქირავებულ შრომას იყენებს. სამხრეთში ეს წილი უფრო ნაკლებია მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ჯერ კიდევ ძლიერია ნახევრადფეოდალური (აგრეთვე ნახევრადმონური) ექსპლოატაცია მოზიარობის სახით. უეჭველია, ყველაზე ცუდ პირობებში მყოფ ფერმერთა ნაწილი ამერიკაშიც, ისე როგორც მსოფლიოს ყველა დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მიმართავს თავისი სამუშაო ძალის გაყიდვას. სამწუხაროდ, საამისო მონაცემებს ამერიკული სტატისტიკა სრულიად არ იძლევა — განსხვავებით, მაგალითად, 1907 წ. გერმანული სტატისტიკისაგან, სადაც ეს მონაცემები შეგროვილი და დამუშავებულია საფუძვლიანად. გერმანული მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს 5 736 082 მეპატრონიდან (საერთო ჯამი, რომელიც შეიცავს უწვრილეს «მეპატრონეებსაც») — 1 940 867, ე. ი. 30%-ზე მეტი, თავისი მთავარი მოსაქმეობით დაქირავებული მუშაა. რა თქმა უნდა, ნაკვეთი მიწის მქონე ამ მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების მასა მიწათმოქმედთა დაბალ ჯგუფებზე მოდის.

დავუშვათ, რომ შეერთებულ შტატებში, სადაც უწვრილესი ფერმები (3 აკრამდე) საერთო წესისამებრ სრულიად არაა ალრიცხული, ფერმერთა მხოლოდ 10% მიმართავს თავისი სამუშაო ძალის გაყიდვას. ამ შემთხვევაშიც ვღებულობთ იმ შედეგს, რომ ფერმერები, რომელთაც უ მ უ ა ლ ო დ უწევენ ექსპლოატაციას მემამულეები და კაპიტალისტები, საერთო რიცხვის მ ე ს ა მ ე დ ზ ე მ ე ტ ი ა (მოზიარეთა, ე. ი. ყოფილ მონათმფლობელების მიერ ფეოდალურად ან ნახევრადფეოდალურად ექსპლოატირებულთა 24,0% და კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებულთა 10% შეადგენს 34%-ს). მაშასადამე, ფერმერთა საერთო რიცხვიდან უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა, არა უმეტეს ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი ან ე რ თ ი მ ე ო თ ხ ე დ ი ნ ა წ ი ლ ი, არც ქირაობს მუშებს და თვითონაც არ ქირავდება, არც კაბალაში ვარდება.

ასეთია საქმის ფაქტიური მდგომარეობა «სანიმუშო და მოწინავე» კაპიტალიზმის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც მუქთად არიგებენ მილიონობით დესეტინა მიწას. ყბადაღებული «შრომითი», არაკაპიტალისტური, წვრილი მიწათმოქმედება აქაც მითი აღმოჩნდა.

რამდენად დიდია დაქირავებული მუშების რიცხვი ამერიკის სოფლის მეურნეობაში? მატულობს თუ კლებულობს ეს რიცხვი ფერმერთა რიცხვთან და მთელ სოფლის მოსახლეობასთან შედარებით?

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, სამწუხაროდ, ამერიკული სტატისტიკა პირდაპირ პასუხს არ იძლევა. მოვნახოთ დაახლოებითი პასუხი.

ჯერ-ერთი, დაახლოებითი პასუხის მოცემა შეუძლია მოსაქმეობის სტატისტიკის ციფრებს (ცენზის შრომების IV ტომი). ამერიკელებს ეს სტატისტიკა «არ გამოუვიდათ». იგი იმდენად კაზიონურად, რუტინულად, შეუსაბამოდ არის დამუშავებული, რომ არ მოიპოვება მონაცემები სარეწში პიროვნების მდგომარეობის შესახებ, ე. ი. მეპატრონის, ოჯახიანი მუშის და დაქირავებული მუშის განსხვავების შესახებ. ზუსტი ეკონომიური დაყოფის ნაცვლად სჯერდებოდნენ «მოა-

რულ», «ჩვეულებრივ» სიტყვახმარებას და «სოფლის მუშების» სვეტში უაზროდ აერთებდნენ ფერმერთა ოჯახის წევრებსაც და დაქირავებულ მუშებსაც. როგორც ცნობილია, არა მარტო ამერიკელ სტატისტიკაშია გამეფებული სრული ქაოსი ამ საკითხში.

1910 წლის აღწერა ცდილობს ცოტაოდნავ გაერკვეს ამ ქაოსში, გაასწოროს აშკარა შეცდომები და დაქირავებული მუშების (working out) ნაწილი მაინც გამოყოს ოჯახიანი მუშებისაგან (working on the home farm). სტატისტიკოსები ახდენენ მთელ რიგ გამოანგარიშებებს, შეაქვთ შესწორება მიწათმოქმედებაში ჩაბმულ პირთა საერთო რიცხვის მიმართ და ამცირებენ ამ რიცხვს 468 100 კაცით (ტომი IV, გვ. 27). შემდეგ, დაქირავებულ მუშა ქალთა რიცხვი განისაზღვრება 220 048-ით 1900 წელს და 337 522-ით 1910 წელს (გადიდებაა 53%-ით). დაქირავებულ მუშა მამაკაცთა რიცხვი 1910 წელს იყო 2 299 444. თუ დავუშვებთ, რომ 1900 წელს სოფლის მუშების საერთო რიცხვში იყო სოფლის დაქირავებულ მუშათა ისეთივე პროცენტი, როგორც 1910 წელს, მაშინ დაქირავებულ მუშა მამაკაცთა რიცხვი 1900 წელს განისაზღვრება 1 798 165 კაცით. ამ შემთხვევაში მივიღებთ ასეთ სურათს:

	1900	*1910*	გადიდება % ბით
სულ მიწათმოქმედებაში ჩაბმული პირნი	10 381 765	12 099 825	+16%
ფერმერთა რიცხვი	5 674 875	5 981 522	+ 5%
დაქირავებულ მუშათა რიცხვი	2 018 213	2 566 966	+27%

ესე იგი დაქირავებულ მუშათა რიცხვის გადიდების პროცენტი ხუთჯერ და უფრო მეტია (27% წინააღმდეგ 5%-ისა) ფერმერთა რიცხვის გადიდების პროცენტთან შედარებით. სოფლის მოსახლეობაში ფერმერთა წილი შემცირდა, დაქირავებულ მუშათა წილი — გაიზარდა. დამოუკიდებელ მეპატრონეთა რიცხვი პროპორციულად მთელი სოფლის მოსახლეობის მიმართ — შემცირდა; დამოკიდებულთა, ექსპლოატირებულთა რიცხვი — გადიდდა.

გერმანიაში 1907 წ. დაქირავებული მუშები სოფლის მეურნეობაში გამოანგარიშებულია 4½ მილიონის რაოდენობით როგორც ოჯახიან, ისე დაქირავებულ მუშათა მთელი რიცხვიდან — 15 მილიონიდან. მაშასადამე, დაქირავებული მუშებია 30%. ამერიკაში, მოყვანილი დაახლოებითი გაანგარიშების მიხედვით, არის 2½ მილიონი 12 მილიონიდან, ე. ი. 21%. შესაძლებელია, რომ მუქთად გაცემული თავისუფალი მიწების არსებობამ და ფერმერ-მოზიარეთა დიდმა პროცენტმა უნდა შეამციროს დაქირავებულ მუშათა პროცენტი ამერიკაში.

მეორეც, დაახლოებითი პასუხი შეუძლიათ მოგვცენ ციფრებმა მუშების დაქირავებაზე გაწეული ხარჯების სიდიდის შესახებ 1899 და 1909 წლებში. დროის იმავე პერიოდში დაქირავებულ მუშათა რიცხვი მრეწველობაში გადიდდა 4,7 მილიონიდან 6,6 მილიონამდე, ე. ი. 40%-ით, ხოლო მათი ხელფასი — 2 008 მილიონი დოლარიდან 3 427 მილიონ დოლარამდე, ე. ი. 70%-ით. (არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროდუქტთა ფასების მომატებამ და სხვ. არარად აქცია ხელფასის ეს ნომინალური გადიდება).

ამ მონაცემთა მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მიწათმოქმედებაში მუშების დაქირავებაზე გაწეული ხარჯების 82%-ით გადიდებას შეესაბამება დაქირავებულ მუშათა რაოდენობის გადიდება დაახლოებით 48%-ით. თუ ანალოგიურ ვარაუდს დავუშვებთ სამი მთავარი რაიონისათვის, ასეთ სურათს მივიღებთ:

	პროცენტული გადიდება 1900-დან 1910 წლამდე		
რაიონები:	სულ სოფლის მოსახლეობა	ფერმათა რიცხვი	დაქირავებულ მუშათა რიცხვი
ჩრდილოეთი	+ 3,9%	+ 0.6%	+40%
სამხრეთი	+14,8%	+18,2%	+50%
დასავლეთი	+49,7%	+53,7%	+66%
მთელი შეერთ. შტატები	+11,2%	+10,9%	+48%

ეს მონაცემებიც გვიჩვენებს, რომ მეპატრონეთა რიცხვის გადიდება, საერთოდ მთელი ქვეყნისთვის, ჩამორჩება სოფ-

ლის მოსახლეობის გადიდებას, ხოლო დაქირავებულ მუშათა რიცხვის გადიდება უსწრებს სოფლის მოსახლეობის რიცხვის გადიდებას. სხვა სიტყვებით: კლებულობს დამოუკიდებელთა პროპორციული რიცხვი, მატულობს დამოკიდებულთა პროპორციული რიცხვი.

უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი განსხვავება დაქირავებულ მუშათა რიცხვის გადიდებას შორის პირველი გამოანგარიშებით (+ 27%) და მეორე გამოანგარიშებით (+ 48%) სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ნაანგარიშევია მხოლოდ პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი დაქირავებული მუშები, ხოლო მეორე შემთხვევაში — დაქირავებული სამუშაო ძალის გამოყენების ყ ო ვ ე ლ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა. სოფლის მეურნეობაში დაქირავებული სამუშაო ძალის ეპიზოდურ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყოველთვის საჭიროა წესად გვქონდეს არ დავკმაყოფილდეთ მუდმივ და დროებით დაქირავებულ მუშათა რიცხვის განსაზღვრით, არამედ, გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად განვსაზღვროთ დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების საერთო ჯამიც.

ყოველ შემთხვევაში, ორივე გაანგარიშება უეჭველად გვიჩვენებს კაპიტალიზმის ზ რ დ ა ს შეერთებული შტატების მიწათმოქმედებაში, დაქირავებული შრომის გამოყენების ზ რ დ ა ს, რომელიც წინ უსწრებს სოფლის მოსახლეობისა და ფერმერთა რიცხვის ზრდას.

6. ყველაზე ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონები

რაკი განვიხილეთ ზოგადი მონაცემები დაქირავებულ შრომაზე, როგორც კაპიტალიზმის ყველაზე პირდაპირ მაჩვენებელზე მიწათმოქმედებაში, შეგვიძლია ახლა გადავიდეთ იმის უფრო დეტალურ განხილვაზე, თუ რა განსაკუთრებული ფ ო რ მ ე ბ ი თ გვევლინება კაპიტალიზმი სახალხო მეურნეობის ამ დარგში.

ჩვენ გავეცანით ფერმათა საშუალო ოდენობის შემცირების ერთ რაიონს, სახელდობრ სამხრეთს, სადაც ეს პროცესი ნიშნავს მონათმფლობელური ლატიფუნდიებიდან წვრილ საკაჭრო მიწათმოქმედებაზე გადასვლას. არის ფერმათა საშუალო ოდენობის შემცირების მეორე რაიონი, სახელდობრ ჩრდილოეთის ნაწილი: ახალი ინგლისი და შუა ატლანტის შტატები. აი მონაცემები ამ რაიონების შესახებ:

	ფერმის (დამუშავებული მიწის) საშუალო ოდენობა აკრობით	
	ახალი ინგლისი	შუა ატლანტის შტატები
1850	66,5	70,8
1860	66,4	70,3
1870	66,4	69,2
1880	63,4	68,0
1890	56,5	67,4
1900	42,4	63,4
1910	38,4	62,6

ფერმის საშუალო ოდენობა ახალ ინგლისში — ყველაზე მცირეა შეერთებული შტატების ყველა რაიონებს შორის. სამხრეთში ეს ოდენობა ორ რაიონში უდრის 42 — 43 აკრს, ხოლო მესამეში, სადაც კიდევ ხდება კოლონიზაცია, ცენტრალურ სამხრეთ-დასავლეთ რაიონში, — 61,8 აკრს, ე. ი. თითქმის იმდენს, რამდენსაც შუა ატლანტის შტატებში. ფერმათა საშუალო ოდენობის შემცირებამ ახალ ინგლისსა და შუა ატლანტის შტატებში, «უფრო ძველი კულტურისა და უფრო მაღალი ეკონომიური განვითარების რაიონებში» (ბ-ნი გიმერი, გვ. 60), იმ რაიონებში, სადაც კოლონიზაცია არ ხდება, აიძულა კიდეც ჩვენი ავტორი, ისე როგორც ძალიან ბევრი სხვა ბურჟუაზიული ეკონომისტი, მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ «კაპიტალისტური მიწათმოქმედება ირღვევა», რომ «წარმოება ნაწილდება და ქუცმაცდება», რომ «აღარაა ისეთი რაიონები, სადაც კოლონიზაციის პროცესი უკვე არ ხდებოდეს, ხოლო მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედება არ იშლებოდეს და არ იდევნებოდეს შრომითი მიწათმოქმედების მიერ».

ბ-ნი გიმერი ამ, ჭეშმარიტების პირდაპირ საწინააღმდეგო, დასკვნებამდე მივიდა, იმიტომ რომ მას დაავიწყდა... «წვრილ-

მანი»: მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პროცესი! ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია. და ვინაიდან მთელი რიგი ბურჟუაზიული ეკონომისტები, თითქმის ყველანი, ახერხებენ აგრეთვე ამ «წვრილმანის» დავიწყებას, როცა ლაპარაკია წვრილ და მსხვილ წარმოებაზე მიწათმოქმედებაში, თუმცა «თეორიაში» ყოველმა მათგანმა ჩინებულად «იცის» და აღიარებს მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პროცესს, ამიტომ საჭიროა ამ საკითხზე განსაკუთრებით ვრცლად შევჩერდეთ. სწორედ ამაშია ერთ-ერთი ძირითადი წყარო ბურჟუაზიული (მათ შორის ნაროდნიკული და ოპორტუნისტული) ეკონომიის ყველა ფათერაკისა წვრილი «შრომითი» მიწათმოქმედების საკითხში. ივიწყებენ იმ «წვრილმანს», რომ მიწათმოქმედების ტექნიკურ თავისებურებათა გამო მისი ინტენსიფიკაციის პროცესი ძალიან ხშირად იწვევს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ოდენობის გადიდებას, წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა და კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ზრდას, მეურნეობის დამუშავებული მიწის საშუალო რაოდენობის შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს პირობებში.

უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ, არის თუ არა ძირითადი განსხვავება მიწათმოქმედების ტექნიკაში, მის საერთო ხასიათსა და ინტენსივობაში, ერთი მხრით, ახალ ინგლისსა და შუა ატლანტის შტატებსა და, მეორე მხრით, დანარჩენ ჩრდილოეთსა და ქვეყნის ყველა დანარჩენ რაიონს შორის.

განსხვავება სამიწათმოქმედო კულტურაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

რ ა ი ო ნ ე ბ ი:	პროცენტი მთელი მოსავლის საერთო ღირებულებაში (1910),—		
	მარცვლოვანი პურეულისა	თივისა და ბალახებისა	ბოსტნეულის, ხილისა და სხვა სპეციალური კულტურებისა
ახალი ინგლისი	7,6	41,9	33,5
შუა ატლანტისა	29,6	31,4	31,8
ცენტრ. ჩრდ.-აღმ.	65,4	16,5	11,0
ცენტრ. ჩრდ.-დას.	75,4	14,6	5,9

განსხვავება სამიწათმოქმედო კულტურის პირობებში — ძირითადია. ორი პირველი რაიონი გვიჩვენებს მაღალ-ინტენსიურ მიწათმოქმედებას, ორი მეორე — ექსტენსიურს. უკანასკნელ ორ რაიონში მარცვლოვანი პურეული იძლევა ჰოსავლის საერთო ღირებულების უდიდეს ნაწილს, პირველ ორ რაიონში — არა მარტო უმცირეს, არამედ ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო ნაწილს (7,6%), ამასთან სპეციალური «სავაჭრო» კულტურები (ბოსტნეული, ხილი და სხვ.) იძლევა მოსავლის ღირებულების უ ფ რ ო მ ე ტ ნაწილს, ვიდრე მარცვლოვანი პურეული. ექსტენსიურმა მიწათმოქმედებამ ადგილი დაუთმო ინტენსიურს. ფართოდ გავრცელდა ბალახის თესვა. ახალ ინგლისში 3,8 მილიონი აკრიდან, რომელიც თივასა და საკვებ ბალახებს იძლევა, 3,3 მილიონი აკრი უჭირავს ნ ა თ ე ს ბალახებს. შუა ატლანტის შტატებში სათანადო ციფრებია: 8,5 და 7,9 მილიონი. პირიქით, ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთ შტატებში (კოლონიზაციისა და ექსტენსიური მიწათმოქმედების რაიონი) 27,4 მილიონი აკრიდან, რომელიც იძლევა თივასა და ბალახებს, 14,5 მილიონი, ე. ი. ნახევარზე მეტი, უჭირავს «ბუნებრივ» მდელოებს და სხვ.

«ინტენსიურ» შტატებში მოსავალი გაცილებით მეტია:

რ ა ი ო ნ ე ბ ი:	მოსავალი ერთი აკრიდან ბუშელობით			
	სიმინდი		ხორბალი	
	1909	1899	1009	1809
ახალი ინგლისი	45,2	39,4	23,5	18,0
შუა ატლანტისა	32,2	34,0	18,6	14,9
ცენტრ. ჩრდ.-აღმ.	38,6	38,3	17,2	12,9
ცენტრ. ჩრდ.-დას.	27,7	31,4	14,8	12,2

იმავე მოვლენას ვამჩნევთ სავაჭრო მეცხოველეობისა და მერძევეობის მიმართ, რაც განსაკუთრებით განვითარებულია ამ რაიონებში:

რაიონები:	მიწველი ძროხების საშუალო რიცხვი 1 ფერმაზე	რძის საშუალო წარმოება (გალონები) ერთ ძროხაზე	
	(1900)	*1909*	*1899*
ახალი ინგლისი	5,8	476	548
შუა ატლანტისა	6,1	490	514
ცენტრ. ჩრდ.-აღმ.	4,0	410	487
ცენტრ. ჩრდ.-დას.	4,9	325	371
სამხრეთი (3 რაიონი)	1,9 – 3,1	232—286	290—395
დასავლეთი (2 რაიონი)	4,7—5,1	339 – 475	334—470
საშუალო შეერთებული შტატებისათვის	3,8	362	424

აქედან ჩანს, რომ «ინტენსიურ» შტატებში ჩვენ ვამჩნევთ გაცილებით უფრო მსხვილ მერძევეობას, ვიდრე ყველა დანარჩენში. დამუშავებული მიწის რაოდენობის მხრივ ყველაზე წვრილ ფერმათა რაიონები რძის ყველაზე მსხვილ მეურნეობათა რაიონებია. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მერძევეობა, როგორც ცნობილია, ყველაზე სწრაფად ვითარდება ქალაქის საგარეუბნო ადგილებში და განსაკუთრებით დიდად განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში (ან რაიონებში). დანიის, გერმანიის, შვეიცარიის სტატისტიკა, რომელზედაც ჩვენ სხვა ადგილას* ვჩერდებით, გვიჩვენებს აგრეთვე მეწველი პირუტყვის მზარდ კონცენტრაციას.

«ინტენსიურ» შტატებში, როგორც ვნახეთ, მთელი მოსავლის საერთო ღირებულებაში გაცილებით მეტ წილს იძლევა თივა და ბალახები, ვიდრე მარცვლოვანი პურეული. და მეცხოველეობის განვითარება აქ საგრძნობწილად ხდება ნაყიდი საკვების საშუალებით. აი მონაცემები ამის შესახებ 1909 წლისათვის:

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 256 — 277 და ტომი 13, გვ. 205 — 263. რედ.

რ ა ი ო ნ ე ბ ი:	ჯამი (მილიონ დოლარობით) შემოსავლისა საკვების გაყიდვიდან	გასავლისა საკვების საყიდლად	შემოსავლის გადამეტება გასავალზე (+) ან პირიქით (—)
ახალი ინგლისი	+ 4,3	—34,6	— 30,3
შუა ატლანტისა	+ 21,6	—54,7	— 33,1
ცენტრ. ჩრდ.-ალმ.	+ 195,6	—40,6	+ 155,0
ცენტრ. ჩრდ.-დას.	+ 174,4	—76,2	+ 98,2

ჩრდილოეთის ექსტენსიური შტატები საკვებს ყიდიან. ინტენსიური შტატები ყიდულობენ მას. გასაგებია, რომ საკვების ყიდვისას შესაძლებელია დ ი დ ი ოდენობის და მაღალ-კაპიტალისტური ხასიათის მეურნეობა მიწის წ ვ რ ი ლ ნაკვეთზე.

შევადაროთ ჩრდილოეთის ორი ინტენსიური რაიონი, ახალი ინგლისი და შუა ატლანტის შტატები, ჩრდილოეთის ყველაზე ექსტენსიურ რაიონს, ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთის რაიონს:

რ ა ი ო ნ ე ბ ი:	დამუშავებული მიწის რაოდენობა აკრობით	მთელი პირუტყვის ღირებულება (მილიონ დოლარობით)	შემოსავალი საკვების გაყიდვიდან (მილიონ დოლარობით)	გასავალი საკვების საყიდლად (მილიონ დოლარობით)
ახალი ინგლისი + შუა ატლანტის შტატები	36,5	447	26	89
ცენტრ. ჩრდ.-დას. შტატები	164,3	1 552	174	76

ჩვენ ვხედავთ, რომ ინტენსიურ შტატებში მეტი პირუტყვი მოდის 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე (447 : 36 = 12 დოლარი 1 აკრზე), ვიდრე ექსტენსიურ შტატებში (1 552 : 164 = 9 დოლარი). მიწის ფართობის ერთეულში მეტი კაპიტალი ბანდდება პირუტყვის სახით. და საკვებით ვაჭრობის საერთო ბრუნვა (ყიდვა + გაყიდვა) შეუდარებლად უფრო მაღალია, ფართობის ერთეულზე გაანგარიშების მიხედვით, ინტენსიურ შტატებში (26 + 89 = 115 მილ. დოლ. 36 მილ. აკრზე), ვიდრე

ექსტენსიურ შტატებში (174 + 76 = 250 მილ. დოლ. 164 მილ. აკრზე). ცხადია, რომ მიწათმოქმედებას უფრო სავაჭრო ხასიათი აქვს ინტენსიურ შტატებში, ვიდრე ექსტენსიურ შტატებში.

<მონაცემები სასუქზე გაწეული ხარჯებისა და მანქანა-იარაღების ღირებულების შესახებ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის ხარისხის ყველაზე ზუსტ სტატისტიკურ გამოხატულებას წარმოადგენს.)აი ეს მონაცემები:

	რაიონები:	იმ ფერმათა პროცენტი, რომელნიც სასუქის ხარჯებს ეწევიან	1 ფერმის საშუალო ხარჯი (დოლარობით)	1 აკრი დამუშავებული მიწის საშუალო ხარჯი (დოლარობით) 1909	1899	დამუშავებული მიწის საშუალო რაოდენობა აკრობით 1 ფერმაზე (1909)
ჩრდილოეთი	ახალი ინგლისი	60,9	82	1,30	0,53	38,4
	შუა ატლანტისა	57,1	68	0,62	0,37	62,6
	ცენტრ. ჩრდ.-აღმ.	19,6	37	0,09	0,07	79,2
	ცენტრ. ჩრდ.-დას.	2,1	41	0,01	0,01	148,0
სამხრ.	სამხრ. ატლანტისა	69,2	77	1,23	0,49	43,6
	ცენტრ. სამხრ.-აღმ.	33,8	37	0,29	0,13	42,2
	ცენტრ. სამხრ.-დას.	6,4	53	0,06	0,03	61,8
დას.	მთიანი	1,3	67	0,01	0,01	86,8
	წყნარი ოკეანისა	6,4	189	0,10	0,05	116,1
	შეერთ. შტატები	28,7	63	0,24	0,13	75,2

აქ სავსებით ნათლად აშკარავდება განსხვავება ჩრდილოეთის ექსტენსიურ რაიონებსა, — სადაც ნაყიდი სასუქის მომხმარებელი ფერმების პროცენტი სრულიად უმნიშვნელოა (2 — 19%) და სასუქზე გაწეული ხარჯები 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე გაანგარიშებით სრულიად უმნიშვნელოა (0,01 — 0,09 დოლარი), — და ინტენსიურ შტატებს შორის, სადაც ფერმების უმრავლესობა (57—60%) ხმარობს ნაყიდ სასუქს და მისი ხარჯი მნიშვნელოვან თანხას აღწევს. მაგალითად, ახალ ინგლისში ეს ხარჯი აღწევს 1,30 დოლარს აკრზე — რაც მაქსიმალური ციფრია ყველა რაიონისათვის

(კვლავ ფერმის ყველაზე მცირე ოდენობა მიწის ფართობით და ყველაზე დიდი ხარჯი სასუქისათვის!) და აღემატება ციფრს სამხრეთის ერთი რაიონისათვის (სამხრ. ატლანტის შტატები). უნდა აღინიშნოს, რომ ბამბის კულტურა სამხრეთში, სადაც, როგორც ვიცით, ყველაზე ძლიერად არის გამოყენებული მოზიარე ზანგების შრომა, მოითხოვს განსაკუთრებით ბევრ ხელოვნურ სასუქს.

წყნარი ოკეანის შტატებში ჩვენ ვხედავთ სასუქის მომხმარებელი ფერმების ძალიან დაბალ პროცენტს (6,4%) და მაქსიმალურად მაღალ ხარჯს საშუალოდ 1 ფერმაზე გაანგარიშებით (189 დოლარი), რასაკვირველია, მხოლოდ სასუქის გამომყენებელ ფერმებს თუ ვიანგარიშებთ. აქ ჩვენ ვხედავთ მეორე მაგალითს: მ ს ხ ვ ი ლ ი და კაპიტალისტური მიწათმოქმედების ზრდას მეურნეობის მიწის ფართობის შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს პირობებში. წყნარი ოკეანის სამი შტატიდან ორში, ვაშინგტონსა და ორეგონში, საერთოდ სასუქის გამოყენება სრულიად უმნიშვნელოა, სულ 0,01 დოლარი 1 აკრზე. მხოლოდ მესამე შტატში, კალიფორნიაში, ეს ციფრი შედარებით მაღალია: 0,08 — 1899 წ. და 0,19 — 1909 წელს. ამ შტატში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ხილის წარმოება, რომელიც მეტად სწრაფად იზრდება წმინდა კაპიტალისტური ფორმით და რომელიც 1909 წლისთვის აქ იძლეოდა მთელი მოსავლის ღირებულების 33,1%-ს წინააღმდეგ მარცვლოვანი პურეულის 18,3%-ისა, თივისა და ბალახების 27,6%-ისა. ხილის წარმოებაში ტიპიურია ფერმა, სადაც მიწის ფართობი ს ა შ უ ა ლ ო ზ ე დ ა ბ ა ლ ი ა და სასუქებისა და დაქირავებული შრომის გამოყენება საშუალოზე გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი. ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა შევჩერდეთ ამგვარ ურთიერთობაზე, რომელიც ტიპიურია იმ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, სადაც ინტენსიური მიწათმოქმედებაა, და რომელსაც ყველაზე უფრო უგულებელყოფენ სტატისტიკოსები და ეკონომისტები.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩრდილოეთის «ინტენსიურ» შტატებს. ახალ ინგლისში არა მარტო სასუქის გამოყენებაა

ყველაზე მაღალი — 1,30 დოლარი აკრზე — ფერმის მიწის ფართობის ყველაზე უფრო ნაკლები ოდენობის (38,4 აკრი) პირობებში, არამედ სასუქზე გაწეული ხარჯებიც განსაკუთრებით ჩქარა იზრდება. 10 წლის განმავლობაში, 1899-დან 1909 წლამდე, ეს ხარჯები გაიზარდა 0,53 დოლარიდან 1,30 დოლარამდე აკრზე, ე. ი. გადიდდა ორნახევარჯერ. მაშასადამე, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, მისი ტექნიკური პროგრესი, კულტურის ამაღლება აქ ხდება ძალიან სწრაფად. ამ ფაქტის მნიშვნელობა რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, შევადაროთ ერთმანეთს ჩრდილოეთის ყველაზე უფრო ინტენსიური რაიონი, ახალი ინგლისი, და ყველაზე უფრო ექსტენსიური, ცენტრალური ჩრდილო-დასავლეთის რაიონი. ამ უკანასკნელმა რაიონმა თითქმის არ იცის ხელოვნური სასუქი (ფერმათა 2,1% და 0,01 დოლარი აკრზე); ფერმების ოდენობა აქ ყველაზე დიდია ამერიკის ყველა რაიონთან შედარებით (148,0 აკრი) და ის ყველაზე სწრაფად იზრდება. ჩვეულებრივ იღებენ სწორედ ამ რაიონს — და ბ-ნი გიმერიც ამას აკეთებს — როგორც კაპიტალიზმის ნიმუშს შეერთებული შტატების მიწათმოქმედებაში. ეს ჩვეულებრივი აზრი სწორი არ არის, როგორც ამას უფრო დაწვრილებით ცხადვყოფთ ქვემოთ. იგი ემყარება ექსტენსიური მიწათმოქმედების ყველაზე უხეში, პრიმიტიული და ტექნიკურად პროგრესული ინტენსიური ფორმების ერთმანეთში აღრევას. ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთის რაიონში ფერმის ოდენობა თითქმის ოთხჯერ მეტია, ვიდრე ახალ ინგლისში (148,0 აკრი წინააღმდეგ 38,4-ისა), ხოლო სასუქზე გაწეული ხარჯების სიდიდე, საშუალოდ სასუქის გამომყენებელ თვითეულ ფერმაზე გაანგარიშებით, ორჯერ ნაკლებია: 41 დოლარი 82-ის წინააღმდეგ.

მაშასადამე, ცოცხალ სინამდვილეში არის შემთხვევები, როცა ფერმის მიწის რაოდენობის უდიდესი შ ე მ ც ი რ ე ბ ა დაკავშირებულია ხელოვნურ სასუქზე გაწეული ხარჯების უდიდეს გ ა დ ი დ ე ბ ა ს თ ა ნ, ასე რომ «წვრილი» წარმოება — თუ, რუტინის თანახმად, მას კვლავ წვრილად ჩავთვლით მიწის ფართობის სიდიდით — «მსხვილი» აღმოჩნდება მიწაში

დაბანდებული კაპიტალის რაოდენობის მიხედვით. ასეთი შემთხვევები ერთეული კი არა, ტიპიურია ყოველ ქვეყნისთვის, სადაც კი ხდება ექსტენსიური მიწათმოქმედების შეცვლა ინტენსიურით. ხოლო ასეთია ყველა კაპიტალისტური ქვეყანა, და მიწათმოქმედების ამ ტიპიური, არსებითი, ძირითადი თავისებურების უგულებელყოფა ბადებს წვრილი მიწათმოქმედების იმ თაყვანისმცემელთა მოარულ შეცდომებს, რომელნიც მხოლოდ მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით მსჯელობენ.

7. მანქანები და დაქირავებული შრომა მიწათმოქმედებაში

ავიღოთ მიწაში კაპიტალის დაბანდების მეორე, პირველისაგან ტექნიკურად განსხვავებული, სახე, სახელდობრ: იარაღებისა და მანქანების გამოყენება. მთელი ევროპის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა უდავოდ მოწმობს, რომ რაც უფრო დიდია მეურნეობა მიწის რაოდენობის მხრივ, მეურნეობათა მით უფრო მეტი პროცენტი იყენებს ყველა სახის მანქანებს და მანქანათა მით უფრო მეტი რიცხვია გამოყენებული. მსხვილ მეურნეობათა უპირატესობა ამ, მეტად მნიშვნელოვანი, მხრივ სავსებით და უცილობლადაა დამტკიცებული. ამერიკული სტატისტიკა ამ პუნქტშიც რამდენადმე ორიგინალურია: არც იარაღები, არც სასოფლო-სამეურნეო მანქანები ცალკე არ აღირიცხება, არამედ განისაზღვრება მხოლოდ მათი საერთო ღირებულება. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ამგვარი მონაცემები უფრო ნაკლებად ზუსტია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მაგრამ სამაგიეროდ საერთოდ და მთლიანად ისინი ნებას გვაძლევენ მოვახდინოთ ერთგვარი შედარებანი რაიონებს შორის და მეურნეობათა ჯგუფებს შორის, — შედარებანი, რაც სხვაგვარი მონაცემების დროს შეუძლებელია.

აი რაიონობრივი მონაცემები სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების შესახებ:

	რაიონები:	მანქანა-იარაღების ღირებულება (1909 წ.) დოლარობით	
		საშუალოდ 1 ფეხაზე	საშუალოდ მთელი მიწის 1 აკრზე ფერმებში
ჩრდილოეთი	ახალი ინგლისი	269	2,58
	შუა ატლანტისა	358	3,88
	ცენტრ. ჩრდ.-აღმ.	239	2,28
	ცენტრ. ჩრდ.-დას.	332	1,59
	სამხრეთი (სამი რაიონი)	72—88—127	0,71—0,92—0,95
	დასავლეთი (ორი რაიონი)	209 350	0,83 1,29
	შეერთ. შტატები	199	1,44

ყოფილ მონათმფლობელურ სამხრეთს, მოზიარობის რაიონს, თურმე, ყველაზე დაბალი ადგილი უკავია მანქანების გამოყენების მხრივ. 1 აკრ მიწაზე აქ მოდის მანქანა-იარაღების სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ — სხვადასხვა რაიონის მიხედვით — ნაკლები ღირებულება, ვიდრე ჩრდილოეთის ინტენსიურ შტატებში. ამ შტატებს პირველი ადგილი უჭირავთ ყველა დანარჩენთა შორის და, კერძოდ, .ისინი ძალიან შორს იტოვებენ უკან ყველაზე სამიწათმოქმედო რაიონს, ამერიკის ბელელს, ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთის შტატებს, რომელთაც ხშირად ზერელე დამკვირვებლები ჯერ კიდევ განიხილავენ როგორც მანქანების გამოყენებისა და კაპიტალიზმის სანიმუშო რაიონს.

' უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკელ სტატისტიკოსთა ხერხი — განსაზღვრონ მანქანების, ისე როგორც მიწის, პირუტყვის, ნაგებობათა და სხვ. ღირებულება ფერმების მ თ ე ლ ი მიწის და არა მხოლოდ დამუშავებული მიწის 1 აკრის მიხედვით, — ამცირებს ჩრდილოეთის «ინტენსიური» შტატების უპირატესობას და საზოგადოდ იგი არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. დამუშავებული მიწის პროცენტის მიხედვით რაიონებს შორის არსებული განსხვავება ძალიან დიდია: დასავლეთში ეს პროცენტი კლებულობს მთიანი შტატებისათვის 26,7%-დე, ჩრდილოეთში ის ადის ცენტრალური ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატებისათვის 75,4%-დე. ეკონომიური სტატისტიკისათვის,

უეჭველია, უფრო მნიშვნელოვანია დამუშავებული მიწა და არა მიწის მთელი რაოდენობა. ახალ ინგლისში ფერმათა დამუშავებული მიწის რაოდენობა და მისი პროცენტი ძალიან კლებულობს, განსაკუთრებით 1880 წლიდან, ალბათ, დასავლეთის თავისუფალი (მიწის რენტისაგან, ბატონ მიწათმფლობელთა ხარკისაგან თავისუფალი) მიწების კონკურენციის გავლენით. ამავე დროს კი ამ რაიონში განსაკუთრებით განვითარებულია მანქანების გამოყენება, განსაკუთრებით მაღალია მანქანების ღირებულება 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე. 1910 წელს იგი აქ შეადგენდა 7 დოლარს აკრზე, შუა ატლანტის შტატებში — დაახლოებით 5½ დოლარს, დანარჩენ რაიონებში — არა უმეტეს 2 — 3 დოლარს.

მიწის რაოდენობის მხრივ ყველაზე წვრილი ფერმების რაიონი ისევ გამოდის მანქანების სახით მიწაში კაპიტალის ყველაზე უფრო მსხვილ დაბანდებათა რაიონად.

თუ ჩვენ ჩრდილოეთის «ინტენსიური» რაიონებიდან შუა ატლანტის შტატებს შევადარებთ ჩრდილოეთის ყველაზე ექსტენსიურ, ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთის რაიონს, დავინახავთ, რომ დამუშავებული მიწის იმ რაოდენობის მიხედვით, რაც 1 ფერმაზე მოდის, პირველი რაიონი ხასიათდება ორჯერ და უფრო მეტად «წვრილი» წარმოებით — 62,6 აკრი 148,0-ის წინააღმდეგ, — ხოლო გამოყენებული მანქანების ღირებულების მიხედვით ის აღემატება მეორე რაიონს — 358 დოლარი ფერმაზე წინააღმდეგ 332-ისა. წვრილი ფერმები უფრო მსხვილი აღმოჩნდნენ მანქანების გამოყენების ოდენობით.

ჩვენ დაგვრჩენია კიდევ მიწათმოქმედების ინტენსიური ხასიათის მონაცემები შევადაროთ დაქირავებული შრომის გამოყენების მონაცემებს. ზემოთ, მე-5 პარაგრაფში, ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ეს უკანასკნელი მონაცემები შემოკლებული ფორმით. ახლა ჩვენ ისინი უნდა განვიხილოთ უფრო დეტალურად რაიონების მიხედვით.

	რაიონები:	მუშების დაქირავებულ ფერმათა ცენტი 1909 წ.	ერთი (დაქირავებული) ფერმის საშუალო ხარჯი მუშების დაქირავებულ (დროებითი)	დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯი 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე გაანგარიშებით 1909	1899	ამ ხარჯის გადიდება 1899 წლამდე %-ით
ჩრდილოეთი	ახალი ინგლისი	66,0	277	4,76	2,55	+86%
	შუა ატლანტ.	65,8	253	2,66	1,64	+62%
	ცენტრ. ჩრდ.-აღმ.	52,7	199	1,33	0,78	+71%
	ცენტრ. ჩრდ.-დას.	51,0	240	0,83	0,56	+48%
სამხრ.	სამხრ. ატლანტ.	42,0	142	1,37	0,80	+71%
	ცენტრ. სამხრ.-აღმ.	31,6	107	0,80	0,49	+63%
	ცენტრ. სამხრ.-დას.	35,6	178	1,03	0,75	+37%
დას.	მთიანი	46,8	547	2,95	2,42	+22%
	წყნარი ოკეან.	58,0	694	3,47	1,92	+80%
	მთელი შეერთ. შტატები	45,9	223	1,36	0,86	+58%

აქედან ჩანს, ჯერ-ერთი, რომ ჩრდილოეთის ინტენსიური შტატები უთუოდ და ყოველმხრივ განსხვავდებიან კაპიტალიზმის უფრო მაღალი განვითარებით მიწათმოქმედებაში, ვიდრე ექსტენსიური შტატები; მეორე, რომ კაპიტალიზმი პირველ რაიონებში ვითარდება უფრო ჩქარა, ვიდრე ექსტენსიურ შტატებში; მესამე, რომ ყველაზე წვრილი ფერმების რაიონი, ახალი ინგლისი, ქვეყნის ყველა დანარჩენ რაიონზე მაღლა დგას როგორც მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების უდიდესი ხარისხით, ისე მისი განვითარების უდიდესი სისწრაფით. დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების ზრდა, 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე გაანგარიშებით, აქ შეადგენს 86%-ს, და წყნარი ოკეანის შტატებს ამ მხრივ მეორე ადგილი უჭირავთ. წყნარი ოკეანის შტატებს შორის ამ მხრივაც განირჩევა კალიფორნია, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, სწრაფად იზრდება ხილის «წვრილი» კაპიტალისტური კულტურა.

ჩვეულებრივ ამერიკის მიწათმოქმედების «სანიმუშო» კაპიტალისტურ რაიონად თვლიან ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთის შტატებს, სადაც ყველაზე დიდია ფერმათა ოდენობა

(საშუალოდ 148,0 აკრი 1910 წ. მარტო დამუშავებული მიწის რაოდენობის მიხედვით) და სადაც ეს ოდენობა ყველაზე სწრაფად და ყველაზე უფრო განუხრელად იზრდება 1850 წლიდან. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ეს აზრი უაღრესად მცდარია. დაქირავებული შრომის გამოყენების სიმაღლე, რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის განვითარების ყველაზე უდავო და ყველაზე პირდაპირი მაჩვენებელია. და ეს მაჩვენებელი გვეუბნება, რომ ამერიკის «ბეღელი», რაიონი განთქმული «ხორბლის ფაბრიკებისა», რომლებიც განსაკუთრებით გვხვდება თვალში, უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ კაპიტალისტურია, ვიდრე სამრეწველო და ინტენსიურ-სამიწათმოქმედო რაიონი, სადაც აგრიკულტურული პროგრესი გამოიხატება არა მიწის დამუშავებული ფართობის გადიდებით, არამედ მიწაში დაბანდებული კაპიტალის გ ა დ ი დ ე ბ ი თ ამ ფართობის შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს პირობებში.

სავსებით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, თუ, მანქანების გამოყენებისას, როგორ შეიძლება «შავი მიწის», ან საზოგადოდ მოუხვნელი ყამირი მიწების დამუშავების გაფართოება, ძალიან ჩქარა წავიდეს წინ, მიუხედავად იმისა, რომ დაქირავებული შრომა ძალიან დიდად არ იზრდებოდეს. ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთის შტატებში დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯი, 1 აკრ დამუშავებულ მიწაზე გაანგარიშებით, შეადგენდა 1899 წ. 0,56 დოლარს და 1909 წ. — 0,83 დოლარს. გადიდებულია მხოლოდ 48%-ით. ახალ ინგლისში, — სადაც დამუშავებული მიწის რაოდენობა კლებულობს და არა მატულობს, ფერმის საშუალო ოდენობა კლებულობს და არა მატულობს, — დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯი არათუ გაცილებით უფრო მაღალი იყო როგორც 1899 წ. (2,55 დოლარი აკრზე), ისე 1909 წ. (4,76 დოლარი), არამედ ამ ხნის განმავლობაში შეუდარებლად უფრო ძლიერადაც გაიზარდა (+86%).

საშუალო ფერმა ახალ ინგლისში ო თ ხ ჯ ე რ უ ფ რ ო წ ვ რ ი ლ ი ა, ვიდრე ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთის შტატებში (38,4 აკრი წინააღმდეგ 148,0-ისა), ხოლო დაქირა-

ვებულ შრომაზე გაწეული საშუალო ხარჯი აქ მეტია, ვიდრე იქ: 277 დოლარი წინააღმდეგ 240-ისა. მაშასადამე, ფერმის ოდენობის შემცირება ამგვარ შემთხვევებში ნიშნავს მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის ოდენობის გადიდებას და მისი კაპიტალისტური ხასიათის გაძლიერებას, კაპიტალიზმისა და კაპიტალისტური წარმოების ზრდას.

თუ ცენტრალური ჩრდილო-დასავლეთის შტატები, რომელნიც შეერთებული შტატების დამუშავებული მიწის მთელი ფართობის 34,3%-ს იძლევიან, განსაკუთრებით დამახასიათებელია, როგორც «ექსტენსიური» კაპიტალისტური მიწათმოქმედების ყველაზე ტიპიური რაიონი, სამაგიეროდ მთიანი შტატები გვიჩვენებენ ანალოგიური ექსტენსიური მეურნეობის ნიმუშს ყველაზე უფრო სწრაფი კოლონიზაციის პირობებში. დაქირავებული შრომის გამოყენება აქ უფრო სუსტია დამქირავებელი ფერმების პროცენტის მიხედვით, მაგრამ გაცილებით უფრო ძლიერია შრომაზე გაწეული ხარჯების საშუალო სიდიდით, ვიდრე ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთის რაიონში. მაგრამ დაქირავებული შრომის ზრდა აქ განირჩევა უდიდესი სინელით (სულ + 22%) ამერიკის ყველა რაიონთაგან. ალბათ, შემდეგმა გარემოებებმა განაპირობეს ასეთი ტიპის ევოლუცია. ამ რაიონში მეტად ძლიერია კოლონიზაცია და ჰომსტედების გაცემა. დამუშავებული მიწის რაოდენობა გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა რაიონში: 89%-ით 1900-დან 1910 წლამდე. ბუნებრივია, კოლონისტები, ჰომსტედების მფლობელნი, — ყოველ შემთხვევაში, თავიანთი მეურნეობის დაწყებისას, — ნაკლები ოდენობით იყენებენ დაქირავებულ შრომას. მეორე მხრივ, დაქირავებული შრომის გამოყენების ძალიან დიდი ოდენობით უნდა განსხვავდებოდეს აქ, ჯერ-ერთი, ზოგიერთი ლატიფუნდია; ისინი განსაკუთრებით ბევრია ამ რაიონში, ისე როგორც დასავლეთში საზოგადოდ; — მეორე, სპეციალური და მაღალ-კაპიტალისტური კულტურების მქონე მეურნეობანი. მაგალითად, ამ რაიონის ზოგიერთ შტატში ძალიან მაღალია მთელი იმ მოსავლის ღირებულების პროცენტი, რომელსაც შეადგენს ხილი (არი-

ზონა — 6%, კოლორადო — 10%), ბოსტნეული (კოლორადო — 11,9%, ნევადა — 11,2%) და სხვ.

დასკვნის გამოყვანისას უნდა ვთქვათ: ბ-ნ გიმერის მტკიცება, რომ «არ არის ისეთი რაიონები, სადაც კოლონიზაციის პროცესი უკვე არ ხდებოდეს, ხოლო მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედება არ იშლებოდეს და არ იდევნებოდეს შრომითი მიწათმოქმედების მიერ», — წარმოადგენს ჭეშმარიტების აბუჩად აგდებას, სინამდვილის პირდაპირ წინააღმდეგობას. ახალი ინგლისის რაიონი, სადაც არავითარი კოლონიზაცია არ ხდება, სადაც ფერმები ყველაზე უფრო წვრილია, სადაც მიწათმოქმედება ყველაზე უფრო ინტენსიურია, გვიჩვენებს კაპიტალიზმის უდიდეს სიმაღლეს მიწათმოქმედებაში და კაპიტალიზმის განვითარების უდიდეს სისწრაფეს. ამ დასკვნას უაღრესად არსებითი და ძირითადი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესის გასაგებად, ვინაიდან მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია და მასთან დაკავშირებული მიწის საშუალო რაოდენობის შემცირება ფერმებში არის არა შემთხვევითი, არა ადგილობრივი, არა ეპიზოდური, არამედ ყველა ცივილიზებული ქვეყნის საერთო მოვლენა. უამრავი შეცდომა, რომელსაც სჩადიან ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული ეკონომისტები მიწათმოქმედების ევოლუციის მონაცემთა გამო, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, დანიაში, გერმანიაში, იმით აიხსნება, რომ ეს საერთო მოვლენა საკმარისად შეცნობილი, გაგებული, შეთვისებული და მოფიქრებული არ არის.

8. წვრილ მეურნეობათა განდევნა მსხვილ მეურნეობათა მიერ. დამუშავებული მიწის რაოდენობა

ჩვენ განვიხილეთ მთავარი ფორმები, რომელთაც ღებულობს კაპიტალიზმის განვითარების პროცესი მიწათმოქმედებაში, და დავრწმუნდით მათ მეტისმეტ მრავალგვარობაში. მონათმფლობელური ლატიფუნდიების დაშლა სამხრეთში,

მსხვილი ექსტენსიური მეურნეობის ზრდა ექსტენსიურ ჩრდილოეთში, კაპიტალიზმის განვითარების უდიდესი სისწრაფე ყველაზე უფრო წვრილი, საშუალოდ, ფერმების არსებობის პირობებში ინტენსიურ ჩრდილოეთში — ასეთია ყველაზე არსებითი ფორმები ამ ფორმათაგან. ფაქტები უდავოდ გვიჩვენებს, რომ ხან ფერმების ოდენობის გადიდება, ხან მათი რიცხვის გადიდება კაპიტალიზმის ზრდას მოასწავებს. მთელი ამ ქვეყნისთვის საერთო მონაცემები ფერმათა საშუალო ოდენობის შესახებ — არაფერს არ ლაპარაკობს, საქმის ასეთი მდგომარეობის გამო.

როგორიღაა სხვადასხვა ადგილობრივ და აგრიკულტურულ თავისებურებათა საერთო შედეგი? მონაცემებმა დაქირავებული შრომის შესახებ დაგვანახვა ეს საერთო შედეგი. დაქირავებული შრომის მზარდი გამოყენება, როგორც საერთო პროცესი, გასდევს ყ ვ ე ლ ა ამ თავისებურებას. მაგრამ ცივილიზებული ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა, რომელიც ნებსითსა თუ უნებლიეთს ხარკს უხდის გაბატონებულ ბურჟუაზიულ შეხედულებებსა და ცრურწმენებს, სრულიად არ იძლევა სისტემატურ ცნობებს დაქირავებულ შრომაზე, ანდა იძლევა მათ მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში (გერმანიის 1907 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა), ასე რომ წარსულთან შედარება შეუძლებელია. ამერიკულ სტატისტიკაში, როგორც უფრო დაწვრილებით ვიტყვით თავის ადგილას, 1900-დან 1910 წლამდე დიდი გაუარესება მოხდა დაქირავებული შრომის მონაცემთა შეჯამებასა და დამუშავებაში.

შეჯამებული მონაცემების ჩვეულებრივ, ყველაზე გავრცელებულ წესად ამერიკაშიც და სხვა ქვეყნების უმრავლესობაშიც რჩება წვრილ და მსხვილ მეურნეობათა შედარება მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით. ჩვენც სწორედ ამ მონაცემთა გაცნობაზე გადავალთ.

მიწის რაოდენობის მიხედვით ფერმების ჯგუფებად დაყოფის დროს ამერიკული სტატისტიკა იღებს მთელი მიწის რაოდენობას და არა მარტო დამუშავებულ მიწას, რაც, რა თქმა

უნდა, უფრო სწორი იქნებოდა და რასაც გერმანული სტა-ტისტიკა შვრება. 1910 წლის აღწერის დამუშავების დროს შეერთებულ შტატებში მიღებული შ ვ ი დ ი ჯგუფის (20 აკ-რამდე, 20 — 49, 50 — 99, 100 — 174, 175 — 499, 500 — 999, 1 000 და მეტი) შედგენის რაციონალური საფუძველი აღნიშ-ნული არ არის. ეტყობა, აქ ყველაზე დიდ როლს თამაშობს სტატისტიკური რუტინა. ჩვენ 100 — 174-აკრიან ჯგუფებს საშუალოდ ჩავთვლით, რადგან აქ უმეტეს ნაწილად შედის ჰომსტედები (მათი სახაზინო ნორმა = 160 აკრს) და რადგანაც მეტწილად მიწათმფლობელობის სწორედ ასეთი ოდენობა უზრუნველყოფს მიწათმოქმედის ყველაზე მეტ «დამოუკი-დებლობას» დაქირავებული შრომის უმცირესი გამოყენების პირობებში. უფრო მაღალ ჯგუფებს ჩვენ ვუწოდებთ მსხვილს ანუ კაპიტალისტურს, რადგან აქ, საერთო წესისამებრ, დაქი-რავებული შრომის გამოუყენებლად ვერ სძლებენ. ფერმებს 1 000 და მეტი აკრი მიწით, — რომლის $^{3}/_{5}$ ჩრდილოეთში, $^{9}/_{10}$ სამხრეთში და $^{2}/_{3}$ დასავლეთში დაუმუშავებელ მიწას ეკუთვნის, — ჩვენ ლატიფუნდიებს ვუწოდებთ. ფერმებს, რო-მელთაც 100 აკრზე ნაკლები აქვთ, ჩვენ წვრილს ვუწოდებთ; სამეურნეო დამოუკიდებლობაზე რამდენადმე შეგვიძლია ვიმს-ჯელოთ იმ ფაქტის მიხედვით, რომ უცხენოთა პროცენტი აქ სამ ჯგუფში, ქვევიდან დაწყებული, შეადგენს 51 — 43 — 23%-ს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დახასიათება არ უნდა გავიგოთ აბსოლუტური აზრით და არ უნდა გავავრცე-ლოთ, საგანგებო ანალიზის მოუხდენლად, თვითეულ რაიონზე ან განსაკუთრებული პირობებით განსხვავებულ ადგილებზე ცალ-ცალკე.

ყველა შვიდი ჯგუფის მონაცემების მოყვანა შეერთებული შტატების ყველა მთავარი რაიონის მიხედვით ჩვენ აქ არ შეგვიძლია, ვინაიდან ეს უზომოდ დატვირთავდა გადმოცემას დიდძალი ციფრებით. ამიტომ ჩვენ დავკმაყოფილდებით ჩრდილოეთსა, სამხრეთსა და დასავლეთს შორის არსებულ ძირითად განსხვავებათა მოკლე აღნიშვნით, სრულ მონაცემებს კი მოვიყვანთ მხოლოდ საერთოდ შეერთებული შტატების

შესახებ. გავიხსენოთ, რომ ჩრდილოეთში არის მთელი დამუშავებული მიწის $^{3}/_{5}$ (60,6%), სამხრეთში — მესამედზე ნაკლები (31,5%), ხოლო დასავლეთში — $^{1}/_{12}$-ზე ნაკლები (7,9%).

ყველაზე მეტად თვალში გვეცემა ის განსხვავება სამ მთავარ რაიონს შორის, რომ კაპიტალისტურ ჩრდილოეთში ყველაზე ნ ა კ ლ ე ბ ი ა ლატიფუნდიები, ამასთან იზრდება მათი რიცხვიც, მათში მიწის მთელი რაოდენობაც და დამუშავებული მიწის რაოდენობაც. 1910 წ. ჩრდილოეთში 1 000 და მეტი აკრი მიწა ჰქონდა ფერმათა 0,5%-ს; მათ ხელში იყო მთელი მიწის 6,9% და დამუშავებული მიწის 4,1%. სამხრეთში ასეთი ფერმებია 0,7%, მათ ხელშია მთელი მიწის 23,9%, დამუშავებული მიწის 4,8%. დასავლეთში ასეთი ფერმებია 3,9%, მათ აქვთ მთელი მიწის 48,3%, დამუშავებული მიწის 32,3%. ეს უკვე ჩვენთვის ნაცნობი სურათია: სამხრეთის მონათმფლობელური ლატიფუნდიები და დასავლეთის კიდევ უფრო ვრცელი ლატიფუნდიები, რომელნიც წარმოადგენენ ნაწილობრივ ყველაზე ექსტენსიური მეცხოველეობის საფუძველს, ნაწილობრივ — «კოლონიზატორების» მიერ დაპყრობილ ოლქებს, მიწის სათადარიგო სივრცენი, რომელთაც ხელახლა ყიდიან ან (უფრო იშვიათად) იჯარით აძლევენ «შორეული დასავლეთის» დამმუშავებელ ნამდვილ მიწათმოქმედთ.

ამერიკის მაგალითი თვალსაჩინოდ გვეუბნება, თუ რა გაუფრთხილებლობა იქნებოდა ლატიფუნდიების აღრევა მსხვილ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში, თუ რა ხშირად წარმოადგენენ ლატიფუნდიები წინაკაპიტალისტურ — მონურ, ფეოდალურ ან პატრიარქალურ ურთიერთობათა ნაშთს. სამხრეთშიც და დასავლეთშიც ხდება ლატიფუნდიების დაქუცმაცება, დაშლა. ჩრდილოეთში ფერმების მიწის მთელი რაოდენობა გაიზარდა 30,7 მილიონი აკრით; ამ ჯამიდან ლატიფუნდიებზე მოდის სულ 2,3 მილიონი, ხოლო მსხვილ, კაპიტალისტურ ფერმებზე (175 — 999 აკრი) — 22 მილიონი. სამხრეთში ფერმების მიწის მთელი რაოდენობა შემცირდა 7½ მილიონით. ლატიფუნდიებში იგი შ ე მ ც ი რ დ ა 31,8 მილიონით. წვრილ ფერმებში გადიდებაა 13 მილიონით, საშუალოებში — 5 მილი-

ონით. დასავლეთში ფერმების მიწის მთელი რაოდენობა გაიზარდა 17 მილიონით; ლატიფუნდიებში დაკლებაა 1,2 მილიონით; წვრილ ფერმებში გადიდებაა 2 მილიონით, საშუალოებში — 5 მილიონით, მსხვილ ფერმებში — 11 მილიონით.

დამუშავებული მიწის რაოდენობა გადიდდა ლატიფუნდიებში ყველა სამივე რაიონში: ძლიერ გადიდდა ჩრდილოეთში (+ 3,7 მილიონი აკრი = + 47,0%), ძალიან სუსტად — სამხრეთში (+ 0,3 მილიონი = + 5,5%), უფრო ძლიერად — დასავლეთში (+ 2,8 მილიონი = + 29,6%). მაგრამ ჩრდილოეთში დამუშავებული მიწის გადიდების მაქსიმუმი მოდის მსხვილ ფერმებზე (175 — 999 აკრი); სამხრეთში — წვრილსა და საშუალოზე; დასავლეთში — მსხვილ და საშუალო ფერმებზე. შედეგად — ჩრდილოეთში დამუშავებული მიწის თავიანთ წილს ადიდებენ მსხვილი ფერმები, სამხრეთსა და დასავლეთში — წვრილი და ნაწილობრივ საშუალო ფერმები. ეს სურათი სავსებით შეესაბამება იმას, რაც ჩვენ ვიცით პირობების განსხვავების შესახებ ამ რაიონებში. სამხრეთში იზრდება წვრილი სავაჭრო მიწათმოქმედება დაშლის პროცესში მყოფი მონათმფლობელური ლატიფუნდიების ხარჯზე; დასავლეთში იგივე პროცესი მიმდინარეობს არა მონათმფლობელური, არამედ ექსტენსიურ-მეცხოველეობის და «მტაცებლური» ხასიათის უფრო ვრცელი ლატიფუნდიების უფრო სუსტი დაშლის პირობებში. გარდა ამისა, დასავლეთის წყნარი ოკეანის შტატების შესახებ ამერიკელი სტატისტიკოსები შენიშნავენ:

«მეხილეობისა და სხვ. წვრილი ფერმების დიდი განვითარება წყნარი ოკეანის ნაპირზე შედეგია, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ, უკანასკნელ წლებში წარმოებული მორწყვისა. ამან გამოიწვია წვრილი, 50 აკრზე ნაკლები მიწის მქონე, ფერმების გადიდება წყნარი ოკეანის შტატებში» (გვ. 264, ტ. V).

ჩრდილოეთში არ არის არც მონათმფლობელური და არც «პრიმიტიული» ლატიფუნდიები, არ ხდება მათი დაშლა, არ ხდება წვრილი ფერმების გაძლიერება მსხვილი ფერმების ხარჯზე.

საერთოდ და მთლიანად, მთელი შეერთებული შტატებისათვის პროცესი შემდეგ სახეს ღებულობს:

ფერმათა ჯგუფები:	ფერმათა რიცხვი (ათასობით) 1900	1910	იგივე %-ბით 1900	1910	გადიდება ან შემცირება
20 აკრამდე	674	839	11,7	13,2	+ 1,5
20-დან 49 აკრამდე	1 258	1 415	21,9	22,2	+ 0,3
50 » 99 »	1 366	1 438	23,8	22,6	— 1,2
100 » 174 »	1 422	1 516	24,8	23,8	— 1,0
175 » 499 »	868	978	15,1	15,4	+ 0,3
500 » 999 »	103	125	1,8	2,0	+ 0,2
1 000 და მეტი აკრი	47	50	0,8	0,8	—
სულ	5 738	6 361	100,0	100,0	—

ამრიგად, ლატიფუნდიების რიცხვი პროპორციულად ფერმათა მთელი რიცხვის მიმართ უცვლელი დარჩა. ცვლილებანი დანარჩენ ჯგუფთა თანაფარდობაში ხასიათდება საშუალოთა განდევნით და უკიდურესთა გაძლიერებით. საშუალო ჯგუფი (100 — 174 აკრი) და წვრილ ჯგუფთაგან საშუალოსთან ყველაზე უფრო ახლომდგომი ჯგუფი უკან არის დაწეული. ყველაზე უფრო გაიზარდნენ უწვრილესი და წვრილი, შემდეგ კი — მსხვილი კაპიტალისტური (175 — 999 აკრი) ჯგუფები.

· გადავხედოთ მთელი მიწის რაოდენობას.

ფერმათა ჯგუფები:	მთელი მიწის რაოდენობა ფერმებში (ათას აკრობით) 1900	1910	იგივე %-ბით 1900	1910	გადიდება ან შემცირება
20 აკრამდე	7 181	8 794	0,9	1,0	+ 0,1
20-დან 49 აკრამდე	41 536	45 378	5,0	5,2	+ 0,2
50 » 99 »	98 592	103 121	11,8	11,7	— 0,1
100 » 174 »	192 680	205 481	23,0	23,4	+ 0,4
175 » 499 »	232 955	265 289	27,8	30,2	+ 2,4
500 » 999 »	67 864	83 653	8,1	9,5	+ 1,4
1 000 და მეტი აკრი	197 784	167 082	23,6	19,0	— 4,6
სულ	838 592	878 798	100,0	100,0	—

ჩვენ აქ ვხედავთ, უწინარეს ყოვლისა, მიწის წილის ძალიან მნიშვნელოვან შემცირებას ლატიფუნდიებში. გავიხსენოთ,

რომ აბსოლუტური შემცირება განისაზღვრება სამხრეთით და დასავლეთით, სადაც ლატიფუნდიებში დაუმუშავებელი მიწის პროცენტი 1910 წელს იყო 91,5% და 77,1%. შემდეგ მთელი მიწის წილის სრულიად უმნიშვნელო შემცირებას ვხედავთ წვრილ ჯგუფთაგან უმაღლესში (—0,1% ჯგუფში 50-დან 99 აკრამდე). უდიდესი მატება მოდის მსხვილ კაპიტალისტურ ჯგუფებზე, 175-დან 499-მდე და 500-დან 999 აკრამდე. ყველაზე პატარა ჯგუფებში მიწის მთელი რაოდენობის წილის გადიდება შედარებით მცირეა. საშუალო ჯგუფში (100 — 174 აკრი). თითქმის შეჩერებაა (+ 0,4%).

გადავიდეთ მონაცემებზე დამუშავებული მიწის რაოდენობის შესახებ.

ფერმათა ჯგუფები:	დამუშავებული მიწის რაოდენობა ფერმებში (ათას აკრობით)		იგივე %-ბით		გადიდება ან შემცირება
	1900	1910	1900	1910	
20 აკრამდე	6 440	7 992	1,6	1,7	+ 0,1
20-დან 49 აკრამდე	33 001	36 596	8,0	7,6	— 0,4
50 » 99 »	67 345	71 155	16,2	14,9	— 1,3
100 » 174 »	118 391	128 854	28,6	26,9	— 1,7
175 » 499 »	135 530	161 775	32,7	33,8	+ 1,1
500 » 999 »	29 474	40 817	7,1	8,5	+ 1,4
1 000 და მეტი აკრი	24 317	31 263	5,9	6,5	+ 0,6
სულ	414 498	478 452	100,0	100,0	—

მეურნეობის ოდენობაზე მიუთითებს, ერთგვარი მიახლოებით და მთელი რიგი გამონაკლისებით, რომელთა შესახებაც ჩვენ ვილაპარაკეთ და კიდევ ვილაპარაკებთ, არა მთელი მიწის, არამედ მხოლოდ დამუშავებული მიწის რაოდენობა. და აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ლატიფუნდიათა წილი, რომელმაც საგრძნობლად დაიკლო მთელი მიწის რაოდენობის მიმართ, გადიდდა დამუშავებული მიწის რაოდენობის მიმართ. საერთოდ გადიდდა ყველა კაპიტალისტური ჯგუფი, მათგან ყველაზე მეტად — 500 — 999-აკრიანი ჯგუფი. ყველაზე მეტად შემცირდა საშუალო ჯგუფი (—1,7%) და შემდეგ ყველა წვრილი ჯგუფი, გარდა ყველაზე წვრილისა, 20 აკრამდე, რომელიც უმნიშვნელოდ გადიდდა (+ 0,1%).

წინდაწინვე შევნიშნავთ, რომ უწვრილეს ფერმათა თანრიგში (20 აკრამდე) შედის ფერმები 3 აკრამდე, ხოლო ამერიკული სტატისტიკა აღრიცხავს არა ყველა ასეთ ფერმას, არამედ მათგან მხოლოდ ისეთებს, რომელნიც ამზადებენ არა ნაკლებ 250 დოლარის პროდუქტებს წელიწადში. ამიტომ ეს უწვრილესი ფერმები (3 აკრამდე) განსხვავდებიან წარმოების უფრო მაღალი ოდენობით და უფრო ძლიერად განვითარებული კაპიტალისტური ხასიათით, ვიდრე მეზობელი ჯგუფი, რომელსაც მიწის უფრო მნიშვნელოვანი ფართობი მოეპოვება. აი საილუსტრაციოდ 1900 წლის მონაცემები, — სამწუხაროდ, 1910 წლის შესაბამისი მონაცემები არ მოგვეპოვება:

ფერმათა ჯგუფები (1900):		სამუალოდ 1 ფერმაზე მოდის:			
	დამუშავებული მიწა აკრობით	ყველა პროდუქტის ღირებ. (დოლ.)	დაქირ. შრომის ხარჯი (დოლ.)	მანქანა-იარაღების ღირ. (დოლ.)	მთელი პირუტყვის ღირებ. (დოლ.)
3 აკრამდე	1,7	592	77	53	867
3-დან 10 აკრამდე	5,6	203	18	42	101
10 » 20 »	12,6	236	16	41	116
20 » 50 »	26,2	324	18	54	172

იმ ფერმებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომელთაც 3 აკრამდე მიწა აქვთ, 3 — 10-აკრიანი ფერმებიც კი ზოგიერთი მხრივ უფრო «მსხვილია» (მუშების დაქირავების ხარჯი, მანქანა-იარაღების ღირებულება), ვიდრე 10 — 20-აკრიანი ფერმები *. ამიტომ ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს დამუშა-

* 1900 წლისათვის ჩვენ გვაქვს მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენია მიწის რაოდენობის მიხედვით მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის მაღალშემოსავლიანი ფერმები, ე. ი. ისეთი ფერმები, რომელთა პროდუქტის ღირებულება 2 500 დოლარს აღემატება. აი ეს მონაცემები: მაღალშემოსავლიანი ფერმების პროცენტი შეადგენდა ფერმებში 3 აკრამდე — 5,2%-ს; 3-დან 10-მდე — 0,6%-ს; 10-დან 20-მდე — 0,4%-ს; 20-დან 50-მდე — 0,3%-ს; 50-დან 100-მდე — 0,6%-ს; 100-დან 175-მდე — 1,4%-ს; 175-დან 260-მდე — 5,2%-ს; 260-დან 500-მდე — 12,7%-ს; 500-დან 1 000-მდე — 24,3%-ს; 1 000 და მეტი — 39,5%-ს. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა თანრიგის ფერმაში 20 აკრამდე მაღალშემოსავლიან ფერმათა პროცენტი უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი ა, ვიდრე 20 — 50-აკრიან თანრიგში.

ვებული მიწის წილის გადიდება იმ ფერმების ასეთი მიწის საერთო რაოდენობაში, რომელთაც 20 აკრამდე აქვთ, მივაწეროთ უწვრილესი (მიწის ფართობის მიხედვით) ოდენობის მაღალ-კაპიტალისტურ მეურნეობებს. — — —

საერთოდ და მთლიანად, მთელი შეერთებული შტატების დამუშავებული მიწის განაწილების მონაცემთა შესახებ წვრილ და მსხვილ ფერმებს შორის 1900 და 1910 წწ. ვღებულობთ სრულიად გარკვეულსა და ეჭვმიუტანელ დასკვნას: მ ს ხ ვ ი ლ ი ფ ე რ მ ე ბ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა, ს ა შ უ ა ლ ო დ ა წ ვ რ ი ლ ი ფ ე რ მ ე ბ ი ს დ ა ს უ ს ტ ე ბ ა. მაშასადამე, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც შეიძლება მიწათმოქმედების კაპიტალისტურ თუ არაკაპიტალისტურ ხასიათზე ვიმსჯელოთ მიწის ფართობის მიხედვით მეურნეობათა ჯგუფების მონაცემთა საფუძველზე, იმდენად შეერთებული შტატები უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გვიჩვენებენ მსხვილ, კაპიტალისტურ მეურნეობათა ზრდას და წვრილ მეურნეობათა გამოდევნას, როგორც საერთო წესს.

მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად გაიზარდა ფერმების რიცხვი და დამუშავებული მიწის რაოდენობა თვითეულ ჯგუფში, ამ დასკვნას კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის:

ფერმათა ჯგუფები:	გადიდების პროცენტი 1900 — 1910 წლებში	
	ფერმათა რიცხვისა	დამუშავებული მიწის რაოდენობისა
20 აკრამდე	+ 24,5%	+ 24,1%
20-დან 49 აკრამდე	+ 12,5%	+ 10,9%
50 » 99 »	+ 5,3%	+ 5,7%
100 » 174 »	+ 6,6%	+ 8,8%
175 » 499 »	+ 12,7%	+ 19,4%
500 » 999 »	+ 22,2%	+ 38,5%
1 000 და მეტი აკრი	+ 6,3%	+ 28,6%
სულ	+ 10,9%	+ 15,4%

დამუშავებული მიწის გადიდების უდიდესი პროცენტი მოდის უმაღლესი ჯგუფებიდან ორ ყველაზე უკანასკნელ ჯგუფ-

ზე, უმცირესი — საშუალოზე და წვრილებიდან მასთან უახლოეს ჯგუფზე (50 — 99 აკრი). ორივე დაბალ ჯგუფში დამუშავებული მიწის გადიდების პროცენტი ფერმათა რიცხვის გადიდების პროცენტზე ნაკლებია.

9. გაგრძელება. მონაცემები ფერმათა ღირებულების შესახებ

ამერიკული სტატისტიკა, ევროპულისაგან განსხვავებით, მეურნეობის ცალკეული ელემენტების, მიწის, ნაგებობათა, იარაღების, პირუტყვისა და მთელი მეურნეობის ღირებულებას განსაზღვრავს თვითეული ფერმისა და ფერმათა თვითეული ჯგუფის მიმართ. ალბათ, ეს მონაცემები უფრო ნაკლებ ზუსტია, ვიდრე მონაცემები მიწის რაოდენობის შესახებ. მაგრამ საერთოდ და მთლიანად ისინი ნაკლებ სარწმუნონი არ არიან, ითვალისწინებენ რა, გარდა ამისა (რამდენადმე), მიწათმოქმედების საერთო კაპიტალისტურ ვითარებას.

წინა გადმოცემის შესავსებად ავიღოთ მონაცემები ფერმების მთელი ღირებულების შესახებ მთელი მათი სასოფლო-სამეურნეო ქონებითურთ, აგრეთვე მონაცემები იარაღებისა და მანქანების ღირებულების შესახებ. ჩვენ მეურნეობის ცალკეული ელემენტებიდან ვირჩევთ იარაღებსა და მანქანებს, რადგან ისინი უშუალოდ მიუთითებენ იმაზე, რომ სამიწათმოქმედო მეურნეობას ეწევიან, და იმაზედაც, თუ როგორ ეწევიან მას — ცოტად თუ ბევრად ინტენსიურად, ტექნიკურ გაუმჯობესებათა მეტი თუ ნაკლები გამოყენებით. აი მონაცემები მთელი შეერთებული შტატების შესახებ:

ფერმათა ჯგუფები:	ღირებულების პროცენტული განაწილება					
	მთელი ქონებისა ფერმებში		გადიდება ან შემცირება	იარაღების და მანქანებისა		გადიდება ან შემცირება
	1900	1910		1900	1910	
20 აკრამდე	3,8	3,7	— 0,1	3.8	3,7	— 0,1
20-დან 49 აკრამდე	7,9	7,3	— 0,6	9,1	8,5	— 0,6
50 » 99 »	16,7	14,6	— 2,1	19,3	17,7	— 1,6
100 » 174 »	28,0	27,1	— 0,9	29,3	28,9	— 0,4
175 » 499 »	30,5	33,3	+ 2,8	27,1	30.2	+ 3,1
500 » 999 »	5,9	7,1	+ 1,2	5,1	6,3	+ 1,2
1 000 » და მეტი აკრი	7,3	6,9	— 0,4	6,2	4,7	— 1,5
სულ	100,0	100,0	—	100,0	100,0	—

აბსოლუტური ციფრები გვიჩვენებს ფერმათა მთელი ქონების მთელი ღირებულების ორჯერ და მეტად გადიდებას 1900 — 1910 წლების განმავლობაში, სახელდობრ გადიდებას 20 440 მილიონი დოლარიდან 40 991 მილიონამდე, ე. ი. 100,5%-ით. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გაძვირებისა და რენტის ამაღლების გამო მილიონობით და მილიარდობით დოლარები ჩაიჯიბა ყველა მიწათმფლობელმა მუშათა კლასის ანგარიშზე. ამასთან რამდენად მეტად თუ ნაკლებად მოიგეს წვრილმა და მსხვილმა მეურნეობებმა? პასუხს მოყვანილი ციფრები იძლევა. ისინი გვიჩვენებენ ლატიფუნდიების დაცემას (გავიხსენოთ, რომ მთელი მიწის რაოდენობა მათში 23,6%-დან დაეცა 19,0%-მდე, 4,6%-ით), — შემდეგ წ ვ რ ი ლ და ს ა შ უ ა ლ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა თ ა გ ა მ ო დ ე ვ ნ ა ს მ ს ხ ვ ი ლ, კაპიტალისტურ მეურნეობათა (175 — 999 აკრი) მიერ. თუ შევაერთებთ ყველა წვრილ და საშუალო მეურნეობას, მივიღებთ, რომ მათი წილი საერთო ქონებაში შ ე მ ც ი რ დ ა 56,4%-დან 52,7%-მდე. თუ შევაერთებთ ყველა მსხვილ მეურნეობას ლატიფუნდიებთან, მივიღებთ, რომ მათი წილი გ ა დ ი დ დ ა 43,7%-დან 47,3%-მდე. სრულიად ერთგვარია ცვლილებანი წვრილ და მსხვილ მეურნეობათა ურთიერთობაში მანქანა-იარაღების საერთო ღირებულების განაწილების დროს.

რაც შეეხება ლატიფუნდიებს, ამ მონაცემთა მიხედვითაც ვამჩნევთ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ მოვლენას. ლატიფუნდიების დაცემა განისაზღვრება ორი რაიონით: სამხრეთით და დასავლეთით. ეს არის, ერთი მხრით, მონათმფლობელური და, მეორე მხრით, პრიმიტიულ-მტაცებლური და პრიმიტიულ-ექსტენსიური ლატიფუნდიების დაცემა. დასახლებულ და მრეწველობის მხრივ განვითარებულ ჩრდილოეთში ჩვენ ვხედავთ ლატიფუნდიების ზ რ დ ა ს: გადიდებულია ამგვარი ფერმების რიცხვიც, მათი მთელი მიწის რაოდენობაც, დამუშავებული მიწის რაოდენობაც, წილიც მთელი ქონების საერთო ღირებულებაში (1900 — 2,5%; 1910 — 2,8%), წილიც ყველა მანქანა-იარაღის საერთო ღირებულებაში.

ამასთან ლატიფუნდიების როლის გადიდება შესამჩნევია არა მარტო საერთოდ ჩრდილოეთში, არამედ კერძოდ ჩრდილოეთის ორივე ინტენსიურ რაიონში, რომელნიც სრულიად არ იცნობენ კოლონიზაციას: ახალ ინგლისსა და შუა ატლანტის შტატებში. ამ რაიონებზე საჭიროა უფრო დაწვრილებით შეჩერება, ვინაიდან მათ, ერთი მხრით, შეცდომაში შეჰყავთ ბ-ნი გიმერი და მრავალი სხვანი ფერმების განსაკუთრებით მცირე საშუალო ოდენობით და ამ ოდენობის შემცირებით, ხოლო, მეორე მხრით, სწორედ ეს ყველაზე ინტენსიური რაიონები ყველაზე უფრო ტიპიურია ევროპის ძველი, დიდი ხნის დასახლებული და ცივილიზებული ქვეყნებისათვის.

ორივე დასახელებულ რაიონში 1900-დან 1910 წლამდე შემცირდა ფერმების რიცხვიც, მთელი მიწის რაოდენობაც და დამუშავებული მიწის რაოდენობაც. ახალ ინგლისში მხოლოდ 20 აკრამდე მიწის მქონე უწვრილესი ფერმების რიცხვი გაიზარდა 22,4%-ით (მათი დამუშავებული მიწა გადიდდა 15,5%-ით) და ლატიფუნდიების რიცხვი — 16,3%-ით, მათი დამუშავებული მიწა კი — 26,8%-ით. შუა ატლანტის შტატებში გადიდდნენ უწვრილესი ფერმები (+ 7,7%-ით ფერმათა რიცხვის მიხედვით, + 2,5%-ით დამუშავებული მიწის რაოდენობის მიხედვით), შემდეგ 175 — 499-აკრიანი ფერმები — ფერმების რიცხვის მიხედვით (+ 1,0%-ით) და 500 — 999-აკრიანი ფერმები — დამუშავებულ მიწის რაოდენობის მიხედვით (+ 3,8%-ით). ორივე რაიონში გაიზარდა უწვრილეს ფერმათა წილიც და ლატიფუნდიათა წილიც ფერმების მთელი ქონების, აგრეთვე იარაღებისა და მანქანების საერთო ღირებულებაში. აი უფრო თვალსაჩინო და უფრო სრული მონაცემი თვითეული ამ რაიონის შესახებ:

ფერმათა ჯგუფები:	პროცენტული მატება 1900-დან 1910 წლამდე			
	აბალ ინგლისში		შეა ატლანტის შტატებში	
	ფერმათა მთელი ქონების ღირებულებისა	იარაღებისა და მანქანების ღირებულებისა	ფერმათა მთელი ქონების ღირებულებისა	იარაღებისა და მანქანების ღირებულებისა
20 აკრამდე	60,9	48,9	45,8	42,9
20-დან 49 აკრამდე	31,4	30,3	28,3	37,0
50 » 99 »	27,5	31,2	23,8	39,9
100 » 174 »	30,3	38,5	24,9	43,8
175 » 499 »	33,0	44,6	29,4	54,7
500 » 999 »	53,7	53,7	31,5	50,8
1 000 და მეტი აკრი	102,7	60,5	74,4	65,2
სულ	35,6	39,0	28,1	44.1

აქედან ჩანს, რომ ორივე რაიონში ყველაზე უფრო გაძლიერდნენ, ყველაზე უფრო მოიგეს ეკონომიურად, ყველაზე უფრო წინ წაიწიეს ტექნიკურად სწორედ ლატიფუნდიებმა. აქ უდიდესი კაპიტალისტური მეურნეობანი აძევებენ დანარჩენ, უფრო წვრილ მეურნეობათ. მთელი ქონების, აგრეთვე მანქანა-იარაღების ღირებულების მინიმალური მატება ემჩნევა ან საშუალო ჯგუფს, ან წვრილებს, მაგრამ არა უწვრილესს. მაშასადამე, ყველაზე უფრო ძლიერ ჩამორჩებიან საშუალო და წვრილი მეურნეობანი.

უწვრილესი ფერმები კი (20 აკრამდე) ორივე რაიონში გაძლიერდნენ საშუალოზე მეტად და პირველობას უთმობენ მხოლოდ ლატიფუნდიებს. ამ მოვლენის მიზეზი ჩვენ უკვე ვიცით: ორივე ინტენსიურ რაიონში მოსავლის ღირებულების 31 — 33%-ს იძლევა მაღალ-კაპიტალისტური კულტურები (ბოსტნეული, შემდეგ ხილი, ყვავილები და სხვ.), რომლებიც განირჩევა წარმოების მეტად დიდი თანხით და მეურნეობისათვის მეტად მცირე ფართობი მიწით. ამ რაიონებში მარცვლოვანი პურეული იძლევა სულ მოსავლის ღირებულების 8 — 30%-ს, ხოლო თივა და ბალახები — 31 — 42%-ს: ვითარდება მერძევეობა, რომელიც აგრეთვე განირჩევა ფერმათა საშუალოზე დაბალი ოდენობით, ხოლო პროდუქტის ღირებულებისა და მუშების დაქირავებაზე დახარჯული კაპიტალის საშუალოზე მაღალი რაოდენობით.

ყველაზე ინტენსიურ რაიონებში ვღებულობთ დამუშავებული მიწის საშუალო რაოდენობის შემცირებას ფერმებში, იმიტომ რომ ამ საშუალოს ვღებულობთ ლატიფუნდიებისა და იმ უწვრილესი ფერმების შეერთებით, რომელნიც რაოდენობით საშუალოზე ჩქარა მატულობენ. უწვრილესი ფერმებიც რიცხვით ლატიფუნდიებზე ჩქარა იზრდებიან. მაგრამ კაპიტალიზმი იზრდება ორნაირი ფორმით: მეურნეობათა ოდენობის გადიდებითაც ძველ ტექნიკურ ბაზაზე, და იმ სპეციალურ-სავაჭრო კულტურათა ახალ, მიწის ფართობით მეტად წვრილ და უწვრილეს მეურნეობათა შექმნითაც, რომელნიც განირჩევიან წარმოებისა და დაქირავებული შრომის ოდენობის მეტად მაღალი განვითარებით მიწის სრულიად უმნიშვნელო ფართობის პირობებში.

შედეგად ვღებულობთ: ლატიფუნდიათა და უმსხვილეს მეურნეობათა უდიდეს გაძლიერებას, საშუალო და წვრილ მეურნეობათა შევიწროებას, უწვრილეს მაღალ-კაპიტალისტურ მეურნეობათა ზრდას.

ჩვენ ახლა დავინახავთ, თუ როგორ შეიძლება სტატისტიკურად გამოიხატოს მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის ესოდენ წინააღმდეგურ, — გარეგნულად წინააღმდეგურ, — გამოვლინებათა საერთო შედეგი.

10. ეკონომიური გამოკვლევის ჩვეულებრივი წესების ნაკლოვანებანი. მარქსი მიწათმოქმედების თავისებურებათა შესახებ

სამიწათმოქმედო მეურნეობათა დაჯგუფება მიწის იმ ფართობის სიდიდის მიხედვით, რომელსაც ისინი იკავებენ ან ამუშავებენ, ერთადერთი დაჯგუფებაა, რომელიც გამოყენებულია 1910 წლის ამერიკულ სტატისტიკაში და რომელსაც იყენებენ ევროპის ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში. საერთოდ რომ ვთქვათ, უდავოა, რომ, გარდა ფისკალური და სახაზინო-ადმინისტრაციული მოსაზრებებისა, არსებობს ერთგვარი მეც-

ნიერული მოსაზრებანი ასეთი დაჯგუფების აუცილებლობისა და სისწორის სასარგებლოდ. მაგრამ ასეთი დაჯგუფება აშკარად არასაკმაოა, ვინაიდან სრულიად არ ითვალისწინებს მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პროცესს, კაპიტალის დანახარჯების ზრდას მიწის ფართობის ერთეულზე პირუტყვის, მანქანების, გაუმჯობესებული თესლის, კულტურის გაუმჯობესებული წესებისა და სხვ. სახით. ნამდვილად კი ეს პროცესი ყველგან, — პრიმიტიული და წმინდა ექსტენსიური მიწათმოქმედების სულ რამდენიმე რაიონისა და ქვეყნის გამოკლებით, — სწორედ ყველაზე უფრო დამახასიათებელია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. ამიტომ მეურნეობათა დაჯგუფება მიწის რაოდენობის მიხედვით უმეტეს შემთხვევაში მეტისმეტად ამარტივებს და აუხეშებს წარმოდგენას საერთოდ მიწათმოქმედების განვითარებისა და განსაკუთრებით მასში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ.

როდესაც იმ ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების ნაწერებში, რომელნიც ყველაზე უფრო გავრცელებულ ბურჟუაზიულ შეხედულებებს გამოხატავენ, კითხულობთ გრძელ-გრძელ მსჯელობებს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში პირობების არაერთგვარობაზე, პირველის თავისებურებაზე და სხვ. და სხვ., ყოველთვის გინდათ შენიშნოთ: ბატონებო! თქვენ თვითონ ყველაზე მეტად ხართ დამნაშავენი მიწათმოქმედების ევოლუციაზე გამარტივებულ და გაუხეშებულ შეხედულებათა დაცვასა და გავრცელებაში! მოიგონეთ მარქსის «კაპიტალი». თქვენ იქ ნახავთ მითითებას მიწათმფლობელობის იმ ფორმების მეტისმეტ მრავალგვარობაზე — ფეოდალური, კლანური, სათემო (დავუმატებთ: პრიმიტიულ-მტაცებლური), სახელმწიფოებრივი და სხვ., — რომელთაც კაპიტალმა მოუსწრო თავისი გამოსვლისას ისტორიულ ასპარეზზე. კაპიტალი იმორჩილებს და თავისებურად გარდაქმნის მიწათმფლობელობის ყველა ამ სხვადასხვა ფორმას, მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ გავიგოთ, დავაფასოთ, სტატისტიკურად გამოვხატოთ ეს პროცესი, საჭიროა ვიცოდეთ საკითხის დაყენებისა და გამოკვლევის წესების შეცვლა პროცესის ფ ო რ მ ი ს

სხვადასხვაობის შესაბამისად. კაპიტალიზმი იმორჩილებს რუსეთის სათემო-სანადელო მიწათმფლობელობასაც, დემოკრატიულ ან ბატონყმურ სახელმწიფოში მტაცებლურ თუ მიწის თავისუფალი და მუქთი დარიგებით მოწესრიგებულ ციმბირის ან ამერიკის «შორეული დასავლეთის» მიწათმფლობელობასაც, ამერიკის სამხრეთის მონათმფლობელურ მიწათმფლობელობასაც და «ჭეშმარიტ-რუსული» გუბერნიების ნახევრადფეოდალურ მიწათმფლობელობასაც. კაპიტალიზმის ზრდისა და გამარჯვების პროცესი ყველა ამ შემთხვევაში ერთგვარია, მაგრამ ერთნაირი არაა ფორმით. ამ პროცესის გასაგებად და ზუსტად შესასწავლად არ შეიძლება დაკმაყოფილება შაბლონურ-მეშჩანური ფრაზებით «შრომითი» მიწათმოქმედების შესახებ ან მარტო მიწის რაოდენობათა შედარების რუტინული წესებით.

შემდეგ, მარქსის ნაშრომში თქვენ ნახავთ კაპიტალისტური ტიპის მიწის რენტის წარმოშობისა და იმის ანალიზს, თუ რა დამოკიდებულებაშია იგი რენტის ისტორიულად წინამორბედ ფორმებთან, მაგალითად, ნატურალურთან, შრომამიგებითთან (საბატონო ბეგარა და მისი ნაშთები), ფულადთან (გამოსაღები და სხვ.). მერედა, ბურჟუაზიულ ან წვრილბურჟუაზიულ, ნაროდნიკულ, ეკონომისტთაგან თუ სტატისტიკოსთაგან ვინ იფიქრა ოდნავ მაინც სერიოზულად, გამოეყენებინა მარქსის ეს თეორიული მითითებანი იმისათვის, რომ შეესწავლა კაპიტალიზმის წარმოშობა მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი დ ა ნ ამერიკის სამხრეთში ან ს ა ბ ა ტ ო ნ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი დ ა ნ რუსეთის ცენტრში?

ბოლოს, მარქსის ნაშრომში თქვენ ნახავთ სისტემატურ, მიწის რენტის მთელ ანალიზში გატარებულ მითითებებს მიწათმოქმედების პირობების მრავალგვარობაზე, რომელსაც წარმოშობს არა მარტო სხვადასხვაობა ნაკვეთების თვისებასა და მდებარეობაში, არამედ აგრეთვე მ ი წ ა ში კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა ბ ა ნ დ ე ბ ი ს ო დ ე ნ ო ბ ა თ ა განსხვავებაც. ეს კი რას ნიშნავს: კაპიტალის გამოყენებას მიწაზე? ეს ნიშნავს ტექნიკურ ცვლილებებს მიწათმოქმედებაში, მის ინტენსიფი-

კაციას, მემინდვრეობის უმაღლეს სისტემებზე გადასვლას, ხელოვნურ სასუქთა გაძლიერებულ გამოყენებას, მანქანა-იარაღების გაუმჯობესებას, მათი გამოყენების ზრდას, დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდას) და სხვ. მარტო მიწის რაოდენობის აღრიცხვით ყველა ეს რთული და სხვადასხვაგვარი პროცესი არ გამოიხატება, ხოლო სწორედ ამ პროცესებისაგან შედგება მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების საერთო პროცესი.

რუსეთის საერობო სტატისტიკოსებმა, განსაკუთრებით «ძველი კეთილი», რევოლუციამდელი დროისა, პატივისცემის უფლება იმით მოიპოვეს, რომ თავიანთი მუშაობის საგანს ეპყრობოდნენ არა რუტინულად, არა მარტო ფისკალური ან სახაზინო-ადმინისტრაციული ინტერესით, არამედ ერთგვარი მეცნიერული ინტერესითაც. მათ, ვგონებ, სხვა სტატისტიკოსებზე ადრე შენიშნეს მეურნეობათა მარტო მიწის რაოდენობის მიხედვით დაჯგუფების არასაკმარისობა და შემოიღეს დაჯგუფების სხვა წესები: ნათესის, მუშა პირუტყვის რაოდენობის, დაქირავებული შრომის გამოყენებისა და სხვ. მიხედვით. სამწუხაროდ, ჩვენი საერობო სტატისტიკის ნამუშევართა დაქუცმაცებულმა და არასისტემატურმა ხასიათმა, — სტატისტიკისა, რომელიც ყოველთვის, ასე ვთქვათ, ოაზისი იყო ბატონყმური სიბნელის, ბიუროკრატიული რუტინისა და ყოველგვარი ჩლუნგი კანცელარიულობის უდაბნოში, — განაპირობა ის გარემოება, რომ არ მოხერხდა მტკიცე დასკვნების გამოყვანა არც რუსეთისა და არც ევროპის ეკონომიური მეცნიერებისათვის.

შევნიშნავთ, რომ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო აღწერების საშუალებით დაგროვილი მასალის დაჯგუფების საკითხი სრულიადაც არ არის ისეთი ვიწრო ტექნიკური, ვიწრო სპეციალური საკითხი, როგორც ეს შეიძლება მოეჩვენოს კაცს პირველი შეხედვით. ეს მასალა განირჩევა ცნობების უდიდესი სიმდიდრითა და სისრულით თვითეული ცალკე მეურნეობის შესახებ. მაგრამ უხეიროდ, მოუფიქრებლად, რუტინულად შეჯამებისა და დაჯგუფების გამო ეს უმდიდრესი მასალა

სრულიად იკარგება, უფერულდება და ხშირად ყოვლად უვარგისი ხდება სოფლის მეურნეობის ევოლუციის კანონების შესასწავლად. თვითეულ ცალკე მეურნეობაზე შეიძლება შეუცდომლად ითქვას, დაგროვილი მასალის მიხედვით, კაპიტალისტურია თუ არა ეს მეურნეობა და რამდენად, ინტენსიურია თუ არა იგი და რა ზომით და ა. შ., ხოლო მრავალი მილიონი მეურნეობის შესახებ შეკრებილ მონაცემთა შეჯამებისას სწორედ ყველაზე არსებითი განსხვავებანი, თვისებები, ნიშნები, რომელნიც ყველაზე უფრო უნდა ყოფილიყო წინწამოწეული, განსაზღვრული და გათვალისწინებული, ქრებიან, — და ეკონომისტს ხელში რჩება ციფრების რუტინული, უაზრო სვეტები, «ციფირებით» სტატისტიკური «თამაშობა» ნაცვლად მასალის მოსაზრებული სტატისტიკური დამუშავებისა.

ამერიკის 1910 წლის აღწერა, რომელიც ჩვენ ახლა გვაინტერესებს, წარმოადგენს იმის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშს, თუ როგორაა სიმდიდრითა და სისრულით შესანიშნავი მასალა გაუფასურებული, გაფუჭებული რუტინითა და იმ პირთა მეცნიერული უმეცრებით, ვინც იგი დაამუშავა. 1900 წლის აღწერასთან შედარებით დამუშავება გაცილებით უარესია, მეურნეობათა ტრადიციული დაჯგუფებაც კი მიწის რაოდენობის მიხედვით სრულად არ არის გატარებული, ასე რომ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას შევადაროთ სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობანი, მაგალითად, დაქირავებული შრომის გამოყენების, მემინდვრეობის სისტემათა განსხვავების, სასუქთა გამოყენებისა და სხვ. მიხედვით.

იძულებული ვართ მივმართოთ 1900 წლის აღწერას. მან მოგვცა მსოფლიოში ერთადერთი, — რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, — ნიმუში დაჯგუფების ანუ «კლასიფიკაციის» (როგორც ამერიკელები ამბობენ) არა ერთი, არამედ სამი სხვადასხვა ხერხის გამოყენებისა უმდიდრესი მასალის მიმართ, რომელიც შეგროვილია ერთ ქვეყანაში, ერთ დროს, ერთი პროგრამით და რომელიც მოიცავს ხუთნახევარ მილიონზე მეტ მეურნეობას.

მართალია, აქაც არც ერთი დაჯგუფება არ არის გატარებული სრულად მეურნეობის ტიპისა და სიდიდის ყველა არსებითი ნიშნის მხრივ. მაგრამ მიუხედავად ამისა კაპიტალისტური მიწათმოქმედებისა და მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის სურათი გამოდის, როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ ცხადვყოთ, განუზომლად უფრო სრული, განუზომლად უფრო სწორად გამომხატველი სინამდვილისა, ვიდრე დაჯგუფების ჩვეულებრივი, ცალმხრივი და არასაკმარისი, ერთი ხერხის გამოყენებისას. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული, ნაროდნიკული პოლიტიკური ეკონომიის უღრმესი შეცდომები და ცრურწმენანი აშკარავდებიან და მჟღავნდებიან, რაკი მოცემულია შესაძლებლობა, რომ უფრო სრულად იქნეს შესწავლილი ფაქტები და ტენდენციები, რომელთაც სავსებით შეიძლება საყოველთაო ვუწოდოთ მსოფლიოს ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის.

იმის გამო, რომ ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ მონაცემებს, რომლებზედაც ლაპარაკია, ჩვენ განსაკუთრებით დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ მათზე და უფრო ხშირად, ვიდრე აქამდე, უნდა მივმართოთ ცხრილებს. სავსებით გვესმოდა რა, თუ რამდენად ტვირთავს ცხრილები ტექსტს და აძნელებს კითხვას, წინა გადმოცემაში ჩვენ ვცდილობდით დაგვეყვანა ისინი სრულიად აუცილებელ მინიმუმამდე. იმედი გვაქვს, მკითხველი არ გვისაყვედურებს, თუ ჩვენ იძულებული ვიქნებით ახლა გავადიდოთ ეს მინიმუმი, ვინაიდან აქ გარჩეული საკითხების ანალიზზეა დამოკიდებული არა მარტო საერთო დასკვნა მთავარი საკითხის შესახებ — თანამედროვე მიწათმოქმედების ევოლუციის მიმართულების, ტიპის, ხასიათის, კანონის შესახებ, — არამედ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის საერთოდ ყველა, ესოდენ ხშირად მოყვანილი და ესოდენ ხშირად დამახინჯებული, მონაცემის შეფასებაც.

პირველი დაჯგუფება — «მიწის მიხედვით» — იძლევა 1900 წელს ამერიკის მიწათმოქმედების შემდეგ სურათს:

ფერმათა ჯგუფები:	ფერმათა რიცხვი %-ით ამათ საერთო რიცხვის მიმართ	მთელი მიწის რაოდენობა (ავრეთვე %-ით ჯამისადმი)	მოდის საშუალოდ 1 ფერმაზე: დამუშავებული მიწა აკრობით	ხარჯები დაქირავებულ მუშაზე (დოლარობით)	პროდუქტის ღირებულება** (დოლარობით)	მანქანა-იარაღების ღირებულება (დოლარობით)
3 აკრამდე	0,7	—*	1.7	77	592	53
3-დან 10 აკრამდე	4,0	0.2	5,6	18	203	42
10 » 20 »	7,1	0,7	12,6	16	236	41
20 » 50 »	21.9	4,9	26,2	18	324	54
50 » 100 »	23,8	11,7	49,3	33	503	106
100 » 175 »	24,8	22,9	83,2	60	721	155
175 » 260 »	8,5	12,3	129,0	109	1 034	211
260 » 500 »	6,6	15,4	191,4	166	1 354	263
500 » 1 000 »	1,8	8.1	287.5	312	1 913	377
1 000 და მეტი აკრი	0,8	23,8	520,0	1 059	5 334	1 222
სულ	100,0	100,0	72,3	—	656	133

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის სტატისტიკა მოგვცემს სრულიად ერთნაირ სურათს. განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ არაარსებით დეტალებში. გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, შვეიცარია, დანია, მათი უკანასკნელი აღწერების მიხედვით, ნათქვამს ადასტურებენ. მთელი მიწის რაოდენობის გადიდებისდაკვალად ფერმებში ჯგუფიდან ჯგუფამდე მატულობს დამუშავებული მიწის საშუალო რაოდენობა, პროდუქტის საშუალო ღირებულება, მანქანა-იარაღების ღირებულება, პირუტყვის ღირებულება (ჩვენ ეს ციფრები გამოვტოვეთ) და დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების სიდიდე. (იმ მცირე გამონაკლისის მნიშვნელობაზე, როგორიცაა ფერმები 3 აკრამდე და ნაწილობრივ 3-დან 10 აკრამდე, ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ).

თითქოს, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების გადიდება, ეტყობა, უთუოდ ადასტურებს, რომ მეურნეობათა დაყოფა წვრილ და მსხვილ მეურნეობებად მიწის რაოდენობის მიხედვით საესებით შეესა-

* 1/10 პროცენტზე ნაკლები.

** პროდუქტის ღირებულებაში არ შედის ის პროდუქტები, რაც იხარჯება პირუტყვის საკვებად.

ბამება მათ დაყოფას არაკაპიტალისტურ და კაპიტალისტურ მეურნეობებად. «წვრილი» მიწათმოქმედების შესახებ ჩვეულებრივ მსჯელობათა ცხრა მეათედი ასეთ გაიგივებას და ამგვარ მონაცემებს ემყარება.

ავიღოთ ახლა საშუალო სიდიდენი არა 1 ფერმაზე, არამედ (მთელი) მიწის 1 აკრზე:

ფერმათა ჯგუფები:	მთელი მიწის 1 აკრზე მოდის დოლარობით			
	დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯები	სასუქის ხარჯები	მთელი პირუტყვის ღირებულება	მანქანა-იარაღების ღირებულება
3 აკრამდე	40,30	2,36	456,76	27,57
3-დან 10 აკრამდე	2,95	0,60	16,32	6,71
10 » 20 »	1,12	0.33	8,30	2,95
20 » 50 »	0,55	0,20	5,21	1,65
50 » 100 »	0,46	0,12	4,51	1,47
100 » 175 »	0,45	0,07	4,09	1,14
175 » 260 »	0,52	0,07	3,96	1,00
260 » 500 »	0,48	0,04	3,61	0,77
500 » 1 000 »	0,47	0,03	3,16	0,57
1 000 და მეტი აკრი	0,25	0,02	2,15	0,29

სრულიად უმნიშვნელო გამონაკლისებს გარდა ჩვენ ვხედავთ მეურნეობათა ინტენსივობის ნიშნების წესიერ დაკლებას დაბალი ჯგუფებიდან მაღალი ჯგუფებისაკენ.

როგორც ჩანს, ვღებულობთ სრულიად უდავო დასკვნას, რომ «წვრილი» წარმოება მიწათმოქმედებაში მსხვილზე უფრო ინტენსიურია, რომ წარმოების «ოდენობის» შემცირებასთან ერთად იზრდება მიწათმოქმედების ინტენსივობა და ნაყოფიერება, რომ, «მაშასადამე», კაპიტალისტური წარმოება მიწათმოქმედებაში ძლებს მხოლოდ მეურნეობის ექსტენსიური, პრიმიტიული ხასიათით და სხვ. და სხვ.

ვინაიდან ყოველმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ მიწის რაოდენობის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფებისას (ეს კი არა მარტო ჩვეულებრივი, არამედ თითქმის ერთადერთი დაჯგუფებაა) შეიძლება მოგვცეს სრულიად ანალოგიური სურათი, დაგვანახოს მიწათმოქმედების ინტენსივობის ნიშნების იგივე შემცირება დაბალი ჯგუფებიდან მაღალი ჯგუფებისაკენ, ამიტომაც სწორედ ასეთი დასკვნები კეთდება მუდამ, ყოველ

ნაბიჯზე, მთელ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ (ოპორტუნისტულ-«მარქსისტულ» და ნაროდნიკულ) ლიტერატურაში. გაიხსენეთ, მაგალითად, ცნობილი ედუარდ დავიდის ცნობილი შრომა, ბურჟუაზიულ ცრურწმენათა და ბურჟუაზიული სიცრუის ეს კრებული «ვითომ-სოციალისტური» სიტყვების საფარით — «სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა». იქ სწორედ ამგვარი მონაცემებით მტკიცდება «წვრილი» წარმოების «უპირატესობა», «სიცოცხლისუნარიანობა» და სხვ.

ერთი გარემოება განსაკუთრებით აადვილებს ამგვარ დასკვნებს: ჩვეულებრივად, მოყვანილ მონაცემთა ანალოგიური მონაცემები მოიპოვება პირუტყვის რაოდენობის შესახებ, ხოლო დაქირავებული შრომის შესახებ — განსაკუთრებით ისეთი განზოგადებული ფორმით, როგორიც დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების ჯამია, — მონაცემები თითქმის არსად არ გროვდება. ამავე დროს კი სწორედ დაქირავებული შრომის მონაცემები ააშკარავებს ყველა ასეთი დასკვნის უსწორობას. მართლაც, თუ, მაგალითად, პირუტყვის ღირებულების (ანუ, რაც იგივეა, მთელი პირუტყვის რაოდენობის) გადიდება ფართობის ერთეულზე მეურნეობის ოდენობის შემცირებისდაკვალად მოწმობს «წვრილი» მიწათმოქმედების «უპირატესობას», — ეს «უპირატესობა» ხომ უკავშირდება დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების გადიდებას მეურნეობის ოდენობის შემცირებისდაკვალად!! ხოლო დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების ასეთი გადიდება, — მიაქციეთ ყურადღება, ლაპარაკია ყოველთვის იმ სიდიდეებზე, რომლებიც მიეკუთვნება ფართობის ერთეულს, 1 აკრს, 1 ჰექტარს, 1 დესეტინას, — ნიშნავს მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათის გადიდებას! მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათი კი ეწინააღმდეგება «წვრილი» წარმოების ჩვეულებრივ, ყველაზე გავრცელებულ ცნებას, ვინაიდან წვრილ წარმოებად გულისხმობენ ისეთ წარმოებას, რომელიც დამყარებულია არა დაქირავებულ შრომაზე.

ვღებულობთ თითქოს წინააღმდეგობათა კვანძს. საერთო მონაცემები მეურნეობათა ჯგუფებზე მიწის რაოდენობის მი-

ხედვით გვიჩვენებს, რომ «წვრილი» მეურნეობანი არაკაპიტალისტურია, მსხვილი — კაპიტალისტურია. და იგივე მონაცემები მოწმობს, რომ რაც «უფრო წვრილია» მეურნეობა, მით უფრო მაღალია არა მარტო მისი ინტენსივობა, არამედ აგრეთვე დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯების ჯამი მიწის ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით!

საქმის განმარტებისათვის მივმართოთ სხვა დაჯგუფებას.

11. წვრილ და მსხვილ მეურნეობათა უფრო ზუსტი შედარება

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ამერიკული სტატისტიკა ამ შემთხვევაში იღებს მეურნეობის პროდუქტთა ღირებულების ჯამს იმ პროდუქტების გამოკლებით, რომლებიც მიდის პირუტყვის საკვებად. ცალ-ცალკე აღებული ასეთი მონაცემები, რომლებიც, ვგონებ, მხოლოდ მარტო ამერიკულ სტატისტიკაში თუ მოიპოვება, რა თქმა უნდა, ნაკლებად ზუსტია, ვიდრე მონაცემები მიწის ან პირუტყვის რაოდენობისა და სხვ. შესახებ. მაგრამ ეს მონაცემები, საერთოდ აღებული რამდენიმე მილიონი მეურნეობის მიმართ და განსაკუთრებით გამოყენებული მთელ ქვეყანაში მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისათვის, უეჭველია, არ შეიძლება ჩაითვალოს ნაკლებ გამოსადეგად, ვიდრე დანარჩენები. ყოველ შემთხვევაში წარმოების — განსაკუთრებით სავაჭრო წარმოების, ე. ი. გასაყიდ პროდუქტთა ჯამის, — ოდენობაზე ეს მონაცემები გაცილებით უფრო უშუალოდ ლაპარაკობენ, ვიდრე ყოველგვარი სხვა მონაცემები. ხოლო ყველა მსჯელობაში თემაზე მიწათმოქმედების ევოლუციისა და მისი კანონების შესახებ ხომ ლაპარაკია სწორედ წვრილ და მსხვილ წარმოებაზე.

ეს კიდევ ცოტაა. ამგვარ შემთხვევებში ლაპარაკია ყოველთვის მიწათმოქმედების ევოლუციაზე კაპიტალიზმში ან კაპიტალიზმთან დაკავშირებით, მისი გავლენით და სხვ.. ამ გავლენის აღსარიცხავად საჭიროა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ვეცადოთ ნატურალური მეურნეობა მიწათმოქმედებაში

ვამოვყოთ სავაჭრო მეურნეობისაგან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნატურალური მეურნეობა, ე. ი. წარმოება არა ბაზრისათვის, არამედ მეურნე ოჯახის საკუთარი მოხმარებისათვის, სწორედ მიწათმოქმედებაში თამაშობს შედარებით ძალიან დიდ როლს და განსაკუთრებით ნელა უთმობს ადგილს სავაჭრო მიწათმოქმედებას. და თუ პოლიტიკური ეკონომიის დადგენილ თეორიულ დებულებებს გამოვიყენებთ არა შაბლონურად, არა მექანიკურად, არამედ მოფიქრებულად, მაშინ, მაგალითად, მსხვილი წარმოების მიერ წვრილის განდევნის კანონი შეიძლება მივაკუთვნოთ მ ხ ო ლ ო დ სავაჭრო მიწათმოქმედებას. არა გვგონია ვინმემ სადავოდ გახადოს ეს დებულება თეორიულად. ნამდვილად კი ეკონომისტები და სტატისტიკოსები უაღრესად იშვიათად აქცევენ შეგნებულად ყურადღებას იმას, რომ ცალკე გამოყონ, გამოიკვლიონ და, შეძლებისდაგვარად, აღრიცხონ სახელდობრ ის ნიშნები, რომლებიც მოწმობენ მიწათმოქმედების გარდაქმნას ნატურალურიდან სავაჭრო მიწათმოქმედებად. მეურნეობათა დაჯგუფება იმ პროდუქტთა ფულადი ღირებულების სიდიდის მიხედვით, რომლებიც არ მიდის პირუტყვის საკვებად, დიდ ნაბიჯს დგამს წინ ამ უმნიშვნელოვანესი თეორიული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

უნდა შევნიშნოთ, რომ როცა ლაპარაკობენ მრეწველობაში მსხვილი წარმოების მიერ წვრილის განდევნის უდავო ფაქტზე, ყოველთვის იღებენ სამრეწველო საწარმოთა დაჯგუფებას წარმოების ჯამის ან დაქირავებული მუშების რიცხვის მიხედვით. მრეწველობაში, მის ტექნიკურ თავისებურებათა გამო, მდგომარეობა გაცილებით უფრო გამარტივებულია. მიწათმოქმედებაში გაცილებით უფრო ძნელია, ურთიერთობათა შეუდარებლად უფრო მეტი სირთულისა და დახლართულობის გამო, წარმოების ოდენობისა და პროდუქტების ფულადი ღირებულების, აგრეთვე დაქირავებული შრომის გამოყენების ოდენობის განსაზღვრა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა აღირიცხოს დაქირავებული შრომის მთელი წლიური რაოდენობა და არა აღწერის დღეს არსებული რაოდენობა, ვინაიდან

მიწათმოქმედება ატარებს განსაკუთრებით «სეზონური» წარმოების ხასიათს, შემდეგ კი საჭიროა აღირიცხოს არა მარტო მუდმივი დაქირავებული მუშები, არამედ დღიური მუშებიც, რომელნიც სოფლის მეურნეობაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მაგრამ სიძნელე შეუძლებლობას როდი ნიშნავს. გამოკვლევის რაციონალური, მიწათმოქმედების ტექნიკურ თავისებურებებისადმი შეგუებული წესების გამოყენება, მათ შორის გამოყენება დაჯგუფებისა წარმოების სიდიდის, პროდუქტთა ფულადი ღირებულების ჯამის, დაქირავებული შრომის მოხმარების სიხშირისა და ოდენობის მიხედვით, უნდა გაიზარდოს, გაიკაფოს გზა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენათა და ბურჟუაზიული სინამდვილის შელამაზების მისწრაფებათა ხშირ ქსელში. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი გამოკვლევის რაციონალური წესების გამოყენებაში იქნება ნაბიჯი წინ იმ ჭეშმარიტების დადასტურებაში, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც ხდება წვრილი წარმოების განდევნა მსხვილი წარმოების მიერ.

აი მონაცემები ამერიკის მეურნეობათა იმ ჯგუფების შესახებ 1900 წელს, რომლებიც განაწილებულია პროდუქტის ღირებულების სიდიდის მიხედვით:

ფერმათა ჯგუფები პროდუქტის ღირებულების მიხედვით დოლარებში	ფერმათა რიცხვი	მთელი მიწის რაოდენობა	მოდის საშუალოდ 1 ფერმაზე		
	(პროცენტობით ჯამის მიმართ)		დამუშავებული მიწა აკრობით	ხარჯები დაქირავებულ შრომაზე (დოლარ.)	მანქანა-იარაღების ღირებულება
0	0,9	1,8	33,4	24	54
1 — 50 დოლარი	2,9	1,2	18,2	4	24
50 — 100 »	5,3	2,1	20,0	4	28
100 — 250 »	21,8	10,1	29,2	7	42
250 — 500 »	27,9	18,1	48,2	18	78
500 — 1 000 »	24,0	23,6	84,0	52	154
1 000 — 2 500 »	14,5	23,2	150,5	158	283
2 500 და მეტი »	2,7	19,9	322,3	786	781
სულ	100,0	100,0	72,3	—	133

უშემოსავლო ფერმებს, რომელთაც პროდუქტის ღირებულებად გვიჩვენეს 0 (ნული), ალბათ, ეკუთვნიან პირველ რიგში ახლახან დაკავებული ჰომსტედები, სადაც მფლობელს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია ნაგებობათა აშენება, პირუტყვის გაჩენა, დათესვა, მოსავლის აღება. ისეთი უზარმაზარი კოლონიზაციის ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, იმ საკითხს, თუ რამდენი ხანია ფლობს მეპატრონე ფერმას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ვტოვებთ რა განზე უშემოსავლო ფერმებს, ჩვენ ვღებულობთ იმგვარსავე სურათს, როგორიც მოგვცა იმავე მონაცემთა ზემოთ მოყვანილმა დაჯგუფებამ ფერმებში მთელი მიწის რაოდენობის მიხედვით. ფერმის პროდუქტთა ღირებულების გადიდებისდაკვალად მატულობს დამუშავებული მიწის საშუალო რაოდენობაც ფერმებში, საშუალო ხარჯიც მუშების დასაქირავებლად და მანქანა-იარაღების საშუალო ღირებულებაც. საერთოდ და მთლიანად, უფრო შემოსავლიანი ფერმები, — თუ მივიღებთ მხედველობაში საერთო შემოსავალს, ე. ი. ყველა პროდუქტის ღირებულებას, — უფრო მსხვილიცაა მიწის რაოდენობის მიხედვით. როგორც ჩანს, ახალი დაჯგუფება სრულიად არაფერს ახალს არ იძლევა.

მაგრამ ავიღოთ ახლა (პირუტყვისა და იარაღების ღირებულების, შრომის დაქირავებისა და სასუქის ხარჯების) საშუალო სიდიდენი არა ერთ ფერმაზე, არამედ 1 აკრ მიწაზე:

ფერმათა ჯგუფები პროდუქტის ღირებულების მიხედვით		მოდის მთელი მიწის 1 აკრზე დოლარობით			
		დაქირავებული შრომის ხარჯი	სასუქის ხარჯი	მთელი პირუტყვის ღირებულება	მანქანა-იარაღების ღირებულება
0		0,08	0,01	2,97	0,19
1 — 50	დოლარი	0,06	0,01	1,78	0,38
50 — 100	»	0,08	0,03	2,01	0,48
100 — 250	»	0,11	0,05	2,46	0,62
250 — 500	»	0,19	0,07	3,00	0,82
500 — 1 000	»	0,36	0,07	3,75	1,07
1 000 — 2 500	»	0,67	0,08	4,63	1,21
2 500 და მეტი	»	0,72	0,06	3,98	0,72

ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენენ უშემოსავლო ფერმები, რომელთაც საერთოდ სრულიად განსაკუთრებული

მდგომარეობა უჭირავთ, და ყველა დიდშემოსავლიანი ფერმები, რომელნიც ჩვენ მიერ აღებული ოთხი ნიშნიდან სამის მიხედვით ნაკლებ ინტენსიური არიან, ვიდრე მეზობელი ჯგუფი. ხოლო საზოგადოდ თუ ვიტყვით, ჩვენ ვხედავთ მიწათმოქმედების ინტენსივობის წესიერ მ ა ტ ე ბ ა ს ფერმაში დამზადებულ პროდუქტთა ღირებულების გ ა დ ი დ ე ბ ი ს დ ა კ ვ ა ლ ა დ.

სურათი პირდაპირ საწინააღმდეგოა იმისა, რაც ჩვენ ვნახეთ მეურნეობათა დაჯგუფებისას მიწის ფართობის მიხედვით.

ერთი და იგივე მასალა იძლევა დიამეტრულად საწინააღმდეგო დასკვნებს დაჯგუფების სხვადასხვა წესის გამოყენების დროს.

მეურნეობის ოდენობის გადიდებასთან ერთად მიწათმოქმედების ინტენსივობა კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს — თუ მეურნეობის ოდენობაზე ვიმსჯელებთ მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით; მ ა ტ უ ლ ო ბ ს — თუ მეურნეობის ოდენობაზე ვიმსჯელებთ მეურნეობის პროდუქტთა ღირებულების მიხედვით.

მაშ, რომელია სწორი ამ ორი დასკვნიდან?

ცხადია, რომ მეურნეობის ოდენობაზე მიწის რაოდენობა არ იძლევა ა რ ა ვ ი თ ა რ წარმოდგენას, თუ მიწა არ მუშავდება (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამერიკაში დაჯგუფების საფუძვლად იღებენ არა მარტო დამუშავებულ მიწას, არამედ მიწის მთელ ფართობს, და რომ ამ ქვეყანაში დამუშავებული მიწის პროცენტი მერყეობს მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით 19-დან 91%-მდე, რაიონების მიხედვით — 27-დან 75%-მდე); — არ იძლევა ა რ ა ვ ი თ ა რ ს წ ო რ წარმოდგენას, თუ ცალკეულ მეურნეობათა შორის საგრძნობ შემთხვევაში არის არსებითი განსხვავებანიც მიწის დამუშავების წესების, მიწათმოქმედების ინტენსივობის, მემინდვრეობის სისტემების, სასუქის ოდენობის, მანქანების გამოყენების, მეცხოველეობის ხასიათის მხრივ და სხვ.

სწორედ ეს შემთხვევა აშკარად შეეხება ყ ვ ე ლ ა კაპიტალისტურ ქვეყანას და ყველა იმ ქვეყანასაც კი, რომელთა მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმი შეჭრილა.

ჩვენ ახლა ვხედავთ იმის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა და ზოგად მიზეზს, თუ რატომ ძლებენ ასე მტკიცედ მცდარი აზრები წვრილი მიწათმოქმედების «უპირატესობის» შესახებ, რატომ უთავსდებიან ასე ადვილად ამ ტიპის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ცრურწმენანი სოციალური და, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის დიდ პროგრესს უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა, ამ შეცდომათა და ცრურწმენათა სიმტკიცეს ზურგს უმაგრებს კიდევ ბურჟუაზიის ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი, რომელიც ცდილობს მიჩქმალოს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობათა სიღრმე, ხოლო როდესაც საქმე ინტერესებს ეხება, მაშინ ყველაზე უდავო ჭეშმარიტებებს, როგორც ცნობილია, სადავოდ აქცევენ.

მაგრამ ჩვენ აქ ვკმაყოფილდებით წვრილი მიწათმოქმედების «უპირატესობის» შესახებ არსებული მცდარი შეხედულების თეორიული წყაროების გარჩევით. და უეჭველია, რომ ამ წყაროებს შორის უაღრესად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს არაკრიტიკულ, რუტინულ დამოკიდებულებას იმ გაცვეთილი ხერხებისადმი, რომლებიც გულისხმობენ მეურნეობათა შედარებას მათი მხოლოდ მთელი მიწის ან დამუშავებული მიწის რაოდენობის მიხედვით.

ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ გამონაკლისს ყველა კაპიტალისტური ქვეყნებიდან იმ მხრივ, რომ აქ ჯერ კიდევ ბლომადაა დაუკავებელი, თავისუფალი, მუქთად დასარიგებელი მიწა. სოფლის მეურნეობას აქ შეუძლია კიდევ ვითარდებოდეს და მართლაც ვითარდება დაუკავებელი მიწების დატაცებით, ისეთი ახალი მიწების დამუშავებით, რომლებიც არასოდეს არ დამუშავებულა, — ვითარდება ყველაზე პრიმიტიული და ექსტენსიური მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ფორმით. არაფერი ამის მსგავსი არ არის კაპიტალისტური ევროპის ძველ, ცივილიზებულ ქვეყნებში. სოფლის მეურნეობა აქ ვითარდება უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ინტენსიურად, არა დამუშავებული მიწის რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს გადიდების საშუალებით, არამედ დამუშავების ხ ა რ ი ს ხ ი ს გაუმჯობე-

სების საშუალებით, მიწის წინანდელ რაოდენობაში დაბანდებული კაპიტალის ოდენობის გადიდების საშუალებით. და სწორედ კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარების ამ მთავარ ხაზს, — რომელიც ამერიკისთვისაც თანდათან მთავარი ხდება, — უშვებენ მხედველობიდან ისინი, ვინც კმაყოფილდება მეურნეობათა შედარებით მხოლოდ მიწის რაოდენობის მიხედვით.

კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარების მთავარი ხაზი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ წ ვ რ ი ლ ი მეურნეობა, რ ჩ ე ბ ა რ ა წ ვ რ ი ლ ა დ მიწის ფართობის მიხედვით, ი ქ ც ე ვ ა მ ს ხ ვ ი ლ მეურნეობად წარმოების ოდენობის, მეცხოველეობის განვითარების, სასუქის რაოდენობის, მანქანების გამოყენების განვითარების და სხვ. მიხედვით.

ამიტომ უთუოდ უმართებულოა ის დასკვნა, რომელსაც ღებულობენ მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფის შედარებისას მიწის რაოდენობის მიხედვით და რომელიც ამბობს, რომ მეურნეობის გადიდებასთან ერთად კლებულობს მიწათმოქმედების ინტენსივობა. პირიქით, ერთადერთი სწორია ის დასკვნა, რომელსაც ვღებულობთ სხვადასხვა მეურნეობის შედარებისას პროდუქტების ღირებულების სიდიდის მიხედვით და რომელიც ამბობს, რომ მეურნეობის ოდენობის გადიდებასთან ერთად იზრდება მიწათმოქმედების ინტენსივობა.

ვინაიდან მეურნეობის ოდენობის შესახებ მიწის რაოდენობა მოწმობს მხოლოდ არაპირდაპირ, და ეს «მოწმობა» მით უფრო ნაკლებ სარწმუნოა, რაც უფრო ფართოდ და სწრაფად ხდება მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია. ხოლო მეურნეობის პროდუქტთა ღირებულება მოწმობს მის ოდენობას არა არაპირდაპირ, არამედ პირდაპირ და ამასთან ყველა შემთხვევაში. როდესაც ლაპარაკობენ წვრილ მიწათმოქმედებაზე, ყოველთვის მხედველობაში აქვთ ისეთი მიწათმოქმედება, რომელიც ემყარება ა რ ა დაქირავებულ შრომას. მაგრამ დაქირავებული მუშების ექსპლოატაციაზე გადასვლა განპირობებულია არა მარტო მეურნეობის ფართობის გადიდებით მისი ძველი ტექნიკური საფუძვლის პირობებში, — ასე ხდება მხოლოდ ექსტენ-

სიური, პრიმიტიული მეურნეობის დროს, — არამედ არსებული ტექნიკის ამაღლებითაც, მისი გადაქცევით ძველიდან ახლად, მიწის იმავე ფართობზე დამატებითი კაპიტალის დაბანდებით, მაგალითად, ახალი მანქანებისა თუ ხელოვნური სასუქების სახით, ან პირუტყვის გადიდებისა და გაუმჯობესების სახით და სხვ.

ფერმის პროდუქტთა ღირებულების სიდიდის მიხედვით დაჯგუფება აერთიანებს იმ მეურნეობებს, რომლებიც მართლაც განსხვავდებიან წარმოების ერთნაირი ოდენობით მიუხედავად მათი მიწის რაოდენობისა. ამასთან წვრილ ნაკვეთ მიწაზე მაღალინტენსიური მეურნეობა მოექცევა ერთ ჯგუფში შედარებით ექსტენსიურ მეურნეობასთან მიწის დიდ ფართობზე; და ორივე მეურნეობა ნამდვილად მსხვილი იქნება წარმოების ოდენობითაც და დაქირავებული შრომის გამოყენების ხარისხითაც.

პირიქით, მიწის ფართობის მიხედვით დაჯგუფება აერთიანებს მსხვილ და წვრილ მეურნეობებს, რაკი ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან მიწათმფლობელობის სიდიდით, აერთიანებს წარმოების სრულიად სხვადასხვა ოდენობის მქონე მეურნეობებს, ისეთებს, რომლებშიც ჭარბობს ოჯახური შრომა, ისეთებთან, რომლებშიც ჭარბობს დაქირავებული შრომა. ამით იქმნება ძირფესვიანად არასწორი, საქმის ნამდვილი მდგომარეობის სრულიად დამამახინჯებელი სურათი, რომელიც ძალიან მოსწონს ბურჟუაზიას, — სურათი კაპიტალიზმში კლასობრივ წინააღმდეგობათა შერბილებისა. აქედან გამოდის წვრილ მიწათმოქმედთა მდგომარეობის შელამაზება, რაც არა ნაკლებ ყალბია და არა ნაკლებ მოსწონს ბურჟუაზიას, გამოდის კაპიტალიზმის აპოლოგეტიკა.

მართლაც, კაპიტალიზმის ძირითადი და მთავარი ტენდენციაა მდგომარეობს წვრილი წარმოების განდევნაში მსხვილი წარმოების მიერ, მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც. მაგრამ ეს განდევნა არ უნდა გავიგოთ მხოლოდ დაუყოვნებლივი ექსპროპრიაციის აზრით. განდევნას მიეკუთვნება აგრეთვე

გაღატაკება, რომელიც შეიძლება წლობით და ათეულ წლობით გრძელდებოდეს, წვრილ მიწათმოქმედთა მეურნეობის პირობების გაუარესება. ეს გაუარესება გამოიხატება წვრილი მიწათმოქმედის მეტისმეტი შრომით ან მისი გაუარესებული კვებითაც, ვალებით მისი დატვირთვითაც, პირუტყვის საკვების და საერთოდ მისი შენახვის გაუარესებითაც, მიწის მოვლის, დამუშავების, განოყიერებისა და სხვა პირობების გაუარესებითაც, მეურნეობის ტექნიკის შეჩერებითაც და სხვ. მეცნიერი მკვლევარის ამოცანა, თუ მას სურს არ დაბრალდეს ბურჟუაზიისადმი ნებსითი თუ უნებლიე მლიქვნელობა გაღატაკებულ და დაბეჩავებულ წვრილ მიწათმოქმედთა მდგომარეობის შელამაზებით, — მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად იმაში, რომ ზუსტად განსაზღვროს გაღატაკების ნიშნები, რომლებიც სრულიად არ განირჩევიან სიმარტივითა და ერთგვარობით; — შემდეგ იმაში, რომ გამოავლინოს ეს ნიშნები, თვალი გაადევნოს და შეძლებისამებრ აღრიცხოს მათი გავრცელების სიფართოვე, მათი ცვლილება დროში. საქმის ამ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან, მხარეს ყველაზე ნაკლებად აქცევენ ყურადღებას თანამედროვე ეკონომისტები და სტატისტიკოსები.

წარმოიდგინეთ, რომ 90 წვრილ მიწათმოქმედს, რომელთაც არ გააჩნიათ კაპიტალი თავიანთი მეურნეობის გასაუმჯობესებლად, რომელნიც ჩამორჩებიან დროებას და თანდათანობით ღატაკდებიან, სტატისტიკოსი მიუმატებს 10 მეურნეს, რომელთაც აქვთ საკმაო კაპიტალი და რომელნიც ასეთსავე წვრილ ნაკვეთებზე აჩაღებენ ოდენობით მსხვილ წარმოებას და დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ საწარმოს. საერთოდ და საშუალოდ გამოვა წვრილ მიწათმოქმედთა მთელი ასეულის მდგომარეობის შელამაზებული სურათი.

სწორედ ასეთი შელამაზებული — ამასთან, ობიექტურად, ბურჟუაზიის საამებლად შელამაზებული — სურათი მოგვცა ამერიკის 1910 წლის აღწერამ, უწინარეს ყოვლისა, იმ გარემოების გამო, რომ მან უკუაგდო 1900 წელს გამოყენებული შედარება მიწის მიხედვით დაჯგუფებისა პროდუქტის ღირე-

ბულების მიხედვით დაჯგუფებასთან. ჩვენ, მაგალითად, ვტყობილობთ მხოლოდ იმას, რომ სასუქის ხარჯები მეტის-მეტად გაიზარდა, სახელდობრ 115%-ით, ე. ი. გაიზარდა ორჯერ და მეტად, მაშინ როდესაც დაქირავებული შრომის ხარჯები გაიზარდა მხოლოდ 82%-ით, ხოლო მოსავლის მთელი ღირებულება გაიზარდა 83%-ით. პროგრესი ძალიან დიდია. პროგრესი სახალხო მიწათმოქმედებისა. და, შეიძლება, რომელიმე ეკონომისტმა გააკეთოს, თუ უკვე არ გაუკეთებია, დასკვნა: პროგრესი წვრილი «შრომითი» მიწათმოქმედებისაო, ვინაიდან, საერთოდ რომ ვთქვათ, მონაცემები მიწის მიხედვით მეურნეობათა ჯგუფების შესახებ გვიჩვენებენ, რომ «წვრილი» მიწათმოქმედება გაცილებით მაღლა დგას სასუქის იმ ხარჯების სიდიდით, რაც 1 აკრ მიწაზე მოდის.

მაგრამ ჩვენ ახლა ვიცით, რომ ასეთი დასკვნა ყალბი იქნებოდა, ვინაიდან მიწის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფება აერთიანებს სწორედ გაღატაკების გზაზე მდგარ ან, ყოველ შემთხვევაში, გაჭირვებით დაბეჩავებულ წვრილ მიწათმოქმედთ, რომელთაც საშუალება არა აქვთ იყიდონ სასუქი, და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ს, თუნდაც წვრილს, მაგრამ მაინც კაპიტალისტებს, რომელნიც მიწის წვრილ ნაკვეთზე აწყობენ გაუმჯობესებულ, ინტენსიურ, მსხვილ მეურნეობას დაქირავებული მუშებით.

თუ საზოგადოდ წვრილ მიწათმოქმედებას აძევებს მსხვილი მიწათმოქმედება, როგორც გვიჩვენებენ 1900 და 1910 წლების მონაცემები ფერმების მთელი ქონების ღირებულების შესახებ; — თუ ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებით ჩქარა განვითარდნენ, როგორც ახლავე დავინახავთ, მაღალ-კაპიტალისტური კულტურები მიწის წვრილ ნაკვეთებზე; — თუ იმ საერთო მონაცემების თანახმად, რომელნიც ეხებიან წვრილ და მსხვილ მეურნეობებს პროდუქტთა ღირებულების სიდიდის მიხედვით, სასუქის ხარჯები მატულობს მეურნეობის ოდენობის გადიდებისდაკვალად,—აქედან აუცილებლად გამომდინარეობს დასკვნა, რომ «პროგრესმა» სასუქის გამოყენების საქმეში 1900-დან 1910 წლამდე კიდევ უფრო გააძლიერა კაპიტალის-

ტური მიწათმოქმედების უპირატესობა წვრილი მიწათმოქმედების მიმართ, კიდევ უფრო შეავიწროვა და დაბეჩავა ეს უკანასკნელი.

12. მეურნეობათა სხვადასხვა ტიპები მიწათმოქმედებაში

ის, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით ინტენსიურ, მსხვილ, კაპიტალისტურ მეურნეობათა შესახებ მიწის წვრილ ნაკვეთებზე, იწვევს ასეთ კითხვას: არის თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციამ უნდა მიგვიყვანოს მეურნეობაში მიწის რაოდენობის შემცირებამდე? სხვა სიტყვებით, არის თუ არა ისეთი პირობები, რომელნიც შეეხებიან თვით თანამედროვე მიწათმოქმედების ტექნიკას და რომელნიც მოითხოვენ მეურნეობაში მიწის ფართობის ოდენობის შემცირებას მიწათმოქმედების ინტენსივობის გასადიდებლად?

ამ კითხვაზე პასუხის მოცემა არ შეუძლია არც ზოგად თეორიულ მოსაზრებებს და არც მაგალითებს. ლაპარაკია ტექნიკის კონკრეტულ სიმაღლეზე მიწათმოქმედების მოცემულ პირობებში და მეურნეობის ამა და ამ სისტემისათვის საჭირო კაპიტალის კონკრეტულ სიდიდეზე. თეორიაში წარმოსადგენია კაპიტალის ყოველი ოდენობის ყოველგვარი გამოყენება მიწის ყოველ რაოდენობაზე, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ «ეს დამოკიდებულია» არსებულ ეკონომიურ, ტექნიკურ, კულტურულ და სხვ. პირობებზე, და მთელი საქმე სწორედ ისაა, თუ როგორი პირობები არსებობს ამა თუ იმ დროს ამა თუ იმ ქვეყანაში. მაგალითები გამოუსადეგარია იმიტომ, რომ ისეთ რთულ, სხვადასხვაგვარ, დახლართულ და წინააღმდეგურ ტენდენციათა სფეროში, როგორიც თანამედროვე მიწათმოქმედების ეკონომიკაა, ყოველთვის შეიძლება მოინახოს მაგალითები საწინააღმდეგო შეხედულებათა დასამტკიცებლად. აქ საჭიროა პირველ რიგში და უფრო მეტად, ვიდრე სადმე, პროცესის გამოსახვა მ თ ლ ი ა ნ ა დ, ყველა ტენდენციის გათვალისწინება და მათი ტოლქმედის ან მათი ჯამის, მათი შედეგის განსაზღვრა.

დაჯგუფების მესამე სისტემა, გამოყენებული ამერიკელი სტატისტიკოსების მიერ 1900 წელს, გვეხმარება დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში. ესაა დაჯგუფება შემოსავლის მთავარი წყაროს მიხედვით. ყველა ფერმა ამ ნიშნის მიხედვით დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: 1) თივა და პურეული, როგორც შემოსავლის მთავარი წყაროები; 2) შერეულნი; 3) მეცხოველეობა; 4) ბამბა; 5) ბოსტნეული; 6) ხილი; 7) რძის პროდუქტები; 8) თამბაქო; 9) ბრინჯი; 10) შაქარი; 11) ყვავილები; 12) სასათბურო პროდუქტები; 13) ტარო; 14) ყავა. უკანასკნელი შვიდი კატეგორია (8 — 14) ყველა ერთად იძლევა ფერმათა საერთო რიცხვის მხოლოდ 2,2%-ს, ე. ი. ისეთ უმნიშვნელო ნაწილს, რომ მათზე ცალკე არ შევჩერდებით. თავისი ეკონომიური ხასიათით და მნიშვნელობით ეს კატეგორიები (8 — 14) სავსებით ერთგვაროვანია სამ წინა კატეგორიასთან (5 — 7) და ერთად შეადგენენ ერთ ტიპს.

აი მონაცემები სხვადასხვა ტიპის ფერმების დასახასიათებლად:

ფერმათა ჯგუფები შემოსავლის მთავარი წყაროს მიხედვით:	პროცენტი ფერმათა საერთო რიცხვის მიმართ	მთელი დამუშავებული მიწის საშუალო რაოდენობა 1 ფერმაზე		მოდის საშუალოდ მთელი მიწის 1 აკრზე (დოლ.)			
				დაქირავებული მუშახელის ხარჯები	სასუქის ხარჯები	მარცვალ-ეულობის ღირებულება	მთელი პროდუქციის ღირებულება
თივა და პურეული	23,0	159,3	111,1	0,47	0,04	1,04	3,17
შერეულნი	18,5	106,8	46,5	0,35	0,08	0,94	2,73
მეცხოველეობა	27,3	226,9	86,1	0,29	0,02	0,66	4,45
ბამბა	18,7	83,6	42,5	0,30	0,14	0,53	2,11
ბოსტნეული	2,7	65,1	33.8	1,62	0,59	2,12	3,74
ხილი	1,4	74,8	41,6	2,46	0,30	2,34	3,35
რძის პროდ.	6,2	121,9	63,2	0,86	0,09	1,66	5,58
საერთოდ ყველა ფერმა	100,0	146,6	72,3	0,43	0,07	0,90	3,66

ჩვენ ვხედავთ, რომ პირველ ორ კატეგორიას (თივა და პურეული; შერეულნი) შეიძლება ეწოდოს საშუალო, როგორც

მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათის განვითარების ხარისხის (დაქირავებული შრომის ხარჯები ყველაზე უფრო უახლოვდება საშუალოს: 0,35 — 0,47, მაშინ როდესაც მთელი შეერთებული შტატებისათვის საშუალოა 0,43), ისე მიწათმოქმედების ინტენსივობის მიხედვით. მეურნეობის ინტენსივობის ყველა ნიშანი — სასუქის ხარჯები, მანქანებისა და პირუტყვის ღირებულება 1 აკრ მიწაზე — ყველაზე უფრო უახლოვდება საერთო საშუალოს მთელი შეერთებული შტატებისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ორივე ეს ჯგუფი განსაკუთრებით ტიპიურია საზოგადოდ სამიწათმოქმედო მეურნეობათა უმრავლესობისათვის. თივა და პურეული, შემდეგ მიწათმოქმედების სხვადასხვა პროდუქტის შეერთება — (შემოსავლის «შერეული» წყაროები) — ასეთია სამიწათმოქმედო მეურნეობათა მთავარი ტიპები ყველა ქვეყანაში. მეტად საინტერესო იქნებოდა გვქონოდა უფრო დაწვრილებითი მონაცემები ამ ჯგუფების შესახებ, მაგალითად, დაგვეყო ისინი უფრო ნაკლებად და უფრო მეტად მოვაჭრე ჯგუფებად და სხვ. ამერიკის სტატისტიკამ, როგორც ვნახეთ, თუმცა ერთი ნაბიჯი კი გადადგა ამ მიმართულებით, მაგრამ შემდეგ უკან წავიდა და არა წინ.

ორი შემდეგი კატეგორია, მეცხოველეობა და ბამბა, გვიჩვენებს ყველაზე ნაკლებ კაპიტალისტურ (დაქირავებული შრომის ხარჯია 0,29 — 0,30, მაშინ როდესაც საშუალოა 0,43) და ყველაზე ნაკლები ინტენსიური მიწათმოქმედების მქონე ფერმათა ნიმუშს. მანქანა-იარაღების ღირებულების სიდიდე აქ უმცირესი და საშუალოზე (0,66 და 0,53 წინააღმდეგ 0,90-ისა) საგრძნობლად დაბალია. ფერმები, რომელთა მთავარ შემოსავალს შეადგენს მეცხოველეობა, რასაკვირველია, გვიჩვენებენ პირუტყვის მეტ რაოდენობას 1 აკრ მიწაზე, ვიდრე საშუალო რიცხვებია შეერთებული შტატებისათვის (4,45 წინააღმდეგ 3,66-ისა), მაგრამ ეს, როგორც ეტყობა, ექსტენსიური მეცხოველეობაა: სასუქის ხარჯი მინიმალურია, ფერმების საშუალო ოდენობა ყველაზე დიდი (226,9 აკრი), დამუშავებული

მიწის წილი (86,1 აკრი 226,9-დან) ყველაზე ნაკლები. ბამბის ფერმები გვიჩვენებენ სასუქის ოდენობას საშუალოზე მეტს, მაგრამ მიწათმოქმედების ინტენსივობის დანარჩენი ნიშნები (პირუტყვისა და მანქანების ღირებულება 1 აკრ მიწაზე) აქ მინიმალურად დაბალია.

ბოლოს, უკანასკნელი სამი თანრიგი — ბოსტნეული, ხილი, რძის პროდუქტები — შეიცავს ფერმებს, ჯერ-ერთი, ყველაზე წვრილს (33 — 63 აკრი დამუშავებული მიწა წინააღმდეგ 42 — 86, 46 — 111-ისა სხვა კატეგორიებში); მეორე, ყველაზე კაპიტალისტურს: დაქირავებული შრომის ხარჯი უმაღლესია, საშუალოზე 2 — 6-ჯერ უფრო მაღალი; მესამეც, ყველაზე ინტენსიურს. მიწათმოქმედების ინტენსივობის თითქმის ყველა ნიშანი აქ საშუალოზე მაღალია: სასუქის ხარჯიც, მანქანების ღირებულებაც და პირუტყვის ღირებულებაც (მცირე გამონაკლისია ხილის ფერმები, რომელნიც ამ მხრივ ჩამოუვარდებიან საშუალოებს, მაგრამ იმ ფერმებზე მაღლა დგანან, რომელნიც შემოსავალს ღებულობენ უმთავრესად თივისა და პურეულისაგან).

ახლა ჩვენ გადავალთ იმ საკითხზე, თუ ქვეყნის საერთო მეურნეობაში სახელდობრ რა წილი უდევთ ამ მაღალ-კაპიტალისტურ ფერმებს. მაგრამ ჯერ ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ მათს უფრო ინტენსიურ ხასიათზე.

ავიღოთ ფერმები, რომელნიც მთავარ შემოსავალს ღებულობენ ბოსტნეულისაგან. ცნობილია, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ქალაქების, ფაბრიკების, სამრეწველო დაბების, სარკინიგზო სადგურების, ნავსადგურებისა და სხვათა განვითარება იწვევს გაძლიერებულ მოთხოვნილებას ამგვარ პროდუქტებზე, ადიდებს მათ ფასს, ზრდის იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რიცხვს, რომელნიც მათ გასაყიდად ამზადებენ. საშუალო «საბოსტნე» ფერმა სამჯერ და მეტად უფრო ნაკლებია დამუშავებული მიწის რაოდენობით, ვიდრე «ჩვეულებრივი» ფერმა, რომელიც შემოსავალს ღებულობს უმთავრესად თივისა და პურეულისაგან: პირველს აქვს 33,8 აკრი, მეორეს — 111,1. მაშასადამე, ეს ტექნიკა, მიწათ-

მოქმედებაში კაპიტალის მოცემული დაგროვების დროს, მოითხოვს «საბოსტნე» ფერმის უფრო ნაკლებ ოდენობას; სხვა სიტყვებით, მიწათმოქმედებაში კაპიტალი რომ დავაბანდოთ და საშუალოზე არანაკლები მოგება მივიღოთ, საჭიროა ტექნიკის არსებული მდგომარეობის დროს მოვაწყოთ მეურნეობა ბოსტნეულის საწარმოებლად მიწის უფრო ნაკლებ ფართობზე, ვიდრე თივისა და პურეულის საწარმოებლად.

ეს კიდევ ცოტაა. კაპიტალიზმის ზრდა მიწათმოქმედებაში უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს ნატურალური მიწათმოქმედებიდან სავაჭრო მიწათმოქმედებაზე გადასვლაში. ამას მუდამ ივიწყებენ და საჭირო ხდება მისი ისევ და ისევ დაჟინებითი აღნიშვნა. ხოლო სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება სრულიადაც არ მიდის იმ «მარტივი» გზით, რომელიც ბურჟუაზიული ეკონომისტების წარმოდგენას ესახება ან რომელსაც ისინი გულისხმობენ, — იმავე პროდუქტთა წარმოების გადიდების გზით. არა. სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება ძალიან ხშირად მდგომარეობს ერთი სახის პროდუქტთაგან სხვა პროდუქტებზე გადასვლაში. თივისა და პურეულის წარმოებიდან ბოსტნეულის წარმოებაზე გადასვლა ეკუთვნის სწორედ ასეთ ჩვეულებრივ გადასვლათა რიცხვს. ხოლო რას ნიშნავს ასეთი გადასვლა ჩვენთვის საინტერესო საკითხში მეურნეობის მიწის ფართობის სიდიდისა და მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის ზრდის შესახებ?

ეს გადასვლა ნიშნავს 111,1 აკრის მქონე «მსხვილი» ფერმის დანაწილებას სამზე უფრო მეტ «წვრილ», 33,8 აკრის მქონე, ფერმად. ძველი ფერმის წარმოება იყო 760 დოლარი — პროდუქტთა საშუალო ღირებულება, პირუტყვის საკვების გამოკლებით, ისეთ ფერმაში, რომლის მთავარ შემოსავალს შეადგენს თივა და პურეული. თვითეული ახალი ფერმის წარმოება უდრის 665 დოლარს. საერთოდ, მაშასადამე, 665 × 3 = 1 995 დოლარს, ე. ი. წინანდელზე ორჯერ და უფრო მეტს.

წვრილი წარმოება იდევნება მსხვილის მიერ მეურნეობის მიწის რაოდენობის შემცირების პირობებში.

მუშათა დაქირავების საშუალო ხარჯი ძველ ფერმაში უდრიდა 76 დოლარს, ახალში 106 დოლარს — თითქმის ერთ-ნახევარჯერ უფრო მეტს, მიწის ფართობის სამჯერ და კიდევ უფრო მეტად შემცირების პირობებში. სასუქის ხარჯი 0,04 დოლარიდან აკრზე დიდდება 0,59 დოლარამდე, თითქმის 15-ჯერ, მანქანა-იარაღების ღირებულება — ორჯერ, 1,04 დოლარიდან 2,12 დოლარამდე და ა. შ.

ჩვენ გვეტყვიან, როგორც ამბობენ ჩვეულებრივ, რომ სპეციალური, «სავაჭრო» კულტურების მქონე ასეთ მაღალ-კაპიტალისტურ ფერმათა რიცხვი სრულიად უმნიშვნელოა ფერმების საერთო რიცხვთან შედარებითო. მაგრამ ჩვენ ვუპასუხებთ, რომ, ჯერ-ერთი, ამგვარი ფერმების რიცხვი და რ ო ლ ი, მათი სამეურნეო როლი, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საერთოდ ფიქრობენ; მეორე კი — და ეს მთავარია — ს წ ო რ ე დ ა ს ე თ ი კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი იზრდება დანარჩენებზე უ ფ რ ო ს წ რ ა ფ ა დ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამიტომაც მეურნეობაში მიწის რაოდენობის შემცირება მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პროცესის არსებობის პირობებში ნიშნავს სწორედ ძალიან ხშირად წარმოების ფარგლების გადიდებას და არა შემცირებას, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის გადიდებას და არა შემცირებას.

აი ამის შესახებ ამერიკული სტატისტიკის ზუსტი მონაცემები, რომლებიც შეეხება მთელ ამ ქვეყანას საერთოდ. ვიღებთ ყ ვ ე ლ ა სპეციალურ ან «სავაჭრო» კულტურას, რომელიც ჩამოთვლილია ზემოთ 5 — 14 სვეტში: ბოსტნეული, ხილი, რძის პროდუქტები, თამბაქო, ბრინჯი, შაქარი, ყვავილები, სასათბურო პროდუქტები, ტარო და ყავა. მთელი რიცხვი ფერმებისა, — იმ ფერმებისა, რომლებისთვისაც შემოსავლის მ თ ა ვ ა რ ი წყარო იყო ეს პროდუქტები, —1900 წელს შეერთებულ შტატებში შეადგენდა ფერმების საერთო რიცხვის 12,5%-ს. მაშასადამე, პატარა უმცირესობა, ერთი მერვედი. სულ მათ მიწა ჰქონდათ მიწის საერთო რაოდენობის 8,6% — სულ 1/12. მაგრამ გავყვეთ ქვევით. ავიღოთ მთელი ამერიკის მიწათმოქმედების პროდუქტთა მთელი ღირებულება,

პირუტყვის საკვების გამოკლებით. ამ ღირებულებიდან ხსენებული ფერმების წილად მოდის უკვე 16,0%, ე. ი. წილი, რომელიც თითქმის ორჯერ აღემატება მიწის წილს.

მაშასადამე, შრომისა და მიწის ნაყოფიერება ამ ფერმებში საშუალოზე თითქმის ორჯერ მაღალია.

ავიღოთ დაქირავებული შრომის ყველა ხარჯის ჯამი ამერიკის მიწათმოქმედებაში. ამ ჯამიდან დასახელებული ფერმების წილად მოდის 26,6%, ე. ი. მეოთხედზე მეტი; ეს წილი სამჯერ და უფრო მეტად აღემატება მიწის წილს, სამჯერ და უფრო მეტად მაღალია საშუალოზე. მაშასადამე, ამ ფერმების კაპიტალისტური ხასიათი საშუალოზე გაცილებით უფრო მაღალია.

მათი წილი მანქანა-იარაღების საერთო ღირებულებაში უდრის 20,1%-ს, ხოლო სასუქის ხარჯების საერთო ჯამში — 31,7%-ს, ე. ი. საერთო ჯამის მ ე ს ა მ ე დ ზ ე ცოტა უფრო ნაკლებს, საშუალოზე თითქმის ო თ ხ ჯ ე რ უფრო მეტს.

შედეგად, მაშასადამე, ჩვენ ვიღებთ იმ უცილობელ და მთლიანად მთელი ქვეყნისთვის დამტკიცებულ ფაქტს, რომ განსაკუთრებით ინტენსიური ფერმები განირჩევიან ფერმაში მიწის განსაკუთრებით მცირე რაოდენობით და დაქირავებული შრომის განსაკუთრებით დიდი გამოყენებით, შრომის განსაკუთრებით მაღალი ნაყოფიერებით; — რომ ამ ფერმების სამეურნეო როლი ამ ქვეყნის მთელ მიწათმოქმედებაში ორსამჯერ და მეტადაც აღემატება მათ წილს ფერმების საერთო ჯამში, რომ აღარ ვილაპარაკოთ უკვე მიწის საერთო რაოდენობაზე.

კლებულობს თუ იზრდება დროში ამ მაღალ-კაპიტალისტური და მაღალ-ინტენსიური კულტურებისა და ფერმების როლი დანარჩენ კულტურებსა და ფერმებს შორის სოფლის მეურნეობაში?

ორი უკანასკნელი აღწერის შედარება პასუხს იძლევა უთუოდ ამ როლის გ ა დ ი დ ე ბ ი ს აზრით. ავიღოთ სხვადასხვა კულტურის მიწის ფართობი. 1900-დან 1910 წლამდე ყველა სახის მარცვლოვანი პურეულის მიწის ფართობი შეერ-

თებულ შტატებში გაიზარდა სულ 3,5%-ით; — ცერცვეულისა, მუხუდოსი და სხვ. — 26,6%-ით; — თივისა და საკვები ბალახებისა — 17,2%-ით; — ბამბისა — 32,0%-ით; — ბოსტნეულისა — 25,5%-ით; — შაქრის ჭარხლისა, შაქრის ლერწმისა და სხვ. — 62,6%-ით.

ავიღოთ მონაცემები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შესახებ. ყველა მარცვლოვანი პურეულის მოსავლის ჯამი 1900-დან 1910 წლამდე გაიზარდა სულ 1,7%-ით; — ცერცვეულისა — 122,2%-ით; — თივის და საკვები ბალახებისა — 23,0%-ით; — შაქრის ჭარხლისა — 395,7%-ით; შაქრის ლერწმისა — 48,5%-ით; — კარტოფილისა — 42,4%-ით; — ყურძნისა — 97,6%-ით; კენკრის, ვაშლისა და სხვ. მოუსავლობა 1910 წელს ხდება, მაგალითად, ფორთოხლის, ლიმონის მოსავლის გასამკეცების გვერდით; და ა. შ.

ამრიგად, ამერიკის მთელი მიწათმოქმედების მიმართ დამტკიცებულია ის, თითქოს პარადოქსული და მიუხედავად ამისა უეჭველი ფაქტი, რომ არა მარტო ხდება, საზოგადოდ რომ ვთქვათ, წვრილი წარმოების განდევნა მსხვილი წარმოების მიერ, არამედ რომ ეს განდევნა ხდება აგრეთვე შემდეგი ფორმითაც:

წვრილ წარმოებას დევნის მსხვილი წარმოება მიწის ფართობით უფრო «წვრილი», მაგრამ უფრო ნაყოფიერი, უფრო ინტენსიური და უფრო კაპიტალისტური ფერმების მიერ მიწის ფართობით უფრო «მსხვილი», მაგრამ ნაკლებ ნაყოფიერი, ნაკლებ ინტენსიური და ნაკლებ კაპიტალისტური ფერმების განდევნის გზით.

13. როგორ ამცირებენ მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების განდევნას მიწათმოქმედებაში

ჩვენ შეიძლება შეგვეკამათონ: თუ წვრილი წ ა რ მ ო ე ბ ი ს განდევნა ხდება «აგრეთვე» უფრო წვრილ ფ ე რ მ ე ბ შ ი მეურნეობის ინტენსიფიკაციის (და «კაპიტალიზაციის») ფორ-

მით, მაშინ შეიძლება განა საერთოდ რაიმესთვის გამოსადეგად ჩავთვალოთ დაჯგუფება მიწის რაოდენობის მიხედვით? ხომ არ მივიღებთ მაშინ ორი მოპირდაპირე ტენდენციის არსებობას და რაიმე ზოგადი დასკვნის გამოყვანის შეუძლებლობას?

ამაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა წარმოვიდგინოთ მ თ ლ ი ა ნ ა დ ამერიკის მიწათმოქმედებისა და მისი ევოლუციის მთელი სურათი. ამისათვის საჭიროა ვცადოთ და შევადაროთ, შევუპირისპიროთ ერთმანეთს ყველა სამი დაჯგუფება, რომელნიც წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, იმის მაქსიმუმს, რაც მოგვცა სოციალურმა სტატისტიკამ სოფლის მეურნეობის დარგში უკანასკნელი წლების განმავლობაში.

ასეთი შედარება და შეპირისპირება შესაძლებელია. იგი მოითხოვს მხოლოდ ცხრილის შედგენას, რომელიც პირველი შეხედვით შეიძლება ძალიან აბსტრაქტული და რთული გვეჩვენოს და მით «დააფრთხოს» მკითხველი. მაგრამ შედარებით მცირე ყურადღება თუ იქნება მიქცეული, ამ ცხრილის «წაკითხვა», შეთვისება და ანალიზი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

სამი სხვადასხვა დაჯგუფების შესადარებლად უნდა ავიღოთ მხოლოდ პ რ ო ც ე ნ ტ უ ლ ი შ ე ფ ა რ დ ე ბ ა სხვადასხვა ჯგუფს შორის. ყველა სათანადო გამოანგარიშება მოცემულია 1900 წლის ამერიკულ აღწერაში. თვითეული დაჯგუფება ჩვენ დაგვყავს ს ა მ მთავარ ჯგუფამდე. მიწის რაოდენობის მიხედვით, ჩვენ ვიღებთ: 1) წვრილ ფერმებს (100 აკრამდე); 2) საშუალო ფერმებს (100 — 175 აკრამდე) და 3) მსხვილ ფერმებს (175 და მეტი აკრი). პროდუქტის ღირებულების მიხედვით, ჩვენ ვიღებთ: 1) არაკაპიტალისტურ ფერმებს (500 დოლარამდე); 2) საშუალო ფერმებს (500 — 1 000 დოლარი) და 3) კაპიტალისტურ ფერმებს (1 000 და მეტი დოლარი). შემოსავლის მთავარი წყაროს მიხედვით, ჩვენ ვიღებთ: 1) სუსტ-კაპიტალისტურ ფერმებს (პირუტყვი; ბამბა); 2) საშუალო ფერმებს (თივა და პურეული; შერეული) და 3) მაღალ-კაპიტალისტურ ფერმებს (ის სპეციალური, «სა-

ვაჭრო» კულტურები, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოთ, § 12-ში, 5 — 14 რუბრიკებში).

თვითეული ჯგუფისათვის ჩვენ ვიღებთ უწინარეს ყოვლისა ფერმათა პროცენტს, ე. ი. მოცემული ჯგუფის ფერმათა რიცხვის პროცენტულ შეფარდებას საერთოდ შეერთებული შტატების ფერმათა საერთო რიცხვთან. შემდეგ, მთელი მიწის პროცენტს, ე. ი. მოცემული ჯგუფის მთელი მიწის რაოდენობის პროცენტულ შეფარდებას შეერთებული შტატების ყველა ფერმის მიწის მთელ რაოდენობასთან. მიწის რაოდენობა შეიძლება გამოდგეს მეურნეობის ექსტენსიური ოდენობის მაჩვენებლად (სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაშია მონაცემები მხოლოდ მ თ ე ლ ი მიწის და არა მარტოოდენ დამუშავებული მიწის შესახებ, რაც უფრო ზუსტი იქნებოდა). თუ მთელი მიწის პროცენტული წილი ფერმათა რიცხვის პროცენტულ წილზე მ ა ღ ა ლ ი ა, მაგალითად, ფერმების 17,2%-ზე მოდის მიწის 43,1%, — ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მსხვილ ფერმებთან, საშუალოზე მსხვილ ფერმებთან, ამასთან საშუალოზე ორჯერ და უფრო მეტად მსხვილ ფერმებთან. თუ მიწის პროცენტი ფერმათა პროცენტზე დ ა ბ ა ლ ი ა, მაშასადამე — დასკვნა საწინააღმდეგოა.

შემდეგ, ვიღებთ მეურნეობის ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ი ს მაჩვენებლებს, მანქანა-იარაღების ღირებულებას და სასუქის ხარჯების საერთო ჯამს. აქაც ვიღებთ ღირებულების და ხარჯების ჯამის პროცენტულ წილს, რაც მოცემულ ჯგუფზე მოდის მთელი ქვეყნისათვის საერთო სიდიდიდან. აქაც, თუ ეს პროცენტი მ ი წ ი ს პროცენტზე მ ე ტ ი ა, ვღებულობთ დასკვნას, რომ ინტენსივობა საშუალოზე მ ა ღ ა ლ ი ა, და ა. შ.

ბოლოს, მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათის ზუსტად განსაზღვრისათვის იგივე ხერხი იხმარება ხელფასის ხარჯების საერთო ჯამის მიმართ, ხოლო წარმოების ოდენობის განსაზღვრისათვის — მთელი ქვეყნის მიწათმოქმედების პროდუქტთა ღირებულების საერთო სიდიდის მიმართ.

ამნაირად არის შედგენილი შემდეგი ცხრილი, რომლის განმარტებასა და გარჩევაზეც გადავდივართ.

სამი დაჯგუფების შეპირისპირება:

(ციფრები ნიშნავს პროცენტს ჯამის მიმართ; სამი ჰორიზონტალური გრაფის ჯამი = 100)

	ფერმის შემოსავლის მთავარი წყაროს მიხედვით			ფერმის მიწის რაოდენობის მიხედვით			ფერმის პროდუქტის ღირებულების მიხედვით			
	სუფთა-კაპიტალისტური	საშუალო	მცირე-კაპიტალისტური	წვრილი	საშუალო	მსხვილი	არაკაპიტალისტური	საშუალო	კაპიტალისტური	
ფერმათა რიცხვი	46,0	41,5	12,5	57,5	24,8	17,7	58,8	24,0	17,2	მეურნეობის ექსტენსიური ოდენობის მაჩვენებელი
მთელი მიწის რაოდენობა აკრობით	52,9	38,5	8,6	17,5	22,9	59,6	33,3	23,6	43,1	
ფასდებული კაპიტალი: მანქანა-იარაღებ-ს ღირებულება	37,2	42,7	20,1	31,7	28,9	39,4	25,3	28,0	46,7	მეურნეობის ინტენსივობის მაჩვენებელი
ფასდებული კაპიტალი: სასუქის ხარჯები	36,5	31,8	31,7	41,9	25,7	32,4	29,1	26,1	44,8	
ცვალებადი კაპიტალი: მუშათა დაქირავების ხარჯები	35,2	38,2	26,6	22,3	23,5	54,2	11,3	19,6	69,1	მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათის მაჩვენებელი
ფარმების ოდენობა: პროდუქტის ღირებულება	45,0	39,0	16,0	33,5	27,3	39,2	22,1	25,6	52,3	

ავიღოთ პირველი დაჯგუფება: შემოსავლის მთავარი წყაროს მიხედვით. აქ ფერმები განაწილებულია, ასე ვთქვათ, სოფლის მეურნეობის სპეციალობის მიხედვით — რამდენადმე იმგვარად, როგორც სამრეწველო საწარმონი ნაწილდებიან მრეწველობის დარგების მიხედვით. ოღონდ მიწათმოქმედებაში საქმე გაცილებით უფრო რთულია.

პირველი სვეტი გვიჩვენებს სუსტ-კაპიტალისტურ ფერმათა ჯგუფს. ეს ჯგუფი მოიცავს ფერმათა მთელი რიცხვის თითქმის ნახევარს — 46,0%-ს. მიწა მათ აქვთ 52,9%, ე. ი. ისინი საშუალოზე მსხვილი მეურნეობანი არიან (აქ შეერთებულია განსაკუთრებით მსხვილი, ექსტენსიური, მეცხოველეობის მეურნეობანი და საშუალოზე ნაკლები ოდენობის ბამბის ფერმები). მანქანების ღირებულების (37,2%) და სასუქის ხარჯების ჯამის (36,5%) პროცენტული წილი ნაკლებია მიწის პროცენტულ წილზე: მაშასადამე, ინტენსივობა საშუალოზე დაბალია. იგივეა — მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათი (35,2%) და პროდუქტის ღირებულება (45,0%). შრომის ნაყოფიერება საშუალოზე დაბალია.

მეორე სვეტი — საშუალო ფვრმებია. სწორედ იმიტომ, რომ საშუალო ჯგუფში, ყ ვ ე ლ ა სამი დაჯგუფების მიხედვით, ხვდებიან ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ «საშუალო» მეურნეობანი, ჩვენ აქ ვხედავთ ყ ვ ე ლ ა პროცენტული შეფარდების უდიდეს სიახლოვეს ერთმანეთთან. მერყეობა შედარებით დიდი არაა.

მესამე სვეტი — მაღალ-კაპიტალისტური ფერმებია. ჩვენ ზემოთ უკვე დაწვრილებით გავარჩიეთ ამ სვეტის ციფრების მნიშვნელობა. უნდა შევნიშნოთ, რომ მ ხ ო ლ ო დ ამ ტიპის ფერმების შესახებ მოგვეპოვება ზუსტი და შესადარისი მონაცემები როგორც 1900, ისე 1910 წლისთვის, მონაცემები, რომლებიც მოწმობს, რომ ეს მაღალ-კაპიტალისტური კულტურები საშუალოზე უფრო ჩქარა იზრდება.

როგორ გავლენას ახდენს ეს უფრო ჩქარი ზრდა ქვეყნების უმეტეს ნაწილში ჩვეულებრივ დაჯგუფებაზე? ამას გვიჩვენებს შემდეგი სვეტი: წვრილ ფერმათა ჯგუფი მიწის რაოდენობის მიხედვით დაჯგუფებაში.

ეს ჯგუფი ძალიან დიდია ფერმათა რიცხვის მიხედვით (საერთო რიცხვის 57,5%). მიწა მას აქვს საერთო რიცხვის სულ 17,5%, ე. ი. საშუალოზე სამჯერ და უფრო მეტად ნაკლები. მაშასადამე, ეს — ყველაზე უფრო «მცირემიწიანი», ყველაზე უფრო «ღარიბი» ჯგუფია. მაგრამ ქვევით ჩვენ ვხედავთ, რომ

მიწათმოქმედების ინტენსივობაც (მანქანების ღირებულება და სასუქის ხარჯები), მისი კაპიტალისტური ხასიათიც (მუშათა დაქირავების ხარჯები) და შრომის ნაყოფიერებაც (პროდუქტის ღირებულება) აქ საშუალოზე მაღალია: 22,3 — 41,9%, მიწის 17,5%-ის პირობებში.

რაშია საქმე? ცხადია: იმაში, რომ განსაკუთრებით ბევრი მაღალ-კაპიტალისტური ფერმა — იხილე წინა ვერტიკალური სვეტი — ხვდება სწორედ ამ, მიწის რაოდენობით, «წვრილ» ჯგუფში. ნამდვილად წვრილ მიწათმოქმედთა უმრავლესობას, რომელთაც მიწაც ცოტა აქვთ და კაპიტალიც ცოტა, ემატება აქ მდიდარ, კაპიტალით ძლიერ მეურნეთა უმცირესობა, რომლებმაც მიწის წვრილ ნაკვეთებზე მოაწყვეს წარმოების ოდენობით მსხვილი და თავისი ხასიათით კაპიტალისტური მეურნეობა. ასეთი მეურნენი მთელ ამერიკაში სულ არის 12,5% (=მაღალ-კაპიტალისტურ ფერმათა პროცენტი); მაშასადამე, ყველა ისინი კიდეც რომ შესულიყვნენ მხოლოდ ერთ, მიწის რაოდენობის მიხედვით წვრილ ფერმათა ჯგუფში, — ამ ჯგუფში დარჩებოდა (57,5 — 12,5=) 45% მეურნეთა, რომელთაც არც მიწის საკმარისი რაოდენობა ექნებოდათ და არც კაპიტალი. ნამდვილად კი, ცხადია, მაღალ-კაპიტალისტურ ფერმათა ნაწილი, თუმცა მცირე ნაწილი, ეკუთვნის მიწის რაოდენობის მიხედვით საშუალო და მსხვილ ფერმებს, ასე რომ ციფრი 45% კიდევ ამცირებს უკაპიტალო და მცირემიწიანი ფერმერების ნამდვილ რიცხვს.

ადვილი დასანახავია, რამდენად შელამაზებული ხდება ამ ორმოცდახუთი პროცენტის, — minimum 45%-ის, — მიწითაც და კაპიტალითაც ყველაზე უფრო ბედკრულ ფერმერთა მდგომარეობა მათთან ერთ ჯგუფში იმ მეურნეთა რაღაც 12, 10 და სხვ. პროცენტის ჩართვით, რომელნიც საშუალოზე უფრო მეტი ოდენობით არიან მომარაგებულნი კაპიტალით, იარაღებით, მანქანებით, ფულადი თანხებით სასუქის შესაძენად, მუშების დასაქირავებლად და სხვ.

ცალკე არ შევჩერდებით ამ დაჯგუფების საშუალო და მსხვილ ფერმებზე. ეს იქნებოდა, ოდნავ შეცვლილი სიტყვე-

ბით, განმეორება ნათქვამისა წვრილი ფერმების შესახებ. მაგალითად, თუ მონაცემები მიწის რაოდენობის მიხედვით წვრილი ფერმების შესახებ ალამაზებენ წვრილი წ ა რ მ ო ე ბ ი ს დაბეჩავებულ მდგომარეობას, სამაგიეროდ, მონაცემები იმავე ნიშნის მიხედვით მსხვილი ფერმების შესახებ, ცხადია, ა მ ც ი რ ე ბ ე ნ სოფლის მეურნეობის ნამდვილ კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ა ს მსხვილი წარმოების მიერ. ჩვენ ახლავე დავინახავთ კონცენტრაციის ამ შემცირების ზუსტ სტატისტიკურ გამოხატულებას.

ვღებულობთ შემდეგ საერთო დებულებას, რაც შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც კანონი, რომელიც ეხება მეურნეობათა დაჯგუფებას მიწის რაოდენობის მიხედვით, ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში:

რაც უფრო ფართოდ და სწრაფად ვითარდება მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, მით უფრო ა ლ ა მ ა ზ ე ბ ს მიწის მიხედვით დაჯგუფება წვრილი წარმოების დაბეჩავებულ მდგომარეობას მიწათმოქმედებაში, იმ წვრილი მიწათმოქმედის დაბეჩავებულ მდგომარეობას, რომელსაც არ გააჩნია ა რ ც მიწა და ა რ ც კაპიტალი; — ა რ ბ ი ლ ე ბ ს კლასობრივი წინააღმდეგობის ნამდვილ სიმწვავეს წარმატების მქონე მსხვილ წარმოებასა და გაღატაკების გზაზე დამდგარ წვრილ წარმოებას შორის; — ა მ ც ი რ ე ბ ს კაპიტალის კონცენტრაციას მსხვილი წარმოების ხელში და მის მიერ წვრილი წარმოების განდევნას.

ამ დებულებას თვალნათლივ ამტკიცებს უკანასკნელი, მესამე, დაჯგუფება: პროდუქტების ღირებულების მიხედვით. არაკაპიტალისტურ (ანუ მცირეშემოსავლიან, თუ მხედველობაში გვექნება საერთო შემოსავალი) მეურნეობათა პროცენტი უდრის 58,8%-ს, ე. ი. რამდენადმე მეტიცაა «წვრილ» მეურნეობათა პროცენტზე (57,5%). მიწა მათ გაცილებით მ ე ტ ი აქვთ — 33,3% (წინააღმდეგ 17,5%-ისა «წვრილ» ფერმერთა ჯგუფში). მაგრამ პროდუქტთა საერთო ღირებულებაში მათი კუთვნილი წილი ე რ თ ნ ა ხ ე ვ ა რ ჯ ე რ ნ ა კ ლ ე ბ ი ა: 22,1% წინააღმდეგ 33,5%-ისა!

რაშია საქმე? სწორედ იმაში, რომ ამ ჯგუფში არ შესულან მაღალ-კაპიტალისტური მეურნეობანი მიწის წვრილ ნაკვეთებზე, რამაც ხელოვნურად და ყალბად ასწია მაღლა წვრილ მიწათმოქმედთა კუთვნილი კაპიტალის წილი, მანქანების, სასუქისა და სხვ. სახით.

ამრიგად, წვრილი წარმოების გაღატაკება, დაბეჩავება — და, მაშასადამე, გაჩანაგება — მიწათმოქმედებაში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე შეიძლება ვიფიქროთ წვრილი ფერმების შესახებ არსებულ მონაცემთა მიხედვით.

მონაცემები მიწის რაოდენობის მიხედვით წვრილ და მსხვილ ფერმათა შესახებ სრულიად არ ითვალისწინებენ კაპიტალის როლს, — გასაგებია, რომ კაპიტალისტური მეურნეობის ასეთი «წვრილმანის» გაუთვალისწინებლობა ამახინჯებს წვრილი წარმოების მდგომარეობას, ყალბად ალამაზებს მას, ვინაიდან იგი «შეიძლებოდა» დარჩენილიყო ასატანი, «რომ» არ ყოფილიყო კაპიტალი, ე. ი. ფულის ძალაუფლება და ურთიერთობა დაქირავებულისა კაპიტალისტთან, ფერმერისა — ვაჭართან და კრედიტორთან და ა. შ.!

ამიტომ მიწათმოქმედების კონცენტრაცია მსხვილი ფერმების მიერ გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე მისი კონცენტრაცია მსხვილი, ე. ი. კაპიტალისტური, წარმოების მიერ: «მსხვილი» ფერმების 17,7%-ის ხელში თავმოყრილია პროდუქტის ღირებულების 39,2% (ცოტა უფრო მეტი, ვიდრე საშუალოზე ორჯერ დიდი). ამავე დროს კაპიტალისტურ ფერმათა 17,2%-ის ხელში თავმოყრილია პროდუქტის მთელი ღირებულების 52,3%, ე. ი. საშუალოზე სამჯერ და უფრო მეტი.

მთელი სამიწათმოქმედო წარმოების ნახევარზე მეტი იმ ქვეყანაში, რომელშიც ხდება დაუკავებელი მიწების უზარმაზარ რაოდენობათა მუქთად დარიგება და რომელსაც მანილოვები «შრომითი» მეურნეობების ქვეყანას უწოდებენ, როგორც ჩანს, თავმოყრილია იმ კაპიტალისტურ მეურნეობათა დაახლოებით 1/6 ნაწილის ხელში, რომელნიც

მუშათა დასაქირავებლად ხარჯავენ საშუალოზე ოთხჯერ მეტს 1 საშუალო ფერმაზე გაანგარიშებით (69,1% ფერმების 17,2%-ის დროს) და საშუალოზე ერთნახევარჯერ მეტს, მთელი მიწის 1 აკრზე გაანგარიშებით (69,1% დაქირავებულ შრომაზე გაწეული ხარჯისა მთელი მიწის 43,1%-ის პიროებებში).

მეორე პოლუსზე ფერმათა მთელი რიცხვის ნახევარზე მეტი, თითქმის $^{3}/_{5}$ (58,8%) ეკუთვნის არაკაპიტალისტურთა რიცხვს. მათ აქვთ მთელი მიწის მესამედი (33,3%), მაგრამ ეს მიწა მანქანებით მომარაგებულია საშუალოზე უარესად (მანქანათა ღირებულების 25,3%), ნოყიერდება საშუალოზე უფრო ცუდად (სასუქის ხარჯების 29,1%), ამიტომ მისი ნაყოფიერება საშუალოზე ერთნახევარჯერ დაბალია. კაპიტალის საერთო ჩაგვრით ყველაზე უფრო დაბეჩავებული ფერმების ამ უზარმაზარ მასას, რომელიც ფლობს მთელი მიწის მესამედს, ხელთა აქვს წარმოების მთელი ჯამის, პროდუქტის მთელი ღირებულების მეოთხედზე ნაკლები (22,1%). — — —

მიწის მიხედვით დაჯგუფების მნიშვნელობის საკითხის შესახებ ჩვენ ვღებულობთ, მაშასადამე, იმ საერთო დასკვნას, რომ ეს დაჯგუფება არ შეიძლება ჩაითვალოს სრულიად გამოუსადეგრად. მხოლოდ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ამცირებს წვრილი წარმოების განდევნას მსხვილის მიერ და ამცირებს მით უფრო მეტად, რაც უფრო ფართოდ და ჩქარა ვითარდება მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, რაც უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება მეურნეობათა შორის მიწის ფართობის ერთსა და იმავე ერთეულზე დაბანდებული კაპიტალის სიდიდის მიხედვით. გამოკვლევის თანამედროვე მეთოდების დროს, რომლებიც იძლევა ცნობების ძალიან კარგ, ძალიან მდიდარ მარაგს თვითეული ცალკე მეურნეობის შესახებ, საკმარისი იქნებოდა, მაგალითად, შეგვეერთებინა დაჯგუფების ორი მეთოდი, — ვთქვათ, თვითეული ჯგუფი ხუთი ჯგუფიდან მთელი მიწის რაოდენობის მიხედვით დაიყოს სამ, ორ ქვეჯგუფად დაქირავებული შრომის გამოყენების ოდენობის მიხედვით. თუ ამას არ შვრებიან, მეტწილად სწორედ

იმიტომ, რომ ეშინიათ მეტად დაუფარავად გამოხატული სინამდვილისა, იმ წვრილ მიწათმოქმედთა მასის დაბეჩავების, სიღატაკის, გაჩანაგების, ექსპროპრიაციის მეტად ნათელი სურათისა, რომელთა მდგომარეობას ასე «მოხერხებულად» და «შეუმჩნევლად» ალამაზებენ «სანიმუშო» კაპიტალისტური მეურნეობანი, რომელნიც აგრეთვე «წვრილებია» მიწის რაოდენობის მიხედვით და პატარა უმცირესობას შეადგენენ გაღატაკებულ მასაში. მეცნიერების თვალსაზრისით, ვერც ერთი კაცი ვერ გაბედავს გაილაშქროს იმის წინააღმდეგ, რომ არა მარტო მიწა, არამედ კაპიტალიც თამაშობს როლს თანამედროვე მიწათმოქმედებაში. სტატისტიკური ტექნიკის ან სტატისტიკური შრომის რაოდენობის თვალსაზრისით, 10 — 15 ჯგუფის საერთო რიცხვი სრულიადაც არ არის გადაჭარბებული შედარებით, მაგალითად, 1907 წლის გერმანული სტატისტიკის 18 + 7 ჯგუფთან მიწის მიხედვით. ეს სტატისტიკა, რომელიც 5 736 082 მეურნეობის უმდიდრეს მასალას აჯგუფებს მიწის მიხედვით ჯგუფთა ასეთ რაოდენობაზე, არის ნიმუში ჩინოვნიკური რუტინისა, მეცნიერული ნაგავისა, ციფრებით უაზრო თამაშისა, ვინაიდან ასეთი ჯგუფების ასეთი რაოდენობის ტიპიურად მისაჩნევად ა რ ა ვ ი თ ა რ ი გონივრული, რაციონალური, მეცნიერებითა და ცხოვრებით გამართლებული საფუძველი არ არსებობს.

14. წვრილ მიწათმოქმედთა ექსპროპრიაცია

წვრილ მიწათმოქმედთა ექსპროპრიაციის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის გასაგებად და შესაფასებლად. და თანამედროვე, სულ ერთიანად ბურჟუაზიული შეხედულებებითა და ცრურწმენებით გამსჭვალული პოლიტიკური ეკონომიისა და სტატისტიკისათვის მეტად დამახასიათებელია, რომ სწორედ ეს საკითხი თითქმის სრულიად არ მუშავდება ან მუშავდება ყველაზე ნაკლები გულმოდგინებით.

საერთო მონაცემები ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში გვიჩვენებენ ქალაქის მოსახლეობის ზრდის პროცესს სოფლის

მოსახლეობის ანგარიშზე, მოსახლეობის გაქცევას სოფლებიდან. შეერთებულ შტატებში ეს პროცესი განუხრელად მიდის წინ. ქალაქის მოსახლეობის პროცენტი იწევდა 29,5%-დან 1880 წელს 36,1%-მდე 1890 წელს, 40,5%-მდე 1900 წელს და 46,3%-მდე 1910 წელს. ქალაქის მოსახლეობა სოფლისაზე უფრო ჩქარა იზრდება ქვეყნის ყველა რაიონში: 1900-დან 1910 წლამდე სამრეწველო ჩრდილოეთში სოფლის მოსახლეობა გაიზარდა 3,9%-ით, ქალაქისა — 29,8%-ით; ყოფილ მონათმფლობელურ სამხრეთში პირველი — 14,8%-ით, მეორე — 41,4%-ით; კოლონიზაციის პროცესში მყოფ დასავლეთში პირველი — 49,7%-ით, მეორე — 89,6%-ით.

თითქოს, ესოდენ საყოველთაო პროცესი აუცილებლად უნდა ყოფილიყო შესწავლილი სასოფლო-სამეურნეო აღწერების წარმოების დროსაც. თავისთავად იბადება მეცნიერული მხრივ უმნიშვნელოვანესი საკითხი, სოფლის მოსახლეობის რომელი თანრიგებიდან, ფენებიდან, ჯგუფებიდან და რა პირობებში ჩნდებიან სოფლიდან ლტოლვილები. რაკი ყოველ ათ წელიწადში გროვდება უაღრესად დაწვრილებითი ცნობები თვითეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოზე, მის ყოველ სულ პირუტყვზე, სრულიად არ იქნებოდა ძნელი დასმულიყო საკითხი, თუ რამდენი და როგორი ფერმა გაიყიდა ან გაიცა იჯარით ქალაქში გადასახლების მიზნით, ოჯახის რამდენი წევრი და რა პირობებში ტოვებს მიწათმოქმედებას დროებით ან სამუდამოდ. მაგრამ ასეთი საკითხები არ ისმება, გამოკვლევა არ შორდება კაზიონურ-შაბლონურ ციფრს: «სოფლის მოსახლეობა შემცირდა 1900-დან 1910 წლამდე 59,5%-დან 53,7%-მდეო». მკვლევართ თითქოს ეჭვიც არ ეპარებათ იმაში, თუ რამდენი გაჭირვება, ჩაგვრა, გაჩანაგება იმალება ამ შაბლონურ ციფრებს იქით. და ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ეკონომისტებს თითქმის არასოდეს არც კი უნდათ დაინახონ აშკარა კავშირი სოფლებიდან მოსახლეობის გაქცევასა და წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებას შორის.

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ ვცადოთ ერთად შევაგროვოთ შედარებით მეტად მჭლე და ყოვლად უხეიროდ

დამუშავებული მონაცემები წვრილ მიწათმოქმედთა ექსპროპრიაციის შესახებ, რომლებიც მოიპოვება 1910 წლის აღწერაში.

ჩვენ გვაქვს მონაცემები ფერმების მფლობელობის ფორმებზე: იმ მესაკუთრეთა რიცხვზე, რომელნიც იყოფიან ისეთებად, ვისაც საკუთრებად ეკუთვნის მ თ ე ლ ი მისი ფერმა, და ისეთებად, ვისაც საკუთრებად ეკუთვნის მისი ფერმის მხოლოდ ნ ა წ ი ლ ი, შემდეგ — პროდუქტის ნაწილით მოიჯარეთა და მიწის ფულადი ქირით ამღებ მოიჯარეთა რიცხვზე. ეს მონაცემები განაწილებულია რაიონების მიხედვით, მაგრამ მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით განაწილებული არ არის.

ვიღებთ საერთო ჯამს 1900 და 1910 წლებისათვის და ვღებულობთ უწინარეს ყოვლისა ასეთ სურათს:

მთელი სოფლის მოსახლეობა გადიდდა	11,2%-ით
ფერმათა მთელი რიცხვი გადიდდა	10,9%-ით
მესაკუთრეთა მთელი რიცხვი გადიდდა	8,1%-ით
მ თ ე ლ ი ფერმის მესაკუთრეთა მთელი რიცხვი გადიდდა	4,8%-ით

ცხადია, ეს სურათი მოახწავებს წვრილი მიწათმოქმედების მზარდ ექსპროპრიაციას. სოფლის მოსახლეობის რიცხვი უფრო ნელა იზრდება, ვიდრე ქალაქისა. ფერმერთა რიცხვი — უფრო ნელა, ვიდრე სოფლის მოსახლეობა; მესაკუთრეთა რიცხვი — უფრო ნელა, ვიდრე ფერმერთა რიცხვი; მ თ ე ლ ი ფერმის მესაკუთრეთა რიცხვი — უფრო ნელა, ვიდრე საერთოდ მესაკუთრეთა რიცხვი.

მესაკუთრეთა პროცენტი ფერმერთა საერთო რიცხვში განუხრელად კლებულობს უკვე მთელი რიგი ათწლედების განმავლობაში. ეს პროცენტი შეადგენდა:

1880	წელს	— 74,0%
1890	»	— 71,6%
1900	»	— 64,7%
1910	»	— 63,0%

შესაბამისად იზრდება მოიჯარეთა პროცენტი, ამასთან მოზიარეთა რიცხვი უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე ფულად მო-

იჯარეთა რიცხვი. მოზიარეთა პროცენტი 1880 წ. შეადგენდა 17,5%-ს, შემდეგ 18,4%-ს და 22,2%-ს, ხოლო 1910 წელს უკვე — 24,0%-ს.

მესაკუთრეთა წილის შემცირება და მოიჯარეთა წილის გადიდება რომ საერთოდ და მთლიანად ნიშნავს წვრილ მიწათმოქმედთა გაჩანაგებას და განდევნას, ეს შემდეგი მონაცემებიდან ჩანს:

ფერმათა თანრიგები:	პროცენტი ფერმებისა, რომელთაც ჰყავდათ შინაური პიროუტყვი			ცხენები		
	1900	1910	±	1900	1910	±
მესაკუთრენი	96,7	96,1	—0,6	85,0	81,5	—3,5
მოიჯარენი	94,2	92,9	– 1,3	67,9	60,7	— 7,2

ყველა მონაცემის მიხედვით ორივე წლის განმავლობაში მესაკუთრენი ეკონომიურად უფრო მაღლა დგანან. მოიჯარეთა მდგომარეობის გაუარესება უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ა დ წარმოებს, ვიდრე მესაკუთრეთა მდგომარეობის გაუარესება.

ვნახოთ მონაცემები ცალკეული რაიონების შესახებ.

მოიჯარეთა რიცხვი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ყველაზე მეტია სამხრეთში, და აქ იგი იზრდება ყველაზე უფრო ჩქარა: 47,0%-დან 1900 წ. 49,6%-მდე 1910 წელს. კაპიტალმა დაამარცხა მონათმფლობელობა ნახევარი საუკუნის წინათ, რათა ახლა ა ღ ა დ გ ი ნ ო ს იგი განახლებული ფორმით, სახელდობრ სამოზიარო იჯარის სახით.

ჩრდილოეთში მოიჯარეთა რიცხვი საგრძნობლად ნაკლებია და იზრდება გაცილებით უფრო ნელა: სულ 26,2%-დან 1900 წ. 26,5%-მდე 1910 წელს. დასავლეთში მოიჯარეთა რიცხვი ყველაზე ნაკლებია და იგი მ ხ ო ლ ო დ ამ რაიონში არათუ იზრდება, არამედ კლებულობს: 16,6%-დან 1900 წ. 14,0%-მდე 1910 წელს. «სამოიჯარო ფერმათა მეტად დაბალი პროცენტი» — ვკითხულობთ 1910 წ. აღწერის შედეგებში — «არის მთიან და წყნარი ოკეანის რაიონებში» (ეს ორი რაიონი შეადგენს კიდეც ერთად «დასავლეთს»); «უეჭველია, ასეთი გარემოება აქ გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ ორივე ეს რაიონი მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ დასახლდა და რომ მრავალი ფერმერი აქ წარმოადგენს ჰომსტედერებს» (ე. ი. იმათ,

ვინც მუქთად ან სულ უმნიშვნელო ფასად მიიღო დაუკავებელი მიწის თავისუფალი ნაკვეთები), «რომლებმაც თავიანთი მიწა მიიღეს მთავრობისაგან» (ტ. V, გვ. 104).

ჩვენ აქ მეტად თვალნათლივ ვხედავთ შეერთებული შტატების ჩვენ მიერ უკვე არა ერთხელ აღნიშნულ თავისებურებას, რომელიც მდგომარეობს დაუკავებელი, თავისუფალი მიწების არსებობაში. ეს თავისებურება, ერთი მხრივ, გვიხსნის ამერიკაში კაპიტალიზმის მეტად ფართო და სწრაფ განვითარებას. მიწის კერძო საკუთრების არარსებობა ვეებერთელა ქვეყნის განსაზღვრულ რაიონებში კი არ სპობს კაპიტალიზმს — ჩვენი ნაროდნიკების საყურადღებოდ! — არამედ, პირიქით, აფართოებს ბაზას მისთვის, აჩქარებს მის განვითარებას. მეორე მხრივ, ეს თავისებურება, რაც ევროპის ძველი, დიდი ხნის დასახლებული, კაპიტალისტური ქვეყნებისათვის სრულიად უცნობია, ამერიკაში ს ა ფ ა რ ი ა წვრილ მიწათმოქმედთა ექსპროპრიაციის პროცესისა, რომელიც მიმდინარეობს ქვეყნის უკვე დასახლებულ და ყველაზე უფრო სამრეწველო რაიონებში.

ავიღოთ ჩრდილოეთი. ჩვენ აქ ვღებულობთ ასეთ სურათს:

	1900	1910	მატება თუ კლება
მთელი სოფლის მოსახლეობა (მილიონობით)	22,2	23,1	+ 3,9%
ფერმათა მთელი რიცხვი (ათასობით)	2 874	2 891	+ 0,6%
მესაკუთრეთა მთელი რიცხვი (ათასობით)	2 088	2 091	+ 0,1%
მ თ ე ლ ი ფერმის მესაკუთრეთა რიცხვი (ათასობით)	1 794	1 749	— 2,5%

ჩვენ აქ ვხედავთ მესაკუთრეთა რიცხვის არა მარტო შედარებით შემცირებას, მათს არა მარტო შევიწროებას ფერმერთა საერთო რიცხვთან შედარებით და სხვ., არამედ უკვე მესაკუთრეთა რიცხვის პირდაპირ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს წარმოების ზრდასთან ერთად შეერთებული შტატების მთავარ ნაწილში, რომელიც იძლევა ამ ქვეყანაში დამუშავებული მიწის მთელი რაოდენობის 60%-ს!

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ერთ რაიონში იმ ოთხი რაიონიდან, რომელნიც «ჩრდილოეთს» შეადგენენ, სახელდობრ ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთ რაიონში, აქამდე არსებობს ჰომსტედების დარიგება, რამაც 10 წლის განმავლობაში, 1901 — 1910 წლებში, საერთოდ 54 მილიონ აკრ მიწას მიაღწია.

კაპიტალიზმის ტენდენცია წვრილი მიწათმოქმედების ექსპროპრიაციისადმი ისეთი ძალით მოქმედებს, რომ ამერიკის «ჩრდილოეთი» იძლევა მიწის მესაკუთრეთა რიცხვის აბსოლუტურ შემცირებას, მიუხედავად მრავალი ათეული მილიონი აკრი დაუკავებელი, თავისუფალი მიწების დარიგებისა.

მხოლოდ ორი გარემოება ადუნებს კიდევ ამ ტენდენციას შეერთებულ შტატებში: 1) ჯერ კიდევ დაუნაწილებელი მონათმფლობელური პლანტაციების არსებობა სამხრეთში, სადაც ცხოვრობს ზანგთა შევიწროებული და დაბეჩავებული მოსახლეობა და 2) დასავლეთის დაუსახლებლობა. ცხადია, ორივე ეს გარემოება ერთად ემსახურება ხვალინდელი ბაზის გაფართოებას კაპიტალიზმისათვის, პირობების მომზადებას მისი კიდევ უფრო სწრაფი და კიდევ უფრო ფართო განვითარებისათვის. წინაალმდეგობათა გამწვავება და წვრილი წარმოების განდევნა კი არ ისპობა, არამედ გადადის უფრო ფართო ასპარეზზე. კაპიტალისტური ხანძარი თითქოს «ნელდება» — მისთვის ახალი, დიდი, კიდევ უფრო მეტი საწვავი მასალის მომზადების ფასად.

შემდეგ. წვრილი მიწათმოქმედების ექსპროპრიაციის საკითხზე ჩვენს ხელთ არის მონაცემები იმ ფერმების რიცხვის შესახებ, რომელთაც პირუტყვი ჰყავთ. აი საერთო ჯამი შეერთებული შტატებისათვის:

პროცენტი ფერმებისა, რომელთაც ჰყავდათ	1900	1910	მატება თუ კლება
საერთოდ შინაური პირუტყვი	95,8	94,9	— 0,9
მეწველი ძროხები	78,7	80,8	+ 2,1
ცხენები	79.0	73,8	— 5,2

ეს მონაცემები გვიჩვენებენ, საერთოდ და მთლიანად, მესაკუთრეთა რიცხვის შემცირებას პროპორციაში ფერმერთა საერთო რიცხვის მიმართ. მეწველი ძროხების პატრონთა პროცენტი გაიზარდა, მაგრამ უფრო ნაკლები სიძლიერით, ვიდრე შემცირდა ცხენების პატრონთა პროცენტი.

განვიხილოთ მონაცემები მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით პირუტყვის ორი მთავარი სახის მიმართ.

ფერმათა ჯგუფები	პროცენტი ფერმებისა, რომელთაც ჰყავდათ მეწველი ძროხები 1900	1910	მატება თუ კლება
20 აკრამდე	49,5	52,9	+ 3,4
20—49 »	65,9	71,2	+ 5.3
50—99 »	84,1	87,1	+ 3,0
100—174 »	88,9	89,8	+ 0,9
175—499 »	92,6	93,5	+ 0,9
500—999 »	90,3	89,6	— 0,7
1 000 და მეტი აკრი	82,9	86,0	+ 3,1
მთელი შეერთ. შტატები	78,7	80,8	+ 2.1

ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე უფრო გაიზარდნენ რიცხობრივად წვრილი ფერმები, რომელთაც ჰყავდათ მეწველი ძროხები, შემდეგ ლატიფუნდიები, შემდეგ საშუალო ფერმები. შემცირდა მეწველი პირუტყვის ყოლ ფერმათა პროცენტი 500 — 999 აკრი მიწის მქონე მსხვილ მეურნეთა შორის.

საერთოდ აქ, როგორც ჩანს, გამოდის წვრილი მიწათმოქმედების მოგება. მაგრამ გავიხსენოთ, რომ მეწველი პირუტყვის ყოლას ორგვარი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში: ერთი მხრივ, იგი შეიძლება ნიშნავდეს კეთილდღეობის საერთო ამაღლებას და კვების პირობების გაუმჯობესებას. მეორე მხრივ — და უფრო ხშირად — იგი ნიშნავს სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ერთ-ერთი დარგის განვითარებას: რძის წარმოება გასაყიდად ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ამგვარი ფერმები, «რძის» ფერმები, ამერიკელი სტატისტიკოსების მიერ გამოყოფილია განსაკუთრებულ ჯგუფად შემოსავლის მთავარი წყაროს მიხედვით. ეს ჯგუფი განირჩევა იმით, რომ მისი დამუშავებული და მთელი მიწის რაოდენობა საშუალოზე

დ ა ბ ა ლ ი ა, მაშინ როდესაც წარმოების ჯამი საშუალოზე მ ა ღ ა ლ ი ა და დაქირავებული შრომის გამოყენება 1 აკრ მიწაზე გაანგარიშებით საშუალოზე ო რ ჯ ე რ მ ა ღ ა ლ ი. წვრილი ფერმების როლის გადიდება რძის მეურნეობაში ძალიან ადვილად შეიძლება ნიშნავდეს, — და უთუოდ ნიშნავს, — აღწერილი ტიპის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი რძის ფერმების ზრდას მიწის წვრილ ნაკვეთებზე. აი, პარალელის გასატარებლად, მონაცემები ამერიკაში მეწველი პირუტყვის კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ი ს შესახებ.

რ ა ი ო ნ ე ბ ი:	მეწველი ძროხების საშუალო რაოდენობა 1 ფერმაზე 1900	1910	მატება
ჩრდილოეთი	4,8	5,3	+ 0,5
სამხრეთი	2,3	2,4	+ 0,1
დასავლეთი	5,0	5,2	+ 0,2
ს უ ლ	3,8	4,0	+ 0,2

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩრდილოეთმა, რომელიც ყველაზე უფრო მდიდარია მეწველი პირუტყვით, ყველაზე მეტად გაადიდა თავისი სიმდიდრე. აი როგორ განაწილდა ეს გადიდება ჯგუფებს შორის:

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ფერმათა ჯგუფები:	მეწველი ძროხების რიცხვის პროცენტული გადიდება ან შემცირება 1900-დან 1910 წლამდე
20 აკრამდე	— 4% (+ 10,0% ფერმ. რიცხ. გად.)
20-დან 49 აკრამდე	— 3% (— 12.6% » » »)
50 » 99 »	+ 9% (— 7.3% » » »)
100 » 174 »	+ 14% (+ 2.2% » » »)
175 » 499 »	+ 18% (+ 12,7% » » »)
500 » 999 »	+ 29% (+ 40.4% » » »)
1 000 და მეტი აკრი	+ 18% (+ 16,4% » » »)
ს უ ლ	+ 14% (+ 0,6% ფერმათა რიცხვის გადიდება)

მეწველი პირუტყვის მყოლი წვრილი ფერმების რ ი ც ხ ვ ი ს უფრო ჩქარმა ზრდამ ვერ შეუშალა ხელი მის უფრო ჩქარ კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ა ს მსხვილ მეურნეობებში.

ვნახოთ ახლა მონაცემები ფერმების იმ რიცხვის შესახებ, რომელთაც ცხენები ჰყავდათ. აქ ჩვენ გვაქვს ცნობები მუშაპირუტყვზე, რომლებიც მიუთითებენ მეურნეობის საერთო წყობაზე და არა სავაჭრო მიწათმოქმედების განსაკუთრებულ დარგზე.

ფერმათა ჯგუფები:	იმ მეურნეობათა პროცენტი, რომელთაც ცხენები კაყავდათ 1900	1910	შემცირება
20 აკრამდე	52,4	48,9	— 3,5
20-დან 49 აკრამდე	66,3	57,4	— 8,9
50 » 99 »	82,2	77,6	— 4,6
100 » 174 »	88,6	86,5	— 2,1
175 » 499 »	92,0	91,0	— 1,0
500 » 999 »	93,7	93,2	— 0,5
1 000 და მეტი აკრი	94,2	94,1	— 0,1
მთელი შეერთ. შტატები	79,0	73,8	— 5,2

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ უცხენობა გაძლიერდა მით უფრო მეტად, რაც უფრო წვრილია მეურნეობანი. უწვრილეს მეურნეობათა (20 აკრამდე) გამოკლებით, რომლებიც, როგორც ვიცით, შეიცავენ შედარებით მეტ კაპიტალისტურ ფერმებს, ვიდრე მეზობელი ჯგუფები, — ჩვენ ვხედავთ უცხენობის სწრაფად შემცირებას და მის გაცილებით უფრო სუსტ ზრდას. შესაძლებელია, მდიდარ ფერმებში ორთქლის გუთნებისა და სხვაგვარი მექანიკური ძრავების გამოყენება ნაწილობრივ ანაზღაურებდეს მუშა-პირუტყვის შემცირებას, მაგრამ უღარიბეს მეურნეობათა მასის მიმართ ასეთი ვარაუდი გამორიცხულია.

ბოლოს, ექსპროპრიაციის ზრდა ჩანს აგრეთვე მონაცემებიდან დაგირავებული ფერმების რიცხვის შესახებ:

რაიონები:	დაგირავებულ ფერმათა პროცენტი 1890	1900	1910
ჩრდილოეთი	40,3	40,9	41,9
სამხრეთი	5,7	17,2	23,5
დასავლეთი	23,1	21,7	28,6
მთელი შეერთ. შტატები	28,2	31,0	33,6

დაგირავებულ ფერმათა პროცენტი განუხრელად იზრდება ქვეყნის ყველა რაიონში, ამასთან ყველაზე უფრო დასახლებულ, სამრეწველო და კაპიტალისტურ ჩრდილოეთში ეს პროცენტი უდიდესია. ამერიკელი სტატისტიკოსები აღნიშნავენ (გვ. 159, ტ. V), რომ სამხრეთში დაგირავებული ფერმების რიცხვის ზრდა, ალბათ, აიხსნება იმ პლანტაციების «დაქუცმა-

ცებით», რომელთაც ნაკვეთობით მიჰყიდიან ხოლმე ზანგებსა და თეთრკანიან ფერმერებს, ამასთან გადახდა ხდება მხოლოდ საყიდელი ფასის ნაწილისა, დანარჩენი კი ჰიპოთეკად იქცევაო. მაშასადამე, გამოდის თავისებური გ ა მ ო ს ა ს ყ ი დ ი ო პ ე რ ა ც ი ა მონათმფლობელურ სამხრეთში. შევნიშნავთ, რომ ზანგებს ეკუთვნოდათ სულ შეერთებულ შტატებში 1910 წ. 920 883 ფერმა, ე. ი. საერთო რიცხვის 14,5%, ამასთან 1900-დან 1910 წლამდე თეთრკანიანთა ფერმების რიცხვი გადიდდა 9,5%-ით, ხოლო ზანგებისა ორჯერ უფრო სწრაფად — 19,6%-ით. ზანგების მისწრაფება «პლანტატორებისაგან» განთავისუფლებისადმი მონათმფლობელებზე «გამარჯვებიდან» ნახევარი საუკუნის შემდეგ ჯერ კიდევ განსაკუთრებული ენერგიით ხასიათდება.

საერთოდ რომ ვთქვათ, ფერმების დაგირავება ყოველთვის როდი ნიშნავს გაჭირვებას, — წერენ იქვე ამერიკელი სტატისტიკოსები, — არამედ ზოგჯერ კაპიტალის შოვნასაც სამელიორაციოდო და სხვ.. ეს უდავოა. მაგრამ ამ უდავო შენიშვნამ არ უნდა დაჩრდილოს, — როგორც ეს ძალიან ხშირად ემართებათ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, — ის ფაქტი, რომ მხოლოდ შეძლებულთა უმცირესობას შეუძლია ამგვარად იშოვოს კაპიტალი სამელიორაციოდ და სხვ. და მოიხმაროს იგი ნაყოფიერად, — უმრავლესობა კი კიდევ უფრო ჩანაგდება, რაკი ხელში უვარდება ფინანსურ კაპიტალს მისი ამ ფორმით.

ფერმერთა დამოკიდებულებას ფინანსური კაპიტალისაგან შეეძლო — და უნდა — მიეპყრო მკვლევართა შეუდარებლად უფრო მეტი ყურადღება. მაგრამ საკითხის ეს მხარე, მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელობისა, ჩრდილში დარჩა.

ხოლო დაგირავებული ფერმების რიცხვის ზრდა ყოველ შემთხვევაში მოასწავებს მათ მიმართ ძალაუფლების ფაქტიურად გადასვლას კაპიტალის ხელში. ცხადია, გარდა ოფიციალურად და ნოტარულად დაგირავებული ფერმებისა, საკმაოდ ბევრია ისეთი ფერმები, რომელნიც გახვეულნი არიან სრული სიმკაცრით გაუფორმებელი ან აღწერით აღურიცხავი კერძო დავალიანების ქსელში.

15. მრეწველობისა და მიწათმოქმედების ევოლუციის შედარებითი სურათი.

მასალა, რომელსაც იძლევა ამერიკული სტატისტიკა, მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა, თავისი სისრულით და მისი შეკრების წესების ერთგვარობით ხელსაყრელად განირჩევა იმ მასალისაგან, რომელიც სხვა ქვეყნებისათვის მოიპოვება. ამის მეოხებით შესაძლებელი ხდება ერთმანეთს შევადაროთ 1900 და 1910 წლების მონაცემები მრეწველობისა და მიწათმოქმედების შესახებ, შევუპირისპიროთ ერთმანეთს სახალხო მეურნეობის ორივე ნაწილში ეკონომიური წყობისა და ამ წყობის ევოლუციის საერთო სურათი. ბურჟუაზიული ეკონომიის ყველაზე უფრო მოარულ იდეას, — რომელსაც, სხვათა შორის, იმეორებს ბ-ნი გიმერიც, — წარმოადგენს მრეწველობისა და მიწათმოქმედების დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა. ვნახოთ, ზუსტი და მასობრივი მონაცემების მიხედვით, რამდენად სწორია ეს დაპირისპირება.

დავიწყოთ საწარმოთა რიცხვით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

	საწარმოთა რიცხვი ათასობით		გადიდება %-ბით	მოსახლეობის გადიდება (ქალ. და სოფ.) %-ბით
	1900	1910		
მრეწველობა	207,5	268,5	+ 29,4%	+ 34,8%
სოფლის მეურნეობა	5 737	6 361	+ 10,9%	+ 11,2%

სოფლის მეურნეობაში საწარმოები გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და წვრილია. ამით გამოიხატება მისი ჩამორჩენილობა, დაქუცმაცებულობა, გაფანტულობა.

საწარმოთა საერთო რიცხვის ზრდა სოფლის მეურნეობაში გაცილებით უფრო ნელია, ვიდრე მრეწველობაში. შეერთებულ შტატებში არის ორი გარემოება, რომლებიც სხვა მოწინავე ქვეყნებში არ არის და რომლებიც მეტად აძლიერებს და აჩქარებს საწარმოთა რიცხვის ზრდას მიწათმოქმედებაში. ესაა, ჯერ-ერთი, სამხრეთში მონათმფლობელური ლატიფუნდიების დღემდე მიმდინარე დაქუცმაცება და ზანგების, აგრეთვე

თეთრკანიანი ფერმერების მიერ წვრილი ნაკვეთების «გამოყიდვა» «პლანტატორებისაგან»; მეორე, არსებობა დიდძალი დაუკავებელი, თავისუფალი მიწებისა, რომელთაც მთავრობა ურიგებს ყოველ მსურველს. და, მიუხედავად ამისა, საწარმოთა რიცხვი მიწათმოქმედებაში გაცილებით უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მრეწველობაში.

ამის მიზეზი ორგვარია. ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერად ინარჩუნებს ნატურალურ ხასიათს, და მიწათმოქმედებას შორდება სხვადასხვა ოპერაცია, რომლებიც წინათ შედიოდა გლეხის ოჯახის სამუშაოთა ფარგალში, — მაგალითად, სხვადასხვა იარაღის, მოწყობილობისა და სხვ. წარმოება და შეკეთება, — ხოლო ახლა კი შეადგენს მრეწველობის განსაკუთრებულ დარგებს. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მონოპოლია, რომელიც მრეწველობამ არ იცის და რომელიც კაპიტალიზმის დროს არ შეიძლება თავიდან იქნეს აშორებული; ეს არის მიწათმფლობელობის მონოპოლია. კიდეც რომ არ იყოს მიწის კერძო საკუთრება, — შეერთებულ შტატებში დღემდე ის ფაქტიურად არ არის ქვეყნის ძალიან დიდ რაიონებში, — მიწის ფლობა, მისი დაკავება ცალკეული, კერძო მეურნეების მიერ ქმნის მონოპოლიას. ქვეყნის მთავარ რაიონებში მთელი მიწა დაკავებულია, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რიცხვის გადიდება შესაძლებელია მხოლოდ უკვე არსებული საწარმოების დაქუცმაცების პირობებში; ახალი საწარმოების თავისუფალი შექმნა ძველ საწარმოებთან ერთად შეუძლებელია. მიწათმფლობელობის მონოპოლია მიწათმოქმედების განვითარებას დაბრკოლებას უქმნის, რაც, მრეწველობისაგან განსხვავებით, აფერხებს კაპიტალიზმის განვითარებას სოფლის მეურნეობაში.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დაბანდებული კაპიტალის ოდენობანი ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად შევადაროთ ერთმანეთს, იმიტომ რომ მიწის ღირებულებაში შედის მიწის რენტაც. იძულებული ვართ მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალი და სამრეწველო პროდუქტების ფასი

შევადაროთ ფერმების მთელი ქონების საერთო ღირებულებას და მთავარი სამიწათმოქმედო პროდუქტის ფასს. ამასთან სავსებით შესადარისია მხოლოდ პროცენტული შეფარდება, რომელიც გვიჩვენებს ღირებულების ორივე თანხის ზრდას.

		მილიონი 1900	დოლარი 1910	გადიდება %-ბით
მრეწველობა	ყველა საწარმოს კაპიტალი	8 975	18 428	+ 105,3%
	მათი პროდუქტების ფასი	11 406	20 671	+ 81,2%
მიწათმოქმედება	ფერმების მთელი საკუთრების ფასი	20 440	40 991	+ 100,5%
	ყველა მარცვლოვანი პურეულის მოსავლის ფასი	1 483	2 665	+ 79,8%
	მოსავლის რაოდენობა მილიონ ბუშელობით	4 439	4 513	+ 1,7%

ჩვენ ვხედავთ როგორც მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალის, ისე ფერმების მთელი საკუთრების ღირებულების გაორკეცებას 10 წლის განმავლობაში, 1900-დან 1910 წლამდე. ძალიან დიდი და ძირეული განსხვავება ის არის, რომ მიწათმოქმედებაში მთავარი პროდუქტის, მარცვლოვანი პურეულის, წარმოება გადიდდა სრულიად უმნიშვნელო პროცენტით, 1,7%-ით, — და ეს მაშინ, როცა მთელი მოსახლეობა გადიდდა 21,0%-ით.

მიწათმოქმედება თავის განვითარებაში უკან რჩება მრეწველობას — ესაა მოვლენა, რომელიც ახასიათებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას და შეადგენს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა შორის პროპორციულობის დარღვევის, კრიზისებისა და სიძვირის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა მიზეზს.

კაპიტალმა გაათავისუფლა მიწათმოქმედება ფეოდალიზმისაგან, ჩაითრია იგი სავაჭრო ბრუნვაში, ამასთან ერთად კი — მსოფლიო ეკონომიურ განვითარებაში, გამოგლიჯა იგი უძრაობას, შუასაუკუნეობრივ დახავსებულობასა და პატრიარქალობას. მაგრამ კაპიტალმა არათუ არ მოსპო მასების დაბეჩავება, ექსპლოატაცია, სიღატაკე, არამედ, პირიქით, ის ამ უბედურებებს ქმნის ახალი სახით და ალადგენს მათს ძველ ფორმებს «თანამედროვე» ბაზაზე. წინააღმდეგობა მრეწველობასა და

მიწათმოქმედებას შორის კაპიტალიზმს არათუ არ მოუსპია, არამედ, პირიქით, იგი მას სულ უფრო და უფრო აფართოებს და ამწვავებს. მიწათმოქმედებას სულ უფრო და უფრო მძიმედ აწვება ბატონობა კაპიტალისა, რომელიც უმთავრესად ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროში იქმნება.

სამიწათმოქმედო პროდუქტის რაოდენობის სულ უმნიშვნელო გადიდება (+ 1,7%) და მისი ფასის უდიდესი გადიდება (+ 79,8%) თვალნათლივ გვიჩვენებს, ერთი მხრივ, როლს მიწის რენტისას, ხარკისას, რომელსაც იღებენ საზოგადოებისაგან მიწათმფლობელები. ჩამორჩენილობას მიწათმოქმედებისას, რომელიც ვერ ეწევა მრეწველობის განვითარებას, მიწათმფლობელები, თავიანთი მონოპოლიური მდგომარეობის მეოხებით, იმისათვის იყენებენ, რომ მილიონები და მილიარდები ჩაიჯიბონ. მთელი საკუთრება ფერმებში ათი წლის განმავლობაში გაიზარდა 20½ მილიარდი დოლარით. ამ ჯამში ნაგებობათა, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის ფასის გადიდება შეადგენს მხოლოდ 5 მილიარდს. 15 მილიარდით (+ 118,1%) გაიზარდა 10 წლის განმავლობაში მიწის ფასი, მიწის კაპიტალიზებული რენტა.

მეორე მხრივ, ჩვენ აქ განსაკუთრებით რელიეფურად ვხედავთ განსხვავებას წვრილ მიწათმოქმედთა და დაქირავებულ მუშათა კლასობრივ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, «შრომობენ» ერთნიც და მეორენიც; რა თქმა უნდა, კაპიტალის მხრივ ექსპლოატაციას განიცდიან, თუმცა სრულიად სხვადასხვა ფორმით, ერთნიც და მეორენიც. მაგრამ ამ საბუთით მხოლოდ ვულგარულ ბურჟუაზიულ დემოკრატებს შეუძლიათ გააერთიანონ ეს სხვადასხვა კლასები, ილაპარაკონ წვრილი «შრომითი» მიწათმოქმედების შესახებ. ეს კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ მიჩქმალო და მიაფუჩეჩო მეურნეობის საზოგადოებრივი წყობილება, მისი ბურჟუაზიული წყობა და წინ წამოსწიო ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია ყველა წინამორბედი წყობისათვის: შრომის, პირადი შრომის, ფიზიკური შრომის აუცილებლობა წვრილი მიწათმოქმედების არსებობისათვის.

წვრილი მიწათმოქმედი კაპიტალიზმის დროს ხდება, — სურს თუ არა ეს მას, ამჩნევს ის ამას თუ არა, — საქონლისმწარმოებლად. და ამ ცვლილებაშია საქმის მთელი არსი. მარტო ეს ცვლილება, მაშინაც კი, როცა საქონლისმწარმოებელი ჯერ კიდევ არ უწევს ექსპლოატაციას დაქირავებულ მუშებს, სულერთია მაინც აქცევს მას პროლეტარიატის ანტაგონისტად, აქცევს წვრილ ბურჟუად. იგი ყიდის თავის პროდუქტს, პროლეტარი ყიდის თავის სამუშაო ძალას. წვრილ მიწათმოქმედთ, როგორც კლასს, არ შეუძლიათ არ ესწრაფოდნენ სამიწათმოქმედო პროდუქტების ფასების მომატებას, ეს კი უდრის მათ მონაწილეობას, მსხვილ მიწათმფლობელებთან ერთად, მიწის რენტის გაყოფაში, მათ სოლიდარიზაციას მემამულეებთან დანარჩენი საზოგადოების წინააღმდეგ. წვრილი მიწათმოქმედი, თავისი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მდგომარეობით, სასაქონლო წარმოების განვითარებისდაკვალად, აუცილებლივ წ ვ რ ი ლ ი ა გ რ ა რ ი ხდება.

დაქირავებულ მუშებს შორისაც არის შემთხვევები, როცა მათი მცირე ნაწილი უერთდება თავის პატრონებს დაქირავებულ მუშათა მთელი კლასის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არის სწორედ კლასის ნ ა წ ი ლ ა კ ი ს შეერთება თავის მოწინააღმდეგესთან, მ თ ე ლ ი კლასის წინააღმდეგ. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დაქირავებული მუშების, როგორც კლასის, მდგომარეობის გაუმჯობესება მასის კეთილდღეობის აუმაღლებლად და მისი ანტაგონიზმის გაუმწვავებლად თანამედროვე საზოგადოებაში გამეფებულ კაპიტალთან, კაპიტალისტების მთელ კლასთან. პირიქით, სავსებით შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი მოვლენა, და იგი ტიპიურიცაა კაპიტალიზმისათვის, როცა წვრილ მიწათმოქმედთა, როგორც კლასის, მდგომარეობის გაუმჯობესება შედეგია მათი გაერთიანებისა მემამულეებთან, მათი მონაწილეობისა მთელი საზოგადოებისაგან მიწის მომატებული რენტის გადახდევინებაში, მათი ანტაგონიზმისა პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების მასასთან, რომელნიც სავსებით ან უმთავრესად სამუშაო ძალის გაყიდვაზე არიან დამოკიდებულნი.

აი დაპირისპირება ამერიკული სტატისტიკის მონაცემებისა დაქირავებული მუშების მდგომარეობისა და რიცხვის შესახებ შედარებით წვრილ მიწათმოქმედებთან:

		1900	1910	გადიდება %-ით
მრეწველობა	დაქირავებულ მუშათა რიცხვი (ათასობით)	4 713	6 615	+ 40.4%
	მათი ხელფასი (მილიონ დოლ.)	2 008	3 427	+ 70,6%
მიწათმოქმედება	დაქირავებულ მუშათა რიცხვი	?	? დაახლ.	+ 47,1%
	მათი ხელფასი (მილიონ დოლ.)	357	652	+ 82,3%
	ფერმერთა რიცხვი (ათასობით)	5 737	6 361	+ 10,9%
	მათი მთავარი პროდუქტის — მარცვლოვანი პურეულის ფასი (მილიონ დოლ.)	1 483	2 665	+ 79,8%

მუშებმა მრეწველობაში წ ა ა გ ე ს, ვინაიდან მათი ხელფასი გადიდდა მხოლოდ 70,6%-ით («მხოლოდ», ვინაიდან მარცვლოვანი პურეულის თითქმის წინანდელი რაოდენობა, წინანდელი რაოდენობის 101,7%, ახლა ღირს წინანდელი ფასის 179,8%!!), მაშინ როცა მუშათა რიცხვი გადიდდა მთელი 40%-ით.

წვრილმა მიწათმოქმედებმა მ ო ი გ ე ს, როგორც წვრილმა აგრარიებმა, პროლეტარიატის ანგარიშზე. წვრილ მიწათმოქმედთა რიცხვი გადიდდა სულ 10,9%-ით (კიდეც რომ გამოვყოთ მარტო წვრილი ფერმერები, მომატება მაინც მხოლოდ 11,9%-ითაა), — მათი პროდუქტის რაოდენობა თითქმის არ გაზრდილა (+ 1,7%), პროდუქტის ფასი კი გაიზარდა 79,8%-ით.

რა თქმა უნდა, სავაჭრო და ფინანსურმა კაპიტალმა ამ მიწის რენტის უდიდესი ნაწილი წაიღო, მაგრამ მაინც წვრილ მიწათმოქმედთა და დაქირავებულ მუშათა კლასობრივი მდგომარეობა მთლიანად უახლოვდება, მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში, წვრილი ბურჟუას და პროლეტარის მდგომარეობას.

დაქირავებულ მუშათა ზრდა უ ს წ რ ე ბ ს მოსახლეობის ზრდას (პირველთა + 40% წინააღმდეგ მეორის + 21%-ისა).

იზრდება წვრილ მწარმოებელთა და წვრილ მიწათმოქმედთა ექსპროპრიაცია. იზრდება მოსახლეობის პროლეტარიზაცია *.

ფერმერთა რიცხვის, — და კიდევ უფრო, როგორც ვიცით, მათ შორის მესაკუთრეთა რიცხვის, — ზრდა უკან რჩება მოსახლეობის ზრდას (10,9% წინააღმდეგ 21%-ისა). წვრილი მიწათმოქმედნი სულ უფრო და უფრო ხდებიან მონოპოლისტები, წვრილი აგრარიები.

ახლა შევხედოთ წვრილი და მსხვილი წარმოების ურთიერთ დამოკიდებულებას მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში. მრეწველობის მიმართ მონაცემები ეხება არა 1900 და 1910, არამედ 1904 და 1910 წლებს.

სამრეწველო საწარმოებს ჩვენ ვყოფთ სამ მთავარ ჯგუფად წარმოების ოდენობის მიხედვით, ისე რომ წვრილებს ვაკუთვნებთ იმ საწარმოთ, რომელთა წარმოების ჯამია 20 000 დოლარამდე, საშუალოებს — 20-დან 100 ათას დოლარამდე, მსხვილებს — 100 000 და მეტი დოლარი. ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დავაჯგუფოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმონი სხვანაირად, თუ არ მიწის რაოდენობის მიხედვით. წვრილებს ჩვენ ვაკუთვნებთ 100-მდე აკრის მქონე ფერმებს, საშუალოებს — 100-დან 175-მდე აკრის მქონეთ, მსხვილებს — 175 და მეტი აკრის მქონეთ.

	საწარმოთა ჯგუფები:	საწარმოთა რიცხვი ათასობით 1900	%	1910	%	გადიდება %-ობით
მრეწველობა	წვრილი	144	66,6	180	67,2	+ 25,0%
	საშუალო	48	22,2	57	21,3	+ 18,7%
	მსხვილი	24	11,2	31	11,5	+ 29,1%
	სულ	216	100,0	268	100,0	+ 24,2%
სოფლის მეურნეობა	წვრილი	3 297	57,5	3 691	58,0	+ 11,9%
	საშუალო	1 422	24,8	1 516	23,8	+ 6,6%
	მსხვილი	1 018	17,7	1 154	18,2	+ 13,3%
	სულ	5 737	100,0	6 361	100,0	+ 10,9%

* დაქირავებულ მუშათა რიცხვი მიწათმოქმედებაში, უფრო სწორად — მათი ზრდა, განსაზღვრულია პროპორციით: 82,3 : 70,6 = X : 40,4, საიდანაც X = 47,1.

ირკვევა ევოლუციის შესანიშნავი ერთგვაროობა.

მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც კლებულობს სწორედ წილი საშუალო საწარმოთა, რომლებიც რიცხობრივად როგორც წვრილ, ისე მსხვილ საწარმოებზე უფრო ნელა იზრდებიან.

მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც წვრილი საწარმონი რიცხობრივად უფრო ნელა იზრდებიან, ვიდრე მსხვილი საწარმონი.

როგორია სხვადასხვა ტიპის საწარმოთა სამეურნეო ძალის ან სამეურნეო როლის ცვლილებანი? სამრეწველო საწარმოთა მიმართ ჩვენ მოგვეპოვება მონაცემები პროდუქტის ფასის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიმართ — ფერმების მთელი საკუთრების ფასის შესახებ:

	საწარმოთა ჯგუფები:	მილიონობით დოლარი 1900	%	1910	%	გადიდება %	%-ობით
მრეწველობა	წვრილი	927	6,3	1 127	5,5	+	21,5%
	საშუალო	2 129	14,4	2 544	12.3	+	19,5%
	მსხვილი	11 737	79.3	17 000	82.2	+	44,8%
	სულ	14 793	100,0	20 671	100,0	+	39,7%
სოფლის მეურნეობა	წვრილი	5 790	28.4	10 499	25,6	+	81,3%
	საშუალო	5 721	28.0	11 089	27,1	+	93,8%
	მსხვილი	8 929	43,6	19 403	47.3	+	117,3%
	სულ	20 440	100,0	40 991	100.0	+	100,5%

აქაც ევოლუციის შესანიშნავი ერთგვაროობაა.

მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც კლებულობს როგორც წვრილი, ისე საშუალო საწარმოების წილი, იზრდება მხოლოდ მსხვილ საწარმოთა წილი.

მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც წარმოებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, წვრილი წარმოების განდევნა მსხვილის მიერ.

განსხვავება მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის ამჯერად იმაში მდგომარეობს, რომ მრეწველობაში წვრილ საწარმოთა წილი გაიზარდა ცოტა უფრო ძლიერად, ვიდრე საშუალოთა წილი (+ 21,5% წინააღმდეგ + 19,5%-ისა), ხოლო მიწათმოქმედებაში — პირიქით. რა თქმა უნდა, ეს განსხვავება

დიდი არ არის, და მასზე არავითარი განზოგადებული დასკვნების აგება არ შეიძლება. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ მსოფლიოს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე წვრილი წარმოება მრეწველობაში უფრო გაძლიერდა, ვიდრე საშუალო, ხოლო მიწათმოქმედებაში — პირიქით. ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა არასერიოზულია ბურჟუაზიული ეკონომისტების მოარული მტკიცებანი, თითქოს მრეწველობა აუცილებლივ და გამოუკლებლივ ადასტურებს მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების განდევნის კანონს, ხოლო მიწათმოქმედება კი მას უარყოფს.

შეერთებული შტატების მიწათმოქმედებაში არა მარტო ხდება მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების განდევნა, არამედ იგი ხდება უფრო მეტი კანონზომიერებით ანუ სისწორით, ვიდრე მრეწველობაში.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ მიერ ზევით დამტკიცებული გარემოება, სახელდობრ ის, რომ სოფლის მეურნეობათა დაჯგუფება მიწის მიხედვით ა მ ც ი რ ებ ს მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების განდევნის პროცესს.

რაც შეეხება კონცენტრაციის უკვე მიღწეულ ხ ა რ ი ს ხ ს, ამ მხრივ მიწათმოქმედება ძალიან ჩამორჩა. მრეწველობაში მსხვილ საწარმოთა 11%-ის ხელშია მთელი წარმოების რვა მეათედზე მეტი. წვრილ საწარმოთა როლი სრულიად უმნიშვნელოა: წარმოების 5,5% საწარმოთა საერთო რიცხვის ორ მესამედს! მიწათმოქმედებაში, ამასთან შედარებით, ჯერ კიდევ დაქუცმაცება მეფობს: წვრილ საწარმოთა 58% იძლევა ფერმების მთელი ქონების საერთო ღირებულების მეოთხედს; მსხვილ საწარმოთა 18% — ნახევარზე ნაკლებს (47%-ს). საწარმოთა მთელი რიცხვი მიწათმოქმედებაში 20-ჯერ და მეტად აღემატება საწარმოთა რიცხვს მრეწველობაში.

ეს ადასტურებს უკვე დიდი ხნის წინათ გამოყვანილ დასკვნას, რომ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმი, თუ მის ევოლუციას შევადარებთ მრეწველობის ევოლუციას, უფრო უახლოვდება მანუფაქტურულ სტადიას, ვიდრე მსხვილ მან-

ქანურ ინდუსტრიას. ხელით შრომა ჯერ კიდევ სჭარბობს მიწათმოქმედებაში, და მანქანების გამოყენება, შედარებით, მეტად სუსტია. მაგრამ მოყვანილი მონაცემები სრულიადაც არ ამტკიცებენ სამიწათმოქმედო წარმოების განსაზოგადოების შეუძლებლობას მისი განვითარების ამ საფეხურზედაც. ვისაც ხელში უჭირავს ბანკები, იმას უშუალოდ უჭირავს ხელში ამერიკის მთელი ფერმების მესამედი, ხოლო არაუშუალოდ ბატონობს მთელ მათს მასაზე. წარმოების ორგანიზაცია ერთი საერთო გეგმის მიხედვით მილიონ მეურნეობაში, რომელნიც იძლევიან მთელი წარმოების საერთო ჯამის ნახევარზე მეტს, — ყოველგვარი კავშირების და ურთიერთობისა და ტრანსპორტის ტექნიკის თანამედროვე განვითარების პირობებში, უთუოდ განსახორციელებელი საქმეა.

16. შედეგები და დასკვნები

შეერთებული შტატების 1900 და 1910 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერები წარმოადგენს სოციალური სტატისტიკის უკანასკნელ სიტყვას სახალხო მეურნეობის ამ დარგში. მოწინავე ქვეყნებში არსებულ მასალათაგან ეს არის საუკეთესო მასალა, რომელიც მოიცავს მრავალ მილიონ მეურნეობას და საშუალებას იძლევა გამოვიყვანოთ ზუსტი ფაქტიური დასკვნები სოფლის მეურნეობის ევოლუციის შესახებ კაპიტალიზმის დროს. ამ ევოლუციის კანონები შეიძლება შესწავლილ იქნეს ამ მასალის მიხედვით განსაკუთრებით კიდევ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ უაღრესად ფართო და ფრიად მრავალფეროვან ურთიერთობათა ქვეყანას, კაპიტალისტური მიწათმოქმედების ნაირსახეობათა და ფორმათა უდიდესი სიმდიდრის ქვეყანას.

ჩვენ აქ ვხედავთ, ერთი მხრივ, გადასვლას მიწათმოქმედების მონათმფლობელური — ან, რაც ამ შემთხვევაში იგივეა, ფეოდალური — წყობიდან სავაჭრო და კაპიტალისტურ წყობაზე; მეორე მხრივ, კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებულ სიფართოვესა და სისწრაფეს ყველაზე თავისუფალ, მოწინავე ბურჟუაზიულ ქვეყანაში. ხოლო ამის გვერდით — უაღრესად

ფართო კოლონიზაციას, დაყენებულს დემოკრატიულ-კაპიტალისტურ რელსებზე.

ჩვენ აქ გვხვდება დიდი ხნიდან დასახლებული, უაღრესად სამრეწველო, დიდად ინტენსიური რაიონებიც, ანალოგიურნი ცივილიზებული, ძველ-კაპიტალისტური დასავლეთ ევროპის ადგილთა უმრავლესობისა; — ისეთი პრიმიტიულ-ექსტენსიური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის რაიონებიც, როგორიცაა რუსეთის ზოგიერთი განაპირა მხარე ან ციმბირის ნაწილი. ჩვენ ვხედავთ უაღრესად სხვადასხვაგვარი ტიპების როგორც მსხვილ, ისე წვრილ ფერმებს: ყოფილი მონათმფლობელური სამხრეთისა და კოლონიზაციის პროცესში მყოფი დასავლეთის, აგრეთვე ატლანტის ოკეანის მაღალ-კაპიტალისტური ჩრდილოეთ სანაპიროს მსხვილ ლატიფუნდიებს, პლანტაციებს; — მოზიარე ზანგთა წვრილ ფერმებსაც, წვრილ კაპიტალისტურ ფერმებსაც, რომელნიც ამზადებენ რძეს ან ბოსტნეულს ბაზრისათვის სამრეწველო ჩრდილოეთში ან ხილს — წყნარი ოკეანის სანაპიროზე; — «ხორბლეულის ფაბრიკებსაც» დაქირავებული მუშებით და იმ «დამოუკიდებელ» წვრილ მიწათმოქმედთა ჰ ო მ ს ტ ე დ ე ბ ს ა ც, რომელნიც ჯერ კიდევ აღსავსენი არიან გულუბრყვილო ილუზიით «საკუთარი შრომით» ცხოვრების შესახებ.

ურთიერთობათა მრავალგვარობა შესანიშნავია, იგი მოიცავს წარსულსაც და მომავალსაც, ევროპასაც და რუსეთსაც. რუსეთთან შედარება განსაკუთრებით საგულისხმოა, სხვათა შორის, იმ შედეგების საკითხის მხრივ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მთელი მიწების შესაძლებელ გადასვლას გლეხების ხელში, გამოსყიდვის გარეშე, გადასვლას პროგრესულს, მაგრამ უთუოდ კაპიტალისტურს.

მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების საერთო კანონები და ამ კანონთა გამოვლინების ფორმების მრავალგვარობა ყველაზე უფრო მოხერხებულად შეისწავლება შეერთებული შტატების მაგალითით. ხოლო ასეთ შესწავლას მივყავართ დასკვნებამდე, რომლებიც შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი მოკლე დებულებებით.

ხელით შრომა შეუდარებლად უფრო სჭარბობს მიწათმოქმედებაში მანქანურ შრომას, შედარებით მრეწველობასთან. მაგრამ მანქანა განუხრელად მიდის წინ, ამაღლებს მეურნეობის ტექნიკას, ხდის მეურნეობას უფრო მსხვილ, უფრო კაპიტალისტურ მეურნეობად. მანქანები თანამედროვე მიწათმოქმედებაში გამოყენებულია კაპიტალისტურად.

მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის მთავარი ნიშანი და მაჩვენებელია — დაქირავებული შრომა. დაქირავებული შრომის განვითარებას, ისე როგორც მანქანათა გამოყენების ზრდას, ჩვენ ვხედავთ ქვეყნის ყ ვ ე ლ ა რაიონში, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. დაქირავებულ მუშათა რიცხვის ზრდა წინ უსწრებს ქვეყნის სოფლის და საერთოდ მთელი მოსახლეობის ზრდას. ფერმერთა რიცხვის ზრდა ჩამორჩება სოფლის მოსახლეობის ზრდას. ძლიერდება და მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობანი.

წინ მიდის მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების განდევნა მიწათმოქმედებაში. ფერმების მთელი ქონების შესახებ 1900 და 1910 წლების მონაცემთა შედარება სავსებით ამტკიცებს ამას.

მაგრამ ეს განდევნა შემცირებულია, წვრილ მიწათმოქმედთა მდგომარეობა შელამაზებულია იმის გამო, რომ მკვლევარნი დაკმაყოფილდნენ 1910 წ. ამერიკაში — როგორც კმაყოფილდებიან თითქმის ყველგან ევროპაში — მეურნეობათა კლასიფიკაციით მიწის რაოდენობის მიხედვით. რაც უფრო ფართოდ და სწრაფად მიდის მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, მით უფრო მეტი გამოდის აღნიშნული შემცირება და შელამაზება.

კაპიტალიზმი იზრდება არა მარტო ფართობის მიხედვით მსხვილ მეურნეობათა განვითარების დაჩქარების გზით ექსტენსიურ რაიონებში, არამედ წარმოების ოდენობით უფრო მსხვილ, უფრო კაპიტალისტურ მეურნეობათა შექმნის გზითაც მიწის უფრო წვრილ ნაკვეთებზე ინტენსიურ რაიონებში.

ამის შედეგად წარმოების კონცენტრაცია მსხვილ მეურნეობებში ნამდვილად უფრო ძლიერია, — წვრილი წარმოების განდევნა ნამდვილად უფრო შორს და უფრო ღრმად მიდის,

ვიდრე ამას წარმოგვიდგენენ ჩვეულებრივი მონაცემები მიწის ფართობის მიხედვით სხვადასხვა ოდენობის ფერმების შესახებ. უფრო გულდასმით, უფრო დეტალურად, უფრო მეცნიერულად დამუშავებული 1900 წლის აღწერის მონაცემები აღარავითარ ეჭვს არ ტოვებენ ამის შესახებ.

წინ მიდის წვრილი მიწათმოქმედების ექსპროპრიაცია. უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში განუხრელად კლებულობს მესაკუთრეთა პროცენტი ფერმერთა საერთო რიცხვში, რომელიც თავის მხრივ ჩამორჩება თავისი ზრდით მოსახლეობის ზრდას. ყველაზე მთავარ რაიონში, რომელიც იძლევა სამიწათმოქმედო პროდუქტთა ყველაზე უფრო დიდ მასას და რომელმაც არ იცის არც მონათმფლობელობის ნაშთები და არც დიდი კოლონიზაცია, ჩრდილოეთში, აბსოლუტურად კლებულობს მთელი ფერმის მესაკუთრეთა რიცხვი. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შემცირდა იმ ფერმერთა პროცენტი, რომელნიც საერთოდ ფლობენ პირუტყვს; წინააღმდეგ იმ მეურნეთა პროცენტის გადიდებისა, რომელთაც ჰყავთ მეწველი პირუტყვი, გაიზარდა და გაცილებით უფრო ძლიერადაც უცხენოთა პროცენტი, განსაკუთრებით წვრილ ფერმერთა შორის.

საერთოდ და მთლიანად შედარება ერთი და იმავე დროის მონაკვეთის ერთგვაროვანი მონაცემებისა მრეწველობისა და მიწათმოქმედების შესახებ გვიჩვენებს, მეორის შეუდარებლად მეტი ჩამორჩენილობის პირობებში, ევოლუციის კანონების შესანიშნავ ერთნაირობას, წვრილი წარმოების განდევნას აქაც და იქაც.

წინასიტყვაობა ნ. ბუხარინის ბროშურისა «მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი»

თემა, რომელსაც ნ. ი. ბუხარინის ნაშრომი ეხება, იმდენად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტოა, რომ განსაკუთრებულ განმარტებას არ მოითხოვს. იმპერიალიზმის საკითხი არათუ ერთ-ერთი ყველაზე არსებითი, არამედ, შეიძლება ითქვას, ყველაზე არსებითი საკითხია ეკონომიური მეცნიერების იმ დარგში, რომელიც სწავლობს კაპიტალიზმის ფორმების ცვლას უახლეს ხანაში. იმ ფაქტების გაცნობა, რომლებიც ამ საკითხს ეხება და რომლებიც ასე უხვად შეურჩევია ავტორს უკანასკნელი მასალების მიხედვით, უთუოდ აუცილებელია ყველასთვის, ვისაც კი აინტერესებს არა მარტო ეკონომია, არამედ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი სფერო. თავისთავად იგულისხმება, რომ ახლანდელი ომის კონკრეტულ-ისტორიულ შეფასებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუ ამ შეფასებას საფუძვლად არ უდევს იმპერიალიზმის არსის სრული გამორკვევა როგორც მისი ეკონომიური, ისე პოლიტიკური მხრივ. უკანასკნელ ათეულ წელთა ეკონომიური და დიპლომატიური ისტორიის გაგებისადმი სხვაგვარად მიდგომა შეუძლებელია, ხოლო უამისოდ ომზე სწორი შეხედულების გამომუშავების შესახებ ლაპარაკიც კი სასაცილოა. მარქსიზმის თვალსაზრისით, რომელიც ამ საკითხში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატავს თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს საზოგადოდ, მხოლოდ ღიმილის გამო-

წვევა შეუძლია ისეთი ხერხების «სამეცნიერო» მნიშვნელობას, როდესაც ომის კონკრეტულ-ისტორიულ შეფასებად გულისხმობენ ერთი რომელიმე ქვეყნის გაბატონებული კლასებისათვის სასიამოვნო ან ხელსაყრელი ცალკეული წვრილმანი ფაქტების ამოგლეჯას დიპლომატიური «დოკუმენტებიდან», ყოველდღიური პოლიტიკური მოვლენებიდან და სხვ.. გ. პლეხანოვი, მაგალითად, იძულებული იყო სავსებით გამოსთხოვებოდა მარქსიზმს, რათა იმპერიალიზმის, როგორც უახლესი უაღრესად განვითარებული, მომწიფებული და გადამწიფებული კაპიტალიზმის ეკონომიურ ურთიერთობათა სისტემის, ძირითად თვისებათა და ტენდენციების ანალიზი შეეცვალა პურიშკევიჩებისა და მილიუკოვისთვის საამური ორიოდე წვრილმანი ფაქტის ამოკრებით. ამასთან იმპერიალიზმის მეცნიერული ცნება დაყვანილია რაღაც სალანძღავი გამოთქმის ხარისხამდე ორი იმ სულ ახლახან დასახელებული იმპერიალისტის უშუალო კონკურენტების, მეტოქეებისა და მოწინააღმდეგეების მისამართით, რომლებიც თავიანთ მეტოქეებთან და მოწინააღმდეგეებთან ერთად სავსებით ერთგვაროვან კლასობრივ ნიადაგზე დგანან! ჩვენს დროში, დავიწყებულ სიტყვათა, დაბნეულ პრინციპთა, თავდაყირა მდგარ მსოფლმხედველობათა, განზე მიგდებულ რეზოლუციათა და საზეიმო აღთქმათა დროში, ეს გასაკვირი არაა.

ნ. ი. ბუხარინის ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა განსაკუთრებით ის არის, რომ იგი განიხილავს მსოფლიო მეურნეობის ძირითად ფაქტებს, რომელნიც შეეხებიან იმპერიალიზმს, როგორც მთლიანს, როგორც უაღრესად განვითარებული კაპიტალიზმის განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. იყო ეპოქა შედარებით «მშვიდობიანი» კაპიტალიზმისა, როდესაც უკანასკნელმა სავსებით დაამარცხა ფეოდალიზმი ევროპის მოწინავე ქვეყნებში და როდესაც მას შეეძლო შ ე დ ა რ ე ბ ი თ ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო წ ყ ნ ა რ ა დ და მდოვრედ განვითარებულიყო, «მშვიდობიანად» გავრცელებულიყო დაუპყრობელი მიწაწყლისა და კაპიტალისტურ მორევში საბოლოოდ ჩაუთრეველი ქვეყნების ჯერ კიდევ უზარმაზარ

ოლქებზე. რა თქმა უნდა, ამ ეპოქაშიც, რომელსაც დაახლოებით 1871 — 1914 წლებით აღნიშნავენ, «მშვიდობიანი» კაპიტალიზმი ცხოვრების ისეთ პირობებს ქმნიდა, რომელნიც ძალიან და ძალიან შორს იყვნენ ნამდვილი «მშვიდობისაგან» როგორც სამხედრო, ისე ზოგად-კლასობრივი აზრით. მოწინავე ქვეყნების მოსახლეობის $^{9}/_{10}$-სათვის, კოლონიებისა და ჩამორჩენილი ქვეყნების მოსახლეობის ასეული მილიონებისათვის ეს ეპოქა იყო არა «მშვიდობა», არამედ ჩაგვრა, წამება, საშინელება, რომელიც, შესაძლოა, მით უფრო თავზარდამცემი იყო, რომ «დაუსრულებელ საშინელებად» ჩანდა. ამ ეპოქამ სამუდამოდ განვლო, იგი შეცვალა შედარებით ბევრად უფრო მძაფრმა, ნახტომისებრივმა, კატასტროფულმა, კონფლიქტურმა ეპოქამ, როდესაც მოსახლეობის მასებისათვის ტიპიური ხდება არა იმდენად «დაუსრულებელი საშინელება», რამდენადაც «საშინელი დასასრული».

ფრიად მნიშვნელოვანია ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ეს შეცვლა მოახდინა მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმისა და საზოგადოდ სასაქონლო წარმოების უაღრესად ღრმა და ძირითადი ტენდენციების უშუალო განვითარებამ, გაფართოებამ და განგრძობამ. გაცვლა-გამოცვლის ზრდა, მსხვილი წარმოების ზრდა — აი ეს ძირითადი ტენდენციები, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში ვამჩნევთ აბსოლუტურად მთელ მსოფლიოში. და გაცვლა-გამოცვლის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მსხვილი წარმოების ზრდის განსაზღვრულ საფეხურზე, სახელდობრ იმ საფეხურზე, რომელიც მიღწეულია დაახლოებით XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. გაცვლა-გამოცვლამ შექმნა სამეურნეო ურთიერთობათა ისეთი ინტერნაციონალიზაცია და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, მსხვილი წარმოება იმდენად მსხვილ წარმოებად იქცა, რომ დაიწყო თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიით. ტიპიური გახდნენ უკვე არა ის საწარმონი, რომელნიც «თავისუფალ» კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს — ქვეყნის შიგნით და ქ ვ ე ყ ნ ე ბ ს შ ო რ ი ს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი, — არამედ მეწარმეთა მონოპოლისტური კავშირები,

ტრესტები. მსოფლიოს ტიპიური «მეუფე» გახდა უკვე ფინანსური კაპიტალი, რომელიც განსაკუთრებით მოძრავი და მოქნილია, განსაკუთრებით გადახლართულია, ქვეყნის შიგნით და ინტერნაციონალურად, — განსაკუთრებით უპიროვნოა და მოწყვეტილია უშუალო წარმოებას, განსაკუთრებით ადვილად ახერხებს კონცენტრაციას და უკვე განსაკუთრებით შორსაა წასული თავისი კონცენტრაციის მხრივ, ასე რომ მთელი მსოფლიოს ბედი მართლაც რამდენიმე ას მილიარდერსა და მილიონერს უჭირავს ხელში.

თუ ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ-თეორიულ მსჯელობას გავყვებით, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომელთანაც მივიდა კაუცკი, — რომელიც ცოტა სხვანაირად, მაგრამ მაინც გამოეთხოვა მარქსიზმს, — სახელდობრ: უკვე არცთუ ძალიან შორს არის კაპიტალის ამ მაგნატების მსოფლიო გაერთიანებაც ერთიან მსოფლიო ტრესტად, რომელიც სახელმწიფოებრივად განცალკევებული ფინანსური კაპიტალების მეტოქეობასა და ბრძოლას ინტერნაციონალურად გაერთიანებული ფინანსური კაპიტალით შეცვლის. მაგრამ ასეთი დასკვნა იმდენადვე აბსტრაქტული, გამარტივებული და არასწორია, რამდენადაც ჩვენი «სტრუვისტებისა» და «ეკონომისტების» ანალოგიური დასკვნა გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მათ კაპიტალიზმის პროგრესულობიდან, მისი აუცილებლობიდან, რუსეთში მისი საბოლოო გამარჯვებიდან გამოჰყავდათ დასკვნები: ხან აპოლოგეტური (მუხლის მოდრეკა კაპიტალიზმის წინაშე, მასთან შერიგება, ქება-დიდება ნაცვლად ბრძოლისა), ხან აპოლიტიკური (ე. ი. უარმყოფელი პოლიტიკისა ან უარმყოფელი პოლიტიკის დიდი მნიშვნელობისა, საერთო პოლიტიკურ შერყევათა შესაძლებლობისა და სხვ.; ესაა სპეციალურად «ეკონომისტების» შეცდომა), ხან კიდევ პირდაპირ «გამფიცველობითი» («საყოველთაო გაფიცვა», როგორც საგაფიცვო მოძრაობის აპოთეოზი, რომელიც მიყვანილია მოძრაობის სხვა ფორმათა დავიწყებამდე ან უგულებელყოფამდე და კაპიტალიზმიდან პირდაპირ «ნახტომით» გადადის ამავე კაპიტალიზმის წმინდა საგაფიცვო, მარტოოდენ

საგაფიცვო საშუალებით დაძლევაზე). არის ნიშნები, რომ ახლაც თავისუფალი კონკურენციის ნახევრადმეშჩანურ «სამოთხესთან» შედარებით კაპიტალიზმის პროგრესულობის უდავო ფაქტმა, იმპერიალიზმის გარდუვალობისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში «მშვიდობიან» კაპიტალიზმზე მისი საბოლოო გამარჯვების ფაქტმა, — შეიძლება ასეთივე მრავალრიცხოვან და სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ და აპოლიტიკურ შეცდომებამდე და ფათერაკამდე მიგვიყვანოს.

რაც შეეხება კერძოდ კაუცკის, მისმა აშკარა ჩამოშორებამ მარქსიზმისაგან მიიღო ფორმა არა პოლიტიკის უარყოფის ან დავიწყებისა, არა მრავალრიცხოვან და სხვადასხვაგვარ, განსაკუთრებით იმპერიალისტურ ეპოქაში, პოლიტიკურ კონფლიქტებსა, შერყევებსა და გარდაქმნებზე «გადახტომისა», არა იმპერიალიზმის აპოლოგეტიკისა, არამედ ფორმა «მშვიდობიან» კაპიტალიზმზე ოცნებობისა. «მშვიდობიანი» კაპიტალიზმი შეცვალა არამშვიდობიანმა, მებრძოლმა, კატასტროფულმა იმპერიალიზმმა, — კაუცკი იძულებულია აღიაროს ეს, ვინაიდან მან ეს უკვე 1909 წელს აღიარა ცალკე თხზულებაში [4], რომელშიც ის უკანასკნელად გამოვიდა მთლიანი დასკვნებით, როგორც მარქსისტი. მაგრამ თუ არ შეიძლება უბრალოდ, პირდაპირ, უხეშად ოცნებობა იმპერიალიზმიდან უკან, «მშვიდობიანი» კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებაზე, ხომ არ შეიძლება ამავე, არსებითად წვრილბურჟუაზიულ ოცნებებს მივცეთ ფორმა უწყინარი ფიქრებისა «მშვიდობიანი» «ულტრაიმპერიალიზმის» შესახებ? თუ ულტრაიმპერიალიზმის სახელს დავარქმევთ ეროვნულ (უფრო სწორად რომ ვთქვათ, სახელმწიფოებრივად-განცალკევებულ) იმპერიალიზმთა ინტერნაციონალურ გაერთიანებას, რომელიც «შეძლებდა» თავიდან აეშორებინა ისეთი კონფლიქტები, როგორიცაა ომები, პოლიტიკური შერყევანი და სხვა, რომლებიც განსაკუთრებით არასასიამოვნო, განსაკუთრებით სახიფათო და შემაშფოთებელია წვრილი ბურჟუასათვის, მაშინ ახლანდელ, უკვე დამდგარ, უკვე არსებულ, უაღრესად-კონფლიქტურ და კატასტროფულ

იმპერიალიზმის ეპოქას რატომ არ უნდა ვაქციოთ ზურგი უმანკო ოცნებებით შედარებით მშვიდობიან, შედარებით უკონფლიქტო, შედარებით უკატასტროფო «ულტრაიმპერიალიზმზე»? ნუთუ არ შეიძლება ზურგი ვაქციოთ იმ «მძაფრ» ამოცანებს, რომელთაც აყენებს და რომელნიც უკვე დააყენა ევროპისთვის დამდგარმა იმპერიალიზმის ეპოქამ, ზურგი ვაქციოთ იმაზე ოცნებით, რომ იქნებ ამ ეპოქამ ჩქარა განვლოს და იქნებ საფიქრებელი იყოს მას მოჰყვეს შედარებით «მშვიდობიანი» ეპოქა «ულტრაიმპერიალიზმისა», რომელიც «მძაფრ» ტაქტიკას არ მოითხოვს? კაუცკი სწორედ ასე ლაპარაკობს: «კაპიტალიზმის ამგვარი (ულტრაიმპერიალისტური) ახალი ფაზის გონებით წარმოდგენა ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია», ხოლო «შესაძლებელია თუ არა, რომ იგი განხორციელდეს, ამის გადასაწყვეტად საკმაო წანამძღვრები ჯერ არა გვაქვსო» («Neue Zeit» [5], 30/IV. 1915, გვ. 144).

ამ მისწრაფებაში, რომ განზე გაუდგნენ უკვე დამყარებულ იმპერიალიზმს და ოცნებით შეტოპონ «ულტრაიმპერიალიზმში», რომელიც არავინ იცის, განხორციელდება თუ არა, მარქსიზმის ნატამალიც კი არ არის. ამ მსჯელობაში მარქსიზმი აღიარებულია «კაპიტალიზმის» იმ «ახალი ფაზისთვის», რომლის *განხორციელების* თავდებობას თვით მისი შემთხზველიც ვერ კისრულობს, ხოლო ახლანდელი, უკვე დაწყებული ფაზისთვის მარქსიზმის ნაცვლად წამოყენებულია წვრილბურჟუაზიული და ყოვლად რეაქციული მისწრაფება წინააღმდეგობათა შერბილებისაკენ. კაუცკი *შეგვპირდა* მარქსისტობას მომავალი, მწვავე და კატასტროფული ეპოქისათვის, რომელიც მას ძალაუნებურად უნდა გაეთვალისწინებინა და სავსებით გარკვეულად ელიარებინა, როდესაც წერდა თავის 1909 წლის თხზულებას ამ მომავალი ეპოქის შესახებ. ახლა, როდესაც უკვე აბსოლუტურად უეჭველი გახდა, რომ ეს ეპოქა დადგა, კაუცკი ისევ მხოლოდ *გვპირდება* მარქსისტობას მომავალი ულტრაიმპერიალიზმის ეპოქისათვის, რომელიც არავინ იცის, განხორციელდება თუ არა! ერთი სიტყვით, რამდენიც გინდათ დაპირება მარქსისტობისა *სხვა*

ეპოქისათვის, ოღონდ არა ახლა, არა არსებულ პირობებში, არა არსებულ ეპოქაში! მარქსიზმი ნისიად, მარქსიზმი დაპირებული, მარქსიზმი სახვალიოდ, ხოლო სადღეისოდ—წვრილბურჟუაზიული, ოპორტუნისტული თეორია — და არა მარტო თეორია — წინააღმდეგობათა შერბილებისა. ეს ძლიერ წააგავს ჩვენს დროში მეტად გავრცელებულ საექსპორტო ინტერნაციონალიზმს, როდესაც მხურვალე — და მერე რარიგ მხურვალე! — ინტერნაციონალისტები და მარქსისტები თანაუგრძნობენ ინტერნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლენას... მოწინააღმდეგეთა ბანაკში, ყველგან, ოღონდ არა თავის სახლში და არა თავის მოკავშირეებში; თანაუგრძნობენ დემოკრატიას... როდესაც ის «მოკავშირეთა» დაპირებად რჩება; თანაუგრძნობენ «ერთა თვითგამორკვევას», ოღონდ არა იმ ერებისას, რომელნიც დამოკიდებულნი არიან იმ ერზე, რომელსაც პატივი აქვს მისდამი კუთვნილ პირთა შორის თვლიდეს თანამგრძნობს... ერთი სიტყვით, პირმოთნეობის ერთი 1 001 სახესხვაობათაგანი!

მაგრამ შეიძლება თუ არა კამათი იმის წინააღმდეგ, რომ აბსტრაქტულად შესაძლებელია «წარმოდგენა» კაპიტალიზმის ახალი ფაზისა იმპერიალიზმის შემდეგ, სახელდობრ — ულტრაიმპერიალიზმისა? არა. ამგვარი ფაზის წარმოდგენა აბსტრაქტულად შესაძლებელია. ოღონდ პრაქტიკაში ეს ნიშნავს გახდე ისეთი ოპორტუნისტი, რომელიც მომავალ არამწვავე ამოცანებზე ოცნების გულისთვის უარყოფს თანამედროვეობის მწვავე ამოცანებს. თეორიაში კი ეს ნიშნავს არა იმ განვითარებაზე დაყრდნობას, რომელიც სინამდვილეში მიმდინარეობს, არამედ ამ განვითარებისაგან თვითნებურად მოწყვეტას ხსენებულ ოცნებათა გულისთვის. ეჭვი არ არის, რომ განვითარება მიდის იმ ერთადერთი მსოფლიო ტრესტის მიმართულებით, რომელმაც უნდა ჩანთქას უკლებლივ ყველა საწარმო და უკლებლივ ყველა სახელმწიფო. მაგრამ განვითარება აქეთკენ მიდის ისეთ პირობებში, ისეთი ტემპით, ისეთ წინააღმდეგობათა, კონფლიქტთა და შერყევათა, — სრულიადაც არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ, ეროვ-

ნულ და სხვ. და სხვ., — პირობებში, რომ, უეჭველია, უ ფ რ ო ა დ რ ე, ვიდრე საქმე ერთ მსოფლიო ტრესტამდე, ნაციონალურ ფინანსურ კაპიტალთა «ულტრა-იმპერიალისტურ» მსოფლიო გაერთიანებამდე მივიდოდეს, იმპერიალიზმი აუცილებლად უნდა გასკდეს, კაპიტალიზმი გადაიქცევა თავის წინააღმდეგობად.

XII. 1915.

ვ. ი ლ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 17

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ოპორტუნიზმი
და II ინტერნაციონალის კრახი[6]

I

ნამდვილად შეწყვიტა თუ არა არსებობა II ინტერნაციონალმა? მისი ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელნი, როგორიც არიან კაუცკი და ვანდერველდე, დაჟინებით უარყოფენ ამას. არაფერიც არ მომხდარა, გარდა ურთიერთობათა გაწყვეტისა; ყველაფერი რიგზეაო. ასეთია მათი თვალსაზრისი.

ჭეშმარიტების გამოსარკვევად მივმართოთ 1912 წლის ბაზელის კონგრესის მანიფესტს, რომელიც სწორედ ახლანდელ მსოფლიო იმპერიალისტურ ომს ეხება და რომელიც მსოფლიოს ყველა სოციალისტურმა პარტიამ მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი სოციალისტი ვერ გაბედავს უარყოს თეორიაში ყოველი ომის კონკრეტულ-ისტორიული შეფასების აუცილებლობა.

ახლა, როდესაც ომი გაჩაღებულია, ვერც აშკარა ოპორტუნისტები, ვერც კაუცკელები ვერ ბედავენ ვერც ბაზელის მანიფესტის უარყოფას და ვერც იმას, რომ მის მოთხოვნებს დაუპირისპირონ სოციალისტური პარტიების საქციელი ომის დროს. რატომ? იმიტომ, რომ მანიფესტი სავსებით ამხელს პირველთაც და მეორეთაც.

მასში არ არის არც ერთი სიტყვა არც სამშობლოს დაცვაზე, არც შეტევითსა და თავდაცვითს ომს შორის განსხვავებაზე, არც ერთი სიტყვა არ არის ყოველივე იმაზე, რაზედაც ახლა

ყოველ გზაჯვარედინზე საქვეყნოდ გაყვირიან გერმანიისა და ოთხთა თანხმობის[7] ოპორტუნისტები და კაუცკელები *. მანიფესტს არც შეეძლო ამაზე ლაპარაკი, ვინაიდან ის, რასაც იგი ლაპარაკობს, აბსოლუტურად გამორიცხავს ამ ცნებათა ყოველგვარ გამოყენებას. იგი სავსებით კონკრეტულად მიუთითებს მთელ რიგ ეკონომიურ და პოლიტიკურ კონფლიქტებზე, რომელნიც ამზადებდნენ ამ ომს ათეული წლების განმავლობაში, რომელნიც სავსებით გამომჟღავნდნენ 1912 წელს და რომელთაც გამოიწვიეს 1914 წლის ომი. მანიფესტი მოგვაგონებს რუსეთ — ავსტრიის კონფლიქტს «ბალკანეთში ჰეგემონიისათვის», კონფლიქტს ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიას შორის (ყ ვ ე ლ ა ამ ქვეყნებს შორის!) «მცირე აზიაში» მათი «დაპყრობითი პოლიტიკის» გამო, ავსტრია — იტალიის კონფლიქტს ალბანეთში «ბატონობისადმი მისწრაფების» გამო და სხვ.. მანიფესტი ერთი სიტყვით განსაზღვრავს ყველა ამ კონფლიქტს, როგორც კონფლიქტებს «კაპიტალისტური იმპერიალიზმის» ნიადაგზე. ამრიგად, მანიფესტი სავსებით ნათლად აღიარებს ახლანდელი ომის დაპყრობითს, იმპერიალისტურ, რეაქციულ, მონათმფლობელურ ხასიათს, ე. ი. იმ ხასიათს, რომელიც სამშობლოს დაცვის დასაშვებლობას თეორიულ უაზრობად და პრაქტიკულ აბდაუბდად აქცევს. წარმოებს ბრძოლა დიდი ვეშაპებისა სხვათა «სამშობლოების» ჩასაყლაპავად. მანიფესტს უდავო ისტორიული ფაქტებიდან გამოჰყავს აუცილებელი დასკვნები: შეუძლებელია ამ ომის «სულ მცირეოდნად მაინც გამართლება ხალხის რაიმე ინტერესის მომიზეზებით»; იგი მზადდება «კაპიტალისტების მოგების, დინასტიათა პატივმოყვარეობის გულისათვის». «დანაშაული» იქნებოდა, რომ მუშებმა «ერთმანეთს დაუწყონ სროლა». ასე ლაპარაკობს მანიფესტი.

---

* ლაპარაკია არა კაუცკის მომხრეთა პიროვნებებზე გერმანიაში, არამედ იმ ცრუ მარქსისტების საერთაშორისო ტიპზე, რომელნიც მერყეობენ ოპორტუნიზმსა და რადიკალიზმს შორის, ხოლო სინამდვილეში კი წარმოადგენენ მხოლოდ საფარს ოპორტუნიზმისათვის.

კაპიტალისტური იმპერიალიზმის ეპოქა — ესაა ეპოქა მომწიფებული და გადამწიფებული კაპიტალიზმისა, რომელიც თავისი დამსხვრევის წინაშე დგას, მომწიფებულისა იმდენად, რომ სოციალიზმს დაუთმოს ადგილი. 1789 — 1871 წლების პერიოდი იყო პროგრესული კაპიტალიზმის ეპოქა, მაშინ როდესაც ისტორიის დღის წესრიგში იდგა ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმის დამხობა, უცხოელთა უღლისაგან განთავისუფლება. ამ ნიადაგზე, და მ ხ ო ლ ო დ ამ ნიადაგზე, იყო დასაშვები «სამშობლოს დაცვა», ე. ი. ჩაგვრისაგან დაცვა. ეს ცნება შეიძლებოდა ახლაც მიგვეყენებინა ომისადმი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მაგრამ აბსურდი იქნებოდა მიგვეყენებინა იგი ომისადმი დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შ ო რ ი ს, ომისადმი, რომელშიც საქმე ეხება იმას, თუ ვინ მოახერხებს უფრო მეტად გაძარცვოს ბალკანეთის ქვეყნები, მცირე აზია და სხვ.. ამიტომ საკვირველი როდია, რომ ის «სოციალისტები», რომელნიც აღიარებენ «სამშობლოს დაცვას» ამ ახლანდელ ომში, გვერდს უვლიან ბაზელის მანიფესტს, როგორც ქურდი იმ ადგილს, სადაც მან იქურდა. მანიფესტი ხომ იმას ამტკიცებს, რომ ისინი არიან სოციალ-შოვინისტები, ე. ი. სოციალისტები სიტყვით და შოვინისტები საქმით, რომელნიც «თავიანთ» ბურჟუაზიას ეხმარებიან უცხო ქვეყნების ძარცვაში, სხვა ერების დამონებაში. «შოვინიზმის» ცნებაში არსებითი სწორედ ის არის, რომ «თავიანთ» სამშობლოს იცავენ მაშინაც კი, როდესაც მისი მოქმედება სხვების სამშობლოთა დამონებისაკენ არის მიმართული.

ომის აღიარებიდან ომად ნაციონალური განთავისუფლებისათვის ერთი ტაქტიკა გამომდინარეობს, ხოლო მისი იმპერიალისტურ ომად აღიარებიდან — მეორე. მანიფესტი ნათლად მიგვითითებს ამ მეორე ტაქტიკაზე. ომი «გამოიწვევს ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს», რომელიც საჭიროა «გამოვიყენოთ»: არა კრიზისის შესამსუბუქებლად, არა სამშობლოს დასაცავად, არამედ, პირიქით, მასების «შ ე ს ა ნ ჯ ღ რ ე ვ ა დ», «კაპიტალის ბატონობის დამხობის დასაჩქარებლად».

არ შეიძლება დააჩქაროთ ის, რისთვისაც ჯერ კიდევ არ მომწიფებულა ისტორიული პირობები. მანიფესტი აღიარებდა, რომ სოციალური რევოლუცია შესაძლებელია, რომ მისი წანამძღვრები მომწიფებულია, რომ იგი მოვა სწორედ ომთან დაკავშირებით: «გაბატონებულ კლასებს» ეშინიათ «პროლეტარული რევოლუციისა», — აცხადებს მანიფესტი და მიუთითებს პარიზის კომუნისა და რუსეთის 1905 წ. რევოლუციის მაგალითზე, ე. ი. მასობრივი გაფიცვების, სამოქალაქო ომის მაგალითებზე. სიცრუეა, როდესაც ამტკიცებენ, კაუცკის მსგავსად, რომ სოციალიზმის დამოკიდებულება ამ ომისადმი გარკვეული არ ყოფილა. ეს საკითხი არათუ განხილულ იქნა, არამედ გადაწყდა კიდეც ბაზელში, სადაც მიღებულ იქნა რევოლუციურ-პროლეტარული მასობრივი ბრძოლის ტაქტიკა.

აღმაშფოთებელი თვალთმაქცობაა, როდესაც სავსებით, ან მის ყველაზე არსებით ნაწილებში, გვერდს უვლიან ბაზელის მანიფესტს და ამის მაგივრად მოჰყავთ ციტატები ბელადების სიტყვებიდან ან ცალკეულ პარტიათა რეზოლუციებიდან, რომლებიც, ჯერ-ერთი, ითქვა ბაზელამდე, მეორე — არ წარმოადგენდნენ მთელი მსოფლიოს პარტიების გადაწყვეტილებებს, მესამე — ეხებოდნენ სხვადასხვა შესაძლებელ ომებს და არა ახლანდელ ომს. საქმის არსი ის არის, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის ,ნაციონალური ომების ეპოქა შეცვალა მათ შორის იმპერიალისტური ომების ეპოქამ, და ბაზელის მანიფესტს პირველად უნდა ეღიარებინა ოფიციალურად ეს ფაქტი.

შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ თითქოს ბაზელის მანიფესტი იყოს ცარიელი დეკლამაცია, გაცვეთილი ფრაზა, არასერიოზული მუქარა. ასე სურთ საკითხის დაყენება იმათ, ვისაც ეს მანიფესტი ამხელს. მაგრამ ეს მართალი არ არის. მანიფესტი არის მხოლოდ შედეგი II ინტერნაციონალის მთელი ეპოქის დიდი პროპაგანდისტული მუშაობისა, იგი მხოლოდ შეჯამებაა ყოველივე იმისა, რასაც სოციალისტები ისროდნენ მასებში ასი ათასობით წარმოთქმულ თავიანთ

სიტყვებსა, სტატიებსა და მოწოდებებში ყველა ენაზე. იგი მხოლოდ იმეორებს იმას, რასაც წერდა, მაგალითად, ჟიულ გედი 1899 წელს, როდესაც იგი ამათრახებდა სოციალისტების მინისტერიალიზმს ომის შემთხვევისათვის: იგი ლაპარაკობდა «კაპიტალისტური მეკობრეების» მიერ გამოწვეულ ომზე («En garde!»*, გვ. 175); მხოლოდ იმას, რასაც წერდა კაუცკი 1909 წელს ბროშურაში «გზა ძალაუფლებისაკენ», სადაც იგი აღიარებდა «მშვიდობიანი» ეპოქის დამთავრებას და ომებისა და რევოლუციების ეპოქის დაწყებას. ბაზელის მანიფესტის ფრაზად ან შეცდომად დასახვა, — ეს ნიშნავს ფრაზად ან შეცდომად მივიჩნიოთ უკანასკნელი 25 წლის მთელი სოციალისტური მუშაობა. მანიფესტსა და მის გამოუყენებლობას შორის წინააღმდეგობა სწორედ იმიტომ არის ასე აუტანელი ოპორტუნისტებისა და კაუცკელებისათვის, რომ იგი ააშკარავებს უღრმეს წინააღმდეგობას II ინტერნაციონალის მუშაობაში. 1871 — 1914 წლების პერიოდის შედარებით «მშვიდობიანი» ხასიათი ასაზრდოებდა ოპორტუნიზმს ჯერ როგორც განწყობილებას, შემდეგ როგორც მიმართულებას და, ბოლოს, როგორც მუშათა ბიუროკრატიისა და წვრილბურჟუაზიულ თანამგზავრთა ჯგუფს ანუ ფენას. ამ ელემენტებს შეეძლოთ მუშათა მოძრაობა დაემორჩილებინათ მხოლოდ იმ გზით, რომ ისინი სიტყვით აღიარებდნენ რევოლუციურ მიზნებსა და რევოლუციურ ტაქტიკას. მათ შეეძლოთ მასების ნდობის მოპოვება მხოლოდ იმის ფიცით, თითქოს მთელი «მშვიდობიანი» მუშაობა მარტოოდენ მომზადებაა პროლეტარული რევოლუციისათვის. ეს წინააღმდეგობა იყო ის მუწუკი, რომელიც ოდესმე უნდა გამორწყულიყო, და გამოირწყო კიდეც. მთელი საკითხი ისაა, საჭიროა თუ არა შევეცადოთ, როგორც ამას კაუცკი და კომპანია სჩადის, ხელახლა შევაბრუნოთ ეს ჩირქი ორგანიზმში «ერთიანობის» (ჩირქთან «ერთიანობის») გულისთვის, — თუ იმ მიზნით, რომ მუშათა მოძრაობის ორგანიზმის სრულ

* — «სადარაჯოზე!». რედ.

გაჯანსაღებას დავეხმაროთ, საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად და გულმოდგინებით მოვიშოროთ ეს ჩირქი, მიუხედავად ამ პროცესით გამოწვეული დროებითი მწვავე ტკივილებისა.

სოციალიზმისადმი ღალატი იმათ მხრივ, ვინც ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს, ვინც შედიოდა სამინისტროებში და იცავდა სამშობლოს თავდაცვის იდეას 1914 — 1915 წელს, — ცხადია. ამ ფაქტის უარყოფა მხოლოდ თვალთმაქცებს შეუძლიათ. აუცილებლად საჭიროა მისი ახსნა.

II

უგუნურება იქნებოდა მთელი საკითხი განვიხილოთ როგორც საკითხი პიროვნებათა შესახებ. რა საერთო აქვს ამას ოპორტუნიზმთან, თუ ისეთი ადამიანები, როგორიც არიან პლეხანოვი და გედი და სხვ.? — კითხულობდა კაუცკი («Neue Zeit» *, 28 მაისი, 1915 წ.). რა საერთო აქვს ამას ოპორტუნიზმთან, თუ კაუცკი და სხვ.? — უპასუხებდა აქსელროდი ოთხთა შეთანხმების ოპორტუნისტთა სახელით («Die Krise der Sozialdemokratie» **, ციურიხი, 1915 წ., გვ. 21). ყველაფერი ეს — კომედიაა. მთელი მოძრაობის კრიზისის ასახსნელად აუცილებელია განვიხილოთ, ჯერ-ერთი, მოცემული პოლიტიკის **ეკონომიური** მნიშვნელობა, მეორე, ის **იდეები**, რომლებიც მას საფუძვლად უდევს და, მესამე, ამ პოლიტიკის კავშირი სოციალიზმში არსებულ **მიმართულებათა ისტორიასთან.**

რა შეადგენს 1914 — 1915 წ. ომის დროინდელი ობორონცობის ეკონომიურ არსს? ყველა დიდი სახელმწიფოს ბურჟუაზია ომს აწარმოებს მსოფლიოს განაწილებისა და ექსპლოატაციის მიზნით, ხალხთა ჩაგვრის მიზნით. ერთ მუჭა მუშათა ბიუროკრატიას, მუშათა არისტოკრატიასა და წვრილ-

* — «ახალი დროება». რედ.
** — «სოციალ-დემოკრატიის კრიზისი». რედ.

ბურჟუაზიულ თანამგზავრებს შეიძლება ცოტა რამ ნამცეცები ერგოთ ბურჟუაზიის დიდი მოგებიდან. სოციალ-შოვინიზმისა და ოპორტუნიზმის კლასობრივი სარჩული ერთი და იგივეა: პრივილეგიურ მუშათა მცირეოდენი ფენის კავშირი «თავის» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის მასების წინააღმდეგ, ბურჟუაზიის ლაქიების კავშირი მასთანვე — ბურჟუაზიის მიერ ექსპლოატირებული კლასის წინააღმდეგ.

ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის პოლიტიკური შინაარსი ერთი და იგივეა: კლასთა თანამშრომლობა, პროლეტარიატის დიქტატურაზე უარის თქმა, ხელის აღება რევოლუციურ მოქმედებაზე, ბურჟუაზიული კანონიერების უსიტყვოდ აღიარება, პროლეტარიატისადმი უნდობლობა და ბურჟუაზიისადმი ნდობა. სოციალ-შოვინიზმი — პირდაპირი გაგრძელება და დამთავრებაა ინგლისური ლიბერალური მუშათა პოლიტიკისა, მილიერანიზმისა და ბერნშტეინელობისა.

მთელი ეპოქა 1889 წლიდან 1914 წლამდე აღსავსეა მუშათა მოძრაობის ორი ძირითადი ტენდენციის — რევოლუციური და ოპორტუნისტული სოციალიზმის ბრძოლით. ახლაც აგრეთვე ყველა ქვეყანაში არსებობს ორი მთავარი მიმდინარეობა ომისადმი დამოკიდებულების საკითხში. თავი დავანებოთ პიროვნებებზე მითითების ბურჟუაზიულ და ოპორტუნისტულ მანერას. ავიღოთ მიმართულებანი მთელ რიგ ქვეყნებში. ჩვენ ავიღებთ ევროპის ათ სახელმწიფოს: გერმანიას, ინგლისს, რუსეთს, იტალიას, ჰოლანდიას, შვეიცას, ბულგარეთს, შვეიცარიას, ბელგიას, საფრანგეთს. პირველ რვა ქვეყანაში ოპორტუნისტულ და რევოლუციურ მიმართულებებად დაყოფა შეესაბამება დაყოფას სოციალ-შოვინისტებად და ინტერნაციონალისტებად. გერმანიაში სოციალ-შოვინიზმის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ «Sozialistische Monatshefte»[8] და ლეგინი და კომპანია; ინგლისში — ფაბიანელები[9] და მუშათა პარტია[10] (I. L. P.[11] ყოველთვის ბლოკში

იყო მათთან, მხარს უჭერდა მათს ორგანოს და ამ ბლოკში ყოველთვის უფრო სუსტი იყო, ვიდრე სოციალ-შოვინისტები, მაშინ როდესაც B. S. P.-ში[12] ინტერნაციონალისტები სამ მეშვიდედს შეადგენენ); რუსეთში ეს მიმდინარეობა წარმოდგენილია «ნაშა ზარიათი»[13] (ახლა «ნაშე დელო»), ორგანიზაციული კომიტეტით[14], სათათბიროს ფრაქციით, რომელსაც ჩხეიძე ხელმძღვანელობს; იტალიაში — რეფორმისტებით ბისოლატის მეთაურობით; ჰოლანდიაში—ტრულსტრას პარტიით; შვეიცარიაში — პარტიის უმრავლესობით, რომელსაც ბრანტინგი ხელმძღვანელობს; ბულგარეთში — «შიროკების» პარტიით; შვეიცარიაში — გრეილიხით და კომპანიით. სწორედ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატთა შორის ყ ვ ე ლ ა ამ ქვეყანაში უკვე გაისმა ცოტად თუ ბევრად მკვეთრი პროტესტი სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ. გამონაკლისია მხოლოდ ორი ქვეყანა: საფრანგეთი და ბელგია, რომლებშიც აგრეთვე არსებობს ინტერნაციონალიზმი, მაგრამ ის ძალიან სუსტია.

სოციალ-შოვინიზმი — ეს დასრულებული ოპორტუნიზმია. იგი მომწიფდა ბურჟუაზიასა და გენერალურ შტაბებთან აშკარა, ხშირად ვულგარული კავშირისათვის. და სწორედ ეს კავშირი ანიჭებს მას დიდ ძალას, და ლეგალური ბეჭდვითი სიტყვისა და მასების მოტყუების მონოპოლიას. უ გ უ ნ ურ ე ბ ა ა ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს მ ი ჩ ნ ე ვ ა დ ღ ე მ დ ე შ ი ნ ა პ ა რ ტ ი ულ მ ო ვ ლ ე ნ ა დ. უგუნურებაა იმაზე ფიქრი, რომ ბაზელის რეზოლუცია გავატაროთ დავიდთან, ლეგინთან, ჰაინდმანთან, პლეხანოვთან და ვებთან ერთად. სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობა არის ერთიანობა «საკუთარ» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან, რომელიც ექსპლოატაციას უწევს სხვა ერებს, არის ინტერნაციონალური პროლეტარიატის გათიშვა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპორტუნისტებთან კავშირის გაწყვეტა ყველგან შესაძლებელია დაუყოვნებლივ; ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისტორიულად ეს გათიშვა მომწიფებულია, რომ იგი აუცილებელი და გარდუვალია პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის, რომ ისტორიამ, რომელმაც მიგვიყვანა «მშვიდობიანი» კაპი-

ტალიზმიდან იმპერიალისტურ კაპიტალიზმთან, მოამზადა ეს გათიშვა. Volentem ducunt fata, nolentem trahunt*.

III

ბურჟუაზიის ჭკვიანი წარმომადგენელნი ამას მშვენივრად მიხვდნენ. ამიტომაც ასე აქებენ ისინი ახლანდელ სოციალისტურ პარტიებს, რომელთა სათავეში დგანან «სამშობლოს დამცველნი», ე. ი. იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯის დამცველნი. ამიტომაც არის, რომ მთავრობები სოციალ-შოვინისტურ ბელადებს გასამრჯელოს უნაზღაურებენ ხან მინისტრთა პოსტებით (საფრანგეთსა და ინგლისში), ხან ლეგალური დაუბრკოლებელი არსებობის მონოპოლიით (გერმანიასა და რუსეთში). ამიტომაც გერმანიაში, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ყველაზე ძლიერი იყო და სადაც მისი გადაქცევა ნაციონალ-ლიბერალურ კონტრრევოლუციურ მუშათა პარტიად ყველაზე უფრო თვალსაჩინო იყო, საქმე იქამდე მივიდა, რომ «უმცირესობასა» და «უმრავლესობას» შორის ბრძოლაში პროკურატურა ხედავს «კლასობრივი სიძულვილის გაღვივებას»! ამიტომ ჭკვიანი ოპორტუნისტები ყველაზე მეტად ზრუნავენ იმ ძველი პარტიების წინანდელი «ერთიანობის» შენარჩუნებაზე, რომლებმაც ესოდენ დიდი სამსახური გაუწიეს ბურჟუაზიას 1914 — 1915 წ.. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც 1915 წ. აპრილში «მონიტორის» ფსევდონიმით გამოაქვეყნა სტატია რეაქციულ ჟურნალში — «Preussische Jahrbücher»[15], მოსაწონი გულახდილობით გამოხატავს ამ ოპორტუნისტთა შეხედულებებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მონიტორი ფიქრობს, რომ ბურჟუაზიისათვის ძალიან საშიში იქნებოდა სოციალ-დემოკრატიის კიდევ უფრო მარჯვნივ წასვლა: «მან უნდა შეინარჩუნოს მუშათა პარტიის ხასიათი სოციალისტური იდეალებითურთ. ვინაიდან

* — მსურველი ბედს მიჰყავს, არა მსურველს — მიათრევს. რედ.

იმავე დღეს, რა დღესაც იგი ამაზე უარს იტყვის, გაჩნდება ახალი პარტია, რომელიც მიიღებს ძველი წინანდელი პარტიის მიერ უარყოფილ პროგრამას და კიდევ უფრო რადიკალურ ფორმულირებას მისცემს მას» («Preussische Jahrbücher», 1915, № 4, გვ. 50 — 51).

მონიტორმა შიგ წერტილში მოარტყა. ინგლისელ ლიბერალებსა და ფრანგ რადიკალებს ყოველთვის სწორედ ეს სურდათ: რევოლუციური ფრაზები, რათა მოატყუონ მასები, რათა ამ მასებმა ნდობა გამოუცხადონ ლოიდ-ჯორჯებს, სამბებს, რენოდელებს, ლეგინებს და კაუცკებს, იმ ადამიანებს, რომელთაც უნარი შესწევთ მძარცველურ ომში «სამშობლოს დაცვა» იქადაგონ.

მაგრამ მონიტორი ოპორტუნიზმის მხოლოდ ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს: აშკარას, უხეშს, ცინიკურს. სხვები ფარულად, მარჯვედ, «პატიოსნად» მოქმედებენ. ენგელსმა ერთხელ თქვა: «პატიოსანი» ოპორტუნისტები ყველაზე უფრო საშიშნი არიან მუშათა კლასისათვისო...[16] აი ერთი მაგალითი:

კაუცკი წერს «Neue Zeit»-ში (1915 წ. 26 ნოემბერს): «ოპოზიცია უმრავლესობის წინააღმდეგ იზრდება; მასები ოპოზიციურად არიან განწყობილნი». «ომის შემდეგ (მხოლოდ ომის შემდეგ? **ნ. ლ.**) კლასობრივი წინააღმდეგობანი იმდენად გამწვავდებიან, რომ მასებში რადიკალიზმი გაიმარჯვებს». «ომის შემდეგ (მხოლოდ ომის შემდეგ? **ნ. ლ.**) ჩვენ გვემუქრება პარტიიდან რადიკალური ელემენტების გაქცევა და მათი გადასვლა ანტიპარლამენტური (?? უნდა ვიგულისხმოთ: პარლამენტგარეშე) მასობრივი მოქმედების პარტიაში». «ამრიგად, ჩვენი პარტია ითიშება ორ უკიდურეს ბანაკად, რომელთაც ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ». ერთიანობის გადასარჩენად კაუცკი ცდილობს დააჯეროს რეიხსტაგის უმრავლესობა, რომ მან ნება მისცეს უმცირესობას წარმოთქვას რამდენიმე რადიკალური საპარლამენტო სიტყვა. ეს იმას ნიშნავს, რომ კაუცკის სურს რამდენიმე რადიკალური საპარლამენტო სიტყვით შეარიგოს რევოლუციური მასები ოპორტუნისტებთან, რომელთაც «საერთო

არაფერი აქვთ» რევოლუციასთან, რომელნიც უკვე დიდი ხანია ხელმძღვანელობენ პროფკავშირებს, ახლა კი, ბურჟუაზიასა და მთავრობასთან მჭიდრო კავშირზე დაყრდნობით, პარტიულ ხელმძღვანელობასაც დაეუფლნენ. არსებითად რით განირჩევა ეს მონიტორის «პროგრამისაგან»? არაფრით, გარდა მოშაქრული ფრაზებისა, რომლებიც ათახსირებენ მარქსიზმს.

რეიხსტაგის ფრაქციის სხდომაზე 1915 წ. 18 მარტს კაუცკელი ვ უ რ მ ი «აფრთხილებდა» ფრაქციას: «მეტისმეტად ნუ დაჭიმავთ სიმებს; მუშათა მასებში იზრდება ოპოზიცია ფრაქციული უმრავლესობის წინააღმდეგ; აუცილებლად საჭიროა მივსდიოთ მარქსისტულ» (?! ალბათ, ბეჭდვითი შეცდომაა: უნდა წავიკითხოთ «მონიტორულ») «ცენტრს» («Klassenkampf gegen den Krieg! Material zum «Fall Liebknecht»». Als Manuskript gedruckt *. გვ. 67). ამრიგად, ჩვენ ვხედავთ. რომ **მასების** რევოლუციურობის ფ ა ქ ტ ი ყ ვ ე ლ ა კაუცკელის (ეგრეთწოდებული «ცენტრის») სახელით აღიარებულ იქნა უ კ ვ ე 1 9 1 5 წ. მ ა რ ტ შ ი!! ხოლო 8½ თვის შემდეგ კაუცკი ხელახლა გამოდის წინადადებით «შეარიგოს», და თანაც რამდენიმე რევოლუციური ფრაზის მეოხებით, მასები, რომელთაც ოპორტუნისტული, კონტრრევოლუციური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა სურთ!!

ომი ხშირად იმითაა სასარგებლო, რომ იგი ააშკარავებს სიდამპლეს და უკუაგდებს პირობითობას.

შევადაროთ ინგლისელი ფაბიანელები გერმანელ კაუცკელებს. აი რას წერდა პირველთა შესახებ ნ ა მ დ ვ ი ლ ი მარქსისტი, ფრიდრიხ ენგელსი, 1893 წ. 18 იანვარს: ... «ბრბო კარიერისტებისა, რომელნიც იმდენად გონიერნი არიან, რომ ესმით სოციალური გადატრიალების აუცილებლობა, მაგრამ რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ სურთ ეს ბუმბერაზული სამუშაო მიანდონ მხოლოდ და მხოლოდ მოუმწიფებელ პროლეტარიატს... მათი ძირითადი პრინციპია — შიში რევოლუციის წინაშე»... (მიწერ-მოწერა ზორგესთან, გვ. 390 [17]).

* — «კლასობრივი ბრძოლა ომის წინააღმდეგ! მასალები «ლიბკნეხტის საქმისათვის»». ხელნაწერის უფლებით. რ ე დ.

ხოლო 1893 წ. 11 ნოემბერს იგი წერს: «ეს ქედმაღალი ბურჟუები, რომელნიც მოწყალედ უყადრებენ თავს პროლეტარიატს, რათა გაათავისუფლონ იგი ზევიდან, თუკი პროლეტარიატი მოინდომებს და მიხვდება, რომ ასეთ უფერულ და გაუნათლებელ მასას არ შეუძლია თვითონვე გაითავისუფლოს თავი, არ შეუძლია რაიმეს მიაღწიოს ამ ჭკვიანი ადვოკატების, ლიტერატორებისა და სანტიმენტალური დედაკაცების მოწყალების გარეშე»... (იქვე, გვ. 401) [18].

თეორიაში კაუცკი ფაბიანელებს ზიზღით უცქერის, როგორც ფარისეველი ღარიბ მეზვერეს. იმიტომ რომ იგი ხომ «მარქსიზმს» ფიცულობს. მაგრამ რა განსხვავებაა მათ შორის პრაქტიკაში? ორივემ მოაწერა ხელი ბაზელის მანიფესტს, და ორივე ისე მოექცა მას, როგორც ვილჰელმ II ბელგიის ნეიტრალიტეტს. მარქსი კი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამათრახებდა იმ ადამიანებს, რომელნიც ცდილობენ მუშათა რევოლუციური სულის ჩაქრობას.

კაუცკიმ რევოლუციურ მარქსისტებს დაუპირისპირა «ულტრაიმპერიალიზმის» ახალი თეორია. ამით ის გულისხმობს «ნაციონალურ ფინანსურ კაპიტალთა ურთიერთ ბრძოლის» განდევნას და ამ ბრძოლის შეცვლას «მსოფლიოს ერთობლივი ექსპლოატაციით საერთაშორისო ფინანსური კაპიტალის მიერ» («N. Z.», 1915 წ. 30 აპრილი). მაგრამ დასძენს: «ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საკმარისი წანამძღვრები იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ, შეიძლება თუ არა კაპიტალიზმის ამ ახალი ფაზის განხორციელება». მაშ ასე: «ახალი ფაზის» შესახებ მხოლოდ მარტო მოსაზრებათა საფუძველზე, ვერ ბედავს რა აშკარად განაცხადოს, რომ იგი «განსახორციელებელია», ამ «ფაზის» გამომგონებელი უარყოფს თავის საკუთარ რევოლუციურ განცხადებებს, უკუაგდებს პროლეტარიატის რევოლუციურ ამოცანებსა და რევოლუციურ ტაქტიკას ახლა, უკვე დაწყებული კრიზისის, ომის, კლასობრივ წინააღმდეგობათა გაუგონარი გამწვავების «ფაზაში»! განა ეს უსაზიზღრესი ფაბიანელობა არ არის?

რუსეთის კაუცკელთა ლიდერს, ა ქ ს ე ლ რ ო დ ს, «პროლეტარული განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერნაციონალიზაციის პრობლემის სიმძიმის ცენტრად» მიაჩნია «ყოველდღიური პრაქტიკის ინტერნაციონალიზაცია»: მაგ., «შრომის დაცვის კანონმდებლობა და დაზღვევის კანონმდებლობა უნდა გახდეს მუშათა ინტერნაციონალური მოქმედებისა და დარაზმვის ობიექტი» (აქსელროდი. «სოციალ-დემოკრატიის კრიზისი», ციურიხი, 1915 წ., გვ. 39 — 40). სავსებით ცხადია, რომ არათუ ლეგინი, დავიდი, ვებები, არამედ თვით ლოიდ-ჯორჯი, ნაუმანი, ბრიანი და მილიუკოვი სავსებით შეუერთდებიან ამგვარ «ინტერნაციონალიზმს». როგორც 1912 წელს, აქსელროდი შორეული, ძალიან შორეული მომავლისათვის, მზადაა შემოგვთავაზოს ფრიად რევოლუციური ფრაზები, თუ მომავალი ინტერნაციონალი «გამოვა (მთავრობათა წინააღმდეგ, ომის შემთხვევაში) და რევოლუციურ ქარიშხალს ასტეხს». ერთი შემოგვხედეთ, გეთაყვა, რა მამაცნი ვართო! მაგრამ როდესაც საქმე შეეხება იმას, რომ **ახლავე** შევუწყოთ ხელი და გავშალოთ მასებში დაწყებული რევოლუციური დუღილი, მაშინ აქსელროდი გვეუბნება: რევოლუციური მასობრივი გამოსვლების ეს ტაქტიკა «ერთგვარად გასამართლებელი იქნებოდა, ჩვენ რომ უშუალოდ სოციალური რევოლუციის მიჯნაზე ვიდგეთ, მსგავსად იმისა, როგორც ეს იყო, მაგალითად, რუსეთში, სადაც 1901 წლის სტუდენტთა დემონსტრაციები მოასწავებდა აბსოლუტიზმთან გადამწყვეტი ბრძოლების მოახლოებას». ახლანდელ მომენტში კი ყველაფერი ეს — «უტოპიაა», «ბაკუნიზმიაო» და სხვ., სავსებით კოლბის, დავიდის, ზიუდეკუმისა და ლეგინის სულისკვეთებით.

ძვირფას აქსელროდს ავიწყდება მხოლოდ, რომ 1901 წ. რუსეთში არავინ იცოდა და არც შეეძლო ცოდნოდა, რომ პირველი «გადამწყვეტი ბრძოლა» დაიწყებოდა ოთხი წლის შემდეგ, — ნუ დაივიწყებთ: ო თ ხ ი წლის შემდეგ — და ისიც «გ ა დ ა უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი» დარჩებოდა. და, მიუხედავად ამისა, მაშინ მხოლოდ ჩვენ, რევოლუციური მარქსისტები, ვიყავით მართალნი: ჩვენ დავცინოდით კრიჩევსკებსა და მარ-

ტინოვებს, რომელნიც დაუყოვნებლივი იერიშისაკენ მოგვიწოდებდნენ. ჩვენ მუშებს მხოლოდ იმას ვურჩევდით, რომ ყველგან კინწისკვრით გაეგდოთ ოპორტუნისტები და მთელი ძალღონით ხელი შეეწყოთ, გაემწვავებინათ და გაეფართოებინათ დემონსტრაციები და სხვა მასობრივი რევოლუციური გამოსვლები. სრულიად ანალოგიურია ახლანდელი მდგომარეობა ევროპაში: უგუნურება იქნებოდა «დაუყოვნებლივი» შეტევისაკენ მოწოდება. მაგრამ სამარცხვინო იქნებოდა სოციალ-დემოკრატს ვუწოდებდეთ თავს და არ ვურჩევდეთ მუშებს კავშირი გაწყვიტონ ოპორტუნისტებთან და მთელი ძალღონით განამტკიცონ, გაალრმაონ, გააფართოონ და გაამწვავონ დაწყებული რევოლუციური მოძრაობა და დემონსტრაციები. რევოლუცია არასოდეს არ ვარდება ზეციდან სრულიად გამზადებული; და რევოლუციური დუღილის დასაწყისში არავინ არასოდეს არ იცის, მიგვიყვანს თუ არა იგი, ან როდის — «ნამდვილ», «უნამდვილეს» რევოლუციამდე. კაუცკი და აქსელროდი მუშებს ძველ, გაცვეთილ, კონტრრევოლუციურ რჩევებს აძლევენ. კაუცკი და აქსელროდი მასებს კვებავენ იმის იმედით, რომ მომავალი ინტერნაციონალი უკვე ნამდვილად რევოლუციური იქნება, — ოღონდ კი ახლა დაიცვან, დაფარონ და შეალამაზონ კონტრრევოლუციური ელემენტების — ლეგინების, დავიდების, ვანდერველდეების, ჰაინდმანების — ბატონობა. განა ცხადი არ არის, რომ ლეგინთან და კომპანიასთან «ერთიანობა» საუკეთესო საშუალებაა «მომავალი» რევოლუციური ინტერნაციონალის მოსამზადებლად?

«მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის მისწრაფება სიგიჟე იქნებოდა», აცხადებს გერმანელი ოპორტუნისტების ლიდერი დავიდი («Die Sozialdemokratie und der Weltkrieg» — «სოციალ-დემოკრატია და მსოფლიო ომი», 1915, გვ. 172), პასუხად ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1914 წ. 1 ნოემბრის მანიფესტისა. ამ მანიფესტში სხვათა შორის ნათქვამია:

«რაც უნდა დიდად გვეჩვენებოდეს ასეთი გადაქცევის სიძნელენი ამა თუ იმ წუთს, სოციალისტები არასოდეს არ იტყვიან უარს სისტემატურ,

შეუპოვარ, განუხრელ მოსამზადებელ მუშაობაზე ამ მიმართულებით, რაკი ომი ფაქტი გახდა» *.

(ციტატი მოყვანილი აქვს დავიდსაც, გვ. 171). დავიდის წიგნის გამოსვლამდე ერთი თვით ადრე ჩვენმა პარტიამ გამოაქვეყნა რეზოლუციები, სადაც «სისტემატური მომზადება» განმარტებული იყო შემდეგნაირად: 1. კრედიტების უარყოფა. 2. სამოქალაქო ზავის დარღვევა. 3. არალეგალურ ორგანიზაციათა შექმნა. 4. მხარის დაჭერა სანგრებში სოლიდარობის გამოცხადებისათვის. 5. მხარის დაჭერა ყველა რევოლუციური მასობრივი გამოსვლისათვის **.

დავიდი თითქმის ისეთივე მამაცია, როგორც აქსელროდი: 1912 წ. მას «სიგიჟედ» არ მიაჩნდა ომის შემთხვევაში პარიზის კომუნის დამოწმება.

პლეხანოვი, ანტანტის სოციალ-შოვინისტების ტიპიური წარმომადგენელი, რევოლუციურ ტაქტიკაზე ისევე მსჯელობს, როგორც დავიდი. იგი მას «ოცნება-ფარსს» უწოდებს. მაგრამ მოვუსმინოთ კ ო ლ ბ ს, გულახდილ ოპორტუნისტს, რომელიც წერდა: «შედეგი იმ ადამიანების ტაქტიკისა, რომელნიც ლიბკნეხტს ახვევიან გარს, იქნებოდა დუღილის წერტილამდე მიყვანილი ბრძოლა გერმანიის ერის შიგნით». («Die Sozialdemokratie am Scheidewege» — «სოციალ-დემოკრატია გზაჯვარედინზე», გვ. 50).

მაგრამ რა არის ბრძოლა, მიყვანილი დუღილის წერტილამდე, თუ არა სამოქალაქო ომი?

ჩვენი ც. კ-ის ტაქტიკა, რომელიც თავის ძირითად ხაზებში ემთხვევა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის [19] ტაქტიკას, «სიგიჟე», «ოცნება», «ავანტიურა», «ბაკუნიზმი» რომ იყოს, — როგორც ამას ამტკიცებენ დავიდი, პლეხანოვი, აქსელროდი, კაუცკი და სხვ., — ეს ტაქტიკა ვერასოდეს ვერ გამოიწვევდა «ბრძოლას ერის შიგნით», ისიც ისეთს, რომელიც მიყვანილი იქნებოდა დუღილის წერტილამდე. ანარქისტულ ფრაზებს ქვეყნად არსად არ გამოუწვევია ბრძოლა ერის შიგნით. სამა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 24. რ ე დ.
** იქვე, გვ. 183 — 184. რ ე დ.

გიეროდ ფაქტები მოწმობენ, რომ სწორედ 1915 წ., ომით გამოწვეული კრიზისის ნიადაგზე, იზრდება რევოლუციური მოძრაობა მასებში, იზრდება გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები რუსეთში, გაფიცვები იტალიასა და ინგლისში, მშიერთა და პოლიტიკური დემონსტრაციები გერმანიაში. განა ეს რევოლუციური მასობრივი გამოსვლების დასაწყისი არ არის?

მასობრივ რევოლუციურ მოქმედებათა მხარის დაჭერა, განვითარება, გაფართოება, გამწვავება, შექმნა არალეგალური ორგანიზაციებისა, ურომლისოდაც «თავისუფალ» ქვეყნებშიც კი შეუძლებელია ხალხის მასებისათვის სიმართლის თქმა: აი სოციალ-დემოკრატიის მთელი პრაქტიკული პროგრამა ამ ომის დროს. დანარჩენი ყველაფერი სიცრუე ან ფრაზაა, რაგვარი ოპორტუნისტული თუ პაციფისტური თეორიებითაც არ უნდა იყოს იგი შემკული *.

როდესაც გვეუბნებიან, რომ ეს «რუსული ტაქტიკა» (დავიდის გამოთქმაა) ევროპას არ შეეფერებაო, მაშინ ჩვეულებრივად ჩვენ ვუპასუხებთ ფაქტებზე მითითებით. 30 ოქტომბერს ბერლინში პარტიის პრეზიდიუმში მივიდა ამხანაგების, ბერლინელი ქალების, დეპუტაცია და განაცხადა: «ახლა, როდესაც არის დიდი საორგანიზაციო აპარატი, შესაძლებელია ბევრად უფრო ადვილად, ვიდრე სოციალისტების საწინააღმდეგო კანონების ხანაში, გავავრცელოთ არალეგალური ბროშურები და პროკლამაციები და გავმართოთ «ნებადაურთველი კრებები»». «საშუალებათა და გზათა ნაკლებობას ადგილი არა აქვს, მაგრამ, ჩანს, სურვილი არ არისო» («Berner Tagwacht»[21], 1915, № 271).

* ქალთა საერთაშორისო კონგრესზე ბერნში 1915 წ. მარტში ჩვენი პარტიის ც. კ-ის წარმომადგენელი ქალები აღნიშნავდნენ არალეგალური ორგანიზაციების შექმნის აბსოლუტურ აუცილებლობას. ეს უარყოფილ იქნა. ინგლისელი ქალები დასცინოდნენ ამ წინადადებას და აქებდნენ ინგლისურ «თავისუფლებას». მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მივიღეთ ინგლისური გაზეთები, როგორც, მაგალითად, «Labour Leader»[20], თეთრი

განა ეს ცუდი ამხანაგები ჭეშმარიტების გზას ააცდინეს რუსმა «სექტანტებმა» და სხვ.? განა ნამდვილი მ ა ს ე ბ ი ს წარმომადგენელნი ლეგინი და კაუცკია, და არა ეს ამხანაგები? ლეგინი, რომელიც თავის მოხსენებაში 1915 წლის 27 იანვარს აცამტვერებდა არალეგალურ ორგანიზაციათა დაარსების «ანარქისტულ» იდეას; კაუცკი, რომელიც იმდენად კონტრრევოლუციონერი გახდა, რომ 26 ნოემბერს, ბერლინის ათიათასკაციანი დემონსტრაციის ო თ ხ ი დღის წინ, ქუჩის დემონსტრაციებს აფასებდა, როგორც «ავანტიურას»!!

კმარა ფრაზები, კმარა მარქსიზმის გათახსირება à la კაუცკი! II ინტერნაციონალის 25 წლის არსებობის შემდეგ, ბაზელის მანიფესტის შემდეგ მუშები აღარ დაუჯერებენ ფრაზებს. ოპორტუნიზმი გადამწიფდა, იგი საბოლოოდ გადავიდა ბურჟუაზიის ბანაკში, გადაიქცა სოციალ-შოვინიზმად: სულიერად და პოლიტიკურად მან კავშირი გაწყვიტა სოციალ-დემოკრატიასთან. იგი კავშირს გაწყვეტს მასთან ორგანიზაციულადაც. მუშები უკვე მოითხოვენ «არაცენზურულ» ბეჭდვით სიტყვას და «ნებადაურთველ» კრებებს, ე. ი. ფარულ ორგანიზაციებს მასების რევოლუციური მოძრაობისადმი მხარის დასაჭერად. მხოლოდ ასეთი «ომი ომის წინააღმდეგ» არის სოციალ-დემოკრატიული საქმე, და არა ფრაზა. და, მიუხედავად ყველა სიძნელისა, დროებითი დამარცხებებისა, შეცდომებისა, გზააბნეულობისა, შეფერხებებისა, ეს საქმე კაცობრიობას მიიყვანს ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლუციამდე.

დაიბეჭდა 1916 წ. იანვარში
ჟურნალ «Vorbote»-ს № 1-ში
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1929 წ. ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XIX

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

ადგილებით, ხოლო შემდეგ მივიღეთ ცნობები, რომ პოლიციელები ჩხრეკდნენ, ბროშურებს კონფისკაციას უშვებოდნენ, აპატიმრებდნენ და დრაკონისებური განაჩენი გამოჰქონდათ იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც ინგლისში ლაპარაკობდნენ ზავზე, მხოლოდ ზავზე!

პროექტი დადგენილებისა მეორე სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ [22]

ბიურო (I. S. K. [23]), ცალკეული ქვეყნების მთელ რიგ წარმომადგენლებთან მოთათბირების საფუძველზე, ადგენს:

მოწვეულ იქნეს მეორე **კონფერენცია** იმ სოციალისტებისა, რომელნიც დგანან ციმერვალდის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე.

დღის წესრიგი:

1) ბრძოლა ომის წინააღმდეგ;

2) ომისა და ნაციონალიზმისადმი მტრულად განწყობილ სოციალისტთა ინტერნაციონალური გაერთიანება;

3) მთავრობათა წინააღმდეგ ორგანიზაციის, აგიტაციისა და ბრძოლის პრაქტიკული ზომები;

4) ციმერვალდის გადაწყვეტილებათა განვითარება.

კონფერენციის მოწვევის ვადად დაინიშნოს 1916 წ. 15 აპრილი.

ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს (გამოქვეყნებისას მოწვევის ვადად ნაჩვენები იქნეს 15 მარტი).

მოვუწოდებთ სოციალისტების ყველა ორგანიზაციას, რომელნიც კი ციმერვალდის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე დგანან,

განიხილონ (სადისკუსიოდ გამოიტანონ) დღის წესრიგის ყველა საკითხი და რეზოლუციების პროექტები[24]. პროექტები (2 — 3 დელეგატის ხელმოწერისას) იბეჭდება «Berner Tagwacht»-ში *.

დაწერილია 1916 წ.
23 და 26 იანვარს
(5 და 8 თებერვალს) შუა
იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

1916 წ. 24 აპრილის კონფერენციისათვის

დელეგაციის წინადადება [25]

1. დაიშვებიან მხოლოდ იმ პოლიტიკური თუ პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები ან ცალკეული პირები, რომელნიც დგანან ციმერვალდის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე.

2. იმ ქვეყნებისგან, სადაც ოფიციალური პარტიები ან პროფესიული ორგანიზაციები ემხრობიან I. S. K.-ს *, დაიშვებიან მხოლოდ ამ ორგანიზაციების მიერ დანიშნული წარმომადგენლები.

3. იმ ქვეყნებისგან, სადაც ოფიციალური პარტიები ან პროფესიული ორგანიზაციები არ მიმხრობიან I. S. K.-ს, დაიშვებიან მხოლოდ იმ ორგანიზაციებისა და ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც:

ა) ამა თუ იმ ქვეყანაში სიტყვიერად და წერილობით გამოდიან ციმერვალდის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით;

ბ) თავისი საქმიანობით მხარს უჭერენ I. S. K.-ს.

4. პერსონალური წარმომადგენლობა დაიშვება მხოლოდ გამონაკლისის სახით და მხოლოდ სათათბირო ხმით.

5. დავას იმის შესახებ, ძალა აქვს თუ არა მანდატს, საბოლოოდ წყვეტს, მოტივების მოსმენისა და გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ, კონფერენციის მიერ არჩეული კომისია

---

* — Internationale Sozialistische Kommission — ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია. რ ე დ.

9 წევრის შემადგენლობით, რომელთა რიცხვში შედის I. S. K.-ს 4 წევრიც.

6. კენჭის ყრის წესს ადგენს კონფერენცია.

[[დამატება არ გამოქვეყნდეს, — შეტანილია ოქმში:

იმ ამხანაგებს, რომელნიც ციმერვალდში იმყოფებოდნენ, უ ფ ლ ე ბ ა აქვთ («le droit» — ფრანგულ ტექსტში) მონაწილეობა მიიღონ მეორე კონფერენციაში სათათბირო ხმით.]]

დაწერილია 1916 წ. 23 და 26 იანვარს (5 და 8 თებერვალს) შუა, გერმანულ ენაზე

დაიბეჭდა 1916 წ. 29 თებერვალს «Bulletin. Internationale Sozialistische Kommission zu Bern» -ის მე-3 ნომერში

ბეჭდება ხელნაწერის ძიხედვით

თარგმანი გერმანულიდან

რუსულ ენაზე იბეჭდება პირველად

სიტყვა ინტერნაციონალურ მიტინგზე ბერნში 1916 წ. 8 თებერვალს[26]

ამხანაგებო! აი უკვე წელიწადნახევარზე მეტია, რაც ევროპის ომი მძვინვარებს. და ომის ყოველი შემდგომი თვე, ყოველი შემდგომი დღე მუშათა მასებისათვის სულ უფრო მეტად ცხადყოფს, რომ ციმერვალდის მანიფესტმა[27] სიმართლე თქვა, როცა მან განაცხადა, რომ ფრაზები «სამშობლოს დაცვაზე» და სხვა ამგვარი — სხვა არაფერია, თუ არა მოტყუება კაპიტალისტების მხრივ. დღითი დღე სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ეს არის **ომი კაპიტალისტებისა, დიდი ყაჩაღებისა,** რომელნიც ერთმანეთს იმაზე ედავებიან, თუ რომელმა მათგანმა მეტი ნადავლი მიიღოს, მეტი ქვეყანა გაძარცვოს, უფრო მეტი ერი დათრგუნოს და დაიმონოს.

ეს არადამაჯერებლად გაისმის, განსაკუთრებით შვეიცარიელი ამხანაგებისათვის, მაგრამ ეს მაინც მართალია, რომ ჩვენშიც, **რუსეთშიც,** არა მარტო სისხლისმსმელი ცარიზმი, არა მარტო კაპიტალისტები, არამედ ნაწილი ეგრეთწოდებული ანუ ყოფილი სოციალისტებისა ლაპარაკობს იმაზე, რომ რუსეთი «თავდაცვითს ომს» აწარმოებს, რომ რუსეთი

იბრძვის მხოლოდ გერმანელთა შემოსევის წინააღმდეგ. ნამდვილად კი მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ცარიზმი უკვე ათეული წლების განმავლობაში ჩაგრავს რუსეთში სხვა ეროვნებათა ას მილიონზე მეტ ადამიანს, რომ რუსეთი უკვე ათეული წლების განმავლობაში აწარმოებს ყაჩაღურ პოლიტიკას ჩინეთის, სპარსეთის, სომხეთის, გალიციის წინააღმდეგ. **არც რუსეთს, არც გერმანიას და არც სხვა რომელიმე დიდ სახელმწიფოს უფლება არა აქვს ილაპარაკოს «თავდაცვითს ომზე»:** ყველა დიდი სახელმწიფო აწარმოებს იმპერიალისტურ, კაპიტალისტურ ომს, ყაჩაღურ ომს, ომს მცირე და უცხო ხალხთა დასაჩაგრავად, ომს კაპიტალისტთა მოგების გულისათვის, რომელნიც მასების უსაშინელესი ტანჯვისა და პროლეტართა სისხლისაგან თავიანთი მილიარდებიანი შემოსავლის ბაჯაღლო ოქროს ქაჩავენ.

ოთხი წლის წინათ, 1912 წ. ნოემბერში, როდესაც უკვე აშკარა გახდა, რომ ომი ახლოვდება, მთელი მსოფლიოს სოციალისტთა წარმომადგენელნი შეიკრიბნენ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე ბაზელში. უკვე მაშინ შეუძლებელი იყო დაეჭვება, რომ მომავალი ომი იქნებოდა — ომი დიდ სახელმწიფოთა, დიდ მტაცებელთა შორის, რომ ომის გაჩაღებაში ბრალი ედებათ ყ ვ ე ლ ა დიდი სახელმწიფოს მთავრობებსა და კაპიტალისტურ კლასს. და ბაზელის მანიფესტმა, რომელიც ე რ თ ხ მ ა დ მიიღეს მთელი მსოფლიოს სოციალისტურმა პარტიებმა, აშკარად გამოთქვა ეს ჭეშმარიტება. **ბაზელის მანიფესტი ერთი სიტყვითაც კი არ იხსენიებს «თავდაცვითს ომს», «სამშობლოს დაცვას».** იგი ამათრახებს გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა დიდი სახელმწიფოს მთავრობებსა და ბურჟუაზიას. იგი აშკარად ამბობს, რომ ომი იქნება უდიდესი დანაშაული, რომ მუშებს დანაშაულად მიაჩნიათ ერთმანეთს ესროლონ, რომ ომის საშინელებებს, ამ საშინელებათა წინააღმდეგ მუშათა აღშფოთებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა.

როდესაც ომი მართლაც გაჩაღდა, მაშინ დაინახეს, რომ ბაზელში სწორად იყო გარკვეული ამ ომის ხასიათი. მაგრამ სო-

ციალისტური და მუშათა ორგანიზაციები ერთსულოვნად კი არ გაჰყვნენ ბაზელის დადგენილებებს, არამედ გაითიშნენ. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჩვენ ახლა ვხედავთ, როგორ გაითიშნენ სოციალისტური და მუშათა ორგანიზაციები ორ დიდ ბანაკად. მცირე ნაწილმა, სახელდობრ კი ბელადებმა, ფუნქციონერებმა და მოხელეებმა, უღალატეს სოციალიზმს და მთავრობების მხარეზე დადგნენ. მეორე ნაწილი, რომელსაც მუშათა შეგნებული მასები ეკუთვნიან, განაგრძობს თავის ძალთა შემოკრებას და ომის წინააღმდეგ ბრძოლას პროლეტარული რევოლუციისათვის.

ამ მეორე ნაწილის შეხედულებებმა გამოხატულება პოვეს სხვათა შორის ციმერვალდის მანიფესტში.

ჩვენში, რუსეთში, ომის დაწყებისთანავე მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი სათათბიროში გადამწყვეტ რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებდნენ ომისა და მეფის მონარქიის წინააღმდეგ. ხუთი მუშა დეპუტატი: პეტროვსკი, ბადაევი, მურანოვი, შაგოვი და სამოილოვი ავრცელებდნენ რევოლუციურ მოწოდებებს ომის წინააღმდეგ და ენერგიულ რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ. ცარიზმის ბრძანებით ეს 5 დეპუტატი დაატიმრეს, სამართალში მისცეს და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. რამდენიმე თვეა, რაც რუსეთის მუშათა კლასის ბელადები იტანჯებიან ციმბირში, მაგრამ მათი საქმე არ ჩაშლილა, მათს მუშაობას იმავე მიმართულებით განაგრძობენ მთელი რუსეთის შეგნებული მუშები.

ამხანაგებო! თქვენ აქ მოუსმინეთ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელნიც გელაპარაკებოდნენ მუშათა რევოლუციურ ბრძოლაზე ომის წინააღმდეგ. მე მხოლოდ მინდა კიდევ მოგიყვანოთ მაგალითი უდიდესი და უმდიდრესი ქვეყნისა, სახელდობრ, ამერიკის შეერთებული შტატებისა. ამ ქვეყნის კაპიტალისტები ახლა კოლოსალურ მოგებას ღებულობენ ევროპის ომის წყალობით. ისინიც აგრეთვე აგიტაციას ეწევიან ომის სასარგებლოდ. ისინი ამბობენ, რომ ამერიკაც უნდა მოემზადოს ომში მონაწილეობისათვის, ასობით მილიონი დოლარი ხალხის ფული უნდა იქნეს ამოქაჩული ახალ-ახალი

შეიარაღებისათვის, დაუსრულებელი შეიარაღებისათვისო. და ამერიკაშიც სოციალისტთა ნაწილი აჰყოლია ამ ყალბ, ამ დანაშაულებრივ მოწოდებას. მაგრამ მე თქვენ წაგიკითხავთ, თუ რას წერს ამხანაგი ე ვ გ ე ნ ი დ ე ბ ს ი, ამერიკელი სოციალისტების ყველაზე პოპულარული ბელადი, ამერიკის სოციალისტური პარტიის კანდიდატი რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

ამერიკულ გაზეთში — «Appeal to Reason»[28] («მოწოდება გონებისადმი») 1915 წლის 11 სექტემბერს იგი ამბობს: **«მე კაპიტალისტთა ჯარისკაცი არა ვარ, მე პროლეტარული რევოლუციონერი ვარ, მე ვეკუთვნი არა პლუტოკრატიის რეგულარულ არმიას, არამედ ხალხის ირეგულარულ არმიას. მე უარს ვამბობ ომში წავიდე კაპიტალისტური კლასის ინტერესებისათვის. მე ყოველგვარი ომის წინააღმდეგი ვარ, გარდა ერთისა, მე სულითა და გულით ვემხრობი მხოლოდ ამ ერთ ომს: მსოფლიო ომს სოციალური რევოლუციის გულისთვის. მე მზადა ვარ ამ ომში მონაწილეობა მივიღო, თუ გაბატონებული კლასები ომს საერთოდ აუცილებელს გახდიან».**

ასე სწერს ამერიკელ მუშებს მათი საყვარელი ბელადი, ამერიკელი ბებელი, ამხ. ე ვ ვ ე ნ ი დ ე ბ ს ი.

და ეს ერთხელ კიდევ გიჩვენებთ თქვენ, ამხანაგებო, რომ **მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ნამდვილად მზადდება მუშათა კლასის ძალთა შეკრება.** ხალხის ტანჯვა და საშინელებანი ომში გაუგონარია, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვუცქეროდეთ მომავალს სასოწარკვეთილებით, საამისოდ ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

ამაოდ როდი დაიღუპება მილიონობით მსხვერპლი ომში და ომის გამო. მილიონები, რომელნიც შიმშილობენ, მილიონები, რომელნიც სიცოცხლეს სწირავენ სანგრებში, არა მარტო იტანჯებიან, არამედ ძალებსაც იკრებენ, უფიქრდებიან ომის ჭეშმარიტ მიზეზებს, აკაჟებენ თავიანთ ნებისყოფას და სულ უფრო და უფრო ნათელ რევოლუციურ შეგნებამდე მიდიან. მასების უკმაყოფილების ზრდა, მღელვარების ზრდა, გაფიცვები, დემონსტრაციები, ომის საწინააღმდეგო პროტესტები, —

ყოველივე ეს ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. **და ეს ჩვენთვის იმის საწინდარია, რომ ევროპის ომის შემდეგ დაიწყება პროლეტარული რევოლუცია კაპიტალიზმის წინააღმდეგ.**

«Berner Tagwacht» № 33,
1916 წ. 9 თებერვალი

რუსულ ენაზე პირველად
დაიბეჭდა 1929 წ.
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XIX

იბეჭდება გაზეთ «Berner Tagwacht»-ის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ოპოზიციის ამოცანების შესახებ საფრანგეთში

(წერილი ამხანაგ საფაროვს)

1916 წ. 10/II.

ძვირფასო ამხანაგო! საფრანგეთიდან თქვენმა გაძევებამ, რაც, სხვათა შორის, პროტესტით აღნიშნა შოვინისტურმა გაზეთმა «La Bataille»-მაც[29] კი, თუმცა მან არ მოისურვა ეთქვა სიმართლე, სახელდობრ, რომ თქვენ გაძევებული ხართ ოპოზიციისადმი თანაგრძნობისათვის, — ამ გაძევებამ კიდევ და კიდევ მომაგონა საფრანგეთში ოპოზიციის მდგომარეობისა და ამოცანების მტკივნეული საკითხი.

ციმერვალდში მე ვნახე ბურდერონი და მერჰეიმი. მე მოვისმინე მათი ანგარიში და გაზეთებში წავიკითხე მათი მუშაობის შესახებ. მე ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება მათს გულწრფელობასა და პროლეტარიატის საქმისადმი ერთგულებაში. მაგრამ მიუხედავად ამისა ცხადია, რომ მათი ტაქტიკა მცდარია. ორივე მათგანს ყველაზე მეტად გათიშვის ეშინია. არც ერთი ისეთი ნაბიჯი, არც ერთი ისეთი სიტყვა, რასაც კი შეუძლია გამოიწვიოს სოციალისტური პარტიის ან მუშათა სინდიკატების გათიშვა საფრანგეთში, ან II ინტერნაციონალის გათიშვა, III ინტერნაციონალის შექმნა, — ასეთია როგორც ბურდერონის, ისე მერჰეიმის ლოზუნგი.

ამავე დროს კი მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის გათიშვა მთელ მსოფლიოში — ფაქტია. არსებობს მუშათა კლასის ორი შეურიგებელი ტაქტიკა და პოლიტიკა ომის მიმართ.

ამის წინაშე თვალის დახუჭვა სასაცილოა. შეურიგებელთა შერიგების ცდა ნიშნავს მთელი შენი მუშაობის უილაჯობას. გერმანიაში დეპუტატმა Otto Rühle-მაც * კი, ლიბკნეხტის ამხანაგმა, აშკარად აღიარა პარტიის გათიშვის გარდუვალობა, ვინაიდან მისი ახლანდელი უმრავლესობა, გერმანიის პარტიის ოფიციალური «ზედაფენები» ბურჟუაზიის მხარეზე დადგნენ. მოსაზრებანი, რომლებითაც გაილაშქრეს რიულეს წინააღმდეგ და გათიშვის წინააღმდეგ «ცენტრის» ანუ «ჭაობის» (le marais) ეგრეთწოდებულმა წარმომადგენლებმა, კაუცკიმ და «Vorwärts»-მა [30], მხოლოდ სიცრუე და თვალთმაქცობაა, რაგინდ «კეთილ ზრახვებსაც» არ უნდა ისახავდეს ეს თვალთმაქცობა. კაუცკისა და «Vorwärts»-ს არ შეუძლიათ და არც კი ცდილობენ გააბათილონ ის ფაქტი, რომ გერმანიის პარტიის უმრავლესობა საქმით ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს პოლიტიკას აწარმოებს. ასეთ უმრავლესობასთან ერთიანობა მავნებელია მუშათა კლასისათვის. ასეთი ერთიანობა ნიშნავს მუშათა კლასის დამორჩილებას «თავისი» ერის ბურჟუაზიისადმი, საერთაშორისო მუშათა კლასის გათიშვას. და სინამდვილეში რიულე მართალია, როდესაც ამბობს, გერმანიაში ო რ ი პ ა რ ტ ი ა ა ო. ერთი, ოფიციალური, ბურჟუაზიის პოლიტიკას აწარმოებს. მეორე, უმცირესობა, ბეჭდავს არალეგალურ მოწოდებებს, მართავს დემონსტრაციებს და სხვ.. მთელ მსოფლიოში ასეთივე სურათია. და ისეთი უილაჯო დიპლომატები ანუ «ჭაობი», როგორიც არიან კაუცკი გერმანიაში, ლონგე საფრანგეთში, მარტოვი და ტროცკი რუსეთში, უდიდეს ზიანს აყენებენ მუშათა მოძრაობას, როდესაც იცავენ ერთიანობის ფ ი ქ ც ი ა ს და ამით ხ ე ლ ს უ შ ლ ი ა ნ ყველა ქვეყნის ო პ ო ზ ი ც ი ი ს მომწიფებულ, საარსებო გაერთიანებას, III ინტერნაციონალის შექმნას. ინგლისში ისეთი ზომიერი გაზეთიც კი, როგორიცაა «Labour Leader»-ი **, ბეჭდავს Russel Williams-ის *** წერი-

* — ოტო რიულე. რ ე დ.
** — «მუშათა ბელადი». რ ე დ.
*** — როსელ ვილიამსი. რ ე დ.

ლებს იმის შესახებ, რომ აუცილებელია გ ა თ ი შ ვ ა მუშათა სინდიკატების «ბელადებთან» და «მუშათა პარტიასთან» (Labour Party), რომელმაც «გაყიდა» მუშათა კლასის ინტერესებიო. და «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» (Independent Labour Party) მთელი რიგი წევრები პრესის საშუალებით უცხადებენ თავიანთ თანაგრძნობას Russel Williams-ს. რუსეთში «შემარიგებელი» ტროცკიც კი ახლა იძულებულია აღიაროს გათიშვის გარდუვალობა «პატრიოტებთან», ე. ი. «ორგანიზაციული კომიტეტის», ო. კ., პარტიასთან, რომელნიც ამართლებენ მუშების შესვლას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში. და მხოლოდ ყალბი თავმოყვარეობის გამო, ტროცკი კვლავ იცავს «ერთიანობას» სათათბიროში ჩხეიძის ფრაქციასთან, რომელიც «პატრიოტებისა» და «ო. კ.»-ის უერთგულესი მეგობარი, მფარველი და დამცველია.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი სინამდვილეში სრული გათიშვაა. ვინაიდან ზოგი სოციალისტი იქ მომხრეა არმიისა, «მომზადებისა» («preparadness»), ომისა. სხვები, მათ შორის მუშათა ყველაზე პოპულარული ბელადი, ევგენი დებსი (Debs), სოციალისტური პარტიის კანდიდატი რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე, ქადაგებენ სამოქალაქო ომს ხალხთა ომის წინააღმდეგ!

დააკვირდით თვით ბურდერონისა და მერჰეიმის ს ა ქ მ ე ე ბ ს! სიტყვით ისინი გათიშვის წინააღმდეგნი არიან. მაგრამ აბა წაიკითხეთ რეზოლუცია, რომელიც ბურდერონმა შეიტანა ფრანგული სოციალისტური პარტიის[31] კონგრესზე. ამ რეზოლუციაში მოითხოვენ სოციალისტების გამოსვლას სამინისტროდან!! რეზოლუცია პირდაპირ «désapprouve» როგორც C. A. P.-ს, ისე G. P.-ს (C. A. P.=Com. Adm. Perm.. G. P.=Groupe Parlem.) *!!! დღესავით ნათელია, რომ ასეთი რეზოლუციის მიღება იქნებოდა რ ო გ ო რ ც სოციალისტური პარტიის, ი ს ე სინდიკატების გათიშვა, ვინაიდან ბბ. რენოდე-

* — «დეზავუირებას ახდენს» როგორც მუდმივი ადმინისტრაციული კომისიისას, ისე საპარლამენტო ჯგუფისას. რ ე დ.

ლები, სამბები, Jouhaux et C° * ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან ამას.

Bourderon-ი და Meerheim-ი ** იზიარებენ ციმერვალდის კონფერენციის უმრავლესობის შეცდომას, სისუსტესა და გაუბედაობას. ერთი მხრივ, ეს უმრავლესობა თავის მანიფესტში არაპირდაპირ მოუწოდებს რევოლუციური ბრძოლისაკენ, მაგრამ ეშინია ამის პირდაპირ თქმა. ერთი მხრივ, იგი წერს: ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ტყუიან, როდესაც ახლანდელ ომში «სამშობლოს დაცვაზე» ლაპარაკობენო. მეორე მხრივ, უმრავლესობას შეეშინდა დაემატებინა აშკარა სიმართლე, რომელსაც სულერთია დაუმატებს ყოველი მოაზროვნე მუშა, სახელდობრ: რომ ტყუიან არა მარტო კაპიტალისტები, არამედ რენოდელიც, სამბაც, ლონგეც, Hyndmann-იც, Kautsky-ც, Plechanoff et C° ***!! ციმერვალდის კონფერენციის უმრავლესობას სურს ხელახლა შეურიგდეს ვანდერველდეს, ჰიუისმანსს, რენოდელსა და კომპანიას. ეს საზიანოა მუშათა კლასისათვის, და «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი» სწორად მოიქცა, როდესაც აშკარად უთხრა მუშებს სიმართლე.

შეხედეთ, როგორ თვალთმაქცობენ les socialistes-chauvins ****: საფრანგეთში ისინი აქებენ გერმანიის «minorité»-ს *****, გერმანიაში — საფრანგეთისას!!

რა უზარმაზარი მნიშვნელობა ექნებოდა საფრანგეთის ოპოზიციის გამოსვლას, მას რომ პირდაპირ, უშიშრად, აშკარად განეცხადებინა მთელი მსოფლიოს წინაშე: ჩვენ სოლიდარული ვართ მხოლოდ გერმანული ოპოზიციისა, **მხოლოდ რიულესი** და მისი თანამოაზრეებისა!! მხოლოდ იმათთან, ვინც უშიშრად წყვეტს კავშირს როგორც აშკარა, ისე ფარულ სოციალ-შოვინიზმთან, socialisme chauvin, ე. ი.

---

* — ჟუო და კომპანია. რედ.

** — ბურდერონი და მერჰეიმი. რედ.

*** — ჰაინდმანი, კაუცკი, პლეხანოვი და კომპანია. რედ.

**** — სოციალ-შოვინისტები. რედ.

***** — «უმცირესობა». რედ.

«სამშობლოს» ყველა «დამცველთან» ახლანდელ ომში!! ჩვენ თვითონ არ გვეშინია გათიშვისა ფრანგ «პატრიოტებთან», რომელნიც «სამშობლოს დაცვას» უწოდებენ კოლონიათა შენარჩუნების დაცვას; და ჩვენ ასეთივე გათიშვისაკენ მოვუწოდებთ ყველა ქვეყნის სოციალისტებსა და სინდიკალისტებს!! ჩვენ ხელს ვუწვდით Otto Rühle-ს და ლიბკნეხტს, მათ და **მხოლოდ** მათს თანამოაზრეებს, ჩვენ ვგმობთ როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის «majorité»-ს * და «le marais»-ს **. ჩვენ ვაცხადებთ მთელი მსოფლიოს იმ სოციალისტების დიდ საერთაშორისო გაერთიანებას, რომელთაც ახლანდელ ომში უკუაგდეს ყალბი ფრაზა «სამშობლოს დაცვის» შესახებ და რომლებიც მუშაობენ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ქადაგებისა და მომზადებისათვის!

ასეთ მოწოდებას უზარმაზარი მნიშვნელობა ექნებოდა. იგი გარეკდა თვალთმაქცებს, გამოააშკარავებდა და ამხელდა საერთაშორისო მოტყუებას, უდიდეს ბიძგს მისცემდა მთელი მსოფლიოს იმ მუშათა დაახლოებას, რომელნიც ინტერნაციონალიზმისადმი ნამდვილად ერთგულნი დარჩნენ.

საფრანგეთში ყოველთვის დიდი ზიანი მოჰქონდა ანარქისტულ ფრაზას. მაგრამ ახლა ანარქისტ-პატრიოტები, ანარქისტ-chauvins-ები, როგორიც არიან კროპოტკინი, Grave, Cornelissen-ი *** და სხვა რაინდები de la «Bataille Chauvinist e» ****, ხელს შეუწყობენ ძალიან ბევრი და ბევრი მუშის განკურნებას ანარქისტული ფრაზისაგან. ძირს სოციალისტ-პატრიოტები და სოციალისტ-chauvins, — ასევე «ძირს ანარქისტ-პატრიოტები» და ანარქისტ-chauvins! ეს მოწოდება გამოხმაურებას პოვებს საფრანგეთის მუშებში. არა ანარქისტული ფრაზა რევოლუციაზე, არამედ ხანგრძლივი, სერიოზული, შეუპოვარი, დაჟინებითი, სისტემატური მუშაობა

* — «უმრავლესობა». რედ.
** — «ჭაობი». რედ.
*** — გრავი, კორნელისენი. რედ.
**** — «შოვინისტური ბრძოლისა». რედ.

ყველგან მუშათა შორის არალეგალური ორგანიზაციების შესაქმნელად, თავისუფალი, ე. ი. არალეგალური ლიტერატურის გასავრცელებლად, თავის მთავრობათა წინააღმდეგ **მასების** მოძრაობის მოსამზადებლად. აი რა ესაჭიროება ყველა ქვეყნის მუშათა კლასს!

ტყუილია, თითქოს «ფრანგებს უნარი არა ჰქონდეთ» აწარმოონ სისტემატური არალეგალური მუშაობა. ტყუილია! ფრანგებმა სწრაფად ისწავლეს სანგრებში დამალვა. სწრაფადვე შეისწავლიან ისინი არალეგალური მუშაობის ახალ პირობებს და მასების რევოლუციური მოძრაობის სისტემატურ მომზადებას. მე მწამს საფრანგეთის რევოლუციური პროლეტარიატი. იგი წაუბიძგებს საფრანგეთის ოპოზიციასაც.

გისურვებთ ყოველივე კარგს. თქვენი ლენინი

P. S.* წინადადებას ვაძლევ ფრანგ ამხანაგებს ცალკე ფურცლად გამოსცენ ამ ჩემი წერილის თარგმანი (სრული თარგმანი) [32].

დაიბეჭდა 1916 წ. ფრანგულ ენაზე
ცალკე ფურცლად

რუსულ ენაზე პირველად
დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 4 (27)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — Postscriptum — მინაწერი. რედ.

აქვთ თუ არა საკუთარი ხაზი ორგანიზაციულ კომიტეტს და ჩხეიძის ფრაქციას?

ოკისტები თავიანთ კრებულშიც[33] და კიდევ უფრო გარკვეულად თავიანთ ანგარიშში საერთაშორისო სოციალისტური კომისიისადმი (№ 2 ბიულეტენისა, რომელიც გერმანულად გამოვიდა 27. XI. 1915)[34] ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ჩხეიძის ფრაქციას[35] და ორგანიზაციულ კომიტეტს აქვთ საკუთარი ხაზი, სავსებით ინტერნაციონალისტური და ისეთი, რომელიც არ ეთანხმება «ნაშე დელოს» ხაზს. ეს მტკიცება ყოვლად აღმაშფოთებელ სიცრუეს წარმოადგენს. ჯერ-ერთი, ორგანიზაციული კომიტეტის შექმნის დროიდან (1912 წ. აგვისტო) ჩვენ ვხედავდით მ რ ა ვ ა ლ ი წ ლ ი ს განმავლობაში ჩხეიძის ფრაქციისა და ორგანიზაციული კომიტეტის სრულ პოლიტიკურ სოლიდარობას ყველა ძირითად საკითხში და უმჭიდროეს პოლიტიკურ თანამშრომლობას «ნაშა ზარიას» ჯგუფთან, ამასთან მ ხ ო ლ ო დ ეს ჯგუფი ეწეოდა სისტემატურ მუშაობას მასებში (ლიკვიდატორების ყოველდღიური გაზეთები). ასეთ ახლობელ «მეგობართა» შორის რაიმე არსებითი უთანხმოების არსებობა უნდა დამტკიცდეს არა სიტყვებით, არამედ სერიოზული ფაქტებით. ა რ ც ე რ თ ი ა მ გ ვ ა რ ი ფ ა ქ ტ ი ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს. მეორე, მ თ ე ლ ი რ ი გ ი წ ლ ე ბ ი ს, 1912 — 1914 წლების, განმავლობაში ჩხეიძის ფრაქცია და ორგანიზაციული კომიტეტი პაიკების როლს თამაშობდნენ «ნაშა ზარიასთან», სისტემატურად იცავ-

დნენ მის პოლიტიკას, რაც მშვენივრად იციან პიტერისა და სხვა ადგილების მუშებმა. ამასთან მათ არ ერთხელ არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ «ნაშა ზარიას», «ლუჩის» [36] და სხვ. პოლიტიკის შეცვლაზე.

იმ პოლიტიკაში, რომელიც მასებს ეხებოდა, — მაგალითად, «საგაფიცვო აზარტთან» ბრძოლაში, უდიდესი პროფესიული კავშირების (მელითონელები და სხვ.) და უმნიშვნელოვანესი დამზღვევი დაწესებულებების (სრულიად-რუსეთის დამზღვევი საბჭო) ხელმძღვანელების არჩევნებში, — «ნაშა ზარიას» ჯგუფი და მარტო იგი გამოდიოდა დამოუკიდებლად, ორგანიზაციული კომიტეტი და ჩხეიძის ფრაქცია კი მხოლოდ ეხმარებოდნენ მას, ემსახურებოდნენ მას სულითა და გულით. მესამე, ომის წლინახევრის განმავლობაში არ მოიპოვება არც ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობდეს ჩხეიძის ფრაქციისა და ორგანიზაციული კომიტეტის ამ, წლობით ჩამოყალიბებული, დამოკიდებულების შეცვლას «ნაშა ზარიასადმი». პირიქით, არის საწინააღმდეგო ფაქტები, ისეთებიც კი, რომელთა გამოქვეყნებაც შესაძლებელია (ამ ხასიათის ფაქტების უმეტესობის გამოქვეყნება არ შეიძლება). ფაქტია, რომ რუსეთში არ ყოფილა არც ორგანიზაციული კომიტეტის, არც ჩხეიძის ფრაქციის მხრივ არც ერთი გამოსვლა «ნაშე დელოს» პოლიტიკის წინააღმდეგ; ხოლო იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამ პოლიტიკის ნამდვილად შეცვლას, აუცილებლად საჭიროა არა ერთი გამოსვლა, არამედ ხანგრძლივი და ძლევამოსილი ბრძოლა, ვინაიდან «ნაშე დელო» პოლიტიკური სიდიდეა, რომელსაც ასაზრდოებს ლიბერალური კავშირურთიერთობა, ორგანიზაციული კომიტეტი და ჩხეიძის ფრაქცია კი პოლიტიკურ დეკორაციებს წარმოადგენენ. ფაქტია, რომ «ნაშე დელოს» პოლიტიკის სრულად და საკვლევით გამტარებელი გაზეთები «უტრო» და «რაბოჩეე უტრო» [37] გარეგნულადაც კი ხაზს უსვამენ თავიანთ პოლიტიკურ სიახლოვეს ჩხეიძის ფრაქციასთან და მთელი აგვისტოს ბლოკის სახელით ლაპარაკობენ. ფაქტია, რომ ჩხეიძის ფრაქცია ფულს აგროვებს ხოლმე «რაბოჩეე უტროსთვის». ფაქტია, რომ ჩხეიძის მთელმა ფრაქ-

ციამ თანამშრომლობა დაიწყო სამარის სოციალ-შოვინისტურ გაზეთ «ნაშ გოლოსში» (იხ. № 17). ფაქტია, რომ ჩხეიძის ფრაქციის უთვალსაჩინოესი წევრი, სახელდობრ ჩხენკელი, გამოვიდა პრესაში, «ობორონცებისა» თუ სოციალ-შოვინისტების ჟურნალ «სოვრემიონნი მირში»[38], ბბ. პლეხანოვისა და ალექსინსკის ჟურნალში, პრინციპული განცხადებებით სავსებით პლეხანოვის, «ნაშე დელოს», კაუცკის და აქსელროდის სულისკვეთებით. ჩვენ უკვე დიდი ხანია მოვიყვანეთ ჩხენკელის ეს განცხადება, და არც ოკისტებს თავიანთ კრებულში, არც ტროცკის თავის «ნაშე სლოვოში»[39] არ უკისრნიათ ამ განცხადების დაცვა, თუმცა ისინი კისრულობენ ჩხეიძის ფრაქციის დაცვას და მისთვის რეკლამის გაკეთებას. მეოთხე, აშკარა პოლიტიკური გამოსვლები ჩხეიძის მთელი ფრაქციისა და მთელი ორგანიზაციული კომიტეტის სახელით ადასტურებენ ჩვენს დებულებებს. ავიღოთ უმნიშვნელოვანესი გამოსვლები, რომლებიც გადაბეჭდილია ორგანიზაციული კომიტეტის კრებულში: ჩხეიძისა და კომპანიის დეკლარაცია და ორგანიზაციული კომიტეტის პროკლამაცია. ორივე ამ დოკუმენტის თვალსაზრისი ერთნაირია, მათი პოზიცია ერთი და იგივეა. ვინაიდან ორგანიზაციული კომიტეტი ჩვენი პარტიის საწინააღმდეგოდ შექმნილი «აგვისტოს ბლოკის» უმაღლესი ხელმძღვანელი დაწესებულებაა და ვინაიდან ორგანიზაციულმა კომიტეტმა გამოსცა არალეგალური პროკლამაცია, ე. ი. მას შეეძლო უფრო თავისუფლად და აშკარად ელაპარაკნა, ვიდრე ჩხეიძე ლაპარაკობს სათათბიროში, ამიტომ განვიხილოთ სწორედ ეს პროკლამაცია.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ამ პროკლამაციის შესახებ უკვე იყო დავა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში, ბერნის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში. მისმა თანამშრომელმა ამ პროკლამაციას «პატრიოტული» უწოდა. ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთული სამდივნო აღშფოთდა, მან დაბეჭდა პასუხი და განაცხადა: «ჩვენც, საზღვარგარეთულ სამდივნოსაც, მიგვიძღვის ბრალი ამგვარ პატრიოტიზმშიო»; თითქოს მსაჯულად მან გაზეთის რედაქ-

ციას მოუწოდა და გადასცა მას პროკლამაციის სრული გერმანული თარგმანი. ჩვენი მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ისეთი რედაქციაა, რომელიც აშკარად უდგება ორგანიზაციულ კომიტეტს, რეკლამას უკეთებს მას. მერე და რა თქვა ამ რედაქციამ, რომელიც ორგანიზაციულ კომიტეტს უდგება?

«ჩვენ წავიკითხეთ ორგანიზაციული კომიტეტის პროკლამაცია» — თქვა რედაქციამ (№ 250) — «და უნდა ვაღიაროთ, რომ მის ტექსტს უეჭველად შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს და მთლიანად მას ისეთი აზრი მისცეს, რომელიც, შეიძლება, უცხოა პროკლამაციის ავტორებისათვის».

რატომ არ გადაბეჭდეს ოკისტებმა თავიანთ კრებულში ეს შეფასება რედაქციისა, რომელსაც თვითონ მოუწოდეს მსაჯულად? იმიტომ რომ ეს არის შეფასება ორგანიზაციული კომიტეტის მეგობართა მხრივ, რომლებმაც საჯაროდ უარი თქვეს ორგანიზაციული კომიტეტის დაცვაზე! შეფასება დაწერილია მოწიწებით, დიპლომატიური თავაზიანობით, რომელიც საგანგებოდ ხაზს უსვამს რედაქციის სურვილს «საამური» რამ უთხრას აქსელროდსა და მარტოვს. და აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი «საამური» რამ არის შემდეგი: «შეიძლება (მ ხ ო ლ ო დ «შეიძლება»!) ორგანიზაციულმა კომიტეტმა ის ვერ თქვა, რისი თქმაც სურდა; მაგრამ იმას, რაც მან თქვა, «უეჭველად შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს»»!!

ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევთ მკითხველებს გაეცნონ ორგანიზაციული კომიტეტის პროკლამაციას, რომელიც გადაბეჭდილია ბუნდის ფურცელშიც (№ 9). ყველა, ვინც მას ყურადღებით წაიკითხავს, დაინახავს მარტივსა და აშკარა ფაქტებს: (1) პროკლამაციაში არ არის არც ერთი ისეთი სიტყვა, რომლითაც პრინციპულად უარყოფილი იყოს ქვეყნის ყოველგვარი თავდაცვა ახლანდელ ომში; (2) პროკლამაციაში აბსოლუტურად ისეთი არა არის რა, რაც პრინციპულად მიუღებელი იყოს «ობორონცებისა» ან «სოციალ-შოვინისტებისათვის»; (3) პროკლამაციის მთელი რიგი ფრაზები სავსებით ენათესაევება «ობორონცობას»: «პროლეტარიატს არ შეუძლია გულგრილად მოეკიდოს მოახლოებულ განადგურებას» (თითქმის

სიტყვა-სიტყვით იგივეა «რაბოჩეე უტროს» მე-2 ნომერში: «არაგულგრილი დამოკიდებულება» «განადგურებისაგან ქვეყნის დახსნისადმი»); «პროლეტარიატი უაღრესად დაინტერესებულია ქვეყნის თვითშენარჩუნებით»; «საყოველთაო-სახალხო რევოლუციამ» უნდა იხსნას ჩვენი ქვეყანა «საგარეო განადგურებისაგან», და სხვ.. მას, ვინც ნამდვილად მტერია სოციალ-შოვინიზმისა, ამგვარი ფრაზების ნ ა ც ვ ლ ა დ უნდა ეთქვა: მემამულეები, მეფე და ბურჟუაზია ტყუიან, როდესაც ქვეყნის თვითშენარჩუნებას უწოდებენ ველიკოროსების მიერ პოლონეთის ჩაგვრის შენარჩუნებას, პოლონეთის ძალით შენარჩუნებას; — ისინი ტყუიან, როდესაც განადგურებისაგან «ქვეყნის» ხსნის შესახებ ფრაზებით ჩქმალავენ მისწრაფებას «იხსნან» დიდმპყრობელური პრივილეგიები და პროლეტარიატს აშორებენ ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს. მძარცველურ, იმპერიალისტურ ომში მეომარი ქვეყნების პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის აღიარება და იმავე დროს ფრაზები ე რ თ-ე რ თ ი ამ ქვეყნის «განადგურებისაგან ხსნის» შესახებ — ნიშნავს თვალთმაქცობას, ნიშნავს იმას, რომ მოელი შენი განცხადებები გადააქციო ცარიელ, ყალბ დეკლამაციად. ვინაიდან ეს ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატის ტაქტიკა დამოკიდებული გახადო ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო მდგომარეობაზე ამა თუ იმ მომენტში, ხოლო რაკი ასეა, მართალნი არიან ფრანგი სოციალ-შოვინისტებიც, რომელნიც ეხმარებიან ავსტრიის ან თურქეთის «ხსნას განადგურებისაგან».

ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთულმა სამდივნომ გ ე რ მ ა ნ ი ი ს სოციალ-დემოკრატიულ პრესაში (ბერნის გაზეთში) წამოაყენა კიდევ ერთი სოფიზმი, იმდენად ურცხვი, იმდენად უხეში, იმდენად «შეთითხნილი» სპეციალურად გერმანელთა გულის მოსაგებად, რომ ოკისტებმა კეთილგონივრულად შეიკავეს თავი რუსეთის საზოგადოების წინაშე ამ სოფიზმის განმეორებისგან.

«თუ ეს პატრიოტიზმია, — წერენ ისინი კეთილშობილი აღშფოთების კილოთი გ ე რ მ ა ნ ე ლ თ ა წ ი ნ ა შ ე, — რომ

პროლეტარიატს მიუთითო რევოლუციაზე, როგორც დაღუპვისაგან ქვეყნის ხსნის ერთადერთ საშუალებაზე», მაშინ ჩვენც ასეთივე პატრიოტები ვართ, «ჩვენ ვისურვებდით, რომ ინტერნაციონალს თვითეულ სოციალისტურ პარტიაში რაც შეიძლება მეტი ჰყავდეს ასეთი «პატრიოტები»; ჩვენ რწმენას გამოვთქვამთ, რომ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი, მერჰეიმი ძალიან კმაყოფილნი იქნებოდნენ, თავიანთ ირგვლივ რომ ენახათ რაც შეიძლება მეტი ისეთი «პატრიოტები», რომელნიც ა მ გ ვ ა რ ი პროკლამაციებით მიმართავდნენ გერმანელსა და ფრანგ მუშებს».

შულერული ხერხი აშკარაა: ხუთმა მდივანმა ჩინებულად იცის, რომ საფრანგეთსა და გერმანიაში, რომელნიც სოციალისტური რევოლუციისაკენ მიდიან, ნატამალიც კი არაა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რევოლუციურობისა, ნატამალიც კი არაა ისეთი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი საზოგადოებრივი მოძრაობისა, რომელიც რევოლუციისაკენ მიისწრაფოდეს მ ტ ე რ ზ ე გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს გულისათვის. რუსეთში კი, სწორედ იმიტომ, რომ იგი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დემოკრატიული რევოლუციისაკენ მიიმართება, აშკარაა, ა ს ე თ ი მოძრაობა არსებობს. ხუთი მდივანი გერმანელებს ატყუებს სასაცილო სოფიზმით: ორგანიზაციული კომიტეტი და ჩხეიძე კომპანიითურთ არ შეიძლება რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ ე ბ ი იყვნენ რუსეთში, ვინაიდან ევროპაში რევოლუციურობის შეერთება შოვინიზმთან აბსურდიაო!

დიახ, ევროპაში ეს აბსურდია. რუსეთში კი ეს ფაქტია. თქვენ შეგიძლიათ «პრიზიველებს»[40] უსაყვედუროთ, რომ ისინი უხეირო ბურჟუაზიული რევოლუციონერები არიან, მაგრამ ისინი რომ შოვინიზმს თავისებურად აერთებენ რევოლუციურობასთან, ამის უარყოფა თქვენ არ შეგიძლიათ. ნაროდნიკების ივლისის კონფერენცია რუსეთში[41], «ნაშე დელო» და «რაბოჩეე უტრო» ამ მხრივ სავსებით და მთლიანად «პრიზიველების» პოზიციაზე დგანან, ისინიც აერთებენ შოვინიზმს რევოლუციურობასთან.

ჩხეიძის ფრაქციამ თავის დეკლარაციაში (ორგანიზაციული კომიტეტის კრებულის 141 — 143 გვ.) ი გ ი ვ ე პოზიცია დაიკავა. ჩხეიძეც ლაპარაკობს იმავე შოვინისტურ ფრაზებს «განადგურების საფრთხეზე», და თუ იგი ცნობს ომის იმპერიალისტურ ხასიათს, «უანექსიო ზავს», «მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის საერთო ამოცანებს», «ზავისათვის ბრძოლას» და სხვ. და სხვ., ამას ხომ «რაბოჩეე უტროც» აღიარებს; ამას აღიარებენ რუსი ნაროდნიკებიც — წვრილი ბურჟუები. ორგანიზაციული კომიტეტის იმავე კრებულში, 146 გვერდზე, შეიძლება წაიკითხოთ, რომ წვრილბურჟუაზიულმა ნაროდნიკებმა აღიარეს ომის იმპერიალისტური ხასიათიც, «უანექსიო ზავიც» და ისიც, რომ აუცილებლად საჭიროა სოციალისტები (ნაროდნიკებს ხომ, ისევე როგორც «რაბოჩეე უტროს», უნდათ სოციალისტებად მოჰქონდეთ თავი) «მიისწრაფოდნენ სოციალისტური ორგანიზაციის საერთაშორისო სოლიდარობის რაც შეიძლება მალე აღდგენისაკენ ომის შესაწყვეტად» და სხვ.. ნაროდნიკები — წვრილი ბურჟუები ყველა ამ ფრაზას იყენებენ «ეროვნული თავდაცვის» ლოზუნგის დასაფარავად, რომელიც მათ პირდაპირ წამოაყენეს, ხოლო ჩხეიძე და ორგანიზაციული კომიტეტი, ისე როგორც «რაბოჩეე უტრო», ამ ლოზუნგს «განადგურებისაგან ქვეყნის ხსნას» უწოდებენ!!

შედეგი ის არის, რომ ჩხეიძემაც და ორგანიზაციულმა კომიტეტმაც ბევრი ისეთი რევოლუციური ფრაზა წარმოთქვეს, რომლებიც მათ სრულიად არაფრით ავალდებულებს, სრულიად არაფრით ხელს არ უშლის პრიზი

ზიას, ცარიზმს, — ან პირდაპირ იცავთ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშათა მონაწილეობას, ან მდუმარედ ხელს აფარებთ ამ კომიტეტების მონაწილეებს, არ ებრძვით მათ.

მარტოვს შეუძლია როგორც სურს ისე ითაღლითოს. ტროცკის შეუძლია იყვიროს ჩვენი ფრაქციულობის წინააღმდეგ, მიაფუჩეჩოს ამ ყვირილით (ძველი რეცეპტია ტურგენევის... გმირისა![43]) თავისი ალბათ არაფრაქციული «ვარაუდი» იმისა, რომ ჩხეიძის ფრაქციის ესა თუ ის წევრი «ეთანხმება» ტროცკის და ფიცულობს თავის მემარცხენეობას, ინტერნაციონალიზმს და სხვ.. ფაქტი ფაქტად რჩება. სერიოზული პოლიტიკური განსხვავების აჩრდილიც კი არაა არა მარტო ორგანიზაციულ კომიტეტსა და ჩხეიძის ფრაქციას შორის, არამედ ორივე ამ დაწესებულებასა და «რაბოჩეე უტროსა» ან «პრიზივს» შორის.

ამიტომაც საქმით ყველა ისინი მომხრენი არიან სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშათა მონაწილეობის ბურჟუაზიული პოლიტიკისა და უპარტიო მუშებსა და ნაროდნიკებთან ერთად მიდიან ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ხოლო «საზღვარგარეთელი მდივნების» სიტყვიერი ბოდიშები და ფიცი, რომ ისინი «არ ეთანხმებიან», რჩება ცარიელ ფრაზად, რომელიც მასების ნამდვილ პოლიტიკას ისევე არ ეხება, როგორც ზიუდეკუმის, ლეგინის, დავიდის ფიცი, რომ ისინი «ზავის მომხრენი» და «ომის წინააღმდეგნი» არიან, ვერ ჩამორეცხს მათ შოვინიზმს.

«სოციალ-დემოკრატი» № 50,
1916 წ. 18 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

უანექსიო ზავისა და პოლონეთის დამოუკიდებლობის, როგორც რუსეთის სადღეისო ლოზუნგების შესახებ

«მუშათა კლასის გაბრიყვების ერთ-ერთი ფორმაა პაციფიზმი და ზავის აბსტრაქტული ქადაგება... ზავის ისეთ პროპაგანდას ამჟამად, რომელსაც თან არ სდევს მოწოდება მასების რევოლუციური მოქმედებისაკენ, შეუძლია მხოლოდ გაავრცელოს ილუზიები, გარყვნას პროლეტარიატი ბურჟუაზიის ჰუმანურობისადმი ნდობის ჩაგონებით და გახადოს იგი სათამაშოდ მეომარი ქვეყნების საიდუმლო დიპლომატიის ხელში». ასე ამბობს ჩვენი პარტიის ბერნის რეზოლუცია (იხ. «სოციალ-დემოკრატის» [44] № 40 და «სოციალიზმი და ომი») *.

ჩვენ მიერ ზავის საკითხის დაყენების მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებს — რუს ემიგრანტთა შორის და არა რუს მუშათა შორის — არც ერთხელ არ შეუწუხებიათ თავი ამ დებულებათა გარჩევით. ეს თეორიულად ურყევი დებულებანი ახლა, სწორედ მოვლენათა შემოტრიალების გამო ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით თვალსაჩინო პრაქტიკულ დადასტურებას პოვებენ.

პიტერის ლიკვიდატორ-ლეგალისტების გაზეთმა, რომელსაც იდეურად მხარს უჭერს ორგანიზაციული კომიტეტი, «რაბოჩეე უტრომ», როგორც ვიცით, პირველი ნომრიდანვე სოციალ-შოვინისტური, «ობორონცული» პოზიცია დაიჭირა. მან და-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 185 — 186 და 383. რ ე დ.

ბეჭდა პიტერისა და მოსკოვის სოციალ-შოვინისტების «ობორონცული» მანიფესტები. ორივე მანიფესტში, სხვათა შორის, გამოთქმულია «უანექსიო ზავის» იდეა, და «რაბოჩეე უტროს» № 2 განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ ლოზუნგს, ბეჭდავს მას კურსივით, უწოდებს მას იმ «ხაზს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნისათვის ჩიხიდან გამოსვლას». აი, შეხედეთ, რა ცილისწამებაა, თითქოს ჩვენ შოვინისტები ვიყოთ; ჩვენ სავსებით ვაღიარებთ უაღრესად «დემოკრატიულ», თვით «ჭეშმარიტად სოციალისტურ», «უანექსიო ზავის» ლოზუნგსო!

ეჭვი არ არის, რომ ნიკოლოზ სისხლისმსმელისთვის ამჟამად ფრიად სასარგებლოა მის ერთგულ ქვეშევრდომთა მიერ ასეთი ლოზუნგის წამოყენება. ცარიზმი, მემამულეებსა და ბურჟუაზიაზე დაყრდნობით, წაუძღვა ჯარებს გალიციის საძარცვად და დასამონებლად (აღარაფერს ვამბობთ ხელშეკრულებაზე თურქეთის დანაწილების შესახებ და სხვ.). ასეთივე მძარცველი გერმანელი იმპერიალისტების ჯარებმა უკუაგდეს რუსი ავაზაკები და გამოდევნეს ისინი არა მარტო გალიციიდან, არამედ «რუსეთის პოლონეთიდანაც». (ამასთან ორივე ხროვის ინტერესებისათვის ბრძოლის ველზე დაიღუპა ასი ათასობით რუსი და გერმანელი მუშა და გლეხი). ამრიგად, «უანექსიო ზავის» ლოზუნგი უმშვენიერეს «სათამაშოდ» გადაიქცა ცარიზმის «საიდუმლო დიპლომატიის ხელში»: აი, შეხედეთ, ჩვენ დაგვჩაგრეს, გაგვძარცვეს, პოლონეთი წაგვართვეს, ჩვენ ანექსიათა წინააღმდეგნი ვართო!

თუ რამდენად «სიამოვნებთ» «რაბოჩეე უტროს» სოციალ-შოვინისტებს ცარიზმის ლაქიების ეს როლი, განსაკუთრებით ჩანს 1-ლ ნომერში დაბეჭდილი სტატიიდან: «პოლონელთა ემიგრაცია». «ომის გასულმა თვეებმა, — ვკითხულობთ ამ სტატიაში, — პოლონელი ხალხის ფართო ფენების შეგნებაში ჩანერგა დამოუკიდებლობისადმი ღრმა მისწრაფება». ომამდე, რა თქმა უნდა, ეს არ ყოფილა!! «პოლონეთის დემოკრატიის ფართო ფენების საზოგადოებრივ შეგნებაში გაიმარჯვა პოლონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის მასამ» (ეტყობა, ბეჭდვითი შეცდომაა; უნდა იყოს: იდეამ, აზრმა და

სხვ.)... «რუსეთის დემოკრატიის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაჟინებით დგება პოლონეთის საკითხი»... «რუსი ლიბერალები» უარს ამბობენ «პოლონეთის დამოუკიდებლობის» წყეულ კითხვებზე უბრალო პასუხის გაცემაზე...

რატომაც არა! ნიკოლოზ სისხლისმსმელი, ხვოსტოვი, ჩელნოკოვი, მილიუკოვი და კომპანია სავსებით პოლონეთის დამოუკიდებლობის მომხრენი არიან, მთელი სულით და გულით ემხრობიან ამას ა ხ ლ ა, როდესაც ეს ლოზუნგი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ ნიშნავს გერმანიაზე გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ლოზუნგს, იმ გერმანიაზე, რომელმაც პოლონეთი წაართვა რუსეთს. დაიხსომეთ, რომ «სტოლიპინის მუშათა პარტიის»[45] შემქმნელნი ო მ ა მ დ ე სავსებით და განსაკუთრებით ილაშქრებდნენ ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგის, პოლონეთის გამოყოფის თავისუფლების წინააღმდეგ და ცარიზმის მიერ პოლონეთის ჩაგვრის დაცვის ამ კეთილშობილი მიზნით ოპორტუნისტი სემკოვსკი გამოჰყავდათ. ახლა, როდესაც პოლონეთი რუსეთს წაართვეს, ისინი მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან პოლონეთის «დამოუკიდებლობისა» (გერმანიისაგან, ამაზე თავმდაბლად დუმან...).

ვერ მოატყუებთ, ბატონო სოციალ-შოვინისტებო, რუსეთის შეგნებულ მუშებს! თქვენი 1915 წლის «ოქტიაბრისტული»[46] ლოზუნგი პოლონეთის დამოუკიდებლობისა და უანექსიო ზავისა ნამდვილად ლაქიობაა ცარიზმის წინაშე, რომელსაც სწორედ ახლა, სწორედ 1916 წლის თებერვალში ესაჭიროება მ ი ს ი ომის დაცვა გულკეთილი სიტყვებით «უანექსიო ზავისა» (პოლონეთიდან ჰინდენბურგის გასაძევებლად) და პოლონეთის დამოუკიდებლობის (ვილჰელმისაგან დამოუკიდებლობის, მაგრამ ნიკოლოზ II-ისაგან დამოკიდებულების) შესახებ.

რუსი სოციალ-დემოკრატი, რომელსაც თავისი პროგრამა არ დავიწყნია, სხვანაირად მსჯელობს. რუსეთის დემოკრატიამ, იტყვის ის, — და მხედველობაში ეყოლება უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ველიკოროსული დემოკრატია, ვინაიდან მხოლოდ ეს უკანასკნელი სარგებლობდა ყოველთვის რუსეთ-

ში ენის თავისუფლებით, — ამ დემოკრატიამ უეჭველად მოიგო იმით, რომ რუსეთი ახლა აღარ ჩაგრავს პოლონეთს, არ უჭირავს იგი ძალით. რუსეთის პროლეტარიატი უეჭველად მოგებულია იმით, რომ იგი აღარ ჩაგრავს ერთ იმ ხალხთაგანს, რომლის ჩაგვრასაც გუშინ იგი ხელს უწყობდა. გერმანიის დემოკრატიამ უეჭველად წააგო: ვიდრე გერმანიის პროლეტარიატი მოითმენს გერმანიის მიერ პოლონეთის ჩაგვრას, ის დარჩება მონაზე უფრო უარეს მდგომარეობაში, იმ ხეპრეს მდგომარეობაში, რომელიც ხელს უწყობს სხვების მონობაში ყოფნას. უეჭველად მოიგეს მხოლოდ გერმანიის იუნკრებმა და ბურჟუებმა.

აქედან დასკვნა: რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა უნდა ამხილონ ცარიზმის მიერ ხალხის მოტყუება, როდესაც ახლა რუსეთში აყენებენ «უანექსიო ზავისა» და «პოლონეთის დამოუკიდებლობის» ლოზუნგს, ვინაიდან ორივე ეს ლოზუნგი ახლანდელ მდგომარეობაში ნიშნავს ომის განგრძობის მისწრაფებას და ამართლებს ასეთ მისწრაფებას. ჩვენ უნდა ვთქვათ: არავითარი ომი პოლონეთის გულისთვის! რუს ხალხს არ სურს ხელახლა გადაიქცეს მის მჩაგვრელად!

მაგრამ როგორ დავეხმაროთ პოლონეთის განთავისუფლებას გერმანიისაგან? განა ჩვენ არ უნდა ვეხმარებოდეთ ამას? რასაკვირველია, უნდა ვეხმარებოდეთ, მაგრამ არა იმით, რომ **მხარი დავუჭიროთ მეფის ან თუნდაც** ბურჟუაზიული, ანდა, თუ გნებავთ, ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური რუსეთის იმპერიალისტურ ომს, არამედ იმით, რომ მხარი დავუჭიროთ გერმანიის რევოლუციურ პროლეტარიატს, მხარი დავუჭიროთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ ელემენტებს, რომელნიც ებრძვიან ზიუდეკუმების, კაუცკისა და კომპანიის კონტრრევოლუციურ მუშათა პარტიას. კაუცკიმ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაამტკიცა თავისი კონტრრევოლუციონერობა სულ ახლახან: 1915 წ. 26 ნოემბერს მან «ავანტიურა» უწოდა ქუჩებში გამოსვლებს (როგორც სტრუვე 1905 წ. 9 იანვრის წინ ამბობდა, **რუსეთში რევოლუციური ხალხი არ არისო), ხოლო 1915 წ.**

30 ნოემბერს კი ბერლინში დემონსტრაცია მოაწყო 10 000 მუშა-ქალმა!

ყველა, ვისაც სურს არათვალთმაქცურად, არა ზიუდეკუმისებურად, არა პლეხანოვისებურად, არა კაუცკისებურად აღიაროს ხალხთა თავისუფლება, ერთა თვითგამორკვევის უფლება, პოლონეთის ჩაგვრისათვის წარმოებული ომის წინააღმდეგი უნდა იყოს; იგი მხარს უნდა უჭერდეს რუსეთისაგან იმ ხალხთა გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც რუსეთი ახლა ჩაგრავს: უკრაინის, ფინეთისა და სხვ. გამოყოფის თავისუფლებას. ყველა, ვისაც არ სურს საქმით სოციალ-შოვინისტი იყოს, მხარს უნდა უჭერდეს ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიათა მხოლოდ იმ ელემენტებს, რომლებიც პირდაპირ, უშუალოდ, ახლავე მუშაობენ თავიანთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის მოსახდენად.

არა «უანექსიო ზავი», არამედ მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს, მშვიდობა პროლეტარიატსა და მშრომელთ, ომი პურჟუაზიას!

«სოციალ-დემოკრატი» № 51.
1916 წ. 29 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ვილჰელმ კოლბი და გიორგი პლეხანოვი

გულახდილი გერმანელი ოპორტუნისტის ვილჰელმ კოლბის ბროშურა: «სოციალ-დემოკრატია გზაჯვარედინზე» (კარლსრუე, 1915) სწორედ რომ დროზე გამოვიდა პლეხანოვის კრებულის — «ომის» შემდეგ. კაუცკელი რუდოლფ ჰილფერდინგი «Neue Zeit»-ში * კოლბს ფრიად სუსტად უპასუხებს, დუმს მთავარზე და წუწუნებს კოლბის იმ მართალი განცხადების გამო, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატებს მარტოოდენ «წმინდა ფორმალური» ერთიანობა-ღა შერჩათო.

მათ, ვისაც სურს სერიოზულად ჩაუფიქრდეს II ინტერნაციონალის კრახის მნიშვნელობას, შეიძლება ვურჩიოთ კოლბისა და პლეხანოვის ი დ ე უ რ ი პოზიციის შედარება. ორივე (როგორც კაუცკი) ერთმანეთს ეთანხმება ძ ი რ ი თ ა დ შ ი: ახლანდელ ომთან დაკავშირებით რევოლუციურ მოქმედებათა იდეის უარყოფასა და დაცინვაში; ორივე რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს აბრალებს «პორაჟენცობას», ხმარობს რა პლეხანოველთა ამ საყვარელ სიტყვას. პლეხანოვი ახლანდელ ომთან დაკავშირებით რევოლუციაზე ფიქრს «ოცნება-ფარსს» უწოდებს და სისინებს «რევოლუციური ფრაზეოლოგიის» წინააღმდეგ. კოლბიც, გზადაგზა, წყევლის «რევოლუციურ ფრაზას», «რევოლუციურ ფანტასტიკას», «რადიკალ (Radikalinski)-ისტერიკებს», «სექტანტობას» და სხვ.. კოლბი და

* — «ახალი დროება». რ ე დ.

პლეხანოვი ერთმანეთს ეთანხმებიან მთავარში, ორივე ისინი რევოლუციის წინააღმდეგნი არიან. და ის გარემოება, რომ კოლბი საზოგადოდ წინააღმდეგია რევოლუციისა, ხოლო პლეხანოვი და კაუცკი — «საზოგადოდ მომხრენი», მხოლოდ ელფერთა, მხოლოდ სიტყვათა სხვაობაა: საქმით პლეხანოვი და კაუცკი კოლბის მსახურნი არიან.

კოლბი უფრო პატიოსანია — არა პირადი, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობით, ე. ი. მისი პოზიციის თანამიმდევრობა არ აიძულებს მას ითვალთმაქცოს. ამიტომ მას არ ეშინია აღიაროს სიმართლე, რომ მთელი ინტერნაციონალი, მისი თვალსაზრისით, «რევოლუციური ფანტასტიკის სულით» იყო დაავადებული, ომის გამო «მუქარით» (რევოლუციის მუქარით, ბბ. პლეხანოვ და კოლბ!) გამოდიოდა. კოლბი მართალია, როცა ამბობს: უგუნურებაა «პრინციპულად უარყოფდე» კაპიტალისტურ საზოგადოებას მას შემდეგ, რაც ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიები მის დასაცავად გამოვიდნენ იმ მომენტში, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფო თავით ბოლომდე იბზარებოდა, როდესაც «კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მისი არსებობა». ობიექტური რევოლუციური სიტუაციის ეს აღიარება მართალია.

«შედეგი (ლიბკნეხტის მომხრეთა ტაქტიკისა) იქნებოდა — წერს კოლბი — დუღილის წერტილამდე მიყვანილი შ ი ნ ა უ რ ი ბრძოლა გერმანელი ერის შიგნით და მით მისი სამხედრო და პოლიტიკური დასუსტება»... «სამთა შეთანხმების იმპერიალიზმის» ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ და მ ი ს გ ა ს ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ლ ა დ!! აი სად არის თავი და ბოლო ოპორტუნისტული ჭექა-ქუხილისა «პორაჟენცობის» წინააღმდეგ!!

ეს მართლაც მთელი საკითხის თავი და ბოლოა. «დუღილის წერტილამდე მიყვანილი შინაური ბრძოლა» — სწორედ ეს არის სამოქალაქო ომი. კოლბი მართალს ამბობს, რომ მემარცხენეთა ტაქტიკას აქეთკენ მ ი ვ ყ ა ვ ა რ თ; მართალს ამბობს, რომ ეს ტაქტიკა არის გერმანიის «სამხედრო დასუსტება», ე. ი. მისი დამარცხების სურვილი და ამ დამარცხების ხელის შეწყობა, არის პორაჟენცობა. კოლბი მართალი არ

არის მხოლოდ — მხოლოდ! — იმაში, რომ არ სურს დაინახოს მემარცხენეთა ამგვარი ტაქტიკის ინტერნაციონალური ხასიათი. ყველა მეომარ ქვეყანაში შესაძლებელია «შინაური ბრძოლის მიყვანა დუღილის წერტილამდე», იმპერიალისტური ბურჟუაზიის «სამხედრო ძლიერების შესუსტება» და (ამის გამო, ამასთან დაკავშირებით, ამის მეშვეობით) იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. ესაა საკითხის დედაარსი. მადლობას მოვახსენებთ კოლბს სასარგებლო სურვილებისა, აღსარებისა და ილუსტრაციებისათვის: როდესაც ყოველივე ამას იძლევა რევოლუციის ყველაზე თანამიმდევარი, პატიოსანი და გულახდილი მტერი, ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მუშათა წინაშე პლეხანოვებისა და კაუცკების საზიზღარი თვალთმაქცობისა და სამარცხვინო უხასიათობის გამოსააშკარავებლად.

«სოციალ-დემოკრატი» № 51,
1916 წ. 29 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება

(თეზისები)

1. იმპერიალიზმი, სოციალიზმი და ჩაგრულ ერთა განთავისუფლება

იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადია. მოწინავე ქვეყნებში კაპიტალი იმდენად გაიზარდა, რომ გასცილდა ეროვნულ სახელმწიფოთა ჩარჩოებს, კონკურენციის მაგივრად მონოპოლია დაამკვიდრა და შექმნა სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობის ყველა ობიექტური წანამძღვარი. ამიტომ დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში დღის წესრიგში დგას პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა კაპიტალისტურ მთავრობათა დასამხობად, ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის მოსახდენად. იმპერიალიზმი უბიძგებს მასებს ამგვარი ბრძოლისაკენ, უაღრესად ამწვავებს რა კლასობრივ წინააღმდეგობას, აუარესებს რა მასების მდგომარეობას როგორც ეკონომიურად — ტრესტები, სიძვირე, — ისე პოლიტიკურად: მილიტარიზმის ზრდა, ომების გახშირება, რეაქციის გაძლიერება, ეროვნული ჩაგვრისა და კოლონიების ძარცვის განმტკიცება და გაფართოება. ძლევამოსილმა სოციალიზმმა აუცილებლად უნდა განახორციელოს სრული დემოკრატია, ხოლო, მაშასადამე, არათუ უნდა განახორციელოს ერთა სრული თანასწორუფლებიანობა, არამედ უნდა განახორციელოს ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებაც, ე. ი. თავისუფალი პოლიტიკური გამოყოფის უფლება. ის სოციალისტური პარტიები, რომელნიც მთელი თავიანთი მოქმედებით ახლაც, რევოლუციის დროსაც და მისი გამარჯვების შემდეგაც არ დაამტკიცებენ, რომ ისინი გაათა-

ვისუფლებენ ჩაგრულ ერებს და მათთან ურთიერთობას დაამყარებენ თავისუფალი კავშირის საფუძველზე, — თავისუფალი კავშირი კი ყალბი ფრაზაა გამოყოფის თავისუფლების გარეშე,—ასეთი პარტიები სოციალიზმის მოღალატენი იქნებოდნენ

რა თქმა უნდა, დემოკრატიაც აგრეთვე სახელმწიფოს ფორმაა, რომელიც უნდა გაქრეს, როდესაც გაქრება სახელმწიფო; მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ საბოლოოდ გამარჯვებული და განმტკიცებული სოციალიზმიდან სრულ კომუნიზმზე გადასვლის დროს.

2. სოციალისტური რევოლუცია და დემოკრატიისათვის ბრძოლა

სოციალისტური რევოლუცია ერთი აქტი, ერთ ფრონტზე მომხდარი ერთი ბრძოლა კი არ არის, არამედ გამწვავებული კლასობრივი კონფლიქტების მთელი ეპოქაა, გრძელი რიგია ბრძოლებისა ყველა ფრონტზე, ე. ი. ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველა საკითხის გამო, ბრძოლებისა, რომლებიც შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციით. ძირითადი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს დემოკრატიისათვის ბრძოლას შეეძლოს ჩამოაშოროს პროლეტარიატი სოციალისტურ რევოლუციას, ან დაჩრდილოს, დაფაროს იგი და სხვ.. პირიქით, როგორც შეუძლებელია ძლევამოსილი სოციალიზმი, თუ იგი სრულ დემოკრატიას არ ახორციელებს, ისევე პროლეტარიატი ვერ მოემზადება ბურჟუაზიაზე გასამარჯვებლად, თუ იგი არ აწარმოებს ყოველმხრივს, თანამიმდევარსა და რევოლუციურ ბრძოლას დემოკრატიისათვის.

არანაკლები შეცდომა იქნებოდა დემოკრატიული პროგრამიდან ერთ-ერთი პუნქტის, მაგალითად, ერთა თვითგამორკვევის პუნქტის ამოღება, იმ საბუთით, თითქოს იმპერიალიზმის დროს იგი «განუხორციელებელი» იყოს ან «ილუზიას» წარმოადგენდეს. იმის მტკიცება, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლება კაპიტალიზმის ფარგლებში განუხორციელებელია, შეიძლება გავიგოთ ან აბსოლუტური, ეკონომიური აზრით, ანდა პირობითად, პოლიტიკური აზრით.

პირველ შემთხვევაში იგი თეორიულად ძირფესვიანად მცდარია. ჯერ-ერთი, კაპიტალიზმის დროს ამგვარი გაგებით განუხორციელებელია, მაგალითად, მუშათა ფული ან კრიზისების მოსპობა და სხვ.. სრულიად მცდარი აზრია, თითქოს ერთა თვითგამორკვევის განხორციელებაც ასევე შეუძლებელი იყოს. მეორე, შვეციისაგან 1905 წ. ნორვეგიის გამოყოფის მარტო ერთი მაგალითიც კმარა ამგვარად გაგებული «განუხორციელებლობის» უარსაყოფად. მესამე, სასაცილო იქნებოდა იმის უარყოფა, რომ, მაგალითად, გერმანიისა და ინგლისის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ურთიერთობათა ოდნავ შეცვლისას დღეს თუ ხვალ სავსებით «განსახორციელებელია» პოლონეთის, ინდოეთისა და სხვ. ახალი სახელმწიფოების შექმნა. მეოთხე, ფინანსური კაპიტალი ექსპანსიისადმი თავისი მისწრაფების დროს «თავისუფლად» იყიდის და მოისყიდის ყოველი, თუნდაც «დამოუკიდებელი», ქვეყნის ყველაზე თავისუფალ დემოკრატიულ და რესპუბლიკურ მთავრობას და არჩეულ მოხელეებს. ფინანსური კაპიტალის ბატონობა, ისე როგორც საერთოდ კაპიტალისა, შეუძლებელია თავიდან იქნეს მოშორებული რაიმე გარდაქმნით პოლიტიკური დემოკრატიის დარგში; თვითგამორკვევა კი მთლიანად და განსაკუთრებით ამ დარგს ეკუთვნის. მაგრამ ფინანსური კაპიტალის ეს ბატონობა სრულიადაც არ სპობს პოლიტიკური დემოკრატიის, როგორც კლასობრივი ჩაგვრისა და კლასობრივი ბრძოლის უფრო თავისუფალი, ფართო და ცხადი ფორმის, მნიშვნელობას. ამიტომ ყოველგვარი მსჯელობა პოლიტიკური დემოკრატიის ერთ-ერთი მოთხოვნის «განუხორციელებლობაზე», ეკონომიური აზრით, კაპიტალიზმის დროს მოასწავებს კაპიტალიზმისა და პოლიტიკური დემოკრატიის საერთო და ძირითადი ურთიერთობის თეორიულად მცდარ განმარტებას საზოგადოდ.

მეორე შემთხვევაში ეს მტკიცება არ არის სრული და ზუსტი. ვინაიდან არა მარტო ერთა თვითგამორკვევის უფლება, არამედ პოლიტიკური დემოკრატიის ყველა ძირითადი მოთხოვნა იმპერიალიზმის დროს შეიძლება «განხორციელდეს»

მხოლოდ არასრულად, დამახინჯებულად და იშვიათი გამონაკლისის სახით (მაგალითად, ნორვეგიის გამოყოფა შვეციისაგან 1905 წ.). კოლონიების დაუყოვნებლივი განთავისუფლების მოთხოვნა, რომელსაც ყველა რევოლუციური სოციალ-დემოკრატი აყენებს, აგრეთვე «განუხორციელებელია» კაპიტალიზმის დროს მთელ რიგ რევოლუციათა მოუხდენლად. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ სოციალ-დემოკრატიამ უარი თქვას ყ ვ ე ლ ა ამ მოთხოვნისათვის დაუყოვნებლივსა და უაღრესად გადამწყვეტ ბრძოლაზე, — ასეთი უარისთქმა ხელსაყრელი იქნებოდა მხოლოდ ბურჟუაზიისა და რეაქციისათვის, — არამედ, სწორედ პირიქით, აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ყველა ეს მოთხოვნა ჩამოვაყალიბოთ და გავატაროთ არა რეფორმისტულად, არამედ რევოლუციურად; ბურჟუაზიული ლეგალობის ჩარჩოებით კი არ უნდა ვიფარგლებოდეთ, ისინი უნდა დავამსხვრიოთ; პარლამენტში გამოსვლებსა და სიტყვიერ პროტესტებს კი არ უნდა ვჯერდებოდეთ, არამედ აქტიურ მოქმედებაში უნდა ვაბამდეთ მასებს, უნდა ვაფართოებდეთ და ვაჩაღებდეთ ყოველგვარი ძირითადი დემოკრატიული მოთხოვნისათვის ბრძოლას პროლეტარიატის პირდაპირ იერიშამდე ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ე. ი. სოციალისტურ რევოლუციამდე, რომელიც ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას ახდენს. სოციალისტური რევოლუცია შეიძლება გაჩაღდეს არა მარტო როგორც დიდი გაფიცვის ან ქუჩის დემონსტრაციის, ან შიმშილობის ნიადაგზე ამბოხების, სამხედრო აჯანყების თუ კოლონიათა ამბოხების შედეგი, არამედ აგრეთვე როგორც შედეგი ყოველი პოლიტიკური კრიზისისა, როგორიცაა, მაგალითად, დრეიფუსის საქმე [47] ან ცაბერნის ინციდენტი [48], ანდა რეფერენდუმთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ჩაგრული ერის გამოყოფის საკითხს და სხვ.

ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება იმპერიალიზმის დროს სოციალ-დემოკრატიისათვის განაპირობებს არა ხელისაღებას «უტოპიურ», როგორც ბურჟუაზია ამბობს, ბრძოლაზე ერთა გამოყოფის თავისუფლებისათვის, არამედ, პირიქით, განაპი-

რობებს ამ ნიადაგზედაც წარმოშობილი კონფლიქტებისა, როგორც ბურჟუაზიის საწინააღმდეგო მასობრივი მოქმედებისა და რევოლუციურ გამოსვლათა საბაბის, გაძლიერებულ გამოყენებას.

3. თვითგამორკვევის უფლების მნიშვნელობა და მისი დამოკიდებულება ფედერაციასთან

ერთა თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობის უფლებას პოლიტიკური გაგებით, მჩაგვრელი ერისაგან თავისუფალი პოლიტიკური გამოყოფის უფლებას. კონკრეტულად, პოლიტიკური დემოკრატიის ეს მოთხოვნა ნიშნავს აგიტაციის სრულ თავისუფლებას გამოყოფისათვის და გამოყოფის საკითხის გადასაწყვეტად გამოსაყოფი ერის რეფერენდუმის საშუალებით. ამრიგად, ეს მოთხოვნა სრულიადაც არ უდრის გამოყოფის, დაქსაქსვის, წვრილ სახელმწიფოთა შექმნის მოთხოვნას. იგი მხოლოდ ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის თანამიმდევრული გამოხატულებაა. რაც უფრო ახლოსაა სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილება გამოყოფის სრულ თავისუფლებასთან, მით უფრო იშვიათი და სუსტი იქნება პრაქტიკაში გამოყოფისადმი მისწრაფება, ვინაიდან დიდ სახელმწიფოთა უპირატესობანი როგორც ეკონომიური პროგრესის თვალსაზრისით, ისე მასების ინტერესთა თვალსაზრისით ეჭვს გარეშეა, ამასთან ეს უპირატესობანი სულ უფრო და უფრო იზრდება კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად. თვითგამორკვევის აღიარება არ უდრის ფედერაციის, როგორც პრინციპის, აღიარებას. შეიძლება იყო ამ პრინციპის მტკიცე მოწინააღმდეგე და დემოკრატიული ცენტრალიზმის მომხრე. მაგრამ ეროვნულ უთანასწორობასთან შედარებით უპირატესობას აძლევდე ფედერაციას, როგორც ერთადერთ გზას სრული დემოკრატიული ცენტრალიზმისაკენ. სწორედ ამ თვალსაზრისით მარქსი, რომელიც ცენტრალისტი იყო, ინგლისთან ირლანდიის ფედერაციასაც კი უპირატესობას აძლევდა ინგ-

ლისელების მიერ ირლანდიის ძალმომრეობით დამორჩილებასთან შედარებით [49].

სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპოს წვრილ სახელმწიფოებად კაცობრიობის დაქსაქსულობა და ერთა ყოველგვარი განცალკევებულობა, არა მარტო დააახლოოს ერები, არამედ მათი შერწყმაც მოახდინოს. და სწორედ იმისათვის, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, ჩვენ, ერთი მხრით, უნდა განვუმარტოთ მასებს რენერისა და ო. ბაუერის ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» [50] იდეათა რეაქციულობა, ხოლო, მეორე მხრით, მოვითხოვოთ ჩაგრულ ერთა განთავისუფლება არა ზოგადი ბუნდოვანი ფრაზებით, არა უშინაარსო დეკლამაციებით, არა საკითხის «გადადებით» სოციალიზმის განხორციელებამდე, არამედ ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამით, რომელიც სპეციალურად აღნიშნავს სოციალისტების თვალთმაქცობასა და სილაჩრეს მჩაგვრელ ერებში. როგორც კაცობრიობას შეუძლია კლასთა მოსპობას მიაღწიოს მხოლოდ ჩაგრული კლასის დიქტატურის გარდამავალი პერიოდის მეშვეობით, ისევე კაცობრიობა ერთა აუცილებელ შერწყმამდეც მივა მხოლოდ ყველა ჩაგრული ერის სრული განთავისუფლების, ე. ი. მათი გამოყოფის თავისუფლების გარდამავალი პერიოდის მეშვეობით.

4. ერთა თვითგამორკვევის საკითხის პროლეტარულ-რევოლუციური დაყენება

არა მარტო ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა, არამედ ჩვენი დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის ყ ვ ე ლ ა პუნქტი წ ი ნ ა თ, ჯერ კიდევ XVII და XVIII საუკუნეებში, წამოაყენა წვრილმა ბურჟუაზიამ. და წვრილი ბურჟუაზია დღემდე უტოპიურად აყენებს ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ამას, იგი ვერ ხედავს კლასობრივ ბრძოლას და ამ ბრძოლის გაძლიერებას დემოკრატიის დროს, მას სწამს «მშვიდობიანი» კაპიტალიზმი. სწორედ ასეთია იმპერიალიზმის დროს თანასწორუფლებიან ერთა მშვიდობიანი კავშირის უტოპია, რომელიც ხალხს ატყუებს და

რომელსაც იცავენ კაუცკელები. ამ მეშჩანური, ოპორტუნისტული უტოპიის საწინააღმდეგოდ, სოციალ-დემოკრატიის პროგრამამ უნდა წამოაყენოს როგორც ძირითადი, უაღრესად არსებითი და აუცილებელი იმპერიალიზმის დროს, ერების დაყოფა მჩაგვრელებად და ჩაგრულებად.

მჩაგვრელ ერთა პროლეტარიატს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ანექსიათა საწინააღმდეგო და საზოგადოდ ერთა თანასწორუფლებიანობის სასარგებლო ზოგადი, შაბლონური ფრაზებით, რომელთაც ყოველი პაციფისტი ბურჟუა იმეორებს. პროლეტარიატს არ შეუძლია დუმილით აუაროს გვერდი იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის განსაკუთრებით «უსიამოვნო» საკითხს იმ სახელმწიფოს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ს შესახებ, რომელიც ეროვნულ ჩაგვრაზეა დამყარებული. პროლეტარიატს არ შეუძლია არ იბრძოდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში ჩაგრულ ერთა ძალდატანებით შენარჩუნების წინააღმდეგ, ეს კი სწორედ თვითგამორკვევის უფლებისათვის ბრძოლას ნიშნავს. პროლეტარიატი უნდა მოითხოვდეს იმ კოლონიათა და ერთა პოლიტიკური გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც «მისი» ერი ჩაგრავს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი ცარიელი ლაპარაკი იქნებოდა; მჩაგვრელ და ჩაგრულ ერთა მუშებს შორის არც ურთიერთისადმი ნდობა, არც კლასობრივი სოლიდარობა შესაძლებელი არ არის; თვალთმაქცობა თვითგამორკვევის რეფორმისტული და კაუცკური დამცველებისა, რომელნიც კრინტს არ ძრავენ «მათი საკუთარი» ერის მიერ დაჩაგრული და «მათი საკუთარი» სახელმწიფოს ფარგლებში ძალით დატოვებული ერების შესახებ, გამოუაშკარავებელი რჩება.

მეორე მხრით, ჩაგრულ ერთა სოციალისტები განსაკუთრებით უნდა იცავდნენ და ცხოვრებაში ატარებდნენ ჩაგრული ერის მუშათა სრულსა და უეჭველ, მათ შორის ორგანიზაციულ, ერთიანობასაც მჩაგვრელი ერის მუშებთან. უამისოდ შეუძლებელია დავიცვათ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკა და მისი კლასობრივი სოლიდარობა სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან ბურჟუაზიის ყოველი და ყოველგვარი ყალ-

თაბანდობის, ღალატისა და თაღლითობის პირობებში. ვინაიდან ჩაგრულ ერთა ბურჟუაზია ეროვნული განთავისუფლების ლოზუნგებს მუდამ მუშათა მოტყუებად აქცევს: საშინაო პოლიტიკაში იგი ამ ლოზუნგს იყენებს გაბატონებულ ერთა ბურჟუაზიასთან რეაქციულ შეთანხმებათათვის (მაგალითად, პოლონელები ავსტრიასა და რუსეთში უთანხმდებიან რეაქციას ებრაელთა და უკრაინელთა დასაჩაგრავად); საგარეო პოლიტიკაში იგი ცდილობს ერთ-ერთ მეტოქე იმპერიალისტურ სახელმწიფოს შეუთანხმდეს თავისი მტაცებლური მიზნების განსახორციელებლად (ბალკანეთის მცირე სახელმწიფოთა პოლიტიკა და სხვ.).

იმ გარემოებას, რომ ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა შეიძლება, განსაზღვრულ პირობებში, მეორე «დიდმა» სახელმწიფომ გამოიყენოს თავისი იმგვარივე იმპერიალისტური მიზნებისათვის, — ისევე ნაკლებად შეუძლია სოციალ-დემოკრატიას ხელი ააღებინოს ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებაზე, როგორც ბურჟუაზიის მიერ რესპუბლიკური ლოზუნგების მრავალგზის გამოყენების შემთხვევები, პოლიტიკური მოტყუებისა და ფინანსური ძარცვა-გლეჯის მიზნით, მაგალითად, რომანულ ქვეყნებში, ვერ აიძულებს სოციალ-დემოკრატებს უარი თქვან თავიანთ რესპუბლიკანიზმზე *.

---

* ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თვითგამორკვევის უფლების უარყოფა იმ მიზეზით, ვითომ აქედან გამომდინარეობდეს «სამშობლოს დაცვა», პირდაპირ სასაცილო იქნებოდა. ასეთივე უფლებით — ე. ი. ასევე არასერიოზულად — 1914 — 1916 წლებში სოციალ-შოვინისტები იმოწმებენ დემოკრატიის ყოველ მოთხოვნასაც (მაგალითად, მის რესპუბლიკანიზმს) და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ყოველ ფორმულასაც «სამშობლოს დაცვის» გასამართლებლად. მარქსიზმს სამშობლოს დაცვის აღიარება, მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ომების ან გარიბალდის ომების დროს ევროპაში, აგრეთვე სამშობლოს დაცვის უარყოფა 1914 — 1916 წწ. იმპერიალისტურ ომში, გამოჰყავს თვითეული ცალკე ომის კონკრეტულ-ისტორიულ თავისებურებათა ანალიზიდან და სრულიადაც არა რომელიმე «საერთო პრინციპიდან», არა პროგრამის რომელიმე ცალკე პუნქტიდან.

5. მარქსიზმი და პრუდონიზმი ნაციონალურ საკითხში

წინააღმდეგ წვრილბურჟუაზიული დემოკრატებისა, მარქსს გამოუკლებლივ ყველა დემოკრატიული მოთხოვნა მიაჩნდა არა აბსოლუტად, არამედ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ხალხის მასების ბრძოლის ისტორიულ გამოხატულებად, — იმ მასებისა, რომელთაც ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა. ამ მოთხოვნებში არც ერთი არაა ისეთი, რომელიც არ გამოადგებოდა ან არ გამოსდგომია ბურჟუაზიას, განსაზღვრულ პირობებში, მუშათა მოტყუების იარაღად. ამ მხრივ პოლიტიკური დემოკრატიის ერთ-ერთი მოთხოვნის, სახელდობრ ერთა თვითგამორკვევის, გამოყოფა და მისი დაპირისპირება დანარჩენი მოთხოვნებისადმი — თეორიულად ძირეული შეცდომაა. სინამდვილეში პროლეტარიატი მხოლოდ მაშინ შეძლებს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, თუ იგი თავის ბრძოლას ყველა დემოკრატიული მოთხოვნისათვის, მათ შორის რესპუბლიკის მოთხოვნისთვისაც, დაუქვემდებარებს თავის რევოლუციურ ბრძოლას ბურჟუაზიის დასამხობად.

მეორე მხრივ, წინააღმდეგ პრუდონისტებისა, რომელნიც «სოციალური რევოლუციის გულისთვის» «უარყოფდნენ» ნაციონალურ საკითხს, მარქსი, რომელსაც ყველაზე მეტად მხედველობაში ჰქონდა მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესები, პირველ რიგში აყენებდა ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის ძირითად პრინციპს: შეუძლებელია თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც ჩაგრავს სხვა ხალხებს [51]. სწორედ გერმანიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისით მარქსი 1848 წ. მოითხოვდა, რომ გერმანიის ძლევამოსილ დემოკრატიას გამოეცხადებინა და განეხორციელებინა გერმანელების მიერ დაჩაგრულ ხალხთა თავისუფლება [52]. სწორედ ინგლისის მუშათა რევოლუციური ბრძოლის თვალსაზრისით მოითხოვდა მარქსი 1869 წ. ინგლისისაგან ირლანდიის გამოყოფას, ამასთან იგი დასძენდა: «თუნდაც გამოყოფის შემდეგ საქმე ფედერაციამდე მივიდესო» [53]. მხოლოდ ასეთი მოთხოვნის წამოყენებით მარქსი

ნამდვილად ზრდიდა ინგლისის მუშებს ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით. მხოლოდ ამნაირად შეეძლო მარქსს ხსენებული ისტორიული ამოცანის რევოლუციური გადაწყვეტის დაპირისპირება ოპორტუნისტებისა და იმ ბურჟუაზიული რეფორმიზმისადმი, რომელსაც აქამდე, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ვერ განუხორციელებია ირლანდიის «რეფორმა». მხოლოდ ასე შეეძლო მარქსს, — წინააღმდეგ კაპიტალის აპოლოგეტებისა, რომელნიც გაჰკივიან წვრილ ერთა გამოყოფის თავისუფლების უტოპიურობისა და განუხორციელებლობის შესახებ და არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური კონცენტრაციის პროგრესულობის შესახებ, — დაეცვა პროგრესულობა ამ კონცენტრაციისა ა რ ა იმპერიალისტურად, დაეცვა ერთა დაახლოება არა ძალმომრეობის, არამედ ყველა ქვეყნის პროლეტართა თავისუფალი კავშირის ნიადაგზე. მხოლოდ ასე შეეძლო მარქსს ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის სიტყვიერი, და ხშირად თვალთმაქცური, აღიარებისათვის დაეპირისპირებინა მასების რევოლუციური მოქმედება ნაციონალურ საკითხთა გადაწყვეტის დ ა რ გ შ ი ც. 1914 — 1916 წწ. იმპერიალისტურმა ომმა და მის მიერ გამოაშკარავებულმა ოპორტუნისტთა და კაუცკელთა თვალთმაქცობის ავგიოსის თავლამ თვალნათლივ დაადასტურა სისწორე მარქსის ამ პოლიტიკისა, რომელიც ყველა მოწინავე ქვეყნისათვის ნიმუშად უნდა გადაიქცეს, ვინაიდან დღეს ყოველი მათგანი ჩაგრავს სხვა ერებს *.

---

* ხშირად მიუთითებენ, — მაგალითად, უკანასკნელ ხანებში გერმანელი შოვინისტი ლენჩი «Die Glocke»-ს [54] მე-8 და მე-9 ნომრებში, — იმაზე, რომ მარქსის უარყოფითი დამოკიდებულება ზოგიერთი ხალხის, ვთქვათ, ჩეხების ნაციონალური მოძრაობისადმი 1848 წელს, უარყოფს მარქსიზმის თვალსაზრისით ერთა თვითგამორკვევის აღიარების აუცილებლობას. მაგრამ ეს მართალი არაა, რადგან 1848 წელს იყო ისტორიული და პოლიტიკური საფუძველი «რეაქციული» და რევოლუციურ-დემოკრატიული ერების ერთიმეორისაგან გასარჩევად. მარქსი მართალი იყო, როდესაც პირველთ გმობდა, ხოლო მეორეთ მხარს უჭერდა [55]. თვითგამორკვევის უფლება დემოკრატიის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომელიც, ბუნებრივია, დემოკრატიის საერთო ინტერესებს უნდა დაეუმორჩილოთ. 1848 წ. და შემდეგ

6. ქვეყნების სამი ტიპი ერთა თვითგამორკვევის თვალსაზრისით

ამ მხრივ უნდა განვასხვაოთ ქვეყნების სამი უმთავრესი ტიპი:

პირველი, დასავლეთ ევროპის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები და შეერთებული შტატები. ბურჟუაზიულ-პროგრესული ნაციონალური მოძრაობა აქ დიდი ხანია დამთავრებულია. თვითეული ამ «დიდ» ერთაგანი ჩაგრავს სხვა ერებს კოლონიებში და თავისი ქვეყნის შიგნით. გაბატონებულ ერთა პროლეტარიატის ამოცანები აქ სწორედ ისეთივეა, როგორიც იყო მისი ამოცანები XIX საუკუნეში ინგლისში ირლანდიის მიმართ *.

მეორე, ევროპის აღმოსავლეთი: ავსტრია, ბალკანეთი და განსაკუთრებით რუსეთი. აქ სწორედ XX საუკუნემ განსაკუთრებით განავითარა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალური მოძრაობა და გაამწვავა ნაციონალური ბრძოლა. ამ ქვეყნების პროლეტარიატის ამოცანები, როგორც ხსენებული

წლებშიც ამ საერთო ინტერესებს უწინარეს ყოვლისა ცარიზმთან ბრძოლა წარმოადგენდა.

* ზოგიერთ პატარა სახელმწიფოში, რომელნიც 1914—1916 წწ. ომისაგან განზე დარჩნენ, მაგალითად, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, ბურჟუაზია გაძლიერებით იყენებს «ერთა თვითგამორკვევის» ლოზუნგს იმპერიალისტურ ომში მონაწილეობის მიღების გასამართლებლად. ეს არის ერთ-ერთი მოტივი, რომელიც ბიძგს აძლევს ასეთი ქვეყნების სოციალ-დემოკრატიას უარყოს თვითგამორკვევა. სწორ პროლეტარულ პოლიტიკას, სახელდობრ: იმპერიალისტურ ომში «სამშობლოს დაცვის» უარყოფას, უმართებულო საბუთებით იცავენ. აქედან წარმოდგება თეორიაში მარქსიზმის დამახინჯება, სინამდვილეში კი თავისებური წვრილ-ნაციონალური შეზღუდულობა, დავიწყება ერების იმ ასობით მილიონი მოსახლეობისა, რომელიც «დიდმპყრობელი» ერების მიერაა დამონებული. ამხ. გორტერი თავის შესანიშნავ ბროშურაში: «იმპერიალიზმი, ომი და სოციალ-დემოკრატია» უმართებულოდ უარყოფს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, მაგრამ მართებულად იყენებს მას, როდესაც დაუყოვნებლივ მოითხოვს ჰოლანდიის ინდოეთის «პოლიტიკურ და ეროვნულ დამოუკიდებლობას» და ამხელს ჰოლანდიელ ოპორტუნისტებს, რომელნიც უარს ამბობენ ასეთი მოთხოვნა წამოაყენონ და მისთვის იბრძოლონ.

ქვეყნების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნის დასრულების, ისე სხვა ქვეყნების სოციალისტური რევოლუციისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, ვერ განხორციელდება, თუ არ იქნა დაცული ერთა თვითგამორკვევის უფლება. განსაკუთრებით ძნელი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ ჩაგრულ და მჩაგვრელ ერთა მუშების კლასობრივი ბრძოლის შეერთების ამოცანა.

მესამე, ნახევრადკოლონიური ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, სპარსეთი, თურქეთი, და ყველა კოლონია, ერთად 1 000 მილიონამდე მოსახლეობით. ამ ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობა ზოგან ეს-ესაა იწყება, ზოგან დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია. სოციალისტებმა არა მარტო უნდა მოითხოვონ კოლონიების განთავისუფლება ყოველგვარი პირობების გარეშე, გამოსყიდვის გარეშე და დაუყოვნებლივ, — ეს მოთხოვნა კი, თავისი პოლიტიკური გამოხატულებით, სხვა არაფერია, თუ არ სწორედ თვითგამორკვევის უფლების აღიარება; სოციალისტებმა უაღრესად მედგრად უნდა დაუჭირონ მხარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ყველაზე რევოლუციურ ელემენტებს ამ ქვეყნებში და ხელი უნდა შეუწყონ მათ აჯანყებას, — ხოლო თუ საჭირო იქნება, მათ რევოლუციურ ომსაც, — მათი მჩაგვრელი იმპერიალისტური სახელმწიფოების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

7. სოციალ-შოვინიზმი და ერთა თვითგამორკვევა

იმპერიალისტურმა ეპოქამ და 1914 — 1916 წწ. ომმა განსაკუთრებით წამოაყენა მოწინავე ქვეყნებში შოვინიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. ერთა თვითგამორკვევის საკითხში არსებობს ორი მთავარი ნაირსახეობა სოციალ-შოვინისტებს შორის, ე. ი. ოპორტუნისტებსა და კაუცკელებს შორის, რომლებიც იმპერიალისტურ, რეაქციულ ომს ფარავენ მის მიმართ «სამშობლოს დაცვის» ცნების გამოყენებით.

ერთი მხრით, ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიის საკმაოდ აშკარა მსახურთ, რომელნიც იცავენ ანექსიას იმიტომ, რომ იმპერიალიზმი და პოლიტიკური კონცენტრაცია პროგრესული მოვლენაა, და უარყოფენ თვითგამორკვევის ვითომდა უტოპიურ, მოჩვენებითს, წვრილბურჟუაზიულ და სხვ. უფლებას. ასეთებს ეკუთვნიან: კუნოვი, პარვუსი და უკიდურესი ოპორტუნისტები გერმანიაში, ფაბიანელებისა და ტრედ-უნიონისტთა ბელადების ნაწილი ინგლისში, ოპორტუნისტები რუსეთში: სემკოვსკი, ლიბმანი, იურკევიჩი და სხვ.

მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ კაუცკელებს, რომელთაც ეკუთვნიან აგრეთვე ვანდერველდე, რენოდელი და ინგლისის, საფრანგეთისა და სხვ. მრავალი პაციფისტი. ესენი პირველებთან ერთიანობის მომხრენი არიან და სინამდვილეში სავსებით ეთანხმებიან მათ, იცავენ რა თვითგამორკვევის უფლებას მხოლოდ სიტყვიერად და თვალთმაქცურად: მათ «გადაჭარბებულად» («zu viel verlangt»: Kautsky «Neue Zeit»-ში * 1915 წ. 21 მაისს) მიაჩნიათ პოლიტიკური გამოყოფის თავისუფლების მოთხოვნა, ისინი კი არ იცავენ სწორედ მჩაგვრელ ერთა სოციალისტების რევოლუციური ტაქტიკის აუცილებლობას, არამედ, პირიქით, აფუჩეჩებენ მათს რევოლუციურ მოვალეობებს, ამართლებენ მათს ოპორტუნიზმს, უადვილებენ მათ ხალხის მოტყუებას, გვერდს უვლიან სწორედ იმ სახელმწიფოს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ს საკითხს, რომელიც ძალით ინარჩუნებს თავის შემადგენლობაში არასრულუფლებიან ერებს, და სხვ.

ერთნიცა და მეორენიც — ერთნაირად ოპორტუნისტები არიან; ისინი რყვნიან მარქსიზმს; მათ დაუკარგავთ ყოველგვარი უნარი გაიგონ თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული აუცილებელი საჭიროება მარქსის ტაქტიკისა, რომელიც მან ირლანდიის მაგალითით განმარტა.

რაც შეეხება კერძოდ ანექსიებს, მათი საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ომთან დაკავშირებით. მაგრამ რა

* — კაუცკი «ახალ დროებაში». რ ე დ.

არის ანექსია? ადვილია იმაში დარწმუნება, რომ ანექსიათა საწინააღმდეგო პროტესტი შეიცავს ან ერთა თვითგამორკვევის აღიარებას, ან იგი ემყარება პაციფისტურ ფრაზას, რომელიც იცავს status quo-ს და წინააღმდეგია ყოველგვარი, თუნდაც რევოლუციური, ძალდატანებისა. ასეთი ფრაზა ძირფესვიანად ყალბია და მარქსიზმთან შეურიგებელი.

8. პროლეტარიატის კონკრეტული ამოცანები უახლოესი მომავლისათვის

სოციალისტური რევოლუცია შესაძლებელია დაიწყოს სულ ახლო მომავალში. პროლეტარიატის წინაშე ამ შემთხვევაში დაისმება ძალაუფლების დაპყრობის, ბანკების ექსპროპრიაციისა და სხვა დიქტატორულ ღონისძიებათა განხორციელების დაუყოვნებლივი ამოცანა. ბურჟუაზია — და განსაკუთრებით ფაბიანელებისა და კაუცკელების ტიპის ინტელიგენცია — ასეთ მომენტში შეეცდება დაქსაქსოს და შეაფერხოს რევოლუცია, თავს მოახვიოს მას შეზღუდული, დემოკრატიული მიზნები. თუ ყველა წმინდა დემოკრატიულ მოთხოვნას შეუძლია გარკვეული აზრით რევოლუციის დამაბრკოლებელი როლი შეასრულოს, როდესაც უკვე დაწყებულია პროლეტარების იერიში ბურჟუაზიის ძალაუფლების საფუძველთა წინააღმდეგ, მაშინ ყველა ჩაგრული ხალხის თავისუფლების გამოცხადებისა და განხორციელების (ე. ი. მათი თვითგამორკვევის უფლების განხორციელების). აუცილებლობა ისევე საარსებო საკითხი იქნება სოციალისტური რევოლუციის დროს, როგორც საარსებო იყო იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის, მაგალითად, გერმანიაში 1848 წელს ან რუსეთში 1905 წ.

მაგრამ, შესაძლოა, სოციალისტური რევოლუციის დაწყებამდე განვლოს 5, 10 წელიწადმა ან უფრო მეტმაც. დღის წესრიგში იქნება მასების რევოლუციური აღზრდა ისეთი სულისკვეთებით, რომ შეუძლებელი იყოს სოციალისტური შოვინისტები და ოპორტუნისტები მუშათა პარტიას ეკუთვნო-

დნენ და შეუძლებელი გახდეს მათი გამარჯვება, როგორც ეს მოხდა 1914 — 1916 წლებში. სოციალისტებმა უნდა განუმარტონ მასებს, რომ ინგლისის სოციალისტები, რომელნიც არ მოითხოვენ კოლონიებისა და ირლანდიის გამოყოფის თავისუფლებას, — გერმანიის სოციალისტები, რომელნიც არ მოითხოვენ კოლონიების, ელზასელების, დანიელების, პოლონელების გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც უშუალო რევოლუციური პროპაგანდა და რევოლუციური მასობრივი მოქმედება არ გადააქვთ ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დარგშიც, რომელნიც ისეთ ინციდენტებს, როგორიცაა ცაბერნის ინციდენტი, არ იყენებენ მჩაგვრელი ერის პროლეტარიატში უაღრესად ფართო არალეგალური პროპაგანდისათვის, ქუჩის დემონსტრაციებისა და რევოლუციური მასობრივი გამოსვლებისათვის, — რუსი სოციალისტები, რომელნიც არ მოითხოვენ ფინეთის, პოლონეთის, უკრაინისა და სხვ. გამოყოფის თავისუფლებას და ა. შ., — რომ ასეთი სოციალისტები იქცევიან როგორც შოვინისტები, როგორც სისხლითა და ტალახით მოთხვრილი იმპერიალისტური მონარქიებისა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ლაქიები.

9. რუსეთისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის და II ინტერნაციონალის დამოკიდებულება თვითგამორკვევისადმი

რუსეთის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებსა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატებს შორის უთანხმოება თვითგამორკვევის საკითხის გარშემო გამოაშკარავდა ჯერ კიდევ 1903 წ., ყრილობაზე, რომელმაც მიიღო რსდმ პარტიის პროგრამა და, რომელმაც, მიუხედავად პოლონეთის სოციალ-დემოკრატების დელეგაციის პროტესტისა, ამ პროგრამაში შეიტანა § 9, სადაც აღიარებულია ერთა თვითგამორკვევის უფლება. მას შემდეგ პოლონელ სოციალ-დემოკრატებს არც ერთხელ არ გაუმეორებიათ, თავიანთი პარტიის სახელით, წინადადება ჩვენი პარტიის პროგრამიდან მე-9 პარაგრაფის

ამოღების ან მისი სხვა რაიმე ფორმულირებით შეცვლის შესახებ.

რუსეთში, სადაც ჩაგრულ ერებს მიეკუთვნება მოსახლეობის არა ნაკლებ 57%, 100 მილიონზე მეტი, — სადაც ეს ერები უმთავრესად განაპირა მხარეებში ცხოვრობენ, — სადაც ამ ერთა ნაწილი უფრო კულტურულია, ვიდრე ველიკოროსები, — სადაც პოლიტიკური წყობილება განსაკუთრებით ბარბაროსული და შუასაუკუნეობრივი ხასიათით განირჩევა, — სადაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჯერ კიდევ დამთავრებული არაა, — რუსეთში ცარიზმის მიერ ჩაგრული ერების რუსეთისაგან თავისუფალი გამოყოფის უფლების აღიარება უეჭველად სავალდებულოა სოციალ-დემოკრატებისათვის მათი დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების გულისათვის. ჩვენმა პარტიამ, აღდგენილმა 1912 წ. იანვარში, 1913 წ. მიიღო რეზოლუცია [56], რომელიც ადასტურებს თვითგამორკვევის უფლებას და განმარტავს მას სწორედ მისი ზემოთ აღნიშნული კონკრეტული მნიშვნელობით. 1914 — 1916 წწ. ველიკოროსული შოვინიზმის თარეში როგორც ბურჟუაზიაში, ისე ოპორტუნისტ სოციალისტებს (რუბანოვიჩი, პლეხანოვი, «ნაშე დელო» და სხვ.) შორის კიდევ უფრო გვაიძულებს დაჟინებით დავიცვათ ეს მოთხოვნა და ვაღიაროთ, რომ ვინც მას უარყოფს პრაქტიკაში, იგი ველიკოროსულ შოვინიზმსა და ცარიზმს ეხმარება. ჩვენი პარტია აცხადებს, რომ იგი უაღრესად გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამგვარი გამოსვლისათვის თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ.

ნაციონალურ საკითხზე პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის პოზიციის უახლეს ფორმულირებაში (პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის დეკლარაცია ციმერვალდის კონფერენციაზე) გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებანი:

ეს დეკლარაცია სამარცხვინო ბოძზე აკრავს გერმანიისა და სხვა მთავრობებს, რომელნიც «პოლონეთის ოლქებს» უცქერიან როგორც საწინდარს კომპენსაციებით მომავალ თამაშში და «პ ო ლ ო ნ ე ლ ხ ა ლ ხ ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ობ ს ა ს ა რ თ-

მ ე ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ო ს თ ა ვ ი ს ი ბ ე-
დ ი». «პოლონეთის სოციალ-დემოკრატია გადაჭრით და საჯაროდ აცხადებს პროტესტს მ თ ლ ი ა ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს დ ა-
ქ უ ც მ ა ც ე ბ ი ს ა დ ა დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს წინააღმდეგ»... დეკლარაცია ამათრახებს იმ სოციალისტებს, რომლებმაც «ჩ ა გ რ უ ლ ხ ა ლ ხ თ ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს საქმე» ჩააბარეს... ჰოჰენცოლერნებს. დეკლარაციაში გამოთქმულია რწმენა, რომ მხოლოდ რევოლუციური საერთაშორისო პროლეტარიატის მონაწილეობა ამ მოახლოვებულ ბრძოლაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში, «დ ა ა მ ს ხ ვ რ ე ვ ს ნ ა-
ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ჩ ა გ ვ რ ი ს ხ უ ნ დ ე ბ ს და მოსპობს უ ც ხ ო ე ლ თ ა ბ ატონობის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ფ ო რ მ ე ბ ს, უზრუნველყოფს პ ო ლ ო ნ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ა თ ვ ი ს შესაძლებლობას ყოველმხრივ თავისუფლად ვითარდებოდეს როგორც ხალხთა კავშირის თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ი წევრი». დეკლარაციას ომი «პ ო ლ ო ნ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს» «ო რ მ ა გ ა დ ძმათსაჟლეტ ომად» მიაჩნია. (ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბიულეტენი, ნომერი 2, 27. IX. 1915, გვ. 15; რუსული თარგმანია კრებულში «ინტერნაციონალი და ომი», გვ. 97).

ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებისაგან ეს დებულებანი არსებითად არაფრით არ განირჩევიან, ოღონდ ისინი პოლიტიკურ ფორმულირებათა კიდევ უფრო მეტ ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას შეიცავენ, ვიდრე II ინტერნაციონალის პროგრამათა და რეზოლუციათა უმეტესობა. ყოველი ცდა, რათა ეს აზრები გამოითქვას ზუსტი პოლიტიკური ფორმულირებებით და განისაზღვროს მათი გამოსადეგობა კაპიტალისტური ან მხოლოდ სოციალისტური წყობილებისათვის, კიდევ უფრო ნათლად დაგვანახვებს პოლონეთის სოციალ-დემოკრატების მხრივ ერთა თვითგამორკვევის უარყოფის მცდარობას.

ლონდონის 1896 წლის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის გადაწყვეტილებას, რომელიც აღიარებს ერთა თვითგამორკვევას, ზემოთ გადმოცემული თეზისების საფუ-

ძველზე, უნდა დაემატოს მითითებანი: 1) რომ ეს მოთხოვნა იმპერიალიზმის დროს განსაკუთრებით არსებითია; 2) რომ პოლიტიკური დემოკრატიის ყველა მოთხოვნა, მათ შორის ეს მოთხოვნაც, პოლიტიკურად პირობითია და მათ კლასობრივი შინაარსი აქვს; 3) რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მჩაგვრელ ერთა სოციალ-დემოკრატებისა და ჩაგრულ ერთა სოციალ-დემოკრატების კონკრეტული ამოცანები; 4) რომ ოპორტუნისტები და კაუცკელები თვითგამორკვევას არათანამიმდევრულად, მხოლოდ სიტყვიერად აღიარებენ და ამიტომ ეს აღიარება, თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით, თვალთმაქცობას წარმოადგენს; 5) რომ ფაქტიურად ერთი და იგივენი არიან შოვინისტები და ის სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით დიდმპყრობელ ერთა სოციალ-დემოკრატები (ველიკოროსები, ინგლისელ-ამერიკელები, გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, იაპონელები და სხვ.), რომელნიც არ იცავენ «მათი» ერების მიერ ჩაგრული კოლონიებისა და ერების გამოყოფის თავისუფლებას; 6) რომ ამ მოთხოვნისათვის ბრძოლა, ისე როგორც პოლიტიკური დემოკრატიის ყველა ძირითადი მოთხოვნისათვის ბრძოლა, აუცილებლად უნდა დაემორჩილოს უშუალო რევოლუციურ მასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიულ მთავრობათა დასამხობად და სოციალიზმის განსახორციელებლად.

ზოგიერთი პატარა ერის და განსაკუთრებით პოლონეთის სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისის გადატანა ინტერნაციონალზე, — იმ სოციალ-დემოკრატებისა, რომელნიც პოლონეთის ბურჟუაზიის მიერ ხალხის მოსატყუებლად წამოყენებულ ნაციონალისტურ ლოზუნგებთან ბრძოლამ მიიყვანა თვითგამორკვევის მცდარ უარყოფამდე, — იქნებოდა თეორიული შეცდომა, მარქსიზმის პრუდონიზმით შეცვლა, ხოლო პრაქტიკულად კი — დიდმპყრობელ ერთა ყველაზე საშიში შოვინიზმისა და ოპორტუნიზმისათვის უნებლიეთ მხარდაჭერა.

რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს—
«სოციალ-დემოკრატის» რედაქცია

პოსტსკრიპტუმი. სულ ახლახან გამოსულ «Neue Zeit»-ის 1916 წლის 3 მარტის ნომერში კაუცკი აშკარად უწვდის ქრისტიანულ ხელს შესარიგებლად ყველაზე ბინძური გერმანული შოვინიზმის წარმომადგენელს, აუსტერლიცს; კაუცკი უარყოფს ჩაგრულ ერთა გამოყოფის თავისუფლებას ჰაბსბურგების ავსტრიისათვის, მაგრამ ამ თავისუფლებას აღიარებს რუსეთის პოლონეთისათვის, რათა ამით ლაქიური სამსახური გაუწიოს ჰინდენბურგსა და ვილჰელმ მეორეს. კაუცკელობის ამაზე უკეთეს თვითმხილებას ძნელად თუ ისურვებდა კაცი.

დაწერილია 1916 წ. იანვარ-თებერვალში

დაიბეჭდა 1916 წ. აპრილში
ჟურნალში «Vorbote» № 2

რუსულ ენაზე დაიბეჭდა
1916 წ. ოქტომბერში «სბორნიკ
სოციალ-დემოკრატას» № 1-ში

იბეჭდება «სბორნიკის»
ტექსტის მიხედვით

საზღვარგარეთის ორგანიზაციების კომიტეტის წერილი რსდმ პარტიის სექციებისადმი

პატივცემულო ამხანაგებო! პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ოპოზიციის ორგანოს — «გაზეტა რობოტნიჩას» [57] ამას წინათ გამოსულ 25-ე (ომის განმავლობაში მეორე) ნომერში მოთავსებულია მათი თათბირის (რედაქტორთა კოლეგიის თათბირის) რეზოლუციები, რომლებიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1915 წლის ივნისში.

ეს რეზოლუციები ნათლად გვიჩვენებენ, რომ, როგორც ორგანიზაცია (ჩვენ არ ვლაპარაკობთ მის ცალკეულ წევრებზე, რომელთაგან ზოგიერთები მეტად სასარგებლო მუშაობას ეწევიან გერმანულ ს.-დ. პრესაში), პსდ კვლავ მერყეობს და სრულ უხასიათობას იჩენს.

არც ერთი სიტყვა კაუცკელობის წინააღმდეგ, არც ერთი სიტყვა ოპორტუნიზმთან, როგორც სოციალ-შოვინიზმის წყაროსთან და **დასაყრდენთან** გარკვეული და გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ!! ამის ნამდვილი აზრი ერთი და მხოლოდ ერთია: მზადყოფნა იმისათვის, რომ კვლავ (როგორც ბრიუსელში 3/16. VII. 1914 [58]) დაიწყონ «თამაში» კაუცკელებთან.

მთავარი (IV) რეზოლუცია კი ჩვენ მთლიანად მოგვყავს. აი მისი ტექსტი:

P. S. D.-ის * (ოპოზიციის) «გაზეტა რობოტნიჩა» № 25

* — პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის. რედ.

(იანვარი, 1916). «რეზოლუციები სარედაქციო კოლეგიის თათბირისა, რომელიც შედგა 1915 წ. 1—2 ივნისს».

... IV. **პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება რსდმ პარტიისადმი** *.

«რუსეთში პოლონეთის რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები ისეთ კოლექტივად, რომელიც შედგება ყველაზე უფრო მტკიცე რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური ელემენტებისაგან, თვლიან რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და, ანდობენ რა სამხარეო ორგანიზაციას მომავალში მოაგვაროს ორგანიზაციული ურთიერთობა მასთან, პოლიტიკურად მხარს დაუჭერენ ცენტრალურ კომიტეტს და მოახდენენ თავისი საქმიანობის კოორდინირებას მასთან.

პოლონეთის სოციალ-დემოკრატებისა და ცენტრალური კომიტეტის რევოლუციური პოზიციის ერთობა მათი პოლიტიკის მთავარ არსებით (wytycznych [**განსაზღვრულ?**]) პუნქტებში, ავალებს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიას წინანდებურად კრიტიკულად მოეპყროს მისი ტაქტიკის უეჭველ გაზვიადებას (wybujałości [**პურეულის «უჩვეულო» ზრდა და სხვ.**]).

მართებულად სურს რა ხაზი გაუსვას პროლეტარიატის უთუოდ მტრულ დამოკიდებულებას ცარიზმის **მტაცებლური** პოლიტიკისადმი, ცენტრალური კომიტეტი აყენებს **რუსეთის დამარცხების** ლოზუნგს, რომელსაც აფუძნებს ევროპაში ცარიზმის განსაკუთრებით რეაქციულ როლზე და რუსეთის რევოლუციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. მაგრამ, ამრიგად, ცენტრალური კომიტეტი წინააღმდეგობაში ვარდება ინტერნაციონალიზმის მეთოდის მიმართ, რომელიც ნებას არ იძლევა პროლეტარიატის იმედები და ამოცანები დავუკავშიროთ ომის ამა თუ იმ შედეგით დამთავრებას, და საბუთებსაც კი აძლევს გერმანელ სოციალ-პატრიოტებს.

---

* — «გაზეტა რობოტნიჩას» რეზოლუციის თარგმანი შესრულებულია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ. ის ადგილები, რომლებიც აქ აწყობილია შავი შრიფტით, წარმოადგენს დამატებებსა და შესწორებებს, რომლებიც პოლონურიდან თარგმნილ ტექსტში შეტანილია ვ. ი. ლენინის მიერ. **რედ.**

ცენტრალური კომიტეტი მართებულად აღნიშნავს, რომ ახალი ინტერნაციონალის ასაგებად საჭიროა რევოლუციური აქცია, მართებულად ილაშქრებს კონფლიქტის **მიჩქმალვის**, ძველი დანგრეული ინტერნაციონალის ხელახლა შეკოწიწების ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ, მაგრამ იგი გადაჭარბებით აფასებს ყველა იმ ნაკლებად მტკიცე ელემენტებისაგან თავისი მექანიკური გამიჯვნის როლს, რომლებიც a priori * არ დგანან მის თვალსაზრისზე, და **ივიწყებს (przeocza)**, რომ რევოლუციური **ბანაკის (obozu)**, ამოცანა უნდა იყოს ამ ელემენტების არა უკუგდება, არამედ მათი ჩაბმა სოციალ-პატრიოტიზმის **შარლატანობასთან (მატყუარობასთან)** (s zalbierstwem) ბრძოლაში და მათი რადიკალიზაციის პროცესისათვის ხელის შეწყობა მათი იდეური მერყეობის მკვეთრი კრიტიკის მეშვეობით.

რაც შეეხება (რსდმ პარტიის) ორგანიზაციულ კომიტეტს. **თათბირი (narada) ადასტურებს** იმას, რომ მისი ჰთავარი **ჯგუფი**, რომელიც რუსეთში იმყოფება, ასევე **ლიტერატურული წარმომადგენელიც** (ekspozytura literacka) სოციალ-პატრიოტიზმის თვალსაზრისზე დგას, რომ მის სუსტ ინტერნაციონალისტურ ფრთას არ ყოფნის ძალა და გამბედაობა კავშირი გაწყვიტოს სოციალ-პატრიოტებთან, რომ ორგანიზაციული კომიტეტის ცენტრი პაციფისტურ თვალსაზრისზე დგას; **თათბირი** თვლის, რომ პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ორგანიზაციული კომიტეტისადმი შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ მისი პოზიციის კრიტიკაში, მისი დაშლისათვის (rozklabu) ხელის შეწყობაში და ორგანიზაციული კომიტეტისაგან **მისი** იმ ინტერნაციონალისტური **ელემენტების** ჩამოშორებაში, რომლებიც დაჯგუფებული არიან «ნაშე სლოვოს» ირგვლივ, იმ ორგანოს გარშემო, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ინტერნაციონალისტურ-რევოლუციურ შეხედულებათა შემუშავებისათვის (კრისტალიზაციისათვის) რსდმ პარტიაში.

* — წინასწარ, თავიდანვე. **რედ.**

იგივე შეეხება კერძოდ მის (ორგანიზაციული კომიტეტის) შემადგენლობაში შემავალ ბუნდსაც, რომლის პოზიცია წარმოადგენს სოციალ-პატრიოტული და პაციფისტური, რუსოფილური და გერმანოფილური ელემენტების კიდევ უფრო ქაოსურ ნარევს».

პოლონეთის სოციალ-დემოკრატები აქ ამბობენ, რომ მათ უნდათ თავიანთი საქმიანობის «კოორდინირება» ცენტრალურ კომიტეტთან.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი უდავო მოვალეობაა ვუთხრათ ცენტრალურ კომიტეტს: ცენტრალურმა კომიტეტმა არ უნდა მოახდინოს და მას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა მოახდინოს თავისი საქმიანობის «კოორდინირება» პსდ-სთან.

რატომ?

იმიტომ, რომ პსდ კვლავ და კვლავ, 1 001-ჯერ, **მერყეობს** (ანუ, რაც ობიექტურად ერთი და იგივეა, ეწევა თამაშს) ჩვენი პარტიის ძ ი რ ი თ ა დ საკითხში. ეჭვი არ არის, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ძირითადი საკითხი რუსეთში ამჟამად გ ა თ ი შ ვ ი ს საკითხია.

ჩვენ შეურიგებელნი ვართ ამ საკითხში, რადგან რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მ თ ე ლ მ ა გამოცდილებამ, განსაკუთრებით 1903 — 1909 წლებმა, კიდევ უფრო მეტად 1910 — 1914 და სულ უფრო მეტად 1915 — 1916 წლებმა დ ა გ ვ ა რ წ მ უ ნ ე ს იმაში, რომ ორგანიზაციულ კომიტეტთან (ანუ, რაც იგივეა, ჩხეიძის ფრაქციასთან) ერთიანობა ს ა ზ ი ა ნ ო ა მუშათა მოძრაობისათვის და უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს მის დამორჩილებას ბურჟუაზიისადმი.

ომმა და «გვოზდეველობამ»[59] საბოლოოდ დაადასტურეს ეს.

და სწორედ ამ, მთავარ, ძირითად საკითხში პოლონეთის სოციალ-დემოკრატები კვლავ და კვლავ მ ე ლ ა კ უ დ ო ბ ე ნ.

იმის შესახებ, რომ ომმა ისინი დაარწმუნა გათიშვის აუცილებლობაში და ბრიუსელის მათი ტაქტიკის (3/16. VII. 1914) **მცდარობაში**, ისინი **კრინტსაც** არ ძრავენ.

პირიქით, მათ რეზოლუციაში შეიტანეს ფ რ ა ზ ა, რომელიც სწორედ რომ სპეციალურად შეთხზულია ორგანიზაციული კომიტეტის ანუ ჩხეიძის მხარეზე ახალი «ბრიუსელური» გადაბარგების გასამართლებლად და განსახორციელებლად. ეს ფრაზაა:

... «ცენტრალური კომიტეტი... გადაჭარბებით აფასებს... მექანიკური გამიჯვნის როლს»...

ეს არის მთავარი. ყოველივე დანარჩენი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. თუ ცენტრალური კომიტეტი «გადაჭარბებით აფასებს» გათიშვის აუცილებლობას, მაშინ ცხადია, რომ პსდ-ს უფლება აქვს ხვალ ან ზეგ კ ვ ლ ა ვ ხმა მისცეს «ერთიანობის» ახალ ბრიუსელურ-კაუცკურ რეზოლუციას.

ეს ისევ ის ძველებური ტიშკოელობაა[60], ძველი თამაშია ცენტრალურ კომიტეტსა და ორგანიზაციულ კომიტეტს შორის, ძველებური ეკლექტიკური (რბილად რომ ვთქვათ) გამოყენებაა ქანქარას პოზიციისა.

ჩვენ სრულიადაც არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ პსდ-სთან ე რ თ ა დ ვ ი მ უ შ ა ო თ როგორც საზოგადოდ, ისე ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში; ჩვენ არ ვიცავთ ჩვენი რეზოლუციების თვითეულ ა ს ო ს; მაგრამ (1) რ უ ს ე თ შ ი გ ა თ ი შ ვ ი ს ა და (2) ევროპაში კაუცკელობისადმი შეურიგებლობის საკითხში **ჩვენ შეურიგებელნი ვართ.** ჩვენს მოვალეობად ვთვლით გავაფრთხილოთ ყველა ამხანაგი პოლონეთის სოციალ-დემოკრატების ა რ ა ს ა ი მ ე დ ო ბ ი ს შესახებ და დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ ცენტრალური კომიტეტი კვლავ არ გაიტაცოს «ბრიუსელის» ექსპერიმენტების განმეორებამ, არ გამოიჩინოს ნდობა ამ ექსპერიმენტების ავტორებისა და მონაწილეებისადმი.

ამხანაგური სალამით სოკ

დაწერილია 1916 წ.
თებერვალ-მარტში

პირველად დაიბეჭდა 1937 წ.
ლენინის კრებულში, XXX

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«საზავო პროგრამის» შესახებ

«ციმერვალდელთა»[1] მეორე საერთაშორისო კონფერენციის დღის წესრიგში დასმულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული «საზავო პროგრამის» საკითხი. იმისათვის, რომ ახლავე გავაცნოთ მკითხველს ამ საკითხის ნამდვილი დ ე დ ა ა რ ს ი, მოვიყვანთ II ინტერნაციონალის ფრიად ავტორიტეტული წარმომადგენლისა და ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტების ფრიად ავტორიტეტული დამცველის, კაუცკის სათანადო განცხადებას.

«ინტერნაციონალი ეხ არის ომის დროისათვის გამოსადეგი იარაღი; იგი, არსებითად, ზავის იარაღია... ბრძოლა ზავისათვის, კლასობრივი ბრძოლა მშვიდობის დროს» («Neue Zeit» *, 27. XI. 1914). «ყველა საზავო პროგრამა, რომლებიც კი დღემდე ფორმულირებული იყო ინტერნაციონალის ფარგლებში, — კოპენჰაგენისა, ლონდონისა, ვენისა, — ყველა ისინი მოითხოვენ ერთა დამოუკიდებლობის აღიარებას, და სრულიად სამართლიანადაც. ეს მოთხოვნა ახლანდელ ომში ჩვენი კომპასი უნდა იყოს» (იქვე, 21. V. 1915).

ამ რამდენიმე სიტყვით საუცხოოდ არის გამოხატული სოციალ-შოვინისტების ინტერნაციონალური გაერთიანებისა და შერიგების «პროგრამა». ყველამ იცის, რომ ვენაში შეიკრიბნენ ზიუდეკუმის მეგობარნი და მომხრენი, რომელნიც

* — «ახალი დროება». რ ე დ.

სავსებით მის მსგავსად მოქმედებენ და «სამშობლოს დაცვის» სახით იცავენ გერმანიის იმპერიალიზმს. ხოლო ლონდონში შეიკრიბნენ ფრანგი, ინგლისელი, რუსი ზიუდეკუმები, რომელნიც იმავე საბაბით იცავენ «თავიანთ» ეროვნულ იმპერიალიზმს. როგორც ლონდონის, ისე ვენის სოციალ-შოვინიზმის გმირთა ნამდვილი პოლიტიკა — ესაა გამართლება იმპერიალისტურ ომში მონაწილეობისა, გამართლება ფრანგი მუშების მიერ გერმანელი მუშების და გერმანელი მუშების მიერ ფრანგი მუშების ხოცვა-ჟლეტისა იმისათვის, თუ რომელ ნაციონალურ ბურჟუაზიას უნდა ჰქონდეს უპირატესობა უცხო ქვეყნების ძარცვაში. და ამ ნამდვილი პოლიტიკის დასაფარავად, მუშების მოსატყუებლად ლონდონელ და ვენელ გმირებს სამსახურს უწევს ფ რ ა ზ ა, რომ ჩვენ «ვაღიარებთ» «ერთა დამოუკიდებლობას» ან, სხვა სიტყვებით, ვაღიარებთ ერთა თვითგამორკვევას, უარვყოფთ ანექსიებსო და სხვ. და სხვ.

დღესავით ნათელია, რომ ეს «აღიარება» აღმაშფოთებელი სიცრუეა, უსაზიზღრესი თვალთმაქცობაა, ვინაიდან იგი ამართლებს იმ ომში მონაწილეობას, რომელიც ო რ ი ვ ე მხრივ ერთა დამონებას და არა ერთა დამოუკიდებლობას ემსახურება. და აი, ავტორიტეტული კაუცკი იმის ნაცვლად, რომ ამხილოს, გამოააშკარაოს, სამარცხვინო ბოძზე გააკრას თვალთმაქცობა, ა კ უ რ თ ხ ე ბ ს მას. სოციალიზმის მოღალატე შოვინისტების ერთსულოვანი მისწრაფება მუშათა მოტყუებისადმი — კაუცკის ზავის საკითხში ინტერნაციონალის «ერთსულოვნებისა» და ცხოველმყოფელობის დამამტკიცებელ საბუთად მიაჩნია!!! ნაციონალურ, უხეშ, აშკარა, თვალში საცემ, მუშებისათვის ცხად თვალთმაქცობას კაუცკი აქცევს ინტერნაციონალურ, მოქნილ, ფარულ, მუშების თვალისამხვევ თვალთმაქცობად. კაუცკური პოლიტიკა ერთიასად უფრო მავნებელი და საშიშია მუშათა მოძრაობისათვის, ვიდრე ზიუდეკუმური პოლიტიკა, კაუცკური თვალთმაქცობა ერთიასად უფრო საზიზღარია.

და საქმე მარტო კაუცკი როდია, ვინაიდან, არსებითად, იმავე პოლიტიკას აწარმოებენ აქსელროდი, მარტოვი, ჩხეიძე

რუსეთში, ლონგე და პრესმანი საფრანგეთში, ტრევესი იტალიაში და სხვ.. ამ პოლიტიკის ობიექტური მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ხელს უწყობს ბურჟუაზიულ სიცრუეს მუშათა კლასში, ბურჟუაზიული იდეების გატარებას პროლეტარიატში. ერთი მხრით, ზიუდეკუმი, მეორე მხრით, პლეხანოვი რომ «თავისი» ერის კაპიტალისტთა ბურჟუაზიულ სიცრუეს იმეორებენ მხოლოდ, ეს ნათელია, მაგრამ ასევე ნათელი არაა ის, რომ კაუცკი ი მ ა ვ ე სიცრუეს აკურთხებს და «ერთსულოვანი» ინტერნაციონალის «უმაღლეს სიმართლედ» აცხადებს. ბურჟუაზიას კი სწორედ ის უნდა, რომ მუშებმა ზიუდეკუმები და პლეხანოვები ავტორიტეტულ, ერთსულოვან, მხოლოდ დროებით ჩამოშორებულ «სოციალისტებად» ჩათვალონ. ბურჟუაზიას სწორედ ის სწადია, რომ ზავის შესახებ წარმოთქმული თვალთმაქცური ფრაზებით, ცარიელი, არაფრის დამავალდებულებელი ფრაზებით, ჩ ა მ ო ა შ ო რ ო ს მუშები რევოლუციურ ბრძოლას ომის დროს, მიაძინოს ისინი, ანუგეშოს «უანექსიო ზავის», დემოკრატიული ზავის იმედით და სხვ. და ა. შ.

ჰიუისმანსმა მხოლოდ პოპულარული გახადა კაუცკის საზავო პროგრამა, როცა დაუმატა: სამედიატორო სასამართლოები, საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია და სხვ.. ხოლო სოციალისტური საზავო პროგრამის პირველი და ძირითადი მუხლი უნდა იყოს კაუცკის საზავო პროგრამის თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ო ბ ი ს მ ხ ი ლ ე ბ ა, იმ პროგრამისა, რომელიც ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს ბურჟუაზიულ გავლენას პროლეტარიატზე.

გავიხსენოთ სოციალისტური მოძღვრების ძირითადი ცნებანი, რომელთაც ამახინჯებენ კაუცკელები. ომი არის იგივ პოლიტიკის გაგრძელება ძალადობის საშუალებით, რომელსაც ომამდე დიდი ხნით ადრე აწარმოებდნენ მეომარ სახელმწიფოთა გაბატონებული კლასები. ზავი ი მ ა ვ ე პოლიტიკის გაგრძელებაა, მოწინააღმდეგეების ძალთა შეფარდების იმ ცვლილებების ჩ ა წ ე რ ი თ, რომელნიც საომარ მოქმედებას მოუხდენია. თავისთავად ომი კი არ ცვლის იმ მიმართულებას,

რომლითაც ვითარდებოდა პოლიტიკა ომამდე, არამედ მხოლოდ აჩქარებს ამ განვითარებას.

1870 — 1871 წლის ომი გაგრძელება იყო გერმანიის განთავისუფლებისა და გაერთიანების ბურჟუაზიულ-პროგრესული პოლიტიკისა (რომელიც ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა). ნაპოლეონ III-ის დამარცხებამ და მისმა დამხობამ დააჩქარა ეს განთავისუფლება. იმ ეპოქის სოციალისტების საზავო პროგრამა ანგარიშს უწევდა ამ პროგრესულ-ბურჟუაზიულ შედეგს, მხარს უჭერდა დემოკრატიულ ბურჟუაზიას: ნუ ძარცვავთ საფრანგეთს, საპატიო ზავი რესპუბლიკასთანო.

ერთი შეხედეთ, რა ოინბაზობაა ამ მაგალითის მონურად «განმეორების» ცდა 1914 — 1916 წწ. იმპერიალისტური ომის პირობებში! ეს ომი განაგრძობს იმ გადამწიფებული, რეაქციული ბურჟუაზიის პოლიტიკას, რომელიც მსოფლიოს ძარცვავდა, კოლონიებს იტაცებდა და სხვ.. ამ ომს, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ნიადაგზე, არ შეუძლია, ობიექტური მდგომარეობის გამო არ შეუძლია, გამოიწვიოს რაიმე დემოკრატიული «პროგრესი», იგი გამოიწვევს მხოლოდ საზოგადოდ ყოველგვარი ჩაგვრის, კერძოდ, ნაციონალური ჩაგვრის, გაძლიერებასა და გაფართოებას, — და ეს ასე მოხდება, რანაირადაც უნდა გათავდეს ომი.

იმ ომმა დააჩქარა განვითარება დემოკრატიული, ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულებით: ნაპოლეონ III-ის დამხობა, გერმანიის გაერთიანება. ეს ომი აჩქარებს განვითარებას მხოლოდ სოციალისტური რევოლუციისაკენ. მაშინ დემოკრატიული (ბურჟუაზიული) ზავის პროგრამას ობიექტური ისტორიული საფუძველი ჰქონდა. ახლა ასეთი საფუძველი არ არსებობს, და დემოკრატიულ ზავზე ლაყბობა ბურჟუაზიული მატყუარობაა, რომლის ობიექტური მნიშვნელობა მდგომარეობს მუშების ჩამოშორებაში სოციალიზმისათვის რევოლუციური ბრძოლისაგან! მაშინ დემოკრატიული ზავის პროგრამით სოციალისტები მხარს უჭერდნენ მასების უკვე არსებულ, ღრმა, ათეულ წლობით გამოვლინებულ დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ მოძრაობას

(ნაპოლეონ III-ის დასამხობად, გერმანიის გასაერთიანებლად). ა ხ ლ ა დემოკრატიული ზავის პროგრამით, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ნიადაგზე, სოციალისტები მხარს უჭერენ ხალხის მ ო ტ ყ უ ე ბ ა ს ბურჟუაზიის მიერ, რომელსაც სურს ჩამოაშოროს პროლეტარიატი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ურ რევოლუციას.

როგორც ფრაზებს «სამშობლოს დაცვის» შესახებ ყალბად შეაქვთ მასებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის იდეოლოგია, ისევე ფრაზები დემოკრატიული ზავის შესახებ ა რ ა-პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ზ ი თ აპარებენ იმავე ბურჟუაზიულ სიცრუეს!

«მაშასადამე, თქვენ არავითარი საზავო პროგრამა არა გქონიათ, მაშასადამე, თქვენ დემოკრატიულ მოთხოვნათა წინააღმდეგნი ხართ», — გვიპასუხებენ კაუცკელები, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან იმით, რომ უყურადღებო ადამიანები ვერ შეამჩნევენ არსებულ სოციალისტურ ამოცანათა იმ შეცვლას არარსებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანებით, რასაც ეს პასუხი შეიცავს.

ოჰ, არა, ბატონებო, — ვუპასუხებთ ჩვენ კაუცკელებს. — ჩვენ დემოკრატიულ მოთხოვნათა მ ო მ ხ რ ე ნ ი ვართ, მ ხ ო ლ ო დ ჩვენ ვიბრძვით მათთვის ა რ ა თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც უ რ ა დ, ვინაიდან ობიექტური ისტორიული მდგომარეობა ნებას არ გვაძლევს ისინი სოციალისტურ რევოლუციასთან დაუკავშირებლად წამოვაყენოთ. აიღეთ მაგალითისათვის ის «კომპასი», რომელიც კაუცკისა და კომპანიას სჭირდებათ, რათა ბურჟუაზიულად მოატყუონ მუშები.

ზიუდეკუმი და პლეხანოვი «ერთსულოვანნი» არიან «საზავო პროგრამაში»: ანექსიების წინააღმდეგ! ერთა დამოუკიდებლობისათვის! და წარმოიდგინეთ, ზიუდეკუმები მ ა რ თ ა ლ ნ ი ა რ ი ა ნ, როდესაც ამბობენ, რომ რუსეთის დამოკიდებულება პოლონეთისა, ფინეთისა და სხვებისადმი ანექსიონისტური დამოკიდებულებაა. მართალია პლეხანოვიც, როდესაც ამბობს, რომ ასეთივეა გერმანიის დამოკიდებულება ელზას-ლოტარინგიის, სერბიის, ბელგიის და სხვ. მიმართო,

ორივენი მართალნი არიან, არა? და კაუცკი «არიგებს» გერმანელ ზიუდეკუმს რუს ზიუდეკუმთან!!!

მაგრამ ყოველი გონიერი მუშა მაშინვე შეამჩნევს, რომ კაუცკიცა და ორივე ზიუდეკუმიც — თვალთმაქცები არიან. ეს ცხადია. იმისათვის, რომ სოციალისტი იყო, თვალთმაქცურ დემოკრატიზმს კი არ უნდა ურიგდებოდე, არამედ უნდა ამხილებდე მას. რანაირად უნდა ვამხილოთ იგი? სულ უბრალოდ: ერთა დამოუკიდებლობის «აღიარება» მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს არათვალთმაქცურად, როდესაც მჩაგვრელი ერის წარმომადგენელი ომამდეც და ომის დროსაც მოითხოვდა მისი საკუთარი «სამშობლოს» მიერ ჩაგრული ერის გამოყოფის თავისუფლებას.

მხოლოდ ასეთი მოთხოვნა შეესაბამება მარქსიზმს. მარქსი მას აყენებდა, გამომდინარე ბრიტანეთის პროლეტარიატის ინტერესებიდან, როცა ირლანდიის თავისუფლებას მოითხოვდა, ამასთან მას დასაშვებად მიაჩნდა ფედერაციის შესაძლებლობა გამოყოფის შემდეგ, ე. ი. იგი გამოყოფის თავისუფლებას მოითხოვდა არა დაქსაქსვისა და განცალკევებისათვის, არამედ უფრო მჭიდრო და უფრო დემოკრატიული კავშირისათვის. ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც არიან მჩაგვრელი და ჩაგრული ერები, როდესაც არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებანი, რომელნიც გამოყოფენ რევოლუციურ-დემოკრატიულ და რეაქციულ ერებს (ასეთი გარემოებანი იყო, მაგალითად, XIX საუკუნის 40-იან წლებში), — მარქსის პოლიტიკა ირლანდიის მიმართ პროლეტარული პოლიტიკის ნიმუშში უნდა გახდეს. იმპერიალიზმი კი სწორედ ის ეპოქაა, როცა არსებითი და ტიპიურია ერების დაყოფა მჩაგვრელებად და ჩაგრულებად, ხოლო რეაქციული და რევოლუციური ერების განსხვავება ევროპაში სრულიად შეუძლებელია.

ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ 1913 წელს თავის რეზოლუციაში ეროვნულ საკითხზე სავალდებულოდ გახადა სოციალ-დემოკრატებისათვის გამოეყენებინათ თვითგამორკვევის ცნება ზემოხსენებული გაგებით. და 1914 — 1916 წწ. ომმა სავსებით გაგვამართლა ჩვენ.

აიღეთ კაუცკის უკანასკნელი სტატია 1916 წ. 3 მარტის «Neue Zeit»-ში. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ეთანხმება ავსტრიის აშკარა და უკიდურეს გერმანელ შოვინისტს, ვენის შოვინისტური «მუშათა გაზეთის»[62] რედაქტორს, აუსტერლიცს, ეთანხმება იმაში, რომ არ უნდა «ავურიოთ ერთმანეთში ერის დამოუკიდებლობა და მისი სუვერენობა». სხვა სიტყვებით: ჩაგრული ერებისათვის «ეროვნებათა სახელმწიფოს» შიგნით ეროვნული ავტონომიაც კმარა, მათთვის სავალდებულო არ არის პოლიტიკური დამოუკიდებლობის თანასწორი უფლების მოთხოვნაო. და იქვე, იმავე სტატიაში, კაუცკი ამტკიცებს: შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ «რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ყოფნა პოლონელებისათვის აუცილებელიაო»!!!

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჰინდენბურგის, ზიუდეკუმის, აუსტერლიცისა და კომპანიის საამებლად კაუცკი აღიარებს რუსეთისაგან პოლონეთის გამოყოფის თავისუფლებას, თუმცა რუსეთი «ეროვნებათა სახელმწიფოა», მაგრამ იგი გერმანიისაგან პოლონელების გამოყოფის თავისუფლების შესახებ კრინტს არა ძრავს!!! საფრანგეთის სოციალისტებს იმავე სტატიაში კაუცკი ინტერნაციონალიზმის მოღალატეებად აცხადებს, რადგან მათ ელზას-ლოტარინგიის განთავისუფლება ომით სურთო. იმის შესახებ, რომ გერმანელი ზიუდეკუმები და კომპანია ინტერნაციონალიზმს ღალატობენ, როდესაც ისინი უარს ამბობენ გერმანიისაგან ელზას-ლოტარინგიის გამოყოფის თავისუფლება მოითხოვონ, — კაუცკი დუმს!

თქმას «ეროვნებათა სახელმწიფო», — ამ თქმის გამოყენება შეიძლება ინგლისის მიმართაც, თუ ირლანდიას ვიგულისხმებთ, გერმანიის მიმართაც, თუ პოლონეთს, ელზასს და სხვ. ვიგულისხმებთ! — კაუცკი იყენებს სოციალ-შოვინიზმის აშკარა დაცვისათვის. «ანექსიათა წინააღმდეგ ბრძოლა» კაუცკიმ გადააქცია შოვინისტებთან... «ზავის პროგრამად», გადააქცია აღმაშფოთებელ თვალთმაქცობად. იმავე სტატიაში კაუცკი იმეორებს იუდას მოთაფლულ სიტყვებს: «ინტერნაციონალი ყოველთვის მოითხოვდა სახელმწი-

ფოთა საზღვრების გადაწევისას დაინტერესებული მოსახლეობის თანხმობას». განა ცხადი არ არის, რომ ზიუდეკუმი და კომპანია მოითხოვენ ელზასელებისა და ბელგიელების «თანხმობას» გერმანიასთან მათი შეერთებისათვის, აუსტერლიცი და კომპანია მოითხოვენ პოლონელებისა და სერბიელების «თანხმობას» მათ შესაერთებლად ავსტრიასთან?

ხოლო რუსი კაუცკელი მარტოვი? იგი გადაბარგდა გვოზდეველების გაზეთ «ნაშ გოლოსში» [63] (სამარა) იმ უდავო ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, რომ ერთა თვითგამორკვევიდან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს სამშობლოს დაცვა იმპერიალისტური ომის დროსო. მაგრამ იმის შესახებ, რომ რუსი სოციალ-დემოკრატი ღალატობს თვითგამორკვევის პრინციპს, თუ იგი არ მოითხოვს ველიკოროსების მიერ ჩაგრული ერების გამოყოფის თავისუფლებას, მარტოვი დუმს და ამ დუმილით ხელს უწვდის შესარიგებლად ალექსინსკებს, გვოზდევებს, პოტრესოვებსა და პლეხანოვებს! მარტოვი დუმს ამის შესახებ არალეგალურ პრესაშიც! იგი ეკამათება ჰოლანდიელ გორტერს, თუმცა გორტერი, რომელიც უმართებულოდ უარყოფს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, სწორად იყენებს მას, როცა მოითხოვს ჰოლანდიის ინდოეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ამხელს ამ მოთხოვნის მოწინააღმდეგე ჰოლანდიელი ოპორტუნისტების ღალატს სოციალიზმისადმი. მაგრამ მარტოვს არ სურს ედავოს თავის მდივანს სემკოვსკის, რომელიც 1912 — 1915 წწ. მარტოდმარტო გამოდიოდა ლიკვიდატორულ პრესაში ამ საკითხზე და უარყოფდა გამოყოფის უფლებას, უარყოფდა საზოგადოდ თვითგამორკვევას!

განა ცხადი არ არის, რომ მარტოვი ისევე თვალთმაქცურად «იცავს» თვითგამორკვევას, როგორც კაუცკი? ისევე ფარავს შოვინისტებთან შერიგების თავის სურვილს?

ხოლო ტროცკი? იგი სულითა და გულით მომხრეა თვითგამორკვევისა, მაგრამ მისთვისაც ეს ცარიელი ფრაზაა, ვინაიდან იგი არ მოითხოვს იმ ერთა გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც ამა თუ იმ ეროვნული სოციალისტის

«სამშობლო» ჩაგრავს; იგი დუმს კაუცკისა და კაუცკელთა თვალთმაქცობის შესახებ!

ასეთი «ბრძოლა ანექსიების წინააღმდეგ» არის მუშების მოტყუება და არა სოციალ-დემოკრატების პროგრამის განმარტება, — იგი სიტყვებით საკითხის თავიდან მოშორებაა და არა ინტერნაციონალისტების მოვალეობის კონკრეტული მითითება, — იგი ნაციონალიზმის ცრურწმენებისა და მისი ანგარებიანი ინტერესებისადმი დათმობაა («ჩვენ» ყველანი, ბურჟუებიც და სოციალ-შოვინისტებიც, «ჩვენი» სამშობლოს მიერ ერების ჩაგვრისაგან «სარგებლობას» ვღებულობთ!) და არა ნაციონალიზმთან ბრძოლა.

სოციალ-დემოკრატიის «საზავო პროგრამა» უწინარეს ყოვლისა უნდა წარმოადგენდეს ბურჟუაზიული, სოციალ-შოვინისტური და კაუცკური საზავო ფრაზების თვალთმაქცობის მხილებას. ეს პირველი და ძირითადია. უამისოდ ჩვენ — მასების მოტყუების ნებსითი თუ უნებლიე ხელშემწყობნი ვიქნებით. ჩვენი «საზავო პროგრამა» მოითხოვს, რომ ამ საკითხში დემოკრატიის მთავარი პუნქტი — ანექსიათა უარყოფა — განხორციელდეს საქმით და არა მარტო სიტყვით, რომ ის ემსახურებოდეს ინტერნაციონალისტურ პროპაგანდას და არა ნაციონალურ თვალთმაქცობას. ამისათვის საჭიროა განემარტოს მასებს, რომ ანექსიათა უარყოფა, ესე იგი თვითგამორკვევის აღიარება, მხოლოდ მაშინ იქნება გულწრფელი, როცა ყოველი ერის სოციალისტი მოითხოვს გამოყოფის თავისუფლებას იმ ერებისათვის, რომელთაც მისი ერი ჩაგრავს. — როგორც ისეთი დადებითი ლოზუნგი, რომელიც მასებს რევოლუციურ ბრძოლაში ითრევს და «დემოკრატიული» ზავისათვის რევოლუციური ზომების მიღების აუცილებლობას განუმარტავს, წამოყენებულ უნდა იქნეს ლოზუნგი: უარისთქმა სახელმწიფო ვალების გადახდაზე.

ბოლოს, ჩვენი «საზავო პროგრამა» უნდა შეიცავდეს იმის განმარტებას, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და იმპერიალისტურ ბურჟუაზიას არ შეუძლიათ დემოკრატიული ზავის მოცემა. იგი უნდა ვეძიოთ და მოვიპოვოთ —

მაგრამ არა უკან, არა-იმპერიალისტური კაპიტალიზმის რეაქციულ უტოპიაში, ან კაპიტალიზმის დროს თანასწორუფლებიან ერთა კავშირის რეაქციულ უტოპიაში, — არამედ წინ, პროლეტარიატის სოციალისტურ რევოლუციაში. მოწინავე იმპერიალისტურ სახელმწიფოებში ვერც ერთი ძირითადი დემოკრატიული მოთხოვნა ვერ განხორციელდება ასე თუ ისე ფართოდ და მტკიცედ, თუ არა რევოლუციურ შეტაკებათა საშუალებით სოციალიზმის დროშის ქვეშ.

და ვინც ხალხებს «დემოკრატიულ» ზავს პირდება და იმავე დროს არ ქადაგებს სოციალისტურ რევოლუციას, ვინც უარყოფს მისთვის ბრძოლას, ბრძოლას უკვე თვით ომის დროსვე, — იგი ატყუებს პროლეტარიატს.

«სოციალ-დემოკრატი» № 52.
1916 წ. 25 მარტი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ კონფერენციას

(**თეზისები** დღის წესრიგის პუნქტებისადმი: 5, 6, 7a, 7b და 8, ბრძოლა ომის დამთავრებისათვის, დამოკიდებულება ზავის საკითხებისადმი, საპარლამენტო მოღვაწეობისა და მასობრივი ბრძოლისადმი. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევისადმი).

(I. S. K.-მ *, გამოაცხადა რა მე-2 კონფერენციის მოწვევა, სთხოვა ორგანიზაციებს განეხილათ ეს საკითხები და გამოეგზავნათ თავიანთი წინადადებანი. ქვემოთ მოყვანილი თეზისები წარმოადგენენ ჩვენი პარტიის პასუხს ამ თხოვნაზე).

---

1. როგორც ყოველგვარი ომი არის მხოლოდ გაგრძელება, ძალადატანების საშუალებებით, იმ პოლიტიკისა, რომელსაც მეომარი სახელმწიფოები და მათი გაბატონებული კლასები აწარმოებდნენ ომამდე მრავალი წლის განმავლობაში, ხანდახან ათეულ წლობით, ისე ზავი, რომლითაც მთავრდება ყოველი ომი, შეიძლება იყოს მხოლოდ აღრიცხვა და ჩაწერა ძალთა იმ ნამდვილი ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა ამა თუ იმ ომის მსვლელობაში და მის შედეგად.

2. იმპერიალისტურ ომს, ვიდრე ხელუხლებელი რჩება ახლანდელ, ე. ი. ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძვლები, შეიძლება მოყვეს მხოლოდ იმპერიალის-

---

* — Internationale Sozialistische Kommission — ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია. რ ე დ.

ტური ზავი, ე. ი. სუსტი ერებისა და ქვეყნების ჩაგვრის განმტკიცება, გაფართოება და გაძლიერება ფინანსური კაპიტალის მიერ, რომელიც განსაკუთრებით გიგანტურად გაიზარდა არა მარტო ამ ომის წინ, არამედ მის მსვლელობაშიც. იმ პოლიტიკის ობიექტურ შინაარსს, რომელსაც ომამდეც და ომის დროსაც აწარმოებდნენ დიდი სახელმწიფოების ორივე ჯგუფის ბურჟუაზია და მთავრობები, მივყავართ ეკონომიური ჩაგვრის, ეროვნული დამონებისა და პოლიტიკური რეაქციის გაძლიერებისაკენ. ამიტომ ის ზავიც, რომლითაც მთავრდება ეს ომი, რანაირი შედეგიც არ უნდა მოჰყვეს მას, შეუძლებელია სხვა რამეს წარმოადგენდეს, თუ არა მასების ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ამ გაუარესების განმტკიცებას, რაკი რჩება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილება.

იმპერიალისტური ომიდან გამომდინარე დემოკრატიული ზავის შესაძლებლობის დაშვება ნიშნავს — თეორიაში — ვულგარული ფრაზის დასმას იმ პოლიტიკის ისტორიული შესწავლის მაგივრად, რომელიც ტარდებოდა ახლანდელი ომის წინ და ტარდება მის დროს; — ეს ნიშნავს პრაქტიკაში ხალხის მასების მოტყუებას, მათი პოლიტიკური შეგნების დაბნელებას, გაბატონებული კლასების იმ ნამდვილი პოლიტიკის ხელის დაფარებას და შელამაზებას, რომელიც ამზადებს მომავალ ზავს; — ეს ნიშნავს დაუმალო მასებს უმთავრესი, სახელდობრ: დემოკრატიული ზავის შეუძლებლობა მთელი რიგი რევოლუციების მოუხდენლად.

3. სოციალისტები უარს არ ამბობენ რეფორმებისათვის ბრძოლაზე. მათ, მაგალითად, ახლაც ხმა უნდა მისცენ პარლამენტებში მასების მდგომარეობის ყოველგვარ, თუნდაც სულ მცირეოდენ, გაუმჯობესებას, აოხრებული ოლქების მცხოვრებთათვის დახმარების გადიდებას, ეროვნული ჩაგვრის შესუსტებას და სხვ.. მაგრამ ჩვეულებრივი ბურჟუაზიული მოტყუებაა რეფორმების ქადაგება იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელნიც ისტორიას და საქმის ნამდვილ პოლიტიკურ ვითარებას რევოლუციურად დაუყენებია. სწორედ ასეთია ის

საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა ახლანდელმა ომმა. ესაა — იმპერიალიზმის, ე. ი. თვით კაპიტალისტური საზოგადოების არსებობის ძირითადი საკითხები, საკითხები კაპიტალიზმის დაღუპვის ვადის გადადებისა მსოფლიოს ხელ-ახალი განაწილების გზით, იმ «დიდ» სახელმწიფოთა შორის ძალთა ახალი შეფარდების შესაბამისად, რომელნიც უკანასკ-ნელი ათეული წლების განმავლობაში ვითარდებოდნენ არა მარტო უდიდესი სისწრაფით, არამედ — რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ფრიად უთანაბროდაც. ნამდვილი პოლი-ტიკური მოღვაწეობა, რომელიც ცვლის საზოგადოების ძალ-თა თანაფარდობას, და არა მხოლოდ ატყუებს სიტყვებით მა-სებს, ახლა შესაძლებელია ორიდან მხოლოდ ერთ-ერთი ფორ-მით: ან უნდა ეხმარებოდე «შენს» ნაციონალურ ბურჟუა-ზიას, რომ მან ძარცვოს უცხო ქვეყნები (და ამ დახმარებას უწოდებდე «სამშობლოს დაცვას» ან «ქვეყნის ხსნას»), ანდა ეხმარებოდე პროლეტარიატის სოციალისტურ რევოლუციას, მხარს უჭერდე და ავითარებდე იმ მღელვარებას მასებს შო-რის, რომელიც იწყება ყველა მეომარ ქვეყანაში, ხელს უწყობდე დაწყებულ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს და სხვ., აფართოებდე და ამწვავებდე რევოლუციური მასობრი-ვი ბრძოლის ამ, ჯერ კიდევ სუსტ, გამოხატულებას იმდენად, რომ იგი იქცეს პროლეტარიატის საერთო შეტევად ბურჟუა-ზიის დამხობისათვის.

ისევე, როგორც ყველა სოციალ-შოვინისტი, ჩქმალავს რა კაპიტალისტების იმ ნამდვილი, ე. ი. იმპერიალისტური, პოლი-ტიკის საკითხს, რომელიც გრძელდება მიმდინარე ომში, ახლა ატყუებს ხალხს თვალთმაქცური ფრაზებით კაპიტალისტურ მტაცებელთა ამა თუ იმ ჯგუფის «უსინდისო» თავდასხმისა და «პატიოსანი» თავდაცვის შესახებ, — სწორედ ასევე მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მოტყუებას ემსახურება ფრაზები «დემო-კრატიულ ზავზე», თითქოსდა მომავალ ზავს, რომელსაც უკვე ახლა ამზადებენ კაპიტალისტები და დიპლომატები, შეუძლია «უბრალოდ» მოსპოს «უსინდისო» თავდასხმა და აღადგი-ნოს «პატიოსანი» ურთიერთობანი, თითქოსდა ეს ზავი არ იქ-

ნება განგრძობა, განვითარება და განმტკიცება იმავე, იმპერიალისტური, პოლიტიკისა, ე. ი. ფინანსური ძარცვის, კოლონიური მტაცებლობის, ეროვნული ჩაგვრის, პოლიტიკური რეაქციის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ყოველგვარი გამწვავების პოლიტიკისა. კაპიტალისტებსა და მათს დიპლომატებს ახლა ბურჟუაზიის სწორედ ასეთი «სოციალისტური» მსახურნი ესაჭიროებათ, რომელნიც ხალხს გააბრუებენ, გააბრიყვებენ და მიაძინებენ ფრაზებით «დემოკრატიულ ზავზე», ამ ფრაზებით მიჩქმალავენ ბურჟუაზიის ნამდვილ პოლიტიკას, გაუძნელებენ მასებს დაინახონ ამ პოლიტიკის არსი, ჩამოაშორებენ მასებს რევოლუციურ ბრძოლას.

4. სწორედ ასეთ ბურჟუაზიულ მოტყუებასა და თვალთმაქცობას წარმოადგენს «დემოკრატიული» ზავის ის პროგრამა, რომლის შეთხზვითაც ახლა გართულნი არიან II ინტერნაციონალის მეტად თვალსაჩინო წარმომადგენელნი. მაგალითად, ჰიუისმანსმა Arnheem-ის ყრილობაზე [64] და კაუცკიმ «Neue Zeit»-ში *, როგორც ამ ინტერნაციონალის ერთ-ერთმა ფრიად ავტორიტეტიანმა, ოფიციალურმა და «თეორიულმა» წარმომადგენლებმა, ასე ჩამოაყალიბეს ეს პროგრამა: ხელის აღება რევოლუციურ ბრძოლაზე იმ დრომდე, ვიდრე იმპერიალისტური მთავრობები ზავს შეკრავდნენ, ხოლო ჯერჯერობით— ანექსიათა და კონტრიბუციათა სიტყვიერად უარყოფა, ერთა თვითგამორკვევა, საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია, სამედიატორო სასამართლოები სახელმწიფოთა შორის ამტყდარი საერთაშორისო კონფლიქტების გასარჩევად, განიარაღება, ევროპის შეერთებული შტატები [65] და სხვ. და სხვ.. ამ «საზავო პროგრამის» ნამდვილი პოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებული სიცხადით გამოააშკარავა კაუცკიმ, როდესაც ამ საკითხში «ინტერნაციონალის ერთსულოვნების» დასამტკიცებლად დაასახელა ის ფაქტი, რომ ლონდონისა (II. 1915) და ვენის (IV. 1915) კონფერენციებმა ერთსულოვნად აღიარეს ამ პროგრამის მთავარი პუნქტი, სახელდობრ: «ერთა დამოუკიდებლობა». ამრიგად, კაუცკიმ მთელი ქვეყნიერების წინაშე

* — «ახალი დროება». რედ.



Предложение Ц.К. РСДРП

2-ой социал. конференции

(Тезисы по пунктам порядка дня: 1, 6, 7½, 7.8 и 9, будут до открытия войны, обращения к вопросам мира, к перевороту 1905 г. к аграрной борьбе, к отделу Ц.С.Д.Р.).

(Р.С.Д.Р., объявив о созыве им 2-ой конференции, приглашает организации обсудить при вопросы и отправить свои предложения. Не забыть прислать предложения и свой отдел нашим партии на это приглашение).

1. Как всякая война есть лишь продолжение, средствами насилия, той политики, которую вели вплоть до войны классы и господствующие в них группы, шедшие до войны, так и мир, заключенный вслед войны, отражает лишь прежние и длительно существующие в силу, подготовленные в ходе и результате данной войны.

2. Империалистская война, пока обнаружила подготовленности основы буржуазии т.е. буржуазных отношений, шедшей вперед только к империалистскому миру и.е. к усиленному, расширенному и углубленному существованию капитала, которой особенно выдвинул вопрос не только мирной войны, но и войны вообще. Обострение содержания этой политики, которую вели великие державы и до войны и во время войны, вперед к усилению экономического гнета, национальных угнетений, политической реакции. Выбрасывая мир, заключенный после войны, при котором вообще есть, но шедшей не отдыхать в разрешении при увеличении экономического и политического гнета, раз сохранения буржуазно-абсолютистского строя.

Первый гвердо ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ კონფერენციის». — 1916 წ. თებერვალი — მარტი

ფაქტიურად ეკუთვნის

აშკარად ნება დართო ხალხის შეგნებულ მოტყუებას სოციალ-შოვინისტების მიერ, რომელნიც ერების «დამოუკიდებლობისა» თუ თვითგამორკვევის სიტყვიერ, თვალთმაქცურ და ისეთ აღიარებას, რომელიც არავის არაფერს ავალდებულებს და არაფრის მომასწავებელია, აერთებენ იმპერიალისტურ ომში «თავიანთი» მთავრობებისადმი მხარის დაჭერასთან, თუმცა ამ ომს ორივე მხარე აწარმოებს სუსტი ერების «დამოუკიდებლობის» სისტემატური დარღვევით და მათი ჩაგვრის განმტკიცებისა და გაფართოების გულისთვის.

ამ, ყველაზე მეტად გავრცელებული, «საზავო პროგრამის» ობიექტური მნიშვნელობაა განამტკიცოს ბურჟუაზიისადმი მუშათა კლასის მორჩილება იმ გზით, რომ «შეარიგოს» რევოლუციური ბრძოლის განვითარების დამწყები მუშები მათს შოვინისტურ ბელადებთან, მიჩქმალოს სოციალიზმში არსებული კრიზისის სიღრმე, რათა აღადგინოს სოციალისტური პარტიების ის მდგომარეობა, რომელიც ომამდე არსებობდა და რომელმაც წარმოშვა სწორედ ბელადთა უმრავლესობის გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე. ამ «კაუცკური» პოლიტიკის საშიშროება მით უფრო ძლიერია პროლეტარიატისათვის, რომ იგი შემოსილია კეთილგანზრახვითი ფრაზებით და წარმოებს არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველა ქვეყანაში. მაგალითად. ინგლისში ამ პოლიტიკას აწარმოებს ბელადთა უმრავლესობა: საფრანგეთში — ლონგე, პრესმანი და სხვანი; რუსეთში — აქსელროდი, მარტოვი, ჩხეიძე და სხვ.; ჩხეიძე ახლანდელ ომში «ქვეყნის დაცვის» შოვინისტურ იდეას ნიღბავს სიტყვებით «ქვეყნის ხსნის» შესახებ; იგი, ერთი მხრით, სიტყვიერად იწონებს ციმერვალდს, მეორე მხრით, ფრაქციის ოფიციალურ განცხადებაში აქებს ჰიუისმანსის მიერ Arnheem-ში წარმოთქმულ სავალალო სიტყვას; იგი საქმით არც სათათბიროს ტრიბუნაზე, არც პრესაში არ გამოდის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშების მონაწილეობის წინააღმდეგ და განაგრძობს იმ გაზეთებში თანამშრომლობას, რომელნიც ასეთ მონაწილეობას იცავენ. იტალიაში ამგვარსავე პოლიტიკას აწარ-

მოებს ტრევესი: იხ. იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს «Avanti!»-ს[66] მუქარა 1916 წ. 5 მარტის ნომერში, რომ იგი გამოააშკარავებს ტრევესსა და სხვა «რეფორმისტ-პოსიბილისტებს», გამოააშკარავებს, თუ «ვინ იხმარა ყოველგვარი საშუალება, რომ ხელი შეეშალა პარტიის გამგეობისა და ოდინო მორგარის იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო ციმერვალდის გაერთიანებისა და ახალი ინტერნაციონალის შექმნისაკენ», და სხვ. და სხვ.

5. «საზავო საკითხებში» ამჟამად უმთავრესია ანექსიათა საკითხი. და სწორედ ამ საკითხში ჩანს ყველაზე თვალსაჩინოდ როგორც ამჟამად გაბატონებული სოციალისტური თვალთმაქცობა, ისე ნამდვილი სოციალისტური პროპაგანდისა და აგიტაციის ამოცანები.

აუცილებელია განვმარტოთ, თუ რა არის ანექსია, რატომ და როგორ უნდა ებრძოლონ სოციალისტები ანექსიებს. ანექსიად არ შეიძლება მივიჩნიოთ არც «სხვისი» ტერიტორიის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შემოერთება, ვინაიდან სოციალისტები. ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, თანაუგრძნობენ ერთა შორის საზღვრების მოშლას და უფრო მსხვილი სახელმწიფოების შექმნას; — არც status quo-ს ყოველგვარი დარღვევა, ვინაიდან ეს იქნებოდა უდიდესი რეაქციულობა და ისტორიული მეცნიერების ძირითადი ცნებების სასაცილოდ აგდება; — არც ყოველი შემოერთება სამხედრო ძალით, ვინაიდან სოციალისტებს არ შეუძლიათ უარყონ მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებული ძალმომრეობა და ომები. ანექსიად უნდა მივიჩნიოთ ტერიტორიის მხოლოდ ისეთი შემოერთება, რომელიც ხდება ამ ტერიტორიის მოსახლეობის ს ურ ვ ი ლ ი ს წ ი ნ ა აღ მ დ ე გ; სხვა სიტყვებით, ანექსიის ცნება განუყრელადაა დაკავშირებული ერთა თვითგამორკვევის ცნებასთან.

მაგრამ ახლანდელი ომის ნიადაგზე, სწორედ იმიტომ, რომ ეს ომი იმპერიალისტურია მეომარი სახელმწიფოების ო რ ი ვ ე ჯგუფის მხრით, უნდა აღმოცენებულიყო და აღმოცენდა კიდევაც ისეთი მოვლენა, რომ ბურჟუაზია და სოციალ-შოვი-

ნისტები გაძლიერებით «იბრძვიან» ანექსიების წინააღმდეგ მაშინ, როდესაც ამ ანექსიებს ახდენს ან ისინი მოახდინა მოწინააღმდეგე სახელმწიფომ. ცხადია, «ანექსიათა წინააღმდეგ» ასეთი «ბრძოლა» და ანექსიათა საკითხში ამგვარი «ერთსულოვნება» თავიდან ბოლომდე თვალთმაქცობაა. ცხადია, ანექსიონისტები არიან საქმით ის ფრანგი სოციალისტებიც, რომელნიც იცავენ ომს ელზას-ლოტარინგიისათვის, ის გერმანელი სოციალისტებიც, რომელნიც არ მოითხოვენ გერმანიისაგან ელზას-ლოტარინგიის, გერმანული პოლონეთისა და სხვ. გამოყოფის თავისუფლებას; ის რუსი სოციალისტებიც, რომელნიც «ქვეყნის ხსნას» უწოდებენ ომს ცარიზმის მიერ პოლონეთის ახალი დამონებისათვის და «უანექსიო ზავის» გულისთვის მოითხოვენ რუსეთთან პოლონეთის შეერთებას, და სხვ. და სხვ.

ანექსიათა წინააღმდეგ ბრძოლა რომ თვალთმაქცობა ან ცარიელი ფრაზა არ იქნეს, იგი რომ ნამდვილად ზრდიდეს მასებს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ამისათვის საჭიროა ამ საკითხის ისე დასმა, რომ ამან მასებს დაანახვოს ანექსიათა საკითხში ამჟამად გამეფებული მოტყუება და არა ხელი დააფაროს ამ მოტყუებას. არ კმარა, რომ თვითეული ერის სოციალისტი სიტყვიერად აღიარებდეს ერთა თანასწორუფლებიანობას ან დეკლამატორობდეს, ღმერთსა და ხატს ფიცულობდეს, რომ იგი ანექსიათა წინააღმდეგია. აუცილებლად საჭიროა, რომ თვითეული ერის სოციალისტი დაუყოვნებლივ და უეჭველად მოითხოვდეს იმ კოლონიათა და ერთა გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც მისი საკუთარი «სამშობლო» ჩაგრავს.

თუ ეს პირობა არა, ისე ერთა თვითგამორკვევისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპების აღიარება ციმერვალდის მანიფესტშიაც, უკეთეს შემთხვევაში, მკვდარ ასოდ დარჩება.

6. სოციალისტების «საზავო პროგრამა», ისევე როგორც «ომის დამთავრებისათვის ბრძოლის» მათი პროგრამა, უნდა გამომდინარეობდეს «დემოკრატიული ზავის», მეომართა მშვიდობიანი ზრახვებისა და სხვ. იმ სიცრუის მხილებიდან,

რომლითაც ამჟამად მიმართავენ ხალხს ყველა ქვეყნის დემაგოგი მინისტრები, პაციფისტი ბურჟუები, სოციალ-შოვინისტები და კაუცკელები. ყოველგვარი «საზავო პროგრამა» ხალხის მოტყუება და თვალთმაქცობაა, თუ იგი არ ეყრდნობა, უწინარეს ყოვლისა, მასებისათვის რევოლუციის აუცილებლობის განმარტებას და მასების იმ რევოლუციური ბრძოლის (მღელვარება, პროტესტები, დაძმობილება სანგრებში, გაფიცვები, დემონსტრაციები, წერილები ფრონტიდან ნათესავებისადმი, — მაგალითად, საფრანგეთში, — რომ მათ ხელი არ მოაწერონ სამხედრო სესხს, და სხვ. და სხვ.) მხარის დაჭერას, ხელის შეწყობასა და განვითარებას, რომელიც ყველგან იწყება.

ომის დასამთავრებლად ხალხის ყოველგვარი მოძრაობის მხარის დაჭერა, გაფართოება და გაღრმავება — სოციალისტების მოვალეობაა. მაგრამ სინამდვილეში ამ მოვალეობას ასრულებენ მხოლოდ ის სოციალისტები, რომელნიც, როგორც ლიბკნეხტი, პარლამენტის ტრიბუნიდან მოუწოდებენ ჯარისკაცებს იარაღი დაჰყარონ, ქადაგებენ რევოლუციას და იმპერიალისტური ომის გადაქცევას სამოქალაქო ომად სოციალიზმისათვის.

როგორც დადებითი ლოზუნგი, რომელიც მასებს რევოლუციურ ბრძოლაში ითრევს და «დემოკრატიული» ზავის შესაძლებლობისათვის რევოლუციურ ღონისძიებათა აუცილებლობას განუმარტავს, წამოყენებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ვალების გადახდაზე უარისთქმის ლოზუნგი.

არ კმარა ის, რომ ციმერვალდის მანიფესტი გადაკვრით მიუთითებს რევოლუციაზე, როდესაც ლაპარაკობს, რომ მუშებმა მსხვერპლი უნდა გაიღონ თავიანთი და არა სხვისი საქმის გულისათვისო. აუცილებლად საჭიროა ნათლად და გარკვევით მივუთითოთ მასებს მათი გზა. საჭიროა მასებმა იცოდნენ, თუ საით და რისთვის უნდა წავიდნენ. რომ ომის დროს მასობრივ რევოლუციურ მოქმედებას, თუ ის წარმატებით განვითარდა, შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად სოციალიზმისათვის, ეს

ცხადია, და მასებისათვის ამის დამალვა — მავნებელია. პირიქით, ეს მიზანი ნათლად უნდა მივუთითოთ, რაოდენ ძნელადაც არ უნდა გვეჩვენოს მისი მიღწევა, როდესაც ჩვენ ამ გზის მხოლოდ დასაწყისში ვართ. არ კმარა თქმა, როგორც ეს ნათქვამია ციმერვალდის მანიფესტში, რომ «კაპიტალისტები ტყუიან, როდესაც ლაპარაკობენ სამშობლოს დაცვაზე» ახლანდელ ომში, და რომ მუშები რევოლუციური ბრძოლის დროს ანგარიშს არ უნდა უწევდნენ თავისი ქვეყნის სამხედრო მდგომარეობას; ნათლად უნდა ითქვას ის, რაც აქ მხოლოდ გადაკვრითაა ნათქვამი, სახელდობრ ის, რომ არათუ კაპიტალისტები, არამედ სოციალ-შოვინისტებიც და კაუცკელებიც ტყუიან, როდესაც მათ შესაძლებლად მიაჩნიათ სამშობლოს დაცვის ცნების გამოყენება ახლანდელ, იმპერიალისტურ ომში; — რომ ომის დროს რევოლუციური მოქმედება შეუძლებელია ისე, თუ «საკუთარ» მთავრობას დამარცხებით არ დაემუქრე, და რომ რეაქციულ ომში მთავრობის ყოველი დამარცხება აადვილებს რევოლუციას, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მტკიცე და დემოკრატიული ზავის მოტანა. ბოლოს, აუცილებლად საჭიროა მასებს ვუთხრათ, რომ თუ თვითონ ისინი არ შექმნიან არალეგალურ ორგანიზაციებს და სამხედრო ცენზურისაგან თავისუფალ, ე. ი. არალეგალურ, ბეჭდვით სიტყვას, ისე წარმოუდგენელია დაწყებული რევოლუციური ბრძოლის სერიოზული მხარის დაჭერა, მისი განვითარება, მისი ცალკეული ნაბიჯების კრიტიკა, მისი შეცდომების გამოსწორება, მისი სისტემატური გაფართოება და გამწვავება.

7. სოციალისტების საპარლამენტო ბრძოლის (Aktion) საკითხში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ციმერვალდის რეზოლუცია არათუ სიმპათიას უცხადებს სახელმწიფო სათათბიროს 5 სოციალ-დემოკრატ დეპუტატს, რომელნიც ჩვენს პარტიას ეკუთვნიან და რომელთაც ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, არამედ სოლიდარობასაც კი უცხადებს მათს ტაქტიკას. შეუძლებელია მასების რევოლუციურ ბრძოლას აღიარებდე და იმავე დროს პარლამენტებში სოციალისტების

მხოლოდ და მხოლოდ ლეგალურ საქმიანობას სჯერდებოდე. ამას მოსდევს მხოლოდ მუშათა კანონიერი უკმაყოფილება და მათი გადასვლა სოციალ-დემოკრატიიდან ანტიპარლამენტურ ანარქიზმსა ან სინდიკალიზმში. აუცილებლად საჭიროა ნათლად და ყველას გასაგონად ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატები პარლამენტებში უნდა სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობით არა მარტო პარლამენტებში გამოსვლებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ პარლამენტს გარეთ ყოველნაირად დაეხმარონ არალეგალურ ორგანიზაციას და მუშათა რევოლუციურ ბრძოლას, და რომ მასები თავიანთი არალეგალური ორგანიზაციის მეშვეობით თვითონ უნდა ამოწმებდნენ ხოლმე თავიანთი ბელადების ასეთ საქმიანობას.

8. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის საკითხი, ბოლოს და ბოლოს, არის ძირითადი და პრინციპული საკითხი — შესაძლებელია თუ არა ძველი პარტიებისა და II ინტერნაციონალის ერთიანობა. თვითეული ნაბიჯი, რომელსაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობა დგამს წინ ციმერვალდში დასახული გზით, სულ უფრო და უფრო ცხადყოფს იმ პოზიციის არათანამიმდევრობას, რომელიც ციმერვალდის უმრავლესობამ დაიკავა: ერთი მხრით, ძველი პარტიებისა და II ინტერნაციონალის პოლიტიკა გაიგივებულია ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ პოლიტიკასთან მუშათა მოძრაობაში, ისეთ პოლიტიკასთან, რომელიც ბურჟუაზიის და არა პროლეტარიატის ინტერესებს იცავს (ასეთია, მაგალითად, ციმერვალდის მანიფესტის სიტყვები, რომ «კაპიტალისტები» ტყუიან, როდესაც ლაპარაკობენ «სამშობლოს დაცვაზე» ახლანდელ ომში, აგრეთვე მთელი რიგი კიდევ უფრო გარკვეული განცხადებანი Internationale Sozialistische Kommission-ის 1916 წ. 10 თებერვლის ცირკულარში [67]); მეორე მხრით, Internationale Sozialistische Kommission-ს ეშინია საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან გათიშვისა და ოფიციალურად გვპირდება, რომ Internationale Sozialistische Kommission-ი დაიშლება, თუ ეს ბიურო კვლავ შეიკრიბებაო [68].

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ასეთი დაპირებისათვის ციმერვალდში არათუ კენჭი არ უყრიათ, არამედ ის არც კი განუხილავთ.

ციმერვალდის შემდეგ განვლილმა ნახევარმა წელმა დაადასტურა, რომ ციმერვალდის სულისკვეთებით მუშაობა ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ — ჩვენ ვლაპარაკობთ არა ცარიელ სიტყვებზე, არამედ მხოლოდ მუშაობაზე — მთელ მსოფლიოში დაკავშირებულია გათიშვის გაღრმავებასა და გაფართოებასთან. გერმანიაში ომის საწინააღმდეგო არალეგალური პროკლამაციები გამოდის მიუხედავად პარტიის გადაწყვეტილებებისა, ე. ი. გამთიშველურად. როდესაც დეპუტატმა Otto Rühle-მ *, კ. ლიბკნეხტის უახლოესმა ამხანაგმა, აშკარად განაცხადა, რომ პარტია ფაქტიურად უკვე ორია: ერთი ის, რომელიც ბურჟუაზიას ეხმარება, მეორე — რომელიც მას ებრძვისო, რიულეს ამისათვის მრავალნი, მათ შორის კაუცკელებიც, ლანძღავდნენ, მაგრამ მისი აზრი არავის გაუბათილებია. საფრანგეთში სოციალისტური პარტიის წევრი ბურდერონი გათიშვის სასტიკი მოწინააღმდეგეა და იმავე დროს თავის პარტიას უდგენს ასეთ რეზოლუციას — დეზავუირება მოხდეს პარტიის ც. კ-ისა და საპარლამენტო ჯგუფისაო (désapprouver Comm. Adm. Perm. და Gr. Parl.), — რომელიც უეჭველ და დაუყოვნებლივ გათიშვას გამოიწვევდა, იგი რომ მიეღოთ. ინგლისში ზომიერი «Labour Leader»-ის ** ფურცლებზე I. L. P.-ს *** წევრი T. Russel Williams-ი **** აშკარად აღიარებს გათიშვის გარდუვალობას და მას მხარს უჭერენ თავიანთ წერილებში ადგილობრივი მუშაკები. ამერიკის მაგალითი, შეიძლება, კიდევ უფრო საგულისხმო იყოს, იმიტომ რომ იქ, ნეიტრალურ ქვეყანაშიც კი, უკვე თავი იჩინა ორმა შეურიგებლად მტრულ-

---

* — ოტო რიულე. რ ე დ.

** — «მუშათა ბელადი». რ ე დ.

*** — Independent Labour Party — დამოუკიდებელი მუშათა პარტია. რ ე დ.

**** — ტ. როსელ ვილიამსი. რ ე დ.

მა მიმდინარეობამ სოციალისტურ პარტიაში: ერთი მხრით, ეგრეთწოდებული «preparadness»-ის, ე. ი. ომის, მილიტარიზმისა და მარინიზმის მომხრეებმა, მეორე მხრით, ისეთმა სოციალისტებმა, როგორიცაა ევგენი დებსი, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი სოციალისტური პარტიისაგან, აშკარად მქადაგებელი სამოქალაქო ომისა სოციალიზმისათვის სწორედ მომავალ ომთან დაკავშირებით.

მთელ მსოფლიოში ფაქტიურად გათიშვა უკვე მოხდა, უკვე თავი იჩინა ომის მიმართ მუშათა კლასის ორმა, სრულიად შეურიგებელმა, პოლიტიკამ. ამის წინაშე თვალის დახუჭვა არ შეიძლება; ამას მოჰყვება მუშათა მასების მხოლოდ აბნევა, მათი შეგნების დაბნელება, იმ რევოლუციური მასობრივი ბრძოლის გაძნელება, რომელსაც ყველა ციმერვალდელი ოფიციალურად თანაუგრძნობს; ამას მოჰყვება მასებზე იმ ბელადთა გავლენის გაძლიერება, რომელთაც Internationale Sozialistische Kommission-ი 1916 წ. 10 თებერვლის ცირკულარში პირდაპირ სდებს ბრალს, რომ მათ «შეცდომაში შეჰყავთ» მასები და სოციალიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ «შეთქმულებას» («Pakt») ამზადებენო.

გაკოტრებული საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღდგენისათვის იზრუნებენ ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტები და კაუცკელები. სოციალისტების ამოცანაა განუმარტონ მასებს იმათთან გათიშვის აუცილებლობა, ვინც სოციალიზმის დროშით ბურჟუაზიის პოლიტიკას ახორციელებს.

დაწერილია 1916 წ. თებერვალ-მარტში

დაიბეჭდა 1916 წ. 22 აპრილს «Bulletin. Internationale Sozialistische Kommission zu Bern»-ის მე-4 ნომერში

რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1916 წ. 10 ივნისს გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 54 — 55

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გათიშვა თუ ლოგა?

ასე დააყენა კითხვა «სოციალ-დემოკრატმა» ჯერ კიდევ 35-ე ნომერში *, როდესაც, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ გამოყენების თვალსაზრისით, ავითარებდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ომის შესახებ გამოშვებული მანიფესტის ** ძირითად იდეებს. და აი, შეხედეთ, როგორ ადასტურებენ ფ ა ქ ტ ე ბ ი ამ დასკვნას.

აშკარად ლპება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. გათიშვას, რომ აღარაფერი ვთქვათ «გერმანიის ინტერნაციონალურ სოციალისტთა» (I. S. D. [69]) ჯგუფზე, რომელიც თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ა დ ებრძვის თვალთმაქც კაუცკელებს, ა შ კ ა რ ა დ დაუჭირა მხარი კ. ლიბკნეხტის უახლოესმა ამხანაგმა ო ტ ო რ ი უ ლ ე მ. მის საპასუხოდ «Vorwärts»-მა *** ვერც ერთი სერიოზული, ვერც ერთი პატიოსანი საბუთი ვერ მოიყვანა. ნამდვილად გერმანიაში ო რ ი მუშათა პარტიაა.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 100 — 109. რ ე დ
** იქვე, გვ. 13 — 24. რ ე დ.
*** — «წინ». რ ე დ.

ინგლისში ზომიერი, პაციფისტური «Labour Leader»-ის * («დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ცენტრალური ორგანო) ფურცლებზეც კი აზრი გამოთქვა ტ. როსელ ვილიამსმა და მას მხარი დაუჭირა მრავალმა ადგილობრივმა მუშაკმა. პარიზის შემარიგებლურ «ნაშე სლოვოში» ამხ. ო რ ნ ა ტ ს კ ი მ [70], რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ინტერნაციონალისტური მუშაობით ინგლისში, მხარი დაუჭირა იმას, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს გათიშვა იქ. თქმა არ უნდა, რომ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ო რ ნ ა ტ ს კ ი ს მის პოლემიკაში ფ. რ ო ტ შ ტ ე ი ნ თ ა ნ, «კომუნისტის» [71] თანამშრომელთან, რომელმაც კაუცკური პოზიცია დაიკავა.

საფრანგეთში ბურდერონი — გათიშვის სასტიკი მოწინააღმდეგეა, მ ა გ რ ა მ... პარტიის ყრილობას უდგენს რეზოლუციას, სადაც პირდაპირ მოითხოვს დეზავუირება მოხდეს როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ისე საპარლამენტო ფრაქციისა! ასეთი რეზოლუციის მიღება პარტიის დაუყოვნებლივი გათიშვის მომასწავებელი იქნებოდა.

ამერიკაში «სოციალისტური პარტიის» ფორმალური ერთიანობაა. ნამდვილად კი მისი ზოგიერთი წევრი, როგორც როსელი და სხვები, «მზადყოფნას» ქადაგებს, ომის, ჯარისა და ფლოტის მომხრეა. სხვები კიდევ, როგორიცაა ევგენი დებსი, პარტიის კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე, აშკარად ქადაგებენ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ს იმპერიალისტური ომის «შემთხვევაში» ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასეთ ომთან დაკავშირებით.

მთელ მსოფლიოში ახლა ფაქტიურად ორი პარტიაა. ინტერნაციონალი ამჟამად ფაქტიურად უკვე ორია. და თუ ციმერვალდის უმრავლესობას ეშინია ეს აღიაროს, თუ იგი

* — «მუშათა ბელადი». რ ე დ.

სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობაზე ოცნებობს და აცხადებს, რომ მზად არის ასეთ ერთიანობას დათანხმდეს, — ეს «კეთილი სურვილები» სინამდვილეში მხოლოდ სურვილებად, აზრის არათანამიმდევრულობისა და გაუბედაობის გამოხატულებად რჩება. ცნობიერება ჩამორჩება ყოფიერებას.

დაწერილია 1916 წ. თებერვალ-აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში, XVII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გერმანული და არა გერმანული შოვინიზმის შესახებ [72]

როგორც ცნობილია, გერმანელმა შოვინისტებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს ეგრეთწოდებული სოციალ-დემოკრატიული — საქმით ახლა უკვე ნაციონალ-ლიბერალურად ქცეული — მუშათა პარტიის ბელადთა და მოხელეთა უდიდესი უმრავლესობა. თუ რამდენად შეიძლება იგივე ითქვას ბბ. პოტრესოვების, ლევიცკებისა და კომპანიის მსგავს არა გერმანელი შოვინისტების შესახებ, შემდგომ დავინახავთ. ახლა კი იძულებული ვართ შევჩერდეთ სწორედ გერმანელ შოვინისტებზე, რომელთა რიცხვს სამართლიანობა გვაიძულებს მივაკუთვნოთ კაუცკიც, თუმცა, მაგალითად, პ. ბ. აქსელროდი თავის გერმანულ ბროშურაში ფრიად გულმოდგინედ და ფრიად უმართებულოდ იცავს კაუცკის და მას «ინტერნაციონალისტად» აცხადებს.

გერმანული შოვინიზმის ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ «სოციალისტები», — სოციალისტები ბრჭყალებში, — ლაპარაკობენ სხვა ხალხთა დამოუკიდებლობაზე გარდა იმ ხალხებისა, რომელთაც მათი საკუთარი ერი ჩაგრავს. აშკარადაა ეს ნათქვამი თუ თავს იცავენ, თავს იმართლებენ, ინიღბებიან ისინი, ვინც ამას ლაპარაკობს, აქ არც ისეთი არსებითი განსხვავებაა.

გერმანელი შოვინისტები, — რომელთა რიცხვს ეკუთვნის პარვუსიც, რომელიც სცემს პაწია ჟურნალს «ზარის» სათაურით, სადაც წერენ ლენჩი, გენიში, გრუნვალდი და გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის «სოციალისტური» ლაქიე-

ბის მთელი ეს ძმობა, — ძალიან ბევრსა და ხალისიანად ლაპარაკობენ, მაგალითად, ინგლისის მიერ ჩაგრულ ხალხთა დამოუკიდებლობაზე. როგორც გერმანიის სოციალ-შოვინისტები — ე. ი. სიტყვით სოციალისტები, საქმით შოვინისტები, — ისე გერმანიის მთელი ბურჟუაზიული პრესა ახლა რაც ძალი და ღონე აქვს გაჰყვირის კოლონიებში ინგლისის ურცხვი, ძალმომრეობითი, რეაქციული და სხვ. პარპაშის შესახებ. ინდოეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე გერმანული გაზეთები ახლა ნერწყვმორევით, ბოროტი სიხარულით, აღტყინებითა და ნეტარებით წერენ.

გერმანიის ბურჟუაზიის ბოროტი სიხარულის მიზეზების მიხვედრა ძნელი როდია: მას იმედი აქვს, რომ ინგლისის წინააღმდეგ ინდოეთში უკმაყოფილებისა და მოძრაობის გაღვივებით თავის სამხედრო მდგომარეობას გაიუმჯობესებს. რა თქმა უნდა, ეს სულელური იმედებია, ვინაიდან მრავალმილიონიანი და ფრიად თავისებური ხალხის ცხოვრებაზე გარედან, შორიდან, უცხო ენის საშუალებით ზემოქმედება, — ზემოქმედება არა სისტემატური, არამედ შემთხვევითი, მხოლოდ ომის დროს, — ამნაირი ზემოქმედება არა სერიოზულია, პირდაპირ არა სერიოზულია. აქ უფრო მეტია გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მიერ თავისივე თავის ნუგეში, გერმანელი ხალხის მოტყუების სურვილი, შინაური ცხოვრებიდან საგარეოზე მისი ყურადღების გადატანა, ვიდრე ინდოეთზე ზეგავლენის მოხდენის განზრახვა.

მაგრამ თავისთავად იბადება ზოგადი თეორიული საკითხი: სად არის ამგვარ მსჯელობათა სიყალბის ფესვი? სად არის გერმანელი იმპერიალისტების თვალთმაქცობის მხილების ნამდვილი, შეუცდომლად მოქმედი საშუალება? ვინაიდან სწორი თეორიული პასუხი იმ კითხვაზე, თუ სად იმალება სიყალბე, ყოველთვის ამხელს თვალთმაქცებს, რომელთაც — ფრიად გასაგები მიზეზების გამო — მიდრეკილება აქვთ ხელი დააფარონ სიყალბეს, მიჩქმალონ იგი, შემოსონ ათასგვარი მოქარგული ფრაზებით, ყოველგვარი ფრაზებით, ფრაზებით რაზედაც გნებავთ, ფრაზებით ინტერნაციონალიზმზედაც კი. სიტყვით

ინტერნაციონალისტებად აცხადებენ თავს ლენჩებიც, ზიუდეკუმებიც და შეიდემანებიც, გერმანიის ბურჟუაზიის ყველა ეს აგენტები, რომელნიც, სამწუხაროდ, გერმანიის ეგრეთწოდებული «სოციალ-დემოკრატიული» პარტიის წევრები არიან. ადამიანები უნდა განვსაჯოთ არა მათი სიტყვების, არამედ მათი საქმეების მიხედვით. ეს დიდი ხანია ცნობილია. ვინ-ღა განსჯის რუსეთში ბბ. პოტრესოვებს, ლევიცკებს, ბულკინებსა და კომპანიას მათი სიტყვების მიხედვით? რასაკვირველია, არავინ.

გერმანელი შოვინისტების სიყალბის ფესვი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, გაჰყვირიან რა იმ ხალხთა დამოუკიდებლობისადმი თანაგრძნობაზე, რომელთაც მათი სამხედრო მოწინააღმდეგე, ინგლისი, ჩაგრავს, მორცხვად — ზოგჯერ მეტისმეტად მორცხვადაც კი — დუმან იმ ხალხთა დამოუკიდებლობაზე, რომელთაც მ ა თ ი ს ა კ უ თ ა რ ი ერი ჩაგრავს.

ავიღოთ, მაგალითად, დანიელები. როდესაც პრუსიამ შლეზვიგი შეიერთა, მან, როგორც ყველა «დიდმა» სახელმწიფომ, ხელთ იგდო ტერიტორიის ერთი ნაწილიც დანიელი მოსახლეობით. ამ მოსახლეობის უფლებათა დარღვევა იმდენად აშკარა იყო, რომ, როდესაც 1866 წლის 23 — 30 აგვისტოს პრაღის ზავით ავსტრიამ პრუსიას დაუთმო თავისი «უფლებანი» შლეზვიგის მიმართ, საზავო ხელშეკრულებით დადგენილი იყო: შლეზვიგის ჩრდილოეთი ოლქების მოსახლეობა დაკითხულ უნდა იქნეს თავისუფალი ხმის მიცემის წესით იმის შესახებ, სურს თუ არა მას დანიასთან შეერთება, და თუ პასუხი დადებითი იქნა, იგი დანიას უნდა შეუერთდესო. პრუსიამ ეს არ შეასრულა და 1878 წ. მიაღწია ამ მისთვის ესოდენ «უსიამოვნო» პირობის გაუქმებას.

ფრ. ენგელსი, რომელიც გულგრილად როდი ეკიდებოდა დიდმპყრობელი ერების შოვინიზმს, სპეციალურად აღნიშნავდა პრუსიის მიერ პატარა ხალხის უფლებათა ამ დარღვევას [73]. მაგრამ გერმანიის ახლანდელი სოციალ-შოვინისტები თუმცა სიტყვით აღიარებენ ერთა თვითგამორკვევას, როგორც სიტყვით აღიარებს ამას კაუცკიც, ნამდვილად კი მათ არასოდეს არ

უწარმოებიათ და არც აწარმოებენ თანამიმდევრულ-დემოკრატიულსა და გადამწყვეტ დემოკრატიულ აგიტაციას ჩაგრული ერის განთავისუფლებისათვის, როდესაც საქმე ეხება «საკუთარი» ერის მხრით ჩაგვრას. აქ «მარხია ძაღლის თავი». ესაა შოვინიზმის საკითხისა და მისი მხილების დედაარსი.

ჩვენში ბევრს ოხუნჯობდნენ იმის გამო, რომ «რუსსკოე ზნამიას»[74] ძალიან ხშირად თავი ისე ეჭირა, როგორც «პრუსსკოე ზნამიას». მაგრამ საქმე «რუსსკოე ზნამიათი» არ განისაზღვრება, ვინაიდან სავსებით იმავე პრინციპულ ყაიდაზე, როგორც ლენჩი, კაუცკი და კომპანია, მსჯელობენ ჩვენში ბბ. პოტრესოვები, ლევიცკები და კომპანია. ჩაიხედეთ, მაგალითად, ლიკვიდატორულ «რაბოჩეე უტროში» და თქვენ იქ ნახავთ სრულიად ასეთსავე «პრუსიულ», უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: ინტერნაციონალურ-შოვინისტურ არგუმენტებს და მსჯელობის ხერხებს. შოვინიზმი შოვინიზმადვე რჩება, როგორი ნაციონალური მარკისაც უნდა იყოს და პაციფისტური ყაიდის რანაირი ფრაზებითაც უნდა იმოსებოდეს იგი.

დაიბეჭდა 1916 წ. 31 მაისს
ჟურნალში «ვოპროსი სტრახოვანია»
№ 5 (54)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია [75]

პოპულარული ნარკვევი

დაწერილია 1916 წ. იანვარ-ივნისში

პირველად დაიბეჭდა 1917 წ. აპრილში ცალკე ბროშურად პეტროგრადი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც შედარებულია ბროშურის ტექსტთან

Н. ЛЕНИНЪ (ВЛ. ИЛЬИНЪ).

ИМПЕРІАЛИЗМЪ,

КАКЪ НОВѢЙШІЙ ЭТАПЪ КАПИТАЛИЗМА.

(Популярный очеркъ).

СКЛАДЪ ИЗДАНІЯ:
Книжный складъ и магазинъ „Жизнь и Знаніе“
Петроградъ, Поварской пер., 2, кв. 9 и 10. Тел. 227—42.
1917 г.

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნისა
«იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი
სტადია».—1917 წ.
დაბეჭდილია

მის სრული ღალატი, ბურჟუაზიის მხარეზე სრული გადასვლა, რომ მუშათა მოძრაობის ეს გათიშვა დაკავშირებულია იმპერიალიზმის ობიექტურ პირობებთან და სხვ. — მე მიხდებოდა ლაპარაკი «მონური» ენით, და იძულებული ვარ იმ მკითხველს, რომელსაც ეს საკითხი აინტერესებს, მივუთითო 1914 — 1917 წლებში საზღვარგარეთ დაწერილი ჩემი სტატიების ხელახალ გამოცემაზე, რომელიც მალე გამოვა. განსაკუთრებით ღირს აღინიშნოს ერთი ადგილი, გვერდი 119 — 120 *: რათა ცენზურული ფორმით მკითხველისათვის განმემარტა, რა უსირცხვილოდ ტყუიან კაპიტალისტები და მათს მხარეზე გადასული სოციალ-შოვინისტები (რომელთაც ასე არათანამიმდევრულად ებრძვის კაუცკი) ანექსიათა საკითხში, რა უსირცხვილოდ ა ფ ა რ ე ბ ე ნ ისინი ხ ე ლ ს თ ა ვ ი ა ნ თ კაპიტალისტთა ანექსიებს, — მე იძულებული ვიყავი ამეღო... იაპონიის მაგალითი! დაკვირვებული მკითხველი იაპონიის ნაცვლად ადვილად იგულისხმებს რუსეთს, ხოლო კორეის ნაცვლად — ფინეთს, პოლონეთს, კურლანდიას, უკრაინას, ხივას, ბუხარას, ესტლანდიას და სხვა არა-ველიკოროსებით დასახლებულ ოლქებს.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჩემი ბროშურა მკითხველს დახმარებას გაუწევს გაერკვეს იმ ძირითად ეკონომიურ საკითხში, რომლის შეუსწავლელად არაფრის გაგება არ შეიძლება თანამედროვე ომისა და თანამედროვე პოლიტიკის შეფასებაში, სახელდობრ: იმპერიალიზმის ეკონომიური არსის საკითხში.

ა ვ ტ ო რ ი

პეტროგრადი. 1917 წლის 26 აპრილი.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 376 — 377. რ ე დ.

წინასიტყვაობა ფრანგული და გერმანული გამოცემებისათვის[76]

I

ეს წიგნი, როგორც რუსული გამოცემის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, დაწერილია 1916 წელს მეფის ცენზურის პირობებში. ამჟამად საშუალება არა მაქვს მთელი ტექსტი გადავაკეთო, და ეს, მგონია, არც იქნებოდა მიზანშეწონილი, ვინაიდან წიგნის ძირითადი ამოცანა იყო და არის: უდავო ბურჟუაზიული სტატისტიკის ნაკრები მონაცემებით და ყველა ქვეყნის ბურჟუაზიულ მეცნიერთა აღიარების მიხედვით ჩვენება იმისა, თუ როგორი იყო მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის შ ე ჯ ა მ ე ბ ი თ ი ს ურ ა თ ი, მის საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულებაში, XX საუკუნის დამდეგს, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინადღით.

მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ბევრი კომუნისტისათვის ნაწილობრივ უსარგებლოც არ იქნება დარწმუნდეს ამ, მ ე ფ ი ს ც ე ნ ზ უ რ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ლ ე გ ა ლ უ რ ი, წიგნის მაგალითით, რომ სოციალ-პაციფისტურ შეხედულებათა და «მსოფლიო დემოკრატიაზე» იმედების დამყარების მთელი სიცრუის განსამარტებლად შესაძლებელია — და აუცილებელიც — გამოყენება ლეგალობის იმ მცირე ნაშთებისაც კი, რაც კიდევ დარჩენილა კომუნისტებისათვის, ვთქვათ, თანამედროვე ამერიკასა ან საფრანგეთში მას შემდეგ, რაც იქ ამას წინათ თითქმის ყველა კომუნისტი დააპატიმრეს. ხოლო ის აუცილებელი დამატებანი, რაც ესაჭიროება ამ ცენზურაგავლილ წიგნს, მე შევეცდები გადმოვცე ამ წინასიტყვაობაში.

II

წიგნში დამტკიცებულია, რომ 1914 — 1918 წლების ომი ორივე მხრივ იმპერიალისტური (ე. ი. დაპყრობითი, მძარცველური, ყაჩაღური) ომი იყო, ომი მსოფლიოს გაყოფისათვის, კოლონიების, ფინანსური კაპიტალის «გავლენის სფეროების» განაწილებისა და გადანაწილებისათვის და ა. შ.

ვინაიდან იმის დამამტკიცებელი საბუთი, თუ როგორია ომის ნამდვილი სოციალური, ან, უკეთ: ნამდვილი კლასობრივი ხასიათი, რა თქმა უნდა, მოიპოვება არა ომის დიპლომატიურ ისტორიაში, არამედ ყველა მეომარი სახელმწიფოს მბრძანებელ კლასთა ობიექტური მდგომარეობის ანალიზში. ამ ობიექტური მდგომარეობის დასასურათებლად მაგალითები და ცალკე მონაცემები კი არ უნდა ავიღოთ (საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა უდიდესი სირთულის გამო ყოველთვის შეიძლება ყოველგვარი დებულების დასამტკიცებლად მრავალი მაგალითის ან ცალკე მონაცემების მოძებნა), არამედ აუცილებლად ერთობლივი მონაცემები ყველა მეომარი სახელმწიფოს და მთელი მსოფლიოს სამეურნეო ცხოვრების საფუძვლების შესახებ.

სწორედ ასეთი ნაკრები მონაცემები, რომელთა გაბათილება შეუძლებელია, მოყვანილი მაქვს 1876 და 1914 წლებში მსოფლიოს განაწილებისა (§ 6) და 1890 და 1913 წლებში. მთელი მსოფლიოს რკინიგზათა განაწილების სურათში (§ 7). რკინიგზები კაპიტალისტური მრეწველობის უმთავრესი დარგების, ქვანახშირისა და რკინის წარმოებათა შედეგია, მსოფლიო ვაჭრობისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცივილიზაციის განვითარების შედეგი — და ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაჩვენებელი. თუ როგორ არის დაკავშირებული რკინიგზები მსხვილ წარმოებასთან, მონოპოლიებთან, სინდიკატებთან, კარტელებთან, ტრესტებთან, ბანკებთან და ფინანსურ ოლიგარქიასთან, ეს ნაჩვენებია ამ წიგნის წინა თავებში. რკინიგზის ქსელის განაწილება, ამ განაწილების უთანაბრობა, რკინიგზის ქსელის განვითარების უთანაბრობა — ეს

არის შედეგი თანამედროვე, მონოპოლისტური კაპიტალიზმისა მსოფლიო მასშტაბით. და ეს შედეგი გვიჩვენებს იმპერიალისტური ომების აბსოლუტურ აუცილებლობას ამნაირ სამეურნეო საფუძველზე, სანამ არსებობს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება.

რკინიგზების მშენებლობა თითქოს უბრალო, ბუნებრივი, დემოკრატიული, კულტურული, ცივილიზატორული წამოწყებაა: ასეთია იგი ბურჟუაზიული პროფესორების თვალში, რომლებიც სასყიდელს იღებენ კაპიტალისტური მონობის შელამაზებისათვის, და წვრილბურჟუაზიული ფილისტერების თვალშიც. ნამდვილად კი კაპიტალისტურმა ძაფებმა, რომლებიც ათასგვარი ქსელით აკავშირებენ ამ წამოწყებებს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასთან საერთოდ, ეს მშენებლობა გადააქციეს იმ იარაღად, რომლითაც ჩაგრავენ მილიარდ ადამიანს (კოლონიები პლუს ნახევრად-კოლონიები), ე. ი. დედამიწის ნახევარზე მეტ მოსახლეობას დამოკიდებულ ქვეყნებში და კაპიტალის დაქირავებულ მონებს «ცივილიზებულ» ქვეყნებში.

კერძო საკუთრება, წვრილი მეპატრონის შრომაზე დამყარებული, თავისუფალი კონკურენცია, დემოკრატია, — ყველა ამგვარი ლოზუნგი, რითაც მუშებსა და გლეხებს ატყუებენ კაპიტალისტები და მათი პრესა, სადღაც უკან, შორს დარჩა. კაპიტალიზმი გადაიზარდა ერთი მუჭა «მოწინავე» ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის კოლონიური ჩაგვრისა და ფინანსური დათრგუნვის საერთაშორისო სისტემად. და ამ «ნადავლის» გაყოფა ხდება მთელ მსოფლიოში უძლიერეს, თავით ფეხამდე შეიარაღებულ 2 — 3 მტაცებელს შორის (ამერიკა, ინგლისი, იაპონია), რომლებიც თავიანთი ნადავლის გაყოფისათვის ატეხილ თავიანთ ომში მთელ ქვეყნიერებას ითრევენ.

III

ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა, ნაკარნახევმა მონარქიული გერმანიის მიერ, შემდეგ კი მასზე ბევრად უფრო მხეცურმა და

საზიზღარმა ვერსალის ზავმა, ნაკარნახევმა «დემოკრატიული» რესპუბლიკების, ამერიკისა და საფრანგეთის, აგრეთვე «თავისუფალი» ინგლისის მიერ, უდიდესი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას, — ამხილეს როგორც იმპერიალიზმის დაქირავებული კალმოსანნი, ისე რეაქციული მეშჩანები, რომლებიც, თუნდაც პაციფისტებსა და სოციალისტებს უწოდებდნენ თავიანთ თავს, ხოტბას ასხამდნენ «ვილსონიზმს» და ამტკიცებდნენ იმპერიალიზმის დროს მშვიდობისა და რეფორმების შესაძლებლობას.

ომის მიერ დატოვებულმა დახოცილთა და დასახიჩრებულთა ათეულმა მილიონებმა, ომისა, რომელსაც აწარმოებდნენ ომის გამო, თუ ფინანსურ ავაზაკთა რომელ ჯგუფს, ინგლისისას თუ გერმანიისას, უნდა დარჩენოდა უფრო მეტი ნადავლი, და შემდეგ ამ ორმა «საზავო ხელშეკრულებამ» — აქამდე გაუგონარი სისწრაფით აუხილეს თვალი ბურჟუაზიის მიერ დაჩაგრულ, ფეხქვეშ გათელილ, მოტყუებულ და გაბრიყვებულ მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანებს. ამრიგად, ომით გამოწვეული საყოველთაო გაჩანაგების ნიადაგზე იზრდება მსოფლიო რევოლუციური კრიზისი, რომელიც, როგორი ხანგრძლივი და მძიმე პერიპეტიებიც არ უნდა გაიაროს მან, შეუძლებელია გათავდეს სხვანაირად, თუ არ პროლეტარული რევოლუციით და მისი გამარჯვებით.

II ინტერნაციონალის ბაზელის მანიფესტი, რომელმაც 1912 წელს შეფასება მისცა სწორედ იმ ომს, 1914 წელს რომ დაიწყო, და არა საერთოდ ომს (ომები სხვადასხვანაირია, არის რევოლუციური ომებიც), ეს მანიფესტი დარჩა II ინტერნაციონალის გმირთა მთელი სამარცხვინო კრახის, მთელი მათი რენეგატობის მამხილებელ ძეგლად.

ამიტომ მე ხელახლა ვბეჭდავ ამ მანიფესტს ამ გამოცემის დამატებად და მკითხველების ყურადღებას კიდევ და ერთხელ კიდევ მივაქცევ იმ გარემოებას, რომ II ინტერნაციონალის გმირები ისეთივე მზრუნველობით უვლიან გვერდს ამ მანიფესტის იმ ადგილებს, სადაც ზუსტად, ნათლად და პირდაპირაა ლაპარაკი სწორედ ამ მომავალი ომის კავშირზე პროლეტა-

რულ რევოლუციასთან, — ისეთივე მზრუნველობით უვლიან გვერდს, როგორც ქურდი ერიდება იმ ადგილს, სადაც მას ქურდობა ჩაუდენია.

IV

ამ წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული «კაუცკელობის», იმ საერთაშორისო იდეური მიმართულების კრიტიკას, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში «გამოჩენილი თეორეტიკოსებით», II ინტერნაციონალის ბელადებით (ავსტრიაში — ოტო ბაუერი და კომპანია, ინგლისში — რამსეი მაკდონალდი და სხვ., საფრანგეთში — ალბერ ტომა და სხვ. და ა. შ.) და მრავალი სოციალისტით, რეფორმისტით, პაციფისტით, ბურჟუაზიული დემოკრატით, ხუცებით.

ეს იდეური მიმდინარეობა არის, ერთი მხრივ, II ინტერნაციონალის გახრწნის, ლპობის შედეგი, ხოლო მეორე მხრივ — წვრილი ბურჟუების იდეოლოგიის აუცილებელი ნაყოფი, ბურჟუების, რომლებიც მთელი ცხოვრების ვითარებას ბურჟუაზიულ და დემოკრატიულ ცრურწმენათა ტყვეობაში ჰყავს.

კაუცკისა და მის მსგავსთა ამგვარი შეხედულებანი სრული უარყოფაა მარქსიზმის სწორედ იმ რევოლუციური საფუძვლებისა, რომელთაც ეს მწერალი იცავდა ათეული წლების განმავლობაში, სპეციალურად, სხვათა შორის, სოციალისტური ოპორტუნიზმის (ბერნშტეინის, მილიერანის, ჰაინდმანის, გომპერსის და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ამჟამად მთელ მსოფლიოში «კაუცკელები» პრაქტიკულ-პოლიტიკურად გაერთიანდნენ უკიდურეს ოპორტუნისტებთან (II ანუ ყვითელი ინტერნაციონალის მეშვეობით) და ბურჟუაზიულ მთავრობებთან (კოალიციურ ბურჟუაზიულ მთავრობათა მეშვეობით, რომლებშიც სოციალისტები მონაწილეობენ).

მთელ მსოფლიოში მზარდ პროლეტარულ რევოლუციურ მოძრაობას საერთოდ, კომუნისტურს კი განსაკუთრებით, არ

შეუძლია გვერდი აუაროს «კაუცკელობის» თეორიული შეცდომების ანალიზსა და მხილებას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ პაციფიზმი და «დემოკრატიზმი» საერთოდ, რომლებიც სრულიად არ აცხადებენ პრეტენზიას მარქსიზმზე, მაგრამ სავსებით ისევე, როგორც კაუცკი და კომპანია, ჩქმალავენ იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა სიღრმეს და მის მიერ გამოწვეული რევოლუციური კრიზისის გარდუვალობას, — ეს მიმდინარეობანი ჯერ კიდევ მეტისმეტად ძლიერ არიან გავრცელებულნი მთელ მსოფლიოში. და ამ მიმდინარეობებთან ბრძოლა სავალდებულოა პროლეტარიატის პარტიისათვის, რომელმაც უნდა ჩამოაშოროს ბურჟუაზიას მის მიერ გაბრიყვებული წვრილი მეპატრონეები და მილიონობით მშრომელნი, რომელნიც ცხოვრების ცოტად თუ ბევრად წვრილბურჟუაზიულ პირობებში არიან ჩაყენებულნი.

V

საჭიროა რამდენიმე სიტყვის თქმა VIII თავის შესახებ: «კაპიტალიზმის პარაზიტიზმი და ლპობა». როგორც უკვე აღნიშნულია წიგნის ტექსტში, ჰილფერდინგმა, ყოფილმა «მარქსისტმა», ახლა კი კაუცკის თანამებრძოლმა და ბურჟუაზიული, რეფორმისტული პოლიტიკის ერთ-ერთმა მთავარმა წარმომადგენელმა «გერმანიის დამოუკიდებელ ს.-დ. პარტიაში» [77], ამ საკითხში ნაბიჯი გადადგა უკან ა შ კ ა რ ა პაციფისტ და რეფორმისტ, ინგლისელ ჰობსონთან შედარებით. მთელი მუშათა მოძრაობის საერთაშორისო გათიშვა ამჟამად უკვე სავსებით გამოაშკარავდა (II და III ინტერნაციონალი). თავი იჩინა აგრეთვე ამ ორ მიმდინარეობას შორის შეიარაღებული ბრძოლისა და სამოქალაქო ომის ფაქტმაც: რუსეთში კოლჩაკსა და დენიკინს ბოლშევიკების წინააღმდეგ მხარს უჭერენ მენშევიკები და «სოციალისტ-რევოლუციონერები», გერმანიაში შეიდემანელები, ნოსკე და კომპანია ბურჟუაზიასთან არიან სპარტაკელების [78] წინააღმდეგ; იგივე ხდება ფინეთში, პოლონეთში, უნგრეთში და სხვ.. რაში მდგომარეობს ამ მსოფლიო-ისტორიული მოვლენის ეკონომიური საფუძველი?

სწორედ კაპიტალიზმის პარაზიტიზმსა და ლპობაში, რაც მისი უმაღლესი ისტორიული სტადიის, ე. ი. იმპერიალიზმის, დამახასიათებელია. როგორც ამ წიგნშია დამტკიცებული, კაპიტალიზმმა გამოყო ახლა ერთი მუჭა (დედამიწის მოსახლეობის ერთ მეათედზე ნაკლები, მეტად «ბარაქიანი» და გადაჭარბებული გამრავალგარიშებით — ერთ მეხუთედზე ნაკლები) განსაკუთრებით მდიდარი და უმძლავრესი სახელმწიფოები, რომლებიც მთელ ქვეყნიერებას ძარცვავენ — «კუპონების» უბრალო «კრეჭით». კაპიტალის გატანა წელიწადში 8 — 10 მილიარდ ფრანკ შემოსავალს იძლევა, ომამდელი ფასებისა და ომამდელი ბურჟუაზიული სტატისტიკის მიხედვით. ახლა კი, რა თქმა უნდა, ბევრად მეტს.

გასაგებია, რომ ამ უზარმაზარი ზემოგებით (ვინაიდან ეს წარმოადგენს იმის გადამეტებით მიღებულ მოგებას, რასაც კაპიტალისტები «თავიანთი» ქვეყნის მუშებს გამოსწურავენ) შეიძლება მუშათა ბელადებისა და მუშათა არისტოკრატიის ზედაფენის მოსყიდვა. და «მოწინავე» ქვეყნების კაპიტალისტები კიდევაც ახერხებენ მის მოსყიდვას, — მოსყიდვას ათასგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, აშკარა თუ ფარული, საშუალებებით.

ეს ფენა გაბურჟუებული მუშებისა ანუ «მუშათა არისტოკრატიისა», რომლებიც სავსებით მეშჩანური არიან თავიანთი ცხოვრების პირობებით, ხელფასის ოდენობითა და მთელი თავიანთი მსოფლმხედველობით, წარმოადგენს II ინტერნაციონალის მთავარ დასაყრდენს, ხოლო ჩვენს დროში ბურჟუაზიის მთავარ სოციალურ (არა სამხედრო) დასაყრდენს. ვინაიდან ისინი არიან მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის ნამდვილი აგენტები, კაპიტალისტთა კლასის მუშა-ნოქრები (labor lieutenants of the capitalist class), რეფორმიზმისა და შოვინიზმის ნამდვილი გამტარებელნი. სამოქალაქო ომში პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ისინი აუცილებლად გადადიან, არცთუ მცირე რაოდენობით, ბურჟუაზიის მხარეზე, «ვერსალელების» მხარეზე «კომუნარების» წინააღმდეგ.

თუ გაგებული არ იქნა ამ მოვლენის ეკონომიური ფესვები, თუ შეფასებული არ იქნა მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ისე შეუძლებელი იქნება კომუნისტური მოძრაობისა და მომავალი სოციალური რევოლუციის პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტის სფეროში ნაბიჯის გადადგმაც კი.

იმპერიალიზმი პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინადღეა. ეს დადასტურდა 1917 წლიდან მსოფლიო მასშტაბით.

1920 წ. 6 ივლისი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«იმპერიალიზმი, როგორც
კაპიტალიზმის უმაღლესი
სტადია».—
1916 წ. იანვარი—ივნისი.

დაპატარავებულია

უკანასკნელი 15 — 20 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ესპანეთ-ამერიკის (1898) და ინგლის-ბურების (1899 — 1902) ომების შემდეგ, ძველი და ახალი ქვეყნის ეკონომიური, აგრეთვე პოლიტიკური, ლიტერატურა სულ უფრო და უფრო ხშირად ჩერდება თანამედროვე ეპოქის დასახასიათებლად «იმპერიალიზმის» ცნებაზე. 1902 წელს ლონდონსა და ნიუ-იორკში გამოვიდა ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ა. ჰობსონის თხზულება: «იმპერიალიზმი». ავტორმა, რომელიც ბურჟუაზიული სოციალ-რეფორმიზმისა და პაციფიზმის თვალსაზრისზე დგას, — რაც, არსებითად, ემსგავსება ყოფილი მარქსისტის კ. კაუცკის ახლანდელ პოზიციას, — იმპერიალიზმის ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისებურებათა ძალიან კარგი და საფუძვლიანი აღწერილობა მოგვცა. 1910 წელს ვენაში გამოვიდა ავსტრიელი მარქსისტის რუდოლფ ჰილფერდინგის თხზულება: «ფინანსური კაპიტალი» (რუსული თარგმანი: მოსკოვი, 1912). მიუხედავად ავტორის შეცდომისა ფულის თეორიის საკითხში და განსაზღვრული მიდრეკილებისა — შეარიგოს მარქსიზმი და ოპორტუნიზმი, ეს თხზულება წარმოადგენს «კაპიტალიზმის განვითარების უახლესი ფაზის» — ასეა ნათქვამი ჰილფერდინგის წიგნის ქვესათაურში — ფრიად ძვირფას თეორიულ ანალიზს. არსებითად, ის, რაც კი თქმულა ამ უკანასკნელ წლებში იმპერიალიზმის შესახებ — განსაკუთრებით ამ თემაზე დაწერილ აურაცხელ საჟურნალო და საგაზე-

თო სტატიებში, აგრეთვე, მაგ., 1912 წლის შემოდგომაზე შემდგარ ხემნიცისა და ბაზელის კონგრესთა რეზოლუციებში, — ნაკლებად თუ გასცილებია იმ იდეათა რკალს, რომელნიც ამ ორ დასახელებულ ავტორს აქვს გადმოცემული ან, უკეთ, შეჯამებული...

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ, რაც შეიძლება პოპულარული ფორმით, იმპერიალიზმის ძირითად ეკონომიურ თავისებურებათა კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. საქმის არაეკონომიურ მხარეზე, რაგინდ ყურადღების ღირსიც იყოს ის, ჩვენ ვერ შევჩერდებით. ლიტერატურის დასახელებას და სხვა შენიშვნებს, რაც ყველა მკითხველისათვის როდია საინტერესო, ბროშურის ბოლოში მოვათავსებთ.

I. წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლიები

მრეწველობის უდიდესი ზრდა და სულ უფრო და უფრო მსხვილ საწარმოებში წარმოების თავმოყრის გასაოცრად სწრაფი პროცესი კაპიტალიზმის ერთი უაღრესად დამახასიათებელი თავისებურებათაგანია. ამ პროცესის შესახებ ყველაზე სრულ და ზუსტ მონაცემებს თანამედროვე სამრეწველო აღწერები გვაწვდის.

გერმანიაში, მაგალითად, ყოველი ათასი სამრეწველო საწარმოდან მსხვილი, ე. ი. ისეთი, სადაც 50-ზე მეტი დაქირავებული მუშაა, 1882 წელს იყო 3; 1895 წელს — 6, ხოლო 1907 წელს — 9. ამ საწარმოებზე მოდიოდა ყოველი ასი მუშიდან: 22, 30 და 37. მაგრამ წარმოების კონცენტრაცია გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მუშების კონცენტრაცია, რადგან მსხვილ საწარმოებში შრომა ბევრად უფრო ნაყოფიერია. ამას მოწმობს მონაცემები ორთქლის მანქანებისა და ელექტროძრავების შესახებ. რომ ავიღოთ ის, რასაც გერმანიაში მრეწველობას უწოდებენ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ე. ი. თუ მასში ჩავთვლით ვაჭრობასაც, სამიმოსვლო საშუალებებსაც და სხვ., შემდეგ სურათს მივიღებთ. მსხვილი

საწარმოა 3 265 623-დან 30 588, ე. ი. სულ 0,9%. მათ ჰყავთ 14,4 მილიონი მუშიდან 5,7 მილიონი, ე. ი. 39,4%; ორთქლის ცხენის ძალა 8,8 მილიონიდან აქვთ 6,6 მილიონი, ე. ი. 75,3%; ელექტროძალა — 1,2 მილიონი კილოვატი 1,5 მილიონიდან, ე. ი. 77,2%.

საწარმოთა ერთ მეასედზე ნაკლებ რაოდენობას ეკუთვნის ორთქლის ძალისა და ელექტროძალის საერთო რაოდენობის ³/₄-ზ ე მ ე ტ ი! 2,97 მილიონ წვრილ (სადაც ხუთამდე დაქირავებული მუშაა) საწარმოზე, რაც ყველა საწარმოთა საერთო რიცხვის 91%-ს შეადგენს, მოდის ორთქლის ძალისა და ელექტროძალის მხოლოდ 7%! ათეული ათასობით უმსხვილესი საწარმოები — ყველაფერია; მილიონობით წვრილი საწარმოები — არაფერი.

გერმანიაში 1907 წელს ისეთი საწარმონი, რომელთაც 1 000 და მეტი მუშა ჰყავდათ, იყო 586. მათ ეკუთვნოდათ თითქმის მ ე ა თ ე დ ი (1,38 მილიონი) მუშათა საერთო რიცხვისა და თ ი თ ქ მ ი ს მ ე ს ა მ ე დ ი (32%) ორთქლის ძალის და ელექტროძალის მთელი რაოდენობისა*. ერთ მუჭა უმსხვილეს საწარმოთა ამ უპირატესობას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფულადი კაპიტალი და ბანკები უფრო მეტად მძლეს ხდიან, თანაც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. მილიონობით წვრილი, საშუალო და მსხვილი «მეპატრონეების» ნაწილიც კი სინამდვილეში სრულებით დამონებული ჰყავს რამდენიმე ასეულ მილიონერ-ფინანსისტს.

თანამედროვე კაპიტალიზმის მეორე მოწინავე ქვეყანაში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, წარმოების კონცენტრაციის ზრდა კიდევ უფრო ძლიერია. აქ სტატისტიკა ცალკე გამოყოფს მრეწველობას, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, და საწარმოებს აჯგუფებს წლიური პროდუქტის ღირებულების სიდიდის მიხედვით. 1904 წელს უმსხვილესი საწარმონი, ერთი მილიონი დოლარისა და მეტის წარმოებით,

---

* ციფრების ჯამი მოყვანილია წიგნიდან Annalen des deutschen Reichs, 1911, Zahn (გერმანიის სახელმწიფოს ანალები, 1911. ცანი. რ ე დ.).

იყო 1 900 (216 180-დან, ე. ი. 0,9%), — მათ ჰყავდათ 1,4 მილიონი მუშა (5,5 მილიონიდან, ე. ი. 25,6%) და ჰქონდათ 5,6 მილიარდის წარმოება (14,8 მილიარდიდან, ე. ი. 38%). ხუთი წლის შემდეგ, 1909 წელს, სათანადო ციფრები იყო: 3 060 საწარმო (268 491-დან; — 1,1%) 2,0 მილიონი მუშით (6,6-დან; — 30,5%) და 9,0 მილიარდის წარმოებით (20,7 მილიარდიდან; — 43,8%) *.

ამ ქვეყნის ყველა საწარმოს მთელი წარმოების თითქმის ნახევარი საწარმოთა საერთო რიცხვის ერთი მეასედი ნაწილის ხელშია! და ეს სამი ათასი ბუმბერაზი-საწარმო მრეწველობის 258 დარგს მოიცავს. აქედან ცხადია, რომ კონცენტრაციას, მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, თავისთავად მივყავართ, შეიძლება ითქვას, პირდაპირ მონოპოლიამდე. ვინაიდან რამდენიმე ათეულ უზარმაზარ დაწესებულებას ადვილად შეუძლია ერთმანეთს შორის შეთანხმება, ხოლო მეორე მხრივ, კონკურენციის გაძნელებას, მონოპოლიისადმი ტენდენციას სწორედ საწარმოთა სიდიდე წარმოშობს. კონკურენციის ასეთი გადაქცევა მონოპოლიად უახლესი კაპიტალიზმის ეკონომიკის ერთ-ერთი — თუ არა ერთადერთი — უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, და ჩვენთვის აუცილებელია მასზე დაწვრილებით შეჩერება. მაგრამ ჯერ ერთი შესაძლებელი გაუგებრობა უნდა ავიშოროთ თავიდან.

ამერიკის სტატისტიკა ამბობს: მრეწველობის 250 დარგში 3 000 ბუმბერაზი საწარმოაო. გამოდის, თითქოს თვითეულ დარგში სულ რაღაც 12 უმსხვილესი საწარმო იყოს.

მაგრამ ეს ასე არ არის. მრეწველობის ყველა დარგში როდია დიდი საწარმოები; ხოლო მეორე მხრივ, განვითარების უმაღლეს საფეხურს მიღწეული კაპიტალიზმის უაღრესად მნიშვნელოვანი თავისებურებაა ეგრეთწოდებული კომბინაცია, ე. ი. ერთ საწარმოში მრეწველობის სხვადასხვა დარგთა გაერთიანება, რომლებიც ან ნედლი მასალის დამუშა-

* Statistical Abstract of the United States 1912, p. 202 (შეერთებული შტატების სტატისტიკური კრებული, 1912 წ., გვ. 202. რ ე დ.).

ვების თანამიმდევარ საფეხურებს წარმოადგენენ (მაგალითად, თუჯის გამოდნობა მადნისაგან და თუჯის გარდაქმნა ფოლადად, შემდეგ კი, შეიძლება, ამა თუ იმ მზა პროდუქტის წარმოება ფოლადისაგან), — ან ერთმანეთისადმი დამხმარე როლს ასრულებენ (მაგ., ნარჩენების ან თანაპროდუქტების დამუშავება; საფუთავი საგნების წარმოება და ა. შ.).

«კომბინაცია — წერს ჰილფერდინგი — ათანაბრებს კონიუნქტურის სხვადასხვაობას და ამიტომ კომბინირებული საწარმოსათვის მოგების ნორმის მეტ სიმყარეს უზრუნველყოფს. მეორეც, კომბინაციას მივყავართ ვაჭრობის გაქრობამდე. მესამეც, იგი შესაძლებელს ხდის ტექნიკურ გაუმჯობესებებს და, მაშასადამე, «წმინდა» (ე. ი. არა კომბინირებულ) საწარმოებთან შედარებით დამატებითი მოგების მიღებასაც. მეოთხეც, იგი ამაგრებს კომბინირებული საწარმოს პოზიციას «წმინდა» საწარმოსთან შედარებით, — აძლიერებს მას საკონკურენციო ბრძოლაში ძლიერი დეპრესიის (საქმიანობის შეფერხების, კრიზისის) დროს, როდესაც ნედლეულის ფასების დაწევა ჩამორჩება ხოლმე ფაბრიკატების ფასის დაწევას» *.

გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ჰეიმანი, რომელმაც ცალკე თხზულება უძღვნა გერმანიის რკინის მრეწველობის «შერეულ», ე. ი. კომბინირებულ საწარმოთა აღწერას, ამბობს: «წმინდა საწარმონი იღუპებიან; მათ სრესს მასალის მაღალი ფასები იმ დროს, როცა მზა პროდუქტებზე დაბალი ფასები არსებობს». ვღებულობთ ასეთ სურათს: «დარჩენილან, ერთი მხრივ, ქვანახშირის დიდი კომპანიები, რამდენიმე მილიონი ტონა ქვანახშირის ამოღებით, მტკიცედ შეკავშირებულნი თავიანთ ქვანახშირის სინდიკატში; შემდეგ კი — მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ფოლადის ჩამომსხმელი დიდი ქარხნები თავიანთი ფოლადის სინდიკატით. ეს ბუმბერაზი საწარმონი 400 000 ტონა (ტონაში 60 ფუთია) ფოლადის წარმოებით წელიწადში, დიდძალი მადნისა და ქვანახშირის ამოღებით,

* «ფინანსური კაპიტალი», რუს. თარგმ., გვ. 286 — 287.

ფოლადის ნაწარმის დამზადებით, საქარხნო დაბების ყაზარმებში მცხოვრები 10 000 მუშით, ზოგჯერ საკუთარი რკინიგზებითა და ნავსადგურებით, — გერმანიის რკინის მრეწველობის ტიპიური წარმომადგენლები არიან. და კონცენტრაცია სულ უფრო და უფრო წინ მიდის. ცალკეული საწარმონი თანდათან სულ უფრო მსხვილ საწარმოებად იქცევიან; მრეწველობის ერთი და იმავე ან სხვადასხვა დარგის საწარმოთა სულ უფრო მეტი რიცხვი ერთდება ბუმბერაზულ საწარმოებად, რომელთა ბურჯსაც და ხელმძღვანელსაც ბერლინის ექვსიოდე დიდი ბანკი წარმოადგენს. გერმანიის სამთამადნო მრეწველობის მიმართ სავსებით დამტკიცდა სისწორე კარლ მარქსის მოძღვრებისა კონცენტრაციის შესახებ; მართალია, ეს შეეხება იმ ქვეყანას, სადაც მრეწველობა დაცულია მფარველობითი ბაჟებით და საგადაზიდვო ტარიფებით. გერმანიის სამთამადნო მრეწველობა მომწიფებულია ექსპროპრიაციისათვის» *.

ასეთ დასკვნამდე უნდა მისულიყო გამონაკლისის სახით კეთილსინდისიერი ბურჟუაზიული ეკონომისტი. უნდა აღინიშნოს, რომ იგი გერმანიას თითქოს ცალკე გამოყოფს, ვინაიდან გერმანიის მრეწველობა მფარველობითი მაღალი ბაჟებით არის დაცული. მაგრამ ამ გარემოებას შეეძლო მხოლოდ დაეჩქარებინა კონცენტრაცია და მეწარმეთა მონოპოლისტური კავშირების, კარტელების, სინდიკატებისა და სხვ. წარმოშობა. ფრიად საყურადღებოა, რომ თავისუფალი ვაჭრობის ქვეყანაში, ინგლისში, კონცენტრაციას ასევე მონოპოლია მოსდევს შედეგად, თუმცა ცოტაოდენ გვიან და შეიძლება სხვა ფორმითაც. აი რას წერს პროფესორი ჰერმან ლევი სპეციალურ გამოკვლევაში «მონოპოლიების, კარტელებისა და ტრესტების» შესახებ დიდი ბრიტანეთის ეკონომიური განვითარების ცნობების მიხედვით:

---

* Hans Gideon Heymann: «Die gemischten Werke im deutschen Grosseisengewerbe». Stuttgart, 1904 (SS. 256, 278) (ჰანს გიდეონ ჰეიმანი. «შერეული საწარმონი გერმანიის მსხვილ რკინის მრეწველობაში». შტუტგარტი, 1904 (გვ. 256, 278). რ ე დ.).

«დიდ ბრიტანეთში საწარმოთა სწორედ უზარმაზრობა და მათი მაღალი ტექნიკური დონე ატარებს თავის წიაღში ტენდენციას მონოპოლიისადმი. ერთი მხრივ, კონცენტრაციამ ის გამოიწვია, რომ საჭირო ხდება საწარმოსათვის აურაცხელი კაპიტალის დახარჯვა; ამიტომ ახალ საწარმოებს სულ უფრო მეტი მოთხოვნილებები უჩნდება აუცილებელი კაპიტალის სიდიდის აზრით, რაც აბრკოლებს მათ გაჩენას. მეორე მხრივ კი (და ეს პუნქტი უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია), ყოველი ახალი საწარმო, რომელსაც სურს კონცენტრაციით შექმნილ ბუმბერაზულ საწარმოთა დონეზე იდგეს, პროდუქტებს ისეთი ჭარბი რაოდენობით უნდა აწარმოებდეს, რომ მათი გაყიდვა მოგებით შესაძლებელი გახდეს მხოლოდ მაშინ, თუ მოთხოვნილება არაჩვეულებრივად გაიზრდება; წინააღმდეგ შემთხვევაში კი პროდუქტების ასეთი სიჭარბე ფასებს ისეთ დონემდე დაწევს, რაც ხელსაყრელი არ იქნება არც ახალი ქარხნისათვის და არც მონოპოლისტური კავშირებისათვის». ინგლისში მეწარმეთა მონოპოლისტური კავშირები, კარტელები და ტრესტები, — სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მფარველობითი ბაჟები აადვილებენ კარტელირებას, — მეტწილად მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როდესაც უმთავრეს მეტოქე საწარმოთა რიცხვი «რაღაც ორიოდე დუჟინამდე» თუ აღწევს. «კონცენტრაციის გავლენა მსხვილ მრეწველობაში მონოპოლიის გაჩენაზე აქ კრისტალური სიმკვეთრით მოჩანს» *.

ნახევარი საუკუნის წინათ, როდესაც მარქსი თავის «კაპიტალს» წერდა, ეკონომისტების დიდ უმრავლესობას თავისუფალი კონკურენცია «ბუნების კანონად» მიაჩნდა. კაზიონური მეცნიერება შეეცადა სიჩუმის შეთქმულებით ჩაეკლა მარქსის თხზულება, რომელმაც კაპიტალიზმის თეორიული და ისტორიული ანალიზით დაამტკიცა, რომ თავისუფალი კონკურენცია წარმოშობს წარმოების კონცენტრაციას, ხოლო ეს

* Hermann Levy: «Monopole, Kartelle und Trusts», Jena, 1909, SS. 286, 290, 298 (ჰერმან ლევი. «მონოპოლიები, კარტელები და ტრესტები». იენა, 1909, გვ. 286, 290, 298. რ ე დ.).

კონცენტრაცია თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მონოპოლიას იწვევს. ახლა მონოპოლია უკვე ფაქტია. ეკონომისტები მთელ გროვა წიგნებს წერენ, აღწერენ მონოპოლიის ცალკეულ გამოხატულებებს და კვლავ ერთხმად აცხადებენ: «მარქსიზმი გაბათილებულიაო». მაგრამ, როგორც ინგლისური ანდაზა ამბობს, ფაქტები ჯიუტი რამაა, და მათ ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიონ. ფაქტები მოწმობენ, რომ განსხვავება ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, მაგ., პროტექციონიზმის ან თავისუფალი ვაჭრობის მხრივ, იწვევს მხოლოდ არაარსებითს განსხვავებებს მონოპოლიათა ფორმისა ან მათი წარმოშობის ვადების მხრივ, ხოლო წარმოების კონცენტრაციის მიერ მონოპოლიის წარმოშობა საზოგადოდ კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე სტადიის საერთო და ძირითადი კანონია.

ევროპისათვის შეიძლება საკმაო სიზუსტით დავადგინოთ ის დრო, როდესაც მოხდა ძველი კაპიტალიზმის საბოლოოდ შეცვლა ახლით: ეს არის სახელდობრ XX საუკუნის დამდეგი. «მონოპოლიათა შექმნის» ისტორიის შესახებ დაწერილ ერთ-ერთ უახლეს ნაკრებ ნაშრომში ვკითხულობთ:

«1860 წლის წინა დროის ეპოქიდან შეიძლება დავასახელოთ კაპიტალისტურ მონოპოლიათა ცალკე მაგალითები; შეიძლება მათში აღმოვაჩინოთ იმ ფორმების ჩანასახები, რომლებიც ახლა ასე ჩვეულებრივია; მაგრამ ყოველივე ეს კარტელებისათვის უთუოდ წინაისტორიული ხანაა. თანამედროვე მონოპოლიათა ნამდვილი დასაწყისი მიეკუთვნება ხანას არა უადრეს 1860-იანი წლებისა. მონოპოლიათა განვითარების პირველი დიდი პერიოდი იწყება 1870-იანი წლების მრეწველობის საერთაშორისო შეფერხებით და გრძელდება 1890-იანი წლების დამდეგამდე». «საქმეს თუ ევროპის მასშტაბით განვიხილავთ, თავისუფალი კონკურენციის განვითარების ზღვრულ ხანას 60-იანი და 70-იანი წლები წარმოადგენენ. მაშინ დაამთავრა ინგლისმა თავისი ძველი სტილის კაპიტალისტური ორგანიზაციის აგება. გერმანიაში ამ ორგანიზაციამ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა ხელოსნობასა და შინამრეწველობას

და დაიწყო თავისთვის არსებობის საკუთარი ფორმების შექმნა».

«დიდი გადატრიალება იწყება 1873 წლის კრახით ან, უკეთ, იმ დეპრესიით, რომელიც ამ კრახს მოჰყვა და რომელიც — 80-იანი წლების დასაწყისის ოდნავ შესამჩნევი შეჩერებისა და დაახლოებით 1889 წლის არაჩვეულებრივ ძლიერი, მაგრამ ხანმოკლე აღმავლობის გამოკლებით — გრძელდება ევროპის ეკონომიური ისტორიის 22 წლის მანძილზე». — «1889 — 1890 წლების აღმავლობის ხანმოკლე პერიოდის დროს კარტელებით დიდად სარგებლობდნენ კონიუნქტურის გამოსაყენებლად. მოუფიქრებელი პოლიტიკა ფასებს მაღლა წევდა კიდევ უფრო სწრაფად და უფრო ძლიერად, ვიდრე ეს უკარტელებოდ მოხდებოდა; ამიტომ თითქმის ყველა ეს კარტელი უსახელოდ ჩაესვენა «გაკოტრების საფლავში». გავიდა კიდევ უხეირო საქმიანობისა და დაბალი ფასების ხუთი წელი, მაგრამ მრეწველობაში წინანდელი განწყობილება კი აღარ მეფობდა. დეპრესიას აღარავინ თვლიდა რაღაც ისეთ რამედ, რაც თავისთავად იგულისხმება, იგი მიაჩნდათ მხოლოდ შესვენებად ახალი ხელსაყრელი კონიუნქტურის წინ.

«და აი დადგა საკარტელო მოძრაობის მეორე ეპოქა. წარმავალი მოვლენის მაგივრად კარტელები მთელი სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი საფუძველი ხდებიან. ისინი ზედიზედ იპყრობენ მრეწველობის სხვადასხვა დარგს, უწინარეს ყოვლისა კი — ნედლი მასალის დამუშავებას. უკვე 1890-იანი წლების დამდეგს კარტელებმა კოქსის სინდიკატის ორგანიზაციაში, რომლის ნიმუშის მიხედვითაც შექმნილია ქვანახშირის სინდიკატი, ისეთი საკარტელო ტექნიკა შეიმუშავეს, რომელსაც არსებითად ვერ გასცილებია მოძრაობა. XIX საუკუნის დამლევის დიდი აღმავლობა და 1900 — 1903 წლების კრიზისი — ყოველ შემთხვევაში სამთამადნო და რკინის მრეწველობაში — პირველად იდგა მთლად კარტელების ნიშანქვეშ. და თუ მაშინ ეს რაღაც ახალ რამედ ეჩვენებოდათ, ახლა ფართო საზოგადოებრივი შეგნებისათვის უკვე ცხადზე უცხადეს ჭეშმარიტებად იქცა, რომ სამეურნეო ცხოვრების დიდი

ნაწილები, როგორც საერთო წესი, გამორიცხული არიან თავისუფალი კონკურენციიდან» *.

ამრიგად, აი მონოპოლიათა ისტორიის ძირითადი შედეგები: 1) 1860-იანი და 1870-იანი წლები თავისუფალი კონკურენციის განვითარების უმაღლესი, ზღვრული საფეხურია. მონოპოლიები მხოლოდ ოდნავ შესამჩნევ ჩანასახს წარმოადგენენ. 2) 1873 წლის კრიზისის შემდეგ იწყება კარტელების განვითარების ფართო ზოლი, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ გამონაკლისს შეადგენენ. ისინი ჯერ კიდევ არ არიან მტკიცენი. ისინი ჯერ კიდევ წარმავალ მოვლენას წარმოადგენენ. 3) XIX საუკუნის დამლევის აღმავლობა და 1900—1903 წლების კრიზისი: კარტელები მთელი სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი საფუძველი ხდებიან. კაპიტალიზმი გადაიქცა იმპერიალიზმად.

კარტელები უთანხმდებიან ერთმანეთს გაყიდვის პირობების, გადახდის ვადებისა და სხვ. შესახებ. ისინი ურთიერთშორის იყოფენ გასაღების სფეროებს. ისინი განსაზღვრავენ დასამზადებელ პროდუქტთა რაოდენობას. ისინი აწესებენ ფასებს. ისინი ანაწილებენ მოგებას ცალკეულ საწარმოთა შორის და სხვ.

გერმანიაში კარტელების დაახლოებითი რიცხვი შემდეგი იყო: 1896 წელს — 250, ხოლო 1905 წელს — 385; მათში მონაწილეობდა 12 000-მდე საწარმო **. მაგრამ ყველანი აღიარე-

---

* Th. Vogelstein: «Die finanzielle Organisation der kapitalistischen Industrie und bie Monopolbildungen» «Grundriss der Sozialökonomik»-ში, VI Abt., Tüb. 1914 (თ. ფოგელშტეინი. «კაპიტალისტური მრეწველობის ფინანსური ორგანიზაცია და მონოპოლიების წარმოშობა», «სოციალური ეკონომიკის საფუძვლებში», VI განყოფილება, ტიუბინგენი, 1914. რ ე დ.). შდრ. იმავე ავტორის: «Organisationsformen der Eisenindustrie und Textilindustrie in England und Amerika». Bd. I, Lpz. 1910 («ინგლისისა და ამერიკის რკინისა და საფეიქრო მრეწველობის ორგანიზაციული ფორმები», ტომი I, ლეიფციგი, 1910. რ ე დ.).

** Dr. Riesser: «Die deutschen Grossbanken und ihre Konzentration im Zusammenhange mit der Entwicklung der Gesamtwirtschaft in Deutschland». 4. Aufl. 1912, S. 149. — R. Liefmann:

ბენ, რომ ეს ციფრები შემცირებულია. გერმანიის 1907 წ. სამრეწველო სტატისტიკის ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 12 000 უმსხვილესი საწარმოს ხელშიც კი, ალბათ, თავმოყრილია ორთქლის ძალისა და ელექტროძალის საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრესტების რიცხვი 1900 წელს იყო 185; 1907 წელს — 250. ამერიკის სტატისტიკა ყველა სამრეწველო საწარმოს ყოფს შემდეგნაირად: კერძო პირების, ფირმებისა და კორპორაციების საკუთრებაში მყოფნი. უკანასკნელთ ეკუთვნოდა 1904 წელს — 23,6%, 1909 წელს — 25,9%, ე. ი. საწარმოთა საერთო რიცხვის მეოთხედზე მეტი. ამ საწარმოებში მუშები იყო 1904 წელს — 70,6%, ხოლო 1909 წელს — 75,6%, საერთო რიცხვის სამი მეოთხედი; წარმოების ოდენობა იყო 10,9 და 16,3 მილიარდი დოლარი, ე. ი. მთელი ჯამის 73,7% და 79,0%.

ხშირად კარტელებისა და ტრესტების ხელში გროვდება მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მთელი წარმოების შვიდი-რვა მეათედი. რეინ-ვესტფალიის ქვანახშირის სინდიკატის ხელში მისი დაარსების დროს 1893 წელს თავმოყრილი იყო ხსენებული რაიონის ნახშირის მთელი წარმოების 86,7%, ხოლო 1910 წელს უკვე 95,4% *. ამ გზით შექმნილი მონოპოლია უზრუნველყოფს უდიდეს შემოსავალს და ხელს უწყობს უზომოდ დიდი ტექნიკურ-საწარმოო ერთეულების გაჩენას. შეერ-

---

«Kartelle und Trusts und die Weiterbildung der volkswirtschaftlichen Organisation». 2. Aufl. 1910. S. 25 (დ-რი რისერი. «გერმანიის დიდი ბანკები და მათი კონცენტრაცია გერმანიის მეურნეობის საერთო განვითარებასთან დაკავშირებით». მე-4 გამოც., 1912, გვ. 149. — რ. ლიფმანი. «კარტელები და ტრესტები და სახალხო-სამეურნეო ორგანიზაციების შემდგომი განვითარება». მე-2 გამოც., 1910, გვ. 25. რ ე დ.).

* Dr. Fritz Kestner: «Der Organisationszwang. Eine Untersuchung über die Kämpfe zwischen Kartellen und Aussenseitern». Brl. 1912, გვ. 11 (დ-რი ფრიც კესტნერი. «ორგანიზების დაძალება. გამოკვლევა კარტელებსა და «გარეშეებს» შორის წარმოებული ბრძოლის შესახებ». ბერლინი. რ ე დ.).

თებული შტატების ცნობილი ნავთის ტრესტი (Standard Oil Company) დაარსებულ იქნა 1900 წელს. «მისი კაპიტალი 150 მილიონ დოლარს უდრიდა. გამოშვებული იყო ჩვეულებრივი აქციები 100 მილიონისა, ხოლო პრივილეგიური — 106 მილიონისა. ამ უკანასკნელთა დივიდენდის სახით გადახდილი იყო 1900 — 1907 წლებში: 48, 48, 45, 44, 36, 40, 40, 40%, სულ 367 მილიონი დოლარი. 1882-დან 1907 წლამდე წმინდა მოგება მიღებული იყო 889 მილიონი დოლარი; ამ თანხიდან 606 მილიონი დივიდენდად იქნა დარიგებული, დანარჩენი კი სათადარიგო კაპიტალში ჩაირიცხა» *. «ფოლადის ტრესტის (United States Steel Corporation) ყველა საწარმოში 1907 წელს იყო არა ნაკლებ 210 180 მუშა-მოსამსახურისა. გერმანიის სამთამადნო მრეწველობის ყველაზე დიდ საწარმოს, გელზენკირხენის სამთამადნო საზოგადოებას (Gelsenkirchener Bergwerksgesellschaft), 1908 წელს ჰყავდა 46 048 მუშა და მოსამსახურე» **. ჯერ კიდევ 1902 წელს ფოლადის ტრესტი აშზადებდა 9 მილიონ ტონა ფოლადს ***. მისი ფოლადის წარმოება შეადგენდა შეერთებული შტატების ფოლადის მთელი წარმოების 66,3%-ს 1901 წელს, ხოლო 1908 წელს — 56,1%-ს****; მადნის ამოღება კი — 43,9%-ს და 46,3%-ს იმავე წლებში.

ამერიკის მთავრობის კომისიის ანგარიშში ტრესტების შესახებ ვკითხულობთ: «კონკურენტებთან შედარებით მათი უპირატესობა ემყარება მათი საწარმოების დიდ მოცულობასა და ტექნიკის ჩინებულად დაყენებას. თამბაქოს ტრესტი თავისი

* R. Liefmann: «Beteiligungs- und Finanzierungsgesellschaften. Eine Studie über den modernen Kapitalismus und das Effektenwesen». 1. Aufl., Jena, 1909, გვ. 212. (რ. ლიფმანი. «მონაწილეობისა და დაფინანსების საზოგადოებანი. ნარკვევი თანამედროვე კაპიტალიზმისა და ფასიანი ქაღალდების როლის შესახებ». 1-ლი გამოცემა, იენა. რ ე დ.).

** იქვე, გვ. 218.

*** Dr. S. Tschierschky: «Kartell und Trust». Gött., 1903, გვ. 13 (დ-რი ს. ჩირშკი. «კარტელი და ტრესტი». გეტინგენი. რ ე დ.).

**** Th. Vogelstein: «Organisationsformen», გვ. 275 (თ. ფოგელშტეინი. «ორგანიზაციის ფორმები». რ ე დ.).

დაარსებიდანვე ყოველ საშუალებას ხმარობდა, რათა ხელით შრომა ყველგან ფართოდ შეეცვალა მანქანური შრომით. ამ მიზნით იგი ყიდულობდა ყველა პატენტს, რომელსაც კი რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა თამბაქოს დამუშავებასთან, და ამაზე აუარებელი თანხები დახარჯა. მრავალი პატენტი თავდაპირველად გამოუსადეგარი აღმოჩნდა, და მათი გადამუშავება უხდებოდათ ტრესტის სამსახურში მყოფ ინჟინრებს. 1906 წლის დამლევს შეიქმნა ორი ფილიალური საზოგადოება, რომელთა ერთადერთი მიზანი მხოლოდ პატენტების შესყიდვა იყო. ამავე მიზნით ტრესტმა დააარსა თავისი სამსხმელო, სამანქანო ფაბრიკები და შემკეთებელი სახელოსნოები. ერთ-ერთ ასეთ საწარმოში, ბრუკლინში, საშუალოდ 300 კაცი მუშაობს; აქ ხდება ცდები პაპიროსის, პატარა სიგარების, ბურნუთის, შესაფუთავი ფურცლოვანი ქაღალის, კოლოფებისა და სხვ. წარმოებისათვის საჭირო მანქანების გამოსაგონებლად; აქვე ხდება გამოგონებათა გაუმჯობესებაც» *. «სხვა ტრესტებსაც ჰყავთ სამსახურში ეგრეთწოდებული developping engineers (ინჟინრები ტექნიკის განსავითარებლად), რომელთა დანიშნულებაა წარმოების ახალ ხერხთა გამოგონება და ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამოცდა. ფოლადის ტრესტი დიდ ჯილდოს აძლევს თავის ინჟინრებსა და მუშებს ისეთ გამოგონებათათვის, რომელთა საშუალებით შეიძლება ტექნიკის ამაღლება ან ხარჯების შემცირება» **.

ამგვარადვეა მოწყობილი ტექნიკურ გაუმჯობესებათა საქმე გერმანიის მსხვილ მრეწველობაში, მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში, რომელიც ასე ბუმბერაზულად გაიზარდა ამ

---

* Report of the Commissioner of Corporations on the Tobacco Industry. Washington. 1909, გვ. 266 (მოხსენება კომისიის წევრისა თამბაქოს მრეწველობის გაერთიანებათა შესახებ. ვაშინგტონი. რ ე დ.) — მოყვანილია წიგნიდან — Dr. Paul Tafel: «Die nordamerikanischen Trusts und ihre Wirkungen auf den Fortschritt der Technik», Stuttgart. 1913, გვ. 48 (დ-რი პაულ ტაფელი. «ჩრდილოეთ ამერიკის ტრესტები და მათი გავლენა ტექნიკის განვითარებაზე». შტუტგარტი. რ ე დ.).

** იქვე, გვ. 49.

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში. წარმოების კონცენტრაციის პროცესმა მრეწველობის ამ დარგში უკვე 1908 წლისათვის შექმნა ორი მთავარი «ჯგუფი», რომლებიც აგრეთვე მონოპოლიას უახლოვდებოდნენ თავისებურად. პირველ ხანებში ეს ჯგუფები წარმოადგენდნენ «ორთა კავშირს» ორი წყვილი უდიდესი ფაბრიკისას, რომელთაგან თვითეულის კაპიტალი უდრიდა 20 — 21 მილიონ მარკას: ერთი მხრივ, აქ იყო მაისტერის ყოფილი ფაბრიკა ჰოხსტსა და კასელში — მაინის ფრანკფურტში, მეორე მხრივ — ანილინისა და სოდის ფაბრიკა ლიუდვიგსჰავენში და ფაბრიკა ყოფ. ბაიერისა — ელბერფელდში. შემდეგ 1905 წელს ერთი ჯგუფი, ხოლო 1908 წელს მეორე ცალ-ცალკე შეუთანხმდა კიდევ ერთ დიდ ფაბრიკას. შეიქმნა ორი «სამთა კავშირი», 40 — 50 მილიონ მარკამდე კაპიტალით თვითეული, და ამ «კავშირთა» შორის მალე დაიწყო «დაახლოება», «ხელშეკრულებათა» დადება ფასების შესახებ და სხვ. *.

კონკურენცია მონოპოლიად იქცევა. ხდება წარმოების განსაზოგადოების გიგანტური პროგრესი. კერძოდ, საზოგადოებრივდება ტექნიკურ გამოგონებათა და გაუმჯობესებათა პროცესიც.

ეს უკვე სრულიადაც ის აღარაა, რაც ძველებური თავისუფალი კონკურენცია დაქსაქსულ და ერთმანეთისათვის უცნობ მეპატრონეთა, რომელნიც საქონელს ამზადებენ უცნობ ბაზარზე გასასაღებლად. კონცენტრაციამ იქამდე მიაღწია, რომ შეიძლება დაახლოებით აღირიცხოს ნედლი მასალის ყველა წყარო (მაგალითად, რკინის მადნის საბადოები) ამა თუ იმ ქვეყანაში ან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთელ რიგ ქვეყნებში, მთელ მსოფლიოშიც კი. ამნაირი აღრიცხვა არა მარტო ხდება, არამედ ამ წყაროებს კიდევაც ხელთ იგდებენ უზარმაზარი მონოპოლისტური კავშირები. ხდება ბაზრის სიდიდის

* Riesser, დასახ. თხზ., გვ. 547 და შემდ. მე-3 გამოცემის მიხედვით. გაზეთები იტყობინებიან (1916 წ. ივნისი) ახალი გიგანტური ტრესტის დაარსებაზე, რომელიც გერმანიის ქიმიურ მრეწველობას აერთიანებს.

დაახლოებითი აღრიცხვა, და მას ეს კავშირები ხელშეკრულებითი შეთანხმებით ურთიერთშორის «იყოფენ». ხდება გაწვრთნილი მუშა-ძალის მონოპოლიზება, ქირაობენ საუკეთესო ინჟინრებს, ხელში იგდებენ გზებსა და მიმოსვლის საშუალებებს — რკინიგზებს ამერიკაში, სანაოსნო საზოგადოებებს ევროპასა და ამერიკაში. იმპერიალისტურ სტადიაში მყოფ კაპიტალიზმს პირდაპირ მივყავართ წარმოების უაღრესად ყოველმხრივი განსაზოგადოებისაკენ; იგი, ასე ვთქვათ, ითრევს კაპიტალისტებს, წინააღმდეგ მათი სურვილისა და შეგნებისა, რაღაც ახალ საზოგადოებრივ წყობილებაში, კონკურენციის სრული თავისუფლებიდან სრულ განსაზოგადოებაზე გარდამავალ წყობილებაში.

წარმოება საზოგადოებრივი ხდება, მაგრამ მითვისება ჯერჯერ რჩება. საზოგადოებრივი საწარმოო საშუალებები ისევ რჩება მცირეოდენ პირთა კერძო საკუთრებად. ფორმალურად აღიარებული თავისუფალი კონკურენციის საერთო ჩარჩოები კვლავ არსებობს, და მცირერიცხოვანი მონოპოლისტების მიერ მთელი დანარჩენი მოსახლეობის ჩაგვრა ასჯერ უფრო მძიმე, საგრძნობი, აუტანელი ხდება.

✓ გერმანელმა ეკონომისტმა კესტნერმა განსაკუთრებული თხზულება უძღვნა «ბრძოლას კარტელებსა და გარეშეებს შორის», — გარეშეებად აქ იგულისხმებიან მეწარმენი, რომელნიც კარტელში არ შედიან. ამ თხზულებას მან უწოდა: «ორგანიზების დაძალება», მაშინ როდესაც, კაპიტალიზმის შელამაზება რომ არ მოხდეს, საჭირო იყო, რა თქმა უნდა, ლაპარაკი ძალდატანებაზე მონოპოლისტთა კავშირებისადმი დასამორჩილებლად. საგულისხმოა თუნდაც უბრალოდ ჩამოვთვალოთ ის საშუალებანი თანამედროვე, უახლესი, ცივილიზებული ბრძოლისა «ორგანიზებისათვის», რომელთაც მონოპოლისტთა კავშირები მიმართავენ: 1) ნედლი მასალის მიღების საშუალების მოსპობა (...«ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხერხი კარტელში იძულებითი შესვლისათვის»); 2) მუშახელის დაქირავების საშუალების მოსპობა «ალიანსებით» (ე. ი. კაპიტალისტების შეთანხმებით მუშათა კავშირებთან იმის

შესახებ, რომ უკანასკნელებმა სამუშაო აიღონ მხოლოდ კარტელირებულ საწარმოებში); 3) მიზიდვის საშუალების მოსპობა; 4) გასაღების საშუალების მოსპობა; 5) ხელშეკრულება მყიდველებთან — სავაჭრო ურთიერთობა იქონიონ მარტოოდენ კარტელებთან; 6) ფასების გეგმაშეწონილი დაწევა («გარეშეების», ე. ი. იმ საწარმოთა გასანადგურებლად, რომელნიც მონოპოლისტებს არ ემორჩილებიან. მილიონები იხარჯება იმაზე, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში საქონელი თვითღირებულებაზე უფრო იაფად გაყიდონ: ბენზინის მრეწველობაში ყოფილა მაგალითები, რომ ფასები დაუწევიათ 40-დან 22 მარკამდე, ე. ი. თითქმის ერთიორად!); 7) კრედიტის მოსპობა; 8) ბოიკოტის გამოცხადება.

აქ უკვე წვრილ და მსხვილ, ტექნიკურად ჩამორჩენილ და ტექნიკურად მოწინავე საწარმოთა შორის საკონკურენციო ბრძოლა კი არაა. ჩვენ წინაშეა მონოპოლისტების მიერ იმათი მოხრჩობა, ვინც მონოპოლიას, მის მხრივ ჩაგვრას, მის თვითნებობას არ ემორჩილება. აი როგორ აისახება ეს პროცესი ბურჟუაზიული ეკონომისტის შეგნებაში:

«წმინდა სამეურნეო საქმიანობის დარგშიც კი — წერს კესტნერი — ხდება ერთგვარი გადასვლა წინანდებურად გაგებული სავაჭრო საქმიანობიდან ორგანიზატორულ-სპეკულატურისაკენ. უდიდესი წარმატებით სარგებლობს არა ის ვაჭარი, რომელსაც თავის ტექნიკურ და სავაჭრო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეუძლია ყველაზე უკეთ გამოარკვიოს მყიდველთა მოთხოვნილებანი, იპოვოს და, ასე ვთქვათ, «აღმოაჩინოს» ისეთი მოთხოვნილება, რომელიც ფარულ მდგომარეობაში იმყოფება, — არამედ სპეკულატური გენიოსი (?!), რომელსაც შეუძლია წინასწარ გაითვალისწინოს ან თუნდაც მხოლოდ ალღო აუღოს ორგანიზაციულ განვითარებას, ცალკეულ საწარმოებსა და ბანკებს შორის განსაზღვრული კავშირის შესაძლებლობას»...

ჩვეულებრივი ენით რომ გამოვთქვათ, ეს ნიშნავს: კაპიტალიზმის განვითარება იქამდეა მისული, რომ, თუმცა სასაქონლო წარმოება კვლავინდებურად «მეფობს» და მთელი

მეურნეობის საფუძვლად ითვლება, მაგრამ ნამდვილად იგი უკვე შერყეულია, და უმთავრესი მოგება ფინანსურ საქმეთა «გენიოს» მომჭახრაკებლებს ხვდებათ. ამ მოჭახრაკებასა და თაღლითობას საფუძვლად უდევს წარმოების განსაზოგადოება; მაგრამ გიგანტური პროგრესი კაცობრიობისა, რომელმაც ამ განსაზოგადოებას მიაღწია, სარგებლობას აძლევს... სპეკულანტებს. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ ოცნებობს «ამის საფუძველზე» კაპიტალისტური იმპერიალიზმის მეშჩანურ-რეაქციული • კრიტიკა უ კ ა ნ, «თავისუფალი», «მშვიდობიანი», «პატიოსანი» კონკურენციისაკენ დაბრუნებაზე.

«ფასების ხანგრძლივი აწევა, როგორც კარტელების შექმნის შედეგი, — ამბობს კესტნერი — დღემდე ემჩნეოდა მხოლოდ უმნიშვნელოვანეს წარმოების საშუალებებს, განსაკუთრებით ქვანახშირს, რკინას, კალიუმს; და, პირიქით, ეს არასოდეს არ შეუმჩნევიათ მზა პროდუქტების მიმართ. ამასთან დაკავშირებული შემოსავლიანობის ზრდა ამგვარადვე განისაზღვრებოდა ინდუსტრიით, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს. ამ დაკვირვებას კიდევ ის უნდა დავუმატოთ, რომ ნედლი მასალის (და არა ნახევარფაბრიკატების) დამმუშავებელი მრეწველობა კარტელების შექმნით არა მარტო სარგებლობას ღებულობს დიდი მოგების სახით იმ მრეწველობის საზიანოდ, რომელიც ნახევარფაბრიკატების შემდგომ გადამუშავებას აწარმოებს, არამედ ამ მრეწველობის მიმართ ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს ერთგვარ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი ც მოექცა, რასაც თავისუფალი კონკურენციის დროს ადგილი არ ჰქონია» *.

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები ცხადყოფენ საქმის იმ ვითარებას, რასაც ასე უხალისოდ და ასე იშვიათად აღიარებენ ბურჟუაზიული ეკონომისტები და რის უარყოფას და თავიდან მოშორებას ასე გულმოდგინედ ცდილობენ ოპორტუნიზმის თანამედროვე დამცველნი კ. კაუცკის მეთაურობით.

---

* კესტნერი, დასახ. თხზ., გვ. 254.

ბატონობასა და მასთან დაკავშირებულ ძალმომრეობაზე დამყარებული ურთიერთობა — აი რა არის ტიპიური «კაპიტალიზმის განვითარების უახლესი ფაზისათვის», აი რა უნდა წარმოშობილიყო გარდუვალად და წარმოიშვა კიდევაც ყოვლისშემძლე ეკონომიურ მონოპოლიათა შექმნის შედეგად.

მოვიყვანოთ კარტელების ბატონობის კიდევ ერთი მაგალითი. იქ, სადაც შესაძლებელია ნედლეულის ყველა ან უმთავრეს წყაროთა ხელში ჩაგდება, — იქ კარტელების დაარსება და მონოპოლიათა შექმნა განსაკუთრებით ადვილია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მონოპოლიები არ ჩნდებოდნენ მრეწველობის სხვა დარგებშიც, სადაც ნედლეულის წყაროთა ხელში ჩაგდება შეუძლებელია. ცემენტის მრეწველობისათვის ნედლი მასალა ყველგან მოიპოვება. მაგრამ მრეწველობის ეს დარგიც გერმანიაში მეტწილად კარტელირებულია. ქარხნები გაერთიანებული არიან რაიონულ სინდიკატებად: სამხრეთ-გერმანიის, რეინ-ვესტფალიისა და სხვ.. დაწესებულია მონოპოლიური ფასები: 230 — 280 მარკა ვაგონში, მაშინ როდესაც თვითღირებულება 180 მარკას უდრის! საწარმონი 12 — 16% დივიდენდს იძლევიან, ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ თანამედროვე სპეკულაციის «გენიოსები» ახერხებენ ჩაიჯიბონ დიდძალი სხვა მოგებაც, გარდა დივიდენდის სახით განაწილებულისა. ასეთ მომგებიან მრეწველობაში კონკურენცია რომ მოსპონ, მონოპოლისტები თაღლითობასაც არ ერიდებიან: ავრცელებენ ჭორებს მრეწველობის ცუდი მდგომარეობის შესახებ, ბეჭდავენ ანონიმურ განცხადებებს გაზეთებში: «კაპიტალისტებო! უფრთხილდით კაპიტალის დაბანდებას საცემენტო საქმეში»; ბოლოს, შეისყიდიან ხოლმე «გარეშეთა» (ე. ი. სინდიკატებში არმყოფთა) საწარმოებს, აძლევენ მათ «დასათმობს» 60 — 80 — 150 ათას მარკას *. მონოპოლია გზას იკაფავს ყველგან და ყოველგვარი საშუალებით, დაწყებული «მცირე» თანხის გაღებით დათმო-

* «Zement» von L. Eschwege: «Die Bank», 1909, 1, გვ. 115 და შემდეგნი (ლ. ეშვეგე, «ცემენტი». «ბანკი». რ ე დ.).

ბისათვის და გათავებული კონკურენტის წინააღმდეგ დინამიტის ამერიკული «ხმარებით».

კრიზისების თავიდან აცილება კარტელების საშუალებით მოგონილი ზღაპარია ბურჟუაზიული ეკონომისტებისა, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ შეალამაზონ კაპიტალიზმი. პირიქით, მრეწველობის ზ ო გ ი ე რ თ დარგში შექმნილი მონოპოლია აძლიერებს და ამწვავებს იმ ქაოსურობას, რაც მოსდგამს მ თ ე ლ კაპიტალისტურ წარმოებას საერთოდ. მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარების შეუსაბამობა, რაც საერთოდ კაპიტალიზმის დამახასიათებელია, უფრო მატულობს. პრივილეგიური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ყველაზე მეტად კარტელირებული ეგრეთწოდებული მ ძ ი მ ე ინდუსტრია, განსაკუთრებით ქვანახშირისა და რკინის მრეწველობა, «სულ უფრო ამწვავებს გეგმაშეწონილობის უქონლობას» მრეწველობის დანარჩენ დარგებში, როგორც აღიარებს ეიდელსი, ავტორი ერთ-ერთი საუკეთესო შრომისა: «გერმანიის დიდი ბანკების დამოკიდებულება მრეწველობისადმი» *.

«რაც უფრო განვითარებულია სახალხო მეურნეობა, — წერს კაპიტალიზმის უტიფარი დამცველი ლიფმანი — მით უფრო მეტად ეტანება იგი უფრო სარისკო ან საზღვარგარეთულ წამოწყებებს, ისეთებს, რომელთა განვითარებისათვის ხანგრძლივი ვადაა საჭირო, ან, ბოლოს, ისეთებს, რომელთაც მარტოოდენ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ» **. რისკის გადიდება, ბოლოს და ბოლოს, დაკავშირებულია იმასთან, რომ კაპიტალი გიგანტურად იზრდება, — ასე ვთქვათ, თავის კალაპოტში ვეღარ ეტევა, საზღვარგარეთ მიედინება და სხვ.. ამასთან ერთად კი ტექნიკის ძალზე სწრაფ ზრდას სულ უფრო მეტად მოსდევს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს

* Jeidels: «Das Verhältnis der deutschen Grossbanken zur Industrie mit besonderer Berücksichtigung der Eisenindustrie». Lpz., 1905, გვ. 271 (ეიდელსი. «გერმანიის დიდი ბანკების დამოკიდებულება მრეწველობისადმი, განსაკუთრებით მეტალურგიული მრეწველობისადმი». ლაიფციგი. რ ე დ.).

** Liefmann: «Beteiligungs- etc. Ges.», გვ. 434.

შორის შეუსაბამობის, ქაოსურობის, კრიზისების ელემენტები. «შესაძლებელია — ძალაუნებურად აღიარებს იგივე ლიფმანი — კაცობრიობას ახლო მომავალში ტექნიკის დარგში კვლავ მნიშვნელოვანი გადატრიალებანი მოელის, რომლებიც გავლენას მოახდენენ სახალხო-სამეურნეო ორგანიზაციაზედაც»... ელექტრობა, ჰაერნაოსნობა... «ჩვეულებრივად და საერთო წესის მიხედვით ამგვარ ძირითად ეკონომიურ ცვლილებათა ხანაში ვითარდება ძლიერი სპეკულაცია»... *.

ყოველგვარი კრიზისი კი — უფრო ხშირად ეკონომიური, მაგრამ არა მარტოოდენ ეკონომიური — თავის მხრივ მეტისმეტად აძლიერებს ტენდენციას კონცენტრაციისა და მონოპოლიისადმი. აი ეიდელსის უაღრესად საგულისხმო მსჯელობა 1900 წლის კრიზისის მნიშვნელობის შესახებ, კრიზისისა, რომელმაც, როგორც ვიცით, უახლეს მონოპოლიათა ისტორიაში შემობრუნების პუნქტის როლი ითამაშა:

«1900 წლის კრიზისმა, მრეწველობის უმთავრესი დარგების გიგანტურ საწარმოებთან ერთად, მოუსწრო მრავალ, ახლანდელი თვალსაზრისით მოძველებული ორგანიზაციის მქონე საწარმოს, «წმინდა»» (ე. ი. არა კომბინირებულ) «საწარმოებს, რომლებიც სამრეწველო აღმავლობის ძლიერ ტალღას მაღლა აეტაცნა. ფასების დაცემამ, მოთხოვნილების შემცირებამ ეს «წმინდა» საწარმონი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააგდო, რომელიც კომბინირებულ გიგანტურ საწარმოებს ან სრულებით არ შეხებია, ან სულ მოკლე ხნით შეეხო. ამიტომ იყო, რომ 1900 წლის კრიზისს ბევრად უფრო დიდი სამრეწველო კონცენტრაცია მოჰყვა შედეგად, ვიდრე 1873 წლის კრიზისს: ამ უკანასკნელმაც გამოიწვია საუკეთესო საწარმოთა ერთგვარი შერჩევა, მაგრამ ტექნიკის მაშინდელი დონის დროს ამ შერჩევას არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმ საწარმოთა მონოპოლია, რომლებმაც კრიზისს ძლევამოსილად დააღწიეს თავი. სწორედ ასეთი ხანგრძლივი მონოპოლიის უნარი, ამასთან დიდი უნარი აქვთ ახლანდელი რკინის მრეწველო-

* იქვე, გვ. 465 — 466.

ბისა და ელექტრომრეწველობის გიგანტურ საწარმოებს — მათი მეტად რთული ტექნიკის, ფრიად გაშლილი ორგანიზაციის, მათი კაპიტალის სიმძლავრის წყალობით, შემდეგ კი, უფრო ნაკლებად, მანქანათმშენებლობის საწარმოებსაც, მეტალურგიული მრეწველობის განსაზღვრული დარგების, მიმოსვლის საშუალებათა და სხვ. საწარმოებს» *.

მონოპოლია — აი «კაპიტალიზმის განვითარების უახლესი ფაზის» უკანასკნელი სიტყვა. მაგრამ ჩვენი წარმოდგენა თანამედროვე მონოპოლიათა ნამდვილ ძალასა და მნიშვნელობაზე მეტად არასაკმარისი, არასრული და შემცირებული იქნებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ბანკების როლს.

II. ბანკები და მათი ახალი როლი

ბანკების ძირითადი და თავდაპირველი ოპერაციაა ფულის გადახდის საქმეში შუამავლობა. ამასთან დაკავშირებით ბანკები უმოქმედო ფულად კაპიტალს გარდაქმნიან მოქმედ, ე. ი. მოგების მომცემ კაპიტალად, აგროვებენ ყველა და ყოველგვარ ფულად შემოსავალს და მოაქცევენ მას კაპიტალისტთა კლასის განკარგულებაში.

საბანკო საქმის განვითარებასთან და მცირერიცხოვან დაწესებულებებში მის კონცენტრაციასთან ერთად, ხდება ბანკების გადაზრდა შუამავალთა უბრალო როლიდან ყოვლისშემძლე მონოპოლისტებად, რომელნიც განაგებენ ერთობლივ ყველა კაპიტალისტისა და წვრილი მეპატრონის თითქმის მთელ ფულად კაპიტალს, აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის და მთელი რიგი ქვეყნების წარმოების საშუალებათა და ნედლეულის წყაროთა უმეტეს ნაწილს. მრავალ უბრალო შუამავალთა ეს გადაქცევა ერთ მუჭა მონოპოლისტებად წარმოადგენს კაპიტალიზმის კაპიტალისტურ იმპერიალიზმად გადაზრდის ერთ-ერთ ძირითად პროცესს, და ამიტომ უპირველეს ყოვლისა საბანკო საქმის კონცენტრაციაზე უნდა შევჩერდეთ.

---

* Jeidels, გვ. 108.

1907/8 წელს ანაბრები გერმანიის ყველა სააქციო ბანკისა, რომელთაც 1 მილიონ მარკაზე მეტი კაპიტალი ჰქონდათ, შეადგენდა 7 მილიარდ მარკას; 1912/13 წელს — უკვე 9,8 მილიარდს. ზრდა ხუთი წლის განმავლობაში 40%-ს უდრის, ამასთან მატების ამ 2,8 მილიარდიდან 2,75 მილიარდი მოდის 57 ბანკზე, რომელთაც 10 მილიონ მარკაზე მეტი კაპიტალი ჰქონდათ. ანაბრები დიდ და წვრილ ბანკებს შორის შემდეგნაირად ნაწილდებოდა *:

ყველა ანაბრის პროცენტი

	ბერლინის 9 დიდ ბანკს	დანარჩენ 48 ბანკს 10 მლნ. მარკაზე მეტი კაპიტალით	115 ბანკს 1—10 მლნ-მდე კაპიტალით	წვრილ ბანკებს (1 მლნ. ნაკლები კაპიტალით)
1907/8	47	32,5	16,5	4
1912/3	49	36	12	3

წვრილი ბანკები განდევნილია დიდი ბანკების მიერ, რომელთაგან სულ ცხრა დიდი ბანკის ხელშია ყველა ანაბრის თითქმის ნახევარი. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის მხედველობაში მიღებული, მაგალითად, მთელი რიგი წვრილი ბანკების ფაქტიურად გადაქცევა დიდი ბანკების განყოფილებებად და სხვ., რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

1913 წლის დამლევს შულცე-გევერნიცი ბერლინის 9 დიდი ბანკის ანაბარს ანგარიშობდა 5,1 მილიარდ მარკად, მაშინ როცა ანაბართა საერთო ჯამი დაახლოებით 10 მილიარდს უდრიდა. იღებდა რა მხედველობაში არა მარტო ანაბრებს, არამედ მთელ საბანკო კაპიტალს, იგივე ავტორი წერდა: «1909 წლის დამლევს ბერლინის 9 დიდი ბანკისა და მათი მომხრე ბანკების განკარგულებაში იყო 11,3 მილიარდი მარკა, ე. ი. გერმანიის საბანკო კაპიტალის მთელი ოდენობის თითქმის 83%. «გერმანიის ბანკი» («Deutsche Bank»), რომელიც, მის მომხრე ბანკებთან ერთად, 3 მილიარდ მარ-

* Alfred Lansburgh: «Fünf Jahre d. Bankwesen», «Die Bank», 1913, № 8, გვ. 728 (ალფრედ ლანსბურგი. «გერმანიის ბანკების ხუთი წლის საქმიანობა», «ბანკი». რ ე დ.).

კამდე თანხის განმკარგულებელია, პრუსიის სახელმწიფო რკინიგზების სამმართველოსთან ერთად წარმოადგენს კაპიტალის ყველაზე დიდ, ამასთანავე უაღრესად დეცენტრალიზებულ თავმოყრის ადგილს ძველ ქვეყანაში» *.

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ «მომხრე» ბანკები, ვინაიდან ეს უახლესი კაპიტალისტური კონცენტრაციის ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს. მსხვილი საწარმონი, განსაკუთრებით კი ბანკები, არა მარტო პირდაპირ ნთქამენ წვრილებს, არამედ კიდევაც «იერთებენ» მათ, იმორჩილებენ, «თავიანთ» ჯგუფში, თავიანთ «კონცერნში» — როგორც ამბობს ტექნიკური ტერმინი — შეჰყავთ ისინი, და ეს ხდება მათს კაპიტალში «მონაწილეობის», აქციების შესყიდვის ან გადაცვლის, სასესხო ურთიერთობათა სისტემისა და სხვ. და სხვ. გზით. პროფესორმა ლიფმანმა მთელი დიდი, ხუთასგვერდიანი «ნაშრომი» უძღვნა თანამედროვე «მონაწილეობისა და დაფინანსების საზოგადოებათა» აღწერას ** — სამწუხაროდ, ამ წიგნის ხშირად მოუნელებელ ნედლ მასალას თან ახლავს მეტად მდარე ხარისხის «თეორიული» მსჯელობანი. თუ რა შედეგი მოსდევს «მონაწილეობის» ამ სისტემას კონცენტრაციის თვალსაზრისით, ეს ყველაზე უკეთ არის ნაჩვენები ბანკის «მოღვაწის» რისერის იმ თხზულებაში, რომელიც გერმანიის დიდ ბანკებს ეხება. მაგრამ ვიდრე მის მონაცემებს გავეცნობოდეთ, მოვიყვანთ «მონაწილეობის» სისტემის ერთ კონკრეტულ მაგალითს.

«გერმანიის ბანკის» «ჯგუფი» დიდ ბანკთა ყველა ჯგუფს შორის ერთი დიდთაგანია, თუ ყველაზე დიდი არა. რათა გარკვეულ იქნეს მთავარი ძაფები, ამ ჯგუფის ყველა ბანკს

---

* Schulze-Gaevernitz: «Die deutsche Kreditbank» «Grundriss der Sozialökonomik»-ში. Tüb., 1915, გვ. 12 და 137 (შულცე-გეევერნიცი. «გერმანიის საკრედიტო ბანკები» «სოციალური ეკონომიკის საფუძვლებში». ტიუბინგენი. რ ე დ.).

** R. Liefmann: «Beteiligungs- und Finanzierungsgesellschaften. Eine Studie über den modernen Kapitalismus und das Effektenwesen». 1. Aufl. Jena. 1909, გვ. 212.

რომ ერთმანეთთან აკავშირებს, უნდა განვასხვაოთ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის «მონაწილეობა» ან, რაც იგივეა, პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დამოკიდებულება (უფრო წვრილი ბანკებისა «გერმანიის ბანკისაგან»). ვიღებთ ასეთ სურათს *:

«გერმ. ბანკი» მონაწილეობს:	1-ლი ხარისხის დამოკიდებულება:	მე-2 ხარისხის დამოკიდებულება:	მე-3 ხარისხის დამოკიდებულება:
მუდმივად	17 ბანკში;	მათგან 34-ში 9;	მათგან 7-ში 4.
გაურკვეველი ვადით	5 »	—	—
დროგამოშვებით	8 »	» 14-ში 5;	» 2-ში 2.
სულ	30 ბანკში;	მათგან 48-ში 14;	მათგან 9-ში 6.

«პირველი ხარისხის დამოკიდებულებაში» მყოფ 8 ბანკს შორის, რომლებიც «გერმანიის ბანკს» ემორჩილებიან «დროგამოშვებით», ითვლება უცხოეთის სამი ბანკი: ერთი ავსტრიისა (ვენის «საბანკო კავშირი» — «Bankverein») და ორი რუსეთისა (ციმბირის სავაჭრო და რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკი). სულ «გერმანიის ბანკის» ჯგუფში შედის, პირდაპირ და არაპირდაპირ, მთლიანად და ნაწილობრივ, 87 ბანკი, ხოლო თავისი და სხვისი კაპიტალის საერთო ჯამი, რომელსაც ჯგუფი განაგებს, 2 — 3 მილიარდ მარკას უდრის.

ცხადია, ასეთი ჯგუფის სათავეში მდგომი ის ბანკი, რომელიც განსაკუთრებით დიდი და მომგებიანი ფინანსური ოპერაციებისათვის, როგორიცაა სახელმწიფო სესხები, შეუთანხმდება ხოლმე თავისზე უფრო მომცრო ექვსიოდე სხვა ბანკს, — უკვე აღარაა უბრალო «შუამავალი», იგი გადაქცეულია ერთ მუჭა მონოპოლისტთა კავშირად.

თუ რანაირი სისწრაფით მიმდინარეობდა სახელდობრ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს საბანკო

* Alfred Lansburgh: «Das Beteiligungssystem im deutschen Bankwesen», «Die Bank», 1910, 1, გვ. 500 (ალფრედ ლანსბურგი. «მონაწილეობის სისტემა გერმანიის ბანკების საქმიანობაში», «ბანკი». რ ე დ.).

საქმის კონცენტრაცია გერმანიაში, ეს ჩანს რისერის შემდეგი მონაცემებიდან, რომლებიც ჩვენ აქ შემოკლებით მოგვყავს:

	ბერლინის 6 დიდ ბანკს ჰქონდა			
წლები	განყოფილებანი გერმანიაში	სადეპოზიტო სალაროები და დამხურდავებელი კანტორები	მუდმივი მონაწილეობა გერმანიის საანკიო ბანკებში	სულ იყო ყველა დაწესებულება
1895	16	14	1	42
1900	21	40	8	80
1911	104	276	63	450

ჩვენ ვხედავთ, თუ რა სწრაფად ჩნდება იმ არხების ხშირი ქსელი, რომლებიც მთელ სახელმწიფოს მოსდებიან, ყოველგვარი კაპიტალისა და ფულადი შემოსავლის ცენტრალიზაციას ახდენენ და ათასობით დაქსაქსულ მეურნეობებს აქცევენ მთლიან საერთო-ნაციონალურ კაპიტალისტურ, შემდეგ კი მსოფლიო-კაპიტალისტურ მეურნეობად. ის «დეცენტრალიზაცია», რომელზეც ზემომოყვანილ ციტატაში ჩვენი დროის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სახელით ლაპარაკობს შულცე-გევერნიცი, სინამდვილეში არის ერთი ცენტრისადმი იმ სამეურნეო ერთეულების სულ უფრო მეტი რიცხვის დამორჩილება, რომლებიც წინათ შედარებით «დამოუკიდებელი» ან, უკეთ, ლოკალურად (ადგილობრივ) ჩაკეტილი იყვნენ. სინამდვილეში, მაშასადამე, ესაა ცენტრალიზაცია, მონოპოლისტური ბუმბერაზების როლის, მნიშვნელობისა და ძლევამოსილების გაძლიერება.

უფრო ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს «საბანკო ქსელი» კიდევ უფრო ხშირია. ინგლისში ირლანდიის ჩათვლით 1910 წელს ყველა ბანკის განყოფილებათა რიცხვი იყო 7 151. ოთხ დიდ ბანკს თვითეულს ოთხასზე მეტი განყოფილება ჰქონდა (447-დან 689-მდე), შემდეგ კიდევ 4 ბანკს — ორასორასზე მეტი და 11-ს — ას-ასზე მეტი.

საფრანგეთში სამი უდიდესი ბანკი, Crédit Lyonnais, Comptoir National და Société Générale * თავის ოპერა-

* «ლიონის კრედიტი», «ნაციონალური გამნაღდებელი კანტორა», «გენერალური საზოგადოება». რედ.

ციებსა და განყოფილებათა ქსელს შემდეგნაირად ავითარებდა *:

	განყოფ. და სალაროთა რიცხვი			კაპიტალის სიდიდე	
	პროვინციაში	პარიზში	სულ	საკუთარი (მილიონი	სხვისი ფრანკები)
1870	47	17	64	200	427
1890	192	66	258	265	1 245
1909	1 033	196	1 229	887	4 363

თანამედროვე დიდი ბანკის «კავშირურთიერთობის» დასახასიათებლად რისერს მოჰყავს ცნობები იმ წერილების რიცხვის შესახებ, რომელთაც გზავნის და იღებს «გამნაღდებელი საზოგადოება» («Disconto-Gesellschaft») — ერთ-ერთი უდიდესი ბანკი გერმანიასა და მთელ მსოფლიოშიც (მისი კაპიტალი 1914 წელს 300 მილიონ მარკას აღწევდა):

	წერილების რიცხვი	
	მიღებულის	გაგზავნილის
1852	6 135	6 292
1870	85 800	87 513
1900	533 102	626 043

პარიზის უდიდეს ბანკში — «ლიონის კრედიტში» — ანგარიშების რიცხვი 28 535-დან 1875 წელს ავიდა 633 539-მდე 1912 წელს **.

ეს უბრალო ციფრები, შესაძლოა, გრძელ მსჯელობაზე უფრო ნათლად გვიჩვენებდეს, თუ რა ძირფესვიანად იცვლება კაპიტალის კონცენტრაციასთან და ბრუნვათა ზრდასთან ერთად ბანკების მნიშვნელობაც. დაქსაქსული კაპიტალისტებისაგან იქმნება ერთი კოლექტიური კაპიტალისტი. აწარმოებს რა მიმდინარე ანგარიშს რამდენიმე კაპიტალისტისათვის, ბანკი თითქოს წმინდა ტექნიკურ, მხოლოდ დამხმარე ოპერაციას ასრულებს. მაგრამ როდესაც ეს ოპერაცია გიგანტურად იზრ-

* Eugen Kaufmann: «Das französische Bankwesen», Tüb., 1911, გვ. 356 და 362 (ევგენი კაუფმანი. «საბანკო საქმე საფრანგეთში». ტიუბინგენი. რ ე დ.).

** Jean Lescure: «L'épargne en France». P., 1914, გვ. 52 (ჟან ლესკიური. «დანაზოგი საფრანგეთში». პარიზი. რ ე დ.).

დება, მაშინ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ერთი მუჭა მონოპოლისტები იმორჩილებენ მთელი კაპიტალისტური საზოგადოების სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებს, რადგან მათ შესაძლებლობა ეძლევათ — ბანკების ქსელის, მიმდინარე ანგარიშებისა და სხვა ფინანსურ ოპერაციათა საშუალებით — ჯერ ზედმიწევნით გაიგონ, თუ რა მდგომარეობაშია ცალკეულ კაპიტალისტთა საქმეები, შემდეგ კონტროლი გაუწიონ, გავლენა მოახდინონ მათზე კრედიტის გაფართოებით ან შეკვეცით, გაადვილებით ან გაძნელებით, და, ბოლოს, სავსებით განსაზღვრონ მათი ბედი, განსაზღვრონ მათი შემოსავლიანობა, ხელიდან გამოაცალონ მათ კაპიტალი ან მისცენ შესაძლებლობა — ჩქარა და დიდი ოდენობით გაზარდონ თავიანთი კაპიტალი და სხვ.

ჩვენ ახლა დავასახელეთ კაპიტალი 300 მილიონი მარკის რაოდენობით, რომელიც «გამნაღდებელ საზოგადოებას» აქვს ბერლინში. «გამნაღდებელი საზოგადოების» კაპიტალის ეს გაზრდა ერთი ეპიზოდთაგანი იყო იმ ბრძოლისა, რასაც ჰეგემონიისათვის აწარმოებდა ურთიერთშორის ბერლინის ორი უდიდესი ბანკი — «გერმანიის ბანკი» და «გამნაღდებელი საზოგადოება». 1870 წელს პირველი ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმული იყო და სულ ჰქონდა კაპიტალი 15 მილიონის რაოდენობით, მეორეს კი — 30 მილიონი. 1908 წელს პირველს 200 მილიონი კაპიტალი ჰქონდა, მეორეს — 170 მილიონი. 1914 წელს პირველმა თავისი კაპიტალი 250 მილიონამდე აიყვანა; მეორე შეუერთდა სხვა, პირველხარისხოვან დიდ ბანკს, «შაფჰაუზენის საკავშირო ბანკს» და ამნაირად თავისი კაპიტალი 300 მილიონამდე გაზარდა. და, რასაკვირველია, ეს ბრძოლა ჰეგემონიისათვის წარმოებს ორივე ბანკის სულ უფრო გახშირებულ და განმტკიცებულ «შეთანხმებებთან» ერთად. აი რა დასკვნებს ახვევს თავზე განვითარების ასეთი მსვლელობა საბანკო საქმის სპეციალისტებს, რომლებიც ეკონომიურ საკითხებს უცქერიან იმ თვალსაზრისით, უაღრესად ზომიერი და წესიერი ბურჟუაზიული რეფორმატორობის ფარგლებს რომ ვერ სცილდება:

«სხვა ბანკებიც იმავე გზას დაადგებიან» — წერდა გერმანული ჟურნალი «ბანკი» «გამნაღდებელი საზოგადოების» კაპიტალის 300 მილიონამდე გადიდების გამო — «და იმ 300 კაცში, რომლებიც ახლა ეკონომიურად განაგებენ გერმანიას, დროთა განმავლობაში დარჩება 50, 25 ან უფრო ნაკლები. არ უნდა მოველოდეთ, რომ უახლესი საკონცენტრაციო მოძრაობა დაკმაყოფილდება მარტოოდენ საბანკო საქმით. ცალკეულ ბანკთა მჭიდრო კავშირი ბუნებრივად იწვევს აგრეთვე იმ მრეწველთა სინდიკატების ურთიერთდაახლოებას, რომელთაც ეს ბანკები მფარველობენ... ერთ მშვენიერ დღეს რომ გავიღვიძებთ, ჩვენს გაოცებულ თვალთა წინაშე მარტოოდენ ტრესტები იქნებიან; ჩვენთვის აუცილებელი გახდება სახელმწიფოებრივი მონოპოლიებით შევცვალოთ კერძო მონოპოლიები. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ, არსებითად, საკუთარი თავისადმი სასაყვედურო არა გვექნება რა, გარდა იმისა, რომ სრული თავისუფლება მივანიჭეთ მოვლენათა მსვლელობას, რომელიც ოდნავ დაჩქარეს აქციებმა» *.

აი ნიმუში იმისა, თუ რარიგ უმწეოა ბურჟუაზიული პუბლიცისტიკა, რომლისაგანაც ბურჟუაზიული მეცნიერება განირჩევა მხოლოდ უფრო ნაკლები გულწრფელობით და მისწრაფებით — მიჩქმალოს საქმის არსი, დაჩრდილოს ტყე ხეებით. «გაკვირვებდეს» კონცენტრაციის შედეგები, «უსაყვედურებდე» კაპიტალისტური გერმანიის მთავრობას ან კაპიტალისტურ «საზოგადოებას» («ჩვენ»), გეშინოდეს აქციების შემოღების გზით კონცენტრაციის «დაჩქარებისა», როგორც ერთ გერმანელ სპეციალისტს «კარტელების საკითხში», ჩირშკის, ეშინია ამერიკული ტრესტებისა და «ამჯობინებს» გერმანულ კარტელებს, ვინაიდან მათ, ვითომ, უნარი შესწევთ, «ისე უზომოდ არ დაჩქარონ ტექნიკური და ეკონომიური პროგრესი, რო-

* A. Lansburgh: «Die Bank mit den 300 Millionen», «Die Bank», 1914, 1, გვ. 426 (ა. ლანსბურგი. «300 მილიონის მფლობელი ბანკი», «ბანკი». რ ე დ.).

გორც ეს ტრესტებს» შეუძლიათ *, — განა ეს უმწეობას არ ნიშნავს?

მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩებიან. გერმანიაში არ არის ტრესტები, არის «მხოლოდ» კარტელები, მაგრამ გერმანიას **განაგებს** კაპიტალის სულ რაღაც 300 მაგნატი. და მათი რიცხვიც განუხრელად მცირდება. ყოველ შემთხვევაში ბანკები, ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, მიუხედავად საბანკო კანონმდებლობის ყოველ-გვარი ნაირსახეობისა, — მრავალჯერ აძლიერებენ და აჩქარებენ კაპიტალის კონცენტრაციისა და მონოპოლიათა შექმნის პროცესს.

«ბანკები საზოგადოებრივი მასშტაბით ქმნიან ფორმას, და სწორედ მარტოოდენ ფორმას, საერთო ანგარიშწარმოებისას და წარმოების საშუალებათა საერთო განაწილებისას» — წერდა მარქსი ნახევარი საუკუნის წინათ «კაპიტალში» (რუს. თარგმ., ტ. III, ნაწ. II, გვ. 144 [79]). ჩვენ მიერ მოყვანილი მონაცემები საბანკო კაპიტალის ზრდის, უდიდესი ბანკების კანტორათა და განყოფილებათა რიცხვის, მათი ანგარიშების რიცხვის გადიდებისა და სხვ. შესახებ კონკრეტულად გვიჩვენებენ ამ «საერთო ანგარიშწარმოებას» კაპიტალისტთა **მთელი** კლასისას და არა მარტო კაპიტალისტებისას, ვინაიდან ბანკებში გროვდება, თუნდაც დროებით, ყოველგვარი ფულადი შემოსავალი წვრილი მეპატრონეებისაც, მოსამსახურეებისაც და მუშების ფრიად მცირე ზედაფენისაც. «წარმოების საშუალებათა საერთო განაწილება» — **აი რა იზრდება**, ფორმალური მხრივ, თანამედროვე ბანკებიდან, რომლებიც საფრანგეთში, მაგალითად, რაღაც სამი-ექვსიოდე უდიდესი ბანკის, ხოლო გერმანიაში — ექვსი-რვა ბანკის სახით, მილიარდებსა და მილიარდებს ატრიალებენ. მაგრამ თავისი **შინაარსით** წარმოების საშუალებათა ეს განაწილება სრულიად არაა «საერთო», არამედ კერძოა, ე. ი. შეფარდებულია მსხვილი — და უწინარეს ყოვლისა უმსხვილესი, მონოპოლისტური — კაპიტალის ინტერესებთან, რომელიც მოქმედებს ისეთ პირობებში,

* S. Tschierschky, დასახ. თხზ., გვ. 128.

როდესაც მოსახლეობის მასა სანახევროდ შიმშილობს, როდესაც მიწათმოქმედების მთელი განვითარება საშინლად ჩამორჩება მრეწველობის განვითარებას, ხოლო მრეწველობაში «მძიმე ინდუსტრია» ხარკს იღებს ყველა მისი დანარჩენი დარგისაგან.

კაპიტალისტური მეურნეობის განსაზოგადოების საქმეში ბანკებს უკვე კონკურენციას უწევენ შემნახველი სალაროები და საფოსტო დაწესებულებები, რომლებიც უფრო «დეცენტრალიზებული» არიან, ე. ი. თავიანთი გავლენის სფეროში აქცევენ უფრო მეტ კუთხეებს, უფრო მეტ მივარდნილ ადგილებს, მოსახლეობის უფრო ფართო წრეებს. აი ცნობები, რომლებიც ამერიკულმა კომისიამ შეაგროვა ბანკებსა და შემნახველ სალაროებში ანაბრების შედარებითი ზრდის შესახებ *:

ანაბრები (მილიარდ მარკობით)

	ინგლისი		საფრანგეთი		გერმანია		
	ბანკებში	შემნახვ. სალარ.	ბანკებში	შემნახვ. სალარ.	ბანკებში	საკრედ. ამხან-ში	შემნახვ. სალარ.
1880	8,4	1,6	?	0,9	0,5	0,4	2,6
1888	12,4	2.0	1,5	2,1	1,1	0,4	4,5
1908	23,2	4,2	3,7	4,2	7,1	2,2	13,9

იხდიან რა ანაბრებზე 4 და 4¼%-ს, შემნახველი სალაროები იძულებული არიან კაპიტალი უფრო «შემოსავლიან» საქმეში დააბანდონ, აწარმოონ სათამასუქო, საჰიპოთეკო და სხვა ოპერაციები. ბანკებსა და შემნახველ სალაროებს შორის საზღვარი «თანდათან ქრება». სავაჭრო პალატები, მაგალითად, ბოხუმსა და ერფურტში, მოითხოვენ, რომ შემნახველ სალაროებს «აეკრძალოთ» «წმინდა»-საბანკო ოპერაციების წარმოება, როგორიცაა თამასუქების განაღდება, მოითხოვენ საფოსტო დაწესებულებათა «საბანკო» საქმიანობის შეზღუდვას **. ბანკის ბობოლებს თითქოს ეშინიათ — მოულოდნელად, სახელმწიფო მონოპოლია ხომ არსაიდან გვეპარებაო. მაგრამ, რა-

* ცნობები ამერიკის National Monetary Commission-ისა «Die Bank»-ში (ფულის ნაციონალური კომისიისა «ბანკში». რ ე დ.), 1910, 1, გვ. 1200.

** იქვე, 1913, გვ. 811, 1022; 1914, გვ. 713.

საკვირველია, ეს შიში არ სცილდება იმ კონკურენციის ფარგლებს, რომელიც არსებობს, ასე ვთქვათ, ერთი კანცელარიის ორ მაგიდის უფროსს შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ, შემნახველ სალაროთა მრავალმილიარდიან კაპიტალზე სინამდვილეში მბრძანებლობენ, ბოლოს და ბოლოს, საბანკო კაპიტალის ი გ ი ვ ე მაგნატები; მეორე მხრივ კი, კაპიტალისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო მონოპოლია არის მხოლოდ საშუალება შემოსავლის გაზრდისა და განმტკიცებისა მრეწველობის ამა თუ იმ დარგის ისეთ მილიონერთათვის, რომელნიც ახლოს არიან გაკოტრებასთან.

შეცვლა ძველი კაპიტალიზმისა, რომლის დროსაც თავისუფალი კონკურენცია ბატონობს, ახალი კაპიტალიზმით, რომელსაც მონოპოლიის ბატონობა ახასიათებს, გამოიხატება, სხვათა შორის, ბირჟის მნიშვნელობის დაცემით. «ბირჟა — წერს ჟურნალი «ბანკი» — დიდი ხანია აღარაა მიმოქცევის საქმეში აუცილებელი შუამავალი, როგორიც ის იყო წინათ, როდესაც ბანკებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ გამოშვებული საფონდო ფასიანი ქაღალდების უმეტესობის განაწილება თავიანთ კლიენტთა შორის» *.

««ყოველი ბანკი არის ბირჟა» — ეს თანამედროვე გამოთქმა შეიცავს იმდენად უფრო მეტ სიმართლეს, რაც უფრო დიდია ბანკი, რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევს საბანკო საქმეში კონცენტრაცია» **. «თუ წინათ, 70-იან წლებში, ბირჟა, თავისი ახალგაზრდული ექსცესებითურთ» (აქ «ნართაულად» ლაპარაკია 1873 წლის საბირჟო კრახზე, გრიუნდერულ სკანდალებზე [80] და სხვ.), «იწყებდა გერმანიის ინდუსტრიალიზაციის ეპოქას, ახლა თვით ბანკებსა და მრეწველობას შეუძლიათ «დამოუკიდებლად მოაგვარონ» საქმე. ჩვენი დიდი ბანკების ბატონობა ბირჟაზე... მხოლოდ და მხოლოდ გამოხატულებაა სავსებით ჩამოყალიბებული გერმანიის სამრეწველო

* Die Bank, 1914, 1, გვ. 316.

** Dr. Oscar Stillich: «Geld- und Bankwesen», Berlin, 1907, გვ. 169 (დ-რი ოსკარ შტილიხი. «ფული და საბანკო საქმე». ბერლინი. რ ე დ.).

სახელმწიფოსი. თუ ამ გზით იზღუდება ავტომატურად მოქმედი ეკონომიური კანონების მოქმედების სფერო და უაღრესად ფართოვდება ბანკების მეშვეობით შეგნებული მოწესრიგების სფერო, მაშინ ამასთან დაკავშირებით გიგანტურად იზრდება ერთ მუჭა ხელმძღვანელ პირთა სახალხო-სამეურნეო პასუხისმგებლობაც» — ასე წერს გერმანელი პროფესორი შულცე-გევერნიცი *, გერმანიის იმპერიალიზმის აპოლოგეტი, ყველა ქვეყნის იმპერიალისტების ავტორიტეტი, რომელიც ცდილობს მიჩქმალოს «წვრილმანი», სახელდობრ ის, რომ ეს «შეგნებული მოწესრიგება» ბანკების მეშვეობით არის ხალხის ძარცვა-გლეჯა ერთ მუჭა «სავსებით შეკავშირებულ» მონოპოლისტთა მიერ. ბურჟუაზიული პროფესორის ამოცანას შეადგენს არა მთელი მექანიკის სავსებით გახსნა, არა ბანკების მონოპოლისტთა ყოველგვარ თაღლითობათა მხილება, არამედ მათი შელამაზება.

სწორედ ასევე იქცევა რისერიც, კიდევ უფრო ავტორიტეტიანი ეკონომისტი და ბანკის «მოღვაწე»; იგი სჯერდება სრულიად უშინაარსო ფრაზებს იმ ფაქტების შესახებ, რომელთა უარყოფაც შეუძლებელია: «ბირჟა სულ უფრო და უფრო კარგავს მთელი მეურნეობისათვის და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევისათვის აუცილებლად საჭირო თვისებას — იყოს არა მარტო სავსებით ზუსტი საზომი ინსტრუმენტი, არამედ აგრეთვე თითქმის ავტომატურად მოქმედი რეგულატორიც იმ ეკონომიურ მოძრაობათა, რომლებიც მისკენ მიიმართებიან» **.

სხვა სიტყვებით: ძველი კაპიტალიზმი, თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი, მისთვის აუცილებლად საჭირო რეგულატორით, ბირჟით, წარსულს ჰბარდება. იგი შეცვალა ახალმა კაპიტალიზმმა, რომელსაც მოსდგამს რაღაც გარდამავალის აშკარა ნიშნები, თავისუფალი კონკურენციისა და მონოპოლიის რაღაცნაირი ნარევის ნიშნები. ბუნებრივად იბა-

* Schulze-Gaevernitz: «Die deutsche Kreditbank» Grundriss der Sozialökonomik-ში, Tüb., 1915, გვ. 101.

** რისერი, დასახ. თხზ., გვ. 629, მე-4 გამოც. მიხედვით.

დება კითხვა: რ ა შ ი «გადადის» ეს უახლესი კაპიტალიზმი, მაგრამ ამ კითხვის დასმას ბურჟუაზიული მეცნიერნი უფრთხიან.

«ოცდაათი წლის წინათ ერთმანეთის თავისუფლად მეტოქე მეწარმენი ასრულებდნენ იმ ეკონომიური მუშაობის $^{9}/_{10}$-ს, რომელიც არ მიეკუთვნება «მუშების» ფიზიკური შრომის დარგს. ამჟამად მ ო ხ ე ლ ე ე ბ ი ასრულებენ ამ ეკონომიური გონებრივი მუშაობის $^{9}/_{10}$-ს. საბანკო საქმე ამ განვითარების სათავეში დგას» *. შულცე-გევერნიცის ეს აღიარება კიდევ და ერთხელ კიდევ აყენებს საკითხს: რაში უნდა გადავიდეს უახლესი კაპიტალიზმი, თავის იმპერიალისტურ სტადიაში მყოფი კაპიტალიზმი. — — —

[ი მ მცირერიცხოვან ბანკთა შორის, რომელნიც კონცენტრაციის პროცესის გამო მთელი კაპიტალისტური მეურნეობის სათავეში მოქცეულან, ბუნებრივად სულ უფრო მეტად ისახება და ძლიერდება მისწრაფება მონოპოლისტური შეთანხმებისადმი, ბ ა ნ კ თ ა ტ რ ე ს ტ ი ს ა დ მ ი.] ამერიკაში არა ცხრა, არამედ ო რ ი უდიდესი ბანკი — მილიარდერების როკფელერისა და მორგანისა — ბატონობს 11 მილიარდ მარკა კაპიტალზე **. როცა გერმანიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, «გამნაღდებელმა საზოგადოებამ» «შაფჰაუზენის საკავშირო ბანკი» შთანთქა, ბირჟის ინტერესთა გამომხატველი «ფრანკფურტის გაზეთი» [81] ასე აფასებდა ამ ფაქტს:

«ბანკების კონცენტრაციის ზრდასთან ერთად იკვეცება იმ დაწესებულებათა რიცხვი, რომელთაც საერთოდ შეიძლება მიმართოთ კრედიტისათვის, რის გამო იზრდება მსხვილი მრეწველობის დამოკიდებულება ბანკთა მცირეოდენ ჯგუფთაგან. როდესაც მრეწველობასა და ფინანსისტთა წრეებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, იმ სამრეწველო საზოგადოებათა მოძრაობის თავისუფლება, რომელთაც ბანკის კაპიტალი სჭირდებათ, იზღუდება. ამიტომაც მსხვილი მრეწველობა ბან-

* Schulze-Gaevernitz: «Die deutsche Kreditbank» Grundriss der Sozialökonomik-ში, Tüb., 1915, გვ. 151.

** Die Bank, 1912, 1, გვ. 435.

კების თანდათან მზარდ ტრესტირებას (გაერთიანება ან ტრესტებად ჩამოყალიბება) გაურკვეველი გრძნობებით აღსავსე შეჰყურებს; მართლაც, უკვე არა ერთხელ ყოფილა გამოსახული და შემჩნეული იმის შემთხვევები, რომ დიდი ბანკების ცალკეულ კონცერნებს განსაზღვრული შეთანხმებანი დაუდვიათ ურთიერთშორის, შეთანხმებანი, რომელთა მიზანია კონკურენციის შეზღუდვა» *.

ისევ და ისევ უკანასკნელი სიტყვა საბანკო საქმის განვითარებაში — მონოპოლიაა.

რაც შეეხება ბანკებისა და მრეწველობის მჭიდრო კავშირს, სწორედ ამ დარგში თითქოს ყველაზე თვალნათლივ იჩენს თავს ბანკების ახალი როლი. თუ ბანკი რომელიმე მეწარმეს თამასუქებს უნაღდებს, უხსნის მას მიმდინარე ანგარიშს და სხვ., ეს ოპერაციები, ცალკე აღებული, იოტისოდენადაც არ ამცირებენ ამ მეწარმის დამოუკიდებლობას, ხოლო ბანკი შუამავლის უბრალო როლს არ სცილდება. მაგრამ თუ ეს ოპერაციები ხშირდება და მკვიდრდება, თუ ბანკი თავის ხელში «აგროვებს» უდიდესი ზომის კაპიტალებს, თუ რომელიმე საწარმოს მიმდინარე ანგარიშის წარმოება საშუალებას აძლევს ბანკს — ეს კი სწორედ ასე ხდება — სულ უფრო დაწვრილებით და სრულად გაეცნოს თავისი კლიენტის ეკონომიურ მდგომარეობას, მაშინ შედეგად ვიღებთ მრეწველი კაპიტალისტის უფრო და უფრო სრულ დამოკიდებულებას ბანკისაგან.

ამასთან ერთად ვითარდება, ასე ვთქვათ, ბანკების პირადი უნია ვაჭრობა-მრეწველობის უდიდეს საწარმოებთან, ხდება ორივეს შეერთება აქციების ფლობის საშუალებით, ან იმით, რომ ბანკების დირექტორები წევრებად შედიან სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ზედამხედველ საბჭოებში (თუ გამგეობებში) და პირიქით. გერმანელმა ეკონომისტმა ეიდელსმა კაპიტალთა და საწარმოთა ამგვარი კონცენტრაციის შესახებ ფრიად დაწვრილებითი ცნობები შეკრიბა. ბერლინის

* მოყვანილი აქვს შულცე-გევერნიცს Grdr. d. S.-Oek.-ში, გვ. 155.

ექვსი უდიდესი ბანკი თავისი დირექტორების მეშვეობით წარმოდგენილი იყო 344 სამრეწველო საზოგადოებაში, და თავიანთი გამგეობების წევრთა მეშვეობით კიდევ 407 საზოგადოებაში, სულ 751 საზოგადოებაში. 289 საზოგადოებაში ამ ბანკებს ჰყავდათ წარმომადგენელნი ან ზედამხედველი საბჭოების ორი წევრის ანდა ამ საბჭოების თავმჯდომარეთა სახით. ამ სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებათა შორის ჩვენ გვხვდება მრეწველობის სრულიად სხვადასხვაგვარი დარგები, დაზღვევის საქმეც, მიმოსვლის საშუალებანიც, რესტორანებიც, თეატრებიც, სამხატვრო მრეწველობაც და სხვ.. მეორე მხრივ, იმავე ექვსი ბანკის ზედამხედველ საბჭოებში 51 უმსხვილესი მრეწველი იყო (1910 წელს), მათ შორის კრუპის ფირმის დირექტორი, უზარმაზარი სანაოსნო საზოგადოების «Hapag»-ის (Hamburg — Amerika) * წარმომადგენელი და სხვ. და ა. შ.. თვითეულ ზემოხსენებულ 6 ბანკთაგანს 1895 წლიდან 1910 წლამდე მონაწილეობა მიუღია მრავალი ასეული სამრეწველო საზოგადოებისათვის აქციებისა თუ ობლიგაციების გამოშვებაში, სახელდობრ: 281-დან 419-მდე საზოგადოებისათვის **.

მრეწველობასთან ბანკების «პირად უნიას» ემატება ამა თუ იმ საზოგადოებათა «პირადი უნია» მთავრობასთან. «ზედამხედველი საბჭოების წევრთა ადგილებს — წერს ეიდელსი — ნებაყოფლობით უთმობენ სახელგანთქმულ პირებს, აგრეთვე სახელმწიფო სამსახურში ნამყოფ მოხელეებს, რომელთაც შეუძლიათ საკმაოდ გააადვილონ (!!) ხელისუფლებასთან ურთიერთობა»... «დიდი ბანკის ზედამხედველი საბჭოს შემადგენლობაში ჩვეულებრივად ვხვდებით პარლამენტის წევრს ან ბერლინის ქალაქის სამმართველოს წევრს».

მსხვილ კაპიტალისტურ მონოპოლიათა, ასე ვთქვათ, გამომუშავება და დამუშავება, მაშასადამე, წარმოებს ფრიად სწრაფად ყოველგვარ «ბუნებრივ» თუ «ზებუნებრივ» ღონის-

---

* — «ჰაპაგ» (ჰამბურგი — ამერიკა). რ ე დ.

** ეიდელსი და რისერი, დასახ. თხზ.

ძიებათა საშუალებით. იქმნება სისტემატურად შრომის განსაზღვრული განაწილება თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების რამდენიმე ასეულ ფინანსურ მბრძანებელს შორის:

«ცალკეულ მსხვილ მრეწველთა მოქმედების ასპარეზის ასეთ გაფართოებასთან» (ბანკების გამგეობებში შესვლით და სხვ.) «და პროვინციულ ბანკთა დირექტორების გამგებლობაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი განსაზღვრული სამრეწველო ოლქის გადაცემასთან ერთად, დიდი ბანკების ხელმძღვანელებს შორისაც ხდება სპეციალიზაციის ერთგვარი ზრდა. ასეთი სპეციალიზაცია შესაძლებელია საერთოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თვით ბანკის საქმიანობის ფარგლები დიდია და, განსაკუთრებით, როდესაც დიდია მისი სამრეწველო კავშირურთიერთობა. შრომის ასეთი განაწილება ორი მიმართულებით ხდება: ერთი მხრივ, მრეწველობასთან მთელი ურთიერთობის მოგვარება ევალება ერთ დირექტორთაგანს, და ეს მის სპეციალურ საქმედ ითვლება; მეორე მხრივ, ყოველი დირექტორი თვითონ კისრულობს თვალყური ადევნოს ცალკეულ საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფს, რომელნიც ერთმანეთთან ახლოს დგანან პროფესიის ან ინტერესების მხრივ»... (კაპიტალიზმი უკვე იმდენად მომწიფდა, რომ მას შეუძლია ორგანიზებულად გაუწიოს ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა ცალკე საწარმოებს)... «ზოგიერთის სპეციალობას შეადგენს გერმანიის მრეწველობა, ხანდახან მარტოოდენ დასავლეთ გერმანიისა» (დასავლეთი გერმანია გერმანიის ყველაზე უფრო სამრეწველო ნაწილია), «სხვებისას — სახელმწიფოებთან და უცხოეთის მრეწველობასთან ურთიერთობა, ცნობები მრეწველთა ვინაობის შესახებ და სხვ., საბირჟო საქმეები და ა. შ.. გარდა ამისა, ხშირად ბანკის თვითეულ დირექტორს გამგებლობაში აძლევენ განსაკუთრებულ ოლქს ან მრეწველობის ცალკეულ დარგს; ერთი უმთავრესად მუშაობს ელექტრობის საზოგადოებათა ზედამხედველ საბჭოებში, მეორე — ქიმიურ ფაბრიკებში, ლუდის სახდელ თუ შაქრის ქარხნებში, მესამე — რამდენიმე განცალკევებულ საწარმოში და ამასთანავე დამზღვევ საზოგადოებათა ზედამხედველ საბჭოში...

ერთი სიტყვით, უეჭველია, რომ დიდ ბანკებში, მათი ოპერაციების ფარგლებისა და ნაირნაირობის ზრდასთან ერთად, ხდება შრომის სულ უფრო მეტი განაწილება ხელმძღვანელთა შორის, — იმ მიზნით (და იმ შედეგით), რომ რამდენადმე, ასე ვთქვათ, წმინდა საბანკო საქმიანობაზე მაღლა ასწიონ ისინი, გაუძლიერონ მათ მსჯელობის უნარი, მეტი ცოდნა შესძინონ მრეწველობის საერთო საკითხებში და მის ცალკე დარგთა სპეციალურ საკითხებში, მოამზადონ ისინი ბანკის გავლენის სამრეწველო სფეროს დარგში სამოქმედოდ. ბანკების ამ სისტემას ერთვის მისწრაფება — თავიანთ ზედამხედველ საბჭოებში აირჩიონ ისეთი ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობენ მრეწველობას, — მეწარმეები, ყოფილი მოხელეები, განსაკუთრებით კი ისეთნი, ვისაც სარკინიგზო, სამთამადნო უწყებაში უმსახურნია» და სხვ. *.

ამგვარსავე დაწესებულებებს, ოღონდ ოდნავ სხვანაირი ფორმით, ვხედავთ საფრანგეთის საბანკო საქმეშიც. მაგალითად, საფრანგეთის ერთმა სამ უდიდეს ბანკთაგანმა, «ლიონის კრედიტმა», მოაწყო განსაკუთრებული «საფინანსო ცნობათა შემკრები განყოფილება» (service des études financières). იქ მუდმივად მუშაობს 50-ზე მეტი ინჟინერი, სტატისტიკოსი, ეკონომისტი, იურისტი და სხვ.. წელიწადში განყოფილებაზე იხარჯება ექვსასი თუ შვიდასი ათასი ფრანკი. თავის მხრივ ის დაყოფილია 8 განყოფილებად: ერთი აგროვებს ცნობებს სპეციალურად სამრეწველო დაწესებულებათა შესახებ, მეორე საერთო სტატისტიკას იკვლევს, მესამე — სარკინიგზო და სანაოსნო საზოგადოებებს, მეოთხე — ფონდებს, მეხუთე — საფინანსო ანგარიშებს და ა. შ. **.

ხდება, ერთი მხრივ, საბანკო და სამრეწველო კაპიტალების სულ უფრო მეტად შეერთება ან, როგორც მოხდენილად თქვა ნ. ი. ბუხარინმა, მათი შეზრდა; მეორე მხრივ კი, ბანკე-

---

* ეიდელსი, დასახ. თხზულება, გვ. 157.

** Eug. Kaufmann-ის სტატია საფრანგეთის ბანკების შესახებ «Die Bank»-ში, 1909, 2, გვ. 851 და შემდ.

ბის გადაზრდა ჭეშმარიტად «უნივერსალური ხასიათის» დაწესებულებებად. საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხზე მოვიყვანოთ ზუსტი გამოთქმები ეიდელსისა, იმ მწერლისა, რომელსაც საქმე ყველაზე უკეთ აქვს შესწავლილი:

«სამრეწველო კავშირურთიერთობის ერთობლიობის განხილვის შედეგად ვღებულობთ იმ ფინანსური ინსტიტუტების უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ უ რ ხ ა ს ი ა თ ს, რომლებიც მრეწველობისათვის მუშაობენ. წინააღმდეგ ბანკების სხვა ფორმებისა, წინააღმდეგ ზოგჯერ ლიტერატურაში წამოყენებული მოთხოვნებისა, რომ ბანკები საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში ან მრეწველობის განსაზღვრულ დარგში უნდა დასპეციალდნენ, რათა ფეხქვეშ ნიადაგი არ გამოეცალოთ, — დიდი ბანკები ცდილობენ თავიანთი კავშირურთიერთობა სამრეწველო საწარმოებთან რაც შეიძლება მეტად მრავალფეროვანი გახადონ წარმოების ადგილისა და დარგის მიხედვით, ცდილობენ მოსპონ ის უთანაბრობა კაპიტალის განაწილებისა ცალკეულ კუთხეთა თუ მრეწველობის დარგთა შორის, რომელიც ცალკეულ საწარმოთა წარსულით აიხსნება». «ერთი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ მრეწველობასთან კავშირი საერთო მოვლენა გახდეს; მეორე — იმაში, რომ კავშირი რაც შეიძლება განმტკიცდეს და გაძლიერდეს; ორივე ტენდენცია განხორციელებულია ექვსი დიდი ბანკის მიერ არა სავსებით, მაგრამ უკვე მნიშვნელოვანი ოდენობით და თანაბარი ხარისხით».

სავაჭრო-სამრეწველო წრეებიდან ხშირად ისმის ჩივილი ბანკების «ტერორიზმზე». და არც გასაკვირველია, რომ მსგავსი ჩივილი ისმის, როცა დიდი ბანკები ისე «მბრძანებლობენ», როგორც ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს. 1901 წლის 19 ნოემბერს ბერლინის ერთმა ეგრეთწოდებულ D ბანკთაგანმა (ოთხი უდიდესი ბანკის სახელი იწყება ასო D-ით) შემდეგი წერილით მიმართა ჩრდილო-დასავლეთ-შუა გერმანიის საცემენტო სინდიკატის გამგეობას: «იმ ცნობიდან, რომელიც თქვენ მიმდინარე თვის 18-ს გამოაქვეყნეთ ამა და ამ გაზეთში, ჩანს, რომ მოსალოდნელია თქვენი სინდიკატის საერთო კრე-

ბამ, რომელიც ამა თვის 30-ს უნდა შედგეს, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებანი, რაც თქვენს საწარმოში, შესაძლოა, შეიტანს ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენთვის მიუღებელი იქნება. ამიტომ ჩვენ, თუმცა ღრმა მწუხარებით, იძულებული ვართ მოგისპოთ ის კრედიტი, რომლითაც თქვენ სარგებლობდით... მაგრამ თუ ამ საერთო კრებაზე არ იქნება გამოტანილი ჩვენთვის მიუღებელი დადგენილებანი და ამ მხრივ მოგვეცემა შესაფერისი გარანტიები მომავლისთვისაც, ჩვენ მზადა ვართ დავიწყოთ მოლაპარაკება თქვენთვის ახალი კრედიტის გახსნის შესახებ» *.

ეს, არსებითად, იგივე ჩივილია წვრილი კაპიტალისა მსხვილი კაპიტალის მხრივ ჩაგვრაზე, ოღონდ აქ «წვრილი» კაპიტალის თანრიგში მთელი სინდიკატი მოხვდა! წვრილი და მსხვილი კაპიტალის ძველი ბრძოლა განახლებულია განვითარების ახალ, ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე. გასაგებია, რომ დიდი ბანკების მილიარდიან საწარმოებს ტექნიკის პროგრესის წინ წაწევაც ისეთი საშუალებებით შეუძლიათ, რომელთა შედარებაც კი არ შეიძლება ძველ საშუალებებთან. ბანკები, მაგალითად, აარსებენ ტექნიკურ გამოკვლევათა განსაკუთრებულ საზოგადოებებს, რომელთა მუშაობის ნაყოფით სარგებლობენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ «მეგობრული» სამრეწველო საწარმოები. ესენი არიან «ელექტროორკინიგზათა საკითხის შემსწავლელი საზოგადოება», «სამეცნიერო-ტექნიკურ გამოკვლევათა ცენტრალური ბიურო» და სხვ.

დიდი ბანკების ხელმძღვანელები თვითონაც არ შეიძლება არ ხედავდნენ, რომ იქმნება სახალხო მეურნეობის რაღაც ახალი პირობები, მაგრამ ისინი უძლურნი არიან მათ წინაშე:

«ვისაც თვალყური უდევნებია იმისათვის, — წერს ეიდელსი, — თუ როგორ იცვლებოდნენ უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი ბანკების დირექტორები და ზედამხედველი საბჭოების წევრები, ის უეჭველად შეამჩნევდა, როგორ გადადის ძალაუფლება თანდათან ისეთი პირების ხელში, რომლე-

* Dr. Oscar Stillich: «Geld- und Bankwesen». Berlin. 1907, გვ. 148.

ბიც დიდი ბანკების აუცილებელ და სულ უფრო საარსებო ამოცანად თვლიან აქტიურ ჩარევას მრეწველობის საერთო განვითარების საქმეში, ამასთან ამ პირებსა და ბანკების ძველ დირექტორებს შორის აქედან იბადება უთანხმოება საქმიან ნიადაგზე, ხოლო ხშირად პირად ნიადაგზეც კი. არსებითად საქმე იმას ეხება, ხომ არ ვნებს ბანკებს, როგორც საკრედიტო დაწესებულებებს, ბანკების ეს ჩარევა წარმოების სამრეწველო პროცესში, ხომ არ ეწირება მსხვერპლად მტკიცე პრინციპები და უეჭველი მოგება ისეთ მოღვაწეობას, რომელსაც საერთო არაფერი აქვს შუამავლობასთან კრედიტის მიწოდების საქმეში და რომლითაც ბანკი იჭრება ისეთ დარგში, სადაც ის უფრო მეტად დამორჩილებულია სამრეწველო კონიუნქტურის ბრმა ბატონობისადმი, ვიდრე წინათ იყო. ასე ლაპარაკობენ ბევრნი ბანკების ძველ ხელმძღვანელთაგან, ახალგაზრდათა უმრავლესობას კი მრეწველობის საკითხებში აქტიური ჩარევა ისეთივე აუცილებლობად მიაჩნია, როგორმა აუცილებლობამაც წარმოშვა თანამედროვე მსხვილ მრეწველობასთან ერთად მსხვილი ბანკებიც და უახლესი სამრეწველო საბანკო დაწესებულებანიც. მხოლოდ იმაში ეთანხმება ერთმანეთს ორივე მხარე, რომ დიდი ბანკების ახალი მოღვაწეობისათვის არ არსებობს არც მტკიცე პრინციპები, არც კონკრეტული მიზანი» *.

ძველმა კაპიტალიზმმა თავისი დრო მოჭამა. ახალი რაღაცისაკენ გარდამავალია. რა თქმა უნდა, უიმედო საქმეა მონოპოლიისა და თავისუფალი კონკურენციის «შესარიგებლად» «მტკიცე პრინციპებისა და კონკრეტული მიზნის» გამონახვა. აღიარება პრაქტიკოსთა მხრით სულ სხვანაირად გაისმის, ვიდრე «ორგანიზებული» კაპიტალიზმის მშვენებათა კაზიონური ქება-დიდება მისი ისეთი აპოლოგეტების მიერ, როგორიც არიან შულცე-გევერნიცი, ლიფმანი და მათი მსგავსი «თეორეტიკოსები».

იმ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე, თუ სახელდობრ რა დროს მიეკუთვნება დიდი ბანკების «ახალი მოღვაწეობის»

* ეიდელსი, დასახ. თხზ., გვ. 183 — 184.

საბოლოოდ დამკვიდრება, საკმაოდ ზუსტ პასუხს გვაძლევს ეიდელსი:

«კავშირურთიერთობა სამრეწველო საწარმოთა შორის, მათი ახალი შინაარსით, ახალი ფორმებით, ახალი ორგანოებით, სახელდობრ: დიდი ბანკებით, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ცენტრალისტურადაც არიან მოწყობილნი და დეცენტრალისტურადაც, — ყალიბდება როგორც დამახასიათებელი სახალხოსამეურნეო მოვლენა არა უადრეს 1890-იანი წლებისა; განსაზღვრული აზრით ეს დაწყებითი პუნქტი შეიძლება კიდევაც გადმოვწიოთ 1897 წლამდე, მისი საწარმოთა უდიდესი «გაერთიანებებით», რომელთაც პირველად შემოაქვთ დეცენტრალიზებული ორგანიზაციის ახალი ფორმა ბანკების სამრეწველო პოლიტიკის მოსაზრებით. ეს დაწყებითი პუნქტი შეიძლება, ერთგვარად, კიდევ უფრო აქეთ გადმოვწიოთ, ვინაიდან მხოლოდ 1900 წლის კრიზისმა უაღრესად დააჩქარა კონცენტრაციის პროცესი როგორც მრეწველობაში, ისე საბანკო საქმეში, განამტკიცა ეს პროცესი, პირველად გადააქცია მრეწველობასთან ურთიერთობა დიდი ბანკების ნამდვილ მონოპოლიად, ბევრად უფრო მჭიდრო და ინტენსიური გახადა ეს ურთიერთობა» *.

ამრიგად, XX საუკუნე — აი შემობრუნების პუნქტი ძველი კაპიტალიზმიდან ახალი კაპიტალიზმისაკენ, კაპიტალის ბატონობიდან საერთოდ ფინანსური კაპიტალის ბატონობისაკენ.

III. ფინანსური კაპიტალი და ფინანსური ოლიგარქია

«სამრეწველო კაპიტალის სულ უფრო მზარდი ნაწილი — წერს ჰილფერდინგი — არ ეკუთვნის იმ მრეწველებს, რომლებიც ამ კაპიტალს იყენებენ. კაპიტალის განმკარგულებელნი ისინი მხოლოდ ბანკის საშუალებით ხდებიან, — ბანკი წარმოადგენს მათ მიმართ ამ კაპიტალის მესაკუთრეებს. მეორე მხრივ,

* იქვე, გვ. 181.

ბანკსაც თავისი კაპიტალების სულ უფრო მზარდი ნაწილის მოთავსება უხდება მრეწველობაში. ამის გამო იგი სულ უფრო და უფრო მეტად იქცევა სამრეწველო კაპიტალისტად. ასეთ საბანკო კაპიტალს, — მაშასადამე, კაპიტალს ფულად ფორმაში, — რომელიც ამ გზით ნამდვილად სამრეწველო კაპიტალად არის გადაქცეული, მე ვუწოდებ ფინანსურ კაპიტალს». «ფინანსური კაპიტალი არის ის კაპიტალი, რომელიც ბანკების განკარგულებაში იმყოფება და რომელსაც მრეწველები იყენებენ» *.

ეს განსაზღვრა სრული არაა იმდენად, რამდენადაც იქ აღნიშნული არ არის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ: წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის იმდენად ძლიერი ზრდა, როდესაც კონცენტრაციას შედეგად მოსდევს და მოჰყვა კიდევაც მონოპოლია. მაგრამ ჰილფერდინგის მთელ გადმოცემაში საერთოდ, კერძოდ კი ორივე თავში, რომლებიც მოთავსებულია იმ თავის წინ, საიდანაც ამოღებულია ეს განსაზღვრა, ხაზგასმითაა აღნიშნული კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ მ ო ნ ო პ ო ლ ი ა თ ა როლი.

წარმოების კონცენტრაცია; მისგან აღმოცენებული მონოპოლიები; ბანკების შეერთება ანუ შეზრდა მრეწველობასთან — აი ფინანსური კაპიტალის წარმოშობის ისტორია და ამ ცნების შინაარსი.

ახლა საჭიროა გადავიდეთ იმის აღწერაზე, თუ როგორ ხდება, რომ, სასაქონლო წარმოებისა და კერძო საკუთრების საერთო ვითარებაში, კაპიტალისტურ მონოპოლიათა «სამეურნეო მოღვაწეობა» აუცილებლად გადაიქცევა ხოლმე ფინანსური ოლიგარქიის ბატონობად. აღვნიშნავთ, რომ ბურჟუაზიული გერმანული — და არა მარტო გერმანული — მეცნიერების წარმომადგენლები, როგორიც არიან რისერი, შულცე-გევერნიცი, ლიფმანი და სხვები, — ყველანი იმპერიალიზმისა და

* რ. ჰილფერდინგი: «ფინანსური კაპიტალი», მ. 1912, გვ. 338 — 339.

ფინანსური კაპიტალის აპოლოგეტები არიან. ისინი კი არ ააშკარავებენ, არამედ ჩქმალავენ და ალამაზებენ ოლიგარქიის წარმოშობის «მექანიკას», მის ხერხებს, მის მიერ «უცოდველი და ცოდვილი» გზით მიღებული შემოსავლის ოდენობას, მის კავშირს პარლამენტებთან და სხვ. და ა. შ.. ისინი თავიდან იშორებენ «წყეულ საკითხებს» იმით, რომ წარმოთქვამენ მაღალფარდოვან, ბუნდოვან ფრაზებს, მიმართავენ ბანკების დირექტორთა «პასუხისმგებლობის გრძნობას», აქებ-ადიდებენ პრუსიის მოხელეთა «მოვალეობის გრძნობას», სერიოზული სახით არჩევენ «ზედამხედველობისა» და «რეგლამენტაციის» შესახებ შემუშავებული სრულიად არასერიოზული კანონპროექტების წვრილმანებს, ერთობიან თეორიული ჩხირკედელაობით, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგნაირი «მეცნიერული» განსაზღვრა, სადამდეც მივიდა თავის ნაწერებში პროფესორი ლიფმანი: ...«**ვაჭრობა** არის **სარეწაო საქმიანობა, რომლის მიზანია დოვლათის დაგროვება, მისი შენახვა და განკარგულებაში გადაცემა**»* (ხაზგასმა და შავი შრიფტი პროფესორის თხზულებაშია)... გამოდის, რომ ვაჭრობა ჰქონდა პირველყოფილ ადამიანსაც, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა გაცვლა-გამოცვლა, რომ ის სოციალისტურ საზოგადოებაშიც იქნება!!

მაგრამ ფინანსური ოლიგარქიის საშინელი ბატონობის საშინელი ფაქტები იმდენად ეჩხირება თვალში ყველას, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში — ამერიკაშიც, საფრანგეთშიც და გერმანიაშიც — გაჩნდა ლიტერატურა, რომელიც ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, მაგრამ მაინც დაახლოებით სწორ სურათს იძლევა და აკრიტიკებს კიდევაც — რა თქმა უნდა, მეშჩანურად — ფინანსურ ოლიგარქიას.

ქვაკუთხედად უნდა დაედოს «მონაწილეობათა» ის «სისტემა», რომლის შესახებ რამდენიმე სიტყვა უკვე ზემოთ ითქვა. აი როგორ აღწერს საქმის ვითარებას გერმანელი ეკონომისტი

* R. Liefmann, დასახ. თხზ., გვ. 476.

ჰეიმანი, რომელმაც ამ საკითხს, შესაძლოა, სხვებზე უფრო ადრე მიაქცია ყურადღება:

«ხელმძღვანელი კონტროლს უწევს ძირითად საზოგადოებას (სიტყვასიტყვით: «დედა-საზოგადოებას»); იგი თავის მხრივ ბატონობს მისგან დამოკიდებულ საზოგადოებებზე («ქალიშვილ-საზოგადოებებზე»), ეს უკანასკნელნი — «შვილიშვილ-საზოგადოებებზე» და ა. შ.. ამგვარად შესაძლებელია მაინცდამაინც დიდ კაპიტალს არ ფლობდე და წარმოების უდიდეს დარგებზე კი ბატონობდე. მართლაცდა, თუ კაპიტალის 50%-ის ფლობა ყოველთვის საკმარისია სააქციო საზოგადოების კონტროლის გაწევისათვის, მაშინ ხელმძღვანელს სულ ერთი მილიონი ეყოფა იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს კონტროლი გაუწიოს «შვილიშვილ-საზოგადოებათა» 8-მილიონიან კაპიტალს. და თუ ეს «გადახლართვა» უფრო შორს მიდის, შესაძლებელია ერთი მილიონით 16 მილიონს, 32 მილიონს და ა. შ. გაუწიო კონტროლი» *.

მართლაც, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკმარისია ფლობდე აქციების 40%-ს, რათა განაგებდე სააქციო საზოგადოების საქმეებს **, ვინაიდან დაქსაქსულ, წვრილ აქციონერთა განსაზღვრულ ნაწილს პრაქტიკულად არავითარი შესაძლებლობა არა აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებებში და სხვ.. აქციების ფლობის «დემოკრატიზაცია», რომლისაგანაც ბურჟუაზიული სოფისტები და ოპორტუნისტი «ვითომ-სოციალ-დემოკრატები» ელიან (ან ირწმუნებიან, რომ ელიან) «კაპიტალის დემოკრატიზაციას», წვრილი წარმოების როლისა და მნიშვნელობის გაძლიერებას და სხვ., ნამდვილად ფინანსური ოლიგარქიის ძლევამოსილების განმტკიცების ერთ-ერთი საშუალებაა. ამიტომაა, სხვათა შორის, რომ უფრო მოწინავე ან უფრო ძველ და «გამოცდილ» კაპიტალისტურ

* Hans Gideon Heymann: «Die gemischten Werke im deutschen Grosseisengewerbe», St. 1904, გვ. 268 — 269.

** Liefmann, Beteiligungsges. etc., გვ. 258, 1-ლი გამოც. მიხედვით.

ქვეყნებში კანონმდებლობით ნებადართულია მცირე ღირებულების აქციების გამოშვება. გერმანიაში კანონით აკრძალულია 1 000-მარკიანზე უფრო მცირე ღირებულების აქციების გამოშვება, და გერმანელი ფინანსური მაგნატები შურით შეჰყურებენ ინგლისს, სადაც კანონით ნებადართულია ერთ გირვანქა სტერლინგად ღირებული (=20 მარკა, დაახლოებით 10 მანეთი) აქციის გამოშვებაც კი. სიმენსმა, გერმანიის ერთ-ერთმა უდიდესმა მრეწველმა და «ფინანსთა მეფემ», 1900 წლის 7 ივნისს რეიხსტაგში განაცხადა: «ერთ გირვანქა სტერლინგად ღირებული აქცია ბრიტანეთის იმპერიალიზმის საფუძველიაო» *. ამ ვაჭარს იმპერიალიზმის უფრო ღრმა, უფრო «მარქსისტული» გაგება ეტყობა, ვიდრე ვიღაც უგვანო მწერალს, რომელიც რუსული მარქსიზმის დამაარსებლად ითვლება [82] და რომელიც ფიქრობს, რომ იმპერიალიზმი ერთ-ერთი ხალხის ცუდი თვისებაა...

მაგრამ «მონაწილეობათა სისტემა» არა მარტო მონოპოლისტთა ძალაუფლების გიგანტურ ზრდას ემსახურება, იგი ამას გარდა ნებას იძლევა დაუსჯელად აკეთონ ყოველგვარი ბნელი, ბინძური საქმეები და გაფცქვნან ხალხი, ვინაიდან «დედა-საზოგადოების» ხელმძღვანელები ფორმალურად, კანონით, არ არიან პასუხისმგებელნი «ქალიშვილ-საზოგადოების» მოქმედებისათვის, რომელიც «დამოუკიდებელ» საზოგადოებად ითვლება და რომლის ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს «გატარება» შეიძლება. აი მაგალითი, რომელიც მოგვყავს გერმანულ ჟურნალ «ბანკის» 1914 წლის მაისის ნომრიდან:

««ზამბარული ფოლადის სააქციო საზოგადოება» კასელში რამდენიმე წლის წინათ ითვლებოდა ერთ-ერთ ფრიად მომგებიან საწარმოდ გერმანიაში. უხეირო მმართველობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დივიდენდები 15%-დან 0%-მდე დაეცა. როგორც გამოირკვა, გამგეობას, აქციონერთა ნებადაურთვე-

* Schulze-Gaevernitz «Grdr. d. S.-Oek.»-ში, V, 2, გვ. 110.

ლად, თავისი ერთ-ერთი «ქალიშვილ-საზოგადოებისათვის», «ჰასიასთვის», რომლის ნომინალური კაპიტალი სულ რაღაც რამდენიმე ასი ათას მარკას უდრიდა, მიეცა სესხად 6 მილიონი მარკა. ამ სესხის შესახებ, რომლის ოდენობა თითქმის სამჯერ მეტია «დედა-საზოგადოების» სააქციო კაპიტალზე, უკანასკნელის ბალანსებში არაფერი იყო ნათქვამი; იურიდიულად ასეთი დუმილი სრულიად კანონიერი იყო, და შესაძლებელია ეს მდგომარეობა მთელ ორ წელიწადსაც გაგრძელებულიყო, ვინაიდან ამით სავაჭრო კანონმდებლობის არც ერთი პარაგრაფი არ ირღვეოდა. ზედამხედველი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც, როგორც პასუხისმგებელი პირი, ხელს აწერდა ყალბ ბალანსებს, იყო და რჩება კასელის საეაჭრო პალატის თავმჯდომარედ. აქციონერებმა საზოგადოება «ჰასიას» ამ სესხის ამბავი გაიგეს ძალიან გვიან მას შემდეგ, რაც იგი შეცდომა გამოდგა»... (ავტორს ეს სიტყვა — შეცდომა — ბრჭყალებში უნდა ჩაესვა)... «და როდესაც «ზამბარული ფოლადის» აქციების ფასი, იმის გამო, რომ მათს თავიდან მოშორებას ცდილობდა ყველა, ვინც საქმის ვითარება იცოდა, დაეცა თითქმის 100%-ით...

... «ბალანსის დარგში ეკვილიბრისტიკის ეს ტიპიური მაგალითი, რომელიც სააქციო საზოგადოებათათვის ყველაზე ჩვეულებრივი მოვლენაა, ცხადყოფს, თუ რატომ ხდება, რომ სააქციო საზოგადოებათა გამგეობები გაცილებით უფრო ადვილად ჰკიდებენ ხელს სარისკო საქმეებს, ვიდრე კერძო მეწარმენი. ბალანსების შედგენის უახლესი ტექნიკა არა მარტო შესაძლებლობას აძლევს მათ საშუალო აქციონერს დაუმალონ სარისკო საქმეები, არამედ იგი აგრეთვე საშუალებას აძლევს მთავარ დაინტერესებულ პირთ აქციების დროზე გაყიდვით მოიშორონ თავიდან პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტი მარცხით დამთავრდება, კერძო მეწარმე კი ყველაფრისათვის, რასაც ის აკეთებს, თავისივე ტყავით აგებს პასუხს...

მრავალი სააქციო საზოგადოების ბალანსები ჩამოჰგავს შუა საუკუნეთა ეპოქის იმ ცნობილ პალიმფსესტებს, რომ-

ლებზეც ნაწერი ჯერ უნდა წაგეშალა, რათა აღმოგეჩინა დაწერილის ქვეშ მოქცეული ნიშნები, რაც ხელნაწერის ნამდვილ შინაარსს შეიცავდა» (პალიმფსესტი ჰქვია პერგამენტს, რომელზეც ძირითადი ხელნაწერი წაშლილია და ამ წაშლილზე სხვაა დაწერილი).

«ბალანსების შეუვალობის მისაღწევად ყველაზე მარტივი და ამიტომაც უფრო გავრცელებული საშუალება ისაა, რომ ერთ მთლიან საწარმოს ყოფენ რამდენიმე ნაწილად «ქალიშვილ-საზოგადოებათა» შექმნით ან უკვე არსებულთა შემოერთებით. ამ სისტემის სარფიანობა სხვადასხვა — კანონიერი თუ უკანონო — მიზნის თვალსაზრისით იმდენად ცხადია, რომ ამჟამად პირდაპირ გამონაკლისს წარმოადგენენ დიდი საზოგადოებანი, რომლებიც ამ სისტემას არ მიიღებდნენ» *.

როგორც მაგალითს უდიდესი და მონოპოლისტური საზოგადოებისას, რომელიც მეტად ფართოდ მიმართავს ამ სისტემას, ავტორი ასახელებს ცნობილ «ელექტრობის საყოველთაო საზოგადოებას» (A. E. G., მის შესახებ ქვემოთ გვექნება კიდევ ლაპარაკი). 1912 წელს ვარაუდობდნენ, რომ ეს საზოგადოება მონაწილეობას იღებდა **175 — 200** საზოგადოებაში, რომლებზეც, რასაკვირველია, იგი მბრძანებლობდა და, საერთოდ, მოიცავდა კაპიტალს დაახლოებით **1½** მ ი ლ ი ა რ დ ი მ ა რ კ ი ს რაოდენობით **.

კონტროლის, ბალანსების გამოქვეყნების, მათთვის განსაზღვრული სქემის შემუშავების, ზედამხედველობის დაწესების და სხვა ყოველგვარი წესები, რითაც საზოგადოების ყურადღებას იპყრობენ კეთილმოსურნე — ე. ი. ვისაც აქვს კეთილი სურვილი, რომ დაიცვას და შეალამაზოს კაპიტალიზმი — პროფესორები და მოხელენი, აქ უკვე ყოველ მნიშვნელობას

---

* L. Eschwege: «Tochtergesellschaften», «Die Bank», 1914, 1, გვ. 545 (ლ. ეშვეგე. «ქალიშვილი-საზოგადოებანი», «ბანკი». რ ე დ.).

** Kurt Heinig: «Der Weg des Elektrotrusts», «Neue Zeit», 1912, 30. Jahrg., 2, გვ. 484 (კურტ ჰეინიგი. «ელექტროტრესტის გზა», «ახალი დროება», 1912, გამოც. 30-ე წელი. რ ე დ.).

კარგავს. ვინაიდან კერძო საკუთრება წმიდათა-წმიდაა, და არავის არ შეიძლება აეკრძალოს აქციების ყიდვა-გაყიდვა, მათი გადაცვლა, დაგირავება და სხვ.

თუ რა ფარგლებს მიაღწია «მონაწილეობის სისტემამ» რუსეთის დიდ ბანკებში, შეგვიძლია განვსაჯოთ ე. აგადის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემთა მიხედვით; ე. აგადი 15 წლის განმავლობაში მოხელედ მსახურობდა რუსეთ-ჩინეთის ბანკში და 1914 წლის მაისში გამოაქვეყნა არა სავსებით ზუსტი სათაურით თხზულება: «დიდი ბანკები და მსოფლიო ბაზარი» *. რუსეთის დიდ ბანკებს ავტორი ორ ძირითად ჯგუფად ყოფს: ა) ბანკები, რომლებიც «მონაწილეობის სისტემით» მუშაობენ და ბ) «დამოუკიდებელნი», მაგრამ «დამოუკიდებლობის» ცნება მას თავისი შეხედულებისამებრ ესმის, როგორც უ ც ხ ო ე თ ი ს ბანკებისაგან დამოუკიდებლობა; პირველ ჯგუფს ავტორი სამ ქვეჯგუფად ყოფს: 1) გერმანელების მონაწილეობა; 2) ინგლისელებისა და 3) ფრანგებისა, მხედველობაში აქვს რა სათანადო ეროვნების საზღვარგარეთული უდიდესი ბანკების «მონაწილეობა» და ბატონობა. ბანკების კაპიტალს ავტორი ყოფს «პროდუქტიულად» (ე. ი. ვაჭრობა-მრეწველობაში) დაბანდებულ და «სპეკულატურად» (საბირჟო და ფინანსურ ოპერაციებში) დაბანდებულ კაპიტალად, და მისთვის ჩვეული წვრილბურჟუაზიულ-რეფორმისტული თვალსაზრისით ფიქრობს, თითქოს კაპიტალიზმის არსებობის დროს შესაძლებელი იყოს პირველი სახის დაბანდების გამოცალკევება მეორე სახის დაბანდებისაგან და მეორე სახის განდევნა.

---

* E. Agahd: «Grossbanken und Weltmarkt. Die wirtschaftliche und politische Bedeutung der Grossbanken im Weltmarkt unter Berücksichtigung ihres Einflusses auf Russlands Volkswirtschaft und die deutsch-russischen Beziehungen». Berl., 1914 (ე. აგადი. «დიდი ბანკები და მსოფლიო ბაზარი. დიდი ბანკების ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიო ბაზარზე, განხილული რუსეთის სახალხო მეურნეობასა და გერმანია-რუსეთის ურთიერთობაზე მათი გავლენის თვალსაზრისით», ბერლინი. რ ე დ.).

ავტორის მონაცემები შემდეგია:

ბანკების აქტივი (1913 წ. ოქტომბერ-ნოემბრის ანგარიშების მიხედვით) მილიონ მან.

რუსეთის ბანკების ჯგუფები:	კაპიტალი, დაბანდებული		
	პროდუქტიულად	სპეკულატურად	სულ
ა 1) 4 ბანკი: «ციმბ. სავაჭრო», «რუსეთის», «საერთაშორისო» და «გამნაღდებელი»	413,7	859,1	1 272,8
ა 2) 2 ბანკი: «სავაჭრო-სამრეწველო» და «რუსეთ-ინგლისის»	239,3	169,1	408,4
ა 3) 5 ბანკი: «რუსეთ-აზიის», «ს.-პეტერბ. კერძო», «აზოვ-დონის», «უნიონ-მოსკოვის», «რუსეთ-საფრანგ. სავაჭრო»	711,8	661,2	1 373,0
(11 ბანკი) ს უ ლ ..... ა)=	1 364,8	1 689,4	3 054,2
ბ) 8 ბანკი: «მოსკოვის ვაჭართა»; «ვოლგა-კამის»; «იუნკერი და კომპ.»; «ს.-პეტერბ. სავაჭრო», ყოფ. ვაველბერგის; «მოსკოვის» ყოფ. რიაბუშინსკის; «მოსკოვის გამნაღდებელი»; «მოსკოვის სავაჭრო» და «მოსკოვის კერძო»	504,2	391,1	895,3
(19 ბანკი) ს უ ლ	1 869,0	2 080,5	3 949,5

ამ მონაცემების მიხედვით, იმ თითქმის 4 მილიარდი მანეთიდან, რაც დიდი ბანკების «სამუშაო» კაპიტალს შეადგენს, ¾-ზ ე მ ე ტ ი, 3 მილიარდზე მეტი, ეკუთვნის იმ ბანკებს,რომლებიც, არსებითად, წარმოადგენენ საზღვარგარეთული ბანკების «ქალიშვილ-საზოგადოებებს», უპირველეს ყოვლისა კი პარიზის ბანკებისას (ცნობილი საბანკო სამეული: «პარიზის კავშირი»; «პარიზისა და ნიდერლანდისა»; «გენერალური საზოგადოება») და ბერლინისას (განსაკუთრებით «გერმანიისა» და «გამნაღდებელი საზოგადოება»). რუსეთის ორმა უდიდესმა ბანკმა — «რუსეთისამ» («რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკი») და «საერთაშორისომ» («ს.-პეტერბ. საერთაშორისო სავაჭრო ბანკი») თავიანთი კაპიტალები 1906-დან 1912 წლამდე 44-დან 98 მილიონ მანეთამდე გაადიდეს, ხოლო სათადარიგო კაპიტალი — 15-დან 39 მილიონამდე; ეს ბანკები «¾-ად გერმანული კაპიტალით მუშაობენ»; პირველი ბანკი ეკუთვნის ბერლინის

«გერმანიის ბანკის» «კონცერნს», ხოლო მეორე — ბერლინის «გამნაღდებელი საზოგადოებისას». კეთილი აგადი დიდად აღშფოთებულია იმით, რომ ბერლინის ბანკებს ეკუთვნით აქციათა უმეტესობა და რომ ამის გამო რუსეთის აქციონერები უძლურნი არიან. და, რასაკვირველია, ის ქვეყანა, რომელსაც კაპიტალი გააქვს, ნაღებს თვითონ მოხდის: მაგალითად, ბერლინის «გერმანიის ბანკმა», რომელმაც ბერლინში «ციმბირის სავაჭრო ბანკის» აქციები შემოიტანა, ერთ წელიწადს პორტფელში გააჩერა, ხოლო შემდეგ გაყიდა ეს აქციები კურსით 100-ში 193, ე. ი. თითქმის ორმაგად; ამით მან «გააკეთა» დაახლოებით 6 მილიონი მანეთი მოგება, რასაც ჰილფერდინგმა «სადამფუძნებლო მოგება» უწოდა.

პეტერბურგის უდიდესი ბანკების მთელ «სიმძლავრეს» ავტორი განსაზღვრავს 8 235 მილიონი მანეთით, თითქმის 8¼ მილიარდით, ამასთან უცხოეთის ბანკების «მონაწილეობას» ან, უკეთ, ბატონობას, ის ასე ანაწილებს: საფრანგეთის ბანკები — 55%; ინგლისისა — 10%; გერმანიისა — 35%. მოქმედი კაპიტალის მთელი ამ თანხიდან — 8 235 მილიონიდან — 3 687 მილიონი, ე. ი. 40%-ზე მეტი, ავტორის გამოანგარიშებით, მოდის სინდიკატებზე: «პროდუგოლი», «პროდამეტი», ნავთის, მეტალურგიული და ცემენტის მრეწველობის სინდიკატებზე. მაშასადამე, საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შეერთებამ, კაპიტალისტურ მონოპოლიათა აღმოცენებასთან დაკავშირებით, რუსეთშიც დიდი ნაბიჯები გადადგა წინ.

ფინანსური კაპიტალი, რომელიც მცირეოდენთა ხელშია კონცენტრირებული და ფაქტიური მონოპოლიით სარგებლობს, უდიდეს და სულ უფრო მზარდ მოგებას იხვეჭს დამფუძნებლობის, საფონდო ქაღალდების გამოშვების, სახელმწიფო სესხებისა და სხვ. გზით, განამტკიცებს ფინანსური ოლიგარქიის ბატონობას, მონოპოლისტთა სასარგებლოდ ხარკს ადებს მთელ საზოგადოებას. აი ამერიკის ტრესტების «სამეურნეო საქმიანობის» ერთი უამრავი მაგალითთაგანი, რომელსაც ჰილფერდინგი ასახელებს: 1887 წელს ჰავემეიერმა დააარსა შაქრის ტრესტი 15 პატარა კომპანიის გაერთიანების გზით;

მთელი მათი კაპიტალი 6½ მილიონ დოლარს უდრიდა. ტრესტის კაპიტალი კი, როგორც ამერიკელები იტყვიან, «წყალნარევი» იყო და 50 მილიონ დოლარად იყო ნაანგარიშევი. «გადაჭარბებული კაპიტალიზაცია» ითვალისწინებდა მომავალ მონოპოლიურ მოგებას, როგორც ბმავე ამერიკაში ფოლადის ტრესტი ითვალისწინებს მომავალ მონოპოლიურ მოგებას, როდესაც სულ მეტ რკინისმადნიან მიწებს ყიდულობს. მართლაც, შაქრის ტრესტმა დააწესა მონოპოლიური ფასები და მიიღო ისეთი შემოსავალი, რომ შეეძლო ეხადა 10% დივიდენდი ისეთ კაპიტალზე, რომელიც შ ვ ი დ ჯ ე რ იყო «წყალნარევი», ე. ი. შეეძლო ეხადა თ ი თ ქ მ ი ს **70%** ი მ კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე, რ ა ც ტ რ ე ს ტ ი ს დ ა ა რ ს ე ბ ი ს დ რ ო ს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ი ყ ო შ ე ტ ა ნ ი ლ ი! 1909 წელს ტრესტის კაპიტალი 90 მილიონ დოლარს შეადგენდა. მაშასადამე, ოცდაორი წლის განმავლობაში კაპიტალი ერთიათად და მეტადაც გაზრდილა.

საფრანგეთში «ფინანსური ოლიგარქიის» ბატონობამ («ფინანსური ოლიგარქიის წინააღმდეგ საფრანგეთში» — სათაური ლიზისის ცნობილი წიგნისა, რომლის მეხუთე გამოცემა 1908 წელს გამოვიდა) მხოლოდ რამდენადმე შეცვლილი სახე მიიღო. ოთხი უდიდესი ბანკი სარგებლობს არა შედარებითი, არამედ «აბსოლუტური მონოპოლიით» ფასიანი ქაღალდების გამოშვებაში. ფაქტიურად, ეს «დიდი ბანკების ტრესტია». და მონოპოლია უზრუნველყოფს მონოპოლიური მოგების მიღებას ემისიებით. სესხის დროს ის ქვეყანა, რომელიც სესხულობს, ჩვეულებრივ იღებს მთელი თანხის არა უმეტეს 90%-ისა; 10% რჩებათ ბანკებსა და სხვა შუამავლებს. რუსეთ-ჩინეთის 400 მილიონი ფრანკის სესხმა ბანკებს 8% მოგება არგუნა, რუსეთის (1904 წ.) 800 მილიონის სესხმა — 10%, მაროკოს (1904 წ.) 62½ მილიონის სესხმა — 18¾%. კაპიტალიზმი, რომელმაც განვითარება დაიწყო წვრილი სავაჭრო კაპიტალით, თავის განვითარებას ამთავრებს გიგანტური სავაჭრო კაპიტალით. «ფრანგები ევროპის მევაჭრენი არიან», ამბობს ლიზისი. კაპიტალიზმის ამ გადაგვარების გამო ეკონომიური ცხოვრების

პირობები, მთლიანად, ღრმა ცვლილებას განიცდიან. მოსახლეობის, მრეწველობის, ვაჭრობის, საზღვაო ტრანსპორტის ერთ წერტილზე გაყინვის დროს «ქვეყანას» შეუძლია გამდიდრდეს მევახშეობით. «ორმოცდაათ კაცს, 8 მილიონი ფრანკი კაპიტალის მფლობელს, შეუძლია ოთხ ბანკში ო რ ი მ ი ლ ი ა რ დ ი ს განმკარგულებელი იყოს». «მონაწილეობათა» სისტემა, რომელიც ჩვენ უკვე გავიცანით, ამავე შედეგებს იწვევს: ერთ-ერთი უდიდესი ბანკი, «გენერალური საზოგადოება» (Société Générale), უშვებს «ქალიშვილ-საზოგადოების» — «ეგვიპტის რაფინადის ქარხნების» 64 000 ობლიგაციას. გამოშვების კურსია 150%, ე. ი. ბანკი ყოველ მანეთზე 50 კაპ. იგებს. ამ საზოგადოების დივიდენდები ფიქტიური გამოდგა, «ხალხმა» დაკარგა 90-დან 100 მილიონამდე ფრანკი; ««გენერალური საზოგადოების» ერთ-ერთი დირექტორი «რაფინადის ქარხნების» გამგეობის წევრი იყო». გასაკვირველი არ არის, რომ ავტორი იძულებულია დაასკვნას: «საფრანგეთის რესპუბლიკა ფინანსური მონარქიაა»; «ფინანსური ოლიგარქიის სრული ბატონობა; ეს ოლიგარქია მბრძანებლობს პრესაზედაც და მთავრობაზედაც» *.

განსაკუთრებით დიდი მომგებიანობა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა, როგორც ფინანსური კაპიტალის ერთ-ერთი უმთავრესი ოპერაციისა, ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსური ოლიგარქიის განვითარებასა და განმტკიცებაში. «ქვეყნის შიგნით არ მოიპოვება არც ერთი ისეთი გეშეფტი, რაც დაახლოებით მაინც იძლეოდეს ისეთ დიდ მოგებას, როგორსაც იძლევა შუამავლობა უცხოეთის სესხთა გამოშვებისას» — წერს გერმანული ჟურნალი «ბანკი» **.

«არ არსებობს არც ერთი საბანკო ოპერაცია, რომელიც ისეთ დიდ მოგებას იძლეოდეს, როგორსაც იძლევა საემისიო

* Lysis. «Contre l'oligarchie financière en France», 5 éd. P. 1908, pp. 11, 12, 26, 39, 40, 48 (ლიზისი. «ფინანსური ოლიგარქიის წინააღმდეგ საფრანგეთში». მე-5 გამოც., პარიზი, 1908, გვ. 11, 12, 26, 39, 40, 48. რ ე დ.).

** «Die Bank», 1913, № 7, გვ. 630.

საქმე». «გერმანელი ეკონომისტის» ცნობების მიხედვით, სამრეწველო საწარმოთა ფონდების გამოშვებით მოგება წელიწადში იყო საშუალოდ:

1895 — 38,6%	1898 — 67,7%
1896 — 36,1 »	1899 — 66,9 »
1897 — 66,7 »	1900 — 55,2 »

«ათი წლის განმავლობაში, 1891 — 1900, გერმანიის სამრეწველო ფონდების გამოშვებით «მოხვეჭილ» იქნა ერთ მილიარდზე მეტი» *.

თუ მრეწველობის აღმავლობის დროს ფინანსური კაპიტალის მოგება უზომოდ დიდია, სამაგიეროდ დაქვეითების ხანაში წვრილი და არამტკიცე საწარმონი იღუპებიან, დიდი ბანკები კი «მონაწილეობენ» მათს სულ იაფად შესყიდვაში ან მომგებიან «გაჯანსაღებასა» და «რეორგანიზაციაში». საზარალო საწარმოთა «გაჯანსაღების» დროს «სააქციო კაპიტალი მცირდება, ე. ი. შემოსავალი უფრო მცირე კაპიტალზე ნაწილდება და შემდეგ მის მიხედვით წარმოებს ანგარიში. ან, თუ შემოსავალი ნულამდე დავიდა, იზიდავენ ახალ კაპიტალს, რომელიც, შეერთებული ნაკლებ შემოსავლიან ძველ კაპიტალთან, ახლა უკვე საკმარის შემოსავალს იძლევა. აქვე უნდა ითქვას, — დასძენს ჰილფერდინგი, — ყველა ამ გაჯანსაღებასა და რეორგანიზაციას ორგვარი მნიშვნელობა აქვს ბანკებისათვის: ჯერ-ერთი, ეს მომგებიანი ოპერაციაა; მეორეც, ეს ხელსაყრელი შემთხვევაა ასეთ გაჭირვებულ საზოგადოებათა ხელში ჩასაჭერად» **.

აი მაგალითი: დორტმუნდის სააქციო სამთამადნო საზოგადოება «უნიონი» 1872 წელს დაარსდა. გამოშვებულ იქნა

---

* Stillich, დასახ. თხზ., გვ. 143 და W. Sombart: «Die deutsche Volkswirtschaft im 19. Jahrhundert», 2. Aufl., 1909, გვ. 526, Anlage 8 (ვ. ზომბარტი. «გერმანიის სახალხო მეურნეობა XIX საუკუნეში». მე-2 გამოც., 1909, გვ. 526, დამატება 8. რ ედ.).

** «ფინანსური კაპიტალი», გვ. 172.

სააქციო კაპიტალი თითქმის 40 მილიონი მარკის რაოდენობით, და კურსმა 170%-მდე აიწია, როდესაც პირველ წელს დივიდენდი 12% გამოვიდა. ფინანსურმა კაპიტალმა ნაღები მოხადა, მან რაღაც გროშები — სულ 28 მილიონი აიღო. ამ საზოგადოების დაარსებაში უმთავრეს როლს თამაშობდა სწორედ ის გერმანული უდიდესი ბანკი — «გამნაღდებელი საზოგადოება», რომელმაც თავისი კაპიტალი იოლად აიყვანა 300 მილიონ მარკამდე. შემდეგ კი «უნიონის» დივიდენდები ნულამდე დაეცა. აქციონერები იძულებული არიან დასთანხმდნენ კაპიტალის «ჩამოწერას», ე. ი. კაპიტალის ნაწილის დაკარგვას, რათა იგი მთლად არ დაკარგონ. და აი, მთელი რიგი «გაჯანსაღების» შედეგად საზოგადოება «უნიონის» წიგნებიდან 30 წლის განმავლობაში ქრება 73 მილიონ მარკაზე მეტი. «ამჟამად ამ საზოგადოების პირვანდელ აქციონერებს ხელთ აქვთ თავიანთ აქციათა ნომინალური ღირებულების მხოლოდ 5%» *, — ხოლო ყოველი «გაჯანსაღების» დროს ბანკები განაგრძობდნენ «ფულის მოხვეჭას».

ფინანსური კაპიტალის განსაკუთრებით მომგებიან ოპერაციას წარმოადგენს აგრეთვე სწრაფად მზარდი დიდი ქალაქების მიდამოებში მიწის ნაკვეთებით სპეკულაცია. ბანკების მონოპოლია აქ უერთდება მიწის რენტის მონოპოლიას და მიმოსვლის საშუალებათა მონოპოლიას, ვინაიდან მიწის ნაკვეთების ფასის ზრდა, მათი ნაწილ-ნაწილ ხელსაყრელად გაყიდვის შესაძლებლობა და სხვ. ყველაზე მეტად დამოკიდებულია ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელ კარგ გზებზე, ეს გზები კი იმ დიდ კომპანიათა ხელშია, რომლებიც მონაწილეობათა სისტემით და დირექტორთა ადგილების განაწილებით იმავე ბანკებთან არიან დაკავშირებულნი. იქმნება ისეთი მდგომარეობა, რასაც გერმანელმა მწერალმა, ჟურნალ «ბანკის» თანამშრომელმა ლ. ეშვეგემ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მიწის ნაკვეთებით ვაჭრობის, მათი დაგირავებისა და სხვ.

---

* Stillich, დასახ. თხზ., გვ. 138 და Liefmann, გვ. 51.

ოპერაციები, — უწოდა «ჭაობი»: გაშმაგებული სპეკულაცია ქალაქის გარეუბნებში მდებარე მიწის ნაკვეთებით, კრახი სააღმშენებლო ფირმებისა, მსგავსად ბერლინის ფირმისა «ბოსვაუ და კნაუერი», რომელმაც 100 მილიონ მარკამდე ფული მოხვეჭა «უაღრესად გავლენიანი და უდიდესი» «გერმანიის ბანკის» (Deutsche Bank) მეშვეობით, რომელიც, რა თქმა უნდა, მოქმედებდა «მონაწილეობათა» სისტემის მიხედვით, ე. ი. ჩუმად, სხვის ზურგს ამოფარებული, და ისე გამოძვრა, რომ «მხოლოდ» 12 მილიონი მარკა დაკარგა, — შემდეგ, გაღატაკება წვრილი მეპატრონეებისა და მუშებისა, რომლებიც არაფერს არ იღებენ გაბერილი სააღმშენებლო ფირმებისაგან; თაღლითური გარიგებანი ბერლინის «პატიოსან» პოლიციასთან და ადმინისტრაციასთან, რათა თავიანთ ხელში ჩაიგდონ უფლება მიწის ნაკვეთთა შესახებ ცნობებისა და შენობათა ასაგებად ქალაქის სამმართველოს ნებართვების გაცემისა და სხვ. და ა. შ. *.

«ამერიკული ზნე-ჩვეულებანი», რომელთა გამო ევროპის პროფესორები და კეთილმოსურნე ბურჟუები ასე ფარისევლურად აღაპყრობენ ხოლმე მაღლა თვალებს, ფინანსური კაპიტალის ეპოქაში ყოველი ქვეყნის უკლებლივ ყველა დიდი ქალაქის ზნე-ჩვეულება გახდა.

1914 წლის დამდეგს ბერლინში ლაპარაკობდნენ, რომ განზრახულია შეიქმნას «სატრანსპორტო ტრესტი», ე. ი. «ინტერესთა ერთობა» ბერლინის სამ სატრანსპორტო საწარმოს შორის: ქალაქის ელექტრორკინიგზასა, ტრამვაის საზოგადოებასა და საომნიბუსო საზოგადოებას შორისო. «ასეთი განზრახვა რომ არსებობს, — წერდა ჟურნალი «ბანკი», — ეს ჩვენ ვიცოდით მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა, რომ საომნიბუსო საზოგადოების აქციათა უმეტესობა გადავიდა ორი სხვა სატრანსპორტო საზოგადოების ხელში. ...შეიძლება სავსებით

* «Die Bank», 1913, გვ. 952, L. Eschwege: «Der Sumpf» («ჭაობი». რ ე დ.); იქვე, 1912, I, გვ. 223 და შემდ.

დავუჯეროთ იმ პირთ, რომელთაც დაუსახავთ ისეთი მიზანი, რომ სატრანსპორტო საქმის ერთგვაროვანი რეგულაციის საშუალებით იმედი აქვთ მიიღონ იმდენი დანაზოგი, რომ მისი ნაწილი ბოლოს და ბოლოს ხალხსაც ერგოს. მაგრამ საკითხი იმით რთულდება, რომ ამ დასაარსებელი სატრანსპორტო ტრესტის ზურგს უკან ბანკები დგანან, რომელთაც, თუ კი მოინდომეს, შეუძლიათ მათ მიერ მონოპოლიზებული მიმოსვლის საშუალებანი დაუმორჩილონ თავიანთ — მიწის ნაკვეთებით ვაჭრობის ინტერესებს. რათა დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად ბუნებრივია ასეთი ვარაუდი, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქალაქის ელექტრორკინიგზის საზოგადოების დაარსებისას აქ უკვე იყო ჩარეული იმ დიდი ბანკის ინტერესები, რომელიც ხელს უწყობდა მის დაარსებას. სახელდობრ: ამ სატრანსპორტო საზოგადოების ინტერესები გადაეხლართნენ მიწის ნაკვეთებით ვაჭრობის ინტერესებს. საქმე ისაა, რომ ამ გზის აღმოსავლეთ ხაზს უნდა მოეცვა მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც შემდეგში ამ ბანკმა, როცა გზის გაყვანა უკვე უზრუნველყოფილი იყო, თავისთვის და ზოგიერთი მონაწილისათვის უდიდესი მოგებით გაყიდა» *...

მონოპოლია, რაკი იგი ჩამოყალიბდა და მილიარდებს ატრიალებს, აბსოლუტური აუცილებლობით შეიჭრება ხოლმე საზოგადოებრივი ცხოვრების ყ ო ვ ე ლ მხარეში, დამოუკიდებლად პოლიტიკური წყობილებისა და ყოველგვარი სხვა «წვრილმანისა». გერმანულ ეკონომიურ ლიტერატურაში ჩვეულებრივია პრუსიის მოხელეთა პატიოსნების ლაქიური თვითშექება და თვალის ჩაკვრა საფრანგეთის პანამის[83] თუ ამერიკული პოლიტიკური გამყიდველობის მიმართ. მაგრამ ფაქტია, რომ გერმანიის საბანკო საქმისადმი მიძღვნილი ბურჟუაზიული ლიტერატურაც კ ი მუდამ იძულებულია შორს გასცილდეს ხოლმე წმინდა-საბანკო ოპერაციების ფარგლებს

* «VerKehrstrust», «Die Bank», 1914, I, გვ. 89 («სატრანსპორტო ტრესტი», «ბანკი». რ ე დ.).

და წეროს, მაგ., «ბანკისაკენ ლტოლვაზე» ბანკის სამსახურში მოხელეების გახშირებული გადასვლის გამო: «როგორ არის საქმე სახელმწიფო მოხელის მოუსყიდველობის მხრივ, მოხელის, რომლის ფარული მისწრაფება მიმართულია თბილი ადგილისაკენ ბერენშტრასეზე?» * — ბერლინის ქუჩაა, სადაც მოთავსებულია «გერმანიის ბანკი». ჟურნალ «ბანკის» გამომცემელმა ალფრედ ლანსბურგმა 1909 წელს დაწერა სტატია: «ბიზანტინიზმის ეკონომიური მნიშვნელობა»; ლანსბურგი წერდა, სხვათა შორის, ვილჰელმ II-ის პალესტინაში გამგზავრებისა და «ამ მგზავრობის უშუალო შედეგის, ბაღდადის რკინიგზის გაყვანის, «გერმანული თაოსნობის» ამ საბედისწერო «დიდი საქმის» გამო, რომელსაც უფრო მეტი ბრალი მიუძღვის «გარემოცვაში», ვიდრე ყველა ჩვენს პოლიტიკურ ცოდვას, ერთად აღებულს»** — (გარემოცვად იგულისხმება პოლიტიკა ედუარდ VII-ისა, რომელიც ცდილობდა გერმანიის იზოლირებას და მისთვის ანტიგერმანული იმპერიალისტური კავშირის რკალის შემორტყმას). ჩვენ მიერ უკვე მოხსენებულმა იმავე ჟურნალის თანამშრომელმა ეშვეგემ 1911 წელს დაწერა სტატია: «პლუტოკრატია და მოხელეები»; მან გამოამჟღავნა, მაგ., თუ რა შეემთხვა გერმანელ მოხელეს ფელკერს, რომელიც იყო საკარტელო კომისიის წევრი და თავისი ენერგიით გამოირჩეოდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ წამოსკუპდა შემოსავლიან ადგილზე უდიდეს კარტელში, ფოლადის სინდიკატში. მსგავსი მოვლენები სრულიადაც არაა შემთხვევითი, რაც აიძულებდა იმავე ბურჟუაზიულ მწერალს ეღიარებინა, რომ «გერმანიის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ეკონომიური თავისუფლება სამეურნეო ცხოვრების მრავალ დარგში უშინაარსო ფრაზადაა გადაქცეული» და რომ პლუტოკრატიის არსებული ბატონობის დროს «უფართოეს პოლიტიკურ თავის-

---

* «Der Zug zur Bank», «Die Bank», 1909, 1, გვ. 79 («ლტოლვა ბანკისაკენ», «ბანკი». რ ე დ.).

** იქვე, გვ. 301.

უფლებასაც კი არ შეუძლია გვიხსნას იმისაგან, რომ ჩვენ თავისუფლებას მოკლებულ ხალხად გადავიქცევით» *.

რაც შეეხება რუსეთს, დავჯერდებით ერთ მაგალითს: ამ რამდენიმე წლის წინათ ყველა გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საკრედიტო კანცელარიის დირექტორი დავიდოვი თავს ანებებს სახელმწიფო სამსახურს და შედის ერთ დიდ ბანკში ისეთ ჯამაგირზე, რასაც ხელშეკრულების მიხედვით რამდენიმე წელიწადში 1 მილიონ მანეთზე მეტი თანხა უნდა შეედგინა. საკრედიტო კანცელარია ის დაწესებულებაა, რომლის ამოცანას შეადგენს «სახელმწიფოს ყველა საკრედიტო დაწესებულების მოქმედების გაერთიანება» და რომელიც დედაქალაქის ბანკებს აძლევს სუბსიდიებს 800 — 1 000 მილიონ მანეთამდე ** — — —.

კაპიტალიზმს საერთოდ სჩვევია კაპიტალის საკუთრების გამოყოფა კაპიტალის წარმოებაში გამოყენებისაგან, ფულადი კაპიტალის გამოყოფა სამრეწველო თუ საწარმოო კაპიტალისაგან, გამოცალკევება რანტიესი, რომელიც მხოლოდ ფულადი კაპიტალის შემოსავლით ცხოვრობს, მეწარმისაგან და ყველა იმ პირისაგან, რომელნიც უშუალოდ არიან კაპიტალის განმკარგულებელნი. იმპერიალიზმი ანუ ფინანსური კაპიტალის ბატონობა არის კაპიტალიზმის ისეთი უმაღლესი საფეხური, როდესაც ეს გამოყოფა უდიდეს ფარგლებს აღწევს. ფინანსური კაპიტალის სიჭარბე კაპიტალის ყველა დანარჩენ ფორმაზე მოასწავებს რანტიეს და ფინანსური ოლიგარქიის გაბატონებულ მდგომარეობას, მოასწავებს ყველა დანარჩენთაგან რამდენიმე ისეთი სახელმწიფოს გამოცალკევებას, რომელთაც ფინანსური «ძლიერება» აქვთ. თუ რა ზომით მიმდინარეობს ეს პროცესი, ამის შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ემისიათა, ე. ი. ყოველგვარი ფასიანი ქაღალდების გამოშვების სტატისტიკის მონაცემთა მიხედვით.

---

* იქვე, 1911, 2, გვ. 825; 1913, 2, გვ. 962.

** E. Agahd, გვ. 202.

«საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის ბიულეტენში» ა. ნეიმარკი * აქვეყნებდა ფრიად დაწვრილებითს, სრულ და შესადარის მონაცემებს მთელი მსოფლიოს ემისიათა შესახებ; ეს მონაცემები შემდეგში არა ერთხელ მოუყვანიათ ნაწილ-ნაწილ ეკონომიურ ლიტერატურაში. აი ჯამი 4 ათწლეულის განმავლობაში:

ემისიების ჯამი მილიარდ ფრანკობით
ათწლედის განმავლობაში

1871 — 1880	76,1
1881 — 1890	64,5
1891 — 1900	100,4
1901 — 1910	197,8

1870-იან წლებში ემისიათა საერთო თანხა მთელ მსოფლიოში გაიზარდა განსაკუთრებით სესხთა გამო საფრანგეთ-პრუსიის ომთან და გერმანიაში მის მომდევნო გრიუნდერობის ეპოქასთან დაკავშირებით. საერთოდ და მთლიანად, XIX საუკუნის უკანასკნელ სამ ათწლედში ემისიათა ზრდა, შედარებით, როდია ძალიან სწრაფი; მხოლოდ XX საუკუნის პირველი ათწლედი იძლევა უდიდეს ზრდას — თითქმის გაორკეცებას 10 წლის განმავლობაში. მაშასადამე, XX საუკუნის დამდეგი არის გარდატეხის ეპოქა არა მარტო მონოპოლიების (კარტელების, სინდიკატების, ტრესტების) ზრდის მხრივ, რაზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, არამედ ფინანსური კაპიტალის ზრდის მხრივაც.

ნეიმარკის გამოანგარიშებით, ფასიანი ქაღალდების საერთო თანხა 1910 წელს მთელ მსოფლიოში უდრიდა დაახლოებით 815 მილიარდ ფრანკს. ნეიმარკი ამას აკლებს, დაახლოებით,

* Bulletin de l'institut international de statistique, t. XIX, livr. II. La Haye. 1912 (საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის ბიულეტენი, ტ. XIX, წიგნი II. ჰაგა. რ ე დ.). — ცნობები პატარა სახელმწიფოების შესახებ, მეორე სვეტი, აღებულია დაახლოებით 1902 წლის ნორმების მიხედვით, გადიდებულია 20%-ით.

განმეორების შემთხვევებს და ეს თანხა დაჰყავს 575 — 600 მილიარდამდე. აი განაწილება ქვეყნების მიხედვით (ვიღებთ 600 მილიარდს):

ფასიანი ქაღალდების ჯამი 1910 წელს
(მილიარდი ფრანკები):

ინგლისი	142	479	ჰოლანდია	12,5
შეერთ. შტატები	132		ბელგია	7,5
საფრანგეთი	110		ესპანეთი	7,5
გერმანია	95		შვეიცარია	6,25
რუსეთი	31		დანია	3,75
ავსტრია-უნგრეთი	24		შვეცია, ნორვეგია, რუმინეთი და სხვ.	2,5
იტალია	14			
იაპონია	12		სულ	600

ამ მონაცემების მიხედვით მყისვე ცხადი ხდება, თუ როგორ მკვეთრად გამოიყოფა ოთხი უმდიდრესი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელთაც თვითეულს დაახლოებით 100-დან 150 მილიარდ ფრანკამდე ფასიანი ქაღალდები აქვთ. ამ ოთხი ქვეყნიდან ორი ყველაზე ძველი და, როგორც დავინახავთ, კოლონიებით ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყანაა: ინგლისი და საფრანგეთი; დანარჩენი ორი — განვითარების სისწრაფითა და წარმოებაში კაპიტალისტურ მონოპოლიათა გავრცელების მხრივ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებია: შეერთებული შტატები და გერმანია. ამ ოთხ ქვეყანას ერთად აქვს 479 მილიარდი ფრანკი, ე. ი. თითქმის 80% მთელი მსოფლიო ფინანსური კაპიტალისა. თითქმის მთელი დანარჩენი მსოფლიო, ასე თუ ისე, ამ ქვეყნების — საერთაშორისო ბანკირების, მსოფლიო ფინანსური კაპიტალის ამ ოთხი «ბურჯის» — მოვალე და მოხარკეა.

განსაკუთრებით საჭიროა შევჩერდეთ იმ როლზე, რომელსაც თამაშობს კაპიტალის გატანა ფინანსური კაპიტალის საერთაშორისო დამოკიდებულებისა და კავშირურთიერთობის ქსელის შექმნაში.

IV. კაპიტალის გატანა

ძველი კაპიტალიზმისათვის, თავისუფალი კონკურენციის სრული ბატონობით, ტიპიური იყო საქონლის გატანა. უახლესი კაპიტალიზმისათვის, მონოპოლიების ბატონობით, ტიპიური გახდა კაპიტალის გატანა.

კაპიტალიზმი არის სასაქონლო წარმოება მისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე, როდესაც სამუშაო ძალაც საქონლად იქცევა. როგორც ქვეყნის შიგნით წარმოებული, ისე განსაკუთრებით საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის ზრდა კაპიტალიზმის დამახასიათებელი განმასხვავებელი თვისებაა. კაპიტალიზმის დროს აუცილებელია უთანაბრობა და ნახტომობრიობა ცალკეული საწარმოების, მრეწველობის ცალკეული დარგების, ცალკეული ქვეყნების განვითარებაში. ჯერ ინგლისი გახდა, სხვებზე უფრო ადრე, კაპიტალისტური ქვეყანა და, XIX საუკუნის ნახევრისათვის, როდესაც თავისუფალი ვაჭრობა შემოიღო, პრეტენზიას აცხადებდა «მთელი მსოფლიოს სახელოსნოს», ყველა ქვეყნისათვის ფაბრიკატების მიმწოდებლის როლზე, ამ ქვეყნებს კი, სანაცვლოდ, უნდა მოემარაგებინათ იგი ნედლი მასალით. მაგრამ ინგლისის ეს მონოპოლია შეირყა უკვე XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, რადგან მთელმა რიგმა სხვა ქვეყნებმა თავი დაიცვეს «მფარველობითი» ბაჟებით და დამოუკიდებელ კაპიტალისტურ სახელმწიფოებად განვითარდნენ. XX საუკუნის მიჯნაზე ჩვენ ვხედავთ სხვაგვარი მონოპოლიების შექმნას: ესაა, ჯერ-ერთი, კაპიტალისტების მონოპოლისტური კავშირები განვითარებული კაპიტალიზმის ყველა ქვეყანაში; მეორეც, მონოპოლისტური მდგომარეობა რამდენიმე უმდიდრესი ქვეყნისა, სადაც კაპიტალის დაგროვებამ გიგანტურ ფარგლებს მიაღწია. მოწინავე ქვეყნებში შეიქმნა უდიდესი «ჭარბი კაპიტალი».

რა თქმა უნდა, კაპიტალიზმს რომ შესძლებოდა განევითარებინა მიწათმოქმედება, რომელიც ახლა ყველგან საშინლად ჩამორჩა მრეწველობას, მას რომ შესძლებოდა აეწია საარსებო დონე მოსახლეობის მასებისა, რომელიც ყველგან, მიუხედავად

თავბრუდამხვევი ტექნიკური პროგრესისა, ნახევრადმშიერი და ღატაკი რჩება, — მაშინ კაპიტალის სიჭარბეზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნებოდა. და კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსები ძალიან ხშირად აყენებენ ასეთ «საბუთს». მაგრამ მაშინ კაპიტალიზმი აღარ იქნებოდა კაპიტალიზმი, რადგან განვითარების უთანაბრობაც და მასების არსებობის ნახევრადმშივრული დონეც წარმოების ამ წესის ძირითადი, აუცილებელი პირობები და წანამძღვრებია. ვიდრე კაპიტალიზმი კაპიტალიზმად რჩება, კაპიტალის ნაჭარბი ხმარდება არა მასების საარსებო დონის აწევას ამა თუ იმ ქვეყანაში, ვინაიდან ეს იქნებოდა კაპიტალისტების მოგების შემცირება, არამედ მოგების გადიდებას კაპიტალის გატანით საზღვარგარეთ, ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში მოგება ჩვეულებრივ მაღალია, რადგან კაპიტალი ცოტაა, მიწის ფასი შედარებით არც ისე დიდია, ხელფასი დაბალია, ნედლი მასალა იაფია. კაპიტალის გატანის შესაძლებლობას ის წარმოშობს, რომ მთელი რიგი ჩამორჩენილი ქვეყნები უკვე ჩაბმულია მსოფლიო კაპიტალიზმის ბრუნვაში, გაყვანილია რკინიგზის მთავარი ხაზები ანდა დაწყებულია მათი გაყვანა, უზრუნველყოფილია მრეწველობის განვითარების ელემენტარული პირობები და ა. შ.. კაპიტალის გატანის აუცილებლობას ის წარმოშობს, რომ რამდენიმე ქვეყანაში კაპიტალიზმი «გადამწიფდა», და კაპიტალს აღარ ჰყოფნის (მიწათმოქმედების გახუვითარებლობისა და მასების გაღატაკების პირობებში) «მოძგებიანი» გამოყენების ასპარეზი.

აი დაახლოებითი მონაცემები იმ კაპიტალის სიდიდის შესახებ, რომელიც დაბანდებულია საზღვარგარეთ სამი მთავარი ქვეყნის მიერ *:

---

* Hobson: «Imperialism», L. 1902, p. 58 (ჰობსონი. «იმპერიალიზმი». რ ე დ.). Riesser, დასახ. თხზ., გვ. 395 და 404; P. Arndt «Weltwirtschaftliches Archiv»-ში, Bd. 7, 1916, S. 35 (პ. არნდტი «მსოფლიო მეურნეობის არქივში», ტ. 7, 1916, გვ. 35. რ ე დ.); Neymarck Bulletin-ში (ნეიმარკი «ბიულეტენში». რ ე დ.); ჰილფერდინგი, «ფინანსური კაპიტალი», გვ. 492; Lloyd-George (ლოიდ-ჯორჯი. რ ე დ.), სიტყვა თემთა პალატაში 1915 წ.

საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი

წლები	ინგლისისა	(მილიარდ ფრანკობით) საფრანგეთისა	გერმანიისა
1862	3,6	—	—
1872	15	10 (1869)	—
1882	22	15 (1880)	?
1893	42	20 (1890)	?
1902	62	27 — 37	12,5
1914	75 — 100	60	44

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალის გატანამ გიგანტურ განვითარებას მიაღწია მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს. ომის წინ სამი მთავარი ქვეყნის მიერ საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი აღწევდა 175 — 200 მილიარდ ფრანკს. ამ თანხის შემოსავალი, თუ ავიღებთ მცირე ნორმას — 5%-ს, უნდა აღწევდეს 8 — 10 მილიარდ ფრანკს წლიურად. ეს მკვიდრი საფუძველია მსოფლიოს ერებისა და ქვეყნების უმრავლესობის იმპერიალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციისათვის, ერთ მუჭა უმდიდრეს სახელმწიფოთა კაპიტალისტური პარაზიტიზმისათვის!

თუ როგორ ნაწილდება ეს საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი სხვადასხვა ქვეყნებს შორის, სად არის იგი და-

---

4 მაისს. «Daily Telegraph» («ყოველდღიური ტელეგრაფი». რ ე დ.), 1915 წ. 5 მაისი. B. Harms: «Probleme der Weltwirtschaft», Jena 1912, S. 235 და სხვ. (ბ. ჰარმსი. «მსოფლიო მეურნეობის პრობლემები». იენა 1912, გვ. 235 და სხვ. რ ე დ.); Dr. Siegmund Schilder: «Entwicklungstendenzen der Weltwirtschaft», Berlin. 1912. Band 1, S. 150 (დ-რი ზიგმუნდ შილდერი. «მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციები». ბერლინი, 1912, ტომი 1, გვ. 150. რ ე დ.). George Paish: «Great Britain's Capital Investments etc». «Journal of the Royal Statistical Society»-ში, vol. LXXIV. 1910 — 11, გვ. 167, შემდ. (ჯორჯ პეიში. «დიდი ბრიტანეთის კაპიტალის დაბანდება და სხვ.» «საამეფო სტატისტიკური საზოგადოების ჟურნალში», ტ. LXXIV. რ ე დ.). Georges Diouritch: «L'Expansion des banques allemandes à l'étranger, ses rapports avec le développement économique de l'Allemagne». P. 1909, p. 84 (ჟორჟ დიურიჩი. «გერმანიის ბანკების ექსპანსია საზღვარგარეთ, გერმანიის ეკონომიურ განვითარებასთან დაკავშირებით». პარიზი, 1909, გვ. 84. რ ე დ.).

ბანდებული, ამ კითხვაზე შეიძლება მხოლოდ დაახლოებითი პასუხის გაცემა, მაგრამ ამ პასუხს მაინც შეუძლია გააშუქოს თანამედროვე იმპერიალიზმის ზოგიერთი საერთო თანაშეფარდება და კავშირურთიერთობა:

დედამიწის ნაწილები, რომელთა შორის განაწილებულია (დაახლოებით) საზღვარგარეთული კაპიტალი (1910 წლის ახლ.ო ხანებში)

	ინგლისისა	საფრანგეთისა	გერმანიისა	სულ
	(მილიარდ მარკობით)			
ევროპა	4	23	18	45
ამერიკა	37	4	10	51
აზია, აფრიკა და ავსტრალია	29	8	7	44
სულ	70	35	35	140

ინგლისში პირველ ადგილს იჭერენ მისი კოლონიური სამფლობელოები, რომლებიც ძალიან დიდია ამერიკაშიც (მაგ., კანადა), რომ არაფერი ვთქვათ აზიაზე და სხვ.. კაპიტალის გიგანტური გატანა აქ ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული გიგანტურ კოლონიებთან, რომელთა მნიშვნელობაზე იმპერიალიზმისათვის ჩვენ კიდევ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. სხვაგვარად არის საქმე საფრანგეთში. აქ საზღვარგარეთული კაპიტალი დაბანდებულია უმთავრესად ევროპაში და უწინარეს ყოვლისა რუსეთში (არა ნაკლებ 10 მილიარდი ფრანკისა), ამასთან ეს არის მეტწილად ს ა ს ე ს ხ ო კაპიტალი, სახელმწიფო სესხები, და არა კაპიტალი, რომელიც სამრეწველო საწარმოებშია დაბანდებული. ინგლისის, კოლონიური, იმპერიალიზმისაგან განსხვავებით, საფრანგეთის იმპერიალიზმს შეიძლება სავახშო იმპერიალიზმი ვუწოდოთ. გერმანიაში მესამე ნაირსახეობაა: მისი კოლონიები დიდი არ არის, და მის მიერ საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი ყველაზე თანაბრადაა განაწილებული ევროპასა და ამერიკას შორის.

კაპიტალის გატანა იმ ქვეყნებში, სადაც იგი მიიმართება, გავლენას ახდენს კაპიტალიზმის განვითარებაზე, მეტისმეტად აჩქარებს მას. ამიტომ, თუ ამ გატანას რამდენადმე შეუძლია

გამოიწვიოს განვითარების ერთგვარი შეფერხება გამტან ქვეყნებში, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების გაფართოებისა და გაღრმავების გზით.

კაპიტალის გამტან ქვეყნებს თითქმის ყოველთვის ეძლევათ შესაძლებლობა — მიიღონ ერთგვარი «სარგებლობა», რომლის ხასიათი შუქს ჰფენს ფინანსური კაპიტალისა და მონოპოლიების ეპოქის თავისებურებას. აი რას წერდა, მაგ., 1913 წ. ოქტომბერში ბერლინის ჟურნალი «ბანკი»:

«კაპიტალთა საერთაშორისო ბაზარზე ამ მოკლე ხნიდან თამაშობენ კომედიას, რომელიც არისტოფანის ყალმის ღირსია. უცხოეთის მთელი რიგი სახელმწიფოები, ესპანეთიდან ბალკანეთამდე, რუსეთიდან არგენტინამდე, ბრაზილიამდე და ჩინეთამდე, გამოდიან, აშკარად თუ ფარულად, ფულის დიდი ბაზრების წინაშე მოთხოვნით, ზოგჯერ მეტისმეტად დაჟინებითი მოთხოვნით, სესხის მიღების შესახებ. ფულის ბაზრები ამჟამად არც ისე ბრწყინვალე მდგომარეობაში იმყოფებიან, არც პოლიტიკური პერსპექტივებია სანუგეშო. მაგრამ ფულის ვერც ერთი ბაზარი ვერ ბედავს უარი თქვას სესხის მიცემაზე იმის შიშით, რომ მას დაასწრებს მეზობელი, დასთანხმდება სესხზე და ამასთანავე უზრუნველყოფს თავისთვის ერთგვარ სამსახურს სამსახურისათვის. ამგვარ საერთაშორისო გარიგებათა დროს თითქმის ყოველთვის რჩება ცოტა რამ კრედიტორის სასარგებლოდ: დათმობა სავაჭრო ხელშეკრულებაში, ქვანახშირის სადგური, ნავსადგურის აგება, მსუქანი კონცესია, ზარბაზნების შეკვეთა» *.

ფინანსურმა კაპიტალმა მონოპოლიების ეპოქა შექმნა. ხოლო მონოპოლიებს ყველგან მოჰყვება მონოპოლისტური საწყისები: «კავშირურთიერთობის» გამოყენება ხელსაყრელი გარიგებისათვის კონკურენციის ადგილს იკავებს ღია ბაზარზე. სრულიად ჩვეულებრივი ამბავია: სესხის პირობად აყენებენ

* «Die Bank», 1913, 2, 1024.

მისი ნაწილის დახარჯვას დამკრედიტებელი ქვეყნის პროდუქტების საყიდლად, განსაკუთრებით შეიარაღების საგნების, გემების შესაძენად და ა. შ.. საფრანგეთი ძალიან ხშირად მიმართავდა ამ საშუალებას ორი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში (1890—1910). კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ იქცევა საზღვარგარეთ საქონლის გატანის წაქეზების საშუალებად. ამასთან გარიგებანი განსაკუთრებით დიდ საწარმოებს შორის ისეთია, რომ ისინი — როგორც «რბილად» გამოთქვა შილდერმა * — «მოსყიდვას ესაზღვრებიან». კრუპი გერმანიაში, შნეიდერი საფრანგეთში, არმსტრონგი ინგლისში — ნიმუშებია ასეთი ფირმებისა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი გიგანტურ ბანკებთან და მთავრობასთან, რომელთა «გვერდის ავლა» ადვილი არ არის სესხის აღების დროს.

საფრანგეთმა, როდესაც ის სესხს აძლევდა რუსეთს, «ფეხი დააჭირა» მას 1905 წ. 16 სექტემბრის სავაჭრო ხელშეკრულების დადებისას და აღათქმევინა ერთგვარი დათმობანი 1917 წლამდე; იგივე მოხდა 1911 წ. 19 აგვისტოს იაპონიასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებით. ავსტრიისა და სერბიის საბაჟო ომი, რომელიც შვიდი თვის შეწყვეტით 1906 წლიდან 1911 წლამდე გრძელდებოდა, ნაწილობრივ გამოწვეული იყო ავსტრიისა და საფრანგეთის კონკურენციით სერბიისათვის სამხედრო საჭურვლის მიწოდების საქმეში. პოლ დეშანელმა 1912 წ. იანვარში განაცხადა პალატაში: საფრანგეთის ფირმებმა 1908 — 1911 წლების განმავლობაში სერბიას 45 მილიონი ფრანკის სამხედრო მასალა მიაწოდესო.

საო-პაულოში (ბრაზილია) მყოფი ავსტრია-უნგრეთის კონსულის ანგარიშში ნათქვამია: «ბრაზილიის რკინიგზების მშენებლობა წარმოებს მეტწილად საფრანგეთის, ბელგიის, ბრიტანეთისა და გერმანიის კაპიტალით; ეს ქვეყნები გზების გაყვანასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების დროს პირობად დაათქმევინებენ ხოლმე რკინიგზების სამშენებლო მასალის მიწოდებას».

---

* Schilder, დასახ. თხზ., გვ. 346, 350, 371.

ამრიგად ფინანსური კაპიტალი, შეიძლება ითქვას, ამ სიტყვის პირდაპირი აზრით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აბამს თავის ქსელს. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობენ ბანკები, რომელთაც კოლონიებში აარსებენ, და მათი განყოფილებანი. გერმანელი იმპერიალისტები შურით შეჰყურებენ «ძველ» კოლონიურ ქვეყნებს, რომლებმაც ამ მხრივ განსაკუთრებით «წარმატებით» უზრუნველყვეს თავი: ინგლისს 1904 წელს ჰქონდა 50 კოლონიური ბანკი 2 279 განყოფილებით (1910: 72 ბანკი 5 449 განყოფილებით); საფრანგეთს — 20 ბანკი 136 განყოფილებით; ჰოლანდიას — 16 ბანკი 68 განყოფილებით, გერმანიას კი «მარტოოდენ» 13 ბანკი 70 განყოფილებით *. ამერიკელ კაპიტალისტებს კი, თავის მხრივ, შეშურთ ინგლისელი და გერმანელი კაპიტალისტებისა: «სამხრეთ ამერიკაში — ჩიოდნენ ისინი 1915 წელს — 5 გერმანულ ბანკს 40 განყოფილება აქვს და 5 ინგლისურს — 70 განყოფილება... ინგლისმა და გერმანიამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში არგენტინაში, ბრაზილიაში, ურუგვაიში დააბანდეს დაახლოებით 4 ბილიონი (მილიარდი) დოლარი; ამის შედეგად ისინი სარგებლობენ ამ სამი ქვეყნის მთელი ვაჭრობის 46%-ით» **.

იმ ქვეყნებმა, რომელთაც კაპიტალი გააქვთ, ურთიერთშორის გაინაწილეს მსოფლიო, ამ სიტყვის არაპირდაპირი აზრით. მაგრამ ფინანსურმა კაპიტალმა გამოიწვია მსოფლიოს პ ი რ დ ა პ ი რ ი განაწილებაც.

---

* Riesser, დასახ. თხზ., გვ. 375, შე-4 გამოც. და Diouritch, გვ. 283.

** The Annals of the American Academy of Political and Social Science, vol. LIX, May 1915, p. 301 (ამერიკის პოლიტიკურ და სოციალურ ცოდნათა აკადემიის მატიანე, ტომი LIX, 1915 წ. მაისი, გვ. 301. რ ე დ.). აქვე, გვ. 331, ვკითხულობთ, რომ ცნობილი სტატისტიკოსი Paish (პეიში) საფინანსო ჟურნალ «Statist»-ის («სტატისტიკოსი». რ ე დ.) უკანასკნელ ნაკვეთში ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის მიერ გატანილი კაპიტალის ჯამს განსაზღვრავდა 40 მილიარდი დოლარით, ე. ი. 200 მილიარდი ფრანკით.

V. მსოფლიოს განაწილება კაპიტალისტთა კავშირებს შორის

კაპიტალისტთა მონოპოლისტური კავშირები, კარტელები, სინდიკატები, ტრესტები, ინაწილებენ თავიანთ შორის უწინარეს ყოვლისა საშინაო ბაზარს, ხელთ იგდებენ რა ამა თუ იმ ქვეყნის წარმოებას თავიანთ, ცოტად თუ ბევრად სრულ, მფლობელობაში. მაგრამ საშინაო ბაზარი კაპიტალიზმის დროს აუცილებლად დაკავშირებულია საგარეო ბაზართან. კაპიტალიზმმა დიდი ხანია მსოფლიო ბაზარი შექმნა. და იმდენად, რამდენადაც იზრდებოდა კაპიტალის გატანა და ყოველნაირად ფართოვდებოდა უდიდესი მონოპოლისტური კავშირების საზღვარგარეთული და კოლონიური ურთიერთობა და «გავლენის სფეროები», საქმე «ბუნებრივად» მიდიოდა საერთაშორისო შეთანხმებამდე მათ შორის, საერთაშორისო კარტელების შექმნამდე.

ეს არის კაპიტალისა და წარმოების მსოფლიო კონცენტრაციის ახალი საფეხური, შეუდარებლად უფრო მაღალი, ვიდრე წინანდელნი. ვნახოთ, როგორ იზრდება ეს ზე-მონოპოლია.

ელექტრომრეწველობა ყველაზე უფრო ტიპიურია ტექნიკის უახლესი წარმატებებისათვის, XIX საუკუნის დ ა მ ლ ე ვ ი ს ა და XX საუკუნის დამდეგის კაპიტალიზმისათვის. და იგი ყველაზე მეტად განვითარდა ორ უაღრესად მოწინავე ქვეყანაში ახალ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში. გერმანიაში ამ დარგის კონცენტრაციის ზრდაზე განსაკუთრებით ძლიერი გავლენა მოახდინა 1900 წლის კრიზისმა. ბანკებმა, რომლებიც იმ დროისათვის უკვე საკმაოდ შეეზარდნენ მრეწველობას, მეტისმეტად დაარჩარეს და გააღრმავეს ამ კრიზისის დროს შედარებით წვრილ საწარმოთა დაღუპვა, მათი შთანთქმა მსხვილთა მიერ. «ბანკები — წერს ეიდელსი — დახმარებას უსპობდნენ სწორედ იმ საწარმოებს, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდნენ მას, და ამით იწვევდნენ იმ საზოგადოებათა ჯერ გასაოცარ აღმავ-

ლობას, ხოლო შემდეგ უიმედო კრახს, რომლებიც საკმაოდ მჭიდროდ არ იყვნენ მათთან დაკავშირებულნი» *.

ამის შედეგად კონცენტრაცია 1900 წლის შემდეგ ბუმბერაზული ნაბიჯით წავიდა წინ. 1900 წლამდე ელექტრომრეწველობაში იყო რვა თუ შვიდი «ჯგუფი», ამასთან თვითეული მათგანი რამდენიმე საზოგადოებისაგან შედგებოდა (სულ 28 იყო), და თვითეულის ზურგს უკან იდგა 2-დან 11 ბანკამდე. 1908 — 1912 წლებისათვის ყველა ეს ჯგუფი ორ თუ ერთ ჯგუფად გაერთიანდა. აი როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი:



ცნობილი A. E. G. («ელექტრობის საყოველთაო საზოგადოება»), ამრიგად გაზრდილი, ბატონობს 175 — 200 საზოგადოებაზე («მონაწილეობათა» სისტემის მიხედვით), და მის განკარგულებაშია კაპიტალის საერთო ჯამი დაახლოებით 1½ მილიარდი მარკის რაოდენობით. მას ჰყავს 34 მარტო პირდაპირი საზღვარგარეთული წარმომადგენლობა, მათგან 12 სააქციო საზოგადოება, — ათზე მეტ სახელმწიფოში. ჯერ კიდევ 1904 წელს ვარაუდობდნენ, რომ გერმანიის ელექტრომრეწველობის მიერ საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი შეადგენდა 233 მილიონ მარკას, აქედან 62 მილიონს რუსეთში.

* ეიდელსი, დასახ. თხზ., გვ. 232.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ «ელექტრობის საყოველთაო საზოგადოება» წარმოადგენს გიგანტურ «კომბინირებულ» საწარმოს, — მარტოოდენ მის საფაბრიკაციო საზოგადოებათა რიცხვი 16-ს უდრის — სადაც მზადდება სულ სხვადასხვაგვარი პროდუქტები, დაწყებული კაბელებითა და იზოლატორებით და გათავებული ავტომობილებითა და საფრენი აპარატებით.

მაგრამ კონცენტრაცია ევროპაში იყო აგრეთვე შემადგენელი ნაწილი კონცენტრაციის პროცესისა ამერიკაში. აი როგორ მიდიოდა საქმე:

	«ელექტრობის საყოველთაო კომპ.» (General Electric C°)	
ამერიკა	კომპ. ტომპსონ — ჰაუსტონი აარსებს ფირმას ევროპისათვის	ედისონის კომპ. აარსებს ევროპისათვის ფირმას: «ედისონის ფრანგული კომპანია», რომელიც პატენტებს აძლევს გერმანულ ფირმას
გერმანია	«ელექტრობის უნიონ კომპ.»	«ელექტ. საყოვ. საზ-ბა» (A. E. G.)
	«ელექტრობის საყოველთაო საზ-ბა» (A. E. G.)	

ამნაირად ჩამოყალიბდა ელექტრომრეწველობის ორი «სამფლობელო»: «სხვა, მათგან სავსებით დამოუკიდებელი, ელექტრომრეწველობის საზოგადოება ქვეყნად არ არსებობს» — წერს ჰეინიგი თავის სტატიაში: «ელექტროტრესტის გზა». ორივე «ტრესტის» საწარმოთა ბრუნვის ფარგლებსა და ამ საწარმოთა სიდიდეზე ერთგვარ, თუმცა მეტად არასრულ, წარმოდგენას იძლევა შემდეგი ციფრები:

		საქონლის ბრუნვა (მილიონი მარკები)	მოსამსახურეთა რიცხვი	წმინდა მოგება (მილიონი მარკები)
ამერიკა: «ელ. საყოვ. კომპ.» (G. E. C.)	1907:	252	28 000	35,4
	1910:	298	32 000	45,6
გერმანია: «ელ. საყოვ. საზ-ბა» (A. E. G.)	1907:	216	30 700	14,5
	1911:	362	60 800	21,7

და აი 1907 წელს ამერიკულ და გერმანულ ტრესტს შორის დადებულია ხელშეკრულება მსოფლიოს განაწილებაზე. კონკურენცია ისპობა. «ელექტრ. საყოვ. კომპ-ამ» (G. E. C.) «მიიღო» შეერთებული შტატები და კანადა; «ელექტრ. საყოვ. საზ-ბას» (A. E. G.) «ერგო» გერმანია, ავსტრია, რუსეთი, ჰოლანდია, დანია, შვეიცარია, თურქეთი, ბალკანეთი. განსაკუთრებული — რა თქმა უნდა, საიდუმლო — ხელშეკრულებანი დაიდო «ქალიშვილ-საზოგადოებათა» შესახებ, რომლებიც იჭრებიან მრეწველობის ახალ დარგებში და «ახალ», ფორმალურად ჯერ გაუნაწილებელ, ქვეყნებში. დაწესებულია გამოგონებათა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება *.

თავისთავად გასაგებია, თუ რამდენად გაძნელებულია კონკურენცია ამ, ფაქტიურად ერთიანი, მსოფლიო ტრესტის წინააღმდეგ, რომლის განკარგულებაშია კაპიტალი რამდენიმე მილიარდის რაოდენობით და რომელსაც მსოფლიოს ყოველ კუთხეში აქვს თავისი «განყოფილებანი», წარმომადგენლობანი, აგენტურები, კავშირურთიერთობა და ა. შ.. მაგრამ მსოფლიოს განაწილება ორ ძლიერ ტრესტს შორის, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს გადანაწილებას, თუ ძალთა თანაფარდობა — განვითარების უთანაბრობის, ომების, კრახისა და სხვ. გამო — იცვლება.

ასეთი გადანაწილების ცდის, გადანაწილებისათვის ბრძოლის საგულისხმო მაგალითს წარმოადგენს ნავთის მრეწველობა.

«მსოფლიოს ნავთის ბაზარი — წერდა 1905 წელს ეიდელსი — დღესაც განაწილებული აქვს ორ დიდ ფინანსურ ჯგუფს: როკფელერის ამერიკულ «ნავთის ტრესტს» (Standard Oil C-y) და რუსეთის ბაქოს ნავთის პატრონებს — როტშილდსა და ნობელს. ორივე ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ მათს მონოპოლიურ მდგომარეობას ემუქრება, აი უკვე რამდენიმე წელიწადია, ხუთი მტერი» **:

---

* Riesser, დასახ. თხზ.; Diouritch, დასახ. თხზ., გვ. 239; Kurt Heinig, დასახ. სტ.

** ეიდელსი, გვ. 193.

1) ნავთის ამერიკული წყაროების გამოფიტვა; 2) მეტოქე — მანთაშევის ფირმა ბაქოში; 3) ნავთის წყაროები ავსტრიაში და 4) რუმინეთში; 5) ნავთის ოკეანესიქითა წყაროები, განსაკუთრებით ჰოლანდიის კოლონიებში (სამუელისა და შელის უმდიდრესი ფირმები, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებული არიან ინგლისის კაპიტალთან). საწარმოთა უკანასკნელი სამი რიგი დაკავშირებულია დიდ გერმანულ ბანკებთან, რომელთაც სათავეში უდგას უდიდესი «გერმანიის ბანკი». ეს ბანკები დამოუკიდებლად და გეგმიანად ავითარებდნენ ნავთის მრეწველობას, მაგ., რუმინეთში, რათა «თავიანთი» დასაყრდენი წერტილი ჰქონოდათ. რუმინეთის ნავთის მრეწველობაში 1907 წელს უცხოეთის კაპიტალს 185 მილიონი ფრანკის რაოდენობით ანგარიშობდნენ, მათ შორის გერმანელებისას — 74 მილიონს *.

დაიწყო ბრძოლა, რომელსაც ეკონომიურ ლიტერატურაში უწოდებენ სწორედ «მსოფლიოს განაწილებისათვის» ბრძოლას. ერთი მხრივ, როკფელერის «ნავთის ტრესტმა», რომელსაც სურდა **ყველაფრის ხელში ჩაგდება**, დააარსა «ქალიშვილი-საზოგადოება» **თვით** ჰოლანდიაში, ყიდულობდა ნავთის წყაროებს ჰოლანდიის ინდოეთში და ამრიგად სურდა ლახვარი ჩაეცა თავისი მთავარი მტრისათვის: «შელის» ჰოლანდიურ-ინგლისური ტრესტისათვის. მეორე მხრივ, «გერმანიის ბანკს» და ბერლინის სხვა ბანკებს სურდათ «თავიანთთვის» «შეენარჩუნებინათ» რუმინეთი და გაეერთიანებინათ იგი რუსეთთან როკფელერის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს ჰქონდა განუზომლად უფრო დიდი კაპიტალი და ტრანსპორტის და მომხმარებელთათვის ნავთის მიწოდების შესანიშნავი ორგანიზაცია. ბრძოლა უნდა დამთავრებულიყო და დამთავრდა კიდევაც 1907 წელს «გერმანიის ბანკის» სრული დამარცხებით, და მას დარჩენოდა ორში ერთი: ან მოეხდინა თავისი «ნავთის ინტერესების» ლიკვიდაცია და მილიონები დაეკარგა, ანდა

* Diouritch, გვ. 245.

დამორჩილებოდა. არჩიეს უკანასკნელი და «ნავთის ტრესტთან» დასდეს «გერმანიის ბანკისათვის» მეტად არახელსაყრელი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით «გერმანიის ბანკმა» იკისრა «არავითარი ნაბიჯი არ გადაედგა ამერიკული ინტერესების საზიანოდ», მაგრამ ამასთან გათვალისწინებული იყო, რომ ხელშეკრულება ძალას დაკარგავდა, თუ გერმანიაში გატარდებოდა ნავთის სახელმწიფო მონოპოლიის კანონი.

მაშინ იწყება «ნავთის კომედია». გერმანიის ერთ-ერთი ფინანსთა მეფე, ფონ-გვინერი, «გერმანიის ბანკის» დირექტორი, თავისი კერძო მდივნის, შტაუსის, საშუალებით იწყებს აგიტაციას ნავთის მ ო ნ ო პ ო ლ ი ი ს ა თ ვ ი ს. ამოძრავდა ბერლინის უდიდესი ბანკის მთელი გიგანტური აპარატი, მთელი მისი ფართო «კავშირურთიერთობა», პრესა იხრჩობა «პატრიოტული» ყვირილით ამერიკის ტრესტის «უღლის» წინააღმდეგ, და რეიხსტაგი თითქმის ერთხმად იღებს 1911 წლის 15 მარტს რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებს მთავრობას შეიმუშაოს პროექტი ნავთის მონოპოლიის შესახებ. მთავრობამ ხელი ჩასჭიდა ამ «პოპულარულ» იდეას, და «გერმანიის ბანკის» თამაში, რომელსაც სურდა თავისი ამერიკელი კონტრაჰენტის მოტყუება და თავისი საქმეების გამოსწორება სახელმწიფო მონოპოლიის საშუალებით, თითქოს მოგებულად ითვლებოდა. გერმანელი ნავთის მეფეები უკვე წინასწარ ანგარიშობდნენ გიგანტურ მოგებას, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა რუსეთის შაქრის მექარხნეთა მოგებას... მაგრამ, ჯერ-ერთი, გერმანიის დიდი ბანკები წაეჩხუბნენ ერთმანეთს ნადავლის გაყოფის გამო, და «გამნაღდებელმა საზოგადოებამ» გამოააშკარავა «გერმანიის ბანკის» ანგარებიანი ინტერესები; მეორეც, მთავრობას შეეშინდა როკფელერთან ბრძოლისა, ვინაიდან ძალიან საეჭვო იყო, იშოვიდა თუ არა გერმანია ნავთს როკფელერის გვერდის ავლით (რუმინეთის წარმოების ნაყოფიერება დიდი არ არის); მესამეც, ამას მოუსწრო მილიარდის გაღებამ 1913 წელს გერმანიის საომარი მზადებისათვის. მონოპოლიის პროექტი გადასდეს. როკფელერის

«ნავთის ტრესტი» ჯერჯერობით გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდან.

ბერლინის ჟურნალი «ბანკი» ამის გამო წერდა: გერმანიას «ნავთის ტრესტთან» ბრძოლა მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ელექტროდენის მონოპოლიას შემოიღებს და წყლის ძალას იაფ ელექტრობად გადააქცევსო. მაგრამ — დასძენდა იგი — «ელექტრობის მონოპოლია მაშინ განხორციელდება, როდესაც იგი მწარმოებელთ დასჭირდებათ; სახელდობრ მაშინ, როდესაც კარს მოგვადგება შემდგომი დიდი კრახი ელექტრომრეწველობაში და როდესაც აღარ შეეძლებათ მოგებით მუშაობა იმ გიგანტურ, ძვირად ღირებულ ელექტროსადგურებს, რომლებსაც ახლა ყველგან ელექტრომრეწველობის კერძო «კონცერნები» აშენებენ და რომლებისთვისაც ეს «კონცერნები» უკვე ახლა იღებენ განსაზღვრულ ცალკე მონოპოლიებს ქალაქებისა, სახელმწიფოებისაგან და სხვ.. მაშინ მოგვიხდება წყლის ძალის ამოძრავება; მაგრამ სახელმწიფოს ხარჯზე შეუძლებელი იქნება ამ ძალის გადაქცევა იაფ ელექტრობად, მოგვიხდება მათი გადაცემა ისევ «კერძო მონოპოლიისათვის, რომელსაც კონტროლს უწევს სახელმწიფო», ვინაიდან კერძო მრეწველობამ უკვე დასდო მთელი რიგი გარიგებანი და გამოითხოვა თავისთვის დიდი ჯილდო... ასე იყო კალიუმის მონოპოლიის დროს, ასე მოუვიდა ნავთის მონოპოლიას, ასევე დაემართება ელექტრობის მონოპოლიასაც. დროა ჩვენმა სახელმწიფო სოციალისტებმა, რომლებიც თავს აბრმავებინებენ ლამაზი პრინციპით, ბოლოს და ბოლოს გაიგონ, რომ გერმანიაში მონოპოლიები არასოდეს არ ისახავდნენ ასეთ მიზანს და არ იწვევდნენ ისეთ შედეგებს, რომ სარგებლობა მიეცათ მომხმარებლებისათვის ანდა თუნდაც სახელმწიფოსათვის მიეცათ სამეწარმეო მოგების ნაწილი, არამედ მხოლოდ იმას ემსახურებოდნენ, რომ სახელმწიფოს ხარჯზე გაეჯანსაღებინათ თითქმის გაკოტრებამდე მისული კერძო მრეწველობა» *.

---

* «Die Bank», 1912, 1, 1036; 1912, 2, 629; 1913, 1, 383.

ასეთ საგულისხმო აღიარებამდე მიდიან, ძალაუნებურად, გერმანიის ბურჟუაზიული ეკონომისტები. ჩვენ აქ თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ ეხლართებიან ერთმანეთს ერთ მთელად კერძო და სახელმწიფო მონოპოლიები ფინანსური კაპიტალის ეპოქაში, თუ ერთნიც და მეორენიც როგორ არიან ნამდვილად მხოლოდ ცალკეული რგოლები იმპერიალისტური ბრძოლისა უმსხვილეს მონოპოლისტებს შორის მსოფლიოს გაყოფისათვის.

სავაჭრო ნაოსნობის დარგში კონცენტრაციის გიგანტურმა ზრდამ გამოიწვია აგრეთვე მსოფლიოს განაწილება. გერმანიაში გამოიყო ორი უდიდესი საზოგადოება: «ჰამბურგი — ამერიკა» და «ჩრდ. გერმანიის ლოიდი», ორივე ორას-ორასი მილიონი მარკის კაპიტალით (აქციები და ობლიგაციები), 185 — 189 მილიონ მარკად ღირებული გემებით. მეორე მხრივ, ამერიკაში 1903 წლის 1 იანვარს დაარსდა ეგრეთწოდებული მორგანის ტრესტი, «საზღვაო ვაჭრობის საერთაშორისო კომპანია», რომელიც აერთიანებს ამერიკისა და ინგლისის საოაოსნო კომპანიებს, რიცხვით ცხრას, და ფლობს კაპიტალს 120 მილიონი დოლარის (480 მილიონი მარკის) რაოდენობით. უკვე 1903 წელს გერმანიის ბუმბერაზებსა და ამერიკა-ინგლისის ამ ტრესტს შორის დაიდო ხელშეკრულება მსოფლიოს განაწილების შესახებ მოგების განაწილებასთან დაკავშირებით. გერმანულმა საზოგადოებებმა ხელი აიღეს კონკურენციაზე ინგლისსა და ამერიკას შორის გადაზიდვის საქმეში. ზუსტად დაწესდა, თუ ვის რომელი ნავსადგური «ხვდება წილად», შეიქმნა საერთო საკონტროლო კომიტეტი და ა. შ.. ხელშეკრულება დადებულია 20 წლით, წინდახედული შენიშვნით, რომ ომის შემთხვევაში ის კარგავს ძალას *.

მეტად საგულისხმოა აგრეთვე საერთაშორისო სარელსო კარტელის შექმნის ისტორია. ასეთი კარტელის დაარსება ინგლისის, ბელგიისა და გერმანიის სარელსო ქარხნებმა პირ-

---

* რისერი, დასახ. თხზ., გვ. 125.

ველად სცადეს ჯერ კიდევ 1884 წელს, სამრეწველო საქმეების ძლიერი დაცემის დროს. შეთანხმდნენ არ გაეწიათ ერთმანეთისათვის კონკურენცია შეთანხმებული ქვეყნების საშინაო ბაზარზე, ხოლო საგარეო ბაზრები გაეყოთ შემდეგი ნორმით: 66% — ინგლისს, 27% — გერმანიას, 7% — ბელგიას. ინდოეთი მთლიანად ინგლისს დაუთმეს. ერთი ინგლისური ფირმის წინააღმდეგ, რომელიც შეთანხმების გარეთ დარჩა, დაიწყო გაერთიანებული ომი, რის ხარჯსაც ფარავდნენ განსაზღვრული პროცენტით საერთო გაყიდული საქონლიდან. მაგრამ 1886 წელს, როდესაც კავშირიდან გამოვიდა ორი ინგლისური ფირმა, კავშირი დაიშალა. დამახასიათებელია, რომ შეთანხმებას ვერ აღწევდნენ შემდგომ დაწყებულ სამრეწველო აღმავლობის პერიოდებში.

1904 წლის დამდეგს დაარსდა ფოლადის სინდიკატი გერმანიაში. 1904 წ. ნოემბერში აღდგენილ იქნა საერთაშორისო სარელსო კარტელი შემდეგი ნორმებით: ინგლისს — 53,5%, გერმანიას — 28,83%, ბელგიას — 17,67%. მერე მას შეუერთდა საფრანგეთი შემდეგი ნორმებით: 4,8%, 5,8% და 6,4% პირველ, მეორე და მესამე წელს, 100%-ზე ზევით, ე. ი. როდესაც ჯამი შეადგენდა 104,8%-ს და ა. შ.. 1905 წელს ამ კარტელს შეუერთდა შეერთებული შტატების «ფოლადის ტრესტი» («ფოლადის კორპორაცია»), შემდეგ ავსტრია და ესპანეთი. «ამჟამად — წერდა ფოგელშტეინი 1910 წელს — დედამიწის განაწილება დამთავრებულია, და მსხვილ მომხმარებლებს, პირველ რიგში სახელმწიფო რკინიგზებს, — რაკი მსოფლიო უკვე განაწილებულია და მათს ინტერესებს ანგარიშს არ უწევდნენ — შეუძლიათ ისე იცხოვრონ, როგორც პოეტს, იუპიტერის ცაში» *.

დავასახელოთ კიდევ თუთიის საერთაშორისო სინდიკატი, რომელიც 1909 წელს დაარსდა და ზუსტად გაანაწილა წარმოების ოდენობა ქარხნების ხუთ ჯგუფს შორის: გერმანიის, ბელგიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და ინგლისის ქარხნებს

* Vogelstein: «Organisationsformen», გვ. 100.

შორის; — შემდეგ დენთის საერთაშორისო ტრესტი, ეს, ლიფმანის სიტყვით, «სავსებით თანამედროვე მჭიდრო კავშირი გერმანიის ფეთქებად ნივთიერებათა ყველა ქარხნებს შორის, რომლებმაც შემდგომ ანალოგიურად შექმნილ ფრანგულ და ამერიკულ სადინამიტო ფაბრიკებთან ერთად გაინაწილეს, ასე ვთქვათ, მთელი მსოფლიო» *.

სულ 1897 წელს ლიფმანი ანგარიშობდა დაახლოებით 40 საერთაშორისო კარტელს გერმანიის მონაწილეობით, ხოლო 1910 წლისათვის უკვე 100-მდე.

ზოგიერთი ბურჟუაზიული მწერალი (მათ ამჟამად შეუერთდა კ. კაუცკიც, რომელმაც სრულებით უღალატა თავის მარქსისტულ პოზიციას, მაგ., 1909 წლისას) იმ აზრს გამოთქვამდა, რომ საერთაშორისო კარტელები, როგორც კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი უაღრესად მკაფიო გამოხატულება, შესაძლებლობას იძლევიან ვიქონიოთ იმის იმედი, რომ კაპიტალიზმის დროს ხალხთა შორის დამყარდება მშვიდობა. ეს აზრი თეორიულად სრული სისულელეა, ხოლო პრაქტიკულად სოფიზმია და უცუდესი ოპორტუნიზმის უპატიოსნოდ დაცვის საშუალება. საერთაშორისო კარტელები გვიჩვენებენ, თუ რამდენად გაიზარდა ამჟამად კაპიტალისტური მონოპოლიები და რისთვის წარმოებს ბრძოლა კაპიტალისტთა კავშირებს შორის. ეს უკანასკნელი გარემოება ყველაზე მნიშვნელოვანია; მხოლოდ იგი გვირკვევს ჩვენ იმის ისტორიულ-ეკონომიურ აზრს, რაც ხდება, ვინაიდან ბრძოლის ფორმა შეიძლება იცვლებოდეს და მუდმივ იცვლება სხვადასხვა, შედარებით კერძო და დროებითი, მიზეზების გამო, მაგრამ ბრძოლის დედაარსი, მისი კლასობრივი შინაარსი ყოვლად შეუძლებელია შეიცვალოს, ვიდრე კლასები არსებობენ. გასაგებია, რომ, მაგ., გერმანიის ბურჟუაზიისათვის, რომელსაც არსებითად მიემხრო კაუცკი თავისი თეორიული მსჯელობით (ამაზე ქვემოთ გვექნება კიდევ ლაპარაკი), სასარგებლოა თანამედროვე ეკონომიური ბრძოლის

* Liefmann: «Kartelle und Trusts», 2. A., გვ. 161.

შინაარსის (მსოფლიოს განაწილება) მიჩქმალვა და ხაზგასმით აღნიშვნა ამ ბრძოლის ხან ერთი, ხან მეორე ფორმისა. ამავე შეცდომას სჩადის კაუცკი. და ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არა გერმანიის, არამედ მსოფლიო ბურჟუაზიაზე. კაპიტალისტები მსოფლიოს ინაწილებენ არა თავიანთი განსაკუთრებული ბოროტების გამო, არამედ იმიტომ, რომ კონცენტრაციის მიღწეული საფეხური აიძულებს მათ დაადგნენ ამ გზას მოგების მისაღებად; ამასთან ისინი მსოფლიოს ინაწილებენ «კაპიტალის მიხედვით», «ძალის მიხედვით» — განაწილების სხვა საშუალება შეუძლებელია სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის სისტემაში. ძალა კი იცვლება ეკონომიური და პოლიტიკური განვითარებისდა კვალად; იმის გასაგებად, რაც ხდება, უნდა ვიცოდეთ, თუ რა საკითხები წყდება ძალთა ცვლილებებით, ხოლო ეს ცვლილებანი «წმინდა»-ეკონომიურია თუ გარეშეეკონომიური (მაგ., სამხედრო), ეს მეორეხარისხოვანი საკითხია, რომელიც ვერაფერს შეცვლის ძირითად შეხედულებებში კაპიტალიზმის უახლეს ეპოქაზე. კაპიტალისტთა კავშირებს შორის ბრძოლისა და გარიგებათა შინაარსის საკითხის შეცვლა ბრძოლისა და გარიგებათა ფორმის (დღეს იგი მშვიდობიანია, ხვალ არამშვიდობიანი, ზეგ კვლავ არამშვიდობიანი) საკითხით — იმას ნიშნავს, რომ ჩამოქვეითდე სოფისტის როლამდე.

უახლესი კაპიტალიზმის ეპოქა გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტთა კავშირებს შორის მყარდება განსაზღვრული ურთიერთობა მსოფლიოს ეკონომიური განაწილების ნიადაგზე, ხოლო ამის გვერდით, ამასთან დაკავშირებით ამ პოლიტიკურ კავშირებს, სახელმწიფოებს შორის მყარდება განსაზღვრული ურთიერთობა მსოფლიოს ტერიტორიული განაწილების, კოლონიებისათვის ბრძოლის, «სამეურნეო ტერიტორიისათვის ბრძოლის» ნიადაგზე.

VI. მსოფლიოს განაწილება დიდ სახელმწიფოებს შორის

გეოგრაფი ა. სუპანი თავის წიგნში «ევროპის კოლონიების ტერიტორიული განვითარების» * შესახებ იძლევა ამ განვითარების ასეთ მოკლე შეჯამებას XIX საუკუნის დამლევისათვის:

ევროპის კოლონიური სახელმწიფოების (მათ შორის შეერთ. შტატების) კუთვნილი მიწის ფართობის პროცენტი:

	1876	1900	მატება
აფრიკაში	10,8%	90,4%	+ 79,6%
პოლინეზიაში	56,8%	98,9%	+ 42,1%
აზიაში	51,5%	56,6%	+ 5,1%
ავსტრალიაში	100,0%	100,0%	—
ამერიკაში	27,5%	27,2%	— 0,3%

«მაშასადამე, — დაასკვნის იგი. — ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია აფრიკისა და პოლინეზიის განაწილება». ვინაიდან აზიასა და ამერიკაში დაუკავებელი მიწები, ე. ი. ისეთი, რომელიც არც ერთ სახელმწიფოს არ ეკუთვნოდეს, აღარ არის, სუპანის დასკვნა უნდა გავაფართოოთ და ვთქვათ, რომ განსახილველი პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია დედამიწის საბოლოო განაწილება, საბოლოო არა იმ აზრით, რომ შეუძლებელი იყოს გადანაწილება, — პირიქით, გადანაწილება შესაძლებელია და აუცილებელიც, — არამედ იმ აზრით, რომ კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიურმა პოლიტიკამ დაამთავრა თავისუფალი მიწების დატაცება ჩვენს პლანეტაზე. მსოფლიო პირველად აღმოჩნდა უკვე განაწილებული, ასე რომ მომავალში რჩება მხოლოდ გადანაწილებანი, ე. ი. ერთი «მფლობელისაგან» მეორის ხელში გადასვლა და არა უპატრონობიდან «პატრონის» ხელში.

---

* A. Supan: «Die territoriale Entwicklung der europäischen Kolonien», 1906, გვ. 254 (ა. სუპანი. «ევროპის კოლონიების ტერიტორიული განვითარება». რ ე დ.).

მაშასადამე, ჩვენ განვიცდით მსოფლიო კოლონიური პოლიტიკის თავისებურ ეპოქას, რომელიც უმჭიდროესად არის დაკავშირებული «უახლეს საფეხურთან კაპიტალიზმის განვითარებაში», ფინანსურ კაპიტალთან. ამიტომ აუცილებელია უფრო დაწვრილებით შევეხოთ უწინარეს ყოვლისა ფაქტიურ მონაცემებს, რათა რაც შეიძლება ზუსტად გამოვარკვიოთ როგორც ამ ეპოქის განსხვავება წინანდელთაგან, ისე საქმის მდგომარეობა ამჟამად. პირველ რიგში აქ იჭრება ორი ფაქტიური საკითხი: ხდება თუ არა კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება, კოლონიებისათვის ბრძოლის გამწვავება სწორედ ფინანსური კაპიტალის ეპოქაში, და სახელდობრ როგორ არის განაწილებული ამ მხრივ მსოფლიო ამჟამად.

ამერიკელი მწერალი მორისი თავის წიგნში კოლონიზაციის ისტორიის შესახებ * ცდილობს შეაჯამოს მონაცემები ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის კოლონიურ სამფლობელოთა სიდიდის შესახებ XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდის მიხედვით. აი, შემოკლებულად, მის მიერ მიღებული შედეგები:

კოლონიურ სამფლობელოთა სიდიდე

	ინგლისისა		საფრანგეთისა		გერმანიისა	
წლები	ფართობი (მილ. კვ. მილი)	მოსახლეობა (მილ.)	ფართობი (მილ. კვ. მილი)	მოსახლეობა (მილ.)	ფართობი (მილ. კვ. მილი)	მოსახლეობა (მილ.)
1815 — 1830	?	126,4	0,02	0,5	—	—
1860	2,5	145,1	0,2	3,4	—	—
1880	7,7	267,9	0,7	7,5	—	—
1899	9,3	309,0	3,7	56,4	1,0	14,7

ინგლისისათვის კოლონიურ დაპყრობათა უდიდესი გაძლიერების პერიოდია 1860 — 1880 წლები და მეტად მნიშვნელოვანი გაძლიერებისა — XIX საუკუნის უკანასკნელი ოცი წელი. საფრანგეთისა და გერმანიისათვის — სწორედ ეს ოცი წელი. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ წინამონოპოლისტური კაპიტა-

* Henry C. Morris: «The history of colonization», N. Y., 1900, vol. II, pp. 88; I, 419; II, 304 (ჰენრი კ. მორისი. «კოლონიზაციის ისტორია». ნიუ-იორკი, 1900, ტ. II, გვ. 88; I, 419; II, 304. რედ.).

ლიზმის უკიდურესი განვითარების პერიოდს, იმ კაპიტალიზმისას, როდესაც თავისუფალი კონკურენცია ჭარბობდა, წარმოადგენს 1860-იანი და 1870-იანი წლები. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ამ პერიოდის შემდეგ იწყება კოლონიურ დაპყრობათა უდიდესი «აღმავლობა», მეტისმეტად მწვავდება ბრძოლა მსოფლიოს ტერიტორიული განაწილებისათვის. მაშასადამე, უეჭველია ის ფაქტი, რომ კაპიტალიზმის გადასვლა მონოპოლისტური კაპიტალიზმის საფეხურზე, ფინანსურ კაპიტალზე დაკავშირებულია მსოფლიოს განაწილებისათვის ბრძოლის გამწვავებასთან.

ჰობსონი თავის თხზულებაში იმპერიალიზმის შესახებ გამოყოფს 1884 — 1900 წწ. ეპოქას, როგორც ევროპის მთავარი სახელმწიფოების გაძლიერებული «ექსპანსიის» (ტერიტორიის გაფართოების) ეპოქას. მისი გამოანგარიშებით, ინგლისმა ამ დროის განმავლობაში შეიძინა 3,7 მილიონი კვ. მილი 57-მილიონიანი მოსახლეობით; საფრანგეთმა—3,6 მილიონი კვ. მილი 36½ მილიონი მოსახლეობით; გერმანიამ — 1,0 მილიონი კვ. მილი 14,7 მილიონი მოსახლეობით; ბელგიამ — 900 ათასი კვ. მილი 30 მილიონი მოსახლეობით; პორტუგალიამ — 800 ათასი კვ. მილი 9 მილიონი მოსახლეობით. კოლონიების გამოდევნება ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოს მხრივ XIX საუკუნის დამლევს, განსაკუთრებით 1880-იანი წლებიდან დაწყებული, წარმოადგენს დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის ისტორიის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს.

ინგლისში თავისუფალი კონკურენციის ყველაზე მეტად აყვავების ეპოქაში, 1840 — 1860 წლებში, მისი ხელმძღვანელი ბურჟუაზიული პოლიტიკოსები კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგნი იყვნენ, აუცილებელ და სასარგებლო საქმედ თვლიდნენ კოლონიების განთავისუფლებას, მათს სრულ გამოყოფას ინგლისისაგან. მ. ბერი თავის, 1898 წელს დაბეჭდილ, სტატიაში «ინგლისის უახლესი იმპერიალიზმის» * შესახებ

* «Die Neue Zeit». XVI, I, 1898, S. 302.

აღნიშნავს, რომ 1852 წელს ინგლისის ისეთი, საერთოდ რომ ვთქვათ იმპერიალიზმისადმი მიდრეკილების მქონე სახელმწიფო მოღვაწე, როგორიც იყო დიზრაელი, ამბობდა: «კოლონიები — ეს წისქვილის ქვებია ჩვენს კისერზე». ხოლო XIX საუკუნის დამლევს ინგლისის იმ დროის გმირები იყვნენ სესილ როდსი და ჯოზეფ ჩემბერლენი, რომლებიც აშკარად ქადაგებდნენ იმპერიალიზმს და უაღრესი ცინიზმით იყენებდნენ იმპერიალისტურ პოლიტიკას!

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უახლესი იმპერიალიზმის, ასე ვთქვათ, წმინდა ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ფესვების კავშირი უკვე მაშინაც ნათელი იყო ინგლისის ბურჟუაზიის ამ ხელმძღვანელი პოლიტიკოსებისათვის. ჩემბერლენი იმპერიალიზმს ქადაგებდა როგორც «ჭეშმარიტ, ბრძნულ და მომჭირნე პოლიტიკას», განსაკუთრებით მიუთითებდა იმ კონკურენციაზე, რომელსაც ახლა ხვდება ინგლისი მსოფლიო ბაზარზე გერმანიის, ამერიკის, ბელგიის მხრივ. ხსნა მონოპოლიაშიაო — ამბობდნენ კაპიტალისტები და აარსებდნენ კარტელებს, სინდიკატებს, ტრესტებს. ხსნა მონოპოლიაშიაო — ბანს აძლევდნენ მათ ბურჟუაზიის პოლიტიკური ბელადები და ჩქარობდნენ დაეტაცებინათ დედამიწის ჯერ კიდევ გაუყოფელი ნაწილები. სესილ როდსი კი, როგორც მისი ინტიმური მეგობარი, ჟურნალისტი სტედი, მოგვითხრობდა, ეუბნებოდა მას თავისი იმპერიალისტური იდეების შესახებ 1895 წელს: «გუშინ ვიყავი ლონდონის ისტ-ენდში (მუშათა უბანი) და დავესწარი უმუშევართა ერთ კრებას. როდესაც იქ მოვისმინე ველური სიტყვები, რაც ერთიანად შედგებოდა ყვირილისაგან: პური, პურიო!, გავეშურე შინისაკენ და ჩავუფიქრდი ნახულს, მე კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, დავრწმუნდი იმპერიალიზმის მნიშვნელობაში... ჩემი სანუკვარი იდეა არის სოციალური საკითხის გადაწყვეტა, სახელდობრ: შეერთებული სამეფოს ორმოცი მილიონი მცხოვრები რომ ვიხსნათ დამღუპველი სამოქალაქო ომისაგან, ჩვენ, კოლონიურმა პოლიტიკოსებმა, უნდა დავიპყროთ ახალი მიწები ჭარბი მოსახლეობის მოსათავსებლად, ფაბრიკებსა და მაღაროებში წარმოებული

საქონლის გასაღებისათვის ახალი ოლქების შესაძენად. იმპერია, ამას მე მუდამ ვამბობდი, კუჭის საკითხია. თუ თქვენ სამოქალაქო ომი არა გსურთ, იმპერიალისტები უნდა გახდეთ» *.

ასე ლაპარაკობდა 1895 წელს სესილ როდსი, მილიონერი, ფინანსთა მეფე, ინგლის-ბურების ომის მთავარი გამომწვევი; ესეც კია, მის მიერ იმპერიალიზმის დაცვა მხოლოდ უხეშია, ცინიკური, მაგრამ არსებითად იგი არ განირჩევა ბბ. მასლოვის, ზიუდეკუმის, პოტრესოვის, დავიდის, რუსული მარქსიზმის დამაარსებლის და სხვ. და სხვ. «თეორიისაგან». სესილ როდსი ცოტა უფრო პატიოსანი სოციალ-შოვინისტი იყო...

მსოფლიოს ტერიტორიული განაწილებისა და უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ამ მხრივ მომხდარ ცვლილებათა რაც შეიძლება უფრო ზუსტი სურათის მოსაცემად ვისარგებლოთ იმ შეჯამებითი ცნობებით, რასაც სუპანი იძლევა ხსენებულ თხზულებაში მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს კოლონიურ სამფლობელოთა საკითხის შესახებ. სუპანი იღებს 1876 და 1900 წლებს; ჩვენ ავიღებთ 1876 წელს — მეტად მოხერხებულად შერჩეულ პუნქტს, რადგან სწორედ ამ დროისათვის შეიძლება, საერთოდ და მთლიანად, დამთავრებულად ჩაითვალოს დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის განვითარება მის წინამონოპოლისტურ სტადიაში,—და 1914 წელს, ამასთან სუპანის ციფრებს შევცვლით უფრო ახალი ციფრებით გიუბნერის «გეოგრაფიულ-სტატისტიკური ცხრილების» მიხედვით. სუპანი იღებს მხოლოდ კოლონიებს; ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია — იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ მსოფლიოს განაწილების სრული სურათი, — დავუმატოთ ამას, მოკლედ, ცნობები როგორც არაკოლონიური ქვეყნების, ისე ნახევრად-კოლონიების შესახებ, რომელთაც ჩვენ ვაკუთვნებთ სპარსეთს, ჩინეთსა და თურქეთს: ამ ქვეყნებს შორის პირველი უკვე თითქმის მთლიანად კოლონიად გადაიქცა, მეორე და მესამე ასეთნი ხდებიან.

* იქვე, გვ. 394.

ვიღებთ ასეთ შედეგებს:

დიდ სახელმწიფოთა კოლონიური სამფლობელონი:
(მლნ. კვ. კლმ. და მლნ. მცხოვრები)

	კოლონიები				მეტროპოლიები		სულ	
	1876		1914		1914		1914	
	კვ. კლმ.	მცხოვ.	კვ. კლმ.	მცხოვ.	კვ. კლმ.	მცხოვ.	კვ. კლმ.	მცხოვ.
ინგლისი	22,5	251,9	33,5	393,5	0,3	46,5	33,8	440,0
რუსეთი	17,0	15,9	17,4	33,2	5,4	136,2	22,8	169,4
საფრანგეთი	0,9	6,0	10,6	55,5	0,5	39,6	11,1	95,1
გერმანია	—	—	2,9	12,3	0,5	64,9	3,4	77,2
შეერთ. შტატები	—	—	0,3	9,7	9,4	97,0	9,7	106,7
იაპონია	—	—	0,3	19,?	0,4	53,0	0,7	72,2
სულ 6 დიდი სახელმწიფო	40,4	273,8	65,0	523,4	16,5	437,2	81,5	960,6
დანარჩენ სახელმწიფოთა (ბელგია, ჰოლანდია და სხვ.) კოლონიები							9,9	45,3
ნახევრად-კოლონიები (სპარსეთი, ჩინეთი, თურქეთი)							14,5	361,2
დანარჩენი ქვეყნები							28,0	289,9
მთელი დედამიწა							133,9	1 657,0

აქ ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ «დამთავრდა» XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოს განაწილება. ექვსი უდიდესი სახელმწიფოს კოლონიური სამფლობელოები 1876 წლის შემდეგ გიგანტურად გაფართოვდა: ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, 40-დან 65 მილიონ კვ. კილომეტრამდე; ნამატი შეადგენს 25 მილიონ კვ. კილომეტრს, რაც ერთნახევარჯერ აღემატება მეტროპოლიების ფართობს (16½ მილიონი). სამ სახელმწიფოს 1876 წელს არც ერთი კოლონია არ გააჩნდა, ხოლო მეოთხეს, საფრანგეთს, თითქმის არ ჰქონდა კოლონიები. 1914 წლისათვის ამ ოთხმა სახელმწიფომ შეიძინა კოლონიები 14,1 მილიონი კვ. კლმ. ფართობით, ე. ი. ევროპის ფართობზე დაახლოებით ერთნახევარჯერ მეტი, თითქმის 100 მილიონი მოსახლეობით. კოლონიური მფლობელობის გაფართოების უთანაბრობა ძალიან დიდია. თუ შევადარებთ,

მაგალითად, საფრანგეთს, გერმანიასა და იაპონიას, რომლებიც არც თუ დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფართობის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობით, აღმოჩნდება, რომ ამ ქვეყნებს შორის პირველმა შეიძინა თითქმის სამჯერ მეტი კოლონია (ფართობის მიხედვით), ვიდრე მეორემ და მესამემ ერთად. მაგრამ საფრანგეთი ფინანსური კაპიტალის სიდიდის მხრივ აღნიშნული პერიოდის დასაწყისში, შეიძლება, ასევე რამდენჯერმე უფრო მდიდარი იყო, ვიდრე გერმანია და იაპონია ერთად. კოლონიურ სამფლობელოთა სიდიდეზე, წმინდა-ეკონომიურ პირობათა გარდა, და ამ პირობათა საფუძველზე, გავლენას ახდენენ გეოგრაფიული და სხვა პირობები. რარიგ ძლიერადაც არ წარმოებდა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მსოფლიოს ნიველირება, მეურნეობისა და ცხოვრების პირობების გათანასწორება სხვადასხვა ქვეყანაში მსხვილი მრეწველობის, გაცვლა-გამოცვლისა და ფინანსური კაპიტალის ზემოქმედების გამო, განსხვავება მაინც მცირე არ რჩება, და ხსენებულ ექვს ქვეყანას შორის ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრივ, ახალგაზრდა, არაჩვეულებრივ სწრაფი პროგრესის გზაზე მდგომ კაპიტალისტურ ქვეყნებს (ამერიკა, გერმანია, იაპონია); მეორე მხრივ, ძველი კაპიტალისტური განვითარების ქვეყნებს, რომელთა პროგრესიც უკანასკნელ დროს ზემოხსენებულ ქვეყნებისაზე გაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობდა (საფრანგეთი და ინგლისი); მესამე მხრივ, ეკონომიურად ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანას (რუსეთს), სადაც უახლესად-კაპიტალისტური იმპერიალიზმი გახვეულია, ასე ვთქვათ, წინაკაპიტალისტური ურთიერთობის განსაკუთრებით ხშირ ქსელში.

დიდ სახელმწიფოთა კოლონიურ სამფლობელოებს ჩვენ გვერდში ამოვუყენეთ პატარა სახელმწიფოთა მცირე კოლონიები, რომლებიც წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, კოლონიათა შესაძლებელი და აუცილებელი «გადანაწილების» უახლოეს ობიექტს. ეს პატარა სახელმწიფოები უმთავრესად მხოლოდ იმის მეოხებით ინარჩუნებენ თავიანთ კოლონიებს, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის არის ინტერესთა წინააღმდეგობა,

შეხლა-შემოხლა და სხვ., რაც ხელს უშლის შეთანხმებას ნადავლის გაყოფის შესახებ. რაც შეეხება «ნახევრად-კოლონიურ» სახელმწიფოებს, ისინი იძლევიან იმ გარდამავალი ფორმების მაგალითს, რომლებსაც ვხვდებით ბუნებისა და საზოგადოების ყველა სფეროში. ფინანსური კაპიტალი ისეთი დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ძალაა ყველა ეკონომიურ და ყველა საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ მას შეუძლია დაიმორჩილოს და ნამდვილადაც იმორჩილებს ისეთ სახელმწიფოებსაც კი, რომლებიც უაღრესად სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობენ; ჩვენ ახლავე ვნახავთ ამის მაგალითებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ფინანსური კაპიტალისათვის ყველაზე უფრო «მოხერხებული» და ყველაზე უფრო სარფიანია ი ს ე თ ი დამორჩილება, რომელიც დაკავშირებულია დამორჩილებული ქვეყნებისა და ხალხების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვასთან. ნახევრად-კოლონიური ქვეყნები ტიპიურია, როგორც «შუათანა» ამ მხრივ. გასაგებია, რომ ბრძოლა ამ ნახევრად-დამოკიდებული ქვეყნებისათვის განსაკუთრებით უნდა გამწვავებულიყო ფინანსური კაპიტალის ეპოქაში, როდესაც დანარჩენი მსოფლიო უკვე განაწილებული იყო.

კოლონიური პოლიტიკა და იმპერიალიზმი არსებობდა კაპიტალიზმის უახლეს საფეხურამდეც და თვით კაპიტალიზმამდეც. მონობაზე დაყრდნობილი რომი აწარმოებდა კოლონიურ პოლიტიკას და ახორციელებდა იმპერიალიზმს. მაგრამ ისეთი «ზოგადი» მსჯელობა იმპერიალიზმზე, რომელიც ივიწყებს ან უკანა რიგში აყენებს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ძირფესვიან განსხვავებას, აუცილებლად იქცევა ყოვლად უშინაარსო ბანალობად ან ბაქიაობად, მსგავსად «დიდი რომის» შედარებისა «დიდ ბრიტანეთთან» *. კაპიტა-

* C. P. Lucas: «Greater Rome and Greater Britain», Oxf. 1912 (კ. პ. ლუკასი. «დიდი რომი და დიდი ბრიტანეთი». ოქსფორდი, 1912. რ ე დ.) ან Earl of Cromer: «Ancient and modern imperialism», L. 1910 (კრომერი. «ძველი დროისა და თანამედროვე იმპერიალიზმი». ლონდონი, 1910. რ ე დ.).

ლიზმის წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი სტადიების კაპიტალისტური კოლონიური პოლიტიკაც კი არსებითად განსხვავდება ფინანსური კაპიტალის კოლონიური პოლიტიკისაგან.

უახლესი კაპიტალიზმის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს უმსხვილეს მეწარმეთა მონოპოლისტური კავშირების ბატონობა. ასეთი მონოპოლიები ყველაზე მტკიცეა მაშინ, როდესაც ერთი იგდებს ხელთ ნედლი მასალის ყ ვ ე ლ ა წყაროს, და ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი გულმოდგინებით მიმართავენ კაპიტალისტთა საერთაშორისო კავშირები თავიანთ ძალღონეს იმისაკენ, რომ გამოჰგლიჯონ მოწინააღმდეგეს კონკურენციის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ შეისყიდონ, მაგ., რკინისმადნიანი მიწები ან ნავთის წყაროები და ა. შ.. მარტო კოლონიათა მფლობელობა იძლევა მონოპოლიის წარმატების სრულ გარანტიას მეტოქესთან ბრძოლის ყოველი შემთხვევითობის წინააღმდეგ — თვით ისეთ შემთხვევითობამდე, მოწინააღმდეგეს რომ მოესურვებინა თავი დაეცვა კანონით სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ. რაც უფრო მაღალია კაპიტალიზმის განვითარება, რაც უფრო ძლიერ საგრძნობია ნედლეულის ნაკლებობა, რაც უფრო მწვავეა კონკურენცია და გამოდევნება ნედლეულის წყაროებისა მთელ მსოფლიოში, მით უფრო გააფთრებულია ბრძოლა კოლონიების შესაძენად.

«შეიძლება წამოვაყენოთ დებულება, — წერს შილდერი — რომელიც, ალბათ, ზოგიერთს პარადოქსულად მოეჩვენება, სახელდობრ: რომ ქალაქისა და სამრეწველო მოსახლეობის ზრდას ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში გაცილებით უფრო ადრე შეიძლება დაბრკოლება შეხვდეს მრეწველობისათვის ნედლეულის ნაკლებობის მხრივ, ვიდრე საკვები საგნების ნაკლებობის მხრივ». ასე, მაგალითად, მწვავდება ნაკლებობა ხე-ტყისა, რომელიც სულ უფრო ძვირდება,—ტყავისა,— ნედლეულისა საფეიქრო მრეწველობისათვის. «მრეწველთა კავშირები ცდილობენ შექმნან წონასწორობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის მთელი მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში; მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ

1904 წლიდან არსებული საერთაშორისო კავშირთა კავშირი — ბამბის სართავი ფაბრიკების მეპატრონეებისა რამდენიმე უმნიშვნელოვანეს სამრეწველო სახელმწიფოში; შემდეგ 1910 წელს მისი ნიმუშის მიხედვით დაარსებული სელის სართავი ფაბრიკების მეპატრონეთა ევროპულ კავშირთა კავშირი» *.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული რეფორმისტები და მათ შორის განსაკუთრებით ახლანდელი კაუცკელები ცდილობენ შეასუსტონ ამგვარი ფაქტების მნიშვნელობა იმაზე მითითებით, რომ ნედლეულის შოვნა «შეიძლებოდა» თავისუფალ ბაზარზე «ძვირი და სახიფათო» კოლონიური პოლიტიკის გარეშე, რომ «შეიძლებოდა» ნედლეულის მიწოდების გიგანტურად გაზრდა საერთოდ სოფლის მეურნეობის პირობების «უბრალო» გაუმჯობესებითო. მაგრამ ასეთი მითითებები იქცევა იმპერიალიზმის აპოლოგეტობად, მის შელამაზებად, ვინაიდან ისინი ემყარებიან უახლესი კაპიტალიზმის მთავარი თავისებურების — მონოპოლიების — დავიწყებას. თავისუფალი ბაზარი სულ უფრო მეტად ჰბარდება წარსულს, მას ყოველდღე კვეცენ მონოპოლისტური სინდიკატები და ტრესტები, ხოლო სოფლის მეურნეობის პირობათა «უბრალო» გაუმჯობესება იმაში გამოიხატება, რომ გაუმჯობესდეს მასების მდგომარეობა, გადიდდეს ხელფასი და შემცირდეს მოგება. სად არიან კიდევ, თუ არ ენატკბილ რეფორმისტთა ფანტაზიაში, ასეთი ტრესტები, რომლებიც იზრუნებდნენ მასების მდგომარეობაზე ნაცვლად კოლონიების დაპყრობისა?

ფინანსური კაპიტალისათვის მნიშვნელობა აქვს ნედლეულის არა მარტო უკვე აღმოჩენილ წყაროებს, არამედ აგრეთვე შესაძლებელ წყაროებსაც, ვინაიდან ჩვენს დროში წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდება ტექნიკა, და დღეს უვარგისი მიწები — ხვალ შეიძლება გამოსადეგი გახდეს, თუ გამოიძებნება ახალი ხერხები (ხოლო დიდ ბანკს შეუძლია ამისათვის მოაწყოს ინჟინრების, აგრონომების და სხვ. საგანგებო

* Schilder, დასახ. თხზ., გვ. 38 — 42.

ექსპედიცია), თუ დაიხარჯება დიდძალი კაპიტალი. იგივე ეხება მინერალურ სიმდიდრეთა გამოკვლევას, ამა თუ იმ ნედლეული მასალის დამუშავებისა და უტილიზაციის ახალ წესებს და სხვ. და სხვ.. აქედანაა ფინანსური კაპიტალის აუცილებელი მისწრაფება — გააფართოოს სამეურნეო ტერიტორია და საერთოდ თვით ტერიტორიაც კი. ისე როგორც ტრესტები ახდენენ თავიანთი ქონების კაპიტალიზაციას ორმაგი თუ სამმაგი შეფასების გზით, რისთვისაც ითვალისწინებენ მომავალში «შესაძლებელ» (და არა დღევანდელ) მოგებას, ითვალისწინებენ მონოპოლიის შემდგომ შედეგებს, ასევე ფინანსური კაპიტალი საერთოდ მიისწრაფის იმისაკენ, რომ ხელში ჩაიგდოს რაც შეიძლება მეტი მიწა, როგორიც უნდა იყოს იგი, სადაც უნდა იყოს და რა გზითაც უნდა იყოს, ითვალისწინებს ნედლეულის შესაძლებელ წყაროებს და ეშინია არ ჩამორჩეს გაუნაწილებელი მსოფლიოს უკანასკნელი ნაჭრებისათვის ან უკვე განაწილებული ნაჭრების გადანაწილებისათვის გააფთრებულ ბრძოლაში.

ინგლისელი კაპიტალისტები ყოველნაირად ცდილობენ განავითარონ ბამბის წარმოება თ ა ვ ი ა ნ თ კოლონიაში, ეგვიპტეში, — 1904 წელს 2,3 მილიონი ჰექტარი კულტურული მიწიდან ეგვიპტეში უკვე 0,6 მილიონი ბამბას ეკავა, ე. ი. მეოთხედზე მეტი — რუსები კი თ ა ვ ი ა ნ თ კოლონიაში, თურქესტანში, რადგან ამ გზით მათ უფრო ადვილად შეუძლიათ დაამარცხონ თავიანთი უცხოელი კონკურენტები, უფრო ადვილად შეუძლიათ მიაღწიონ ნედლეულის წყაროების მონოპოლიზაციას, ისეთი, უფრო ეკონომიური და მომგებიანი საფეიქრო ტრესტის შექმნას, რომელსაც ექნება «კომბინირებული» წარმოება და სადაც ერთ ხელში იქნება თავმოყრილი ბამბის წარმოებისა და დამუშავების ყ ვ ე ლ ა სტადია.

კაპიტალის გატანის ინტერესები ასევე უბიძგებენ კოლონიების დაპყრობისაკენ, ვინაიდან კოლონიურ ბაზარზე უფრო იოლია (ზოგჯერ კი მხოლოდ და მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი) კონკურენტის განდევნა მონოპოლისტური გზით,

მიწოდების უზრუნველყოფა თავის ხელში, სათანადო «კავშირურთიერთობის» განმტკიცება და სხვ.

გარეეკონომიური ზედნაშენი, აღმოცენებული ფინანსური კაპიტალის საფუძველზე, მისი პოლიტიკა, მისი იდეოლოგია აძლიერებს მისწრაფებას კოლონიური დაპყრობებისაკენ. «ფინანსურ კაპიტალს სურს არა თავისუფლება, არამედ ბატონობა», სამართლიანად ამბობს ჰილფერდინგი. ხოლო ერთი ფრანგი ბურჟუაზიული მწერალი თითქოს ავითარებს და ავსებს სესილ როდსის ზემოთ მოყვანილ შეხედულებებს* და წერს, რომ თანამედროვე კოლონიური პოლიტიკის ეკონომიურ მიზეზებს უნდა დაემატოს სოციალური: «ცხოვრების მზარდი სირთულისა და სიძნელის გამო, რომელიც აწვება არა მარტო მუშათა მასებს, არამედ საშუალო კლასებსაც, ძველი ცივილიზაციის ყველა ქვეყანაში გროვდება «მოუთმენლობა, გაღიზიანება, სიძულვილი, რაც ემუქრება საზოგადოებრივ მყუდროებას; იმ ენერგიას, რომელიც გადმოდის განსაზღვრული კლასობრივი კალაპოტიდან, გამოყენება უნდა მოვუნახოთ, მივცეთ მას საქმე ქვეყნის გარეთ, რომ შიგნით არ მოხდეს აფეთქება»» **.

რაკი ლაპარაკია კაპიტალისტური იმპერიალიზმის ეპოქის კოლონიურ პოლიტიკაზე, საჭიროა აღინიშნოს, რომ ფინანსური კაპიტალი და მისი შესაფერისი საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება დიდ სახელმწიფოთა ბრძოლით მსოფლიოს ეკონომიური და პოლიტიკური განაწილებისათვის, ქმნის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების მთელ რიგ გარდამავალ ფორმებს. ამ ეპოქისათვის ტიპიურია არა მარტო ქვეყნების ორი ძირითადი ჯგუფი: კოლონიების მფლობელნი და კოლონიები, არამედ დამოკიდებული ქვეყნების სხვადასხვაგვარი ფორმებიც, ქვეყნების, რომლებიც პოლიტიკურად,

* იხ. ეს ტომი, გვ. 322—323. რ ე დ.

** Wahl: «La France aux colonies» (ვალი. «საფრანგეთი კოლონიებში». რ ე დ.), ციტატი მოყვანილი აქვს Henri Russier-ს: «Le Partage de l'Océanie», P. 1905, p. 165 (ანრი რიუსიე. «ოკეანიის განაწილება». პარიზი, 1905, გვ. 165. რ ე დ.).

ფორმალურად დამოუკიდებელნი არიან, ნამდვილად კი გაბმული არიან ფინანსური და დიპლომატიური დამოკიდებულების ქსელში. ერთ-ერთი ფორმა — ნახევრად-კოლონიები — ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინათ. მეორის ნიმუშია, მაგალითად, არგენტინა.

«სამხრეთი ამერიკა, განსაკუთრებით კი არგენტინა — წერს შულცე-გევერნიცი თავის თხზულებაში ბრიტანეთის იმპერიალიზმის შესახებ — ფინანსურად ისე დამოკიდებულია ლონდონისაგან, რომ მას თითქმის ინგლისის სავაჭრო კოლონია უნდა ეწოდოს» *. ინგლისის მიერ არგენტინაში დაბანდებულ კაპიტალს შილდერი, ბუენოს-აირესში მყოფი ავსტრია-უნგრეთის კონსულის ცნობის მიხედვით, 1909 წლისათვის $8^3/_4$ მილიარდი ფრანკის რაოდენობით განსაზღვრავდა. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა მტკიცე კავშირს ამყარებს ამის გამო ინგლისის ფინანსური კაპიტალი — და მისი ერთგული «მეგობარი», დიპლომატია — არგენტინის ბურჟუაზიასთან, მთელი მისი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელ წრეებთან.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში ფინანსური და დიპლომატიური დამოკიდებულების ერთგვარად სხვანაირ ფორმას გვიჩვენებს პორტუგალიის მაგალითი. პორტუგალია არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, მაგრამ იგი ფაქტიურად, 200 წელზე მეტია, ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის დროიდან (1701 — 1714), ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. ინგლისი იცავდა მას და მის კოლონიურ სამფლობელოებს, რათა გაემაგრებინა თავისი პოზიცია

* Schulze-Gaevernitz: «Britischer Imperialismus und englischer Freihandel zu Beginn des 20-ten Jahrhunderts». Lpz. 1906, გვ. 318 (შულცე-გევერნიცი. «ბრიტანეთის იმპერიალიზმი და ინგლისის თავისუფალი ვაჭრობა მე-20 საუკუნის დამდეგისათვის». ლაიფციგი, 1906. რ ე დ.). ამასვე ამბობს Sartorius v. Waltershausen: «Das volkswirtschaftliche System der Kapitalanlage im Auslande», Berlin, 1907. S. 46 (სარტორიუს ფონ ვალტერსჰაუზენი. «საზღვარგარეთ კაპიტალის დაბანდების სახალხო-სამეურნეო სისტემა». ბერლინი, 1907, გვ. 46. რ ე დ.).

თავის მოწინააღმდეგეებთან, ესპანეთთან და საფრანგეთთან, ბრძოლაში. ინგლისი სანაცვლოდ იღებდა სავაჭრო სარგებლობას, უკეთეს პირობებს საქონლის გასატანად, განსაკუთრებით კი კაპიტალის გასატანად პორტუგალიაში და მის კოლონიებში, პორტუგალიის ნავსადგურებითა და კუნძულებით, მისი კაბელებით და სხვ. და სხვ. სარგებლობის შესაძლებლობას *. ამგვარი ურთიერთობა ცალკეულ დიდ და პატარა სახელმწიფოთა შორის ყოველთვის არსებობდა, მაგრამ კაპიტალისტური იმპერიალიზმის ეპოქაში ეს ურთიერთობა საყოველთაო სისტემად იქცევა, შედის, როგორც ნაწილი, «მსოფლიოს განაწილების» ურთიერთობათა ჯამში, იქცევა მსოფლიო ფინანსური კაპიტალის ოპერაციათა რგოლებად.

რომ მოვითავოთ მსოფლიოს განაწილების საკითხი, უნდა აღვნიშნოთ კიდევ შემდეგი. ეს საკითხი სავსებით აშკარად და გარკვეულად დააყენა XIX საუკუნის მიწურულში და XX საუკუნის დამდეგს არა მარტო ამერიკულმა ლიტერატურამ ესპანეთ-ამერიკის ომის შემდეგ და ინგლისურმა — ინგლის-ბურების ომის შემდეგ, ამ ფაქტს სისტემატურად აფასებდა არა მარტო გერმანული ლიტერატურა, რომელიც ყველაზე «გაფაციცებით» ადევნებდა თვალყურს «ბრიტანეთის იმპერიალიზმს». საკითხი საკმაოდ გარკვეულად და ფართოდ არის დაყენებული ფრანგულ ბურჟუაზიულ ლიტერატურაშიც, რამდენადაც ეს შესაძლებელია ბურჟუაზიული თვალსაზრისით. მივუთითებთ ისტორიკოს დრიოზე, რომელიც თავის წიგნში: «პოლიტიკური და სოციალური პრობლემები XIX საუკუნის დამლევს», თავში — «დიდი სახელმწიფოებისა და მსოფლიოს განაწილების» შესახებ შემდეგს წერდა: «უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველა თავისუფალი ადგილი დედამიწაზე, ჩინეთს გარდ, დაკავებულია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოების მიერ. ამ ნიადაგზე უკვე მოხდა რამდენიმე კონფლიქტი და გავლენის გადანაცვლება, რაც მომასწავებელია უფრო საშინელი აფეთქებებისა ახლო მომავალში. ვინაიდან

* შილდერი, დასახ. თხზ., ტ. I, გვ. 160 — 161.

საჭირო ხდება აჩქარება: ერებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს თავი, მოელით საფრთხე — ვერასოდეს ვერ ეღირსონ თავიანთ წილს და მონაწილეობა ვერ მიიღონ დედამიწის იმ გიგანტურ ექსპლოატაციაში, რომელიც იქნება შემდგომი (ე. ი. XX) საუკუნის ერთ-ერთი უაღრესად არსებითი ფაქტი. აი რატომ იყო მთელი ევროპა და ამერიკა შეპყრობილი უკანასკნელ დროს კოლონიური გაფართოების, «იმპერიალიზმის» ციებცხელებით, «იმპერიალიზმისა», რაც XIX საუკუნის დამლევის ყველაზე ღირსშესანიშნავი დამახასიათებელი თვისებაა». და ავტორი დასძენდა: «მსოფლიოს ამ განაწილების დროს, ამ გაშმაგებულ მისწრაფებაში დედამიწის სიმდიდრეთა და დიდი ბაზრების ხელში ჩაგდებისაკენ, შედარებითი ძლიერება ჩვენს, XIX, საუკუნეში დაარსებული იმპერიებისა სრულიად არ შეესაბამება იმ ადგილს, რაც ევროპაში უკავიათ ამ იმპერიების დამაარსებელ ერებს. სახელმწიფოები, რომლებიც ევროპაში ჭარბობენ, მისი ბედის გადამწყვეტნი, არ წარმოადგენენ ასეთსავე ჭარბ ძალას მთელ მსოფლიოში. და რადგან კოლონიური ძლიერება, იმ სიმდიდრეთა დაუფლების იმედი, რაც ჯერ აღურიცხველია, აშკარაა, მოახდენს თავის ანარეკლ მოქმედებას ევროპის სახელმწიფოთა შედარებითს ძლიერებაზე, ამის გამო კოლონიური საკითხი, — თუ გნებავთ, «იმპერიალიზმი», — რომელმაც უკვე შეცვალა თვით ევროპის პოლიტიკური პირობები, სულ უფრო და უფრო შეცვლის მათ» *.

VII. იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის განსაკუთრებული სტადია

ჩვენ ახლა უნდა შევეცადოთ ერთგვარი დასკვნები გავაკეთოთ, ერთად შევაჯამოთ ის, რაც ზემოთ იმპერიალიზმზე ითქვა. იმპერიალიზმი გაიზარდა როგორც საერთოდ კაპიტა-

* J.-E. Driault: «Problèmes politiques et sociaux». P. 1907, გვ. 299 (ჟ.-ე. დრიო. «პოლიტიკური და სოციალური პრობლემები». პარიზი. რ ე დ.).

ლიზმის ძირითად თვისებათა განვითარება და პირდაპირი გაგრძელება. მაგრამ კაპიტალიზმი კაპიტალისტურ იმპერიალიზმად იქცა თავისი განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ, მეტად მაღალ საფეხურზე, როდესაც კაპიტალიზმის ზოგიერთმა ძირითადმა თვისებამ იწყო თავის წინააღმდეგობად გადაქცევა, როდესაც მთელი ხაზით ჩამოყალიბდა და გამოაშკარავდა კაპიტალიზმიდან უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობაზე გარდამავალი ეპოქის ნიშნები. ამ პროცესში ეკონომიურად ძირითადი არის კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენციის შეცვლა კაპიტალისტური მონოპოლიებით. თავისუფალი კონკურენცია კაპიტალიზმისა და საერთოდ სასაქონლო წარმოების ძირითადი თვისებაა; მონოპოლია თავისუფალი კონკურენციის პირდაპირი წინააღმდეგობაა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ჩვენ თვალწინ იწყო მონოპოლიად გადაქცევა, — იგი ქმნიდა მსხვილ წარმოებას, აძევებდა წვრილს, ცვლიდა მსხვილ წარმოებას უმსხვილესით, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია მიჰყავდა იქამდე, რომ მისგან იზრდებოდა და იზრდება მონოპოლია: კარტელები, სინდიკატები, ტრესტები, მათთან შერწყმული კაპიტალი რაღაც ათიოდე ბანკისა, რომლებიც მილიარდებს ატრიალებენ. და იმავე დროს, თავისუფალი კონკურენციის ნიადაგზე აღმოცენებული მონოპოლიები კი არ სპობენ ამ კონკურენციას, არამედ არსებობენ მასზე მაღლა და მის გვერდით, რითაც წარმოშობენ მთელ რიგ განსაკუთრებით მწვავე და მძაფრ წინააღმდეგობებს, შეხლა-შემოხლას, კონფლიქტებს. მონოპოლია არის კაპიტალიზმიდან უფრო მაღალ წყობილებაზე გადასვლა.

აუცილებელი რომ ყოფილიყო იმპერიალიზმის რაც შეიძლება მოკლე განსაზღვრის მოცემა, უნდა გვეთქვა, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადია. ასეთ განსაზღვრაში მოცემული იქნებოდა ყველაზე მთავარი, ვინაიდან, ერთი მხრივ, ფინანსური კაპიტალი არის მონოპოლისტურ-მცირერიცხოვანი უდიდესი ბანკების საბანკო კაპიტალი, რომელიც შეეზარდა მრეწველთა მონოპოლისტური კავშირების კაპიტალს; ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიოს

განაწილება არის გადასვლა კოლონიური პოლიტიკიდან, რასაც დაუბრკოლებლივ აფართოებდნენ იმ ოლქებზე, რომლებიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ ჰქონია ხელში ჩაგდებული, ისეთ კოლონიურ პოლიტიკაზე, რომელიც მიმართულია ბოლომდე განაწილებული დედამიწის ტერიტორიის მონოპოლიური მფლობელობისაკენ.

მაგრამ მეტად მოკლე განსაზღვრანი თუმცა მოხერხებულია, რადგან ისინი აჯამებენ მთავარს, — მაგრამ საკმარისი მაინც არ არიან, რაკი მათგან ცალკე უნდა გამოიყოს იმ მოვლენის მეტად არსებითი ნიშნები, რომელიც განსაზღვრულ უნდა იქნეს. ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ პირობითი და შეფარდებითი მნიშვნელობა საერთოდ ყველა განსაზღვრისა, რომელთაც არასოდეს არ შეუძლიათ მოიცვან მოვლენის ყოველმხრივი კავშირი მის სრულ განვითარებაში, და იმპერიალიზმი უნდა განვსაზღვროთ ისე, რომ ეს განსაზღვრა შემდეგ მის ხუთ ძირითად ნიშანს შეიცავდეს: 1) წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, განვითარების ისეთ მაღალ საფეხურამდე მისული, რომ მან შექმნა მონოპოლიები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2) საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ამ «ფინანსური კაპიტალის» ბაზაზე ფინანსური ოლიგარქიის შექმნა; 3) კაპიტალის გატანას, საქონლის გატანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება; 4) იქმნება კაპიტალისტების საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც მსოფლიოს ინაწილებენ, და 5) დამთავრებულია დედამიწის ტერიტორიული განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, უაღრესი მნიშვნელობა მიიღო კაპიტალის გატანამ, დაიწყო მსოფლიოს განაწილება საერთაშორისო ტრესტებს შორის და დამთავრდა დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

ჩვენ კიდევ ვნახავთ ქვემოთ, როგორ შეიძლება და უნდა განისაზღვროს სხვაგვარად იმპერიალიზმი, თუ მხედველობაში გვექნება არა მარტო ძირითადი წმინდა ეკონომიური ცხებები (რომლებითაც იფარგლება მოყვანილი განსაზღვრა), არამედ კაპიტალიზმის ახლანდელი სტადიის ისტორიული ადგილი საერთოდ კაპიტალიზმის მიმართ ან დამოკიდებულება იმპერიალიზმისა და ორი ძირითადი მიმართულებისა მუშათა მოძრაობაში. ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული აზრით გაგებული იმპერიალიზმი უეჭველად წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებულ სტადიას. მკითხველისათვის რომ მიგვეცა რაც შეიძლება უფრო დასაბუთებული წარმოდგენა იმპერიალიზმზე, ჩვენ განზრახ ვცდილობდით მოგვეყვანა რაც შეიძლება უფრო მეტი შეფასება ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ეკონომისტებისა, რომლებიც იძულებული არიან აღიარონ კაპიტალიზმის უახლესი ეკონომიკის განსაკუთრებით უდავოდ დადგენილი ფაქტები. ამავე მიზნით მოგვყავდა დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დავინახოთ, სახელდობრ რა დონემდე ვაიზარდა საბანკო კაპიტალი და ა. შ., სახელდობრ რაში გამოიხატა რაოდენობის გადასვლა თვისებრიობაში, განვითარებული კაპიტალიზმის გადასვლა იმპერიალიზმში. რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში ყველა ზღვარი პირობითი და მოძრავია, რომ უაზრობა იქნებოდა დავა, მაგ., იმის გამო, თუ რომელ წელს ან ათეულ წელს მიეკუთვნება იმპერიალიზმის «საბოლოო» დამყარება.

მაგრამ იმპერიალიზმის განსაზღვრის გამო დავა გვიხდება უწინარეს ყოვლისა ეგრეთწოდებული მეორე ინტერნაციონალის ეპოქის, ე. ი. 1889 — 1914 წლების 25-წლედის, მთავარ მარქსისტულ თეორეტიკოსთან — კ. კაუცკისთან. იმ ძირითადი იდეების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ გამოვთქვით იმპერიალიზმის განსაზღვრისას, კაუცკიმ სავსებით გადაჭრით გაილაშქრა 1915 წელსაც და ჯერ კიდევ 1914 წლის ნოემბერშიც კი; ის აცხადებდა, რომ იმპერიალიზმი უნდა გავიგოთ არა როგორც მეურნეობის «ფაზა» ან საფეხური, არამედ როგორც

პოლიტიკა, სახელდობრ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელსაც «უპირატესობას აძლევს» ფინანსური კაპიტალი, რომ იმპერიალიზმი არ შეიძლება «გავაიგივოთ» «თანამედროვე კაპიტალიზმთან», რომ თუ იმპერიალიზმს გავიგებთ როგორც «თანამედროვე კაპიტალიზმის ყველა მოვლენას», — კარტელებს, პროტექციონიზმს, ფინანსისტების ბატონობას, კოლონიურ პოლიტიკას — მაშინ კაპიტალიზმისათვის იმპერიალიზმის აუცილებლობის საკითხი გადაიქცევა «უაღრესად გაცვეთილ ტავტოლოგიად», ვინაიდან მაშინ, «ბუნებრივია, იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის სასიცოცხლო აუცილებლობაო» და ა. შ.. კაუცკის აზრს ყველაზე ზუსტად გამოვხატავთ, თუ მოვიყვანთ იმპერიალიზმის იმ განსაზღვრას, რომელიც მან მოგვცა და რომელიც მიმართულია პირდაპირ ჩვენ მიერ გადმოცემული იდეების არსის წინააღმდეგ (ვინაიდან საწინააღმდეგო მოსაზრებანი იმ გერმანული მარქსისტების ბანაკიდან, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ატარებდნენ ასეთ იდეებს, დიდი ხანია ცნობილია კაუცკისათვის, როგორც საწინააღმდეგო მოსაზრებანი განსაზღვრული მიმდინარეობისა მარქსიზმში).

კაუცკის განსაზღვრა ამბობს:

«იმპერიალიზმი არის უაღრესად განვითარებული სამრეწველო კაპიტალიზმის ნაყოფი. იგი მდგომარეობს ყოველი სამრეწველო კაპიტალისტური ერის მისწრაფებაში — შემოიერთოს ან დაიმორჩილოს სულ უფრო და უფრო მეტი ა გ რ ა რ უ ლ ი (ხაზგასმა კაუცკისაა) ოლქები, იმისდა მიუხედავად, თუ რა ერებით არიან ისინი დასახლებულნი» *.

ეს განსაზღვრა სრულიად არაფრად არ ვარგა, ვინაიდან იგი ცალმხრივია, ე. ი. თვითნებურია, გამოყოფს მარტოოდენ ნაციონალურ საკითხს (თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანს როგორც თავისთავად, ისე იმპერიალიზმის მიმართ), თვითნებურად და უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო დ აკავშირებს მას მ ხ ო ლ ო დ სამრეწველო კაპიტალთან სხვა ერების დამპყრობ ქვეყნებში,

* «Die Neue Zeit», 1914, 2 (ტ. 32), გვ. 909, 1914 წ. 11 სექტემბერი. შდრ. 1915, 2, გვ. 107 და შემდ.

ასევე თვითნებურად და უმართებულოდ აყენებს აგრარული ოლქების ანექსიას.

იმპერიალიზმი არის ანექსიებისადმი მისწრაფებაო — აი რაში მდგომარეობს კაუცკის განსაზღვრის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ნაწილი. იგი სწორია, მაგრამ მეტად არასრულია, ვინაიდან პოლიტიკურად იმპერიალიზმი არის საერთოდ მისწრაფება ძალადობისა და რეაქციისადმი. მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს საქმის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მხარე, რომელიც თ ვ ი თ კაუცკიმ შეიტანა თ ა ვ ი ს განსაზღვრაში. თვალში გეცემათ კაუცკის განსაზღვრაში არსებული უსწორობანი. იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელია სწორედ ა რ ა სამრეწველო, ა რ ა მ ე დ ფინანსური კაპიტალი. შენთხვევითი როდია, რომ საფრანგეთში სწორედ ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი კაპიტალის განსაკუთრებით სწრაფმა განვითარებამ, სამრეწველო კაპიტალის შესუსტებისას, გამოიწვია წარსული საუკუნის 80-იანი წლებიდან ანექსიონისტური (კოლონიური) პოლიტიკის უკიდურესი გამწვავება. იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელია სწორედ მისწრაფება ა რ ა მ ა რ ტ ო აგრარული ოლქების, არამედ თვით უაღრესად სამრეწველო ოლქების (გერმანიის მადა ბელგიის მიმართ, საფრანგეთისა — ლოტარინგიის მიმართ) ანექსიისაკენ, რადგან, ჯერერთი, დედამიწის დამთავრებული განაწილება იძულებულს ხდის მას, გ ა დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს დროს, შეეცადოს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მიწა ჩაიგდოს ხელში; მეორეც, იმპერიალიზმისათვის არსებითია რამდენიმე დიდი სახელმწიფოს შეჯიბრება ჰეგემონიისაკენ მისწრაფებაში, ე. ი. მიწების ხელში ჩაგდებისაკენ არა იმდენად პირდაპირ თავის სასარგებლოდ, რამდენადაც მოწინააღმდეგის დასასუსტებლად და მ ი ს ი ჰეგემონიისათვის ძირის გამოსათხრელად (გერმანიისათვის ბელგია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც დასაყრდენი პუნქტი ინგლისის წინააღმდეგ; ინგლისისათვის — ბაღდადი, როგორც დასაყრდენი პუნქტი გერმანიის წინააღმდეგ და ა. შ.).

კაუცკი განსაკუთრებით — და არა ერთხელ — მიუთითებს ინგლისელებზე, რომლებმაც თითქოს განსაზღვრეს სიტყვა

იმპერიალიზმის წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა მისი, კაუცკის, გაგებით. მივმართავთ ინგლისელ ჰობსონს და მის თხზულებაში — «იმპერიალიზმი», რომელიც 1902 წელს გამოვიდა, ვკითხულობთ:

«ახალი იმპერიალიზმი ძველისაგან განსხვავდება, ჯერერთი, იმით, რომ იგი ერთი მზარდი იმპერიის მისწრაფებათა ნაცვლად აყენებს მოქიშპე იმპერიების თეორიასა და პრაქტიკას, იმპერიების, რომელთაგანაც თვითეული ხელმძღვანელობს პოლიტიკური გაფართოებისა და კომერციული სარგებლიანობის ერთნაირი სურვილით; მეორეც, სავაჭრო ინტერესებზე ფინანსური ან ისეთი ინტერესების ბატონობით, რომლებიც კაპიტალის დაბანდებას შეეხება» *.

ჩვენ ვხედავთ, რომ ფაქტიურად კაუცკი აბსოლუტურად შემცდარია, როდესაც მიუთითებს საერთოდ ინგლისელებზე (მას შეეძლო მიეთითებინა მხოლოდ ინგლისის ვულგარულ იმპერიალისტებზე ან იმპერიალიზმის პირდაპირ აპოლოგეტებზე). ჩვენ ვხედავთ, რომ კაუცკი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს — მარქსიზმის დაცვას განვაგრძობო, ნამდვილად უკან დგამს ნაბიჯს ს ო ც ი ა ლ-ლ ი ბ ე რ ა ლ ჰობსონთან შედარებით, რომელიც უ ფ რ ო ს წ ო რ ა დ ითვალისწინებს თანამედროვე იმპერიალიზმის ორ «ისტორიულ-კონკრეტულ» (კაუცკი სწორედ რომ აბუჩად იგდებს თავისი განსაზღვრით ისტორიულ კონკრეტულობას!) თავისებურებას: 1) რ ა მ დ ე ნ ი მ ე იმპერიალიზმის კონკურენციას და 2) ფინანსისტის უპირატესობას ვაჭართან შედარებით. ხოლო თუ ლაპარაკია უმთავრესად იმაზე, რომ სამრეწველო ქვეყანამ მოახდინოს აგრარული ქვეყნის ანექსია, ამით უმთავრესი როლი ვაჭარს ენიჭება.

კაუცკის განსაზღვრა არამცთუ არასწორი და არამარქსისტულია. იგი წარმოადგენს იმ შეხედულებათა მთელი სისტემის საფუძველს, რომლებიც მთელი ხაზით წყვეტენ კავშირს

* Hobson: «Imperialism», L. 1902, p. 324 (ჰობსონი. «იმპერიალიზმი», ლონდონი, 1902, გვ. 324. . რ ე დ.).

მარქსისტულ თეორიასთანაც და მარქსისტულ პრაქტიკასთანაც, რაზედაც კიდევ გვექნება ლაპარაკი ქვემოთ. სრულიად არასერიოზულია ის დავა სიტყვების გამო, რომელიც კაუცკიმ წამოიწყო: კაპიტალიზმის უახლეს საფეხურს იმპერიალიზმი უნდა ეწოდოს თუ ფინანსური კაპიტალის საფეხური. რაც გნებავთ, ის უწოდეთ; ეს სულ ერთია. საქმის არსი ისაა, რომ კაუცკი იმპერიალიზმის პოლიტიკას სწყვეტს მისი ეკონომიკისაგან, როდესაც ანექსიებს განმარტავს როგორც პოლიტიკას, რომელსაც «უპირატესობას» აძლევს ფინანსური კაპიტალი, და მას უპირისპირებს მეორე თითქოსდა შესაძლებელ ბურჟუაზიულ პოლიტიკას ფინანსური კაპიტალის იმავე ბაზაზე. გამოდის, რომ მონოპოლიები ეკონომიკაში შეიძლება შეთავსებულ იქნეს არამონოპოლისტურ, არაძალადატანებითს, არადაპყრობითს მოქმედებასთან პოლიტიკაში. გამოდის, რომ დედამიწის ტერიტორიული განაწილება, რომელიც დამთავრდა სწორედ ფინანსური კაპიტალის ეპოქაში და წარმოადგენს უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის შეჯიბრების ახლანდელი ფორმების თავისებურების საფუძველს, შეიძლება შეთავსებულ იქნეს არაიმპერიალისტურ პოლიტიკასთან. გამოდის კაპიტალიზმის უახლესი საფეხურის ყველაზე ძირითად წინააღმდეგობათა მიჩქმალვა, შერბილება მათი სიღრმის გამოაშკარავების ნაცვლად, გამოდის ბურჟუაზიული რეფორმიზმი მარქსიზმის ნაცვლად.

კაუცკი ეკამათება იმპერიალიზმისა და ანექსიების გერმანელ აპოლოგეტს, კუნოვს, რომელიც უხეშად და ცინიკურად მსჯელობს: იმპერიალიზმი არის თანამედროვე კაპიტალიზმი; კაპიტალიზმის განვითარება აუცილებელი და პროგრესულია; მაშასადამე, იმპერიალიზმი პროგრესულია; მაშასადამე, საჭიროა მონურად ქედის მოხრა იმპერიალიზმის წინაშე და მისი ქება-დიდებაო! ეს არის რაღაც მსგავსი იმ კარიკატურისა, რომელსაც ნაროდნიკები ხატავდნენ რუსი მარქსისტების წინააღმდეგ 1894 — 1895 წლებში: აქაოდა, თუ მარქსისტები კაპიტალიზმს რუსეთში აუცილებელ და პროგრესულ მოვლენად თვლიან, მაშინ მათ სამიკიტნო უნდა გახსნან და შეუ-

დგნენ კაპიტალიზმის დანერგვასო. კაუცკი ეკამათება კუნოვს: არა, იმპერიალიზმი თანამედროვე კაპიტალიზმი კი არ არის, არამედ თანამედროვე კაპიტალიზმის პოლიტიკის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა, და ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვებრძოლოთ ამ პოლიტიკას, ვებრძოლოთ იმპერიალიზმს, ანექსიებსო და ა. შ.

შეკამათება სავსებით კეთილსახოვანი მოჩანს, ნამდვილად კი იგი უდრის იმპერიალიზმთან შერიგების უფრო მოქნილ, უფრო შენიღბულ (და ამიტომ უფრო საშიშ) ქადაგებას, ვინაიდან ტრესტებისა და ბანკების პოლიტიკასთან «ბრძოლა», რომელიც არ ეხება ტრესტებისა და ბანკების ეკონომიკის საფუძვლებს, გამოიხატება ბურჟუაზიულ რეფორმიზმსა და პაციფიზმში, კარგ და გულუბრყვილო კეთილ სურვილებში. ნაცვლად წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გამოაშკარავებისა, არსებულ წინააღმდეგობათათვის ზურგის შექცევა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანთა დავიწყება — აი კაუცკის თეორია, რასაც საერთო არაფერი აქვს მარქსიზმთან. და გასაგებია, რომ ასეთი «თეორია» ემსახურება მხოლოდ კუნოვებთან ერთიანობის იდეის დაცვას!

«წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით — წერს კაუცკი — შეუძლებელი როდია, რომ კაპიტალიზმმა განვლოს კიდევ ერთი ახალი ფაზა, კარტელების პოლიტიკის გადატანა საგარეო პოლიტიკაზე, ფაზა ულტრაიმპერიალიზმისა» *, ე. ი. ზეიმპერიალიზმისა, მთელი მსოფლიოს იმპერიალიზმთა გაერთიანებისა და არა მათი ბრძოლისა, კაპიტალიზმის დროს ომების შეწყვეტის ფაზა, «ინტერნაციონალურად-გაერთიანებული ფინანსური კაპიტალის მიერ მსოფლიოს საერთო ექსპლოატაციის» ფაზა **.

ქვემოთ ჩვენ მოგვიხდება შევეხოთ ამ «ულტრაიმპერიალიზმის თეორიას», რათა დაწვრილებით ნათელვყოთ, თუ რაოდენ გადაჭრით და საბოლოოდ წყვეტს იგი კავშირს

* «Die Neue Zeit», 1914, 2 (ტ. 32), გვ. 921, 1914 წ. 11 სექტემბერი. შდრ. 1915, 2, გვ. 107 და შემდ.

** «Die Neue Zeit», 1915, 1, გვ. 144, 1915 წ. 30 აპრილი.

მარქსიზმთან. აქ კი, ამ ნარკვევის საერთო გეგმის შესაბამისად, ჩვენ თვალი უნდა გადავავლოთ ზუსტ ეკონომიურ მონაცემებს, რომლებიც ამ საკითხს შეეხება. «წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით» შესაძლებელია «ულტრა-იმპერიალიზმი» თუ ეს ულტრა-უაზრობაა?

თუ წმინდა ეკონომიურ თვალსაზრისს გავიგებთ როგორც «წმინდა» აბსტრაქციას, მაშინ ყველაფერი, რის თქმაც კი შეიძლება, შემდეგი დებულებით განისაზღვრება: განვითარება მიდის მონოპოლიებისაკენ, მაშასადამე, ერთი მსოფლიო მონოპოლიისაკენ, ერთი მსოფლიო ტრესტისაკენ. ეს უდავოა, მაგრამ ეს ამასთანავე სრულიად უშინაარსოცაა, მსგავსად იმაზე მითითებისა, რომ «განვითარება მიდის» საკვები საგნების ლაბორატორიებში დამზადებისაკენ. ამ აზრით ულტრა-იმპერიალიზმის «თეორია» ისეთივე სისულელეა, როგორიც იქნებოდა «ულტრა-მიწათმოქმედების თეორია».

ხოლო თუ ვილაპარაკებთ ფინანსური კაპიტალის ეპოქის «წმინდა ეკონომიურ» პირობებზე, როგორც ისტორიულ-კონკრეტულ ეპოქაზე, რომელიც XX საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება, მაშინ «ულტრა-იმპერიალიზმის» მკვდარ აბსტრაქციებზე (რაც ემსახურება მხოლოდ უაღრესად რეაქციულ მიზანს: ყურადღების ჩამოშორებას ა რ ს ე ბ უ ლ წინააღმდეგობათა სიღრმისაგან) საუკეთესო პასუხს წარმოადგენს მათთვის თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის კონკრეტულ-ეკონომიური სინამდვილის დაპირისპირება. კაუცკის ყოვლად უშინაარსო ლაპარაკი ულტრა-იმპერიალიზმის შესახებ, სხვათა შორის, განამტკიცებს იმ დიდად შემცდარ და იმპერიალიზმის აპოლოგეტებისათვის ხელსაყრელ აზრს, თითქოს ფინანსური კაპიტალის ბატონობა ა ს უ ს ტ ე ბ დ ე ს უთანაბრობებსა და წინააღმდეგობებს მსოფლიო მეურნეობის შიგნით, მაშინ როცა ნამდვილად იგი ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს მათ.

რ. კალვერი თავის პატარა წიგნში — «შესავალი მსოფლიო მეურნეობისა» * — შეეცადა შეეჯამებინა უმთავრესი წმინდა

* R. Calwer: «Einführung in die Weltwirtschaft». Brl. 1906.

ეკონომიური მონაცემები, რომლებიც საშუალებას იძლევიან კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ურთიერთდამოკიდებულებანი მსოფლიო მეურნეობაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. იგი მთელ მსოფლიოს ყოფს 5 «მთავარ სამეურნეო ოლქად»: 1) შუა ევროპის (მთელი ევროპა რუსეთისა და ინგლისის გარდა); 2) ბრიტანეთის; 3) რუსეთის; 4) აღმოსავლეთ აზიისა და 5) ამერიკის ოლქებად, კოლონიებს კი ათავსებს იმ სახელმწიფოთა «ოლქებში», რომელთაც ისინი ეკუთვნიან, და «გვერდზე ტოვებს» რამდენიმე, ოლქების მიხედვით დაუნაწილებელ, ქვეყანას, მაგ., სპარსეთს, ავღანისტანსა და არაბეთს აზიაში, მაროკოსა და აბისინიას აფრიკაში და ა. შ.

აი, მოკლედ, ის ეკონომიური მონაცემები, რომლებიც მას მოჰყავს ამ ოლქების შესახებ:

მსოფლიოს მთავარი სამეურნეო ოლქები	ფართობი (მილ. კვ. კილომ.)	მოსახლეობა (მილ.)	მიმოსვლ. საშუალ. რკინიგზები (ათას კმ.)	ვაჭრობა სავაჭრო ფლოტი (მილ. ტონ.)	ვაჭრობა (გატანა და შემოტანა ერთად) (მლრდ. მარკ.)	მრეწველობა მოპოვება ქვანახშირი (მლნ. ტონ.)	მრეწველობა თუჯი ტონ.)	მრეწველობა თითისტართა რაოდ. ბამბ. მრეწვ. (მლნ.)
1) შუა ევროპის	27,6 * (23,6)	388 (146)	204	8	41	251	15	26
2) ბრიტანეთის	28,9 * (28,6)	398 (355)	140	11	25	249	9	51
3) რუსეთის	22	131	63	1	3	16	3	7
4) აღმოს. აზიის	12	389	8	1	2	8	0,02	2
5) ამერიკის	30	148	379	6	14	245	14	19

ჩვენ ვხედავთ სამ ოლქს დიდად განვითარებული კაპიტალიზმით (როგორც მიმოსვლის საშუალებათა, ისე ვაჭრობისა და მრეწველობის ძლიერი განვითარება): შუა ევროპის, ბრიტანეთისა და ამერიკის ოლქებს. მათ შორის არის მსოფლიოზე გაბატონებული სამი სახელმწიფო: გერმანია, ინგლისი, შეერთებული შტატები. იმპერიალისტური მეტოქეობა და ბრძოლა მათ შორის უკიდურესად გამწვავებულია იმით, რომ გერმანიას სულ მცირე ოლქი და ცოტა კოლონიები აქვს; «შუა ევროპის»

* ფრჩხილებში კოლონიების ფართობი და მოსახლეობაა.

შექმნა მომავლის საქმეა, და იგი გააფთრებულ ბრძოლაში წარმოიშვება. ჯერჯერობით მთელი ევროპის დამახასიათებელია პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. ბრიტანეთისა და ამერიკის ოლქებში, პირიქით, ძალიან დიდია პოლიტიკური კონცენტრაცია, მაგრამ მეტისმეტად დიდი შეუსაბამობაა პირველის თვალუწვდენ კოლონიებსა და მეორის ძალიან მცირე კოლონიებს შორის. კოლონიებში კი კაპიტალიზმი მხოლოდ ახლა ვითარდება. ბრძოლა სამხრეთ ამერიკისათვის სულ უფრო მწვავდება.

ორი ოლქი, სადაც სუსტად არის განვითარებული კაპიტალიზმი — ეს არის რუსეთისა და აღმოსავლეთ აზიის ოლქები. პირველში მეტად სუსტია მოსახლეობის სიმჭიდროვე, მეორეში — ძალიან დიდი; პირველში დიდია პოლიტიკური კონცენტრაცია, მეორეში იგი არ არსებობს. ჩინეთის გაყოფა მხოლოდ ახლა დაიწყეს, და ბრძოლა მის გამო იაპონიასა, შეერთ. შტატებსა და სხვ. შორის სულ უფრო მწვავდება.

შეადარეთ ამ სინამდვილეს, — ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გიგანტურ მრავალფეროვნებას, უკიდურეს შეუფარდებლობას სხვადასხვა ქვეყნის ზრდის სისწრაფისა და სხვ. მხრივ, გააფთრებულ ბრძოლას იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის — კაუცკის სულელური ზღაპარი «მშვიდობიანი» ულტრა-იმპერიალიზმის შესახებ. განა ეს დამფრთხალი მეშჩანის რეაქციული ცდა არაა — დაემალოს მრისხანე სინამდვილეს? განა ინტერნაციონალური კარტელები, რომლებიც კაუცკის ეჩვენება «ულტრა-იმპერიალიზმის» ჩანასახებად (ისე როგორც ლაბორატორიაში ტაბლეტების დამზადება «შეიძლება» გამოვაცხადოთ ულტრა-მიწათმოქმედების ჩანასახად), არ გვიჩვენებენ მსოფლიოს განაწილებისა და გადანაწილების, მშვიდობიანი განაწილებიდან არა-მშვიდობიანზე გადასვლის მაგალითს და პირიქით? განა ამერიკის და სხვ. ფინანსური კაპიტალი, რომელიც მშვიდობიანად ყოფდა მთელ მსოფლიოს, გერმანიის მონაწილეობით, ვთქვათ, საერთაშორისო სარელსო სინდიკატში ან სავაჭრო ნაოსნობის საერთაშორისო ტრესტში, ახლა არ ახდენს მსოფლიოს გადა-

ნაწილებას ძალთა ახალი თანაფარდობის საფუძველზე, რომელიც იცვლება სრულიადაც არა-მშვიდობიანი გზით?

ფინანსური კაპიტალი და ტრესტები კი არ ასუსტებენ, არამედ აძლიერებენ განსხვავებას მსოფლიო მეურნეობის სხვადასხვა ნაწილთა ზრდის სისწრაფეში. ხოლო რაკი ძალთა თანაფარდობა შეიცვალა, მაშინ რით შეიძლება კაპიტალიზმის დროს წინააღმდეგობის გადაწყვეტა, თუ არა ძალით? მთელ მსოფლიო მეურნეობაში კაპიტალიზმისა და ფინანსური კაპიტალის ზრდის სხვადასხვა სისწრაფის მეტად ზუსტ მონაცემებს ვპოულობთ რკინიგზათა სტატისტიკაში *. იმპერიალისტური განვითარების უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში რკინიგზათა სიგრძე შემდეგნაირად შეიცვალა:

	რკინიგზები (ათას კლმ.) 1890		1913		+	
ევროპა	224		346		+ 122	
ამერიკის შეერთ. შტატები	268		411		+ 143	
ყველა კოლონია	82	125	210	347	+ 128	+ 222
აზიისა და ამერიკის დამოუკ. და ნახევ. დამოუკ. სახელმწ.	43		137		+ 94	
სულ	617		1 104			

მაშასადამე, ყველაზე სწრაფად რკინიგზების განვითარება მიმდინარეობდა კოლონიებში და აზიისა და ამერიკის დამოუკიდებელ (და ნახევრად-დამოუკიდებელ) სახელმწიფოებში. ცნობილია, რომ აქ სავსებით მეფობს და განაგებს 4 — 5 უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოს ფინანსური კაპიტალი. ორასი ათასი კილომეტრი ახალი რკინიგზა კოლონიებში და აზიისა და ამერიკის სხვა ქვეყნებში, ეს ნიშნავს 40 მილიარდ მარკაზე მეტი კაპიტალის ახალ დაბანდებას განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში, შემოსავლიანობის განსაკუთრებული

* Stat. Jahrbuch für das deutsche Reich, 1915; Archiv für Eisenbahnwesen, 1892 (გერმანიის სახელმწიფოს სტატისტიკური ყოველწლიური, 1915; სარკინიგზო საქმის არქივი, 1892. რ ედ.); 1890 წლისათვის სხვადასხვა ქვეყნის კოლონიებს შორის რკინიგზათა განაწილების მცირეოდენი დეტალების განსაზღვრა დაახლოებით მოგვიხდა.

გარანტიებით, მომგებიანი დაკვეთებით ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნებისათვის და სხვ. და ა. შ.

ყველაზე სწრაფად კაპიტალიზმი იზრდება კოლონიებსა და ოკეანესიქითა ქვეყნებში. მათ შორის ჩნდებიან ახალი იმპერიალისტური სახელმწიფოები (იაპონია). მსოფლიო იმპერიალიზმთა ბრძოლა მწვავდება. იზრდება ხარკი, რომელსაც იღებს ფინანსური კაპიტალი განსაკუთრებით მომგებიანი კოლონიური და ოკეანესიქითა საწარმოებისაგან. ამ «ნადავლის» გაყოფის დროს განსაკუთრებით დიდი წილი ხვდება იმ ქვეყნებს, რომელთაც ყოველთვის პირველი ადგილი როდი უკავიათ საწარმოო ძალთა განვითარების სისწრაფის მხრივ. უდიდეს სახელმწიფოებში, მათ კოლონიებთან ერთად, რკინიგზების სიგრძე შეადგენდა:

	(ათას კლმ.) 1890	1913	
შეერთ. შტატები	268	413	+ 145
ბრიტანეთის იმპერია	107	208	+ 101
რუსეთი	32	78	+ 46
გერმანია	43	68	+ 25
საფრანგეთი	41	63	+ 22
სულ 5 სახელმწიფოში	491	830	+ 339

ამრიგად, რკინიგზათა მთელი რაოდენობის დაახლოებით 80% თავმოყრილია 5 უდიდეს სახელმწიფოში. მაგრამ საკუთრების კონცენტრაცია ამ გზებზე, ფინანსური კაპიტალის კონცენტრაცია კიდევ უფრო განუზომლად მნიშვნელოვანია, ვინაიდან, მაგ., ინგლისელ და ფრანგ მილიონერებს ეკუთვნის ამერიკის, რუსეთის და სხვა რკინიგზების უამრავი აქცია და ობლიგაცია.

თავისი კოლონიების მეოხებით ინგლისმა გააფართოვა «თავისი» რკინიგზის ქსელი 100 ათასი კილომეტრით, ოთხჯერ უფრო მეტად, ვიდრე გერმანიამ. ამასთანავე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ დროის განმავლობაში გერმანიის საწარმოო ძალთა, განსაკუთრებით კი ქვანახშირისა და რკინის წარმოების, განვითარება შეუდარებლად უფრო სწრაფად მიმდინარეობდა,

ვიდრე ინგლისში, რომ აღარაფერი ვთქვათ საფრანგეთსა და რუსეთზე. 1892 წელს გერმანია ამზადებდა 4,9 მილიონ ტონა თუჯს, ინგლისი კი 6,8 მილიონ ტონას; ხოლო 1912 წელს უკვე 17,6-ს წინააღმდეგ 9,0-ისა, ე. ი. გიგანტურად სჭარბობდა ინგლისს! * ისმება კითხვა, კაპიტალიზმის ნიადაგზე ომის გარდა სხვა რა საშუალებით შეიძლება მოისპოს შეუსაბამობა, ერთი მხრივ, საწარმოო ძალთა განვითარებასა და კაპიტალის დაგროვებასა და, მეორე მხრივ, ფინანსური კაპიტალისათვის კოლონიებისა და «გავლენის სფეროების» განაწილებას შორის?

VIII. კაპიტალიზმის პარაზიტიზმი და ლპობა

ახლა ჩვენ გვმართებს შევეხოთ იმპერიალიზმის კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან მხარეს, რომელსაც მეტწილად არასაკმაოდ აფასებენ ამ თემაზე მსჯელობის უმრავლეს შემთხვევებში. მარქსისტ ჰილფერდინგის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ მან აქ გადადგა ნაბიჯი უკან არამარქსისტ ჰობსონთან შედარებით. ჩვენ ვლაპარაკობთ იმპერიალიზმის დამახასიათებელ პარაზიტიზმზე.

როგორც დავინახეთ, იმპერიალიზმის ყველაზე ღრმა ეკონომიური საფუძველი არის მონოპოლია. ესაა კაპიტალისტური მონოპოლია, ე. ი. აღმოცენებული კაპიტალიზმიდან და მოქცეული კაპიტალიზმის, სასაქონლო წარმოების, კონკურენციის საერთო ვითარებაში, მუდმივ და გამოუვალ წინააღმდეგობაში ამ საერთო ვითარების მიმართ. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ისე როგორც ყოველი მონოპოლია, იგი აუცილებლად წარმოშობს მისწრაფებას უძრაობისა და ლპობისაკენ. რამდე-

* შდრ. აგრეთვე Edgar Crammond: «The Economic Relations of the British and German Empires» «Journal of the Royal Statistical Society»-ში, 1914, July, pp. 777 ss. (ედგარ კრემონდი. «ეკონომიური ურთიერთობა ბრიტანეთისა და გერმანიის იმპერიებს შორის», «სამეფო სტატისტიკური საზოგადოების ჟურნალში», 1914, ივლისი, გვ. 777 და შემდ. რ ე დ.).

ნადაც, თუნდაც დროებით, მყარდება მონოპოლიური ფასები, იმდენად, ასე თუ ისე, ქრება წამაქეზებელი მიზეზები ტექნიკური და, მაშასადამე, ყოველგვარი სხვა პროგრესისაკენ, წინსვლისაკენ; შემდეგ, იმდენადვე ჩნდება ტექნიკური პროგრესის ხელოვნურად შეჩერების ეკონომიური შესაძლებლობა. მაგალითი: ამერიკაში ვინმე ოუენსმა გამოიგონა ბოთლის მანქანა, რაც რევოლუციას ახდენდა ბოთლების დამზადების საქმეში. ბოთლის მწარმოებელი მეფაბრიკეების გერმანული კარტელი ყიდულობს ოუენსის პატენტებს და მაუდქვეშ დებს მათ, აჩერებს მათს გამოყენებას. რა თქმა უნდა, მონოპოლია კაპიტალიზმის დროს ვერასოდეს ვერ შეძლებს მთლიანად და მეტად ხანგრძლივი დროით მოსპოს კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე (ესაა, სხვათა შორის, ულტრა-იმპერიალიზმის თეორიის უაზრობის ერთ-ერთი მიზეზი). რა თქმა უნდა, ტექნიკურ გაუმჯობესებათა შემოღების გზით წარმოების ხარჯების შემცირებისა და მოგების გადიდების შესაძლებლობა ცვლილებათა სასარგებლოდ მოქმედებს. მაგრამ უძრაობისა და ლპობის ტენდენცია, რაც მონოპოლიას ახასიათებს, თავის მხრივ განაგრძობს მოქმედებას, და მრეწველობის ცალკეულ დარგებში, ცალკეულ ქვეყნებში, განსაზღვრული დროის განმავლობაში კიდევაც იმარჯვებს ხოლმე.

იმავე მიმართულებით მოქმედებს განსაკუთრებით ვრცელი, მდიდარი ან ხელსაყრელი მდებარეობის მქონე კოლონიების მფლობელობის მონოპოლია.

შემდეგ. იმპერიალიზმი არის ფულადი კაპიტალის უდიდესი დაგროვება რამდენიმე ქვეყანაში, კაპიტალის, რომელიც, როგორც დავინახეთ, აღწევს 100 — 150 მილიარდ ფრანკს ფასიანი ქაღალდებით. ამით აიხსნება რანტიეთა კლასის ანუ, უფრო სწორად, ფენის, ე. ი. იმ პირთა არაჩვეულებრივი ზრდა, რომლებიც «კუპონების კრეჭით» ცხოვრობენ, — იმ პირთა, რომლებიც სრულიად ჩამოცილებული არიან მონაწილეობას რომელიმე წარმოებაში, — იმ პირთა, რომელთა პროფესიას უსაქმურობა წარმოადგენს. კაპიტალის გატანა, იმპე-

რიალიზმის ერთ-ერთი ფრიად არსებითი ეკონომიური საფუძველი, კიდევ უფრო აძლიერებს რანტიეთა ფენის ამ სრულ მოწყვეტას წარმოებისაგან, პარაზიტიზმის დაღს ასვამს მთელ ქვეყანას, რომელიც ცხოვრობს ოკეანესიქითა რამდენიმე ქვეყნისა და კოლონიის შრომის ექსპლოატაციით.

«1893 წელს — წერს ჰობსონი — ბრიტანეთის საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი შეადგენდა შეერთებული სამეფოს მთელი სიმდიდრის თითქმის 15%-ს» *. მოგაგონებთ, რომ 1915 წლისათვის ეს კაპიტალი დაახლოებით 2½-ჯერ გაიზარდა. «აგრესიული იმპერიალიზმი, — ვკითხულობთ შემდეგ ჰობსონის წიგნში — რომელიც ასე ძვირად უჯდება გადასახადთა გადამხდელებს და რომელსაც ასე მცირე მნიშვნელობა აქვს მრეწველისა და ვაჭრისათვის,... წარმოადგენს დიდი მოგების წყაროს კაპიტალისტისათვის, რომელსაც `სურს თავისი კაპიტალის მოთავსება»... (ინგლისურად ეს ცნება გამოიხატება ერთი სიტყვით: «ინვესტორი» — «მომთავსებელი», რანტიე)... «მთელ წლიურ შემოსავალს, რასაც დიდი ბრიტანეთი იღებს მთელი თავისი საგარეო და კოლონიური ვაჭრობისაგან, გატანისა და შემოტანისაგან, სტატისტიკოსი გიფენი განსაზღვრავს 18 მილიონი გირვანქა სტერლინგით (170 მილ. მანეთამდე) 1899 წლისათვის, ანგარიშობს რა 2½%-ს მთელ ბრუნვაზე, რომელიც 800 მილ. გირვანქა სტერლინგს შეადგენს». რარიგ დიდიც არ არის ეს თანხა, მას მაინც არ შეუძლია დიდი ბრიტანეთის აგრესიული იმპერიალიზმის ახსნა. ამის ახსნას იძლევა 90—100 მილ. გირვანქა სტერლინგი თანხა, რომელიც წარმოადგენს «მოთავსებული» კაპიტალის შემოსავალს, რანტიეთა ფენის შემოსავალს.

რანტიეთა შემოსავალი ხუთჯერ აღემატება მთელი ქვეყნიერების ყველაზე უფრო «სავაჭრო» ქვეყნის შემოსავალს საგარეო ვაჭრობის გზით! აი იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური პარაზიტიზმის დედაარსი.

---

* Hobson, გვ. 59, 60.

ამიტომ ცნება: «სახელმწიფო-რანტიე» (Rentnerstaat), ანუ სახელმწიფო-მევახშე, საერთო ხმარებაში შემოდის ეკონომიურ ლიტერატურაში იმპერიალიზმის შესახებ. მსოფლიო განაწილდა ერთ მუჭა მევახშე-სახელმწიფოებად და მოვალე-სახელმწიფოთა გიგანტურ უმრავლესობად. «საზღვარგარეთ კაპიტალის დაბანდებათა შორის — წერს შულცე-გევერნიცი — პირველი ადგილი უკავიათ ისეთ დაბანდებებს, რომლებიც პოლიტიკურად დამოკიდებულ ან მოკავშირე ქვეყნებზე მოდის: ინგლისი სესხს აძლევს ეგვიპტეს, იაპონიას, ჩინეთს, სამხრეთ ამერიკას. მისი სამხედრო ფლოტი უკიდურეს შემთხვევაში სასამართლოს ბოქაულის როლს ასრულებს. საკუთარი პოლიტიკური ძალა იცავს ინგლისს მოვალეთა აღშფოთებისაგან» *. სარტორიუს ფონ ვალტერსჰაუზენი თავის თხზულებაში — «საზღვარგარეთ კაპიტალის დაბანდების სახალხო-სამეურნეო სისტემა» — «სახელმწიფო-რანტიეს» ნიმუშად ჰოლანდიას აყენებს და აღნიშნავს, ასეთებად ხდებიან ახლა ინგლისი და საფრანგეთიო **. შილდერის აზრით ხუთი სამრეწველო სახელმწიფო «გარკვეულად გამოსახულ კრედიტორ-სახელმწიფოს» წარმოადგენს: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია და შვეიცარია. ჰოლანდიას იგი მხოლოდ იმიტომ არ მიაკუთვნებს მათ, რომ იგი «ნაკლებად ინდუსტრიულიაო» ***. შეერთებული შტატები კრედიტორია მხოლოდ ამერიკის მიმართ.

«ინგლისი — წერს შულცე-გევერნიცი — თანდათანობით იქცევა სამრეწველო სახელმწიფოდან კრედიტორ-სახელმწიფოდ. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად იზრდება სამრეწველო წარმოება და სამრეწველო გატანა, მაინც მატულობს პროცენტებითა და დივიდენდებით, ემისიებით, კომისიებითა და სპეკულაციით მიღებული შემოსავლის შეფარდებითი მნიშვნელობა მთელი სახალხო მეურნეობისათვის. ჩემი

* Schulze-Gaevernitz, Br. Imp., 320 და სხვ.

** Sart. von Waltershausen: «D. Volkswirt. Syst. etc.» B. 1907, Buch IV.

*** Schilder, გვ. 393.

აზრით, სწორედ ეს ფაქტია იმპერიალისტური აღმავლობის ეკონომიური საფუძველი. კრედიტორი უფრო მტკიცედ არის დაკავშირებული მოვალესთან, ვიდრე გამყიდველი მყიდველთან» *. გერმანიის შესახებ ბერლინის ჟურნალის «ბანკის» გამომცემელი ა. ლანსბურგი 1911 წელს სტატიაში: «გერმანია რანტიეთა სახელმწიფოა» წერდა შემდეგს: «გერმანიაში გულიანად დასცინიან ხოლმე რანტიედ გადაქცევის მიდრეკილებას, რასაც საფრანგეთში ვამჩნევთ. მაგრამ ამასთან ივიწყებენ, რომ, რამდენადაც საქმე ბურჟუაზიას შეეხება, გერმანიის პირობები სულ უფრო მეტად ემსგავსება საფრანგეთისას» **.

სახელმწიფო-რანტიე არის პარაზიტული, ლპობადი კაპიტალიზმის სახელმწიფო, და ამ გარემოებას არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს ასეთი ქვეყნების როგორც ყველა სოციალურ-პოლიტიკურ პირობაზე საერთოდ, ისე განსაკუთრებით ორ ძირითად მიმდინარეობაზე მუშათა მოძრაობაში. ეს რომ რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ ნათელვყოთ, სიტყვა მივცეთ ჰობსონს, რომელიც ყველაზე უფრო «საიმედოა», როგორც მოწმე, რადგან მას არ შეიძლება დავწამოთ «მარქსისტული მართლმორწმუნეობისადმი» მიდრეკილება, ხოლო, მეორე მხრივ, ის ინგლისელია და კარგად იცის საქმის მდგომარეობა იმ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე მდიდარია კოლონიებითაც, ფინანსური კაპიტალითაც და იმპერიალისტური გამოცდილებითაც.

ჰობსონი, როდესაც იგი ინგლის-ბურების ომის ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ აღწერდა იმპერიალიზმის კავშირს «ფინანსისტების» ინტერესებთან, მათი მოგების ზრდას იჯარებისაგან, დაკვეთებისაგან და სხვ., წერდა: «ამ აშკარად პარაზიტული პოლიტიკის წარმმართველნი კაპიტალისტები არიან; მაგრამ იგივე მოტივები მოქმედებენ მუშების სპეციალურ თანრიგებზეც. მრავალ ქალაქში მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგები დამოკიდებულია მთავრობის დაკვე-

* Schulze-Gaevernitz, Br. Imp., 122.
** «Die Bank», 1911, 1, გვ. 10—11.

თებზე; მეტალურგიული და გემთსაშენი მრეწველობის ცენტრების იმპერიალიზმი ცოტათი როდია ამ ფაქტზე დამოკიდებული». ძველი იმპერიების ძლიერებას, ავტორის აზრით, ასუსტებდა ორგვარი გარემოება: 1) «ეკონომიური პარაზიტიზმი» და 2) ჯარის შედგენა დამოკიდებულ ხალხთაგან. «პირველი არის ეკონომიური პარაზიტიზმის ჩვეულება, რომლის გამო გაბატონებული სახელმწიფო თავის პროვინციებს, კოლონიებს და დამოკიდებულ ქვეყნებს იყენებს თავისი მმართველი კლასის გასამდიდრებლად და თავისი დაბალი კლასების მოსასყიდად, რომ ისინი წყნარად იყვნენ». ასეთი მოსყიდვის ეკონომიური შესაძლებლობისათვის, რა სახითაც არ უნდა ხდებოდეს ეს, აუცილებელია — დავუმატებთ ჩვენი მხრით — მონოპოლისტური დიდი მოგება.

მეორე გარემოების გამო ჰობსონი წერს: «იმპერიალიზმის სიბრმავის ერთ-ერთი უაღრესად უცნაური სიმპტომია ის უდარდელობა, რომლითაც დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა იმპერიალისტური ერები ადგებიან ამ გზას. დიდმა ბრიტანეთმა ყველას გაუსწრო. იმ ბრძოლათა უმეტეს ნაწილს, რომლებითაც დავიპყარით ჩვენი ინდოეთის იმპერია, აწარმოებდნენ მკვიდრ მცხოვრებთაგან შემდგარი ჩვენი ჯარები; ინდოეთში, როგორც ეგვიპტეშიც ამ უკანასკნელ ხანებში, დიდ მუდმივ არმიებს ბრიტანელები მეთაურობენ; თითქმის ყველა ომი, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენ მიერ აფრიკის დაპყრობასთან, მისი სამხრეთი ნაწილის გარდა, ჩაატარეს ჩვენთვის მკვიდრმა მცხოვრებლებმა».

ჩინეთის განაწილების პერსპექტივა ასეთ ეკონომიურ შეფასებას იწვევს ჰობსონის მხრივ: «მაშინ დასავლეთ ევროპის უმეტეს ნაწილს შეეძლო ისეთი სახისა და ხასიათის მიღება, როგორიც აქვს ახლა ამ ქვეყნების ნაწილებს: სამხრეთ ინგლისს, რივიერას, იტალიისა და შვეიცარიის იმ ადგილებს, რომელთაც ყველაზე მეტად ეტანებიან ტურისტები და რომლებიც დასახლებული არიან მდიდრებით, სახელდობრ: ერთი მუჭა მდიდარი არისტოკრატები, რომლებიც დივიდენდებსა და პენსიებს იღებენ შორეული აღმოსავლეთიდან, აგრეთვე ცოტა

უფრო მნიშვნელოვანი ჯგუფი პროფესიონალი მოსამსახურეებისა და ვაჭრებისა და უფრო დიდი რაოდენობა შინამოსამსახურეებისა და მუშებისა გადაზიდვის მრეწველობასა და იმ მრეწველობაში, რომელიც ფაბრიკატების საბოლოო დამუშავებას ეწევა. მრეწველობის მთავარი დარგები კი გაქრებოდა, და დაიწყებოდა მასობრივი საკვები პროდუქტების, მასობრივი ნახევარფაბრიკატების დენა, როგორც ხარკისა, აზიიდან და აფრიკიდან». «აი რა შესაძლებლობებს გადაგვიშლის თვალწინ დასავლეთის სახელმწიფოების უფრო ფართო კავშირი, დიდ სახელმწიფოთა ევროპული ფედერაცია: იგი არათუ წინ არ წასწევდა მსოფლიო ცივილიზაციის საქმეს, არამედ მომასწავებელი იქნებოდა დასავლეთის პარაზიტიზმის გიგანტური საფრთხისა: იმ მოწინავე სამრეწველო ერების ჯგუფის გამოყოფისა, რომელთა უმაღლესი კლასები უდიდეს ხარკს მიიღებდნენ აზიისა და აფრიკისაგან და ამ ხარკის საშუალებით შეინახავდნენ მოსამსახურეებისა და მსახურთა მოშინაურებულ დიდ მასებს, რომელთა საქმე იქნებოდა უკვე არა მასობრივი სამიწათმოქმედო და სამრეწველო პროდუქტების წარმოება, არამედ პირადი სამსახურის გაწევა ან მეორეხარისხოვანი სამრეწველო მუშაობა ახალი ფინანსური არისტოკრატიის კონტროლით. დაე ისინი, ვინც მზადაა თავიდან მოიშოროს ასეთი თეორია» (უნდა ეთქვა: პერსპექტივა), «რომელიც თითქოს განხილვის ღირსი არ არის, ჩაუფიქრდნენ თანამედროვე სამხრეთ ინგლისის იმ ოლქების ეკონომიურ და სოციალურ პირობებს, რომლებიც უკვე იმყოფებიან ასეთ მდგომარეობაში. დაე ჩაუფიქრდნენ ისინი, ამ სისტემის რარიგ უდიდესი გაფართოება იქნებოდა შესაძლებელი, ჩინეთი რომ დაუმორჩილდეს ფინანსისტთა, «კაპიტალის მომთავსებელთა», მათ პოლიტიკურ და სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა ასეთი ჯგუფების ეკონომიურ კონტროლს, რომლებიც მოგებას გამოსწურავენ უდიდესი პოტენციალური რეზერვუარიდან, როგორსაც კი ოდესმე იცნობდა მსოფლიო, ამ მოგების ევროპაში მოხმარების მიზნით. რა თქმა უნდა, სიტუაცია მეტად რთულია, მსოფლიო ძალთა ჭიდილი მეტად ძნელი გასათვა-

ლისწინებელია, რომ ძალიან სარწმუნოდ ვაქციოთ მომავლის ეს ან რომელიმე სხვა განმარტება მხოლოდ ერთი მიმართულებით. მაგრამ ის გავლენანი, რომელნიც ამჟამად დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმს წარმართავენ, აქეთკენაა მიმართული და, თუ ისინი წინააღმდეგობას არ წააწყდნენ, თუ ისინი სხვა მხრით არ იქნენ მიბრუნებულნი, ისინი პროცესის სწორედ ასეთი დაგვირგვინების მიმართულებით მუშაობენ» *.

ავტორი სავსებით მართალია: იმპერიალიზმის ძალებს რომ წინააღმდეგობა არ შეხვედროდა, ისინი სწორედ აქამდე მიგვიყვანდნენ. აქ სწორად არის შეფასებული «ევროპის შეერთებული შტატების» მნიშვნელობა თანამედროვე, იმპერიალისტურ, ვითარებაში. საჭირო იყო მხოლოდ იმის დამატება, რომ მუშათა მოძრაობის შიგნითაც ოპორტუნისტები, რომლებმაც ამჟამად დროებით გაიმარჯვეს უმრავლეს ქვეყნებში, სისტემატურად და განუხრელად «მუშაობენ» სწორედ ასეთი მიმართულებით. იმპერიალიზმი, რომელიც ნიშნავს მსოფლიოს განაწილებას და არა მარტო ჩინეთის ექსპლოატაციას, მონოპოლიურ-დიდ მოგებას ერთი მუჭა უმდიდრესი ქვეყნებისათვის, ქმნის პროლეტარიატის ზედაფენების მოსყიდვის ეკონომიურ შესაძლებლობას და ამით ასაზრდოებს, აყალიბებს, განამტკიცებს ოპორტუნიზმს. არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ ის, საერთოდ იმპერიალიზმის და კერძოდ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მოქმედი, ძალები, რომელთა დანახვა, ბუნებრივია, არ შეუძლია სოციალ-ლიბერალ ჰობსონს.

გერმანელი ოპორტუნისტი გერჰარდ ჰილდებრანდი, რომელიც თავის დროზე გამორიცხული იყო პარტიიდან იმპერიალიზმის დაცვის გამო, ახლა კი შეიძლებოდა ყოფილიყო გერმანიის ეგრეთწოდებული «სოციალ-დემოკრატიული» პარტიის ბელადი, კარგად შეავსებს ჰობსონის აზრს, როდესაც ქადაგებს «დასავლეთ ევროპის შეერთებულ შტატებს» (ურუსეთოდ) «გაერთიანებული» მოქმედებისათვის... აფრიკელი ზანგების წინააღმდეგ, «დიდი ისლამისტური მოძრაობის წინააღმდეგ»,

* Hobson, გვ. 103, 205, 144, 335, 386.

«ძლიერი ჯარისა და ფლოტის» შესანახად, «იაპონია-ჩინეთის კოალიციის» წინააღმდეგ * და სხვ.

«ბრიტანეთის იმპერიალიზმის» ის აღწერა, რომელიც მოგვცა შულცე-გევერნიცმა, პარაზიტიზმის იმავე ნიშნებს გვიჩვენებს. ინგლისის სახალხო შემოსავალი დაახლოებით გაორკეცდა 1865-დან 1898 წლამდე, ხოლო შემოსავალი «საზღვარგარეთიდან» ამ დროის განმავლობაში ცხრაჯერ გაიზარდა. თუ იმპერიალიზმის «დამსახურებას» წარმოადგენს «ზანგის აღზრდა შრომისათვის» (იძულების გარეშე ვერაფერს გახდები...), იმპერიალიზმის «საფრთხე» იმაში მდგომარეობს, რომ «ევროპა ფიზიკურ შრომას — ჯერ სასოფლო-სამეურნეოს და სამთამადნოს, ხოლო შემდეგ უფრო უხეშ სამრეწველო შრომასაც — დააკისრებს შავკანიან კაცობრიობას, თვითონ კი რანტიეს როლით დაკმაყოფილდება და ამით, შესაძლოა, მოამზადებს წითელკანიანი და შავკანიანი რასების ეკონომიურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ ემანსიპაციასაც».

ინგლისში მიწის სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი ერთმევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და იქცევა მდიდართა სასპორტო, გასართობ ადგილებად. შოტლანდიაზე, რომელიც ნადირობისა და სხვა სახის სპორტის ყველაზე არისტოკრატიული ადგილია, ამბობენ, რომ «იგი ცხოვრობს თავისი წარსულით და მისტერ კარნეჯით» (ამერიკელი მილიარდერია). მარტო დოღისა და მელიებზე ნადირობისათვის ინგლისი ყოველწლიურად ხარჯავს 14 მილიონ გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით 130 მლნ. მანეთს). რანტიეთა რიცხვი ინგლისში 1 მილიონამდეა. მწარმოებელი მოსახლეობის პროცენტი კლებულობს:

	ინგლისის მოსახლეობა	მუშების რაოდენობა მრეწველობის მთავარ დარგებში (მილიონობით)	% მოსახლეობის მიმართ
1851	17,9	4,1	23%
1901	32,5	4,9	15%

* Gerhard Hildebrand: «Die Erschütterung der Industrieherrschaft und des Industriesozialismus», 1910, გვ. 229 და შემდ. (გერჰარდ ჰილდებრანდი. «მრეწველობის ბატონობისა და სამრეწველო სოციალიზმის შერყევა». რ ე დ.).

და, როდესაც ინგლისის მუშათა კლასზე ლაპარაკობს, «XX საუკუნის დამდეგის ბრიტანეთის იმპერიალიზმის» ბურჟუაზიული მკვლევარი იძულებულია სისტემატურად განასხვაოს ერთიმეორისაგან მუშათა «ზედაფენა» და «საკუთრივ პროლეტარული დაბალი ფენა». ზედაფენა იძლევა კოოპერატივებისა და პროფესიული კავშირების, სასპორტო საზოგადოებათა და მრავალრიცხოვანი რელიგიური სექტების წევრთა მასას. მის დონესთან არის შეფარდებული საარჩევნო უფლება, რომელიც ინგლისში «ჯერ კიდევ საკმაოდ შეზღუდულია, რომ გამოირიცხოს საკუთრივ პროლეტარული დაბალი ფენა»!! ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობა რომ შეალამაზონ, ჩვეულებრივ ლაპარაკობენ მხოლოდ ამ ზედაფენაზე, რომელიც პროლეტარიატის უმცირესობას შეადგენს: მაგალითად, «უმუშევრობის საკითხი უმთავრესად არის საკითხი, რომელიც ეხება ლონდონს და პროლეტარულ დაბალ ფენას, რომელსაც პოლიტიკოსები ნაკლებ ანგარიშს უწევენო» *... უნდა თქმულიყო: რომელსაც ბურჟუაზიული პოლიტიკანები და «სოციალისტური» ოპორტუნისტები ნაკლებ ანგარიშს უწევენო.

იმპერიალიზმის იმ თავისებურებათა რიცხვს, რომლებიც დაკავშირებულია აღწერილ მოვლენათა რკალთან, მიეკუთვნება იმპერიალისტური ქვეყნებიდან ემიგრაციის შემცირება და იმიგრაციის (მუშების ჩამოსვლისა და გადმოსახლების) ზრდა ამ ქვეყნებში უფრო ჩამორჩენილი ქვეყნებიდან, სადაც უფრო დაბალი ხელფასია. ემიგრაცია ინგლისიდან, როგორც ჰობსონი აღნიშნავს, კლებულობს 1884 წლიდან: ამ წელს ემიგრაცია შეადგენდა 242 ათასს და 1900 წელს — 169 ათასს. ემიგრაციამ გერმანიიდან მაქსიმუმს მიაღწია ათი წლის განმავლობაში — 1881 — 1890 წწ.: 1 453 ათასს, ხოლო შემდგომი ორი ათეული წლის განმავლობაში იკლო 544 ათასამდე და 341 ათასამდე. სამაგიეროდ იზრდებოდა იმ მუშების რიცხვი,

* Schulze-Gaevernitz, Br. Imp., 301.

რომლებიც გერმანიაში ჩამოდიოდნენ ავსტრიიდან, იტალიიდან, რუსეთიდან და სხვ.. 1907 წ. აღწერით, გერმანიაში იყო 1 342 294 უცხოელი, მათ შორის სამრეწველო მუშები — 440 800, სოფლის მუშები — 257 329 *. საფრანგეთში სამთამადნო მრეწველობის მუშების «მნიშვნელოვანი ნაწილი» უცხოელებია: პოლონელები, იტალიელები, ესპანელები **. შეერთებულ შტატებში იმიგრანტებს აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან ყველაზე ნაკლებ-ხელფასიანი ადგილები უკავიათ, ხოლო ამერიკის მუშები იძლევიან ისეთი მუშების ყველაზე დიდ პროცენტს, რომლებიც ზედამხედველებად წინაურდებიან და საუკეთესო-ხელფასიან სამუშაოს იღებენ ***. იმპერიალიზმს აქვს ტენდენცია — მუშებს შორისაც გამოყოს პრივილეგიური ფენები და გამოსთიშოს ისინი პროლეტარიატის ფართო მასას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ინგლისში იმპერიალიზმის ტენდენცია — გათიშოს მუშები და გააძლიეროს მათ შორის ოპორტუნიზმი, წარმოშვას მუშათა მოძრაობის დროებითი ლპობა, გაცილებით უფრო ადრე გამომჟღავნდა, ვიდრე XIX საუკუნის დამლევი და XX საუკუნის დასაწყისია. ვინაიდან ინგლისში XIX საუკუნის ნახევრიდან არსებობდა იმპერიალიზმის ორი დიდი განმასხვავებელი ნიშანი: უზარმაზარი კოლონიური სამფლობელოები და მონოპოლიური მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე. მარქსი და ენგელსი სისტემატურად, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ადევნებდნენ თვალყურს მუშათა მოძრაობაში არსებული ოპორტუნიზმის ამ კავშირს ინგლისის კაპიტალიზმის იმპერიალისტურ თავისებურებებთან. მაგალითად, ენგელსი სწერდა მარქსს

---

* Statistik des Deutschen Reichs, Bd. 211 (გერმანიის სახელმწიფოს სტატისტიკა, ტ. 211. რ ე დ.).

** Henger: «Die Kapitalsanlage der Franzosen», St. 1913 (ჰენგერი. «საფრანგეთის კაპიტალების დაბანდება». შტუტგარტი, 1913. რ ე დ.).

*** Hourvich: «Immigration and Labour». N. Y. 1913 (ჰურვიჩი. «იმიგრაცია და შრომა». ნიუ-იორკი, 1913. რ ე დ.).

1858 წლის 7 ოქტომბერს: «ინგლისის პროლეტარიატი ფაქტიურად სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიულდება, ასე რომ ამ ყველაზე ბურჟუაზიულ ერს ყველა ერთა შორის, როგორც ჩანს, სურს ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ, ბურჟუაზიის გვერდით, ბურჟუაზიული არისტოკრატია და ბურჟუაზიული პროლეტარიატი ჰყავდეს. რა თქმა უნდა, ისეთი ერის მხრივ, რომელიც მთელი მსოფლიოს ექსპლოატაციას ეწევა, ეს რამდენადმე კანონზომიერია» [84]. თითქმის 25 წლის შემდეგ, წერილში 1881 წ. 11 აგვისტოს თარიღით, ის ლაპარაკობს «ინგლისის უცუდეს ტრედ-უნიონებზე, რომლებიც ნებას რთავენ, რომ მათ უხელმძღვანელონ ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც მოსყიდული არიან ბურჟუაზიის მიერ ან ყოველ შემთხვევაში გასამრჯელოს იღებენ მისგან» [85]. ხოლო წერილში კაუცკისადმი 1882 წ. 12 სექტემბრის თარიღით ენგელსი წერდა: «თქვენ მეკითხებით, რას ფიქრობენ ინგლისელი მუშები კოლონიურ პოლიტიკაზე? იმასვე, რასაც ისინი ფიქრობენ პოლიტიკაზე საერთოდ. აქ არ არის მუშათა პარტია, არიან მხოლოდ კონსერვატიული და ლიბერალური რადიკალები, მუშები კი სრულიად არხეინად სარგებლობენ მათთან ერთად ინგლისის კოლონიური მონოპოლიით და მისი მონოპოლიით მსოფლიო ბაზარზე» *. (იგივე დაწერა ენგელსმა პრესისათვის წიგნის — «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» — მე-2 გამოცემის წინასიტყვაობაში, 1892 წ.).

აქ ნათლად არის აღნიშნული მიზეზები და შედეგები. მიზეზები: 1) ამ ქვეყნის მიერ მთელი მსოფლიოს ექსპლოატაცია; 2) მისი მონოპოლიური მდგომარეობა მსოფლიო

---

* Briefwechsel von Marx und Engels, Bd. II, S. 290; IV, 453 (მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა, ტ. II, გვ. 290. რ ე დ.). — K. Kautsky: «Sozialismus und Kolonialpolitik», Brl. 1907, გვ. 79 (კ. კაუცკი. «სოციალიზმი და კოლონიური პოლიტიკა». ბერლინი, 1907. რ ე დ.); ეს ბროშურა დაწერილია ჯერ კიდევ იმ უსაზღვროდ შორეულ დროში, როდესაც კაუცკი მარქსისტი იყო.

ბაზარზე; 3) მისი კოლონიური მონოპოლია. შედეგები: 1) ინგლისის პროლეტარიატის ნაწილის გაბურჟუაზიულება; 2) მისი ნაწილი ხელმძღვანელობის ნებას აძლევს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მოსყიდული არიან ბურჟუაზიის მიერ ან ყოველ შემთხვევაში გასამრჯელოს იღებენ მისგან. XX საუკუნის დამდეგის იმპერიალიზმმა დაამთავრა მსოფლიოს განაწილება ერთი მუჭა სახელმწიფოების მიერ, რომელთაგან თვითეული ექსპლოატაციას უწევს ახლა (ზემოგების ამოქაჩვის აზრით) «მთელი მსოფლიოს» ცოტა უფრო მცირე ნაწილს, ვიდრე 1858 წელს ინგლისი; თვითეულს უკავია მონოპოლიური მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე ტრესტების, კარტელების, ფინანსური კაპიტალის, მოვალისადმი კრედიტორის დამოკიდებულების მეოხებით; თვითეულს აქვს განსაზღვრული კოლონიური მონოპოლია (ჩვენ დავინახეთ, რომ მსოფლიოს ყ ვ ე ლ ა კოლონიის 75 მილიონი კვ. კილომეტრიდან **65** მილიონი, ე. ი. 86% თავმოყრილია ექვსი სახელმწიფოს ხელში; **61** მილიონი, ე. ი. 81% თავმოყრილია 3 სახელმწიფოს ხელში).

ახლანდელი ვითარების განსხვავება ისეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში მდგომარეობს, რომელთაც არ შეეძლოთ არ გაეძლიერებინათ ოპორტუნიზმის შეურიგებლობა მუშათა მოძრაობის საერთო და ძირეული ინტერესებისადმი: იმპერიალიზმი ჩანასახებიდან გაიზარდა გაბატონებულ სისტემად; კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა პირველი ადგილი დაიჭირეს სახალხო მეურნეობასა და პოლიტიკაში; მსოფლიოს განაწილება ბოლომდეა მიყვანილი; ხოლო მეორე მხრივ, ინგლისის განუყოფელი მონოპოლიის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ბრძოლას მონოპოლიაში მონაწილეობისათვის მცირერიცხოვან იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, ბრძოლას, რომელიც ახასიათებს XX საუკუნის მთელ დამდეგს. ოპორტუნიზმს არ შეუძლია ახლა სავსებით გამარჯვებული გამოვიდეს ერთ-ერთი ქვეყნის მუშათა მოძრაობაში მრავალი ათეული წლის მანძილზე, როგორც გაიმარჯვა ოპორტუნიზმმა ინგლისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ იგი საბოლოოდ

მომწიფდა, გადამწიფდა და დალპა მთელ რიგ ქვეყნებში, სავსებით შეუერთდა რა ბურჟუაზიულ პოლიტიკას, როგორც სოციალ-შოვინიზმი *.

IX. იმპერიალიზმის კრიტიკა

იმპერიალიზმის კრიტიკა ჩვენ გვესმის ამ სიტყვის ფართო აზრით, როგორც იმპერიალიზმის პოლიტიკისადმი დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა კლასის მხრივ მათს საერთო იდეოლოგიასთან დაკავშირებით.

ერთი მხრივ, გიგანტური ფარგლები ფინანსური კაპიტალისა, რაც თავმოყრილია მცირეოდენთა ხელში და ქმნის კავშირურთიერთობის არაჩვეულებრივად ფართოდ გაშლილ და ხშირ ქსელს, რომელიც უმორჩილებს მას არა მარტო მრავალ საშუალო და წვრილ, არამედ აგრეთვე უწვრილეს კაპიტალისტებსა და მეპატრონეებს, ხოლო, მეორე მხრივ, გამწვავებული ბრძოლა ფინანსისტთა სხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ჯგუფებთან მსოფლიოს განაწილებისა და სხვა ქვეყნებზე ბატონობისათვის, — ყოველივე ეს იწვევს ყველა მქონებელი კლასის პირწმინდად გადასვლას იმპერიალიზმის მხარეზე. «საყოველთაო» გატაცება მისი პერსპექტივებით, იმპერიალიზმის გააფთრებული დაცვა, მისი ყოველნაირად შელამაზება — ასეთია დროების ნიშანი. იმპერიალისტური იდეოლოგია იჭრება მუშათა კლასშიც. ჩინური კედელი როდი ყოფს მას სხვა კლასებისაგან. თუ გერმანიის ახლანდელი ეგრეთწოდებული «სოციალ-დემოკრატიული» პარტიის ბელადებს სამართლიანად უწოდეს «სოციალ-იმპერიალისტები», ე. ი. სოციალისტები სიტყვით, იმპერიალისტები საქმით, ჰობსონმა ჯერ კიდევ 1902 წელს აღნიშნა «ფაბიანელი იმპე-

* რუსული სოციალ-შოვინიზმი ბატონ პოტრესოვების, ჩხენკელების, მასლოვებისა და სხვ. თავისი როგორც აშკარა, ისე ფარული სახით (ბბ. ჩხეიძე, სკობელევი, აქსელროდი, მარტოვი და სხვ.), ასევე წარმოიშვა ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობიდან, სახელდობრ ლიკვიდატორობიდან.

რიალისტების» არსებობა ინგლისში, რომლებიც ოპორტუნისტულ «ფაბიანურ საზოგადოებას» ეკუთვნოდნენ.

ბურჟუაზიული მეცნიერები და პუბლიცისტები იმპერიალიზმის დამცველებად გამოდიან ჩვეულებრივ რამდენადმე შენიღბული ფორმით, ჩქმალავენ იმპერიალიზმის სრულ ბატონობას და მის ღრმა ფესვებს, ცდილობენ წინა რიგში წამოაყენონ კერძო მხარეები და მეორეხარისხოვანი წვრილმანები, ლამობენ ჩამოაშორონ ყურადღება არსებითს «რეფორმების» სრულიად არასერიოზული პროექტებით, როგორიცაა პოლიციური ზედამხედველობა ტრესტებზე ან ბანკებზე და ა. შ.. უფრო იშვიათად გამოდიან ცინიკური, აშკარა იმპერიალისტები, რომელთაც გამბედაობა შესწევთ აღიარონ, რომ სისულელეა აზრი იმპერიალიზმის ძირითად თვისებათა რეფორმირებისა.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. გერმანელი იმპერიალისტები გამოცემაში: «მსოფლიო მეურნეობის არქივი» ცდილობენ თვალყური ადევნონ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიებში, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, არა-გერმანულ კოლონიებში. ისინი აღნიშნავენ მღელვარებასა და პროტესტებს ინდოეთში, მოძრაობას ნატალში (სამხრეთი აფრიკა), ჰოლანდიის ინდოეთში და ა. შ.. ერთი მათგანი შენიშვნაში ინგლისური გამოცემის გამო, რომელიც იძლევა 1910 წლის 28 — 30 ივნისს შემდგარი დამორჩილებულ ერთა და რასების იმ კონფერენციის ანგარიშს, რომელსაც დაესწრნენ აზიის, აფრიკისა და ევროპის სხვადასხვა, უცხოელთა ბატონობის ქვეშ მყოფ, ხალხთა წარმომადგენლები, აფასებს ამ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვებს და წერს: «გვეუბნებიან, იმპერიალიზმს უნდა ვებრძოლოთო; გაბატონებულმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ დამორჩილებულ ხალხთა დამოუკიდებლობის უფლება; საერთაშორისო ტრიბუნალმა თვალყური უნდა ადევნოს იმ ხელშეკრულებათა შესრულებას, რომლებიც დადებულია დიდ სახელმწიფოებსა და სუსტ ხალხებს შორისო. კონფერენცია ამ გულუბრყვილო სურვილებს სჯერდება და შემდგომ წინ აღარ მიდის. ჩვენ ვერ ვხედავთ

იმ ჭეშმარიტების გაგების ნიშანწყალსაც კი, რომ იმპერიალიზმი განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალიზმის ახლანდელ ფორმასთან და რომ ამიტომ (!!) პირდაპირი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უიმედოა, და ესღა დაგვრჩენია — დავკმაყოფილდეთ გამოსვლებით ცალკეული, განსაკუთრებით საზიზღარი, ექსცესების წინააღმდეგ» *. რადგან იმპერიალიზმის საფუძვლების რეფორმისტული გამოსწორება მოტყუებაა, «გულუბრყვილო სურვილია», რადგან ჩაგრული ერების ბურჟუაზიული წარმომადგენლები «შემდგომ» წინ აღარ მიდიან, ამიტომ მჩაგვრელი ერის ბურჟუაზიული წარმომადგენელი დგამს «შემდგომ» ნაბიჯს უკან, იმპერიალიზმის წინაშე მონური ქედის მოხრისაკენ, რაც დაფარულია «მეცნიერულობის» პრეტენზიით. ესეც «ლოგიკაა»!

ის საკითხები, შესაძლებელია თუ არა იმპერიალიზმის საფუძვლების რეფორმისტული შეცვლა, წინ წავიდეთ, იმპერიალიზმის მიერ წარმოშობილ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავებისა და გაღრმავებისაკენ, თუ უკან, მათი შერბილებისაკენ, — იმპერიალიზმის კრიტიკის ძირითადი საკითხებია. ვინაიდან იმპერიალიზმის პოლიტიკურ თავისებურებას წარმოადგენს რეაქცია მთელი ხაზით და ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება ფინანსური ოლიგარქიის მხრივ ჩაგვრასთან და თავისუფალი კონკურენციის მოსპობასთან დაკავშირებით, ამიტომ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული ოპოზიცია იმპერიალიზმის მიმართ თავს იჩენს XX საუკუნის დამდეგის თითქმის ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში. კაუცკისა და კაუცკელობის ფართო ინტერნაციონალური მიმდინარეობის მიერ კავშირის გაწყვეტა მარქსიზმთან სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კაუცკიმ არამცთუ არ იზრუნა, ვერ შეძლო თავისი თავი დაეპირისპირებინა ამ წვრილბურჟუაზიული, რეფორმისტული, ეკონომიურად თავისი საფუძვლით რეაქციული

---

* Weltwirtschaftliches Archiv, Bd. II, გვ. 193 (მსოფლიო ეკონომიკის არქივი, ტ. II. რედ.).

ოპოზიციისადმი, არამედ პირიქით პრაქტიკულად შეუერთდა მას.

შეერთებულ შტატებში იმპერიალისტურმა ომმა ესპანეთის წინააღმდეგ 1898 წელს გამოიწვია ოპოზიცია «ანტიიმპერიალისტებისა», ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი მოჰიკანებისა, რომლებიც ამ ომს უწოდებდნენ «დანაშაულებრივს», კონსტიტუციის დარღვევად თვლიდნენ სხვისი მიწაწყლის ანექსიას, «შოვინისტების მატყუარობად» აცხადებდნენ საქციელს ფილიპინების მკვიდრ მცხოვრებთა ბელადის აგვინალდოს მიმართ (მას შეჰპირდნენ მისი ქვეყნის თავისუფლებას, შემდეგ კი გადმოსხეს ამერიკის ჯარები და მოახდინეს ფილიპინების ანექსია), — მოჰყავდათ ლინკოლნის სიტყვები: «როდესაც თეთრი ადამიანი თვითონ განაგებს თავის თავს, ეს არის თვითმმართველობა; როდესაც ის განაგებს თავის თავს და ამასთან სხვებზეც გამგებლობს, ეს უკვე თვითმმართველობა აღარაა, ეს არის დესპოტიზმი» *. მაგრამ ვიდრე მთელ ამ კრიტიკას ეშინოდა ეღიარებინა იმპერიალიზმის განუყრელი კავშირი ტრესტებთან და, მაშასადამე, კაპიტალიზმის საფუძვლებთან, ეშინოდა შეერთებოდა იმ ძალებს, რომლებსაც წარმოშობს მსხვილი კაპიტალიზმი და მისი განვითარება, იგი «გულუბრყვილო სურვილად» რჩებოდა.

ასეთივეა ჰობსონის ძირითადი პოზიცია, როდესაც ის იმპერიალიზმს აკრიტიკებს. ჰობსონმა დაასწრო კაუცკის, როდესაც ილაშქრებდა «იმპერიალიზმის გარდუვალობის» წინააღმდეგ და მოითხოვდა მოსახლეობის «სამომხმარებლო უნარის აწევის» აუცილებლობას (კაპიტალიზმის დროს!). იმპერიალიზმის, ბანკების ყოვლისშემძლეობის, ფინანსური ოლიგარქიისა და სხვ. კრიტიკის დროს წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგანან ჩვენ მიერ არა ერთხელ ციტირებული აგადი, ა. ლანსბურგი, ლ. ეშვეგე, ხოლო ფრანგი მწერლებიდან — ვიქტორ ბერარი, ავტორი წყალწყალა წიგნისა: «ინგლისი და იმპერია-

* J. Patouillet: «L'impérialisme américain». Dijon. 1904, გვ. 272 (ჟ. პატუიე. «ამერიკის იმპერიალიზმი». დიჟონი. 1904 წ.).

ლიზმი», რომელიც 1900 წელს გამოვიდა. ყველა ისინი, არ აცხადებენ რა არავითარ პრეტენზიას მარქსიზმზე, იმპერიალიზმს უპირისპირებენ თავისუფალ კონკურენციასა და დემოკრატიას, გმობენ ბაღდადის რკინიგზის წამოწყებას, რასაც მივყავართ კონფლიქტებისა და ომებისაკენ, გამოთქვამენ მშვიდობიანობის «გულუბრყვილო სურვილებს» და ა. შ. — ასევე იქცევა საერთაშორისო ემისიების სტატისტიკოსი ა. ნეიმარკიც, რომელიც, ანგარიშობდა რა ასეული მილიარდი ფრანკის «საერთაშორისო» ფასეულობებს, გაიძახოდა 1912 წელს: «განა შეიძლება დავუშვათ, რომ მშვიდობის დარღვევა შეიძლებოდეს? ...რომ ასეთი უზარმაზარი ციფრების დროს ომის გამოწვევის რისკი გასწიონ?» *.

ბურჟუაზიული ეკონომისტების მხრივ ასეთი გულუბრყვილობა გასაკვირი არ არის; მათთვის ამასთან ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ც არის თავი მოგვაჩვენონ ესოდენ გულუბრყვილოებად და «სერიოზულად» ილაპარაკონ მშვიდობაზე იმპერიალიზმის დროს. მაგრამ რაღა შერჩა მარქსიზმისა კაუცკის, როდესაც ის 1914, 1915, 1916 წლებში დგება იმავე ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ თვალსაზრისზე და ამტკიცებს, რომ «ყველანი თანახმანი არიან» (იმპერიალისტები, ვითომ-სოციალისტები და სოციალ-პაციფისტები) მშვიდობის შესახებ? იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა ანალიზისა და მათი სიღრმის გამოაშკარავების ნაცვლად ჩვენ ვხედავთ მხოლოდ რეფორმისტულ «გულუბრყვილო სურვილს» — თავიდან მოიშორონ, გვერდი აუარონ მათ.

აი იმის ნიმუში, თუ როგორ აკრიტიკებს კაუცკი იმპერიალიზმს ეკონომიური მხრით. ის იღებს მონაცემებს ეგვიპტიდან 1872 და 1912 წლების განმავლობაში ინგლისის მიერ საქონლის შემოტანისა და გატანის შესახებ; გამოდის, რომ ეს გატანა და შემოტანა უფრო სუსტად იზრდებოდა, ვიდრე ინგლისის მთე-

* Bulletin de l'Institut International de Statistique. T. XIX, livr. II, p. 225 (სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის ბიულეტენი, ტ. XIX, წიგნი II, გვ. 225. რ ე დ.).

ლი გატანა და შემოტანა. და კაუცკი ასკვნის: «არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ სამხედრო ძალით ეგვიპტის დაუპყრობლად მასთან ვაჭრობა ნაკლებ გაიზრდებოდა ეკონომიური ფაქტორების უბრალო წონის გავლენით». «კაპიტალის მისწრაფება გაფართოებისაკენ» «ყველაზე უკეთ შეიძლება მიღწეულ იქნეს არა იმპერიალიზმის ძალდატანებითი მეთოდებით, არამედ მშვიდობიანი დემოკრატიით» *.

კაუცკის ეს მსჯელობა, რასაც ათასგვარ ჰანგზე იმეორებს მისი რუსი მეაბჯრე (და სოციალ-შოვინისტების რუსი დამფარველი) ბ-ნი სპექტატორი [86], იმპერიალიზმის კაუცკისეული კრიტიკის საფუძველს წარმოადგენს და ამიტომ ამაზე უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ. დავიწყოთ ციტატით ჰილფერდინგიდან, რომლის დასკვნებს კაუცკი მრავალჯერ, 1915 წ. აპრილშიც, აცხადებდა «ერთხმად მიღებულად ყველა სოციალისტი თეორეტიკოსის მიერ».

«პროლეტარიატის საქმე არ არის — წერს ჰილფერდინგი — დაუპირისპიროს უფრო პროგრესულ კაპიტალისტურ პოლიტიკას წინანდელი პოლიტიკა, რომელიც ახასიათებდა თავისუფალი ვაჭრობის და სახელმწიფოსადმი მტრული დამოკიდებულების ერას. ფინანსური კაპიტალის ეკონომიურ პოლიტიკაზე, იმპერიალიზმზე, პროლეტარიატის პასუხი შეიძლება იყოს არა ვაჭრობის თავისუფლება, არამედ მხოლოდ სოციალიზმი. ახლა პროლეტარული პოლიტიკის მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს არა ისეთი იდეალი, როგორიცაა თავისუფალი კონკურენციის აღდგენა, — ეს ახლა რეაქციულ იდეალად იქცა — არამედ მხოლოდ და მხოლოდ კონკურენციის სრული აღმოფხვრა კაპიტალიზმის მოსპობის საშუალებით» **.

კაუცკიმ კავშირი გაწყვიტა მარქსიზმთან, როდესაც ფინანსური კაპიტალის ეპოქისათვის იცავს «რეაქციულ იდეალს»,

---

* Kautsky: «Nationalstaat, imperialistischer Staat und Staatenbund», Nürnberg. 1915, გვ. 72 და 70 (კაუცკი. «ეროვნული სახელმწიფო, იმპერიალისტური სახელმწიფო და სახელმწიფოთა კავშირი». ნიურნბერგი. 1915 წ.).

** «ფინანსური კაპიტალი», გვ. 567.

«მშვიდობიან დემოკრატიას», «ეკონომიური ფაქტორების უბრალო წონას», — ვინაიდან ეს იდეალი ობიექტურად უკან გვეწევა, მონოპოლისტური კაპიტალიზმიდან არამონოპოლისტური კაპიტალიზმისაკენ, იგი რეფორმისტული მატყუარობაა.

ვაჭრობა ეგვიპტესთან (ან სხვა რომელიმე კოლონიასთან ან ნახევრად-კოლონიასთან) უფრო «გაიზრდებოდა» სამხედრო ძალით დაპყრობის გარეშე, იმპერიალიზმის გარეშე, ფინანსური კაპიტალის გარეშეო. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ კაპიტალიზმი უფრო სწრაფად განვითარდებოდა, თავისუფალი კონკურენცია რომ არ შეზღუდულიყო არც მონოპოლიებით საერთოდ, არც ფინანსური კაპიტალის «კავშირურთიერთობით» ან ჩაგვრით (ე. ი. ასევე მონოპოლიით), არც კოლონიების მონოპოლიური მფლობელობით ცალკეული ქვეყნების მხრივ?

კაუცკის მსჯელობას არ შეიძლება სხვა აზრი ჰქონდეს, ეს «აზრი» კი უაზრობაა. დავუშვათ, რომ კი, რომ თავისუფალი კონკურენცია, რაიმე მონოპოლიების გარეშე, უფრო სწრაფად **განავითარებდა** კაპიტალიზმსა და ვაჭრობას. მაგრამ რაც უფრო სწრაფად ვითარდება ვაჭრობა და კაპიტალიზმი, მით უფრო ძლიერია ხომ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, რაც მონოპოლიას წარმოშობს. და მონოპოლიები **უკვე** წარმოიშვნენ — სწორედ თავისუფალი **კონკურენციის ნიადაგზე!** და თუნდაც ახლა მონოპოლიები ანელებდნენ განვითარებას, ეს მაინც არ წარმოადგენს საბუთს თავისუფალი კონკურენციის სასარგებლოდ, რომელიც შეუძლებელია მას შემდეგ, რაც მან მონოპოლიები წარმოშვა.

როგორც არ უნდა ატრიალოთ კაუცკის მსჯელობა, მასში რეაქციულობისა და ბურჟუაზიული რეფორმიზმის გარდა არაფერი არ არის.

ეს მსჯელობა რომ შევასწოროთ, და ვთქვათ, როგორც სპექტატორი ამბობს: ინგლისის კოლონიების ვაჭრობა ინგლისთან ახლა უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე სხვა ქვეყნებთან, — ვერც ეს შველის კაუცკის. ვინაიდან ინგლისს ამარცხებს **იგივე**

მონოპოლია, **იგივე** იმპერიალიზმი, ოღონდ სხვა ქვეყნისა (ამერიკის, გერმანიისა). ცნობილია, რომ კარტელებმა გამოიწვიეს ახალი, ორიგინალური ტიპის მფარველობითი ბაჟები: მფარველობენ (ეს ჯერ კიდევ ენგელსმა აღნიშნა «კაპიტალის» III ტომში [87]) სწორედ იმ პროდუქტებს, რომელთა გატანაც შეიძლება. შემდეგ, ცნობილია კარტელებისა და ფინანსური კაპიტალის დამახასიათებელი სისტემა «გადასაყრელ ფასებში გატანისა», «გადაყრისა», როგორც ინგლისელები ამბობენ: ქვეყნის შიგნით კარტელი თავის პროდუქტებს ყიდის მონოპოლიურ-მაღალ ფასებში, ხოლო საზღვარგარეთ სამჯერ უფრო იაფად ასაღებს, — რათა დაამარცხოს კონკურენტი, მაქსიმუმამდე გააფართოოს თავისი წარმოება და ა. შ.. თუ გერმანია უფრო სწრაფად ავითარებს თავის ვაჭრობას ინგლისის კოლონიებთან, ვიდრე ინგლისი, — ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გერმანიის იმპერიალიზმი უფრო ახალგაზრდაა, უფრო ძლიერია, უფრო მოწესრიგებულია, უფრო მაღალია, ვიდრე ინგლისისა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამტკიცებს თავისუფალი ვაჭრობის «უპირატესობას», ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობა კი არ ებრძვის პროტექციონიზმს, კოლონიურ დამოკიდებულებას, არამედ ერთი იმპერიალიზმი იბრძვის მეორის წინააღმდეგ, ერთი მონოპოლია მეორის წინააღმდეგ, ერთი ფინანსური კაპიტალი მეორის წინააღმდეგ. გერმანიის იმპერიალიზმის უპირატესობა ინგლისის იმპერიალიზმის წინაშე უფრო ძლიერია, ვიდრე კოლონიური საზღვრების ან პროტექციული ბაჟების ზღუდე: ამის გადაქცევა თავისუფალი ვაჭრობისა და «მშვიდობიანი დემოკრატიის» ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო «საბუთად» — ეს არის უხამსობა, იმპერიალიზმის ძირითადი ნიშნებისა და თვისებების დავიწყება, მარქსიზმის შეცვლა მეშჩანური რეფორმიზმით.

საინტერესოა, რომ თვით ბურჟუაზიული ეკონომისტი ა. ლანსბურგი, რომელიც ისევე მეშჩანურად აკრიტიკებს იმპერიალიზმს, როგორც კაუცკი, მაინც უფრო მეცნიერულად შიუდგა სავაჭრო სტატისტიკის მონაცემების დამუშავებას. მან ჰიღო არა მარტო შემთხვევით ამოგლეჯილი ქვეყნის და მარტო

კოლონიის შედარება დანარჩენ ქვეყნებთან, არამედ შედარება გატანისა იმპერიალისტური ქვეყნიდან 1) მისგან ფინანსურად დამოკიდებულ, სესხის ამღებ ქვეყნებში და 2) ფინანსურად დამოუკიდებელ ქვეყნებში. გამოვიდა შემდეგი:

გატანა გერმანიიდან (მლნ. მარკა)

		1889	1908	ზრდა %%-ში
გერმანიისაგან ფინანსურად დამოკიდებულ ქვეყნებში:	რუმინეთი	48,2	70,8	+ 47%
	პორტუგალია	19,0	32,8	+ 73%
	არგენტინა	60,7	147.0	+ 143%
	ბრაზილია	48,7	84,5	+ 73%
	ჩილი	28,3	52,4	+ 85%
	თურქეთი	29,9	64,0	+ 114%
	სულ	**234,8**	**451,5**	+ **92%**
გერმანიისაგან ფინანსურად დამოუკიდებელ ქვეყნებში:	დიდი ბრიტანეთი	651,8	997,4	+ 53%
	საფრანგეთი	210,2	437,9	+ 108%
	ბელგია	137,2	322,8	+ 135%
	შვეიცარია	177,4	401,1	+ 127%
	ავსტრალია	21,2	64,5	+ 205%
	ჰოლ. ინდოეთი	8,8	40,7	+ 363%
	სულ	**1 206,6**	**2 264,4**	+ **87%**

ლანსბურგს არ შეუჯამებია და ამიტომ რაღაც უცნაურად ვერ შეამჩნია, რომ თუ ეს ციფრები რაიმეს ამტკიცებენ, მხოლოდ მის წინააღმდეგ, ვინაიდან გატანა ფინანსურად დამოკიდებულ ქვეყნებში მაინც უფრო სწრაფად გაიზარდა, თუმცა ცოტათი, ვიდრე ფინანსურად დამოუკიდებელ ქვეყნებში (ხაზს ვუსვამთ «თუ»-ს, ვინაიდან ლანსბურგის სტატისტიკა სულაც არ არის სრული).

ლანსბურგი არკვევს გატანის კავშირს სესხთან და წერს:

«1890/91 წელს რუმინეთთან დაიდო სესხის ხელშეკრულება გერმანიის ბანკების საშუალებით, რომლებიც უკვე წინა წლებში აძლევდნენ მას თანხებს ამ სესხის ანგარიშში. სესხი ხმარდებოდა უმთავრესად რკინიგზის იმ მასალის ყიდვას, რომელსაც გერმანიიდან იღებდნენ. 1891 წელს გატანა გერმანიიდან რუმინეთში შეადგენდა 55 მილიონ მარკას. შემდეგ წელში

იგი დაეცა 39,4 მილიონამდე და, ხანშეწყვეტით, დაეცა 25,4 მილიონამდე 1900 წელს. მხოლოდ სულ უკანასკნელ წლებში მიღწეულია კვლავ 1891 წლის დონე — ორი ახალი სესხის მეოხებით.

გატანა გერმანიიდან პორტუგალიაში გაიზარდა 1888/89 წ. სესხთა გამო 21,1 მილიონამდე (1890); შემდეგ ორ წელში 16,2 და 7,4 მილიონამდე დაეცა და თავის ძველ დონეს მხოლოდ 1903 წელს მიაღწია.

კიდევ უფრო აშკარაა მონაცემები გერმანია-არგენტინის ვაჭრობის შესახებ. 1888 და 1890 წწ. სესხთა გამო—გატანამ გერმანიიდან არგენტინაში 60,7 მილიონს მიაღწია 1889 წელს. ორი წლის შემდეგ გატანა შეადგენდა სულ 18,6 მილიონს, წინანდელის ერთ მესამედზე ნაკლებს. მხოლოდ 1901 წელს მიაღწია და გადააჭარბა მან 1889 წლის დონეს, რაც დაკავშირებული იყო ახალ სახელმწიფო და საქალაქო სესხებთან, ფულის გაცემასთან ელექტროქარხნების ასაგებად და სხვა საკრედიტო ოპერაციებთან.

გატანა ჩილიში გაიზარდა 1889 წლის სესხის გამო 45,2 მილიონამდე (1892) და ერთი წლის შემდეგ დაეცა 22,5 მილიონამდე. ახალი სესხის შემდეგ, რომელზეც ხელშეკრულება დაიდო 1906 წელს გერმანიის ბანკების მეშვეობით, გატანა გაიზარდა 84,7 მილიონამდე (1907), რათა კვლავ დაცემულიყო 52,4 მილიონამდე 1908 წელს» *.

ლანსბურგს ამ ფაქტებიდან გამოჰყავს სასაცილო მეშჩანური მორალი, თუ რა მერყევი და არათანაბარია სესხებთან დაკავშირებული გატანა, რა ცუდია კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ იმის ნაცვლად, რომ «ბუნებრივად» და «ჰარმონიულად» განავითარო მშობლიური მრეწველობა, რა «ძვირი» უჯდება კრუპს მრავალმილიონიანი ფეშქაშები საზღვარგარეთულ სესხთა დროს და ა. შ.. მაგრამ ფაქტები ნათლად მოწმობენ: გატანის ზრდა დაკავშირებულია ს წ ო რ ე დ ფინანსური კაპიტალის თაღლითურ ხრიკებთან, რომელიც არ

* «Die Bank», 1909, 2, გვ. 819 და შემდ.

ზრუნავს ბურჟუაზიულ მორალზე და ორმაგ ტყავს აძრობს ხარს: ჯერ-ერთი, მოგებას სესხიდან, მეორეც, მოგებას ი მ ა ვ ე სესხიდან, როდესაც ის ხმარდება კრუპის ნაწარმის ან ფოლადის სინდიკატის სარკინიგზო მასალის ყიდვას და სხვ.

ვიმეორებთ, ლანსბურგის სტატისტიკა ჩვენ სრულიადაც არ მიგვაჩნია სრულყოფილად, მაგრამ მისი მოყვანა აუცილებელი იყო, რადგან იგი უფრო მეცნიერულია, ვიდრე კაუცკისა და სპექტატორის სტატისტიკა, ვინაიდან ლანსბურგი სახავს სწორ მიდგომას საკითხისადმი. რომ იმსჯელო ფინანსური კაპიტალის მნიშვნელობაზე გატანის საქმეში და ა. შ., უნდა შეგეძლოს გამოყოფა გატანის კავშირისა სპეციალურად და მხოლოდ ფინანსისტთა ხრიკებთან, სპეციალურად და მხოლოდ საკარტელო პროდუქტების გასაღებასთან და ა. შ.. ხოლო უბრალო შედარება კოლონიებისა საერთოდ და არა-კოლონიებისა, ერთი იმპერიალიზმისა და მეორე იმპერიალიზმისა, ერთი ნახევრადკოლონიისა თუ კოლონიისა (ეგვიპტე) და ყველა დანარჩენი ქვეყნისა — ეს ნიშნავს იმას, რომ გვერდი აუარო და მიჩქმალო სწორედ საქმის ა რ ს ი.

იმპერიალიზმის თეორიულ კრიტიკას კაუცკის მხრივ სწორედ იმიტომ არა აქვს არაფერი საერთო მარქსიზმთან, სწორედ იმიტომ არის იგი გამოსადეგი მხოლოდ როგორც ოპორტუნისტებთან და სოციალ-შოვინისტებთან ზავისა და ერთიანობის ქადაგება, რომ ეს კრიტიკა გვერდს უვლის და ჩქმალავს იმპერიალიზმის სწორედ ყველაზე ღრმა და ძირეულ წინააღმდეგობებს: წინააღმდეგობას მონოპოლიებსა და მათ გვერდით არსებულ თავისუფალ კონკურენციას შორის, ფინანსური კაპიტალის გიგანტურ «ოპერაციებსა» (და გიგანტურ მოგებასა) და თავისუფალ ბაზარზე წარმოებულ «პატიოსან» ვაჭრობას შორის, ერთი მხრივ — კარტელებსა და ტრესტებსა და მეორე მხრივ — არაკარტელირებულ მრეწველობას შორის და ა. შ.

სავსებით ასეთივე რეაქციული ხასიათი აქვს ყბადაღებულ «ულტრა-იმპერიალიზმის» თეორიას, რომელიც კაუცკიმ შეთხზა. შეადარეთ მისი მსჯელობა ამ თემაზე 1915 წელს ჰობსონის მსჯელობას 1902 წელს:

კაუცკი: «... ხომ არ შეიძლება, რომ ახლანდელი იმპერიალისტური პოლიტიკა გამოდევნილ იქნეს ახალი, ულტრა-იმპერიალისტური პოლიტიკით, რომელიც ნაციონალურ ფინანსურ კაპიტალთა ურთიერთი ბრძოლის ნაცვლად წამოაყენებს მსოფლიოს საერთო ექსპლოატაციას ინტერნაციონალურად გაერთიანებული ფინანსური კაპიტალის მხრივ? კაპიტალიზმის ამგვარი ახალი ფაზა ყოველ შემთხვევაში წარმოსადგენია. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება, ამის გადასაწყვეტად ჯერ კიდევ არ არსებობს საკმაო წანამძღვრები» *.

ჰობსონი: «ქრისტიანობა, რომელიც განმტკიცდა რამდენიმე დიდ ფედერალურ იმპერიაში, რომელთაგანაც თვითეულს აქვს მთელი რიგი არაცივილიზებული კოლონიები და დამოკიდებული ქვეყნები, ბევრს ეჩვენება თანამედროვე ტენდენციათა ყველაზე კანონიერ განვითარებად და ამასთან ისეთ განვითარებად, რომელიც მოგვცემდა მუდმივი მშვიდობის ყველაზე მეტ იმედს ინტერ-იმპერიალიზმის მტკიცე ბაზაზე».

კაუცკიმ ულტრა-იმპერიალიზმი ანუ ზე-იმპერიალიზმი უწოდა იმას, რასაც ჰობსონმა 13 წლის წინათ ინტერ-იმპერიალიზმი ანუ იმპერიალიზმთაშორისო უწოდა. გარდა იმისა, რომ შეთხზულია ახალი ყოვლად ბრძნული სიტყვა, ერთი ლათინური ნაწილაკის მეორით შეცვლის გზით, კაუცკის «მეცნიერული» აზრის პროგრესი გამოიხატება მხოლოდ პრეტენზიაში — მარქსიზმად გაასაღოს ის, რასაც ჰობსონი აღწერს, არსებითად, როგორც ინგლისის ხუცების პირმოთნეობას. ინგლის-ბურების ომის შემდეგ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ამ დიდად პატივცემულმა წოდებამ მთავარი ძალღონე წარმართა იქით, რომ ენუგეშებინა ინგლისელი მეშჩანები და მუშები, რომლებმაც საკმაოდ ბევრი ხალხი დაკარგეს სამხრეთ აფრიკის ბრძოლებში მოკლულთა სახით და რომლებსაც იმისათვის, რომ ინგლისელ ფინანსისტთა უფრო დიდ მოგებას უზრუნველყოფდნენ, სამაგიეროს გადასახადების მომატებით უხდიდნენ. და რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე უკეთესი ნუგეში, ვიდრე

* «Neue Zeit», 1915 წ. 30 აპრილი, 144.

ის, რომ იმპერიალიზმი არც ისე ცუდია, რომ იგი ახლოა ინტერ-(ანუ ულტრა-) იმპერიალიზმთან, რომელსაც შეუძლია მუდმივი მშვიდობის უზრუნველყოფა? როგორიც არ უნდა იყოს ინგლისელ ხუცესთა ან ენატკბილი კაუცკის კეთილი განზრახვები, მისი «თეორიის» ობიექტური, ე. ი. ნამდვილი სოციალური აზრი მხოლოდ ერთადერთია: უაღრესად რეაქციული დანუგეშება მასებისა კაპიტალიზმის დროს მუდმივი მშვიდობის შესაძლებლობის იმედის მიცემით — ყურადღების ჩამოცილებით თანადროულობის მწვავე წინააღმდეგობებისა და მწვავე პრობლემებისაგან და ყურადღების მიმართვით რაღაც ვითომდა ახალი მომავალი «ულტრა-იმპერიალიზმის» ყალბი პერსპექტივებისაკენ. მასების მოტყუება — ამას გარდა სრულიად არაფერია კაუცკის «მარქსისტულ» თეორიაში.

მართლაც, საკმარისია ნათლად დაუპირისპიროთ ერთმანეთს საყოველთაოდ ცნობილი, უდავო ფაქტები, რათა დარწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად ყალბია პერსპექტივები, რომლების შთანერგვასაც კაუცკი ცდილობს გერმანელი მუშებისათვის (და ყველა ქვეყნის მუშებისათვის). ავიღოთ ინდოეთი, ინდოჩინეთი და ჩინეთი. ცნობილია, რომ ეს სამი კოლონიური და ნახევრად-კოლონიური ქვეყანა 600 — 700 მილიონი სული მოსახლეობით განიცდის რამდენიმე იმპერიალისტური ქვეყნის — ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, შეერთებული შტატების და სხვ. ფინანსური კაპიტალის ექსპლოატაციას. დავუშვათ, რომ ეს იმპერიალისტური ქვეყნები შეადგენენ კავშირებს, ერთი მეორის წინააღმდეგ, აზიის ხსენებულ სახელმწიფოებში თავიანთი სამფლობელოების, ინტერესებისა და «გავლენის სფეროების» დაცვისა თუ გაფართოების მიზნით. ეს იქნება «ინტერ-იმპერიალისტური» თუ «ულტრა-იმპერიალისტური» კავშირები. დავუშვათ, რომ *ყველა* იმპერიალისტური სახელმწიფო შეადგენს კავშირს აზიის ხსენებული ქვეყნების «მშვიდობიანი» განაწილებისათვის, — ეს იქნება «ინტერნაციონალურად გაერთიანებული ფინანსური კაპიტალი». ასეთი კავშირის ფაქტიური მაგალითები მოიპოვება XX საუკუნის ისტორიაში, მაგ., სახელმწიფოთა ურთიერთო-

ბაში ჩინეთის მიმართ. ისმება კითხვა, «წარმოსადგენია» თუ არა იმის დაშვება, რომ კაპიტალიზმის შენარჩუნების პირობებში (კაუცკი კი სწორედ ასეთ პირობას გულისხმობს) ასეთი კავშირები არა-ხანმოკლენი იყვნენ? რომ მათ არ ჰქონდეთ შეხლა-შემოხლა, კონფლიქტები და ბრძოლა ყველა და ყოველგვარი შესაძლებელი ფორმით?

საკმარისია ნათლად დააყენოთ კითხვა, რომ მასზე შეუძლებელი იყოს სხვა პასუხის გაცემა, გარდა უარყოფითისა. ვინაიდან კაპიტალიზმის დროს წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი ა სხვა საფუძველი გავლენის სფეროების, ინტერესების, კოლონიებისა და სხვ. გაყოფისათვის, თუ არა გაყოფის მონაწილეთა ძ ა ლ ი ს გათვალისწინება, საერთო-ეკონომიური, ფინანსური, სამხედრო და სხვ. ძალისა. ხოლო გაყოფის ამ მონაწილეების ძალა ერთნაირად როდი იცვლება, ვინაიდან კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია ცალკეული საწარმოების, ტრესტების, მრეწველობის დარგების, ქვეყნების თ ა ნ ა ბ ა რ ი განვითარება. ნახევარი საუკუნის წინათ გერმანია უბადრუკი არარაობა იყო, თუ მის კაპიტალისტურ ძალას შევადარებთ მაშინდელი ინგლისის ძალას; იგივე იყო იაპონია რუსეთთან შედარებით. «წარმოსადგენია» თუ არა იმის დაშვება, რომ ერთი-ორი ათწლეულის შემდეგ უ ც ვ ლ ე ლ ი დარჩეს ძალთა თანაშეფარდება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის? აბსოლუტურად წარმოუდგენელია.

ამიტომ «ინტერ-იმპერიალისტური» თუ «ულტრა-იმპერიალისტური» კავშირები კაპიტალისტურ სინამდვილეში, და არა ინგლისელი ხუცების თუ გერმანელი «მარქსისტის» კაუცკის უხამს მეშჩანურ ფანტაზიაში, — რა ფორმაც არ უნდა ჰქონდეს ამ კავშირებს, ფორმა ერთი იმპერიალისტური კოალიციისა მეორე იმპერიალისტური კოალიციის წინააღმდეგ, თუ ყ ვ ე ლ ა იმპერიალისტური სახელმწიფოს საყოველთაო კავშირის ფორმა — ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ წარმოადგენენ მხოლოდ «შესვენებას» ომებს შორის. მშვიდობიანი კავშირები ამზადებენ ომებს და თავის მხრივ აღმოცენდებიან ომებიდან, განაპირობებენ ერთიმეორეს, წარმოშობენ მშვიდობიანი და არამშვიდობიანი

ბრძოლის ფორმების ცვლილებას მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკის იმპერიალისტურ კავშირურთიერთობათა ერთსა და იმავე ნიადაგზე. ხოლო ბრძენთა ბრძენი კაუცკი, მუშები რომ დაამშვიდოს და შეარიგოს ბურჟუაზიის მხარეზე გადასულ სოციალ-შოვინისტებთან, სწყვეტს მთლიანი ჯაჭვის ერთ რგოლს მეორისაგან, სწყვეტს ყველა სახელმწიფოს დღევანდელ მშვიდობიან (და ულტრა-იმპერიალისტურ — თვით ულტრა-ულტრა-იმპერიალისტურ) კავშირს, ჩინეთის «დამშვიდებისაკენ» მიმართულს (გაიხსენეთ ბოქსიორთა აჯანყების[88] ჩახშობა), ხვალინდელი არამშვიდობიანი კონფლიქტისაგან, რომელიც ამზადებს ზეგ კვლავ «მშვიდობიან» საყოველთაო კავშირს, ვთქვათ, თურქეთის გასაყოფად და სხვ. და სხვ.. იმპერიალისტური მშვიდობის პერიოდებისა და იმპერიალისტურ ომთა პერიოდების ცოცხალი კავშირის ნაცვლად კაუცკი მუშებს სთავაზობს მკვდარ აბსტრაქციას, რათა შეარიგოს ისინი მათს მკვდარ ბელადებთან.

ამერიკელი ჰილი თავისი წიგნის — «დიპლომატიის ისტორია ევროპის საერთაშორისო განვითარებაში» — წინასიტყვაობაში სახავს დიპლომატიის უახლესი ისტორიის შემდეგ პერიოდებს: 1) რევოლუციის ერა; 2) კონსტიტუციური მოძრაობა; 3) ჩვენი დროის «სავაჭრო იმპერიალიზმის» ერა *. ხოლო ერთი მწერალი დიდი ბრიტანეთის «მსოფლიო პოლიტიკის» ისტორიას 1870 წლიდან ყოფს 4 პერიოდად: 1) პირველი აზიური (ბრძოლა რუსეთის მოძრაობის წინააღმდეგ შუა აზიაში ინდოეთის მიმართულებით); 2) აფრიკული (დაახლოებით 1885 — 1902) — ბრძოლა საფრანგეთთან აფრიკის განაწილებისათვის («ფაშოდა» 1898 — ბეწვზე ეკიდა ომი საფრანგეთთან); 3) მეორე აზიური (ხელშეკრულება იაპონიასთან რუსეთის წინააღმდეგ) და 4) «ევროპული» — უმთავრესად გერმანიის წინააღმდეგ **.

---

* David Jayne Hill: «A History of the Diplomacy in the international development of Europe»; vol. I, p. x (დავით ჯეინ ჰილი. «დიპლომატიის ისტორია ევროპის საერთაშორისო განვითარებაში», ტ. I, გვ. X. რედ.).

** Schilder, დასახ. თხზ., გვ. 178.

«მოწინავე რაზმთა პოლიტიკური შეტაკებანი ფინანსურ ნიადაგზე ხდება», წერდა ჯერ კიდევ 1905 წელს ბანკის «მოღვაწე» რისერი და მიუთითებდა იმაზე, თუ საფრანგეთის ფინანსური კაპიტალი, მოქმედებდა რა იტალიაში, როგორ ამზადებდა ამ ქვეყნების პოლიტიკურ კავშირს, როგორ ვითარდებოდა გერმანიისა და ინგლისის ბრძოლა სპარსეთის გამო, ევროპის ყველა კაპიტალის ბრძოლა ჩინეთისათვის სესხთა მიცემის გამო და სხვ.. აი იგი — ცოცხალი სინამდვილე «ულტრა-იმპერიალისტური» მშვიდობიანი კავშირებისა მათს განუყრელ კავშირში უბრალო-იმპერიალისტურ კონფლიქტებთან.

იმპერიალიზმის ყველაზე ღრმა წინააღმდეგობათა მიჩქმალვა კაუცკის მხრივ, რაც აუცილებლად იმპერიალიზმის შელამაზებად იქცევა, კვალს აჩნევს აგრეთვე ამ მწერლის მიერ იმპერიალიზმის პოლიტიკურ თვისებათა კრიტიკას. იმპერიალიზმი არის ეპოქა ფინანსური კაპიტალისა და მონოპოლიებისა, რომელთაც ყველგან მიაქვთ მისწრაფება ბატონობისადმი და არა თავისუფლებისადმი. რეაქცია მთელი ხაზით ყოველგვარი პოლიტიკური წესწყობილების დროს, წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავება ამ დარგშიც — ამ ტენდენციების შედეგია. განსაკუთრებით მწვავდება აგრეთვე ეროვნული ჩაგვრა და მისწრაფება ანექსიებისადმი, ე. ი. ეროვნული დამოუკიდებლობის დარღვევისადმი (ვინაიდან ანექსია სხვა არა არის რა, თუ არა ერთა თვითგამორკვევის დარღვევა). ჰილფერდინგი სამართლიანად აღნიშნავს იმპერიალიზმის კავშირს ეროვნული ჩაგვრის გამწვავებასთან: «რაც შეეხება ახლად აღმოჩენილ ქვეყნებს — წერს იგი — შეტანილი კაპიტალი იქ აძლიერებს წინააღმდეგობებს და იწვევს მოსულთა მიმართ იმ ხალხთა მუდმივ მზარდ წინააღმდეგობას, რომლებშიც იღვიძებს ეროვნული თვითშეგნება; ეს წინააღმდეგობა ადვილად შეიძლება გადაიქცეს უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ საშიშ ღონისძიებებად. ძირფესვიანად რევოლუციურდებიან ძველი სოციალური ურთიერთობანი, ირღვევა «გარეისტორიულ ერთა» ათასწლობითი აგრარული

განკერძოება, ისინი ებმებიან კაპიტალისტურ ორომტრიალში. დამორჩილებულთ თვით კაპიტალიზმი თანდათანობით აძლევს განთავისუფლების საშუალებებსა და ხერხებს. და ისინი აყენებენ იმ მიზანს, რომელიც ევროპულ ერებს ოდესღაც უმაღლეს მიზნად ჰქონდათ წარმოდგენილი: ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, როგორც ეკონომიური და კულტურული თავისუფლების იარაღისა. ეს მოძრაობა დამოუკიდებლობისაკენ ემუქრება ევროპულ კაპიტალს მის ყველაზე ძვირფას საექსპლოატაციო ოლქებში, რომლებიც იძლევიან ფრიად ბრწყინვალე პერსპექტივებს, და ევროპის კაპიტალს შეუძლია ბატონობის შენარჩუნება მხოლოდ თავისი სამხედრო ძალების მუდმივი გაძლიერებით» *.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ არა მარტო ახლად აღმოჩენილ, არამედ ძველ ქვეყნებშიც იმპერიალიზმს შედეგად მოსდევს ანექსიები, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება და, მაშასადამე, წინააღმდეგობის გამწვავებაც. კაუცკი ილაშქრებს იმპერიალიზმის მიერ პოლიტიკური რეაქციის გაძლიერების წინააღმდეგ, მაგრამ ჩრდილში ტოვებს განსაკუთრებით საარსებოდ გადაქცეულ საკითხს იმპერიალიზმის ეპოქაში ოპორტუნისტებთან ერთიანობის შეუძლებლობის შესახებ. იგი ილაშქრებს ანექსიების წინააღმდეგ, მაგრამ ისეთ ფორმას აძლევს თავის გალაშქრებას, რომელიც ყველაზე უწყინარია ოპორტუნისტებისათვის და ყველაზე ადვილად მისაღებია მათთვის. ის მიმართავს უშუალოდ გერმანულ აუდიტორიას და მიუხედავად ამისა აფუჩეჩებს სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანს და საჭირბოროტოს, მაგალითად, რომ ელზას-ლორენი გერმანიის ანექსიას წარმოადგენს. ავიღოთ მაგალითი კაუცკის ამ «აზრის გადახრის» შესაფასებლად. დავუშვათ, რომ იაპონელი გმობს ფილიპინების ანექსიას ამერიკელების მიერ. ისმება კითხვა, განა ბევრი დაიჯერებს, რომ ეს ხდება საერთოდ ანექსიებისადმი მტრობისა და არა იმ სურვილის გამო, რომ თვითონ მან მოახდინოს ფილიპინების ანექსია? და განა საჭი-

* «ფინანსური კაპიტალი», 487.

რო არ არის ვაღიაროთ, რომ იაპონელის «ბრძოლა» ანექსიების წინააღმდეგ გულწრფელ და პოლიტიკურად პატიოსან ბრძოლად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ილაშქრებს იაპონიის მიერ კორეის ანექსიის წინააღმდეგ, თუ იგი მოითხოვს იაპონიისაგან კორეის გამოყოფის თავისუფლებას?

იმპერიალიზმის თეორიული ანალიზიც კაუცკის მხრივ და მისი ეკონომიური და აგრეთვე პოლიტიკური კრიტიკაც იმპერიალიზმისა თ ა ვ ი დ ა ნ ბ ო ლ ო მ დ ე გამსჭვალულია ყველაზე ძირითად წინააღმდეგობათა მიჩქმალვისა და მიფუჩეჩების სულით, რაც აბსოლუტურად შეურიგებელია მარქსიზმთან, მისწრაფებით — რადაც უნდა დაჯდეს დაიცვას დარღვევის გზაზე მდგომი ერთიანობა ოპორტუნიზმთან ევროპის მუშათა მოძრაობაში.

X. იმპერიალიზმის ისტორიული ადგილი

ჩვენ დავინახეთ, რომ თავისი ეკონომიური დედაარსით იმპერიალიზმი არის მონოპოლისტური კაპიტალიზმი. უკვე ამით განისაზღვრება იმპერიალიზმის ისტორიული ადგილი, ვინაიდან მონოპოლია, რომელიც იზრდება თავისუფალი კონკურენციის ნიადაგზე და სახელდობრ თავისუფალი კონკურენციიდან, არის გადასვლა კაპიტალისტურიდან უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მონოპოლიების ოთხი უმთავრესი სახე ანუ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ოთხი უმთავრესი გამოხატულება, რომლებიც დამახასიათებელია ამ ეპოქისათვის.

ჯერ-ერთი, მონოპოლია წარმოიშვა წარმოების კონცენტრაციიდან მისი განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე. ესაა კაპიტალისტების მონოპოლისტური კავშირები, კარტელები, სინდიკატები, ტრესტები. ჩვენ ვნახეთ, თუ რა უდიდეს როლს თამაშობენ ისინი თანამედროვე სამეურნეო ცხოვრებაში. XX საუკუნის დამდეგისათვის ისინი სავსებით გაბატონდნენ მოწინავე ქვეყნებში, და თუ პირველი ნაბიჯები კარ-

ტელირების გზაზე უფრო ადრე განვლეს მაღალი მფარველობითი ტარიფების მქონე ქვეყნებმა (გერმანია, ამერიკა), ინგლისმა მისი თავისუფალი ვაჭრობის სისტემით მხოლოდ ცოტა უფრო გვიან გვიჩვენა იგივე ძირითადი ფაქტი: მონოპოლიების წარმოშობა წარმოების კონცენტრაციის ნიადაგზე.

მეორეც, მონოპოლიებმა გამოიწვიეს ნედლეულის უმნიშვნელოვანესი წყაროების გაძლიერებული დატაცება, განსაკუთრებით კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი, და ყველაზე კარტელირებული, მრეწველობისათვის: ქვანახშირისა და რკინის მრეწველობისათვის. ნედლი მასალის უმნიშვნელოვანესი წყაროების მონოპოლისტურმა მფლობელობამ დიდად გაზარდა მსხვილი კაპიტალის ძალაუფლება და გაამწვავა წინააღმდეგობა კარტელირებულ და არაკარტელირებულ მრეწველობას შორის.

მესამეც, მონოპოლია აღმოცენდა ბანკებიდან. უბრალო საშუამავლო დაწესებულებათა ნაცვლად ბანკები ფინანსური კაპიტალის მონოპოლისტებად იქცნენ. ყოველი უაღრესად მოწინავე კაპიტალისტური ერის რაღაც სამიოდ-ხუთიოდე უდიდესმა ბანკმა განახორციელა სამრეწველო და საბანკო კაპიტალის «პირადი უნია», მათ ხელში ჩაიგდეს განკარგულება მრავალი მილიარდისა, რაც შეადგენს მთელი ქვეყნის კაპიტალისა და ფულადი შემოსავლის უმეტეს ნაწილს. ფინანსური ოლიგარქია, რომელიც დამოკიდებულების ურთიერთობათა ხშირ ქსელში ახვევს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების უკლებლივ ყველა ეკონომიურ და პოლიტიკურ დაწესებულებას, — აი ამ მონოპოლიის ყველაზე მკაფიო გამოხატულება.

მეოთხეც, მონოპოლია აღმოცენდა კოლონიური პოლიტიკის ნიადაგზე. კოლონიური პოლიტიკის მრავალრიცხოვან «ძველ» მოტივებს ფინანსურმა კაპიტალმა მიუმატა ბრძოლა ნედლეულის წყაროებისათვის, კაპიტალის გატანისათვის, «გავლენის სფეროებისათვის» — ე. ი. ხელსაყრელ გარიგებათა, კონცესიების, მონოპოლისტური მოგებისა და სხვ. სფეროებისათვის — ბოლოს, საერთოდ სამეურნეო ტერიტორიისათვის.

როდესაც ევროპის სახელმწიფოებს თავიანთი კოლონიებით ეჭირათ, მაგალითად, აფრიკის ერთი მეათედი, როგორც ეს იყო ჯერ კიდევ 1876 წელს, მაშინ კოლონიური პოლიტიკა შეიძლებოდა არამონოპოლისტურად განვითარებულიყო მიწების, ასე ვთქვათ, «თავისუფალ-დატაცებითი» დაკავების ტიპისდა მიხედვით. მაგრამ როდესაც აფრიკის $^{9}/_{10}$ დატაცებული აღმოჩნდა (1900 წლისათვის), როდესაც მთელი მსოფლიო განაწილებული აღმოჩნდა, — აუცილებლობით დაიწყო ერა კოლონიების მონოპოლიური მფლობელობისა და, მაშასადამე, განსაკუთრებით გამწვავებული ბრძოლისაც მსოფლიოს განაწილებისა და გადანაწილებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად გაამწვავა მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობა. საკმარისია მივუთითოთ სიძვირეზე და ჩაგვრაზე კარტელების მხრივ. წინააღმდეგობათა ეს გამწვავება წარმოადგენს იმ გარდამავალი ისტორიული პერიოდის ყველაზე მძლავრ მამოძრავებელ ძალას, რომელიც დაიწყო მსოფლიო ფინანსური კაპიტალის საბოლოო გამარჯვების დროიდან.

მონოპოლიები, ოლიგარქია, ბატონობისაკენ მისწრაფება თავისუფლებისაკენ მისწრაფების ნაცვლად, ერთი მუჭა უმდიდრესი თუ უძლიერესი ერების მიერ სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის პატარა თუ სუსტი ერების ექსპლოატაცია — ყოველივე ამან წარმოშვა იმპერიალიზმის ის განმასხვავებელი თვისებანი, რომელნიც გვაიძულებენ დავახასიათოთ იგი როგორც პარაზიტული ან ლპობადი კაპიტალიზმი. სულ უფრო და უფრო მკვეთრად ისახება, როგორც იმპერიალიზმის ერთ-ერთი ტენდენცია, შექმნა «სახელმწიფო-რანტიესი», სახელმწიფო-მევახშისა, რომლის ბურჟუაზია სულ უფრო მეტად ცხოვრობს კაპიტალის გატანით და «კუპონების კრეჭით». შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ლპობისაკენ მიმართული ტენდენცია გამორიცხავს კაპიტალიზმის სწრაფ ზრდას; არა, მრეწველობის ცალკეული დარგები, ბურჟუაზიის ცალკეული ფენები, ცალკეული ქვეყნები იმპერიალიზმის ეპოქაში მეტი თუ ნაკლები ძალით ამოღავნებენ

ხან ერთ, ხან მეორე ამ ტენდენციათაგანს. მთლიანად, კაპიტალიზმი განუზომლად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე წინათ, მაგრამ ეს ზრდა არა მარტო უფრო უთანაბრო ხდება საერთოდ, არამედ უთანაბრობა მეღავნდება აგრეთვე კერძოდ კაპიტალით ყველაზე ძლიერი ქვეყნების (ინგლისი) ლპობაში.

გერმანიის ეკონომიური განვითარების სისწრაფეზე რისერი, გერმანიის დიდი ბანკების შესახებ დაწერილი გამოკვლევის ავტორი, შემდეგს ამბობს: «წინამორბედი ეპოქის (1848 — 1870) არცთუ ძალიან ნელი პროგრესი დაახლოებით ისევე შეეფარდება გერმანიის მთელი მეურნეობის და კერძოდ მისი ბანკების განვითარების სისწრაფეს ამ ეპოქაში (1870 — 1905), როგორც დალოცვილი ძველი დროის საფოსტო კარეტის მოძრაობის სისწრაფე შეეფარდება თანამედროვე ავტომობილის სისწრაფეს, რომელიც ისე მიქრის, რომ საშიში ხდება როგორც იმისათვის, ვინც უდარდელად მიდის ქვეითად, ისე თვით ავტომობილში მსხდომთათვისაც». თავის მხრივ ამ არაჩვეულებრივად სწრაფად გაზრდილ ფინანსურ კაპიტალს სწორედ იმიტომ, რომ იგი ასე სწრაფად გაიზარდა, არაფერი აქვს საწინააღმდეგო გადავიდეს იმ კოლონიების უფრო «მშვიდობიან» მფლობელობაზე, რომელთა უფრო მდიდარი ერების ხელიდან გამოტაცება უნდა მოხდეს არა მარტო მშვიდობიანი საშუალებებით. ხოლო შეერთებულ შტატებში ეკონომიური განვითარება უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე გერმანიაში, და სწორედ ამის მ ე ო ხ ე ბ ი თ ამერიკის უახლესი კაპიტალიზმის პარაზიტული თვისებები განსაკუთრებით მკაფიოდ გამომეღავნდა. მეორე მხრივ, თუნდაც ამერიკის რესპუბლიკური ბურჟუაზიის შედარება იაპონიის ან გერმანიის მონარქისტულ ბურჟუაზიასთან გვიჩვენებს, რომ უდიდესი პოლიტიკური განსხვავება უაღრესად სუსტდება იმპერიალიზმის ეპოქაში — იმიტომ კი არა, რომ იგი საერთოდ მნიშვნელოვანი არ იყოს, არამედ იმიტომ, რომ ყველა ამ შემთხვევაში ლაპარაკია პარაზიტიზმის გარკვეული თვისებების მქონე ბურჟუაზიაზე.

მონოპოლიურად-დიდი მოგების მიღება მრეწველობის მრავალ დარგთაგან ერთი დარგის, მრავალ ქვეყანათაგან ერთი ქვეყნის და სხვ. კაპიტალისტების მიერ ეკონომიურ შესაძლებლობას აძლევს მათ მოისყიდონ მუშათა ცალკე ფენები, ხოლო დროებით მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი უმცირესობაც, გადმოიბირონ ისინი ამა თუ იმ დარგის ან ამა თუ იმ ერის ბურჟუაზიის მხარეზე ყველა დანარჩენის წინააღმდეგ. ამ მისწრაფებას აძლიერებს იმპერიალისტური ერების გაძლიერებული ანტაგონიზმი მსოფლიოს განაწილების გამო. ასე იქმნება იმპერიალიზმის კავშირი ოპორტუნიზმთან, კავშირი, რომელმაც ყველაზე ადრე და ყველაზე მკაფიოდ თავი იჩინა ინგლისში იმის გამო, რომ განვითარების ზოგიერთი იმპერიალისტური თვისება აქ ბევრად უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ზოგიერთ მწერალს, მაგალითად ლ. მარტოვს, უყვარს იმ ფაქტის გვერდის ავლა, რომ იმპერიალიზმს კავშირი აქვს ოპორტუნიზმთან მუშათა მოძრაობაში — ფაქტისა, რომელიც ახლა განსაკუთრებით ძლიერად გვეცემა თვალში, — ამგვარ «კაზიონურ-ოპტიმისტურ» (კაუცკისა და ჰიუისმანსის ყაიდის) მსჯელობათა საშუალებით: კაპიტალიზმის მოწინააღმდეგეთა საქმე უიმედო იქნებოდა, რომ სწორედ მოწინავე კაპიტალიზმი იწვევდეს ოპორტუნიზმის გაძლიერებას ანდა ოპორტუნიზმისადმი მიდრეკილება ჰქონდეთ სწორედ იმ მუშებს, რომლებიც ყველაზე უკეთეს გასამრჯელოს იღებენო და ა. შ.. არ უნდა მოვტყუვდეთ ასეთი «ოპტიმიზმის» მნიშვნელობის გამო: ეს არის ოპტიმიზმი ოპორტუნიზმის მიმართ, ეს არის ოპტიმიზმი, რომელიც ემსახურება ოპორტუნიზმის დაფარვას. ნამდვილად კი ოპორტუნიზმის განვითარების განსაკუთრებული სისწრაფე და განსაკუთრებული სისაზიზღრე სრულიადაც არ წარმოადგენს მისი მტკიცე გამარჯვების გარანტიას, ისე როგორც ავთვისებიანი მუწუკის სწრაფ განვითარებას ჯანსაღ ორგანიზმზე შეუძლია მხოლოდ დააჩქაროს მუწუკის გასკდომა, ორგანიზმის განთავისუფლება მისგან. ამ მხრივ ყველაზე საშიში არიან ის ადამიანები, რომლებსაც არ სურთ გაიგონ, რომ იმპერიალიზმთან ბრძოლა, თუ იგი

განუყრელად არ არის დაკავშირებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, არის ცარიელი და ყალბი ფრაზა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან იმპერიალიზმის ეკონომიური დედაარსის შესახებ გამომდინარეობს, რომ საჭირო ხდება მისი დახასიათება, როგორც გარდამავალი ანუ, უფრო სწორად, მომაკვდავი კაპიტალიზმისა. ამ მხრივ მეტისმეტად საგულისხმოა, რომ იმ ბურჟუაზიული ეკონომისტების გაცვეთილ სიტყვებს, რომლებიც აღწერენ უახლეს კაპიტალიზმს, წარმოადგენს: «გადახლართვა», «იზოლირების უქონლობა» და ა. შ.; ბანკები ისეთი «დაწესებულებებია, რომლებსაც თავიანთი ამოცანებით და თავიანთი განვითარებით არა აქვთ წმინდა კერძო-მეურნეობრივი ხასიათი, არამედ სულ უფრო იზრდებიან წმინდა კერძო-მეურნეობრივი მოწესრიგების ნიადაგზე». და იგივე რისერი, რომელსაც ეკუთვნის ეს უკანასკნელი სიტყვები, უაღრესად სერიოზული სახით აცხადებს: მარქსისტების «წინასწარმეტყველება» «განსაზოგადოების» შესახებ «არ განხორციელდაო»!

რას გამოხატავს ეს სიტყვა «გადახლართვა»? იგი აღნიშნავს ჩვენ წინ მიმდინარე პროცესის მხოლოდ ყველაზე მეტად შესამჩნევ პაწაწა მხარეს. იგი გვიჩვენებს, რომ მეთვალყურე თვლის ცალკე ხეებს და ტყეს კი ვერ ამჩნევს. იგი მონურად გადმოიღებს გარეგანს, შემთხვევითს, ქაოსურს. იგი ააშკარავებს, რომ მეთვალყურე ისეთი კაცია, რომელსაც თავი ვერ გაურთმევია ნედლი მასალისათვის და სრულიად ვერ ერკვევა მის აზრსა და მნიშვნელობაში. «შემთხვევით გადაეხლართება» ერთმანეთს აქციების მფლობელობა, კერძო მესაკუთრეთა ურთიერთობა. მაგრამ ის, რაც სარჩულად უდევს ამ გადახლართვას, — ის, რაც მის საფუძველს შეადგენს, არის წარმოების ცვალებადი საზოგადოებრივი ურთიერთობა. როდესაც მსხვილი საწარმო გიგანტური ხდება და გეგმაშეწონილად, მასობრივ მონაცემთა ზუსტი აღრიცხვის საფუძველზე, აწყობს პირველადი ნედლი მასალის მიწოდებას იმის $^2/_3$-ის ან $^3/_4$-ის რაოდენობით, რაც ესაჭიროებათ მოსახლეობის ათეულ მილიონებს; როდესაც სისტემატურად

ეწყობა ამ ნედლეულის გადაზიდვა წარმოების ყველაზე ხელსაყრელ პუნქტებში, რომლებიც ზოგჯერ ასეულ და ათასეულ ვერსობით არიან ერთიმეორეს დაშორებულნი; როდესაც ერთი ცენტრიდან განაგებენ მასალის თანმიმდევრობითი დამუშავების ყველა სტადიას, ვიდრე მთელი რიგი სხვადასხვაგვარი მზა პროდუქტების მიღებამდე; როდესაც ამ პროდუქტების განაწილება ხდება ერთი გეგმით ათეულ და ასეულ მილიონობით მომხმარებლებს შორის (ნავთის გასაღება ამერიკაშიც და გერმანიაშიც ამერიკის «ნავთის ტრესტის» მიერ); — მაშინ აშკარა ხდება, რომ ჩვენ წინაშეა წარმოების განსაზოგადოება და სრულიადაც არა უბრალო «გადახლართვა»; — რომ კერძო-მეურნეობრივი და კერძო-მესაკუთრული ურთიერთობა შეადგენს გარსს, რომელიც აღარ შეეფერება შინაარსს, რომელიც აუცილებლად უნდა დალპეს, თუ ხელოვნურად გავახანგრძლივებთ მის მოშორებას, — რომელსაც შეუძლია შედარებით დიდხანს დარჩეს ლპობად მდგომარეობაში (თუ საქმე ცუდად წავიდა, თუ ოპორტუნისტული მუწუკისაგან განკურნება გაჭიანურდა), მაგრამ რომელიც მაინც აუცილებლად თავიდან მოშორებული იქნება.

გერმანიის იმპერიალიზმის აღტაცებული თაყვანისმცემელი შულცე-გევერნიცი გაჰკივის:

«თუ საბოლოო ანგარიშით გერმანიის ბანკების ხელმძღვანელობა თორმეტიოდე პიროვნების ხელშია, მაშინ მათი მოღვაწეობა უკვე ახლა უფრო მნიშვნელოვანია ხალხის სიკეთისათვის, ვიდრე სახელმწიფო მინისტრების უმრავლესობის მოღვაწეობა» (ბანკის მოღვაწეების, მინისტრების, მრეწველთა, რანტიეთა «გადახლართვაზე» აქ უფრო ხელსაყრელია დაივიწყო...) ... «თუ ბოლომდე ჩავუკვირდებით იმ ტენდენციების განვითარებას, რომლებიც ჩვენ დავინახეთ, მაშინ მივიღებთ: ერის ფულადი კაპიტალი გაერთიანებულია ბანკებში; ბანკები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან კარტელის სახით; ერის კაპიტალი, რომელიც ცდილობს სადმე ღაბანდდეს, ფასიან ქაღალდებად გადაიქცა. მაშინ ხორციელდება სენ-სიმონის გენიალური სიტყვები: «წარმოების ახლან-

დელმა ანარქიამ, რომელიც შეესაბამება იმ ფაქტს, რომ ეკონომიური ურთიერთობა ვითარდება ერთგვაროვანი მოწესრიგების გარეშე, ადგილი უნდა დაუთმოს წარმოების ორგანიზაციას. წარმოების წარმმართველნი იქნებიან არა განკერძოებული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეწარმენი, რომლებიც არ იცნობენ ადამიანთა ეკონომიურ მოთხოვნილებებს; ეს საქმე განსაზღვრული სოციალური დაწესებულების ხელში იქნება. მმართველობის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც შესაძლებლობა ექნება განიხილოს სოციალური ეკონომიის ფართო დარგი უფრო მაღალი თვალსაზრისით, ისე მოაწესრიგებს მას, როგორც ეს სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის, და წარმოების საშუალებებს გადასცემს ამისათვის შესაფერ პირთა ხელში, განსაკუთრებით კი იზრუნებს მუდმივ ჰარმონიაზე წარმოებასა და მოხმარებას შორის. არიან დაწესებულებანი, რომლებმაც სამეურნეო შრომის განსაზღვრული ორგანიზაცია თავიანთი ამოცანების წრეში მოაქციეს: ბანკები». ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ სენ-სიმონის ამ სიტყვების განხორციელებისაგან, მაგრამ ჩვენ უკვე ვდგავართ მათი განხორციელების გზაზე: ესაა მარქსიზმი სხვაგვარი, ვიდრე იგი წარმოდგენილი ჰქონდა მარქსს, მაგრამ სხვაგვარი მხოლოდ ფორმით» *.

მარქსის კარგი «გაბათილება» კი არის, თქმა არ უნდა, «გაბათილება», რომელიც მარქსის ზუსტი მეცნიერული ანალიზიდან ნაბიჯს დგამს უკან, სენ-სიმონის მიხვედრისაკენ — თუმცა გენიალური, მაგრამ მაინც მხოლოდ მიხვედრისაკენ.

---

* Grundriss der Sozialoekonomik, 146 («სოციალური ეკონომიკის საფუძვლები». რ ე დ.).

. იუნიუსის ბროშურის შესახებ

როგორც იქნა, გერმანიაში არალეგალურად, ბილწი იუნკრული ცენზურისადმი შეუგუებლად, გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული ბროშურა, მიძღვნილი ომის საკითხებისადმი! ავტორს, რომელიც, ჩანს, პარტიის «მემარცხენე-რადიკალურ» ფრთას ეკუთვნის, ხელი მოუწერია ასე: «იუნიუსი»[89] (რაც ლათინურად ნიშნავს: უმცროსი) და თავისი ბროშურისათვის დაურქმევია: «სოციალ-დემოკრატიის კრიზისი». დამატებად დაბეჭდილია ის «თეზისები საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ», რომლებიც უკვე წარდგენილი იყო ბერნის ი. ს. კ-ში (ინტერნაციონალურ სოციალისტურ კომისიაში) და დაბეჭდილია ამ კომისიის ბიულეტენის მე-3 ნომერში; თეზისები ეკუთვნის «ინტერნაციონალის» ჯგუფს, რომელმაც 1915 წ. გაზაფხულზე ამავე სათაურით გამოსცა ჟურნალის ერთი ნომერი (ცეტკინის, მერინგის, რ. ლუქსემბურგის, ტალჰეიმერის, დუნკერის, შტრებელისა და სხვათა სტატიებით), ხოლო 1915 — 1916 წ. ზამთარში გამართა გერმანიის ყოველი კუთხის სოციალ-დემოკრატების თათბირი[90], რომელმაც ეს თეზისები მიიღო.

ბროშურა, როგორც აღნიშნავს ავტორი 1916 წ. 2 იანვრით დათარიღებულ შესავალში, დაწერილია 1915 წ. აპრილში და დაიბეჭდა «სრულიად უცვლელად». ბროშურის უფრო ადრე გამოცემას ხელი შეუშალა «გარეშე პირობებმა». ბროშურა ეხება არა იმდენად «სოციალ-დემოკრატიის კრიზისს», რამდე-

ნადაც ომის ანალიზს, მისი განმათავისუფლებელი, ეროვნული ხასიათის შესახებ გავრცელებული ლეგენდის უარყოფას, იმის დამტკიცებას, რომ ეს არის იმპერიალისტური ომი გერმანიის მხრივაც და სხვა დიდი სახელმწიფოების მხრივაც; მასში მოცემულია აგრეთვე ოფიციალური პარტიის მოქმედების რევოლუციური კრიტიკა. იუნიუსის ბროშურამ, ფრიად ცოცხლად დაწერილმა, უეჭველად დიდი როლი ითამაშა და კვლავაც ითამაშებს ბრძოლაში გერმანიის ყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ბურჟუაზიისა და იუნკრების მხარეზე გადავიდა, და ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით ავტორს.

რუს მკითხველს, რომელიც იცნობს საზღვარგარეთ 1914 — 1916 წლებში რუსულად დაბეჭდილ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას, იუნიუსის ბროშურა პრინციპულად ახალს არაფერს აძლევს. როდესაც ამ ბროშურას კითხულობ და გერმანელი რევოლუციური მარქსისტის არგუმენტებს უპირისპირებ იმას, რაც, მაგალითად, მოცემული იყო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში (1914 წ. სექტემბერი — ნოემბერი) *, ბერნის რეზოლუციებში (1915 წ. მარტი) ** და მათს მრავალრიცხოვან კომენტარებში, რწმუნდები მხოლოდ იმაში, რომ იუნიუსის არგუმენტები მეტად არასრულია და მას ორი შეცდომა აქვს დაშვებული. ვუძღვნით რა სტატიის შემდგომ ნაწილს იუნიუსის ნაკლთა და შეცდომათა კრიტიკას, განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ამას ჩვენ ჩავდივართ მარქსისტებისათვის თვითკრიტიკისა და იმ შეხედულებათა ყოველმხრივი შემოწმების აუცილებლობის გამო, რომლებიც III ინტერნაციონალის იდეურ ბაზად უნდა გადაიქცნენ.. იუნიუსის ბროშურა საერთოდ და მთლიანად — საუცხოო მარქსისტული ნაშრომია, და სავსებით შესაძლებელია, რომ მისი ნაკლოვანებები ერთგვარად შემთხვევითი ხასიათისა იყოს.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 13 — 24. რ ე დ.

** იქვე, გვ. 180 — 187. რ ე დ.

იუნიუსის ბროშურის უმთავრესი ნაკლი და ლეგალურ (თუმცაღა გამოსვლისთანავე აკრძალულ) ჟურნალ «ინტერნაციონალთან» შედარებით პირდაპირი უკანდახევა ისაა, რომ ბროშურაში არაფერია ნათქვამი კავშირზე სოციალ-შოვინიზმსა (ავტორი არ ხმარობს არც ამ ტერმინს, არც ამაზე უფრო ნაკლებად ზუსტ გამოთქმას — სოციალ-პატრიოტიზმს) და ოპორტუნიზმს შორის. ავტორი სავსებით მართებულად ლაპარაკობს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის «კაპიტულაციასა» და კრახზე, მისი «ოფიციალური ბელადების» «ღალატზე», მაგრამ ის ამაზე შორს არ მიდის. ამავე დროს კი ჟურნალმა «ინტერნაციონალმა» უკვე მოგვცა «ცენტრის», ე. ი. კაუცკელობის, კრიტიკა, სავსებით სამართლიანად სიცილი დააყარა მის უხასიათობას, მის მიერ მარქსიზმის გათახსირებას, ოპორტუნისტების წინაშე ლაქიობას. და იმავე ჟურნალმა დ ა ი წ ყ ო ოპორტუნისტების ნამდვილი როლის მხილება, — მაგალითად, გამოაქვეყნა უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ 1914 წ. 4 აგვისტოს ოპორტუნისტები გამოცხადდნენ ულტიმატუმით, გამზადებული გადაწყვეტილებით — ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ შემთხვევაში ხმა მიეცათ კრედიტების ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. არც იუნიუსის ბროშურაში, არც თეზისებში არაფერი ა რ ა რ ი ს ნათქვამი არც ოპორტუნიზმზე, არც კაუცკელობაზე! ეს თეორიულად არასწორია, ვინაიდან შეუძლებელია «ღალატის» ა ხ ს ნ ა, თუ იგი არ დაუკავშირე ოპორტუნიზმს, როგორც ისეთ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს, რომელსაც გრძელი ისტორია აქვს, ისტორია მთელი II ინტერნაციონალისა. ეს პრაქტიკულ-პოლიტიკურად შეცდომაა, ვინაიდან ვერც გაიგებთ და ვერც დასძლევთ «სოციალ-დემოკრატიის კრიზისს», თუ არ გამოარკვევთ ო რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს მნიშვნელობასა და როლს: აშკარად ოპორტუნისტულისა (ლეგინი, დავიდი და სხვ.) და ფარულად ოპორტუნისტულისას (კაუცკი და კომპ.). ეს უკან გადადგმული ნაბიჯია, მაგალითად, 1916 წ. 12 იანვარს «Vorwärts»-ში * მოთავსებულ ოტო რიულეს ისტორიულ სტატიასთან შედარებით,

* — «წინ». რ ე დ.

სადაც იგი პირდაპირ, აშკარად ამტკიცებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის აუცილებლობას («Vorwärts»-ის რედაქციამ მას უპასუხა მოშაქრული და ფარისეველური კაუცკური ფრაზების გამეორებით და არსებითად ვერც ერთი საბუთი ვერ წამოაყენა იმის წინააღმდეგ, რომ სინამდვილეში უკვე ორი პარტია არსებობს და რომ მათი შერიგება შეუძლებელია). ეს საოცრად არათანმიმდევრულია, ვინაიდან «ინტერნაციონალის» მე-12 თეზისში პირდაპირ არის ნათქვამი «ახალი» ინტერნაციონალის შექმნის აუცილებლობის შესახებ «ხელმძღვანელი ქვეყნების სოციალისტური პარტიების ოფიციალურ წარმომადგენელთა» «ღალატისა» და «ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური პოლიტიკის ნიადაგზე გადასვლის» გამო. ცხადია, ლაპარაკი «ახალ» ინტერნაციონალში გერმანიის ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ან ისეთი პარტიის მონაწილეობაზე, რომელიც ურიგდება ლეგინებს, დავიდებსა და კომპანიას, პირდაპირ სასაცილოა.

ჩვენ არ ვიცით, რით აიხსნება «ინტერნაციონალის» ჯგუფის ეს უკან გადადგმული ნაბიჯი. უდიდესი ნაკლი მთელი რევოლუციური მარქსიზმისა გერმანიაში ისაა, რომ იქ არ არსებობს მტკიცედ შეკავშირებული არალეგალური ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს სისტემატურად გაატაროს თავისი ხაზი და აღზარდოს მასები ახალ ამოცანათა მიხედვით: ასეთ ორგანიზაციას გარკვეული პოზიცია უნდა დაეჭირა ოპორტუნიზმის მიმართაც და კაუცკელობის მიმართაც. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ გერმანიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს ახლა წართმეული აქვთ ორი უკანასკნელი ყოველდღიური გაზეთი: ბრემენისა («Bremer Bürger-Zeitung» [91]) და ბრაუნშვეიგისა («Volksfreund» [92]); ორივე გაზეთი კაუცკელების ხელში გადავიდა. მხოლოდ «გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტების» (I. S. D.) ჯგუფი ყველასათვის ცხადად და გარკვეულად რჩება თავის პოსტზე.

«ინტერნაციონალის» ჯგუფის ზოგიერთი წევრი, ჩანს, კვლავ ჩაეფლო უპრინციპო კაუცკელობის ჭაობში. მაგალი-

თად, შტრებელი იქამდე მივიდა, რომ «Neue Zeit»-ში * ელა-ქუცებოდა ბერნშტეინსა და კაუცკის! ხოლო სულ ახლახან, 1916 წ. 15 ივლისს, მან გაზეთებში მოათავსა სტატია «პაციფიზმი და სოციალ-დემოკრატია», რომელშიც ყოვლად უხამს კაუცკისებურ პაციფიზმს იცავდა. რაც შეეხება იუნიუსს, იგი მეტად გადაჭრით ილაშქრებს კაუცკელთა პროექტერობის წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატება «განიარაღების», «საიდუმლო დიპლომატიის მოსპობის» და სხვ. მოთხოვნაში. შესაძლებელია, «ინტერნაციონალის» ჯგუფში ორი მიმდინარეობა იყოს: რევოლუციური და კაუცკელობისადმი მიდრეკილების მქონე.

იუნიუსის მცდარ დებულებათაგან პირველი ჩამოყალიბებულია «ინტერნაციონალის» ჯგუფის მე-5 თეზისში:... «ამ აღვირახსნილი იმპერიალიზმის ეპოქაში (ერაში) შეუძლებელია კიდევ იყოს რაიმე ეროვნული ომები. ეროვნული ინტერესები მხოლოდ მოტყუების იარაღია, რათა მშრომელი ხალხის მასები ჩააბან მათი მოსისხლე მტრის, იმპერიალიზმის სამსახურში»... დასაწყისი მე-5 თეზისისა, რომელიც თავდება მოყვანილი დებულებით, მიძღვნილია ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ომის, როგორც იმპერიალისტური ომის, დახასიათებისადმი. შესაძლებელია, ეროვნული ომების უარყოფა საერთოდ ან უყურადღებობის შედეგია ანდა შემთხვევითი გატაცება იმ სავსებით სწორი აზრის ხაზგასმით აღნიშვნის დროს, რომ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ომი იმპერიალისტურია და არა ეროვნული. მაგრამ ვინაიდან შესაძლოა პირიქითაც იყოს, ვინაიდან ზოგჯერ სხვადასხვა სოციალ-დემოკრატები შეცდომით უარყოფენ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ეროვნულ ომს, იმის გამო, რომ ა ხ ლ ა ნ-დ ე ლ ი ომი უსაფუძვლოდ წარმოუდგენიათ როგორც ეროვნული ომი, — ამიტომ შეუძლებელია ამ შეცდომაზე არ შევჩერდეთ.

იუნიუსი სავსებით მართალია, როდესაც ხაზს უსვამს ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ომში «იმპერიალისტური გარემოს» გადა-

* — «ახალი დროება». რ ე დ.

მწყვეტ გავლენას, როდესაც ლაპარაკობს, რომ სერბიის ზურგს უკან რუსეთი დგას, «სერბიული ნაციონალიზმის ზურგს უკან რუსეთის იმპერიალიზმი დგას», რომ ომში, მაგალითად, ჰოლანდიის მონაწილეობაც ასევე იმპერიალისტური იქნებოდა, ვინაიდან იგი, ჯერ-ერთი, დაიცავდა თავის კოლონიებს და, მეორეც, ერთ-ერთი იმპერიალისტური კოალიციის მოკავშირე იქნებოდა. ეს უდავოა — ახლანდელი ომის მიმართ. და როდესაც იუნიუსი ამასთან განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რაც მისთვის პირველ რიგშია მნიშვნელოვანი: ბრძოლას «ეროვნული ომის ფანტომთან», «რომელიც ამჟამად ბატონობს სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკაზე» (გვ. 81), არ შეიძლება მისი მსჯელობა სწორ და სავსებით შესაფერის მსჯელობად არ მივიჩნიოთ.

შეცდომა იქნებოდა მხოლოდ ის, რომ გაგვეზვიადებინა ეს ჭეშმარიტება, გადაგვეხვია მარქსისტული მოთხოვნისაგან — ვიყოთ კონკრეტულნი, გადაგვეტანა ახლანდელი ომის შეფასება იმპერიალიზმის დროს შესაძლებელ ყოველგვარ ომზე, უგულებელგვეყო იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული მოძრაობანი. ერთადერთ საბუთს შემდეგი თეზისის დასაცავად: «ეროვნული ომები უკვე შეუძლებელია» წარმოადგენს ის, რომ მსოფლიო განაწილებულია ერთ მუჭა «დიდ» იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, რომ ამიტომ ყოველი ომი, თუნდაც იგი დასაწყისში ეროვნული იყოს, იმპერიალისტურ ომად იქცევა, რადგან ბღალავს ერთ-ერთი რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფოს თუ კოალიციის ინტერესებს (იუნიუსის ბროშურის 81 გვ.).

ამ საბუთის უმართებულობა აშკარაა. რა თქმა უნდა, მარქსისტული დიალექტიკის ძირითადი დებულება ისაა, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში ყველა ზღვარი პირობითი და მოძრავია, რომ არ არსებობს არც ერთი მოვლენა, რომელიც არ შეიძლებოდეს, განსაზღვრულ პირობებში, თავის დაპირისპირებულობად გადაიქცეს. ეროვნული ომი შეიძლება იმპერიალისტურ ომად იქცეს და პირიქით. მაგალითი: საფრანგეთის დიდი რევოლუციის ომები დაიწყო როგორც

ეროვნული ომები და ასეთებიც იყო. ეს ომები რევოლუციური იყო: დიდი რევოლუციის დაცვა კონტრრევოლუციურ მონარქიათა კოალიციის წინააღმდეგ. ხოლო როდესაც ნაპოლეონმა საფრანგეთის იმპერია შექმნა და ევროპის მთელი რიგი ძველთაგანვე ჩამოყალიბებული, დიდი, სიცოცხლისუნარიანი ეროვნული სახელმწიფოები დაიმონა, მაშინ საფრანგეთის ეროვნული ომები იმპერიალისტურ ომებად გადაიქცნენ და მათ თ ა ვ ი ს მ ხ რ ი ვ გამოიწვიეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები ნაპოლეონის იმპერიალიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

მხოლოდ სოფისტს თუ შეუძლია იმპერიალისტურ ომსა და ეროვნულ ომს შორის არსებული განსხვავება უკუაგდოს იმ მოსაზრებით, რომ ერთი სახის ომი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მეორე სახის ომად იქცეს. დიალექტიკა არა ერთხელ გამოუყენებიათ — ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაშიც — ხიდად სოფისტიკისაკენ. მაგრამ ჩვენ დიალექტიკოსებად ვრჩებით და ვებრძვით სოფიზმებს არა საერთოდ ყოველგვარ გადაქცევათა შესაძლებლობის უარყოფით, არამედ მ ო ც ე მ უ ლ ი ს კონკრეტული ანალიზით მის გარემოსა და განვითარებაში.

რომ ახლანდელი, 1914 — 1916 წწ., იმპერიალისტური ომი ეროვნულ ომად გადაიქცეს, ეს უაღრესად წარმოუდგენელია, ვინაიდან იმ კლასს, რომელიც თაოსნობს განვითარებას წ ი ნ ს ვ ლ ი ს ა კ ე ნ, წარმოადგენს პროლეტარიატი, ის კი ობიექტურად ცდილობს ეს ომი გადააქციოს სამოქალაქო ომად ბურჟუაზიის წინააღმდეგ; აგრეთვე იმიტომაც, რომ ორივე კოალიციის ძალები არცთუ ისე მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და საერთაშორისო ფინანსურმა კაპიტალმა ყველგან შექმნა რეაქციული ბურჟუაზია. მაგრამ არ შეიძლება ასეთი გადაქცევა შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ა დ მივიჩნიოთ: ე ვ რ ო პ ი ს პროლეტარიატი რ ო მ 20 წლით დაუძლურებული აღმოჩნდეს; ახლანდელი ომი ნაპოლეონისებური გამარჯვებებით და მთელ რიგ სიცოცხლისუნარიან ეროვნულ სახელმწიფოთა დამონებით რ ო მ დ ა მ თ ა ვ რ დ ე ს; ევროპისგარეშე იმპერიალიზმმა (უწინარეს ყოვლისა იაპონურმა და ამერიკულმა) ასევე 20 წელს რ ო მ გაძლოს ისე, რომ სო-

ციალიზმზე არ გადავიდეს, მაგალითად, იაპონია-ამერიკის ომის გამო, მაშინ ევროპაში შესაძლებელი იქნებოდა დიდი ეროვნული ომი. ეს იქნებოდა ევროპის უ კ უ ს ვ ლ ი თ ი განვითარება რამდენიმე ათეული წლით. ეს არაა მოსალოდნელი. მაგრამ ეს ა რ ც შეუძლებელია, ვინაიდან მსოფლიო ისტორიის წარმოდგენა ისე, რომ იგი მიიმართება წინ მშვიდად და წესიერად, არ აკეთებს ზოგჯერ უზარმაზარ ნახტომებს უკან, არადიალექტიკურია, არამეცნიერული და თეორიულად უმართებულო.

შემდეგ. არა მარტო მოსალოდნელი, არამედ გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ც არის იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნული ომები კოლონიათა და ნახევრად-კოლონიათა მხრივ. კოლონიებსა და ნახევრად-კოლონიებში (ჩინეთი, თურქეთი, სპარსეთი) ცხოვრობს 1 000 მილიონამდე კაცი, ე. ი. მთელი დედამიწის მოსახლეობის ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მ ე ტ ი. იქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ან უკვე მეტად ძლიერია, ან იზრდება და მწიფდება. ყოველი ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით. კოლონიათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკის გაგრძელება ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ იქნება მათი ეროვნული ომები იმპერიალიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ასეთ ომებს შ ე ი ძ ლ ე ბ ა ახლანდელი «დიდი» იმპერიალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტური ომი მოჰყვეს, მაგრამ შეიძლება არც მოჰყვეს, ეს მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული.

მაგალითი: ინგლისი და საფრანგეთი შვიდწლიანი ომის დროს კოლონიებისათვის იბრძოდნენ, ე. ი. აწარმოებდნენ იმპერიალისტურ ომს (რომელიც შესაძლებელია მონობის საფუძველზეც, პრიმიტიული კაპიტალიზმის საფუძველზეც, ისე როგორც მაღალგანვითარებული კაპიტალიზმის თანამედროვე საფუძველზე). საფრანგეთი დამარცხებულია და კარგავს თავის კოლონიათა ნაწილს. რამდენიმე წლის შემდეგ იწყება ჩრდილოეთ ამერიკის შტატების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი მარტო ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთი და ესპანეთი, რომლებიც თვითონვე განაგრძობენ ახლანდელი

შეერთებული შტატების ნაწილთა ფლობას, ინგლისისადმი მტრობის გამო, ე. ი. თავიანთი იმპერიალისტური ინტერესების გულისათვის, სამეგობრო ხელშეკრულებას სდებენ ინგლისის წინააღმდეგ აჯანყებულ შტატებთან. საფრანგეთის ჯარები ამერიკელთა ჯარებთან ერთად ამარცხებენ ინგლისელებს. ჩვენ წინაშეა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი, და აქ იმპერიალისტური მეტოქეობა მეორეხარისხოვანი ელემენტია, რომელსაც სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს, — საწინააღმდეგო იმისა, რასაც 1914 — 1916 წწ. ომში ვხედავთ (ავსტრია-სერბიის ომში ეროვნულ ელემენტს სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს ყოვლისგანმსაზღვრელ იმპერიალისტურ მეტოქეობასთან შედარებით). აქედან ჩანს, თუ რა უაზრობა იქნებოდა იმპერიალიზმის ცნების შაბლონურად გამოყენება, — მისგან ეროვნული ომების «შეუძლებლობის» გამოყვანა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი, მაგალითად, სპარსეთის, ინდოეთის და ჩინეთის კავშირისა ამა თუ იმ იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია, ვინაიდან იგი ამ ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან გამომდინარეობს, ამასთან ასეთი ომის გადაქცევა თანამედროვე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იმპერიალისტურ ომად დამოკიდებული იქნება ძალიან ბევრ კონკრეტულ გარემოებაზე, რომელთა დადგომის თავდებობა სასაცილო იქნებოდა.

მესამეც, ევროპაშიც კი არ შეიძლება იმპერიალიზმის ეპოქის დროს შეუძლებლად მივიჩნიოთ ეროვნული ომები. «იმპერიალიზმის ეპოქამ» ახლანდელი ომი იმპერიალისტურ ომად აქცია; იგი აუცილებლობით წარმოშობს (ვიდრე სოციალიზმი არ დამდგარა) ახალ იმპერიალისტურ ომებს; მან ერთიანად იმპერიალისტური გახადა ახლანდელი დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა, მაგრამ ეს «ეპოქა» სრულიადაც არ გამორიცხავს, მაგალითად, მცირე (ვთქვათ, ანექსირებულ ან ეროვნულად ჩაგრულ) სახელმწიფოთა ეროვნულ ომებს იმპერიალისტური სახელმწიფოების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ისე როგორც იგი არ გამორიცხავს დიდი მასშტაბის ეროვნულ მოძრაობებს აღმო-

სავლეთ ევროპაში. ავსტრიის შესახებ, მაგალითად, იუნიუსი ძალიან საღად მსჯელობს, როდესაც ითვალისწინებს არა მარტო «ეკონომიურ», არამედ თავისებურ პოლიტიკურ ვითარებასაც, აღნიშნავს «ავსტრიის შინაგან უსიცოცხლობას», როდესაც აღიარებს, რომ «ჰაბსბურგთა მონარქია არის არა ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია, არამედ მხოლოდ სუსტად შეკოწიწებული სინდიკატი საზოგადოებრივ პარაზიტთა რამდენიმე ხროვისა», და რომ «ავსტრია-უნგრეთის ლიკვიდაცია ისტორიულად მხოლოდ განგრძობაა თურქეთის რღვევისა და მასთან ერთად განვითარების ისტორიული პროცესის მოთხოვნას წარმოადგენს». ბალკანეთის ზოგიერთი სახელმწიფოს და რუსეთის საქმე ამ მხრივ უკეთესად ვერ არის. და იმ პირობით, თუ ახლანდელ ომში «დიდი» სახელმწიფოები ძალიან დასუსტდნენ, ან თუ რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა, სავსებით შესაძლებელია ეროვნული ომები, თვით ძლევამოსილნიც კი. იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევა პრაქტიკულად შესაძლებელია არ ა ყოველ პირობებში, ეს ერთი მხრივ. ხოლო მეორე მხრივ, როდესაც «განუკითხავად» მსჯელობენ: პატარა სახელმწიფოს ომი გიგანტის წინააღმდეგ უიმედო საქმეაო, ამაზე ის უნდა ითქვას, რომ უიმედო ომიც ომია; გარდა ამისა, განსაზღვრულ მოვლენებს «გიგანტთა» შიგნით — მაგალითად, რევოლუციის დაწყებას — შეუძლია «უიმედო» ომი მეტად «საიმედო» ომად აქციოს.

ჩვენ დაწვრილებით შევეხეთ იმ არასწორ დებულებას, თითქოს «უკვე შეუძლებელია ეროვნული ომები», არა მარტო იმიტომ, რომ იგი აშკარად მცდარია თეორიულად. რასაკვირველია, ფრიად სამწუხარო იქნებოდა, «მემარცხენეებმა» მარქსიზმის თეორიის მიმართ უზრუნველობა რომ გამოიჩინონ ისეთ დროს, როდესაც III ინტერნაციონალის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ არა-ვულგარიზებული მარქსიზმის ნიადაგზე. მაგრამ პრაქტიკულ-პოლიტიკური მხრივაც ეს შეცდომა მეტად მავნეა: მისგან გამოჰყავთ «განიარაღების» უაზრო პროპაგანდა, ვინაიდან ვითომც არავითარი ომი, გარდა რეაქ-

ციული ომებისა, არაა შესაძლებელი; იქიდანვე გამოჰყავთ კიდევ უფრო უაზრო და პირდაპირ რეაქციული გულგრილობა ეროვნული მოძრაობებისადმი. ასეთი გულგრილობა შოვინიზმად იქცევა, როდესაც ევროპის «დიდი» ერების წევრები, ე. ი. ისეთი ერებისა, რომლებიც მრავალ მცირე და კოლონიურ ხალხს ჩაგრავენ, ვითომდა მეცნიერული სახით აცხადებენ: «ეროვნული ომები ამიერიდან შეუძლებელიაო»! იმპერიალისტური სახელმწიფოების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მიმართული ეროვნული ომები არა მარტო შესაძლებელი და მოსალოდნელია, არამედ ასეთი ომები აუცილებელი და პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ა, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა, თ უ მ ც ა, რა თქმა უნდა, მათი წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს საჭირო იქნება ან ჩაგრული ქვეყნების მცხოვრებთა უდიდესი რაოდენობის (ჩვენ მიერ მოყვანილ ინდოეთისა და ჩინეთის მაგალითში — ასეული მილიონების) ძალღონის შეერთება, ან ინტერნაციონალური მდგომარეობის პირობათა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ხელსაყრელი შეხამება (მაგალითად, იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევის პარალიზება მათი დაუძლურების, მათ შორის ომის, მათი ანტაგონიზმისა და სხვ. გამო), ან ი მ ა ვ დ რ ო უ ლ ა დ ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს პროლეტარიატის აჯანყება ბურჟუაზიის წინააღმდეგ (ჩვენ მიერ დასახელებულ შემთხვევათა შორის ეს უკანასკნელი შემთხვევა სასურველობისა და ხელსაყრელობის თვალსაზრისით პირველია პროლეტარიატის გამარჯვებისათვის).

უნდა აღვნიშნოთ კი, რომ უსამართლობა იქნება იუნიუსს ეროვნულ მოძრაობათადმი გულგრილობა დავწამოთ. ყოველ შემთხვევაში, იგი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ერთ-ერთ ცოდვად უთვლის იმას, რომ ეს ფრაქცია დუმილით შეხვდა კამერუნის მკვიდრ მცხოვრებთა ერთ-ერთი ბელადის სიკვდილით დასჯას «ღალატისათვის» (ალბათ, ომის გამო აჯანყების ცდისათვის); მეორე ადგილას იგი საგანგებოდ ხაზს უსვამს (ბბ. ლეგინების, ლენჩებისა და სხვა არამზადების საყურადღებოდ, რომლებიც «სოციალ-დემოკრატებად» ითვლებიან) იმას, რომ კოლონიური ერებიც ერები არიან. იგი სრული გარკვე-

ულობით აცხადებს: «სოციალიზმი თვითეული ხალხისათვის აღიარებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების, თავისი ბედის დამოუკიდებლად გამგებლობის უფლებას»; «საერთაშორისო სოციალიზმი აღიარებს თავისუფალი, დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი ერების უფლებას, მაგრამ მხოლოდ მას შეუძლია შექმნას ასეთი ერები, მხოლოდ მას შეუძლია განახორციელოს ერთა თვითგამორკვევის უფლება. და სოციალიზმის ეს ლოზუნგი, — სამართლიანად შენიშნავს ავტორი — ისე როგორც ყველა დანარჩენი ლოზუნგი, ემსახურება არა არსებულის გამართლებას, არამედ გზის მაჩვენებელია, სტიმულია პროლეტარიატის რევოლუციური, გარდამქმნელი, აქტიური პოლიტიკისათვის» (გვ. 77 და 78). დიდად შეცდებოდნენ, მაშასადამე, ისინი, ვინც იფიქრებდა, რომ გერმანიის ყველა მემარცხენე სოციალ-დემოკრატი ისეთსავე შეზღუდულობასა და მარქსიზმის კარიკატურაში ჩავარდა, სადამდეც ჩამოქვეითდა ზოგიერთი ჰოლანდიელი და პოლონელი სოციალ-დემოკრატი, რომლებიც ერთა თვითგამორკვევას უარყოფენ სოციალიზმის დროსაც კი. მაგრამ ამ შეცდომის სპეციალურად ჰოლანდიურ-პოლონურ სათავეზე ჩვენ სხვა ადგილას ვლაპარაკობთ.

იუნიუსის მეორე მცდარი მსჯელობა დაკავშირებულია სამშობლოს დაცვის საკითხთან. იმპერიალისტური ომის დროს ეს კარდინალური პოლიტიკური საკითხია. და იუნიუსმა განმტკიცა ჩვენში ის რწმენა, რომ ჩვენმა პარტიამ მოგვცა ამ საკითხის ერთადერთი სწორი დაყენება: პროლეტარიატი წინააღმდეგია სამშობლოს დაცვისა ამ, იმპერიალისტურ ომში, ვინაიდან ეს ომი მძარცველური, მონათმფლობელური, რეაქციული ხასიათისაა, ვინაიდან შესაძლებელი და აუცილებელია დავუპირდაპიროთ მას სამოქალაქო ომი (და შევეცადოთ გადავაქციოთ იგი სამოქალაქო ომად) სოციალიზმისათვის. იუნიუსმა კი, ერთი მხრივ, ჩინებულად ნათელყო ამ ომის იმპერიალისტური ხასიათი, ეროვნული ომისაგან განსხვავებით, მაგრამ, მეორე მხრივ, ფრიად უცნაური შეცდომა ჩაიდინა, როდესაც შეეცადა ყურით მოეთრია და მიეყენებინა

ეროვნული პროგრამა ა მ, ა რ ა ეროვნული, ომისათვის! ეს თითქმის დაუჯერებელი ჩანს, მაგრამ ეს ფაქტია.

კაზიონური სოციალ-დემოკრატები, როგორც ლეგინის, ისე კაუცკის ჯურისა, ლაქიობდნენ ბურჟუაზიის წინაშე, რომელიც ყველაზე მეტს ყვიროდა უცხოელთა «შემოსევაზე», რათა მოეტყუებინა ხალხის მასები ომის იმპერიალისტური ხასიათის საკითხში, და განსაკუთრებული ერთგულებით იმეორებდნენ ამ საბუთს «შემოსევის» შესახებ. კაუცკი, რომელიც ახლა გულუბრყვილო და დამჯერ ხალხს არწმუნებს (სხვათა შორის, რუსეთელი ოკისტის, სპექტატორის მეშვეობით), რომ იგი 1914 წლის დამლევიდან გადავიდა ოპოზიციის მხარეზე, განაგრძობს ამ «საბუთის» დამოწმებას! იუნიუსი ცდილობს დაარღვიოს ეს საბუთი, რისთვისაც მოჰყავს მეტად საგულისხმო ისტორიული მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ «ბურჟუაზიულ ისტორიაში შემოსევა და კლასობრივი ბრძოლა წინააღმდეგობას კი არ წარმოადგენენ, როგორც ამას ოფიციალური ლეგენდა ამბობს, არამედ ერთი არის მეორის საშუალება და გამოხატულება». მაგალითები: ბურბონები საფრანგეთში იაკობინელების წინააღმდეგ, უცხოელებს იწვევდნენ შემოსასევად, ბურჟუები კი 1871 წელს — კომუნის წინააღმდეგ. მარქსი თავის წიგნში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» წერდა:

«უდიდესი გმირული აღტყინება, რომლის უნარიც კიდევ შერჩენოდა ძველ საზოგადოებას, ეროვნული ომია, და ისიც ახლა მთავრობის პირწმინდა თაღლითობა აღმოჩნდა; ამ თაღლითობის ერთადერთი მიზანია — უფრო გვიანი დროისათვის გადაწიოს კლასობრივი ბრძოლა, ხოლო როდესაც კლასობრივი ბრძოლა სამოქალაქო ომის ალად ავარდება, თაღლითობა გაცამტვერდება ხოლმე» [93].

«ყველა დროის კლასიკურ მაგალითს — წერს იუნიუსი და იმოწმებს 1793 წელს — საფრანგეთის დიდი რევოლუცია წარმოადგენს». ყოველივე ნათქვამიდან მას შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: «მაშასადამე, საუკუნეობრივი გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ გარეშე მტრისაგან ქვეყნის საუკეთესო თავ-

დაცვას, საუკეთესო მოგერიებას წარმოადგენს არა საალყო წესები, არამედ თავდადებული კლასობრივი ბრძოლა, რომელიც უღვიძებს ხალხის მასებს თავისი თავისადმი პატივისცემას, გმირობასა და ზნეობრივ ძალას».

იუნიუსის პრაქტიკული დასკვნა: «დიახ, სოციალ-დემოკრატები ვალდებული არიან დაიცვან თავიანთი ქვეყანა დიდი ისტორიული კრიზისის დროს. და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმძიმესი დანაშაული სწორედ ის არის, რომ 1914 წ. 4 აგვისტოს თავის დეკლარაციაში მან საქვეყნოდ გამოაცხადა: «განსაცდელის ჟამს ჩვენს სამშობლოს დაუცავად არ მივატოვებთო», ამავე დროს კი უარი თქვა თავის სიტყვებზე. უდიდესი განსაცდელის ჟამს მან თავისი სამშობლო დაუცავად მ ი ა ტ ო ვ ა. ვინაიდან მაშინ მისი უპირველესი მოვალეობა სამშობლოს წინაშე იყო: სამშობლოსათვის ეჩვენებინა ახლანდელი იმპერიალისტური ომის ნამდვილი სარჩული, გაერღვია პატრიოტული და დიპლომატიური სიცრუის ქსელი, რომლითაც დახლართული იყო სამშობლოზე ეს თავდასხმა; ხმამაღლა და აშკარად განეცხადებინა, რომ გერმანელი ხალხისათვის ამ ომში როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება თანაბრად დამღუპველია, უკანასკნელ შესაძლებლობამდე ებრძოლნა საალყო წესებით სამშობლოს მოხრჩობის წინააღმდეგ; გამოეცხადებინა, რომ აუცილებელია ხალხის დაუყოვნებლივი შეიარაღება და ომისა და ზავის საკითხის გადაწყვეტის ხალხისათვის მინდობა; გადაჭრით მოეთხოვა სახალხო წარმომადგენლობის სხდომის პერმანენტულად (განუწყვეტლად) გაგრძელება მთელი ომის განმავლობაში, რათა განხორციელებული ყოფილიყო ხალხის წარმომადგენლობის ფხიზელი კონტროლი მთავრობის მიმართ და ხალხის კონტროლი ხალხის წარმომადგენლობის მიმართ; მოეთხოვა ყოველგვარი პოლიტიკური უფლებაშეზღუდულობის დაუყოვნებლივ გაუქმება, ვინაიდან მხოლოდ თავისუფალ ხალხს შეუძლია წარმატებით დაიცვას თავისი ქვეყანა; დასასრულ, ომის იმპერიალისტური პროგრამისათვის, — რომელიც მიმართული იყო ავსტრიისა და თურქეთის შენარჩუნებისაკენ, ე. ი. ევროპასა და

გერმანიაში რეაქციის შენარჩუნებისაკენ,—დაეპირისპირებინა პატრიოტებისა და დემოკრატების 1848 წლის ძველი, ჭეშმარიტად ეროვნული პროგრამა, მარქსის, ენგელსისა და ლასალის პროგრამა: ლოზუნგი ერთიანი დიდი გერმანიის რესპუბლიკისა. ასეთი იყო ის დროშა, რომელიც ქვეყნის წინაშე უნდა გაეშალათ, რომელიც ჭეშმარიტად ეროვნული, ჭეშმარიტად განმათავისუფლებელი იქნებოდა, გერმანიისა და პროლეტარიატის საერთაშორისო კლასობრივი პოლიტიკის საუკეთესო ტრადიციების შესაფერისი იქნებოდა»... «ამრიგად მძიმე დილემა — სამშობლოს ინტერესები თუ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა, ტრაგიკული კონფლიქტი, რომელმაც აიძულა ჩვენებური პარლამენტარები «გულდაწყვეტით» დამდგარიყვნენ იმპერიალისტური ომის მხარეზე, არის წმინდა წყლის ოცნება, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ფიქცია. პირიქით, ქვეყნის ინტერესებსა და პროლეტარული ინტერნაციონალის კლასობრივ ინტერესებს შორის, ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, სრული ჰარმონიაა: ომიც და მშვიდობაც მოითხოვს კლასობრივი ბრძოლის ფრიად ენერგიულად განვითარებას, სოციალ-დემოკრატიული პროგრამის უაღრესად გადაჭრით დაცვას».

ასე მსჯელობს იუნიუსი. მის მსჯელობათა მცდარობა თვალში გეცემათ, და თუ ცარიზმის ჩვენებური აშკარა და ფარული ლაქიები, ბბ. პლეხანოვი და ჩხენკელი, შესაძლოა ბბ. მარტოვიც და ჩხეიძეც, ბოროტი სიხარულით ხელს ჩასჭიდებენ იუნიუსის სიტყვებს, ექნებათ რა მხედველობაში არა თეორიული ჭეშმარიტება, არამედ ის, რომ თავი დაიძვრინონ, კვალი გააქრონ, მუშებს თვალში ნაცარი შეაყარონ, — საჭიროა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ იუნიუსის შეცდომის თ ე ო რ ი უ ლ ი წყაროების გარკვევაზე.

იუნიუსი გვირჩევს იმპერიალისტურ ომს ეროვნული პროგრამა «დავუპირდაპიროთ». მოწინავე კლასს იგი ურჩევს პირი იბრუნოს წარსულისაკენ და არა მომავლისაკენ! 1793 და 1848 წლებში საფრანგეთშიც, გერმანიაშიც და მთელ ევროპაშიც დღის წესრიგში ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ იდგა ბ უ რ ჟ უ ა-

ზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ამ ობიექტურ ისტორიულ მდგომარეობას შეესაბამებოდა მაშინდელი დემოკრატიის «ჭეშმარიტად-ეროვნული», ე. ი. ეროვნულ-ბურჟუაზიული პროგრამა, რომელიც 1793 წელს ბურჟუაზიისა და პლებეების ყველაზე. რევოლუციურმა ელემენტებმა განახორციელეს, ხოლო 1848 წელს მთელი მოწინავე დემოკრატიის სახელით აყენებდა მარქსი. ფეოდალურ-დინასტიურ ომებს მაშინ, ობიექტურად, უპირდაპირებდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ ომებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომებს. ასეთი იყო ეპოქის ისტორიული ამოცანების შინაარსი.

ამჟამად ევროპის მოწინავე, უდიდესი სახელმწიფოების ობიექტური მდგომარეობა სხვანაირია. განვითარება, წინსვლა — თუ მხედველობაში არ მივიღებთ შესაძლებელ, დროებითს, უკან გადადგმულ ნაბიჯებს — შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. იმპერიალისტურ-ბურჟუაზიულ ომს, მაღალგანვითარებული კაპიტალიზმის ომს, ობიექტურად, განვითარების, წინსვლის თვალსაზრისით, მოწინავე კლასის თვალსაზრისით, შეიძლება დაუპირდაპირდეს მხოლოდ ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ე. ი. უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატის სამოქალაქო ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ძალაუფლებისათვის, ისეთი ომი, ურომლისოდაც სერიოზული წინსვლა შეუძლებელია; ხოლო შემდეგ — მხოლოდ განსაზღვრულ, განსაკუთრებულ, პირობებში, შესაძლებელი ომი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ სოციალისტური სახელმწიფოს დასაცავად. ამიტომ ის ბოლშევიკები (საბედნიეროდ, სავსებით მცირერიცხოვანნი და ჩვენ მიერ დაუყოვნებლივ ჩაბარებულნი პრიზიველებისათვის), რომლებიც მზად იყვნენ დამდგარიყვნენ პირობითი თავდაცვის, სამშობლოს დაცვის თვალსაზრისზე, რუსეთში ძლევამოსილი რევოლუციისა და რესპუბლიკის გამარჯვების პირობებში, ერთგულებას იჩენდნენ ბოლშევიზმის ანბანისადმი, მაგრამ ღალატობდნენ ბოლშევიზმის სულს; ვინაიდან მოწინავე ევროპული

სახელმწიფოების იმპერიალისტურ ომში ჩათრეულ რუსეთს რესპუბლიკური წყობილების დროსაც ასევე იმპერიალისტური ომი უნდა ეწარმოებინა!

როცა იუნიუსი ამბობს, რომ კლასობრივი ბრძოლა საუკეთესო საშუალებაა შემოსევის წინააღმდეგ, იგი ამით მარქსის დიალექტიკას მხოლოდ სანახევროდ იყენებს, — მხოლოდ ერთ ნაბიჯს დგამს სწორ გზაზე, მაგრამ მაშინვე უხვევს მისგან. მარქსის დიალექტიკა თვითეული განსაკუთრებული ისტორიული სიტუაციის კონკრეტულ ანალიზს მოითხოვს. კლასობრივი ბრძოლა რომ შემოსევის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა, — ეს მართალია როგორც ფეოდალიზმის დამამხობელი ბურჟუაზიის მიმართ, ისე ბურჟუაზიის დამამხობელი პროლეტარიატის მიმართაც. სწორედ იმიტომ, რომ ეს მართალია ყოველგვარი კლასობრივი ჩაგვრის მიმართ, ეს მეტად ზოგადია და ამიტომ საკმარისი არაა ამ განსაკუთრებული შემთხვევისათვის. ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამოქალაქო ომიც ასევე კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი სახეა, და მხოლოდ ამ სახის კლასობრივი ბრძოლა იხსნიდა ევროპას (მთელ ევროპას და არა ერთ ქვეყანას) შემოსევის საფრთხისაგან. «დიდი გერმანიის რესპუბლიკასაც», ის რომ 1914 — 1916 წლებში არსებულიყო, ასეთივე იმპერიალისტური ომი უნდა ეწარმოებინა.

იუნიუსი პირდაპირ მიადგა საკითხის სწორ პასუხს და სწორ ლოზუნგს: სამოქალაქო ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის და, თითქოს შეეშინდა მთელი სიმართლე ეთქვა ბოლომდე, უკან მიბრუნდა, 1914, 1915, 1916 წლების «ეროვნული ომის» ფანტაზიისაკენ. საკითხს თუ შევხედავთ არა თეორიული, არამედ წმინდა პრაქტიკული მხრით, იუნიუსის შეცდომა არა ნაკლებ ცხადი გახდება. გერმანიის მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება, ყველა კლასი, გლეხობის ჩათვლით, ომის მომხრე იყო (ასევე იყო, ალბათ, რუსეთშიც — ყოველ შემთხვევაში შეძლებული და საშუალო გლეხობის უმრავლესობა, ღარიბი გლეხობის კარგა მოზრდილი ნაწილით, როგორც ჩანს, ბურჟუაზიული იმპე-

რიალიზმის გავლენას განიცდიდა). ბურჟუაზია თავით ფეხამდე შეიარაღებული იყო. ამნაირ მდგომარეობაში რესპუბლიკის, პერმანენტული პარლამენტის, ხალხის მიერ ოფიცრების არჩევის («ხალხის შეიარაღება») პროგრამის «გამოცხადება» და ხხვ. — ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი იქნებოდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს «გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა» (ა რ ა ს წ ო რ ი რევოლუციური პროგრამით!).

იუნიუსი აქვე, სავსებით მართებულად, ამბობს, რომ რევოლუციის «გაკეთება» არ შეიძლება. 1914 — 1916 წლებში რევოლუცია დღის წესრიგში იდგა; იგი იმალებოდა ომის წიაღში, ი ზ რ დ ე ბ ო დ ა ომის ნიადაგზე. საჭირო იყო ამის «გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა» რევოლუციური კლასის სახელით, ბოლომდე, უშიშრად ჩვენება მ ი ს ი პროგრამისა: სოციალიზმი, რომელიც შეუძლებელია ომის ეპოქაში არქირეაქციული, დანაშაულებრივი, ხალხისათვის გაუგონარ უბედურებათა მიმყენებელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის გარეშე. საჭირო იყო მოგვეფიქრებინა სისტემატური, თანმიმდევარი, პრაქტიკული მოქმედებანი — რევოლუციური კრიზისის განვითარების ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ტემპის დროს უ ე ჰ ვ ე ლ ა დ გ ა ნ ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ე ლ ი მოქმედებანი, რომლებიც მომწიფების პროცესში მყოფი რევოლუციის ხაზს გასდევენ. ეს მოქმედებანი აღნიშნულია ჩვენი პარტიის რეზოლუციაში: 1) კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემა; 2) «სამოქალაქო ზავის» დარღვევა; 3) არალეგალური ორგანიზაციის შექმნა; 4) ჯარისკაცთა დაძმობილება; 5) მასების ყველა რევოლუციური გამოსვლისათვის მზარისდაჭერა *. ყ ვ ე ლ ა ამ ნაბიჯის წარმატებას ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მივყავართ სამოქალაქო ომამდე.

დიადი ისტორიული პროგრამის გამოცხადებას, უეჭველად, გიგანტური მნიშვნელობა ჰქონდა; ოღონდ არა ძველი და 1914 — 1916 წლებისათვის დრომოჭმული ეროვნული გერმანული, არამედ პროლეტარულ-ინტერნაციონალური და

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 183 — 184. რ ე დ.

სოციალისტური პროგრამის გამოცხადებას. თქვენ, ბურჟუები, ძარცვა-გლეჯისათვის ომობთ; ჩვენ, ყ ვ ე ლ ა მეომარი ქვეყნის მუშები, გიცხადებთ ომს, ომს სოციალიზმისათვის, — აი იმ სიტყვის შინაარსი, რომლითაც უნდა გამოსულიყვნენ 1914 წ. 4 აგვისტოს პარლამენტებში სოციალისტები, რომლებსაც არ უღალატნიათ პროლეტარიატისათვის ლეგინების, დავიდების, კაუცკების, პლეხანოვების, გედების, სამბების და სხვ. მსგავსად.

როგორც ჩანს, იუნიუსის შეცდომის გამოწვევა შეეძლოთ ორგვარი ხასიათის მცდარ მოსაზრებებს. უეჭველია, იუნიუსი გადაჭრით წინააღმდეგია იმპერიალისტური ომისა და გადაჭრით მ ო მ ხ რ ე ა რევოლუციური ტაქტიკისა: ამ ფ ა ქ ტ ს ვერ გააბათილებს ბბ. პლეხანოვების ვერავითარი ბოროტი ხითხითი იუნიუსის «ობორონცობის» გამო. ამგვარი ხასიათის შესაძლებელსა და მოსალოდნელ ცილისწამებას ერთბაშად და პირდაპირ უნდა ვუპასუხოთ.

მაგრამ იუნიუსი, ჯერ-ერთი, სავსებით ვერ განთავისუფლებულა გერმანელ, თვით მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა «გარემოს» გავლენისაგან, რომლებსაც ეშინიათ გათიშვისა, ეშინიათ ბოლომდე ნათლად ჩამოაყალიბონ რევოლუციური ლოზუნგები *. ეს შემცდარი შიშია, და გერმანიის მემარცხენე

* იგივე შეცდომაა იუნიუსის მსჯელობაში თემაზე: რა სჯობს, გამარჯვება თუ დამარცხება? მისი დასკვნაა: ორივე ერთნაირად ცუდია (გაპარტახება, შეიარაღების ზრდა და სხვ.). ეს არის არა რევოლუციური პროლეტარიატის, არამედ პაციფისტი წვრილი ბურჟუას თვალსაზრისი. თუ ვილაპარაკებთ პროლეტარიატის «რევოლუციურ ჩარევაზე» — და სწორედ ამაზე, თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან ზოგადად, ლაპარაკობს იუნიუსიც და «ინტერნაციონალის» ჯგუფის თეზისებიც, — მაშინ ს ა ვ ა ლ დ ებ უ ლ ო იქნება საკითხი დავსვათ ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი თვალსაზრისით: 1) შესაძლებელია თუ არა «რევოლუციური ჩარევა» დამარცხების საშიშროების გარეშე? 2) შესაძლებელია თუ არა ბურჟუაზიისა და თ ა ვ ი ს ი ქვეყნის მთავრობის გამათრახება იმავე საშიშროების გარეშე? 3) განა ჩვენ მუდამ არ ვამბობდით და განა რეაქციული ომების ისტორიული გამოცდილებაც იმას არ გვეუბნება, რომ დამარცხებანი აადვილებენ რევოლუციური კლასის საქმეს?

სოციალ-დემოკრატებმა თავი უნდა დააღწიონ ამ შიშს და თავს დააღწევენ კიდევაც. სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ მათი ბრძოლის მსვლელობა მიგვიყვანს აქამდე. ხოლო ისინი თავიანთ სოციალ-შოვინისტებს ებრძვიან გადაჭრით, მტკიცედ, გულწრფელად, ამაშია მათი უზარმაზარი, პრინციპული, ძირეული განსხვავება ბბ. მარტოვებისა და ჩხეიძეებისაგან, რომლებიც ერთი ხელით (à la სკობელევი) შლიან დროშას და მიესალმებიან «ყველა ქვეყნის ლიბკნეხტებს», ხოლო მეორე ხელით ნაზად ეხვევიან ჩხენკელსა და პოტრესოვს!

მეორეც, იუნიუსს, როგორც ჩანს, სურდა განეხორციელებინა სავალალოდ მოსაგონარი მენშევიკური «სტადიათა თეორიის» მსგავსი რაღაც, სურდა რევოლუციური პროგრამის გატარების დაწყება წვრილი ბურჟუაზიისათვის «ყველაზე მოხერხებული», «პოპულარული», მისაღები ბოლოთი. ეს არის «ისტორიის გაცურების», ფილისტერების გაცურების გეგმის მსგავსი რაღაც. ჭეშმარიტი სამშობლოს საუკეთესო დაცვის წინააღმდეგ არავის არა ეთქმის რაო: ხოლო ჭეშმარიტი სამშობლო არის დიდი გერმანიის რესპუბლიკა, საუკეთესო თავდაცვა არის მილიცია, პერმანენტული პარლამენტი და სხვ.. რაკი ასეთ პროგრამას ერთხელ მიიღებენ, მას თავისთავად მოჰყვება შემდგომი სტადია: სოციალისტური რევოლუციაო.

ალბათ, მსგავსმა მოსაზრებებმა შეგნებულად თუ ნახევრად-შეგნებულად განსაზღვრეს იუნიუსის ტაქტიკა. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ეს მოსაზრებები მცდარია. იუნიუსის ბროშურაში იგრძნობა ისეთი მარტოხელა, ვისაც არა ჰყავს ამხანაგები არალეგალური ორგანიზაციით, რომელიც შეჩვეულია ბოლომდე მოისაზროს რევოლუციური ლოზუნგები და სისტემატურად აღზარდოს მასები ამ ლოზუნგების მიხედვით. მაგრამ ასეთი ნაკლი — ფრიად უმართებულო იქნებოდა ამის დავიწყება — არ არის იუნიუსის პირადი ნაკლი, იგი შედეგია ყველა გერმანელ მემარცხენეთა სისუსტისა, რომლებიც ყოველმხრივ გაბმული არიან კაუცკელთა პირ-

მოთნეობის, პედანტობის, ოპორტუნისტებისადმი «მეგობრული განწყობილების» ქსელში. იუნიუსის მომხრეებმა შეძლეს, მიუხედავად თავიანთი სიმარტოვისა, შესდგომოდნენ არალეგალური ფურცლების გამოცემას და კაუცკელობასთან ბრძოლას. ისინი შემდგომაც შეძლებენ სწორი გზით წინსვლას.

დაწერილია 1916 წ. ივლისში

დაიბეჭდა 1916 წ. ოქტომბერში
«სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 1-ში
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება «სბორნიკის»
ტექსტის მიხედვით

შედეგები დისკუსიისა თვითგამოკვეთის შესახებ

ციმერვალდელ მემარცხენეთა მარქსისტულ ჟურნალ «წინამორბედის» მე-2 ნომერში («Vorbote», ნომერი 2, 1916 წ. აპრილი) მოთავსებულია თეზისები ერთა თვითგამორკვევის სასარგებლოდ და მის წინააღმდეგ, ხელმოწერილი ჩვენი ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის მიერ და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის ორგანოს «გაზეტა რობოტნიჩას» რედაქციის მიერ. მკითხველი ზემოთ ნახავს პირველი თეზისების გადმონაბეჭდს * და მეორეთა თარგმანს [94]. საერთაშორისო ასპარეზზე ეს საკითხი ასე ფართოდ თითქმის პირველად ისმება: იმ დისკუსიაში, გერმანულ მარქსისტულ ჟურნალ «Neue Zeit»-ში ** რომ აწარმოებდნენ ოცი წლის წინათ, 1895 — 1896 წწ., ლონდონის 1896 წ. საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის წინ, როზა ლუქსემბურგი, კ. კაუცკი და პოლონელი «ნეპოდლეგლოსცეველები» (პოლონეთის დამოუკიდებლობის მომხრენი, პ. პ. ს.), რომლებიც წარმოადგენდნენ სამ სხვადასხვა შეხედულებას, საკითხი შეეხებოდა მხოლოდ პოლონეთს [95]. აქამდე, რამდენა-

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 173 — 191. რ ე დ.

** — «ახალი დროება». რ ე დ.

დაც ვიცით, თვითგამორკვევის საკითხს ასე თუ ისე სისტემატურად არჩევდნენ მხოლოდ ჰოლანდიელები და პოლონელები. იმედი ვიქონიოთ, რომ «წინამორბედი» მოახერხებს წინ წაწიოს ამ, ახლა ესოდენ საარსებო, საკითხის განხილვა ინგლისელებსა, ამერიკელებსა, ფრანგებსა, გერმანელებსა და იტალიელებს შორისაც. ოფიციალურმა სოციალიზმმა, რომელსაც წარმოადგენენ როგორც «თავიანთი» მთავრობის პირდაპირი მომხრენი, პლეხანოვები, დავიდები და კომპ., ისე ოპორტუნიზმის ფარული დამცველები, კაუცკელები (მათ შორის აქსელროდი, მარტოვი, ჩხეიძე და სხვ.), — იმდენი იცრუა ამ საკითხზე, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აუცილებელი იქნება, ერთი მხრივ, ეჯახირი იმისათვის, რომ ხმა არ გაიღონ და თავი დაიძვრინონ, მეორე მხრივ კი — მუშათა მოთხოვნები, რომ «პირდაპირი პასუხი» მიეცეს მათ «წყეულ კითხვებზე». საზღვარგარეთის სოციალისტებს შორის შეხედულებათა ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ ჩვენ ვეცდებით თავის დროზე ვაცნობოთ მკითხველებს.

ჩვენთვის კი, რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის, ამ საკითხს კიდევ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; ეს დისკუსია 1903 და 1913 წლების დისკუსიის[96] გაგრძელებაა; ომის დროს ჩვენი პარტიის წევრთა შორის ამ საკითხმა აზრთა ერთგვარი რყევა გამოიწვია; იგი გაამწვავეს გვოზდიოვის ანუ შოვინისტური მუშათა პარტიის ისეთი ცნობილი ბელადების ხრიკებმა — გვერდი აეხვიათ საქმის არსისათვის, როგორიც არიან მარტოვი და ჩხეიძე. ამიტომ აუცილებელია შევაჯამოთ თუნდაც პირველი შედეგები საერთაშორისო ასპარეზზე დაწყებული დისკუსიისა.

როგორც თეზისებიდან ჩანს, ჩვენი პოლონელი ამხანაგები პირდაპირ პასუხს გვაძლევენ ზოგიერთ ჩვენს მოსაზრებაზე, მაგალითად, მარქსიზმისა და პრუდონიზმის შესახებ. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი პირდაპირ კი არ გვიპასუხებენ, არამედ არაპირდაპირ, საწინააღმდეგოდ აყენებენ თ ა ვ ი ა ნ თ მტკიცებას. განვიხილოთ მათი პირდაპირი და არაპირდაპირი პასუხები.

1. სოციალიზმი და ერთა თვითგამორკვევა

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ სოციალიზმის ღალატი იქნებოდა უარი გვეთქვა სოციალიზმის დროს ერთა თვითგამორკვევის განხორციელებაზე. გვიპასუხებენ: «სოციალისტური საზოგადოებისათვის თვითგამორკვევის უფლების გამოყენება შეუძლებელიაო». აზრთა სხვაობა ძირეულია. სად არის ამის წყარო?

«ჩვენ ვიცით, — გვიპასუხებენ ჩვენი ოპონენტები — რომ სოციალიზმი ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრას მოსპობს, ვინაიდან იგი სპობს კლასობრივ ინტერესებს, რომლებიც ეროვნულ ჩაგვრას იწვევენ»... რა შუაშია აქ ეს მსჯელობა ეროვნული ჩაგვრის მოსპობის ეკონომიურ წანამძღვართა შესახებ, რომლებიც დიდი ხანია ცნობილია და უდავოა, როდესაც დავა ეხება პოლიტიკური ჩაგვრის ერთ-ერთ ფორმას, სახელდობრ: ერთი ერის ძალდატანებით დატოვებას მეორე ერის სახელმწიფოს საზღვრებში? ეს ხომ პოლიტიკური საკითხებისაგან თავის დაძვრენის პირდაპირი ცდაა! შემდეგი მსჯელობა უფრო მეტად გვარწმუნებს ასეთ შეფასებაში: «**არავითარი** საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ერს სამეურნეო-პოლიტიკური ერთეულის ხასიათი მიეკუთვნება. მას, უთუოდ, მხოლოდ კულტურული და ენობრივი ერთეულის ხასიათი ექნება, რადგან სოციალისტური კულტურული წრის ტერიტორიული დაყოფა, რამდენადაც ასეთი იარსებებს, შეიძლება მოხდეს მხოლოდ წარმოების მოთხოვნილებათა მიხედვით; ამასთან ამ დაყოფის საკითხს უნდა წყვეტდნენ, რასაკვირველია, არა ცალკეული ერები, თითო-თითოდ, რომლებსაც **საკუთარი** სრული ძალაუფლება ექნებათ (როგორც ამას «თვითგამორკვევის უფლება» მოითხოვს), არამედ მას ერთად გამოარკვევენ ყველა **დაინტერესებული** მოქალაქენი»...

ეს უკანასკნელი საბუთი — **თვით**გამორკვევის მაგივრად ერთად გამორკვევა — ისე მოსწონთ პოლონელ ამხანაგებს, რომ თავიანთ თეზისებში მას სამჯერ იმეორებენ! მაგრამ

ხშირი გამეორება ამ ოქტიაბრისტულ და რეაქციულ საბუთს სოციალ-დემოკრატიულ საბუთად ვერ გადააქცევს. ვინაიდან ყველა რეაქციონერი და ბურჟუა იმ ერებს, რომლებიც ძალით არიან დატოვებულნი განსაზღვრული სახელმწიფოს ფარგლებში, აძლევენ უფლებას — «ერთად გამოარკვიონ» მისი ბედი საერთო პარლამენტში. ვილჰელმ მეორეც აძლევს ბელგიელებს უფლებას — «ერთად გამოარკვიონ» გერმანიის იმპერიის ბედი გერმანიის საერთო პარლამენტში.

სწორედ იმას, რაც სადავოა, — სწორედ იმას, რაც მარტოოდენ დასმულია სადისკუსიოდ, გამოყოფის უფლებას, — ჩვენი ოპონენტები ცდილობენ გვერდი აუარონ. ეს სასაცილო იქნებოდა, ასე სამწუხარო რომ არ იყოს!

პირველივე თეზისში ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ ჩაგრულ ერთა განთავისუფლება გულისხმობს, პოლიტიკურ დარგში, ორგვარ გარდაქმნას: 1) ერთა სრულ თანასწორუფლებიანობას. ეს დავას არ იწვევს, და ეს ეხება მხოლოდ იმას, რაც სახელმწიფოს შიგნით ხდება; 2) პოლიტიკური გამოყოფის თავისუფლებას *. ეს სახელმწიფოს საზღვრების დაწესებას შეეხება. მ ხ ო ლ ო დ ეს არის სადავო. და სწორედ ამაზე დუმან ჩვენი ოპონენტები. არც სახელმწიფოს საზღვრებზე, არც საერთოდ სახელმწიფოს შესახებაც კი მათ ფიქრი არა სურთ. ეს რაღაც «იმპერიალისტური ეკონომიზმია», მსგავსი ძველი, 1894 — 1902 წლების «ეკონომიზმისა», რომელიც ასე მსჯელობდა: კაპიტალიზმმა გაიმარჯვა, ა მ ი ტ ო მ პოლიტიკური საკითხები საჭირო არ არისო. იმპერიალიზმმა გაიმარჯვა, ა მ ი ტ ო მ პოლიტიკური საკითხები საჭირო არ არისო! ამნაირი ა-პოლიტიკური თეორია ძირფესვიანად მტრულია მარქსიზმისადმი.

მარქსი გოთას პროგრამის კრიტიკაში წერდა: «კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის ძევს პერიოდი პირველის რევოლუციური გარდაქმნისა მეორედ. მას შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, რომლის

* იხ. ეს ტომი, გვ. 173. რ ე დ.

დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა»[97]. აქამდე ეს ჭეშმარიტება სოციალისტებისათვის უდავო იყო, ხოლო მასში აღიარებულია სახელმწიფო მანამ, ვიდრე გამარჯვებული სოციალიზმი სრულ კომუნიზმად გადაიზრდებოდეს. ცნობილია ენგელსის სიტყვები სახელმწიფოს კვდომის შესახებ. ჩვენ განგებ ხაზი გავუსვით პირველივე თეზისში, რომ დემოკრატია სახელმწიფოს ის ფორმაა, რომელიც აგრეთვე მოკვდება, როდესაც მოკვდება სახელმწიფო. და სანამ ჩვენს ოპონენტებს მარქსიზმი არ შეუცვლიათ რაიმე ახალი, «ა-სახელმწიფოებრივი» თვალსაზრისით, მათი მსჯელობა თავიდან ბოლომდე შეცდომაა.

იმის მაგივრად, რომ სახელმწიფოზე (მაშასადამე, მისი საზღვრების გამორკვევაზეც!) ილაპარაკონ, ისინი ლაპარაკობენ «სოციალისტურ კულტურულ წრეზე», ე. ი. განზრახ ირჩევენ იმ მხრივ გაურკვეველ გამოთქმას, რომ ყველა სახელმწიფოებრივი საკითხი ქრება! სასაცილო ტავტოლოგია გამოდის: რასაკვირველია, თუ არ არის სახელმწიფო, მაშინ არ არის მისი საზღვრების საკითხიც. მაშინ საჭირო აღარაა მთელი დემოკრატიულ-პოლიტიკური პროგრამაც. აღარც რესპუბლიკა იქნება, როდესაც სახელმწიფო «მოკვდება».

გერმანელმა შოვინისტმა ლენჩმა იმ სტატიებში, რომლებიც მე-5 თეზისში (შენიშვნა) * მოვიხსენიეთ, მოიყვანა ერთი საინტერესო ციტატი ენგელსის თხზულებიდან: «პო და რეინი». ენგელსი იქ, სხვათა შორის, ამბობს, რომ «ევროპის დიდი და სიცოცხლისუნარიანი ერების» საზღვრები ისტორიული განვითარების მსვლელობაში, რამაც მთელი რიგი პატარა და არასიცოცხლისუნარიანი ერები შთანთქა, სულ უფრო და უფრო მოსახლეობის «ენისა და სიმპათიების» მიხედვით წესდებოდაო. ამ საზღვრებს ენგელსი «ბუნებრივს» უწოდებს[98]. ასეთი იყო საქმის ვითარება ევროპაში დაახლოებით 1848 —

* იხ. ეს ტომი, გვ. 182. რედ.

1871 წლებში, პროგრესული კაპიტალიზმის ეპოქაში. ახლა რეაქციული, იმპერიალისტური კაპიტალიზმი სულ უფრო ხშირად არღვევს ამ, დემოკრატიული წესით დადგენილ, საზღვრებს. ყველა ნიშანი იმას მოწმობს, რომ იმპერიალიზმი მემკვიდრეობად დაუტოვებს სოციალიზმს, რომელიც მის შემცვლელად მოდის, უფრო ნაკლებად დემოკრატიულ საზღვრებს, მთელ რიგ ანექსიებს ევროპაში და მსოფლიოს სხვა ნაწილებში. მერე რა? გამარჯვებული სოციალიზმი, როდესაც იგი აღადგენს და ბოლომდე გაატარებს მთელი ხაზით სრულ დემოკრატიას, უარს იტყვის სახელმწიფოს საზღვრების დემოკრატიული წესით დადგენაზე? არ მოისურვებს ანგარიში გაუწიოს მოსახლეობის «სიმპათიებს»? საკმარისია ამ საკითხების დაყენება, რომ თვალნათლივ დავინახოთ, თუ როგორ მიექანებიან ჩვენი პოლონელი კოლეგები მარქსიზმიდან «იმპერიალისტური ეკონომიზმისაკენ».

ძველი «ეკონომისტები», მარქსიზმს რომ კარიკატურად აქცევდნენ, მუშებს ასწავლიდნენ, მარქსისტებისათვის მნიშვნელოვანია «მხოლოდ» «ეკონომიურიო». ახალი «ეკონომისტები» ფიქრობენ ან იმას, რომ გამარჯვებული სოციალიზმის დემოკრატიული სახელმწიფო უსაზღვრებოდ იარსებებს (როგორც «შეგრძნებათა კომპლექსი» უმატერიოდ), ანდა იმას, რომ საზღვრები დაწესებული იქნება «მხოლოდ» წარმოების მოთხოვნილებათა მიხედვით. ნამდვილად კი ამ საზღვრებს დემოკრატიულად, ე. ი. მოსახლეობის სურვილისა და «სიმპათიების» მიხედვით დააწესებენ. კაპიტალიზმი ამ სიმპათიებს თრგუნავს და ამით ახალ სიძნელეს ჰმატებს ერთა დაახლოების საქმეს. სოციალიზმი აწყობს წარმოებას კლასობრივი ჩაგვრის გარეშე, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ყველა წევრის კეთილდღეობას, ამით სრულ გასაქანს აძლევს მოსახლეობის «სიმპათიებს» და სწორედ ამის გამო აადვილებს და გიგანტურად აჩქარებს ერთა დაახლოებასა და შერწყმას.

მკითხველმა რომ ცოტა დაისვენოს მძიმე და უხეში «ეკონომიზმისაგან», მოვიყვანოთ ჩვენი დავის გარეშე მდგომი ერთი სოციალისტი მწერლის აზრი. ეს მწერალია ოტო ბაუ-

ერი; იმასაც აქვს თავისი «პაწაწა პუნქტი», «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია», მაგრამ მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე იგი ფრიად სწორად მსჯელობს. მაგალითად, თავისი წიგნის — «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია» — 29-ე პარაგრაფში მან მეტად სწორად აღნიშნა ეროვნული იდეოლოგიის საშუალებით იმპერიალისტური პოლიტიკის დაფარვა. 30-ე პარაგრაფში: «სოციალიზმი და ეროვნების პრინციპი» იგი ამბობს:

«სოციალისტური თემი ვერასოდეს ვერ შეძლებს ძალით შეიყვანოს თავის შემადგენლობაში მთელი ერები. წარმოიდგინეთ ხალხის მასები, რომლებიც ეროვნული კულტურის ყველა სიკეთით სარგებლობენ, სრულ და აქტიურ მონაწილეობას იღებენ კანონმდებლობასა და მმართველობაში, ბოლოს, აქვთ იარაღიც, — განა შესაძლებელია ძალით დაუმორჩილოთ ასეთი ერები უცხო საზოგადოებრივი ორგანიზმის ბატონობას? ყოველი სახელმწიფო ხელისუფლება იარაღის ძალაზეა დამყარებული. ახლანდელი სახალხო არმია, ოსტატურად მოწყობილი მექანიზმის გამო, ჯერ კიდევ იარაღია განსაზღვრული პირის, გვარის, კლასის ხელში, სწორედ ისევე, როგორც წარსულ დროთა რაინდთაგან შემდგარი ან დაქირავებული ჯარი იყო. სოციალისტური საზოგადოების დემოკრატიული თემის არმია კი სხვას არას წარმოადგენს, თუ არ შეიარაღებულ ხალხს, რადგან იგი შედგება დიდად კულტურულ ადამიანთაგან, რომლებიც ძალდაუტანებლივ მუშაობენ საზოგადოებრივ სახელოსნოებში და სრულ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ცხოვრების ყოველ დარგში. ასეთ პირობებში ისპობა უცხო ერის ბატონობის ყოველგვარი შესაძლებლობა».

აი ეს მართალია. კაპიტალიზმის დროს ეროვნული (და საერთოდ პოლიტიკური) ჩაგვრის მოსპობა შეუძლებელია. ამისათვის აუცილებელია კლასების მოსპობა, ე. ი. სოციალიზმის შემოღება. მაგრამ, ეკონომიკას რომ ემყარება, სოციალიზმი სრულიადაც არ ამოიწურება მარტო ეკონომიკით. ეროვნული ჩაგვრის მოსასპობად საჭიროა საძირკველი — სოციალისტური წარმოება, მაგრამ ამ საძირკველზე

საჭიროა კიდევ სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაცია, დემოკრატიული არმია და სხვ.. გარდაქმნის რა კაპიტალიზმს სოციალიზმად, პროლეტარიატი ეროვნული ჩაგვრის სრული მოსპობის შესაძლებლობას ქმნის; ეს შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა «მხოლოდ» — «მხოლოდ»! — მაშინ, როდესაც ყველა დარგში სრული დემოკრატია განხორციელდება, რაც გულისხმობს აგრეთვე სახელმწიფოს საზღვრების დაწესებას მოსახლეობის «სიმპათიების» მიხედვით, გამოყოფის სრულ თავისუფლებას. თავის მხრივ, ამ ბაზაზე პრაქტიკულად განვითარდება სულ უმცირესი ეროვნული შუღლის, სულ უმცირესი ეროვნული უნდობლობის აბსოლუტური გაქრობა, მოხდება ერთა სწრაფი დაახლოება და შერწყმა, რაც დამთავრდება სახელმწიფოს კვდომით. აი მარქსიზმის თეორია, რომელსაც უმართებულოდ დაშორდნენ ჩვენი პოლონელი კოლეგები.

2. შესაძლებელია თუ არა დემოკრატიის «განხორციელება» იმპერიალიზმის დროს?

პოლონელი სოციალ-დემოკრატების მთელი ძველი პოლემიკა ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ ემყარება იმ საბუთს, რომ თვითგამორკვევა კაპიტალიზმის დროს «განუხორციელებელიაო». ჯერ კიდევ 1903 წელს რსდმ პარტიის II ყრილობის საპროგრამო კომისიაში ჩვენ, ისკრელები, დავცინოდით ამ საბუთს და ვამბობდით, რომ ეს ისეთივე კარიკატურაა მარქსიზმისა, როგორსაც (სავალალოდ მოსაგონარ) «ეკონომისტებთან» ჰქონდა ადგილი. ჩვენს თეზისებში განსაკუთრებით დაწვრილებით შევჩერდით ამ შეცდომაზე, და სწორედ აქ, სადაც არის მთელი დავის თეორიული ბაზა, პოლონელმა ამხანაგებმა არც ერთ ჩვენს არგუმენტზე არ მოისურვეს (თუ ვერ შეძლეს?) პასუხის გაცემა.

თვითგამორკვევის განხორციელების ეკონომიური შეუძლებლობა დამტკიცებული უნდა ყოფილიყო ისეთივე ეკონომიური ანალიზის საშუალებით, როგორითაც ჩვენ ვამტკი-

ცებთ მანქანების აკრძალვის ან მუშათა ფულის შემოღებისა და სხვ. განუხორციელებლობას. არავინ არ ცდილობს ამგვარი ანალიზის მოცემას. ვერავინ ვერ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ თუნდაც ერთ ქვეყანაში «გამონაკლისის სახით» მოხერხებულიყოს «მუშათა ფულის» შემოღება კაპიტალიზმის დროს, როგორც ერთმა პატარა ქვეყანამ, გამონაკლისის სახით, უაღრესად თავაშვებული იმპერიალიზმის ხანაში მოახერხა განეხორციელებინა განუხორციელებელი თვითგამორკვევა, — ისიც უომრად და ურევოლუციოდ (ნორვეგიამ 1905 წ.).

საერთოდ პოლიტიკური დემოკრატია კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ზ ე ზედნაშენის მხოლოდ ერთი შესაძლებელი (თუმცა თეორიულად «წმინდა» კაპიტალიზმისათვის ნორმალური) ფ ო რ მ ა თ ა- გ ა ნ ი ა. კაპიტალიზმიც და იმპერიალიზმიც, როგორც ფაქტები მოწმობენ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი პოლიტიკური ფორმის დროს ვითარდებიან და ყ ვ ე ლ ა ამ ფორმას იმორჩილებენ. ამიტომ თეორიულად ძირშივე შემცდარია ლაპარაკი დემოკრატიის ე რ თ-ე რ თ ი ფორმისა და ე რ თ-ე რ თ ი მოთხრვნის «განუხორციელებლობაზე».

ამ საბუთებზე პოლონელი კოლეგების მიერ პასუხის გაუცემლობა გვაიძულებს დამთავრებულად ჩავთვალოთ დისკუსია ამ პუნქტის გამო. საკითხის, ასე ვთქვათ, ცხადსაყოფად ჩვენ წამოვაყენეთ ყველაზე უფრო კონკრეტული საბუთი, რომ «სასაცილო» იქნებოდა უარგვეყო პოლონეთის აღდგენის «განხორციელების შესაძლებლობა» ახლა ამ ომის სტრატეგიულ და სხვა მომენტებთან დაკავშირებით. ამის პასუხი არ მიგვიღია!

პოლონელმა ამხანაგებმა უბრალოდ გ ა ი მ ე ო რ ე ს აშკარად არასწორი მტკიცება (§ II, 1), როდესაც ამბობდნენ: «სხვათა ოლქების შემოერთების საკითხებში პოლიტიკური დემოკრატიის ფორმები გამორიცხულია; საქმეს აშკარა ძალადობა წყვეტს... კაპიტალი არასოდეს არ მიანდობს ხალხს თავისი სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხის გადაჭრას»... თითქოს «კაპიტალს» შეეძლოს «მიანდოს ხალხს» მ ი ს, იმპერიალიზმის მსახურ, მოხელეთა არჩევა ხალხის მიერ! ან

თითქოს შესაძლებელი იყოს ს ა ე რ თ ო დ, «აშკარა ძალადობის» ჩაუდენლად რაიმე საფუძვლიანი გადაწყვეტა მნიშვნელოვანი დემოკრატიული საკითხებისა, როგორიცაა, მაგალითად, რესპუბლიკის დაწესება მონარქიის ნაცვლად, მილიციისა — მუდმივი არმიის ნაცვლად! სუბიექტურად პოლონელ ამხანაგებს მარქსიზმის «გაღრმავება» სურთ, მაგრამ ამას მეტად უხეიროდ სჩადიან. ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ, მათი ფრაზები განუხორციელებლობის შესახებ არის ოპორტუნიზმი, ვინაიდან აქ უსიტყვოდ იგულისხმება: «განუხორციელებელია» მთელ რიგ რევოლუციათა გარეშე, ისე როგორც განუხორციელებელია იმპერიალიზმის დროს საერთოდ მ თ ე ლ ი დემოკრატია, ყ ვ ე ლ ა მისი მოთხოვნა.

მხოლოდ ერთხელ, § II, 1-ის სულ ბოლოში, ელზასზე მსჯელობის დროს, დატოვეს პოლონელმა კოლეგებმა «იმპერიალისტური ეკონომიზმის» პოზიცია და დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმის საკითხებს ისინი მიუდგნენ კონკრეტული პასუხით და არა «ეკონომიურზე» საერთო მითითებით. და სწორედ ეს მიდგომა გამოდგა უმართებულო! «პარტიკულარისტული, არადემოკრატიული» იქნებოდაო, — წერენ ისინი — მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ელზასელებს, ფრანგების დაუკითხავად, რომ «თავს მოეხვიათ» ფრანგებისათვის ელზასის შეერთება საფრანგეთთან, თუნდაც ელზასის ნაწილი გერმანელებისაკენ იწევდეს და ეს ომის საფრთხეს ქმნიდესო!!! მეტად სასაცილო დომხალია: თვითგამორკვევა გულისხმობს (ეს თავისთავად ცხადია, და ჩვენ ამას განსაკუთრებით გავუსვით ხაზი ჩვენს თეზისებში) მჩაგვრელი სახელმწიფოსაგან გ ა მ ო ყ ო ფ ი ს თავისუფლებას; იმის შესახებ, რომ ამ სახელმწიფოსთან შ ე ე რ თ ე ბ ა გულისხმობს მ ი ს თანხმობას, პოლიტიკაში ისევე «არაა მიღებული» ლაპარაკი, როგორც არ ლაპარაკობენ ეკონომიკაში კაპიტალისტის «თანხმობაზე» — მიიღოს მოგება ან მუშის «თანხმობაზე» — მიიღოს ხელფასი! ამაზე ლაპარაკი სასაცილოა.

თუ გნებავთ მარქსისტი პოლიტიკოსი იყოთ, როცა ელზასზე ლაპარაკობთ, თავს უნდა ესხმოდეთ გერმანული სოცია-

ლიზმის არამზადებს იმის გამო, რომ ისინი ელზასის გამოყოფის თავისუფლებისათვის არ იბრძვიან, — ფრანგული სოციალიზმის არამზადებს იმის გამო, რომ ისინი ურიგდებიან საფრანგეთის ბურჟუაზიას, რომელსაც სურს ძალით შეიერთოს მთელი ელზასი, — თავს უნდა ესხმოდეთ ერთთაც და მეორეთაც იმის გამო, რომ ისინი «თავიანთი» ქვეყნის იმპერიალიზმს ემსახურებიან, ეშინიათ რა ცალკეული, თუნდაც პატარა სახელმწიფოსი; — უნდა უჩვენოთ, თუ სოციალისტები, რომლებიც თვითგამორკვევას ცნობენ, *როგორ* გადაწყვეტდნენ რამდენიმე კვირაში საკითხს ელზასელების ნება-სურვილის დაურღვევლად. ამის მაგივრად იმ საშინელ საფრთხეზე ლაპარაკი, რომ ფრანგი ელზასელები თავიანთ თავს საფრანგეთს «თავს მოახვევენო" — ეს პირდაპირ მარგალიტია.

3. რა არის ანექსია?

ეს საკითხი ჩვენს თეზისებში სავსებით გარკვეულად დავაყენეთ (§ 7) *. პოლონელ ამხანაგებს *არ* უპასუხნიათ ამ კითხვაზე: მათ *გვერდი აუარეს* მას და დაჟინებით აცხადებდნენ, 1) რომ ისინი ანექსიათა წინააღმდეგნი არიან და 2) განმარტავდნენ, თუ რატომ არიან წინააღმდეგნი. თქმა არ უნდა, ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია. მაგრამ ეს *სხვა* საკითხებია. თუ ჩვენ რამდენადმე მაინც ვზრუნავთ ჩვენი პრინციპების თეორიულად მოფიქრებაზე, მათს ცხადსა და გამოკვეთილ ფორმულირებაზე, მაშინ *გვერდს ვერ ავუვლით* იმ საკითხს, თუ რა არის ანექსია, რაკი ეს ცნება ჩვენს პოლიტიკურ პროპაგანდასა და აგიტაციაში გვხვდება. ხოლო ამ საკითხისათვის გვერდის ახვევას კოლეგიალური დისკუსიის დროს შეუძლებელია სხვა რამ ვუწოდოთ, თუ არ პოზიციაზე ხელის აღება.

რატომ დავაყენეთ ეს საკითხი? ეს ჩვენ განვმარტეთ, როდესაც საკითხი დავაყენეთ. იმიტომ რომ «ანექსიათა წინა-

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 184 — 186. *რედ.*

აღმდეგ პროტესტი სხვა არა არის რა, თუ არ თვითგამორკვევის უფლების აღიარება». ანექსიის ცნებაში ჩვეულებრივ შედის: 1) ძალადობის ცნება (ძალით შემოერთება); 2) უცხო ერის ჩაგვრის ცნება («უ ც ხ ო» ოლქის შემოერთება და სხვ.) და ზოგჯერ — 3) status quo-ს * დარღვევის ცნება. ამაზე ჩვენ მივუთითეთ თეზისებში, და ამ ჩვენი მითითებისათვის კრიტიკა არ გაუწევიათ.

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა სოციალ-დემოკრატები საერთოდ ძალდატანების წინააღმდეგნი იყვნენ? ცხადია, არა. მაშასადამე, ანექსიის წინააღმდეგნი ჩვენ იმიტომ კი არა ვართ, რომ იგი ძალადობას წარმოადგენს, არამედ სხვა რაღაც მიზეზით. სწორედ ასევე არ შეიძლება სოციალ-დემოკრატები status quo-ს მომხრენი იყვნენ. რანაირადაც არ უნდა იტრიალოთ, თქვენ ვერ გაექცევით დასკვნას: ანექსია ერის თ ვ ი თ-გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ა ა, იგი არის სახელმწიფოს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ს დაწესება წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მ ო-ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი ს ა.

იყო ანექსიათა წინააღმდეგი, ეს ნ ი შ ნ ა ვ ს იყო თვითგამორკვევის უფლების მომხრე. იყო «ამათუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში რომელიმე ერის ძალით დატოვების წინააღმდეგი» (ჩვენ განზრახ ვიხმარეთ იმავე აზრის ე ს, ოდნავ სახეშეცვლილი ფორმულირებაც ჩვენი თეზისების მე-4 პარაგრაფში **, და პოლონელმა ამხანაგებმა აქ ს ა ვ ს ე ბ ი თ ცხადად გ ვ ი პ ა ს უ ხ ე ს, განაცხადეს რა თავიანთ § I, 4-ში, დასაწყისში, რომ ისინი «წინააღმდეგნი არიან ჩაგრულ ერთა ძალით დატოვებისა ანექსიის მომხდენი სახელმწიფოს საზღვრებში») — ეს ი გ ი ვ ე ა, რომ იყო ერთა თვითგამორკვევის მომხრე.

სიტყვებზე კამათი ჩვენ არა გვსურს. თუ არის პარტია, რომელიც თავის პროგრამაში (ან ყველასათვის სავალდებულო რეზოლუციაში, საქმე ფორმა როდია) აცხადებს, რომ

* — არსებული მდგომარეობის. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 179. რ ე დ.

იგი ანექსიათა წინააღმდეგია *, წინააღმდეგია ჩაგრულ ერთა ძალით დატოვებისა მისი სახელმწიფოს საზღვრებში, მაშინ ჩვენ ასეთ პარტიას სრულ პრინციპულ თანხმობას ვუცხადებთ. სიტყვა «თვითგამორკვევისათვის» ხელის ჩაჭიდება სისულელე იქნებოდა. და თუ ჩვენს პარტიაში გამოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მოისურვებენ შეცვალონ ამ მიმართულებით სიტყვები, ჩვენი პარტიული პროგრამის მე-9 პარაგრაფის ფორმულირება, ასეთ ამხანაგებთან უთანხმოებას ჩვენ ჩავთვლით სრულიად არა პრინციპულ უთანხმოებად!

საქმე მხოლოდ ისაა, ჩვენი ლოზუნგები პოლიტიკურად ცხადი და თეორიულად მოფიქრებული იყოს.

ამ საკითხზე გამართული სიტყვიერი დისკუსიების დროს — საკითხზე, რომლის დიდ მნიშვნელობას განსაკუთრებით ახლა, ომთან დაკავშირებით, არავინ უარყოფს — ასეთი საბუთიც გვხვდებოდა (პრესაში ჩვენ იგი ვერ ვნახეთ): განსაზღვრული ბოროტების წინააღმდეგ პროტესტი აუცილებლად როდი ნიშნავს იმ დადებითი ცნების აღიარებას, ბოროტებას რომ უარყოფსო. ეს აშკარად უსაფუძვლო საბუთია და, ალბათ, ამიტომაც არ დაუბეჭდავთ არსად პრესაში. თუ სოციალისტური პარტია აცხადებს, რომ იგი «წინააღმდეგია ჩაგრული ერის ძალით დატოვებისა ანექსიის მომხდენი სახელმწიფოს საზღვრებში», — ეს პარტია ამით ვალდებულებას კისრულობს — ხელი აიღოს ძალით დატოვებაზე, როდესაც ის ხელისუფლების სათავეში მოექცევა.

ჩვენ ერთ წუთსაც კი არ ვეჭვობთ, ხვალ ჰინდენბურგმა რუსეთი რომ სანახევროდ დაამარცხოს და ამ სანახევროდ დამარცხების გამოხატულება (ინგლისისა და საფრანგეთის სურვილთან დაკავშირებით — ცოტაოდნად შეასუსტონ ცარიზმი) პოლონეთის ახალი სახელმწიფო იქნეს, რაც სრულიად

* «ძველი და ახალი ანექსიების წინააღმდეგ», ასე ჩამოაყალიბა ეს აზრი კ. რადეკმა «Berner Tagwacht»-ში («ბერნის გუშაგი». რ ე დ.) დაბეჭდილ თავის ერთ-ერთ სტატიაში.

«განსახორციელებელია» კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ეკონომიური კანონების თვალსაზრისით, და შემდეგ, ზეგ პიტერსა, ბერლინსა და ვარშავაში სოციალისტურმა რევოლუციამ რომ გაიმარჯვოს, მაშინ პოლონეთის სოციალისტური მთავრობა, მსგავსად რუსეთის და გერმანიის მთავრობებისა, ხელს აიღებს, ვთქვათ, უკრაინელების «ძალით დატოვებაზე» «პოლონეთის სახელმწიფოს საზღვრებში». თუ ხსენებულ მთავრობაში «გაზეტა რობოტნიჩას» რედაქციის წევრები იქნებიან, ისინი, უეჭველია, თავიანთ «თეზისებს» მსხვერპლად მიიტანენ და ამით დაარღვევენ იმ «თეორიას», რომ «სოციალისტური საზოგადოებისათვის შეუძლებელია თვითგამორკვევის უფლების გამოყენება». ჩვენ რომ სხვანაირად ვფიქრობდეთ, პოლონეთის სოციალ-დემოკრატებთან ამხანაგურ დისკუსიას კი არ დავსვამდით დღის წესრიგში, არამედ დაუნდობელ ბრძოლას მათთან, როგორც შოვინისტებთან.

ვთქვათ, მე გამოვედი ევროპის რომელიმე ქალაქის ქუჩაში და საჯაროდ განვაცხადე, ხოლო შემდეგ გაზეთებში გავიმეორე «პროტესტი» იმის წინააღმდეგ, რომ მე ნებას არ მაძლევენ ადამიანი ვიყიდო მონად. ეჭვს გარეშეა, რომ უფლება ექნებათ მონათმფლობელად, მონობის პრინციპის თუ სისტემის, როგორც გნებავთ, მომხრედ ჩამთვალონ. მონობისადმი ჩემი სიმპათიები რომ პროტესტის უარყოფითი ფორმით არის ჩამოყალიბებული, და არა დადებითით («მე მონობის მომხრე ვარ»), ეს ვერავის მოატყუებს. პოლიტიკური «პროტესტი» ს ა ვ ს ე ბ ი თ თანაბარია პოლიტიკური პროგრამისა, — ეს იმდენად ცხადია, რომ როგორღაც უხერხულიც კია იძულებული გახდე ეს განმარტო. ყოველ შემთხვევაში მტკიცედ დარწმუნებულნი ვართ, რომ ციმერვალდელ მემარცხენეებს — არ ვლაპარაკობთ ყველა ციმერვალდელზე, ვინაიდან მათ შორის მარტოვი და სხვა კაუცკელებიც არიან, — ჩვენ წინააღმდეგ «საპროტესტო» არაფერი ექნებათ, თუ ვიტყვით, რომ III ინტერნაციონალში ადგილი არ ექნებათ ისეთ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურ პროტესტს აცალკევებენ პოლიტიკური პროგრამისაგან, ერთმანეთს უპირდაპირებენ მათ და სხვ.

სიტყვებზე დავა არა გვსურს, ამიტომ ნებას მივცემთ ჩვენს თავს მტკიცე იმედი გამოვთქვათ, რომ პოლონელი სოციალ-დემოკრატები შეეცდებიან მალე ჩამოაყალიბონ ოფიციალურად როგორც თავიანთი წინადადება — ამოგდებულ იქნეს მე-9 პარაგრაფი ჩვენი (ასევე მ ა თ ი) პარტიული პროგრამიდან, აგრეთვე ინტერნაციონალის პროგრამიდანაც (1896 წ. ლონდონის კონგრესის რეზოლუცია), ისე თ ა ვ ი ა ნ თ ი განმარტება შესაბამისი პოლიტიკური აზრებისა «ძველ და ახალ ანექსიათა» და «ანექსიის მომხდენი სახელმწიფოს საზღვრებში ჩაგრული ერის ძალით დატოვების» შესახებ. — გადავიდეთ შემდეგ საკითხზე.

4. ანექსიებისათვის თუ ანექსიების წინააღმდეგ?

თავიანთი თეზისების პირველი განყოფილების მე-3 პარაგრაფში პოლონელი ამხანაგები სავსებით გარკვეულად აცხადებენ, რომ ისინი ყოველგვარი ანექსიის წინააღმდეგნი არიან. სამწუხაროდ, იმავე განყოფილების მე-4 პარაგრაფში ჩვენ გვხვდება ისეთი მტკიცებანი, რომელნიც ანექსიონისტურ მტკიცებებად უნდა მივიჩნიოთ. ეს პარაგრაფი იწყება შემდეგი... როგორ გამოვთქვათ უფრო რბილად?.. უცნაური ფრაზით:

«ანექსიათა წინააღმდეგ, ანექსიის მომხდენი სახელმწიფოს საზღვრებში ჩაგრული ერების ძალით დატოვების წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიის ბრძოლის გამოსავალი წერტილია უ ა რ ყ ო ფ ა ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დ ა ც ვ ი ს ა (ხაზგასმა ავტორებისაა), რომელიც იმპერიალიზმის ერაში არის დაცვა საკუთარი ბურჟუაზიის უფლებისა, რომ ჩაგროს და ძარცვოს უცხო ხალხები»...

რაო? როგორ?

«ანექსიათა წინააღმდეგ ბრძოლის გამოსავალი წერტილია უარყოფა სამშობლოს ყ ო ვ ე ლ გ ვ ' ა რ ი დაცვისა»... კი, მაგრამ «სამშობლოს დაცვა» ხომ შეიძლება ეწოდოს და

დღემდე საყოველთაოდ მიღებულიც იყო ასე ეწოდებინათ ყოველგვარი ეროვნული ომისა და ყოველგვარი ეროვნული აჯანყებისათვის! ჩვენ ანექსიათა წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ... ეს ისე გვესმის, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ანექსირებულთა ომისა იმისთვის, რომ თავი გაითავისუფლონ ანექსიის მომხდენთაგან, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ანექსირებულთა აჯანყებისა ანექსიის მომხდენთაგან განსათავისუფლებლად! განა ეს ანექსიონისტური მტკიცება არ არის?

თეზისების ავტორები თავიანთ... უცნაურ მტკიცებას იმით ასაბუთებენ, რომ «იმპერიალიზმის ერაში» სამშობლოს დაცვა — ეს არის დაცვა თავისი ბურჟუაზიის უფლებისა, რომ მან ჩაგროს უცხო ხალხები. მაგრამ ეს მართალია მხოლოდ იმპერიალისტური ომის მიმართ, ე. ი. იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, ან სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის ატეხილი ომის მიმართ, როდესაც ორივე მებრძოლი მხარე არა მარტო ჩაგრავს «უცხო ხალხებს», არამედ ომსაც იმისათვის აწარმოებს, თუ რომელმა უფრო მეტი უცხო ხალხი დაჩაგროს!

ჩანს, თეზისების ავტორები «სამშობლოს დაცვის» საკითხს სრულიადაც ისე არ აყენებენ, როგორც ჩვენი პარტია აყენებს მას. ჩვენ უარვყოფთ «სამშობლოს დაცვას» იმპერიალისტურ ომში. ეს ცხადზე უცხადესადაა ნათქვამი როგორც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში, ისე ბერნის რეზოლუციებში *, რაც გადაბეჭდილია ბროშურაში «სოციალიზმი და ომი», რომელიც გერმანულადაც და ფრანგულადაც გამოვიდა. ამას ჩვენ ორჯერ გავუსვით ხაზი ჩვენს თეზისებშიც (§ 4 და § 6-ის შენიშვნები) **. ეტყობა, პოლონური თეზისების ავტორები უარყოფენ სამშობლოს დაცვას საერთოდ, ე. ი. ეროვნული ომისთვისაც, ალბათ, იმიტომ, რომ «იმპერიალიზმის ერაში» მათ ეროვ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 13 — 24 და 181 — 182. რედ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 180 და 183. რედ.

ნული ომები შეუძლებლად მიაჩნიათ. ვამბობთ: «ალბათ», იმიტომ რომ პოლონელ ამხანაგებს თავიანთ თეზისებში ასეთი აზრი არ გამოუთქვამთ.

ასეთი შეხედულება ცხადად არის გამოთქმული გერმანული ჯგუფის — «ინტერნაციონალის» თეზისებში და იუნიუსის ბროშურაში, რომელსაც ჩვენ ცალკე სტატიას ვუძღვნით *. იქ თქმულს დავუმატებთ, რომ ანექსირებული ოლქის თუ ქვეყნის ეროვნულ აჯანყებას ანექსიის მომხდენის წინააღმდეგ შეუძლიათ უწოდონ სწორედ აჯანყება და არა ომი (ჩვენ ასეთი შემოკამათება გვსმენია, და ამიტომ მოგვყავს იგი, თუმცა ეს ტერმინოლოგიური დავა სერიოზულად არ მიგვაჩნია). ყოველ შემთხვევაში, არა გვგონია ვინმემ გაბედოს იმის უარყოფა, რომ ანექსირებული ბელგია, სერბია, გალიცია, სომხეთი თავიანთ «აჯანყებას» ანექსიის მომხდენის წინააღმდეგ «სამშობლოს დაცვას» დაარქმევენ და მართებულადაც დაარქმევენ. გამოდის, რომ პოლონელი ამხანაგები ამგვარი აჯანყების წინააღმდეგნი არიან იმ საბუთით, რომ ამ ანექსირებულ ქვეყნებშიც ასევე არის ბურჟუაზია და იგიც ასევე ჩაგრავს უცხო ხალხებს, ან უფრო სწორად: შეუძლია დაჩაგროს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ «მის მიერ დაჩაგვრის უფლებაზე». მაშასადამე, ამა თუ იმ ომის ან ამა თუ იმ აჯანყების შეფასებისათვის აღებულია არა მისი ნამდვილი სოციალური შინაარსი (ჩაგრული ერის ბრძოლა განთავისუფლებისათვის — მჩაგვრელის წინააღმდეგ), არამედ ამჟამად ჩაგრული ბურჟუაზიის მიერ შესაძლებელი განხორციელება მისი «უფლებისა, რომ ჩაგროს». ბელგია, ვთქვათ, 1917 წელს რომ გერმანიის მიერ იქნეს ანექსირებული, 1918 წელს კი აჯანყდეს თავის განსათავისუფლებლად, პოლონელი ამხანაგები აჯანყების წინააღმდეგნი იქნებიან იმ მოსაზრებით, რომ ბელგიის ბურჟუაზიას აქვს «უცხო ხალხების ჩაგვრის უფლება»!

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 385 — 405. რედ.

არაფერი მარქსისტული ან საერთოდ რევოლუციური არა მოიპოვება რა ამ მსჯელობაში. სოციალიზმს რომ არ ვუღალატოთ, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველგვარ აჯანყებას ჩვენი უმთავრესი მტრის, დიდ სახელმწიფოთა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, თუ ეს რეაქციული კლასის აჯანყება არ არის. ჩვენ რომ უარი ვთქვათ ანექსირებული ოლქების აჯანყების მხარისდაჭერაზე, ამით ჩვენ — ობიექტურად — ანექსიონისტები ვხდებით. სწორედ «იმპერიალიზმის ერაში», რომელიც დაწყებული სოციალური რევოლუციის ერაა, პროლეტარიატი დღეს განსაკუთრებული ენერგიით მხარს დაუჭერს ანექსირებული ოლქების აჯანყებას, რათა ხვალვე ან ერთსა და იმავე დროს თავს დაესხას ამგვარი აჯანყებით დასუსტებულ «დიდი» სახელმწიფოს ბურჟუაზიას.

მაგრამ პოლონელი ამხანაგები უფრო შორს მიდიან თავიანთი ანექსიონიზმით. ისინი არა მარტო წინააღმდეგნი არიან ანექსირებული ოლქების აჯანყებისა, არამედ წინააღმდეგნი არიან მათი დამოუკიდებლობის ყოველგვარი, თუნდაც მშვიდობიანი, აღდგენისა! მოუსმინეთ:

«სოციალ-დემოკრატია არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს იმპერიალიზმის ჩაგვრითი პოლიტიკის შედეგებისათვის, უსასტიკესად ებრძვის მათ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გამოდის ევროპაში ახალი სასაზღვრო სვეტების დადგენის მომხრედ, იმპერიალიზმის მიერ მოშლილი სასაზღვრო სვეტების აღდგენის მომხრედ» (ხაზგასმა ავტორებისაა).

ამჟამად «იმპერიალიზმის მიერ მოშლილია სასაზღვრო სვეტები» გერმანიასა და ბელგიას, რუსეთსა და გალიციას შორის. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, თურმე ნუ იტყვით, საერთოდ წინააღმდეგი უნდა იყოს ამა თუ იმ გზით მათი აღდგენისა. 1905 წელს, «იმპერიალიზმის ერაში», როდესაც ნორვეგიის ავტონომიურმა სეიმმა გამოაცხადა შვეციისაგან გამოყოფა, ხოლო ნორვეგიის წინააღმდეგ შვეციის ომი, რომელსაც შვეციის რეაქციონერები ქადაგებდნენ, ვერ

მოხერხდა როგორც შვეციელი მუშების წინააღმდეგობის, ისე საერთაშორისო იმპერიალისტური სიტუაციის გამო, — სოციალ-დემოკრატია ნორვეგიის გამოყოფის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ეს, უეჭველია, «ევროპაში ახალი სასაზღვრო სვეტების დადგენას» ნიშნავდა!!

ეს უკვე პირდაპირი, აშკარა ანექსიონიზმია. მისი გაბათილება საჭირო არაა, იგი თვითონ აბათილებს თავის თავს. ვერც ერთი სოციალისტური პარტია ვერ გაბედავს დადგეს ასეთ პოზიციაზე: «ჩვენ საერთოდ ანექსიების წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ ევროპისათვის ვადასტურებთ ანექსიებს ან ვურიგდებით მათ, რაკი ისინი უკვე მოახდინეს»...

საჭიროა შევჩერდეთ მხოლოდ იმ შეცდომის თეორიულ წყაროებზე, რომელსაც ჩვენი პოლონელი ამხანაგები ასეთ უაშკარავეს... «შეუძლებლობამდე» მიუყვანია. «ევროპის» გამოყოფის უსაფუძვლობაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ. თეზისების შემდეგი ორი ფრაზა ნათელყოფს შეცდომის სხვა წყაროებს:

...«იქ, სადაც იმპერიალიზმის ბორბალმა გადაუარა უკვე ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს და სრესს მას, იქ იმპერიალისტური ჩაგვრის მხეცური ფორმით წარმოებს კაპიტალისტური სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიური კონცენტრაცია, რომელიც სოციალიზმს ამზადებს»...

ანექსიების ეს გამართლება სტრუვიზმია და არა მარქსიზმი. რუსი სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც ახსოვთ რუსეთში 1890-იანი წლები, კარგად იცნობენ მარქსიზმის დამახინჯების ამ მანერას, რაც საერთოა ბ-ნ სტრუვეებისა, კუნოვებისა, ლეგინებისა და კომპანიისათვის. სწორედ გერმანელი სტრუვისტების, ეგრეთწოდებული «სოციალ-იმპერიალისტების» შესახებ, პოლონელი ამხანაგების მეორე თეზისში (II, 3) ჩვენ ვკითხულობთ:

...(თვითგამორკვევის ლოზუნგი) «სოციალ-იმპერიალისტებს შესაძლებლობას აძლევს ამტკიცონ ამ ლოზუნგის ილუზიური ხასიათი, ისტორიულად უმართებულო სანტიმენტალობად გამოაცხადონ ჩვენი ბრძოლა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ

და ამგვარად ძირი გამოუთხარონ პროლეტარიატის ნდობას სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მეცნიერული დასაბუთებულობისადმი»...

ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორებს გერმანელი სტრუვისტების პოზიცია «მეცნიერულ» პოზიციად მიაჩნიათ! მოგვილოცავს.

მხოლოდ ერთი «წვრილმანი» არღვევს ამ საკვირველ არგუმენტს, რომელიც იმით გვემუქრება, რომ ლენჩები, კუნოვები, პარვუსები ჩვენ წინააღმდეგ მ ა რ თ ა ლ ნ ი ა რ ი ა ნ: სახელდობრ, ეს ლენჩები თავისებურად თანმიმდევარი ადამიანები არიან, და შოვინისტური გერმანული «ზარის» მე-8 — 9 ნომერში — ჩვენ განგებ ამოვიწერეთ ჩვენს თეზისებში ადგილები სწორედ ამ ნომრებიდან — ლენჩი ე რ თ ს ა დ ა ი მ ა ვ ე დ რ ო ს ამტკიცებს თვითგამორკვევის ლოზუნგის «მეცნიერულ დაუსაბუთებლობასაც» (პოლონელ სოციალ-დემოკრატებს, ეტყობათ, ლენჩის ე ს არგუმენტაცია დაურღვეველ რამედ მიუჩნევიათ, როგორც ამას მოწმობს ჩვენ მიერ მათი თეზისებიდან მოყვანილი მსჯელობა...) დ ა ანექსიათა საწინააღმდეგო ლოზუნგის «მეცნიერულ დაუსაბუთებლობასაც»!!

ვინაიდან ლენჩი ჩინებულად მიმხვდარა იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რაზედაც ჩვენ მივუთითეთ პოლონელ კოლეგებს, რომლებმაც არ მოისურვეს ეპასუხნათ ჩვენს მითითებაზე: არ არის განსხვავება, «არც ეკონომიური, არც პოლიტიკური», არც საერთოდ ლოგიკური, თვითგამორკვევის «აღიარებასა» და ანექსიათა წინააღმდეგ «პროტესტს» შორის. თუ პოლონელ ამხანაგებს ლენჩების საბუთები თვითგამორკვევის წინააღმდეგ დაურღვეველ რამედ მიაჩნიათ, მაშინ არ შეიძლება არ ვაღიაროთ ფ ა ქ ტ ი: ყ ვ ე ლ ა ამ საბუთს ლენჩები მიმართავენ ანექსიებთან ბრძოლის წინააღმდეგაც.

თეორიულმა შეცდომამ, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენი პოლონელი კოლეგების ყველა მსჯელობას, იქამდე მიიყვანა ეს უკანასკნელნი, რომ ისინი ა რ ა თ ა ნ მ ი მ დ ე ვ ა რ ი ა ნ ე ქ ს ი ო ნ ი ს ტ ე ბ ი აღმოჩნდნენ.

5. რატომ არის სოციალ-დემოკრატია ანექსიათა წინააღმდეგი?

ჩვენი თვალსაზრისით პასუხი ნათელია: იმიტომ, რომ ანექსია ერთა თვითგამორკვევას არღვევს ანუ, სხვანაირად, ეროვნული ჩაგვრის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

პოლონელი სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისით, განსაკუთრებულად უნდა გამოვარკვიოთ, თუ რატომ ვართ ანექსიათა წინააღმდეგნი, და ეს განმარტებანი (I, 3 თეზისებში) ავტორებს გარდუვალად ხლართავენ მთელ რიგ ახალ წინააღმდეგობებში.

მათ ორი საბუთი მოჰყავთ იმის «გასამართლებლად», თუ რატომ ვართ ჩვენ (მიუხედავად ლენჩების «მეცნიერულად დასაბუთებული» არგუმენტებისა) ანექსიათა წინააღმდეგნი. პირველი:

...«მტკიცებას, რომ ევროპაში ანექსიები აუცილებელია ძლევამოსილი იმპერიალისტური სახელმწიფოს სამხედრო უზრუნველყოფისათვის, სოციალ-დემოკრატია უპირისპირებს იმ ფაქტს, რომ ანექსიები მხოლოდ აძლიერებენ ანტაგონიზმებს და ამით ზრდიან ომის საფრთხეს»...

ლენჩებისათვის ეს საკმაო პასუხი ვერ არის, ვინაიდან მათი უმთავრესი საბუთი სამხედრო აუცილებლობა კი არ არის, არამედ ეკონომიური პროგრესულობა ანექსიებისა, რომლებიც იმპერიალიზმის დროს კონცენტრაციას მოასწავებენ. სად არის აქ ლოგიკა, თუ პოლონელი სოციალ-დემოკრატები ერთსა და იმავე დროს ამგვარი კონცენტრაციის პროგრესულობასაც აღიარებენ, უარყოფენ რა ევროპაში იმპერიალიზმის მიერ მოშლილი სასაზღვრო სვეტების აღდგენას, და ანექსიათა წინააღმდეგაც ილაშქრებენ?

შემდეგ. რაგვარი ომების საფრთხეს აძლიერებენ ანექსიები? არა იმპერიალისტური ომებისას, ვინაიდან მათ სხვა მიზეზები იწვევენ; ახლანდელ იმპერიალისტურ ომში უმთავრესი ანტაგონიზმები, უდავოდ, არის ანტაგონიზმები ინგლისსა და გერმანიას, რუსეთსა და გერმანიას შორის. ანექ-

სიები აქ არ ყოფილა და არც არის. ლაპარაკია ე რ ო ვ ნ უ ლ ი ომებისა და ეროვნული აჯანყებების საფრთხის გაძლიერებაზე. მაგრამ როგორ შეიძლება, ერთი მხრივ, «იმპერიალიზმის ერაში» ეროვნული ომების შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს აცხადებდე და, მეორე მხრივ, ეროვნული ომების «საფრთხეს» აყენებდე? ეს ულოგიკობაა.

მეორე საბუთი. ანექსიები «უფსკრულს თხრიან გაბატონებული და ჩაგრული ერების პროლეტარიატს შორის»... «ჩაგრული ერის პროლეტარიატი თავის ბურჟუაზიას შეუერთდებოდა და გაბატონებული ერის პროლეტარიატს მტრად მიიჩნევდა. ნაცვლად პროლეტარიატის ინტერნაციონალური კლასობრივი ბრძოლისა ინტერნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მოხდებოდა პროლეტარიატის გათიშვა, მისი იდეური გარყვნა»...

ამ საბუთებს ჩვენ სავსებით ვიზიარებთ. მაგრამ ლოგიკურია განა ერთსა და იმავე საკითხზე, ერთსა და იმავე დროს ურთიერთგამომრიცხველი საბუთების მოყვანა? თეზისების I განყოფილების მე-3 პარაგრაფში ჩვენ ვკითხულობთ ხსენებულ საბუთებს, რომლებიც ანექსიებში პროლეტარიატის გ ა თ ი შ ვ ა ს ხედავენ, მის გვერდით კი, მე-4 პარაგრაფში გვეუბნებიან, რომ ევროპაში წინააღმდეგნი უნდა ვიყოთ უკვე მომხდარ ანექსიათა გაუქმებისა და მხარს უნდა ვუჭერდეთ «ჩაგრული და მჩაგვრელი ერების მუშათა მასების აღზრდას სოლიდარული ბრძოლისათვის». თუ ანექსიათა გაუქმება რეაქციული «სანტიმენტალობაა», მაშინ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ისეთი არგუმენტაციის მოყვანა, რომ ანექსიები «უფსკრულს» თხრიან «პროლეტარიატს» შორის და იწვევენ მის «გათიშვას», — პირიქით, მაშინ ანექსიებში სხვადასხვა ერის პროლეტარიატის დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი ს პირობას უნდა ვხედავდეთ.

ჩვენ ვამბობთ: იმისათვის, რომ შევძლოთ სოციალისტური რევოლუციის მოხდენა და ბურჟუაზიის დამხობა, მუშები უფრო მჭიდროდ უნდა შეერთდნენ და ამ მჭიდრო შეერთებას ხელს უწყობს თვითგამორკვევისთვის ბრძოლა, ე. ი. ბრძოლა ანექსიების წინააღმდეგ. ჩვენ თანმიმდევარნი ვრჩებით.

პოლონელი ამხანაგები კი, ევროპულ ანექსიათა «გაუქმების შეუძლებლობას» რომ აღიარებენ, ეროვნული ომების «შეუძლებლობას» რომ აღიარებენ, თვითონვე იმათრახებენ თავს, როდესაც ანექსიათა «წინააღმდეგ» დავობენ სწორედ ეროვნული ომების საბუთებით! სახელდობრ ისეთი სახის საბუთებით, რომ ანექსიები აძნელებენ სხვადასხვა ერის მუშების დაახლოებასა და შერწყმას!

სხვა სიტყვებით: ანექსიები რომ უარყონ, პოლონელი სოციალ-დემოკრატები იძულებული არიან საბუთები მოიყვანონ იმ თეორიული ბაგაჟიდან, რომელსაც თვითონვე პრინციპულად უარყოფენ.

კიდევ და კიდევ უფრო ნათლად ეს კოლონიების საკითხში ჩანს.

6. შეიძლება თუ არა ამ საკითხში კოლონიები დავუპირდაპიროთ «ევროპას»?

ჩვენს თეზისებში ნათქვამია, რომ კაპიტალიზმის დროს კოლონიების დაუყოვნებლივი განთავისუფლების მოთხოვნა ისევე «განუხორციელებელია» (ე. ი. განუხორციელებელია მთელ რიგ რევოლუციათა გარეშე და მტკიცე არაა უსოციალიზმოდ), როგორც ერთა თვითგამორკვევა, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევა, დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვ., — ხოლო, მეორე მხრივ, რომ კოლონიების განთავისუფლების მოთხოვნა სხვა არა არის რა, თუ არ «ერთა თვითგამორკვევის აღიარება».

პოლონელ ამხანაგებს არც ერთ ამ არგუმენტზე პასუხი არ გაუციათ. ისინი შეეცადნენ განსხვავება გაეტარებინათ «ევროპასა» და კოლონიებს შორის. ისინი მხოლოდ ევროპისათვის არიან არათანმიმდევარი ანექსიონისტები, უარს ამბობენ გააუქმონ ანექსიები, რაკი ეს უკვე მომხდარი ამბავია. კოლონიებისათვის კი ისინი აცხადებენ უეჭველ მოთხოვნას: «შორს კოლონიებიდან!».

რუსმა სოციალისტებმა უნდა მოითხოვონ: «შორს თურქესტანიდან, ხივიდან, ბუხარიდან და სხვ.», მაგრამ ისინი «უტო-

პიზმს», «არამეცნიერულ» «სანტიმენტალობას» და სხვ. გამოიჩენენ, თუ გამოყოფის ამგვარსავე თავისუფლებას მოითხოვენ პოლონეთისა, ფინეთისა, უკრაინისა და სხვებისათვისო. ინგლისელმა სოციალისტებმა უნდა მოითხოვონ: «შორს აფრიკიდან, ინდოეთიდან, ავსტრალიიდან», მაგრამ არა ირლანდიიდანო. რანაირი თეორიული საფუძვლებით შეიძლება აიხსნას ასეთი აშკარად მცდარი განსხვავების გამართლება? ამ საკითხის გვერდის ავლა არ შეიძლება.

თვითგამორკვევის მოწინააღმდეგეთა მთავარი «ბაზა» არის: «განხორციელების შეუძლებლობა». ამავე აზრს, ოდნავ სხვა იერით, გამოხატავს «ეკონომიურ და პოლიტიკურ კონცენტრაციაზე» მითითებაც.

ცხადია, კონცენტრაცია ხდება ა გ რ ე თ ვ ე კოლონიების შეერთების საშუალებითაც. კოლონიებსა და ევროპელ ხალხებს — ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელთა უმრავლესობას — შორის ეკონომიური განსხვავება წინათ ის იყო, რომ კოლონიები ებმებოდნენ ს ა ქ ო ნ ლ ი ს გაცვლა-გამოცვლაში, მაგრამ ჯერ კიდევ არა კაპიტალისტურ წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი. იმპერიალიზმმა ეს შეცვალა. იმპერიალიზმი, სხვათა შორის, არის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გატანა. კაპიტალისტური წარმოება სულ უფრო და უფრო სწრაფად ინერგება კოლონიებში. მათი გამოგლეჯა ევროპის ფინანსურ კაპიტალზე დამოკიდებულებისაგან არ შეიძლება. სამხედრო თვალსაზრისით, ისე როგორც ექსპანსიის (გაფართოების) თვალსაზრისით, კოლონიის გამოყოფა შესაძლებელია, საერთო წესით, მხოლოდ სოციალიზმის დროს; კაპიტალიზმის დროს კი იგი შესაძლებელია ან როგორც გამონაკლისი, ან მთელ რიგ რევოლუციათა და აჯანყებათა ფასად როგორც კოლონიაში, ისე მეტროპოლიაში.

ევროპაში დამოკიდებული ერები უმეტეს შემთხვევაში კაპიტალისტურად უფრო განვითარებული არიან (თუმცა ყველა როდი: ალბანელები, რუსეთის ბევრი უცხოტომელი), ვიდრე კოლონიებში. მაგრამ სწორედ ეს იწვევს ეროვნული ჩაგვრისა და ანექსიებისათვის უფრო მეტი წინააღმდეგობის გაწევას! სწორედ ამის გამო კაპიტალიზმის განვითარება ევრო-

პაში, რაგვარი პოლიტიკური პირობებიც უნდა არსებობდეს, მათ შორის გამოყოფის დროსაც, უ ფ რ ო უ ზ რ უ ნ ვ ე ლ-ყ ო ფ ი ლ ი ა, ვიდრე კოლონიებში... «იქ — ამბობენ პოლონელი ამხანაგები კოლონიების შესახებ (I, 4) — კაპიტალიზმს ჯერ კიდევ წინ აქვს საწარმოო ძალთა დამოუკიდებელი განვითარების ამოცანა»... ევროპაში ეს კიდევ უფრო თვალსაჩინოა: პოლონეთსა, ფინეთსა, უკრაინასა და ელზასში კაპიტალიზმი, უეჭველია, საწარმოო ძალებს ავითარებს უფრო ძლავრადაც, უფრო სწრაფადაც და უფრო დამოუკიდებლადაც, ვიდრე ინდოეთში, თურქესტანში, ეგვიპტეში და სხვა უაღრესად წმინდა ტიპის კოლონიებში. უკაპიტალოდ შეუძლებელია როგორც დამოუკიდებელი, ისე საერთოდ რაიმე განვითარება სასაქონლო წარმოების საზოგადოებაში. ევროპაში დამოკიდებულ ერებს აქვთ თ ა ვ ი ა ნ თ ი კაპიტალიც და ადვილი შესაძლებლობაც სხვადასხვა პირობით მისი მოპოვებისა. კოლონიებში ს ა კ უ თ ა რ ი კაპიტალი არ არის ან თითქმის არ არის, მისი მოპოვება სხვანაირად, თუ არ პოლიტიკური დამორჩილების პირობით, ფინანსური კაპიტალის ვითარებაში, კოლონიას არ შეუძლია. რაღას ნიშნავს, ყოველივე ამის გამო, კოლონიების დაუყოვნებლივ და უეჭველად განთავისუფლების მოთხოვნა? განა ცხადი არ არის, რომ ეს მოთხოვნა ბევრად უფრო «უტოპიურია», სიტყვა «უტოპიის» იმ ვულგარული, კარიკატურულ-«მარქსისტული» აზრით, როგორც მას ბ-ნი სტრუვეები, ლენჩები, კუნოვები და მათ კვალდაკვალ, სამწუხაროდ, აგრეთვე პოლონელი ამხანაგები ხმარობენ? «უტოპიზმად» აქ, არსებითად, გაგებულია ობივატელურ-ჩვეულებრივისაგან გადახვევა, მათ შორის ყველაფერი რევოლუციური. მაგრამ ევროპის ვითარებაში ყ ვ ე ლ ა სახის რევოლუციური მოძრაობა — მათ შორის ეროვნულიც — უფრო შესაძლებელი, უფრო განსახორციელებელი, უფრო მედგარი, უფრო შეგნებულია და უფრო ძნელად დასამარცხებელი, ვიდრე კოლონიებში.

სოციალიზმი — ამბობენ პოლონელი ამხანაგები (I, 3) — «შეძლებს უ ა ნ გ ა რ ო კ ულ ტ ურ ულ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა

ჯაუწიოს კოლონიათა განუვითარებელ ხალხებს ისე, რომ მათზე ა რ ი ბ ა ტ ო ნ ო ს». სრულიად სამართლიანია. მაგრამ რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დიდი ერი, დიდი სახელმწიფო, სოციალიზმზე რომ გადავა, ვერ შეძლებს «უანგარო კულტურული დახმარების» საშუალებით გადაიბიროს ევროპაში პატარა ჩაგრული ერი? სწორედ გამოყოფის თავისუფლება, რომელსაც პოლონელი სოციალ-დემოკრატები «ა ძ ლ ე ვ ე ნ» კოლონიებს, მიიზიდავს დიდ სოციალისტურ სახელმწიფოებთან კავშირისაკენ ევროპის პატარა, მაგრამ კულტურულ და პოლიტიკური მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი ს მ ქ ო ნ ე ჩაგრულ ერებს, ვინაიდან სოციალიზმის დროს დიდი სახელმწიფო ნიშნავს: დღეში ამდენი და ამდენი საათით ნ ა კ ლ ე ბ მუშაობას, დღეში ამდენითა და ამდენით უფრო მეტ ხ ე ლ ფ ა ს ს. მშრომელი მასები, რომლებიც თავისუფლდებიან ბურჟუაზიის უღლისაგან, მთელი ძალღონით გ ა ი წ ე ვ ე ნ დიდ და მოწინავე სოციალისტურ ერებთან კავშირისა და შერწყმისაკენ, ამ «კულტურული დახმარების» გულისთვის, ოღონდ კი გუშინდელი მჩაგვრელები არ შეურაცხყოფდნენ ხანგრძლივად ჩაგრული ერის თვითპატივისცემის ფრიად განვითარებულ დემოკრატიულ გრძნობას, ოღონდ კი მას მიანიჭონ თანასწორობა ყველაფერში, მათ შორის სახელმწიფოს მშენებლობაშიც, «საკუთარი» სახელმწიფოს აგების ცდაშიც. კაპიტალიზმის დროს ეს «ცდა» ომებს, განცალკევებას, კარჩაკეტილობას, პრივილეგიურ პატარა ერთა ვიწრო ეგოიზმს ნიშნავს (ჰოლანდია, შვეიცარია). სოციალიზმის დროს მშრომელი მასები თვითონ არსად არ დასთანხმდებიან კარჩაკეტილობას ზემოხსენებული წმინდა ეკონომიური მოტივების გამო, ხოლო პოლიტიკურ ფორმათა სხვადასხვაობა, სახელმწიფოდან გამოსვლის თავისუფლება, სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება, — ყველაფერი ეს, ვიდრე არ მოკვდება საერთოდ ყოველგვარი სახელმწიფო, — იქნება მდიდარი კულტურული ცხოვრების საფუძველი, ერთა ნებაყოფლობითი დაახლოებისა და შერწყმის პროცესის დაჩქარების საწინდარი.

როდესაც კოლონიებს გამოყოფენ და მათ ევროპას უპირდაპირებენ, პოლონელი ამხანაგები ისეთ წინააღმდეგობაში ვარდებიან, რომელიც ერთბაშად არღვევს მთელ მათს მცდარ არგუმენტაციას.

7. მარქსიზმი თუ პრუდონიზმი?

ჩვენს მითითებას მარქსის დამოკიდებულებაზე ირლანდიის გამოყოფისადმი პოლონელი ამხანაგები, გამონაკლისის სახით, უკუაგდებენ არა შემოვლითი ხერხით, არამედ პირდაპირ. რაში მდგომარეობს მათი საწინააღმდეგო საბუთი? მარქსის 1848 — 1871 წლების პოზიციაზე მითითებას, მათი აზრით, «ოდნავი ფასიც არა აქვს». ეს არაჩვეულებრივ მწყრალი და გადაჭრილი განცხადება იმითაა დასაბუთებული, რომ მარქსი «ერთსა და იმავე დროს» «ჩეხების, სამხრეთელი სლავების და სხვ.» დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების წინააღმდეგ გამოდიოდაო [99].

მოტივაცია სწორედ იმიტომ არის განსაკუთრებით მწყრალი, რომ იგი განსაკუთრებით უსაფუძვლოა. პოლონელ მარქსისტებს ისე გამოუვიდათ, თითქოს მარქსი საკითხების პირდაპირი ამრევი იყო და «ერთსა და იმავე დროს» ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა! ეს სრულიად არ არის მართალი და ეს სრულიად არ არის მარქსიზმი. სწორედ «კონკრეტული» ანალიზის მოთხოვნა, რასაც პოლონელი ამხანაგები იმისათვის აყენებენ, *რომ იგი არ გამოიყენონ*, გვავალდებულებს განვიხილოთ: მარქსის სხვადასხვანაირი დამოკიდებულება სხვადასხვა კონკრეტული «ეროვნული» მოძრაობისადმი *ერთი და იმავე* სოციალისტური თვალსაზრისიდან ხომ არ გამომდინარეობდა.

როგორც ცნობილია, მარქსი ემხრობოდა პოლონეთის დამოუკიდებლობას *ევროპის* დემოკრატიის იმ ინტერესების თვალსაზრისით, რომლებიც მას აქვს თავის ბრძოლაში ცარიზმის ძალისა და გავლენის — შეიძლება ითქვას: ყოვლისშემძლეობისა და უპირატესი რეაქციული გავლენის — წინააღ-

მდეგ. ამ თვალსაზრისის სისწორე უაღრესად თვალნათლივ და ფაქტიურად დადასტურდა 1849 წელს, როდესაც რუსეთის ბატონყმურმა ჯარმა გასრისა უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული აჯანყება. და იმ დროიდან მარქსის სიკვდილამდე, უფრო გვიანაც კი, 1890 წლამდე, როდესაც არსებობდა მუქარა ცარიზმის რეაქციული ომისა საფრანგეთთან შეკავშირებით ა რ ა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი, არამედ ეროვნულად დამოუკიდებელი გერმანიის წინააღმდეგ, ენგელსი უპირველეს ყოვლისა და ყველაზე უფრო ემხრობოდა ცარიზმთან ბრძოლას. ამიტომ და მხოლოდ ამიტომ იყვნენ მარქსი და ენგელსი ჩეხთა და სამხრეთელ სლავთა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგნი. იმის უბრალო გადათვალიერება, თუ რას წერდნენ მარქსი და ენგელსი 1848 — 1849 წლებში, დაანახვებს ყველას, ვისაც მარქსიზმი იმისათვის კი არ აინტერესებს, რათა თავიდან მოიშოროს მარქსიზმი, — რომ მარქსი და ენგელსი მაშინ იმ «მთელ რეაქციულ ხალხებს», რომლებიც ევროპაში «რუსეთის ფორპოსტებს» წარმოადგენდნენ, აშკარად და გარკვეულად უ პ ი რ დ ა პ ი რ ე ბ დ ნ ე ნ «რევოლუციურ ხალხებს»: გერმანელებს, პოლონელებს, მადიარებს. ეს ფაქტია. და ეს ფაქტი მ ა შ ი ნ უ დ ა ვ ო დ სწორად იყო აღნიშნული: 1848 წელს რევოლუციური ხალხები იბრძოდნენ თავისუფლებისთვის, რომლის მთავარი მტერი იყო ცარიზმი, ხოლო ჩეხები და სხვები ნამდვილად რეაქციული ხალხები, ცარიზმის ფორპოსტები იყვნენ.

რას გვეუბნება ეს კონკრეტული მაგალითი, რომელიც კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ უნდა განვიხილოთ, თუ გვსურს მარქსიზმის ერთგულნი დავრჩეთ? მხოლოდ იმას, რომ 1) ევროპის რამდენიმე დიდი და უდიდესი ხალხის განთავისუფლების ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე მცირე ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები; 2) რომ დემოკრატიის მოთხოვნა უნდა ავიღოთ საერთო-ევროპული — ახლა უნდა ითქვას: მსოფლიო — მასშტაბით და არა განცალკევებულად.

სხვა არაფერი. აქ ნატამალიც კი არაა იმ ელემენტარული სოციალისტური პრინციპის გაბათილებისა, რომელიც პოლონელებს დაავიწყდათ და რომლის ერთგული იყო მარქსი ყოველთვის: არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს. ის კონკრეტული სიტუაცია, რომლის წინაშეც იდგა მარქსი საერთაშორისო პოლიტიკაში ცარიზმის უპირატესი გავლენის ეპოქაში, თუ გამეორდა, მაგალითად, იმ სახით, რომ რამდენიმე ხალხი დაიწყებს სოციალისტურ რევოლუციას (როგორც 1848 წელს ევროპაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაიწყეს), ხოლო სხვა ხალხები ბურჟუაზიული რეაქციის მთავარი ბურჯები გახდებიან, — ჩვენც მათ წინააღმდეგ რევოლუციური ომის მომხრენი უნდა ვიყვნეთ, იმის მომხრენი, რომ «გავსრისოთ» ისინი, რომ დავანგრიოთ ყველა მათი ფორპოსტი, რაგინდ მცირე ეროვნულ მოძრაობებთანაც უნდა გვქონდეს აქ საქმე. მაშასადამე, სრულიადაც კი არ უნდა უკუვაგდოთ მარქსის ტაქტიკის მაგალითები, — ეს იქნებოდა მარქსიზმის სიტყვით აღიარება, საქმით კი კავშირის გაწყვეტა მასთან — არამედ მათი კონკრეტული ანალიზიდან მომავლისათვის ძვირფასი გაკვეთილები უნდა გამოვიტანოთ. დემოკრატიის ცალკეული მოთხოვნანი, მათ შორის თვითგამორკვევაც, აბსოლუტი კი არაა, არამედ საერთო-დემოკრატიული (ამჟამად: საერთო-სოციალისტური) მსოფლიო მოძრაობის ნაწილაკია. შესაძლებელია, ცალკე კონკრეტულ შემთხვევებში ნაწილაკი საერთოს ეწინააღმდეგებოდეს, მაშინ იგი უნდა უკუვაგდოთ. შესაძლებელია, რესპუბლიკური მოძრაობა ერთ-ერთ ქვეყანაში სხვა ქვეყნების კლერიკალური თუ ფინანსურ-მონარქიული ინტრიგის მხოლოდ იარაღს წარმოადგენდეს, — მაშინ ჩვენ არ უნდა ვუჭერდეთ მხარს ასეთ, კონკრეტულ მოძრაობას, მაგრამ სასაცილო იქნებოდა ამ საბუთით საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პროგრამიდან რესპუბლიკის ლოზუნგი ამოგვეგდო.

სახელდობრ რანაირად შეიცვალა კონკრეტული სიტუაცია 1848 — 1871 წლებიდან 1898 — 1916 წლებამდე (ვიღებ იმპე-

რიალიზმის, როგორც პერიოდის, ყველაზე დიდ მიჯნებს: ესპანეთ-ამერიკის იმპერიალისტური ომის დროიდან ევროპის იმპერიალისტურ ომამდე)? აშკარა და უდავოა, რომ ცარიზმი უკვე აღარ არის რეაქციის მთავარი ბურჯი, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მას ეხმარება საერთაშორისო ფინანსური კაპიტალი, განსაკუთრებით საფრანგეთისა, და, მეორეც, 1905 წლის გამო. მაშინ დიდ ეროვნულ სახელმწიფოთა — ევროპის დემოკრატიათა — სისტემას მსოფლიოსათვის, წინააღმდეგ ცარიზმისა, დემოკრატია და სოციალიზმი მოჰქონდა*. იმპერიალიზმის ხანამდე მარქსსა და ენგელსს არ უცოცხლიათ. ახლა შეიქმნა ერთი მუჭა (რიცხვით 5 — 6) «დიდ» იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სისტემა; ყოველი მათგანი უცხო ერებს ჩაგრავს, ამასთან ეს ჩაგვრა კაპიტალიზმის დაცემის ხელოვნური შეჩერების, მსოფლიოზე გაბატონებულ იმპერიალისტურ ერთა ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის ხელოვნური გამაგრების ერთ-ერთი წყაროა. მაშინ დასავლეთ ევროპის დემოკრატია, რომელიც უდიდეს ერებს ათავისუფლებდა, წინააღმდეგი იყო ცარიზმისა, რომელიც რეაქციის ინტერესებისათვის იყენებდა მცირე ცალკეულ ეროვნულ მოძრაობებს. ახლა ცარისტული იმპერიალიზმის კ ა ვ შ ი რ ი მოწინავე კაპიტალისტურ, ევროპულ, იმპერიალიზმთან, მათ მიერ მთელი რიგი ერების საყოველთაო ჩაგვრის ბაზაზე, უპირდაპირდება სოციალისტურ

---

* რიაზანოვმა გრიუნბერგის «სოციალიზმის ისტორიის არქივში» (1916, I) გამოაქვეყნა ენგელსის 1866 წელს დაწერილი ფრიად საინტერესო სტატია პოლონეთის საკითხზე. ენგელსი ხაზს უსვამს იმას, რომ პროლეტარიატმა აუცილებლად უნდა აღიაროს ევროპის მსხვილი, დიდი ერების პოლიტიკური დამოუკიდებლობა და «თვითგამორკვევა» (right to dispose of itself), აღნიშნავს «ეროვნებათა პრინციპის» (განსაკუთრებით მისი ბონაპარტისტულად გამოყენების), ე. ი. ყოველი მცირე ერის ამ დიდ ერებთან გატოლების უაზრობას. «რუსეთი — ამბობს ენგელსი — არის მფლობელი უამრავი ნაპარავი საკუთრებისა» (ე. ი. ჩაგრული ერებისა), «რომლის უკან დაბრუნებაც მას მოუხდება ანგარიშის გასწორების ჟამს»[100]. როგორც ბონაპარტიზმი, ისე ცარიზმი მცირე ეროვნულ მოძრაობებს თ ა ვ ი ა ნ თ სასარგებლოდ, ევროპის დემოკრატიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ყ ე ნ ე ბ ე ნ.

პროლეტარიატს, რომელიც გათიშულია შოვინისტურ, «სოციალ-იმპერიალისტურ», და რევოლუციურ პროლეტარიატად.

აი რანაირია სიტუაციის კონკრეტული ცვლილება, რასაც სწორედ უყურადღებოდ ტოვებენ პოლონელი სოციალ-დემოკრატები, წინააღმდეგ თავიანთი დაპირებისა — კონკრეტული ვიქნებითო! აქედან გამომდინარეობს კონკრეტული ცვლილება იმავე სოციალისტური პრინციპების გამოყენებაში: მაშინ პირველ რიგში — ბრძოლა «ცარიზმის წინააღმდეგ» (აგრეთვე ზოგიერთ მცირე ეროვნულ მოძრაობათა წინააღმდეგ, რომელთაც ცარიზმი ანტიდემოკრატიული მიმართულებით იყენებდა) და დასავლეთის ეროვნულად დიდი, რევოლუციური ხალხებისათვის მხარისდაჭერა. ახლა — იმპერიალისტური სახელმწიფოების, იმპერიალისტური ბურჟუაზიის, სოციალ-იმპერიალისტების ერთიანი, უკვე გამართული ფრონტის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის მიზნებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ყველა ეროვნული მოძრაობის გამოსაყენებლად. რამდენადაც უფრო წმინდაა დღეს პროლეტარიატის ბრძოლა საერთო-იმპერიალისტური ფრონტის წინააღმდეგ, ცხადია, მით უფრო საარსებოა ინტერნაციონალისტური პრინციპი: «არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც უცხო ხალხებს ჩაგრავს».

პრუდონისტები, დოქტრინიორულად გაგებული სოციალური რევოლუციის გულისათვის, უგულებელყოფდნენ პოლონეთის საერთაშორისო როლს და უკუაგდებდნენ ეროვნულ მოძრაობებს. სავსებით ასევე დოქტრინიორულად იქცევიან პოლონელი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც არღვევენ სოციალ-იმპერიალისტებთან ბრძოლის ინტერნაციონალურ ფრონტს, ეხმარებიან რა (ობიექტურად) ამ უკანასკნელთ თავიანთი მერყეობით ანექსიების საკითხში. ვინაიდან სწორედ პროლეტარული ბრძოლის ინტერნაციონალური ფრონტი შეიცვალა მცირე ერთა კონკრეტული პოზიციის მიმართ: მაშინ (1848 — 1871) მცირე ერებს მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც შესაძლებელ მოკავშირეს — ან «დასავლეთის დემოკრატიისა» და რევოლუციური ხალხების,

ან ცარიზმის მოკავშირეს; ახლა (1898 — 1914) მცირე ერებმა ასეთი მნიშვნელობა დაკარგეს; ახლა მათ იმ მხრივ აქვთ მნიშვნელობა, რომ ისინი შეადგენენ «დიდმპყრობელ ერთა» პარაზიტიზმის და, მაშასადამე, სოციალ-იმპერიალიზმის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროს. მნიშვნელობა აქვს არა იმას, მცირე ერების $^1/_{50}$ თუ $^1/_{100}$ განთავისუფლდება სოციალისტურ რევოლუციამდე, არამედ იმას, რომ პროლეტარიატი იმპერიალისტურ ეპოქაში, ობიექტურ მიზეზთა გამო, ორ საერთაშორისო ბანაკად გაიყო, რომელთაგან ერთი გარყვნილია იმ ნასუფრალით, რაც დიდმპყრობელ ერთა ბურჟუაზიის სუფრიდან ცვივა, — სხვათა შორის, მცირე ერთა ორმაგი ან სამმაგი ექსპლოატაციის გამოც, — მეორე ბანაკს კი არ შეუძლია განთავისუფლდეს თვითონ ისე, თუ არ გაათავისუფლა მცირე ერები, თუ არ აღზარდა მასები ანტიშოვინისტური, ე. ი. ანტიანექსიონისტური, ე. ი. «თვითგამორკვევითი» სულისკვეთებით.

საქმის ამ, უმთავრეს, მხარეს უგულებელყოფენ პოლონელი ამხანაგები, რომლებიც საგნებს უყურებენ არა იმ პოზიციიდან, რომელიც ცენტრალურია იმპერიალიზმის ეპოქაში, არა საერთაშორისო პროლეტარიატის ორი ბანაკის თვალსაზრისით.

აი კიდევ მათი პრუდონიზმის თვალსაჩინო მაგალითები: 1) ირლანდიის 1916 წლის აჯანყებისადმი დამოკიდებულება, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი; 2) თეზისებში (II, 3, მე-3 პარაგრაფის ბოლოში) გაკეთებული განცხადება: სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგი «არაფრით არ უნდა იყოს დაფარულიო». ეს სწორედ რომ უაღრესად ანტიმარქსისტული იდეაა, თითქოს შეიძლებოდეს სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგის «დაფარვა», როდესაც მას უკავშირებ თანმიმდევრულ-რევოლუციურ პოზიციას ყოველგვარ, მათ შორის ეროვნულ საკითხშიც.

პოლონელ სოციალ-დემოკრატებს ჩვენი პროგრამა «ნაციონალურ-რეფორმისტულ» პროგრამად მიაჩნიათ. შეადარეთ ერთმანეთს ორი პრაქტიკული წინადადება: 1) ავტონომიის

მოთხოვნა (პოლონელთა თეზისები III, 4) და 2) გამოყოფის თავისუფლების მოთხოვნა. აკი ამით და მხოლოდ ამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჩვენი პროგრამები! და განა ცხადი არ არის, რომ რეფორმისტულია სწორედ პირველი, მეორისაგან განსხვავებით? რეფორმისტული ცვლილება არის ისეთი ცვლილება, რომელიც არ ანგრევს გაბატონებული კლასის ძალაუფლების საფუძვლებს, რადგან წარმოადგენს მხოლოდ დათმობას მისი მხრით, მისი ბატონობის შენარჩუნების პირობებში. რევოლუციური ცვლილება ანგრევს ძალაუფლების საფუძველს. რეფორმისტული ცვლილება ნაციონალურ პროგრამაში ა რ აუქმებს გაბატონებული ერის ყ ვ ე ლ ა პრივილეგიას, ა რ ქმნის სრულ თანასწორუფლებიანობას, ა რ სპობს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ეროვნულ ჩაგვრას. «ავტონომიური» ერი უფლებრივად «მპყრობელი» ერის თანასწორი არაა; პოლონელ ამხანაგებს არ შეეძლოთ ეს არ შეემჩნიათ, ისინი რომ დაჟინებით (მსგავსად ჩვენი ძველი «ეკონომისტებისა») არ უგულებელყოფდნენ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ცნებებისა და კატეგორიების ანალიზს. ავტონომიური ნორვეგია 1905 წლამდე, როგორც შვეციის ნაწილი, უფართოესი ავტონომიით სარგებლობდა, მაგრამ უფლებრივად შვეციის თანასწორი არ ყოფილა. მხოლოდ მისმა თავისუფალმა გამოყოფამ გამოავლინა ს ა ქ მ ი თ და დაამტკიცა მისი თანასწორუფლებიანობა (ამასთანავე — აღვნიშნავთ ფრჩხილებში — სწორედ ამ თავისუფალმა ჩამოშორებამ შექმნა ბაზა უფლებათა თანასწორობაზე დაყრდნობილი უფრო მჭიდრო, უფრო დემოკრატიული დაახლოებისათვის). სანამ ნორვეგია მხოლოდ ავტონომიური იყო, შვეციის არისტოკრატიას ე რ თ ი ზედმეტი პრივილეგია ჰქონდა, და ეს პრივილეგია გამოყოფას კი არ «შეუსუსტებია» (—რეფორმიზმის დედაარსი ბოროტების შ ე ს უ ს ტ ე ბ ა ა და არა მისი მოსპობა), არამედ მ თ ლ ა დ მ ო ს პ ო იგი (—ძირითადი ნიშანი რევოლუციურისა პროგრამაში).

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ავტონომია, როგორც რეფორმა, **პრინციპულად განსხვავდება გამოყოფის თავისუფლებისაგან,**

როგორც რევოლუციური ღონისძიებისაგან. ეს უეჭველია. მაგრამ რეფორმა — ეს ყველამ იცის — პრაქტიკაში ხშირად მხოლოდ ნაბიჯია რევოლუციისაკენ. სწორედ ავტონომია აძლევს საშუალებას ერს, რომელიც ძალით არის დატოვებული ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში, საბოლოოდ ჩამოყალიბდეს როგორც ერი, მოიკრიბოს, შეიცნოს, დარაზმოს თავისი ძალები, შეარჩიოს სავსებით ხელსაყრელი მომენტი, რათა გ ა ნ ა ც ხ ა დ ო ს... «ნორვეგიულ» ყაიდაზე: ჩვენ, ამა და ამ ერის თუ ამა და ამ მხარის ავტონომიური სეიმი, ვაცხადებთ, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორი ამიერიდან აღარაა მეფე პოლონეთისა და ა. შ.. ამაზე ჩვეულებრივ ასე «გვიპასუხებენ»: ამნაირ საკითხებს ომები წყვეტენ და არა დეკლარაციები. მართალია: უმრავლეს შემთხვევაში ომები წყვეტენ (ისე როგორც დიდ სახელმწიფოთა მმართველობის ფორმის საკითხები უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ომებითა და რევოლუციებით წყდება). მაგრამ ზედმეტი არ არის ჩავუფიქრდეთ: განა ლოგიკურია ა ს ე თ ი «პასუხი» რევოლუციური პარტიის პოლიტიკური პროგრამის წინააღმდეგ? განა ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ომებისა და რევოლუციებისა ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რაც სამართლიანი და სასარგებლოა პროლეტარიატისათვის, ომებისა და რევოლუციებისა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა თ ვ ი ს, სოციალიზმისათვის?

«მაგრამ ხომ არ შეგვიძლია მომხრენი ვიყოთ ომისა დიდ ხალხებს შორის, 20 მილიონი ადამიანის გაჟლეტისა იმ პატარა ერის პრობლემატური განთავისუფლების გულისთვის, რომელიც 10 — 20 მილიონი მცხოვრებისაგან თუ შედგება»! რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია. მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენი პროგრამიდან სრულ ეროვნულ თანასწორობას ვაგდებთ, არამედ იმიტომ, რომ ე რ თ ი ქვეყნის დემოკრატიის ინტერესები უნდა დავუმორჩილოთ რ ა მ დ ე ნ ი მ ე და ყ ვ ე ლ ა ქვეყნის დემოკრატიის ინტერესებს. წარმოვიდგინოთ, რომ ორ დიდ მონარქიას შორის არის ერთი პატარა მონარქია, რომლის მეფე ორივე მეზობელი ქვეყნის მონარქებთან «დაკავშირებულია» ნათესაური და სხვა კავშირით. წარმოვიდგინოთ ახლა,

რომ ამ პატარა ქვეყანაში რესპუბლიკის გამოცხადება, მ ი ს ი მონარქის განდევნა, პრაქტიკაში ნიშნავს ომს ორ დიდ მეზობელ ქვეყანას შორის, რათა აღდგენილ იქნეს ამ პატარა ქვეყნის ესა თუ ის მონარქი. უეჭველია, მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, ისე როგორც ამ პატარა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიის ნამდვილი ინტერნაციონალისტური ნაწილი, ამ შემთხვევაში მ ო ნ ა რ ქ ი ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი თ შ ე ც ვ ლ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა. მონარქიის შეცვლა რესპუბლიკით აბსოლუტი კი არ არის, არამედ ერთ-ერთი დემოკრატიული მოთხოვნაა, რომელიც ექვემდებარება დემოკრატიის (და, რა თქმა უნდა, უფრო მეტად — სოციალისტური პროლეტარიატის) ინტერესებს მთლიანად. ცხადია, ასეთი შემთხვევა არც ერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატებში ოდნავ უთანხმოებასაც კი არ გამოიწვევდა. მაგრამ ა მ ი ს საფუძველზე რომელიმე სოციალ-დემოკრატს წინადადება რომ მოეცა: საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პროგრამიდან საერთოდ რესპუბლიკის ლოზუნგი ამოვაგდოთო, — მას, უთუოდ, შეშლილად მიიჩნევდნენ. მას ეტყოდნენ: არ შეიძლება მაინც დავივიწყოთ ელემენტარული ლოგიკური განსხვავება გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ს ა და ზ ო გ ა დ ს შორის.

ამ მაგალითს, ოღონდ ცოტა სხვა მხრით, მივყავართ მუშათა კლასის ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ა დ აღზრდის საკითხამდე. შეიძლება თუ არა, რომ ეს აღზრდა — რომლის აუცილებლობისა და უაღრესი მნიშვნელობის შესახებ ციმერვალდელ მემარცხენეთა შორის წარმოუდგენელია უთანხმოება — კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ ე რ თ ნ ა ი რ ი იყოს დიდ და მჩაგვრელ ერებში და პატარა, ჩაგრულ ერებში? იმ ერებში, რომლებიც ანექსიას ახდენენ, და იმ ერებში, რომელთა ანექსიას ახდენენ?

ცხადია, არა. გზა ერთი მიზნისაკენ: ყ ვ ე ლ ა ერის სრული თანასწორუფლებიანობისაკენ, მათი უაღრესად მჭიდრო დაახლოებისა და შემდგომი შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა კ ე ნ, აშკარაა, აქ სხვადასხვა კონკრეტული გზით მიდის, — სწორედ ისე,

როგორც, ვთქვათ, გზა წიგნის ამ გვერდის შუაგულში მდებარე წერტილისაკენ მიდის ერთი კიდიდან მარცხნივ და საწინააღმდეგო კიდიდან — მარჯვნივ. თუ დიდი, მჩაგვრელი, ანექსიის მომხდენი ერის სოციალ-დემოკრატი, აღიარებს რა საერთოდ ერების შეერთებას, ერთი წუთით მაინც დაივიწყებს იმ გარემოებას, რომ «მისი» ნიკოლოზ II, «მისი» ვილჰელმი, გეორგი, პუანკარე და სხვ. ა გ რ ე თ ვ ე მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან პატარა ერებთან შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა (ანექსიების გზით), — ნიკოლოზ II მომხრეა გალიციასთან «შეერთებისა», ვილჰელმ II — ბელგიასთან «შეერთებისა» და სხვ., — ასეთი სოციალ-დემოკრატი სასაცილო დოქტრინიორი იქნება თეორიაში და იმპერიალიზმის ხელშემწყობი — პრაქტიკაში.

მჩაგვრელ ქვეყნებში მუშების ინტერნაციონალისტური აღზრდის სიმძიმის ცენტრი აუცილებლად უნდა მდგომარეობდეს დაჩაგრული ქვეყნების გამოყოფის თავისუფლების ქადაგებასა და დაცვაში. უამისოდ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს ინტერნაციონალიზმი. ჩვენ უფლება გვაქვს და მოვალენიც ვართ გავკიცხოთ მჩაგვრელი ერის ყოველი სოციალ-დემოკრატი, როგორც იმპერიალისტი და არამზადა, თუ ის ა რ ეწევა ასეთ პროპაგანდას. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა, თუნდაც სოციალიზმის დამყარებამდე გამოყოფის შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა 1 000 შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ იყოს შესაძლებელი და «განსახორციელებელი».

ჩვენ მოვალენი ვართ მუშებს ჩავუნერგოთ «გულგრილობა» ეროვნულ განსხვავებათა მიმართ. ეს უდავოა. მაგრამ არა გულგრილობა ა ნ ე ქ ს ი ო ნ ი ს ტ ე ბ ი ს მიმართ. მჩაგვრელი ერის წევრი «გულგრილი» უნდა იყოს იმ საკითხისადმი, პატარა ერები მ ი ს სახელმწიფოს ეკუთვნიან თ უ მ ე ზ ო ბ ე ლ სახელმწიფოს, თუ თავიანთ თავს, მათი სიმპათიების მიხედვით: ასეთი «გულგრილობის» გარეშე იგი სოციალ-დემოკრატი ა რ არის. თუ გნებავთ ინტერნაციონალისტი სოციალ-დემოკრატი იყოთ, მარტოოდენ თქვენს ერზე კი ა რ უნდა ფიქრობდეთ, არამედ მ ა ს ზ ე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა უნდა დააყენოთ ყველას ინტერესები, მათი საყოველთაო თავისუფლება და

თანასწორუფლებიანობა. «თეორიაში» ყველა ამის თანახმაა, მაგრამ პრაქტიკაში სწორედ ანექსიონისტურ გულგრილობას იჩენენ. ბოროტების ფესვი აქ არის.

პირიქით. პატარა ერის სოციალ-დემოკრატმა თავისი აგიტაციის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს ჩვენი საერთო ფორმულის მ ე ო რ ე სიტყვაზე: ერების «ნებაყოფლობითი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა». მას შეუძლია თავისი, როგორც ინტერნაციონალისტის, მოვალეობის დაურღვევლად იყოს თავისი ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მ ო მ ხ რ ე ც და მისი მეზობელ სახელმწიფოსთან — X, Y, Z და სხვ. შეერთების მ ო მ ხ რ ე ც. მაგრამ ყველა შემთხვევაში ის უნდა იბრძოდეს ვიწრო-ეროვნული შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განკერძოების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, იბრძოდეს იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მთელი და საერთო, რომ კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს ზოგადის ინტერესებს.

ადამიანები, რომლებიც საკითხს არ ჩაჰკვირვებიან, «წინააღმდეგობას» ხედავენ იმაში, რომ მჩაგვრელ ერთა სოციალ-დემოკრატები დაბეჯითებით მოითხოვდნენ «გ ა მ ო ყ ო ფ ი ს თავისუფლებას», ხოლო ჩაგრულ ერთა სოციალ-დემოკრატები — «შ ე ე რ თ ე ბ ი ს თავისუფლებას». მაგრამ ცოტაოდენი დაფიქრება ცხადყოფს, რომ ს ხ ვ ა გზა ინტერნაციონალიზმისაკენ და ერების შეერთებისაკენ, სხვა გზა ამ მიზნისაკენ ა რ ს ე ბ უ ლ ი მდგომარეობიდან არ არის და არც შეიძლება იყოს.

და აქ ჩვენ მივადექით ჰოლანდიისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ მდგომარეობას.

8. განსაკუთრებული და საერთო ჰოლანდიელ და პოლონელ სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა პოზიციაში

სრულიად უეჭვოა, რომ თვითგამორკვევის მოწინააღმდეგე ჰოლანდიელი და პოლონელი მარქსისტები საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო რევოლუციურ და

ინტერნაციონალისტურ ელემენტებს ეკუთვნიან. მაშ როგორ შ ე ი ძ ლ ე ბ ა, რომ მათი თეორიული მსჯელობანი, როგორც დავინახეთ, შეცდომების მთლიან ქსელს წარმოადგენენ? არც ერთი სწორი ზოგადი მსჯელობა, არაფერი გარდა «იმპერიალისტური ეკონომიზმისა»!

საქმე აიხსნება სრულიადაც არა ჰოლანდიელი და პოლონელი ამხანაგების განსაკუთრებულად ცუდი სუბიექტური თვისებებით, არამედ მათი ქვეყნების გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ობიექტური პირობებით. ორივე ქვეყანა 1) პატარა და უმწეოა დიდ სახელმწიფოთა თანამედროვე «სისტემაში»; 2) ორივე გეოგრაფიულად მოქცეულია გიგანტური ძალის მქონე, ყველაზე სასტიკად მეტოქე იმპერიალისტ მტაცებელთა შორის (ინგლისი და გერმანია; გერმანია და რუსეთი); 3) ორივე ქვეყანაში საშინლად ძლიერია იმ დროის მოგონებანი და ტრადიციები, როდესაც ორივენი თ ვ ი თ იყვნენ «დიდმპყრობელნი»: ჰოლანდია ინგლისზე უფრო ძლიერი დიდი კოლონიური სახელმწიფო იყო; პოლონეთი უფრო კულტურული და უფრო ძლიერი დიდი სახელმწიფო იყო, ვიდრე რუსეთი და პრუსია; 4) ორივემ დღემდე შეინარჩუნა პრივილეგიები, რაც უცხო ხალხთა ჩაგვრაში მდგომარეობს: ჰოლანდიელი ბურჟუა უმდიდრეს ჰოლანდიურ ინდოეთს ფლობს; პოლონელი მემამულე უკრაინელ და ბელორუს «ხლოპს» ჩაგრავს, პოლონელი ბურჟუა — ებრაელს და სხვ.

ასეთ თავისებურებას, რაც ამ ოთხი განსაკუთრებული პირობის გადახლართვაში მდგომარეობს, თქვენ ვერ იპოვით ირლანდიის, პორტუგალიის (ერთ დროს იგი ესპანეთის ანექსიას წარმოადგენდა), ელზასის, ნორვეგიის, ფინეთის, უკრაინის, ლატვიელთა მხარის, ბელორუსიის და მრავალი სხვა მხარის მდგომარეობაში. და სწორედ ეს თავისებურება შეადგენს საქმის მ თ ე ლ ა რ ს ს! როდესაც ჰოლანდიელი და პოლონელი სოციალ-დემოკრატები თვითგამორკვევის წინააღმდეგ მსჯელობენ ზ ო გ ა დ ი, ე. ი. ისეთი არგუმენტების საშუალებით, რომლებიც ეხება საერთოდ იმპერიალიზმს, საერთოდ სოციალიზმს, საერთოდ დემოკრატიას, საერთოდ

ეროვნულ ჩაგვრას, მათთან, ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, შეცდომა შეცდომაზეა დახვავებული და ერთიმეორეს იწვევს. მაგრამ საკმარისია ამ ზოგადი არგუმენტების აშკარად მცდარი გარსი უკუვაგდოთ და საქმის არსს ჰოლანდიისა და პოლონეთის განსაკუთრებულ პირობათა თავისებურების თვალსაზრისით შევხედოთ, რომ მათი თავისებური პოზიცია გასაგები და სრულიად კანონიერი გახდეს. შეიძლება ითქვას, და ეს პარადოქსი როდი იქნება, რომ, როდესაც ჰოლანდიელი და პოლონელი მარქსისტები დორბლმორეულნი ილაშქრებენ თვითგამორკვევის წინააღმდეგ, ისინი სავსებით იმას არ ლაპარაკობენ, რის თქმაც უნდათ, ან სხვანაირად: მათ სურთ არა სავსებით იმის თქმა, რასაც ამბობენ *.

ერთი მაგალითი უკვე დავასახელეთ ჩვენს თეზისებში **. გორტერი თავისი ქვეყნის თვითგამორკვევის წინააღმდეგია, მაგრამ მომხრეა «მისი» ერის მიერ ჩაგრული ჰოლანდიური ინდოეთის თვითგამორკვევისა! განა საკვირველია, რომ ჩვენ იგი უფრო გულწრფელ ინტერნაციონალისტად და ჩვენთან უფრო ახლობელ თანამოაზრედ მიგვაჩნია, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ისევე აღიარებენ თვითგამორკვევას — ისევე სიტყვიერად, ისევე ფარისევლურად აღიარებენ თვითგამორკვევას, როგორც კაუცკი გერმანიაში, ხოლო ჩვენში ტროცკი და მარტოვი? მარქსიზმის ზოგადი და ძირითადი პრინციპებიდან უეჭველად გამომდინარეობს მოვალეობა იმ ერთა გამოყოფის თავისუფლებისათვის ბრძოლისა, რომლებიც «ჩემი საკუთარი» ერის მიერ არიან დაჩაგრულნი, მაგრამ იქიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს აუცილებლობა, რომ უმთავრესი ყურადღება მივაქციოთ სწორედ ჰოლანდიის დამოუკიდებლობას, რომელიც ყველაზე მეტადაა დაავადებული ვიწრო, დახავსებული, ანგარებიანი და გონებადამხშველი კარჩაკეტილობით: დაე მთელ ქვეყანას ცეცხლი ეკიდებოდეს,

* მოგაგონებთ, რომ თავიანთი დეკლარაციით ციმერვალდში ყველა პოლონელმა სოციალ-დემოკრატმა აღიარა თვითგამორკვევა საერთოდ, მაგრამ ცოტაოდენი განსხვავებული ფორმულირებით.

** იხ. ეს ტომი, გვ. 183. რედ.

ჩვენ რა გვესაქმება, «ჩვენ» კმაყოფილნი ვართ ჩვენი ძველი ნადავლით და მისი უმდიდრესი «ნაშთით», ინდოეთით, სხვა «ჩვენ» არა გვესაქმება რაო!

მეორე მაგალითი. კარლ რადეკი, პოლონელი სოციალ-დემოკრატი, რომელმაც განსაკუთრებით დიდი დამსახურება მოიპოვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში ომის დაწყების შემდეგ ინტერნაციონალიზმისათვის თავისი მედგარი ბრძოლით, სტატიაში «ერთა თვითგამორკვევის უფლება» («Lichtstrahlen»[101] — 1915, დეკემბრის 5, III წელი, ნომერი 3 — მემარცხენე რადიკალების ყოველთვიური ჟურნალი, რომელსაც ი. ბორჰარდტი რედაქტორობდა და რომელიც პრუსიის ცენზურამ აკრძალა) ცხარედ ილაშქრებს თვითგამორკვევის წინააღმდეგ და, სხვათა შორის, თავის სასარგებლოდ იმოწმებს მ ხ ო ლ ო დ ჰოლანდიელ და პოლონელ ავტორიტეტებს, სხვა არგუმენტებს შორის კი ასეთ არგუმენტს აყენებს: თვითგამორკვევა ასაზრდოებს იმ აზრს, «თითქოს სოციალ-დემოკრატიის მოვალეობას შეადგენს დამოუკიდებლობისათვის ყოველგვარი ბრძოლის მხარისდაჭერაო».

ზ ო გ ა დ ი თეორიის თვალსაზრისით ეს საბუთი პირდაპირ აღმაშფოთებელია, ვინაიდან იგი აშკარად არალოგიკურია: ჯერ-ერთი, დემოკრატიის არც ერთი ისეთი კერძო მოთხოვნა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რომელიც არ წარმოშობდეს ბოროტმოქმედებას, თუ კი ჩვენ კერძო არ დავუმორჩილეთ ზოგადს; ჩვენ მოვალე არა ვართ მხარი დავუჭიროთ არც «ყოველგვარ» ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, არც «ყოველგვარ» რესპუბლიკურ თუ ანტიხუცურ მოძრაობას. მეორეც, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ეროვნული ჩაგვრის საწინააღმდეგო ბრძოლის ა რ ც ე რ თ ი ფორმულირება, რომელსაც ა ს ე თ ი ვ ე «ნაკლი» არ ჰქონდეს. თვითონ რადეკმა «Berner Tagwacht»-ში (1915, ნომერი 253) წამოაყენა ფორმულა: «ძველ და ახალ ანექსიათა წინააღმდეგ». რომელიც გნებავთ პოლონელი ნაციონალისტი ამ ფორმულიდან კანონიერად «გამოიყვანს»: «პოლონეთი ანექსიაა, მე ანექსიათა წინააღმდეგი ვარ, ე. ი.

პოლონეთის დამოუკიდებლობის მომხრე». ანდა როზა ლუქსემბურგმა, მახსოვს, 1908 წ. სტატიაში[102], გამოთქვა აზრი, რომ საკმარისია ფორმულა: «ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ». მაგრამ ყოველი პოლონელი ნაციონალისტი იტყვის — დ ა ს რ უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ი თ ა ც — რომ ანექსია ეროვნული ჩაგვრის ერთ-ერთი სახეა, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, და სხვ.

მაგრამ აიღეთ ამ საერთო საბუთების ნაცვლად პოლონეთის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი პირობები: მისი დამოუკიდებლობა ა ხ ლ ა «განუხორციელებელია» ომების ან რევოლუციების გარეშე. იყო მომხრე საერთო-ევროპული ომისა მხოლოდ პოლონეთის აღსადგენად — ეს ნიშნავს უცუდესი სახის ნაციონალისტობას, მცირერიცხოვან პოლონელთა ინტერესების უფრო მაღლა დაყენებას იმ ასეულ მილიონ ადამიანთა ინტერესებზე, რომლებიც ომისაგან იტანჯებიან. მაგრამ სწორედ ასეთნი არიან ხომ, მაგალითად, «ფრაკები» (პ. პ. ს. პრავიცა)[103], რომლებიც მხოლოდ სიტყვით არიან სოციალისტები და რომელთა წინააღმდეგ ათასწილ მართალი არიან პოლონელი სოციალ-დემოკრატები. ა ხ ლ ა, იმპერიალისტურ მ ე ზ ო ბ ე ლ სახელმწიფოთა ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი თანაშეფარდების ვითარებაში, პოლონეთის დამოუკიდებლობის ლოზუნგის წამოყენება ნიშნავს მართლაც უტოპიის გამოდევნებას, ვიწრო ნაციონალიზმში გადავარდნას, სრულიად ევროპული ან, ყოველ შემთხვევაში, რუსეთისა და გერმანიის რევოლუციების წანამძღვართა დავიწყებას. სწორედ ასევე 1908 — 1914 წლების რუსეთში დამოუკიდებელ ლოზუნგად კოალიციათა თავისუფლების ლოზუნგის წამოყენება ნიშნავდა უტოპიის გამოდევნებას, ობიექტურად სტოლიპინის მუშათა პარტიისათვის (ამჟამად პოტრესოვ-გვოზდიოვის პარტიისათვის, რაც არსებითად ერთი და იგივეა) დახმარების გაწევას. მაგრამ სიგიჟე იქნებოდა სოციალ-დემოკრატიის პროგრამიდან საერთოდ კოალიციის თავისუფლების მოთხოვნის ამოშლა!

მესამე — და, შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი. პოლონელთა თეზისებში (III, § 2 ბოლოში) დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფო-ბუფერის იდეის წინა-

აღმდეგ ვკითხულობთ, რომ ესაა «პატარა, უძლურ ჯგუფთა ფუჭი უტოპია. ასეთი იდეა რომ განხორციელდეს, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ წარმოიშობოდა პოლონეთის პატარა სახელმწიფო-ნატეხი, რომელიც დიდ სახელმწიფოთა ამა თუ იმ ჯგუფის სამხედრო კოლონია იქნებოდა, მათ სამხედრო და ეკონომიურ ინტერესთა სათამაშო, უცხო კაპიტალის ექსპლოატაციის არე, ბრძოლის ველი მომავალ ომებში». ყველაფერი ეს ძალიან სწორია — წინააღმდეგ პოლონეთის დამოუკიდებლობის ლოზუნგისა ახლა, ვინაიდან მარტო პოლონეთში რევოლუციაც კი ვერაფერს შეცვლიდა აქ, ხოლო პოლონელი მასების ყურადღებას ჩამოაშორებდა უმთავრესს: მათი ბრძოლის კავშირს რუსეთისა და გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლასთან. პარადოქსი კი არა, ფაქტია, რომ პოლონეთის პროლეტარიატს, როგორც ასეთს, ახლა შეუძლია დაეხმაროს სოციალიზმისა და თავისუფლების საქმეს, მათ შორის პოლონეთის თავისუფლებისასაც, მხოლოდ მეზობელი ქვეყნების პროლეტარებთან ერთად ბრძოლით ვიწრო-პოლონელი ნაციონალისტების წინააღმდეგ. შეუძლებელია უარვყოთ პოლონელი სოციალ-დემოკრატების ისტორიულად მნიშვნელოვანი დამსახურება ამ უკანასკნელებთან ბრძოლის საქმეში.

მაგრამ იგივე, ახლანდელ ეპოქაში პოლონეთის განსაკუთრებულ პირობათა თვალსაზრისით სწორი არგუმენტები აშკარად უმართებულოა იმ საერთო ფორმით, რომელიც მათ აქვს მიცემული. პოლონეთი რუსეთსა და გერმანიას შორის ომების დროს მუდამ ბრძოლის ველად დარჩება, ვიდრე ომები იქნება, — ეს არ არის ომებსა და ომებს შუა პერიოდებში უფრო მეტი პოლიტიკური თავისუფლების (და, მაშასადამე, პოლიტიკური დამოუკიდებლობის) საწინააღმდეგო საბუთი. იგივე ითქმის მოსაზრებაზე უცხო კაპიტალის მიერ ექსპლოატაციის შესახებ, სხვისი ინტერესების სათამაშოს როლის შესახებ. პოლონელ სოციალ-დემოკრატებს დღეს პოლონეთის დამოუკიდებლობის ლოზუნგის წამოყენება არ შეუძლიათ იმიტომ, რომ როგორც პროლეტარ-ინტერნა-

ციონალისტებს პოლონელებს საამისოდ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ ისე, თუ, მსგავსად «ფრაკებისა», ერთ-ერთი იმპერიალისტური მონარქიის ლაქიობა არ გასწიეს. მაგრამ რუსი და გერმანელი მუშებისათვის სულ ერთი არაა — იქნებიან ისინი პოლონეთის ანექსიის მონაწილენი (ეს ნიშნავს რუსი და გერმანელი მუშებისა და გლეხების აღზრდას უაღრესად ბილწი უხამსობის, სხვა ერების ჯალათის როლისადმი შერიგების სულისკვეთებით) თუ პოლონეთი დამოუკიდებელი იქნება.

მდგომარეობა უეჭველად ფრიად დახლართულია, მაგრამ არსებობს ამ მდგომარეობიდან გამოსავალი, რომლის დროსაც ყველა მონაწილე ინტერნაციონალისტად დარჩებოდა: რუსი და გერმანელი სოციალ-დემოკრატები, — თუ ისინი მოითხოვენ პოლონეთის «გამოყოფის» უეჭველ «თავისუფლებას»; პოლონელი სოციალ-დემოკრატები, — თუ ისინი იბრძოლებენ პროლეტარული ბრძოლის ერთიანობისათვის პატარა და დიდ ქვეყნებში ისე, რომ არ წამოაყენებენ არსებული ეპოქისა თუ არსებული პერიოდისათვის პოლონეთის დამოუკიდებლობის ლოზუნგს.

9. ენგელსის წერილი კაუცკისადმი

თავის ბროშურაში: «სოციალიზმი და კოლონიური პოლიტიკა» (ბერლინი, 1907 წ.) კაუცკიმ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ მარქსისტი იყო, გამოაქვეყნა მისდამი მიმართული წერილი ენგელსისა, დათარიღებული 1882 წ. 12 სექტემბრით, რომელიც ფრიად საინტერესოა იმ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ რომ გვაინტერესებს; აი ამ წერილის უმთავრესი ნაწილი:

...«ჩემი აზრით, საკუთრივ კოლონიები, ე. ი. ის ქვეყნები, ევროპელ მცხოვრებთ რომ უჭირავთ: კანადა, კაპი, ავსტრალია, ყველა დამოუკიდებელი გახდება; პირიქით, მხოლოდ დამორჩილებული და მკვიდრი მცხოვრებლებით დასახლებული ქვეყნები: ინდოეთი, ალჟირი, ჰოლანდიის, პორტუგალიის, ესპანეთის სამფლობელოები, პროლეტარიატმა დროებით

ხელთ უნდა აიღოს და რაც შეიძლება მალე დამოუკიდებლობამდე მიიყვანოს. სახელდობრ როგორ გაიშლება ეს პროცესი, ამის თქმა ძნელია. შეიძლება ინდოეთმა რევოლუცია მოახდინოს, ალბათ, მოახდენს კიდევაც, და, რადგან განთავისუფლების გზაზე დამდგარი პროლეტარიატი კოლონიურ ომებს ვერ აწარმოებს, ამიტომ საჭირო გახდება ამას შევურიგდეთ, ამასთან, რასაკვირველია, საქმე სხვადასხვაგვარი ნგრევის გარეშე ვერ დამთავრდება. მაგრამ ასეთი რამ და ყოველი რევოლუცია ერთმანეთისაგან განუყრელია. იგივე შეიძლება მოხდეს კიდევ სხვაგანაც, მაგალითად, ალჟირსა და ეგვიპტეში, და ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს, უეჭველია, ეს საუკეთესო რამ იქნებოდა. ჩვენ საკუთარ სახლში საკმაო სამუშაო გვექნება. რაკი ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა რეორგანიზებული იქნებიან, ეს ისეთ კოლოსალურ ძალას და ისეთ მაგალითს მოგვცემს, რომ ნახევრად-ცივილიზებული ქვეყნები თავისთავად გამოგვყვებიან; ამისათვის იზრუნებენ უკვე მარტოოდენ ეკონომიური მოთხოვნილებანი. თუ რა სოციალური და პოლიტიკური ფაზების გავლა მოუხდებათ მაშინ ამ ქვეყნებს, ვიდრე ისინიც სოციალისტურ ორგანიზაციას მიაღწევდნენ, ამის შესახებ, ჩემი ფიქრით, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საკმაოდ უქმი ჰიპოთეზები წამოვაყენოთ. ერთი რამ კი უეჭველია: ძ ლ ე ვ ა მ ო ს ი ლ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი თ ა ვ ს ვ ე რ მ ო ა ხ ვ ე ვ ს ვ ე რ ც ე რ თ უ ც ხ ო ე რ ს ვ ე რ ა ვ ი თ ა რ გ ა ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა ს ი ს ე, რ ო მ ა მ ი თ თ ა ვ ი ს ს ა კ უ თ ა რ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს ძ ი რ ი ა რ გ ა მ ო უ თ ხ ა რ ო ს. რა თქმა უნდა, ეს არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს სხვადასხვაგვარ თავდაცვითს ომებს» [104]...

ენგელსი სრულიადაც არ ფიქრობს, რომ «ეკონომიური» თავისთავად და უშუალოდ ყოველ სიძნელეს დაძლევს. ეკონომიური გადატრიალება აიძულებს ყ ვ ე ლ ა ხალხს სოციალიზმისაკენ გ ა ს წ ი ო ს, მაგრამ ამასთანავე შესაძლებელია რევოლუციებიც — სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ— და ომებიც. პოლიტიკის შეგუება ეკონომიკასთან აუცილებლად მოხდება, მაგრამ არა უცბად და არა დაუბრკოლებლად, არა

უბრალოდ, არა უშუალოდ. როგორც «უეჭველ» რამეს, ენგელსი აყენებს მხოლოდ ერთ, უცილობლად ინტერნაციონალისტურ პრინციპს, რომელსაც იგი უყენებს ყ ვ ე ლ ა «უცხო ხალხს», ე. ი. არა მარტო კოლონიურ ხალხებს: მათთვის გაბედნიერების თავზე მოხვევა პროლეტარიატის გამარჯვების ძირის გამოთხრა იქნებოდა.

პროლეტარიატი მარტო იმის გამო, რომ სოციალურ რევოლუციას მოახდენს, არ გადაიქცევა წმინდანად და შეცდომათა და სისუსტეთაგან დაზღვეულად. მაგრამ შესაძლებელი შეცდომები (და ანგარებითი ინტერესები — სხვის ზურგზე წამოსკუპების ცდა) აუცილებლად მიიყვანს მას ამ ჭეშმარიტების შეგნებამდე.

ჩვენ ყველანი, ციმერვალდელი მემარცხენენი, დარწმუნებულნი ვართ იმაში, რაშიც დარწმუნებული იყო, მაგალითად, კაუცკიც, სანამ ის 1914 წელს მარქსიზმისაგან შოვინიზმის დაცვისაკენ მიბრუნდებოდა, სახელდობრ იმაში, რომ სოციალისტური რევოლუცია სავსებით შესაძლებელია ს უ ლ ა ხ ლ ო მომავალში, «დღეს-ხვალ», როგორც ერთხელ იმავე კაუცკიმ თქვა. ეროვნული ანტიპათიები ისე სწრაფად არ გაქრება; ჩაგრულ ერს მჩაგვრელისადმი სიძულვილი — და სრულიად კანონიერიც — დროებით დ ა რ ჩ ე ბ ა; იგი გაქრება მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების შ ე მ დ ე გ და ერთა შორის სავსებით დემოკრატიული ურთიერთობის საბოლოოდ დამყარების შ ე მ დ ე გ. თუ ჩვენ გვინდა სოციალიზმის ერთგულნი ვიყვნეთ, უკვე ახლა უნდა ვაწარმოოთ მასების ინტერნაციონალისტური აღზრდა, რაც მჩაგვრელ ერებში შეუძლებელია ისე, თუ არ ვიქადაგეთ გამოყოფის თავისუფლება ჩაგრული ერებისათვის.

10. ირლანდიის 1916 წლის აჯანყება

ჩვენი თეზისები დაწერილია ამ აჯანყებამდე, რომელიც მასალა უნდა გახდეს თეორიულ შეხედულებათა შესაბოწმებლად.

თვითგამორკვევის მოწინააღმდეგეთა შეხედულებებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ მცირე ერთა სიცოცხლისუნარიანობა უკვე ამოწურულია, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ისინი ვერავითარ როლს ვერ შეასრულებენ, მათი წმინდა ეროვნული მისწრაფებებისათვის მხარისდაჭერა არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს და სხვ.. 1914 — 1916 წწ. იმპერიალისტური ომის გამოცდილება ამგვარი დასკვნების ფ ა ქ ტ ი უ რ გაბათილებას იძლევა.

ომი გადაიქცა კრიზისის ეპოქად დასავლეთ ევროპის ერებისათვის, მთელი იმპერიალიზმისათვის. ყოველგვარი კრიზისი უკუაგდებს პირობითს, გლეჯს გარეგან გარსს, გზიდან იშორებს დრომოჭმულს, ააშკარავებს უფრო ღრმა მიზეზებსა და ძალებს. რა გამოააშკარავა ამ კრიზისმა ჩაგრულ ერთა მოძრაობის თვალსაზრისით? კოლონიებში მთელი რიგი ცდები აჯანყებებისა, რომელთა დამალვას, რა თქმა უნდა, ყოველნაირად ცდილობდნენ მჩაგვრელი ერები სამხედრო ცენზურის საშუალებით. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ ინგლისელებმა სინგაპურში მხეცურად ჩააქრეს თავიანთი ინდოელთა ჯარების აჯანყება; რომ იყო აჯანყების ცდები საფრანგეთის ანამში (იხ. «ნაშე სლოვო») და გერმანელთა კამერუნში (იხ. იუნიუსის ბროშურა *); რომ ევროპაში, ერთი მხრივ, აჯანყდა ირლანდია, და მას სიკვდილით დასჯით ამშვიდებდნენ «თავისუფლებისმოყვარე» ინგლისელები, რომლებმაც ვერ გაბედეს საყოველთაო სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაეწვიათ ირლანდიელები; ხოლო, მეორე მხრივ, ავსტრიის მთავრობას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოჰქონდა ჩეხთა სეიმის დეპუტატებისათვის — «ღალატის გამო» და ამავე «დანაშაულისათვის» ჩეხთა მთელ პოლკებს ხვრეტდა.

რა თქმა უნდა, აქ ჩამოთვლილი სია ოდნავაც არაა სრული. მაგრამ იგი მაინც ამტკიცებს, რომ ეროვნულ აჯანყებათა ნაპერწკლები იმპერიალიზმის კრიზისთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ იფეთქებდა ხოლმე რ ო გ ო რ ც კოლონიებში, ი ს ე ევრო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 385 — 405. რ ე დ.

პაში, რომ ეროვნულმა სიმპათიებმა და ანტიპათიებმა, მიუხედავად დრაკონისებური მუქარისა და რეპრესიული ღონისძიებებისა, მაინც თავი იჩინა. ხოლო იმპერიალიზმის კრიზისი ჯერ კიდევ შორს იყო თავისი განვითარების უმაღლესი წერტილისაგან: იმპერიალისტური ბურჟუაზიის ძლიერება ჯერ კიდევ მოტეხილი არ იყო (ომს «ძალღონის გამოფიტვამდე» შეუძლია საქმე აქამდე მიიყვანოს, მაგრამ ჯერ არ მიუყვანია); პროლეტარული მოძრაობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შიგნით ჯერჯერობით მეტად სუსტია. რაღა იქნება, როდესაც ომი საქმეს სრულ გამოფიტვამდე მიიყვანს, ან მაშინ, როცა თუნდ ერთ სახელმწიფოში პროლეტარული ბრძოლის იერიშების გამო ბურჟუაზიის ხელისუფლება ისე შეირყევა, როგორც ცარიზმის ხელისუფლება 1905 წელს?

გაზეთ «Berner Tagwacht»-ში, ციმერვალდელების — ზოგიერთ მემარცხენეთა ჩათვლით — ორგანოში, 1916 წ. 9 მაისს ირლანდიის აჯანყების შესახებ დაიბეჭდა სტატია კ. რ.[105] ინიციალებით, ამ სათაურით: «საქმე წასულია». ირლანდიის აჯანყება გამოცხადებული იყო «პუტჩად», არც მეტი, არც ნაკლები, ვინაიდან «ირლანდიის საკითხი აგრარული საკითხი იყოო», გლეხები რეფორმებით დააშოშმინეს, ამჟამად ნაციონალისტური მოძრაობა იყო «წმინდა-ქალაქური, წვრილბურჟუაზიული მოძრაობა, რომლის იქით, მიუხედავად მის მიერ ატეხილი დიდი ხმაურისა, სოციალურად ცოტა რამ იმალებოდაო».

საკვირველი როდია, რომ ეს, თავისი დოქტრინიორობითა და პედანტობით საოცარი, შეფასება დაემთხვა რუსი ნაციონალ-ლიბერალის, კადეტ ბ-ნ ა. კულიშერის («რეჩი»[106] 1916 წ., ნომერი 102, აპრილის 15) შეფასებას; ამ აჯანყებას მანაც «დუბლინის პუტჩი» უწოდა.

შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ თანახმად ანდაზისა — «ზოგი ჭირი მარგებელიაო», მრავალ ამხანაგს, რომლებსაც არ ესმოდათ, თუ რა ჭაობისაკენ მიექანებიან ისინი, როდესაც «თვითგამორკვევას» უარყოფენ და ათვალწუნებით უყურებენ პატარა ერთა ეროვნულ მოძრაობებს, ახლა თვალი აეხილე-

ბათ იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლის მიერ მოცემული შეფასებისა და სოციალ-დემოკრატის შეფასების ამ «შემთხვევითი» იგივეობის გამო!!

«პუტჩზე», ამ სიტყვის მეცნიერული აზრით, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თუ აჯანყების ცდამ არაფერი არ გამოამჟღავნა შეთქმულთა ან ბრიყვ მანიაკთა ჯგუფის გარდა და მასებში არავითარი სიმპათია არ გამოიწვია. ირლანდიელთა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელსაც საუკუნეობრივი წარსული აქვს, კლასობრივ ინტერესთა სხვადასხვა ეტაპი და სხვადასხვა შეხამება განვლო, და იგი გამოიხატა, სხვათა შორის, ამერიკაში ირლანდიელთა მასობრივი ეროვნული კონგრესით («Vorwärts» *, 20. III. 1916), რომელმაც ირლანდიის დამოუკიდებლობა მოითხოვა, — გამოიხატა ქუჩებში გამართული ბრძოლებით, რომლებშიც მონაწილეობდა ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი და მუშების ნაწილი, ხანგრძლივი მასობრივი აგიტაციის, დემონსტრაციების, გაზეთების აკრძალვის და სხვათა შემდეგ. ვინც ასეთ აჯანყებას პუტჩს უწოდებს, ის ან უბოროტესი რეაქციონერია, ან დოქტრინიორი, რომელიც სრულიად მოკლებულია უნარს — სოციალური რევოლუცია წარმოიდგინოს როგორც ცოცხალი მოვლენა.

ვინაიდან იმის ფიქრი, რომ შესაძლებელია სოციალური რევოლუცია ისე, რომ კოლონიებსა და ევროპაში პატარა ერები არ აჯანყდნენ, ისე, რომ არ მოხდეს რევოლუციური ამბოხება წვრილი ბურჟუაზიის ნაწილისა ყველა მისი ცრურწმენითურთ, ისე, რომ პროლეტარულმა და ნახევრად-პროლეტარულმა შეუგნებელმა მასებმა არ დაიწყონ მოძრაობა მემამულური, ეკლესიური, მონარქიული, ეროვნული და ა. შ. ჩაგვრის წინააღმდეგ, — ამის ფიქრი ნიშნავს სოციალურ რევოლუციაზე ხელის აღებას. ალბათ, ერთ ადგილას ჩამწკრივდება ერთი ჯარი და იტყვის: «ჩვენ სოციალიზმის მომხრენი ვართ», მეორე ადგი-

* — წინ. რედ.

ლას კი — მეორე ჯარი და იტყვის: «ჩვენ იმპერიალიზმის მომხრენი ვართ» და ეს იქნება სოციალური რევოლუცია! მხოლოდ ასეთი პედანტურ-სასაცილო თვალსაზრისით შეიძლებოდა ირლანდიელთა აჯანყების გამოლანძღვა როგორც «პუტჩისა».

ვინც «წმინდა» სოციალური რევოლუციის მოლოდინშია, იგი მას ვ ე რ ა ს ო დ ე ს ვერ მოესწრება. ის არის სიტყვით რევოლუციონერი, რომელსაც ნამდვილი რევოლუციისა არა გაეგება რა.

1905 წლის რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო. იგი შედგებოდა მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა უკმაყოფილო კლასების, ჯგუფების, ელემენტების მთელი რიგი ბრძოლებისაგან. მათ შორის იყვნენ მასები უაღრესად ველური ცრურწმენებით, ბრძოლის სრულიად გაურკვეველი და ფანტასტიკური მიზნებით, იყვნენ პატარა ჯგუფები, რომლებიც იაპონელებისაგან ფულს იღებდნენ, იყვნენ სპეკულანტები და ავანტიურისტები და ა. შ.. ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ, მასების მოძრაობა ცარიზმს ამსხვრევდა და დემოკრატიას უკაფავდა გზას; ამიტომ შეგნებული მუშები ხელმძღვანელობდნენ ამ მოძრაობას.

სოციალისტური რევოლუცია ევროპაში ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს სხვა რამ, თუ არ ყველა და ყოველგვარ ჩაგრულთა და უკმაყოფილოთა მასობრივი ბრძოლის აფეთქება. ამ რევოლუციაში აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას წვრილი ბურჟუაზიისა და ჩამორჩენილი მუშების ნაწილები — ასეთი მონაწილეობის გარეშე შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბრძოლა, შეუძლებელია რ ა ი მ ე რევოლუცია — და ასევე აუცილებლად შეიტანენ მოძრაობაში თავიანთ ცრურწმენებს, თავიანთ რეაქციულ ფანტაზიებს, თავიანთ სისუსტესა და შეცდომებს. მაგრამ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ისინი კ ა პ ი ტ ა ლ ს დაესხმიან თავს, და რევოლუციის შეგნებული ავანგარდი, მოწინავე პროლეტარიატი, გამოხატავს რა ამ ობიექტურ ჭეშმარიტებას სხვადასხვაფერი და შეუთანხმებელი, ჭრელი და გარეგნულად დაქსაქსული მასობრივი ბრძოლისას, შეძლებს მის გაერთიანებას და წარმართვას, ძალაუფლების

დაპყრობას, ბანკების ხელში ჩაგდებას, ყველასათვის საძულველი (თუმცა სხვადასხვა მიზეზით!) ტრესტების ექსპროპრიაციას და სხვა დიქტატორულ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც საბოლოო შედეგად იძლევა ბურჟუაზიის დამხობას და სოციალიზმის გამარჯვებას, რომელიც სრულიადაც არა უცებ «განიწმინდება» წვრილბურჟუაზიული შლამისაგან.

სოციალ-დემოკრატიამ — ვკითხულობთ პოლონელთა თეზისებში (I, 4) — «ახალგაზრდა კოლონიური ბურჟუაზიის ბრძოლა, მიმართული ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, უნდა გამოიყენოს ევროპაში რევოლუციური კრიზისის გასამწვავებლად». (ხაზგასმა ავტორებისაა).

განა ცხადი არ არის, რომ ამ მხრივ ევროპის დაპირდაპირება კოლონიებისადმი ყველაზე ნაკლებ შესაწყნარებელია? ჩაგრულ ერთა ბრძოლა ევროპაში, ბრძოლა, რომელსაც შეუძლია მივიდეს აჯანყებებამდე და ქუჩაში შეტაკებებამდე, ჯარის რკინისებური დისციპლინის დარღვევამდე და საალყო წესებამდე, — ეს ბრძოლა ბევრად უფრო «გაამწვავებს რევოლუციურ კრიზისს ევროპაში», ვიდრე გაცილებით უფრო განვითარებული აჯანყება შორეულ კოლონიაში. ერთნაირი ძალის დარტყმას, რომელსაც მიაყენებს ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელისუფლებას აჯანყება ირლანდიაში, ასჯერ უფრო მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აჯანყებას აზიასა ან აფრიკაში.

ამას წინათ საფრანგეთის შოვინისტურმა პრესამ გვაუწყა, რომ ბელგიაში გამოვიდა არალეგალური ჟურნალის — «თავისუფალი ბელგიის» მე-80 ნომერი. რასაკვირველია, საფრანგეთის შოვინისტური პრესა ძალიან ხშირად ცრუობს, მაგრამ ეს ცნობა მართალსა ჰგავს. იმ დროს, როდესაც გერმანიის შოვინისტურ და კაუცკურ სოციალ-დემოკრატიას ომის ორი წლის განმავლობაში არ შეუქმნია თავისუფალი პრესა და მონურად იტანს სამხედრო ცენზურის უღელს (მხოლოდ მემარცხენე-რადიკალური ელემენტები სცემდნენ, მათდა სასახელოდ, ბროშურებსა და პროკლამაციებს უცენზუროდ), — ამ

დროს ჩაგრული კულტურული ერი სამხედრო ჩაგვრის გაუ-
გონარ სიმხეცეს უპასუხებს რევოლუციური პროტესტის ორ-
განოს შექმნით! ისტორიის დიალექტიკა ისეთია, რომ წვრილი
ერები, რომლებიც უმწეონი არიან, როგორც დ ა მ ო უ კ ი-
დ ე ბ ე ლ ი ფაქტორი იმპერიალიზმთან ბრძოლაში, იმ ერთ-
ერთი ფერმენტის, ერთ-ერთი ბაცილის როლს თამაშობენ,
რომელიც ხელს უწყობს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ნ ა მ-
დ ვ ი ლ ი ძალის, სახელდობრ — სოციალისტური პროლეტა-
რიატის ასპარეზზე გამოსვლას.

ახლანდელ ომში გენერალური შტაბები გულმოდგინედ
ცდილობენ გამოიყენონ ყოველგვარი ეროვნული და რევოლუ-
ციური მოძრაობა მათი მოწინააღმდეგეების ბანაკში, —
გერმანელები ცდილობენ ირლანდიის აჯანყების გამოყენებას,
ფრანგები — ჩეხთა მოძრაობის გამოყენებას და ა. შ.. და
თავიანთი თვალსაზრისით ისინი სავსებით მართებულად იქცე-
ვიან. შეუძლებელია სერიოზულად ეპყრობოდე სერიოზულ
ომს და არ იყენებდე მოწინააღმდეგის ოდნავ სისუსტესაც კი,
ხელს არ სჭიდებდე ყოველ შანსს, მით უფრო, რომ შეუძლებე-
ლია წინდაწინვე იცოდე, სახელდობრ რომელ მომენტში და
რა სიძლიერით «აფეთქდება» ამა თუ იმ ალაგას დენთის ესა
თუ ის საწყობი. ჩვენ მეტად ცუდი რევოლუციონერები ვიქ-
ნებოდით, პროლეტარიატის დიდ განმათავისუფლებელ ომში
სოციალიზმისათვის რომ ვერ გამოგვეყენებინა ყ ო ვ ე ლ ი
ხალხური მოძრაობა იმპერიალიზმის ც ა ლ კ ე უ ლ საშინე-
ლებათა წინააღმდეგ — კრიზისის გაფართოებისა და გამწვავე-
ბის ინტერესებისათვის. ჩვენ რომ, ერთი მხრივ, ვიძახოთ და
ათასნაირ ჰანგზე გავიმეოროთ, რომ ჩვენ «წინააღმდეგნი»
ვართ ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა, ხოლო, მეორე
მხრივ, «პუტჩი» ვუწოდოთ ჩაგრული ერის ზოგიერთი კლასის
ყველაზე მეტად მოძრავი და ინტელიგენტური ნაწილის გმი-
რულ აჯანყებას მჩაგვრელების წინააღმდეგ, — ჩვენ ჩამო-
ვაქვეითებთ თავს ისეთ გონებაჩლუნგ ადამიანთა დონემდე,
როგორნიც კაუცკელები არიან.

ირლანდიელების უბედურება ისაა, რომ ისინი უდროოდ აჯანყდნენ, — როდესაც ევროპის პროლეტარიატის აჯანყება ჯერ კიდევ არ მომწიფებულა. კაპიტალიზმი ისე ჰარმონიულად არ არის მოწყობილი, რომ აჯანყებათა სხვადასხვა წყარო თავისთავად ერთიანდებოდეს ერთბაშად, შეუფერხებლად და დაუმარცხებლად. პირიქით, სწორედ აჯანყებათა სხვადასხვადროულობა, სხვადასხვაგვარობა, ადგილის სხვადასხვაობა არის საერთო მოძრაობის სიფართოვისა და სიღრმის საწინდარი; მხოლოდ უდროოდ დაწყებულ, კერძო, დაქსაქსულ და ამიტომ მარცხიან რევოლუციურ მოძრაობათა გამოცდისას მიიღებენ მასები გამოცდილებას, ისწავლიან, ძალღონეს მოიკრებენ, დაინახავენ თავიანთ ნამდვილ ბელადებს, სოციალისტურ პროლეტარებს და ამნაირად მოამზადებენ საერთო იერიშს — ისევე, როგორც ცალკე გაფიცვებმა, საქალაქო და ეროვნულმა დემონსტრაციებმა, ამბოხებებმა ჯარში, აფეთქებებმა გლეხობაში და ა. შ. მოამზადეს საერთო იერიში 1905 წელს.

11. დასკვნა

ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა, წინააღმდეგ პოლონელი სოციალ-დემოკრატების მცდარი მტკიცებისა, ჩვენს პარტიულ აგიტაციაში იმაზე ნაკლებ როლს არ თამაშობდა, ვიდრე, მაგალითად, ხალხის შეიარაღება, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევა და სხვა, ობივატელების მიერ ეგრეთწოდებული «უტოპიური», პუნქტები. პირიქით, 1905 წლის შემდეგ ეროვნულ მოძრაობათა გამოცოცხლებამ ბუნებრივად გამოიწვია ჩვენი აგიტაციის გამოცოცხლებაც: მთელი რიგი სტატიები 1912 — 1913 წწ., ჩვენი პარტიის 1913 წლის რეზოლუცია, რომელმაც მოგვცა საქმის არსის ზუსტი და «ანტიკაუცკური» (ე. ი. წმინდა სიტყვიერი «აღიარებისადმი» შეურიგებელი) განმარტება *.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 505 — 508. რედ.

უკვე მაშინ იჩინა თავი ფაქტმა, რომლის გვერდის ავლა შეუწყნარებელია: სხვადასხვა ერის ოპორტუნისტები, უკრაინელი იურკევიჩი, ბუნდელი ლიბმანი, პოტრესოვისა და კომპანიის რუსეთელი მსახური სემკოვსკი — გამოვიდნენ როზა ლუქსემბურგის მოსაზრებათა მ ო მ ხ რ ე ე ბ ა დ თვითგამორკვევის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ! ის, რაც პოლონელი სოციალ-დემოკრატი ქალის მხრივ წარმოადგენდა პოლონეთის მოძრაობის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ პირობათა არასწორ თეორიულ განზოგადებას, ის აღმოჩნდა ერთბაშად, საქმით, უფრო ფართო ვითარებაში, პატარა კი არა, დიდი სახელმწიფოს პირობებში, ინტერნაციონალური და არა ვიწრო-პოლონური მასშტაბით, აღმოჩნდა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ველიკოროსული იმპერიალიზმისათვის ოპორტუნისტული მხარისდაჭერა. პოლიტიკური აზროვნების მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა (პიროვნებათა შეხედულებებისაგან განსხვავებით) ისტორიამ დაამტკიცა ჩვენი პროგრამის სისწორე.

და ახლა გულახდილი სოციალ-იმპერიალისტები, მსგავსად ლენჩისა, პირდაპირ ილაშქრებენ თვითგამორკვევის წინააღმდეგაც და ანექსიათა უარყოფის წინააღმდეგაც. კაუცკელები კი ფარისევლურად აღიარებენ თვითგამორკვევას — ჩვენში, რუსეთში, ამ გზას ადგანან ტროცკი და მარტოვი. სიტყვით ო რ ი ვ ე, ისე როგორც კაუცკი, თვითგამორკვევის მომხრეა. საქმით კი? ტროცკის — აიღეთ მისი სტატიები «ნაშე სლოვოში»: «ერი და მეურნეობა» — მის ჩვეულებრივ ეკლექტიციზმს ვამჩნევთ: ერთი მხრივ, მეურნეობა ერებს აერთიანებს, მეორე მხრივ კი, ეროვნული ჩაგვრა მათ თიშავს. დასკვნა? დასკვნა ისაა, რომ გამეფებული პირმოთნეობა გამოუმეღავნებელი რჩება, აგიტაცია — უსიცოცხლო, ისეთი, რომელიც არ ეხება უმთავრესს, ძირითადს, არსებითს, პრაქტიკასთან. ახლო მდგომს: «ჩემი» ერის მიერ ჩაგრული ერისადმი დამოკიდებულებას. მარტოვმა და სხვა საზღვარგარეთელმა მდივნებმა არჩიეს პირდაპირ დაევიწყებინათ — ხელსაყრელი გულმავიწყობაა! — თავიანთი კოლეგისა და თანაწევრის სემკოვსკის ბრძოლა თვითგამორკვევის წინააღმდეგ. გვოზდიოველების

ლეგალურ პრესაში («ნაშ გოლოს») მარტოვი წერდა თვითგამორკვევის დასაცავად და ამტკიცებდა იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ თვითგამორკვევა ჯერ კიდევ არ გვავალებს იმპერიალისტურ ომში მონაწილეობას და სხვ., მაგრამ ამასთან იგი გვერდს უვლიდა მთავარს — იგი გვერდს უვლის ამას არალეგალურ, თავისუფალ პრესაშიც! — სახელდობრ იმას, რომ რუსეთმა მშვიდობიანობის დროსაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა ერთა ჩაგვრაში იმპერიალიზმის საფუძველზე, იმპერიალიზმისა, რომელიც გაცილებით უფრო უხეში, შუასაუკუნეობრივი, ეკონომიურად ჩამორჩენილი და სამხედრო-ბიუროკრატიულია. რუსი სოციალ-დემოკრატი, რომელიც ერთა თვითგამორკვევას დაახლოებით ისე «აღიარებს», როგორც მას ბბ. პლეხანოვი, პოტრესოვი და კომპ. აღიარებენ, ე. ი. ცარიზმის მიერ ჩაგრულ ერთა გამოყოფის თავისუფლებისათვის არ იბრძვის, საქმით იმპერიალისტია და ცარიზმის ლაქია.

როგორიც არ უნდა იყოს ტროცკისა და მარტოვის სუბიექტური «კეთილი» განზრახვები, ობიექტურად ისინი თავიანთი მიკიბ-მოკიბულობით რუსეთის სოციალ-იმპერიალიზმს უწყობენ ხელს. იმპერიალისტურმა ეპოქამ ყველა «დიდი» სახელმწიფო მთელ რიგ ერთა მჩაგვრელებად აქცია, და იმპერიალიზმის განვითარება აუცილებლად გამოიწვევს ამ საკითხში მიმდინარეობათა უფრო მკაფიოდ დანაწილებას საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაშიც.

დაწერილია 1916 წ. ივლისში

დაიბეჭდა 1916 წ. ოქტომბერში
«სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 1-ში
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება «სბორნიკის»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 წიგნი «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი 1. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში» დაწერილია 1914—1915 წლებში. 1916 წლის იანვრის დამდეგს ლენინმა წიგნის ხელნაწერი ბერნიდან გაუგზავნა ა. მ. გორკის გამომცემლობა «პარუსისთვის», მაგრამ 1916 წელს წიგნი არ გამოსულა; იგი 1917 წელს გამოსცა პეტროგრადში წიგნის გამომცემლობა «ეიზნ ი ზნანიემ».

მოსამზადებელი მასალები წიგნისათვის — მისი გეგმის ვარიანტები და ამონაწერები ამერიკის შეერთებულ შტატებში 1900 და 1910 წლებში ჩატარებული ორი აღწერის სტატისტიკური ცხრილებიდან — გამოქვეყნდა 1932 წელს ლენინის კრებულში, XIX, გვ. 380—460.

ლენინი ფიქრობდა დაეწერა წიგნის მეორე ნაკვეთი, გერმანიის შესახებ, მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელებულა. — **1.**

2 «ზავეტი» — ესერული მიმართულების ყოველთვიური ლეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის ივლისამდე. — **6.**

3 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. II, 1947, გვ. 164—191. — **11.**

4 იგულისხმება კ. კაუცკის ბროშურა «Der Weg zur Macht» («გზა ხელისუფლებისაკენ»), რომელიც გამოიცა ბერლინში 1909 წელს. — **121.**

5 «Die Neue Zeit» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885—1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ფ. ენგელსი ხშირად აძლევდა მი-

თითებებს ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმისაგან გადახვევებისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ჟურნალს ეჭირა ცენტრისტული, კაუცკური პოზიცია, იგი მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — **122.**

6 სტატია «ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი» ლენინმა დაწერა გერმანელ ენაზე და 1916 წლის იანვარში გამოქვეყნდა ციმერვალდელ მემარცხენეთა თეორიული ორგანოს — ჟურნალ «Vorbote»-ს («წინამორბედი») პირველ ნომერში. ამავე საათაურით ლენინმა უფრო ადრე დაწერა სტატია რუსულ ენაზე. ის პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 5 (28) და შეტანილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის 21-ე ტომში (გვ. 537 — 556). ამ სტატიის ტექსტი რამდენადმე განსხვავდება «Vorbote»-ში გამოქვეყნებული სტატიის ტექსტისაგან. — **125.**

7 ოთხთა თანხმობა — ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და იტალიის იმპერიალისტური კავშირი; შეიქმნა 1915 წელს, მას შემდეგ, რაც იტალია გამოვიდა სამთა (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) კავშირიდან და შეუერთდა მეორე იმპერიალისტურ კავშირს — სამთა თანხმობას (ანტანტა), რომელიც 1907 წელს ჩამოყალიბდა. — **126.**

8 «Sozialistische Monatshefte» («სოციალისტური ყოველთვიური») — ჟურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტების მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო; მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) სოციალ-შოვინიზმის პოზიცია ეჭირა; გამოდიოდა ბერლინში 1897-დან 1933 წლამდე. — **131.**

9 ფაბიანელები — რეფორმისტული, უკიდურესი ოპორტუნისტული «ფაბიანელთა საზოგადოების» წევრები; ეს საზოგადოება დააარსა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფმა ინგლისში 1884 წელს. საზოგადოებას ეწოდა სახელი რომაელი მხედართმთავრის ფაბიუს კუნქტატორისა («დამყოვნებლისა»), რომელიც ცნობილი იყო ლოდინის ტაქტიკით, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის თავის არიდებით. ფაბიანური საზოგადოება, ლენინის გამოთქმით, წარმოადგენს «ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ყველაზე დასრულებულ გამოხატულებას». ფაბიანელები პროლეტარიატს აშორებდნენ კლასობრივ ბრძოლას, ქადაგებდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობას რეფორმების გზით.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ფაბიანელები სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე იდგნენ. ფაბიანელთა დახასიათება იხ. ლენინის ნაწარმოებებში: «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი»» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 12, გვ. 451 — 452), «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 202 — 203), «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 311 — 312) და სხვ. — **181.**

10 მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა (Labour Party) — დაარსდა 1900 წელს როგორც მუშათა ორგანიზაციების — ტრედ-უნიონების, სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფების — გაერთიანება მუშათა წარმომადგენლობის შექმნის მიზნით პარლამენტში. ამ გაერთიანებას ეწოდებოდა «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი», რომელმაც 1906 წელს სახელი შეიცვალა და მუშათა (ლეიბორისტული) პარტია დაირქვა. ლეიბორისტული პარტია, რომელიც თავისი იდეოლოგიითა და ტაქტიკით ყველაზე უფრო ოპორტუნისტული, «თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიული» (ლ ე ნ ი ნ ი) ორგანიზაციაა, ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკას ატარებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დროს ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირათ, ისინი, ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, «იმპერიალისტური ბანდიტიზმის თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი» იყვნენ.

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას სათავეში ედგა 1924, 1929 და 1945 წლებში და ადგენდა თავის მთავრობებს, რომელნიც უცვლელად ატარებდნენ ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას. 1945 წელს შექმნილი ლეიბორისტული მთავრობა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახორციელებს ინგლისელ იმპერიალისტთა რეაქციულ პროგრამას. ლეიბორისტთა მემარჯვენე ლიდერებს, რომელნიც არსებითად გამოდიან როგორც ამერიკის იმპერიალიზმის აგენტურა, ანტისაბჭოთა პოზიცია უჭირავთ და ისინი იბრძვიან დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა წინააღმდეგ. — **181.**

11 I n d e p e n d e n t L a b o u r P a r t y (I. L. P.) — ინგლისის მუშათა დამოუკიდებელი პარტია, დაარსდა 1893 წელს. პარტიას სათავეში ედგნენ ჯემს კეირ-გარდი, რ. მაკდონალდი და სხვ.. დამოუკიდებელი მუშათა პარტია, რომელიც ბურჟუაზიული პარტიებისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრეტენზიას აცხადებდა, სინამდვილეში «სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ლიბერალიზმისა-

გან დამოკიდებული» (ل ე ნ ი ნ ი) იყო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) დამოუკიდებელი მუშათა პარტია თავდაპირველად გამოვიდა მანიფესტით ომის წინააღმდეგ (1914 წლის 13 აგვისტოს — ახალი სტილით). შემდეგ, 1915 წლის თებერვალში, ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენციაზე, დამოუკიდებელნი შეუერთდნენ კონფერენციაზე მიღებულ სოციალ-შოვინისტურ რეზოლუციას. ამ დროიდან მოკიდებული დამოუკიდებელთა ლიდერებს, რომლებიც პაციფისტურ ფრაზებს ეფარებოდნენ, სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირათ. კომინტერნის დაარსების შემდეგ, 1919 წელს, გამემარცხენებული პარტიული მასების ზეგავლენით, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერებმა მიიღეს გადაწყვეტილება II ინტერნაციონალიდან გამოსვლის შესახებ. 1921 წელს დამოუკიდებელნი შევიდნენ ეგრეთწოდებულ 2½ ინტერნაციონალში, მისი დაშლის შემდეგ კი კვლავ II ინტერნაციონალს შეუერთდნენ. — **131.**

12 B r i t i s h S o c i a l i s t P a r t y (B. S. P.) — ბრიტანეთის სოციალისტური პარტია დაარსდა 1911 წელს მანჩესტერში. მისი ბირთვი იყო 1884 წელს წარმოშობილი სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია (ფედერაციას მეთაურობდნენ ჰაინდმანი, ჰარი კველჩი, ტომას მანი და სხვ.), რომელსაც შემდეგ სახელი შეეცვალა და სოციალ-დემოკრატიული პარტია ეწოდა. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია მარქსისტულ პროპაგანდასა და აგიტაციას ეწეოდა მარქსისტული სულისკვეთებით და იყო «არა ოპორტუნისტული, ლიბერალებისაგან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დამოუკიდებელი» (ل ე ნ ი ნ ი) პარტია. ის გარეგმოება, რომ პარტია მცირერიცხოვანი და მასებს მოწყვეტილი იყო, მას ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) პარტიაში თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ: ერთმა — აშკარად სოციალ-შოვინისტურმა ჰაინდმანის მეთაურობით და მეორემ — ინტერნაციონალისტურმა ა. ინკპინის, ფ. როტშტეინისა და სხვ. მეთაურობით. 1916 წლის აპრილში პარტია გაითიშა. ჰაინდმანი და მისი მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და პარტიიდან გავიდნენ. ამ დროიდან ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები, რომლებიც იბრძოდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ინიციატორი იყო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც 1920 წელს გაფორმდა; B. S. P.-ს ორგანიზაციათა უმეტესი ნაწილი კომპარტიაში შევიდა. — **132.**

13 «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 — 1914 წლებში.

«ნაშა ზარიას» ირგვლივ ჩამოყალიბდა ლიკვიდატორთა ცენტრი რუსეთში. 1915 წლის იანვრიდან, «ნაშა ზარიას» დახურვის შემდეგ, დაიწყო ჟურნალ «ნაშე დელოს» გამოსვლა. — **132.**

14 ორგანიზაციული კომიტეტი (ოკ, აქედან — «ოკისტები») — მენშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი; შეიქმნა 1912 წელს მენშევიკ ლიკვიდატორთა და ყველა ანტიპარტიული ჯგუფისა და მიმდინარეობის აგვისტოს კონფერენციაზე. — **132.**

15 «Preussische Jahrbücher» («პრუსიის ყოველწლიური») — ყოველთვიური კონსერვატიული ჟურნალი, გერმანელ კაპიტალისტთა და მიწათმფლობელთა ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1858-დან 1935 წლამდე. — **133.**

16 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 109. — **134.**

17 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 459. — **135.**

18 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIX, 1946, გვ. 265. — **136.**

19 ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი ლენინმა შექმნა ინტერნაციონალისტთა პირველ სოციალისტურ კონფერენციაზე, რომელიც 1915 წლის სექტემბრის დამდეგს შედგა ციმერვალდში (შვეიცარია). ამ კონფერენციას ლენინი უწოდებდა «პირველ ნაბიჯს» ომის წინააღმდეგ მიმართული ინტერნაციონალური მოძრაობის განვითარებაში. ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში ერთადერთი სწორი, ბოლომდე თანამიმდევრული პოზიცია ეჭირათ. ამ ჯგუფში არათანამიმდევარი ინტერნაციონალისტებიც იყვნენ. მათი შეცდომების კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის სტატიებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (ეს ტომი, გვ. 385 — 405, 406 — 459) და ი. ბ. სტალინის წერილში «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (ი. ბ. სტალინი, «ლენინიზმის საკითხები», მე-11 გამოცემა, 1951, გვ. 449 — 463). — **139.**

20 «Labour Leader» («მუშათა ბელადი») — ყოველკვირეული გაზეთი, დაარსდა 1890 წელს; შემდეგ გახდა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო. 1922 წლიდან გაზეთი გამოდის სახელწოდებით «New Leader» («ახალი ბელადი»); 1946 წლიდან — სახელწოდებით «Socialist Leader» («სოციალისტური ბელადი»). — **141.**

21 «Berner Tagwacht» («ბერნის გუშაგი») — ყოველდღიური გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; დაარსდა 1893 წელს ბერნში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისს გაზეთში ქვეყნდებოდა კ. ლიბკნეხტის, ფ. მერინგისა და სხვა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების სტატიები. 1917 წლიდან გაზეთმა აშკარად დაუჭირა მხარი სოციალ-შოვინისტებს; ამეამად გამოდის და ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული პოზიცია უჭირავს. — **140.**

22 პროექტი დადგენილებისა მეორე სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ ლენინმა დაწერა ბერნის ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებული თათბირისათვის, რომელიც შედგა 1916 წლის 5 — 8 თებერვალს (ახ. სტ.). დადგენილების პროექტის მთელი რიგი მუხლები თათბირმა მიიღო. ლენინის წინადადება, რომ განხილული ყოფილიყო «ომისა და ნაციონალიზმისადმი მტრულად განწყობილ სოციალისტთა ინტერნაციონალური გაერთიანების» საკითხი, თათბირმა მემარჯვენე ციმერვალდელთა ზეგავლენით უარყო. მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის ვადად თათბირმა დანიშნა 1916 წლის 24 აპრილი (ახ. სტ.). დოკუმენტს სათაური არა აქვს. ის დაასათაურა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **142.**

23 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია (I. S. K. — Internationale Sozialistische Kommission) — ციმერვალდის გაერთიანების აღმასრულებელი ორგანო, რომელიც აირჩიეს ციმერვალდის კონფერენციაზე 1915 წლის სექტემბერში. — **142.**

24 რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მე-2 სოციალისტურ კონფერენციას წინადადება წარუდგინა დღის წესრიგის ყველა ძირითადი მუხლის შესახებ. წინადადების პროექტი, რომელიც ლენინმა შეიმუშავა, დაბეჭდილია ამ ტომში, გვ. 207 — 221. — **143.**

25 ეს წინადადება ლენინმა დაწერა მე-2 სოციალისტური კონფერენციისათვის, რომელიც შედგა 1916 წლის 24 — 30 აპრილს (ახ. სტ.). ლენინის წინადადება განიხილეს და მიიღეს ბერნის ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებულ თათბირზე 1916 წლის თებერვალში. — **144.**

26 ინტერნაციონალური მიტინგი შედგა ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებული თათბირის მუშაობის დროს ბერნში. — **146.**

27 ლენინს მხედველობაში აქვს მანიფესტი, რომელიც ინტერნაციონალისტთა ციმერვალდის კონფერენციამ მიიღო 1915 წლის სექტემ-

ბერში. მანიფესტის დახასიათება იხ. ლენინის სტატიაში «პირველი ნაბიჯი» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 468 — 475). — **146.**

28 «Appeal to Reason» («მოწოდება გონებისადმი») — ამერიკელ სოციალისტთა გაზეთი; დაარსდა კანზასის შტატში (აშშ) 1895 წელს; პირველი მსოფლიო ომის დროს ინტერნაციონალისტური პოზიცია ეჭირა. — **149.**

29 «La Bataille» («ბრძოლა») — გაზეთი, საფრანგეთის ანარქო-სინდიკალისტთა ორგანო; გამოსვლა დაიწყო პარიზში 1915 წლის ნოემბრიდან; პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აშკარა შოვინისტური პოზიცია ეჭირა. — **151.**

30 «Vorwärts» («წინ») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1876 წლიდან კ. ლიბკნეხტისა და სხვ. რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი იბრძოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასა და II ინტერნაციონალში გაბატონებულ ოპორტუნისტთა სტატიები. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) «Vorwärts»-ი სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი «Vorwärts»-ი ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი გახდა; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე. — **152.**

31 ფრანგული სოციალისტური პარტია შეიქმნა 1902 წელს. 1905 წელს ფრანგული სოციალისტური პარტიისა და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ინიციატივით შეიქმნა ერთიანი სოციალისტური პარტია; მის შემადგენლობაში შევიდნენ ყველა სოციალისტური პარტიისა და ჯგუფების წარმომადგენლები (გედისტები, ბლანკისტები, ჟორესისტები და სხვ.). ფრანგულ სოციალისტურ პარტიაში ხელმძღვანელობა გადავიდა სოციალისტ-რეფორმისტთა ხელში (ჟორესის მეთაურობით), რომელნიც პარტიის უმრავლესობას შეადგენდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს პარტიას სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირა, მისმა საპარლამენტო ფრაქციამ ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს, მისი წარმომადგენელნი მონაწილეობდნენ ბურჟუაზიულ მთავრობაში. ტურის ყრილობაზე (1920 წ. 25 — 30 დეკემბერი) მოხდა ფრანგული სოციალისტური პარტიის გათიშვა: უმრავლესობამ შექმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, მემარჯვენე-ოპორტუნისტულმა უმცირესობამ, ლეონ ბლუმის მეთაურობით, ყრილობა დატოვა და შექმნა დამოუკიდებელი პარტია, რომელმაც

21 «Berner Tagwacht» («ბერნის გუშაგი») — ყოველდღიური გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; დაარსდა 1893 წელს ბერნში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისს გაზეთში ქვეყნდებოდა კ. ლიბკნეხტის, ფ. მერინგისა და სხვა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების სტატიები. 1917 წლიდან გაზეთმა აშკარად დაუჭირა მხარი სოციალ-შოვინისტებს; ამეამად გამოდის და ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული პოზიცია უჭირავს. — **140.**

22 პროექტი დადგენილებისა მეორე სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ ლენინმა დაწერა ბერნის ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებული თათბირისათვის, რომელიც შედგა 1916 წლის 5—8 თებერვალს (ახ. სტ.). დადგენილების პროექტის მთელი რიგი მუხლები თათბირმა მიიღო. ლენინის წინადადება, რომ განხილული ყოფილიყო «ომისა და ნაციონალიზმისადმი მტრულად განწყობილ სოციალისტთა ინტერნაციონალური გაერთიანების» საკითხი, თათბირმა მემარჯვენე ციმერვალდელთა ზეგავლენით უარყო. მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის ვადად თათბირმა დანიშნა 1916 წლის 24 აპრილი (ახ. სტ.). დოკუმენტს სათაური არა აქვს. ის დასათაურა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **142.**

23 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია (I. S. K. — Internationale Sozialistische Kommission) — ციმერვალდის გაერთიანების აღმასრულებელი ორგანო, რომელიც აირჩიეს ციმერვალდის კონფერენციაზე 1915 წლის სექტემბერში. — **142.**

24 რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მე-2 სოციალისტურ კონფერენციას წინადადება წარუდგინა დღის წესრიგის ყველა ძირითადი მუხლის შესახებ. წინადადების პროექტი, რომელიც ლენინმა შეიმუშავა, დაბეჭდილია ამ ტომში, გვ. 207—221. — **143.**

25 ეს წინადადება ლენინმა დაწერა მე-2 სოციალისტური კონფერენციისათვის, რომელიც შედგა 1916 წლის 24—30 აპრილს (ახ. სტ.). ლენინის წინადადება განიხილეს და მიიღეს ბერნის ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებულ თათბირზე 1916 წლის თებერვალში. — **144.**

26 ინტერნაციონალური მიტინგი შედგა ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებული თათბირის მუშაობის დროს ბერნში. — **146.**

27 ლენინს მხედველობაში აქვს მანიფესტი, რომელიც ინტერნაციონალისტთა ციმერვალდის კონფერენციამ მიიღო 1915 წლის სექტემ-

ბერში. მანიფესტის დახასიათება იხ. ლენინის სტატიაში «პირველი ნაბიჯი» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 468 — 475). — **146.**

28 «Appeal to Reason» («მოწოდება გონებისადმი») — ამერიკელ სოციალისტთა გაზეთი; დაარსდა კანზასის შტატში (აშშ) 1895 წელს; პირველი მსოფლიო ომის დროს ინტერნაციონალისტური პოზიცია ეჭირა. — **149.**

29 «La Bataille» («ბრძოლა») — გაზეთი, საფრანგეთის ანარქო-სინდიკალისტთა ორგანო; გამოსვლა დაიწყო პარიზში 1915 წლის ნოემბრიდან; პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აშკარა შოვინისტური პოზიცია ეჭირა. — **151.**

30 «Vorwärts» («წინ») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1876 წლიდან კ. ლიბკნეხტისა და სხვ. რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი იბრძოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასა და II ინტერნაციონალში გაბატონებულ ოპორტუნისტთა სტატიები. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) «Vorwärts»-ი სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთა «Vorwärts»-ი ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი გახდა; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე. — **152.**

31 ფრანგული სოციალისტური პარტია შეიქმნა 1902 წელს. 1905 წელს ფრანგული სოციალისტური პარტიისა და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ინიციატივით შეიქმნა ერთიანი სოციალისტური პარტია; მის შემადგენლობაში შევიდნენ ყველა სოციალისტური პარტიისა და ჯგუფების წარმომადგენლები (გედისტები, ბლანკისტები, ჟორესისტები და სხვ.). ფრანგულ სოციალისტურ პარტიაში ხელმძღვანელობა გადავიდა სოციალისტ-რეფორმისტთა ხელში (ჟორესის მეთაურობით), რომელნიც პარტიის უმრავლესობას შეადგენდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს პარტიას სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირა, მისმა საპარლამენტო ფრაქციამ ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს, მისი წარმომადგენელნი მონაწილეობდნენ ბურჟუაზიულ მთავრობაში. ტურის ყრილობაზე (1920 წ. 25 — 30 დეკემბერი) მოხდა ფრანგული სოციალისტური პარტიის გათიშვა: უმრავლესობამ შექმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, მემარჯვენე-ოპორტუნისტულმა უმცირესობამ, ლეონ ბლუმის მეთაურობით, ყრილობა დატოვა და შექმნა დამოუკიდებელი პარტია, რომელმაც

მიიღო ფრანგული სოციალისტური პარტიის ძველი სახელწოდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგული სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომელსაც ლეონ ბლუმი მეთაურობდა, მხარს უჭერს საფრანგეთის რეაქციასთან კავშირს და გამოდის როგორც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების აგენტურა.

რეზოლუცია, რომელიც ბურდერონმა 1915 წლის დეკემბერში მიმდინარე ფრანგული სოციალისტური პარტიის კონგრესს წარუდგინა, კონგრესის უმრავლესობამ უარყო. ბურდერონი მაშინ ციმერვალდის გაერთიანების მემარჯვენე ფრთას ემხრობოდა. — **153.**

32 ლენინის წერილი ცალკე ფურცლად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ჟენევაში. — **156.**

33 ლენინს მხედველობაში აქვს მენშევიკური ჟურნალი «ინტერნაციონალ ი ვოინა». გამოვიდა ერთი ნომერი 1915 წლის დამლევს. — **157.**

34 საერთაშორისო სოციალისტური კომისია 1915 წლის სექტემბრიდან 1917 წლის იანვრამდე სცემდა ბეჭდვითს ორგანოს — «Internationale Sozialistische Kommission zu Bern. Bulletin» («ბერნის ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია. ბიულეტენი»). ბიულეტენი გამოდიოდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. გამოვიდა ბიულეტენის ექვსი ნომერი. — **157.**

35 ჩ ხ ე ი ძ ი ს ფ რ ა ქ ც ი ა — IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკური ფრაქცია. — **157.**

36 «ლ უ ჩ» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის სექტემბრიდან 1913 წლის ივლისამდე; არსებობდა «ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს წ რ ი დ ა ნ გ ა მ ო ს უ ლ ი მ დ ი დ ა რ ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ს ს ა ხ ს რ ე ბ ი თ» (ლ ე ნ ი ნ ი). — **158.**

37 «უ ტ რ ო» და «რ ა ბ ო ჩ ე ე უ ტ რ ო» — მენშევიკური ლეგალური გაზეთები, გამოდიოდა პეტროგრადში. გაზეთი «უტრო» გამოდიოდა 1915 წლის აგვისტოში, «რაბოჩეე უტრო» — 1915 წლის ოქტომბერ-დეკემბერში. — **158.**

38 «ს ო ვ რ ე მ ი ო ნ ნ ი მ ი რ» — ყოველთვიური ლიტერატურული, მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906-დან 1918 წლამდე. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები, მათ შორის გ. ვ. პლეხანოვი. მენშევიკ-პარტიელთა პლეხანოვის ჯგუფთან ბლოკის პერიოდში და 1914 წლის დამდეგს ჟურ-

ნალში თანამშრომლობდნენ ბოლშევიკები. 1914 წლის მარტში «სოვრემიონნი მირში» დაიბეჭდა ლენინის სტატია «სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 20, გვ. 219 — 247).

მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) დროს ჟურნალი სოციალ-შოვინისტების ორგანო გახდა. — **159.**

39 «ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო» — ყოველდღიური მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1915 წლის იანვრიდან 1916 წლის სექტემბრამდე, გაზეთ «გოლოსის» ნაცვლად. — **159.**

40 «პ რ ი ზ ი ვ ე ლ ე ბ ი» — გაზეთ «პრიზივის» სახელის მიხედვით; «პრიზივს» პარიზში სცემდა მენშევიკებისა და ესერების სოციალ-შოვინისტური ჯგუფი 1915 — 1917 წლებში. — **162.**

41 ლენინს მხედველობაში აქვს კონფერენცია, რომელიც ესერებმა მოაწყვეს პეტროგრადში 1915 წლის ივლისში. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია მოუწოდებდა ომში აქტიური მონაწილეობისაკენ ცარიზმის მხარეზე. — **162.**

42 ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი რუსეთში შექმნა 1915 წელს მსხვილმა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ. ბურჟუაზიამ, რომელიც ცდილობდა მუშები თავისი გავლენისადმი დაემორჩილებინა და მათ შორის ობორონცული განწყობილება დაენერგა — მოიფიქრა «მუშათა ჯგუფების» მოწყობა ამ კომიტეტებთან. ბურჟუაზიისათვის სასარგებლო იყო ამ ჯგუფებში ჩაება მუშების წარმომადგენლები, რომლებიც მუშათა მასებში აგიტაციას გასწევდნენ სამხედრო ქარხნებში შრომის ნაყოფიერების გადიდების სასარგებლოდ. მენშევიკებმა ბურჟუაზიის მიერ წამოყენებულ ამ ცრუპატრიოტულ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ბოლშევიკებმა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ბოიკოტი გამოაცხადეს და წარმატებით ჩაატარეს ის მუშათა უმრავლესობის მხარდაჭერით (იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 211 — 212). — **163.**

43 ლენინი გულისხმობს ლიტერატურულ სახეს, რომელიც ი. ს. ტურგენევმა მოგვცა ლექსში პროზად «ცხოვრების წესი» (იხ. ი. ს. ტურგენევი. «ლექსები პროზად», 1931, გვ. 24 — 25). — **164.**

44 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო, ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვარამდე. გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი

გამოვიდა რუსეთში, შემდეგ კი გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, შემდეგ — ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია შედგენილი იყო, რსდმ პარტიის ც. კ-ის გადაწყვეტილების თანახმად, ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის ოთხმოცზე მეტი სტატია და შენიშვნა. რედაქციის შიგნით ვ. ი. ლენინი ეწეოდა გრძოლას თანამიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. რედაქციის წევრები — მენშევიკები მარტოვი და დანი საბოტაჟს უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას თავიანთ ფრაქციულ გაზეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატში». ლენინის შეურიგებელმა გრძოლამ ლიკვიდატორების წინააღმდეგ გამოიწვია მარტოვისა და დანის გასვლა 1911 წლის ივნისში რედაქციის შემადგენლობიდან. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები: «წერილები კავკასიიდან», «პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის», «არჩევნები პეტერბურგში» და სხვები (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 185 — 208, 267 — 269, 290 — 305).

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში, ერთი წლის შეწყვეტის შემდეგ, ლენინმა შეძლო გაზეთის გამოცემა განეახლებინა. 1914 წლის 1 ნოემბერს (ახ. სტ.) გამოვიდა «სოციალ-დემოკრატის» 33-ე ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი, დაწერილი ლენინის მიერ. ლენინის სტატიებმა, რომლებიც «სოციალ-დემოკრატში» იბეჭდებოდა ომის წლებში, უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის განხორციელებისათვის გრძოლაში, აშკარა და ფარული სოციალ-შოვინისტების მხილებაში, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალისტური ელემენტების შემჭიდროებაში. — **165.**

45 «სტოლიპინის მუშათა პარტიას» მუშები უწოდებდნენ მენშევიკ-ლიკვიდატორებს, რომელნიც ეგუებოდნენ სტოლიპინის რეჟიმს, ურიგდებოდნენ მას და ცდილობდნენ, რომ რსდმ პარტიის პროგრამასა და ტაქტიკაზე ხელის აღების ფასად მეფის მთავრობისაგან მიეღოთ აშკარა, ლეგალური, ვითომდა «მუშათა» პარტიის არსებობის ნებართვა. — **167.**

46 ლენინი ამ ლოზუნგს «ოქტიაბრისტულს» უწოდებდა იმიტომ, რომ იგი თავისი ხასიათით შეესაბამებოდა ოქტიაბრისტთა კონტრრევოლუციური პარტიის პოზიციას.

«ოქტიაბრისტები» ანუ «17 ოქტომბრის კავშირი» — კონტრრევოლუციური პარტია მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და იმ მსხვილი მემამულეებისა, რომლებიც მეურნეობას კაპიტალისტურად ეწეოდნენ, დაარსდა 1905 წლის ნოემბერში. ოქტიაბრისტები, რომლებიც სიტყვიერად ცნობდნენ მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტს, უყოყმანოდ უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ოქტიაბრისტთა ლიდერები იყვნენ მსხვილი მრეწველი ა. გუჩკოვი და უზარმაზარი მამულების მფლობელი მ. როძიანკო. — **167.**

47 დრეიფუსის საქმე — პროვოკაციული პროცესი, რომელიც 1894 წელს მოაწყვეს საფრანგეთის სამხედრო ხროვის რეაქციულ-მონარქისტულმა წრეებმა გენერალური შტაბის ოფიცრის ებრაელ დრეიფუსის წინააღმდეგ. დრეიფუსს უმართებულოდ აბრალებდნენ ჯაშუშობას და სახელმწიფო ღალატს. სამხედრო სასამართლომ დრეიფუსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. საფრანგეთში დრეიფუსის საქმის გადასინჯვისათვის გაჩაღებული საზოგადოებრივი მოძრაობა მიმდინარეობდა რესპუბლიკელთა და მონარქისტთა შორის გაფთრებული ბრძოლის პირობებში და მას, ბოლოს და ბოლოს, მოჰყვა დრეიფუსის გამართლება 1906 წელს.

ლენინი დრეიფუსის საქმეს უწოდებდა «ერთ-ერთ უპატიოსნო ოინს რეაქციული სამხედრო ხროვის მრავალ ათას ოინთაგან». — **176.**

48 ცაბერნის ინციდენტი მოხდა ქალაქ ცაბერნში (ელზასი) 1913 წლის ნოემბერში. ინციდენტის საბაბი ის იყო, რომ პრუსიელმა ოფიცერმა აბუჩად აიგდო ელზასელები. ამან აღგილობრივ, უმთავრესად ფრანგულ, მოსახლეობაში გამოიწვია უდიდესი აღშფოთება პრუსიული სამხედრო ხროვის ბატონობის წინააღმდეგ. ცაბერნის ინციდენტის შესახებ იხ. ლენინის სტატია «ცაბერნი» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 19, გვ. 614 — 617). — **176.**

49 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIII, 1932, გვ. 464, 480. — **178.**

50 ეგრეთწოდებულ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე» რენერისა და ბაუერის რეაქციული იდეების კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში ««კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 19, გვ. 601 — 606), «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 20, გვ. 1 — 46), აგრეთვე ი. ბ. სტალინის ნაშრომში «მარქსიზმი

და ნაციონალური საკითხი» (ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 312 — 395) და სხვ. — **178.**

51 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 223. — **181.**

52 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 185. — **181.**

53 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIII, 1932, გვ. 464. — **181.**

54 «Die Glocke» («ზარი») — ჟურნალი, 1915 — 1925 წლებში მიუნხენში, შემდეგ კი ბერლინში სცემდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სოციალ-შოვინისტი პარვუსი (გელფანდი) — გერმანიის იმპერიალიზმის აგენტი. — **182.**

55 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 201 — 220. — **182.**

56 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია ნაციონალურ საკითხზე, რომელიც დაწერა მან და მიიღო რსდმ პარტიის ც. კ-ის თათბირმა პარტიულ მუშაკებთან; ეს თათბირი მიმდინარეობდა 1913 წლის 6 — 14 ოქტომბერს (ახ. სტ.) დაბა პორონინში (კრაკოვის მახლობლად). კონსპირაციული მოსაზრებით თათბირს ეწოდებოდა «ზაფხულის» ანუ «აგვისტოს» თათბირი. რეზოლუცია დაბეჭდილია თხზულებებში, მე-4 გამოცემა, ტომი 19, გვ. 505 — 508). — **188.**

57 «Gazeta Robotnicza» («მუშათა გაზეთი») — პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ვარშავის კომიტეტის არალეგალური ორგანო; გამოდიოდა 1906 წლის მაის-ოქტომბერში. გაზეთის გამოცემა განახლდა 1912 წელს და გრძელდებოდა 1916 წლის იანვრამდე. 1912 წლის გათიშვის შემდეგ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში წარმოიშვნენ პარალელური კომიტეტები. იყო ორი ვარშავის კომიტეტი და გამოდიოდა ორი ორგანო «მუშათა გაზეთის» სახელწოდებით: ერთს სცემდნენ მთავარი გამგეობის მომხრენი ვარშავაში, მეორეს — ოპოზიციური ვარშავის კომიტეტი კრაკოვში. ვარშავის ოპოზიციური კომიტეტის გაზეთის ორი ნომერი, 24 და 25 (დამატებითურთ), 1915 — 1916 წლებში გამოვიდა ციურიხში. — **192.**

58 ლენინს მხედველობაში აქვს ბრიუსელის 1914 წლის 16 — 18 ივლისის (ახ. სტ.) «გამაერთიანებელი» თათბირი, რომელიც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწვია რსდმ პარტიის ერთიანობის აღდგენის შესაძლებლობის საკითხზე «აზრთა

გაცვლა-გამოცვლისათვის». თათბირზე წარმოდგენილი იყვნენ: რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტი (ბოლშევიკები); ორგანიზაციული კომიტეტი (მენშევიკები) და მისი მომხრე ორგანიზაციები — კავკასიის საოლქო კომიტეტი და ჯგუფი «ბორბა» (ტროცკისტები); სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (მენშევიკები); პლეხანოვის ჯგუფი «ედინსტვო»; ჯგუფი «ვპერიოდ»; ბუნდი; ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატია; ლიტვის სოციალ-დემოკრატია; პოლონელი სოციალ-დემოკრატები; პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული ოპოზიცია; პპს («ლევიცა»).

მიუხედავად იმისა, რომ თათბირი მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლით უნდა დაკმაყოფილებულიყო და სავალდებულო გადაწყვეტილებანი არ უნდა მიეღო, კენჭის საყრელად გამოიტანეს კაუცკის რეზოლუცია რსდმ პარტიის გაერთიანების შესახებ. ხმის უმრავლესობით რეზოლუცია მიღებულ იქნა. ბოლშევიკებმა და ლატვიის სოციალ-დემოკრატებმა უარი განაცხადეს ამ რეზოლუციისათვის კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

«ლიკვიდატორებთან ბოლშევიკების «შერიგების» სახით, «პარტიაში მშვიდობიანობის» დამყარების სახით II ინტერნაციონალმა მოსთხოვა ბოლშევიკებს შეეწყვიტათ ლიკვიდატორთა შემთანხმებლური პოლიტიკის კრიტიკა. მაგრამ ბოლშევიკები შეურიგებელნი იყვნენ: მათ უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ოპორტუნისტული II ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებს და არავითარ დათმობებზე არ წავიდნენ» («საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 195). — **192.**

59 «გ ვ ო ზ დ ი ო ვ ე ლ ო ბ ა» — მენშევიკ კ. ა. გვოზდიოვის სახელის მიხედვით. გვოზდიოვი იყო «მუშათა ჯგუფის» თავმჯდომარე ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან, რომელიც გამოდიოდა მუშათა საგაფიცვო ბრძოლის წინააღმდეგ და აშკარად მხარს უჭერდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. — **195.**

60 «ტ ი შ კ ო ე ლ ო ბ ა» — ლ. ტიშკოს (იოგიხესის) სახელის მიხედვით. ლ. ტიშკო იყო პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ახასიათებდა უპრინციპობასა და მერყეობას. იმპერიალისტური ომის დროს ლ. ტიშკო ინტერნაციონალისტებს მიეხრო; რ. ლუქსემბურგთან და კ. ლიბკნეხტთან ერთად იგი იყო სპარტაკელთა მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი გერმანიაში; 1919 წლის მარტში დააპატიმრეს და ციხეში მოკლეს. «ტიშკოელობის» დახასიათება იხ. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «გათიშვა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 18, გვ. 581 — 587), «ვითომ-«გამაერთიანებელნი»», «საზღვარგარეთის პაწაწა ჯგუფები და რუსი

ლიკვიდატორები»» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 19, გვ. 592 — 595, 607 — 610) და სხვ. — **196.**

61 «ციმერვალდელთა» მეორე საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა 1916 წლის 24 — 30 აპრილს (ახ. სტ.) კინტალში (შვეიცარია). კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხები: ბრძოლა ომის დამთავრებისათვის, პროლეტარიატის დამოკიდებულება ზავის, საპარლამენტო საქმიანობის, მასობრივი ბრძოლის საკითხებისადმი, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის შესახებ და სხვები. ამ კონფერენციაზე მემარცხენე ფრთა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ციმერვალდის კონფერენციაზე. ლენინმა მიაღწია რეზოლუციის მიღებას, რომელშიც მოცემული იყო სოციალ-პაციფიზმის და საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს საქმიანობის კრიტიკა. კინტალის კონფერენციამ ხელი შეუწყო იმ ინტერნაციონალისტური ელემენტების გამოყოფასა და დარაზმვას, რომლებისგანაც შემდეგ, ლენინისა და ბოლშევიკების ინიციატივით, 1919 წელს შეიქმნა კომუნისტური, III ინტერნაციონალი. მაგრამ კონფერენციამ არ მიიღო ბოლშევიკების პოლიტიკის ძირითადი დებულებანი: იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, საკუთარ იმპერიალისტურ მთავრობათა დამარცხება ომში, III ინტერნაციონალის შექმნა (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი», გვ. 205 — 206). — **197.**

62 «მუშათა გაზეთი» («Arbeiter-Zeitung») — ყოველდღიური გაზეთი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ვენაში 1889 წლიდან; მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეჭირა. ლენინი მას «სოციალიზმის ვენელ მოღალატეთა» გაზეთს უწოდებდა.

1934 წელს გაზეთი დახურეს. მისი გამოსვლა განახლდა 1945 წელს, როგორც ავსტრიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოსი. გაზეთი მკაფიოდ გამოხატულ ანტიდემოკრატიულ ხასიათს ატარებს, ახორციელებს მუშათა მოძრაობის გათიშვის პოლიტიკას ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესების სასარგებლოდ. — **203.**

63 «ნაშ გოლოს» — მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა სამარაში 1915 — 1916 წლებში; ეჭირა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. — **204.**

64 ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა არნჰეიმში შედგა 1916 წლის 9 იანვარს. — **218.**

65 იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 413 — 418). — **218.**

66 «Avanti» («წინ!») — ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთს არათანამიმდევრულ-ინტერნაციონალისტური პოზიცია ეჭირა და კავშირი არ გაუწყვეტია რეფორმისტებთან. ამჟამად გაზეთი გამოდის როგორც იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **215.**

67 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ცირკულარი — ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის მიმართვა ციმერვალდის გაერთიანების ყველა პარტიისა და ჯგუფისადმი ერთხმად მიიღო ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თებერვლის თათბირმა ბერნში 1916 წელს. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ, რომელსაც ლენინი მეთაურობდა, ამ თათბირზე შეიტანა განცხადება იმის შესახებ, რომ მას მიმართვა მიაჩნია წინგადადგმულ ნაბიჯად ციმერვალდის პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის გადაწყვეტილებებთან შედარებით, მაგრამ მიმართვის ყველა დებულებას დამაკმაყოფილებლად როდი თვლის. მიმართვა გამოქვეყნდა ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბიულეტენის მე-3 ნომერში 1916 წლის 29 თებერვალს და გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 52-ე ნომერში 1916 წლის 25 მარტს. — **219.**

68 ლენინი გულისხმობს ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ოფიციალურ განცხადებას, რომელიც დათარიღებულია 1915 წლის 29 სექტემბრით და გამოქვეყნდა ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბიულეტენის მე-2 ნომერში 1915 წლის 27 ნოემბერს. ამ განცხადებაში ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია, წინააღმდეგ ციმერვალდის პირველი კონფერენციის გადაწყვეტილებებისა, იუწყებოდა, რომ ის მზად იყო თავი დაშლილად ჩაეთვალა, როგორც კი ჰაგის საერთაშორისო სოციალისტური ბიურო თავის საქმიანობას განაახლებდა. ამრიგად, კომისია II ინტერნაციონალის აღდგენისათვის ხელის შეწყობის გზას დაადგა. — **219.**

69 «გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები» (I. S. D.) — მემარცხენე სოციალ-დემოკრატების (ბორჰარდტი და სხვ.) ჯგუფი, რომელიც წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. I. S. D-ს ჯგუფი ემხრობოდა ციმერვალდის მემარცხენე ფრთას და უფრო თანამიმდევრული პოზიცია ეჭირა სოციალ-შოვინისტებისა და ცენტრისტებისაგან გამიჯვნის საკითხებში, ვიდრე რ. ლუქსემბურგის მომხრეებს. მაგრამ ჯგუფს მასებთან ფართო კავშირი არ ჰქონდა და იგი მალე დაიშალა. — **222.**

70 ორნატსკი — გ. ვ. ჩიჩერინი. — 223.

71 «კ ო მ მ უ ნ ი ს ტ» — ჟურნალი, დააარსა ლენინმა; ჟენევაში სცემდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია 1915 წელს. გამოვიდა ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა ლენინის სამი სტატია: «II ინტერნაციონალის კრახი», «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა», «იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 237 — 309, 424 — 434, 435 — 447).

ჟურნალის რედაქციის შიგნით ლენინი ეწეოდა ბრძოლას ბუხარინ-პიატაკოვის ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ, ააშკარავებდა ამ ჯგუფის ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს, მის ცდებს — გამოეყენებინა ჟურნალი ფრაქციული მიზნით. ამ ჯგუფის ანტიპარტიული პოზიციის გამო ლენინმა წინადადება წამოაყენა ჯგუფთან ურთიერთობა გაეწყვიტათ და ჟურნალის ერთობლივად გამოცემა შეეწყვიტათ. 1916 წლის ოქტომბრიდან გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ დაიწყო თავისი კრებულის — «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» გამოცემა. — 223.

72 სტატია «გ ე რ მ ა ნ უ ლ ი დ ა ა რ ა გ ე რ მ ა ნ უ ლ ი შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» პირველად დაიბეჭდა ჟურნალში «ვოპროსი სტრახოვანია».

«ვ ო პ რ ო ს ი ს ტ რ ა ხ ო ვ ა ნ ი ა» — ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1913 წლის ოქტომბრიდან 1916 წლის თებერვლამდე დროგამოშვებით. ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ჟურნალი იბრძოდა არა მარტო მუშათა დაზღვევის განხორციელებისათვის, არამედ ბოლშევიკური «შეუკვეცელი ლოზუნგებისათვისაც».

მიესალმებოდა რა ჟურნალ «ვოპროსი სტრახოვანიას» გამოცემის განახლებას ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ, ი. ბ. სტალინი, ს. ს. სპანდარიანთან და სხვა გადასახლებულ ბოლშევიკებთან ერთად, 1916 წლის მარტში ტურუხანსკის გადასახლებიდან სწერდა ჟურნალის რედაქციას: «დაე «ვოპროსი სტრახოვანიამ» მთელი ძალღონე და მონდომება მოახმაროს იმ საქმესაც, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი იდეურად დაზღვიოს ბბ. პოტრესოვების, ლევიცკებისა და პლეხანოვების ქადაგებისაგან, რომელიც საშინლად გამრყვნელი, ანტიპროლეტარულია და ძირფესვიანად ეწინააღმდეგება საერთაშორისობის პრინციპებს». — 224.

78 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 474 — 475. — 226.

74 «რუსსკოე ზნამია» — შავრაზმული გაზეთი, «რუსი ხალხის კავშირის» ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის ნოემბრიდან 1917 წლამდე. — **227.**

75 წიგნი «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» დაიწერა 1916 წლის პირველ ნახევარში. იმპერიალიზმის შესახებ მსოფლიო ლიტერატურის შესწავლას ლენინი შეუდგა ჯერ კიდევ ბერნში 1915 წელს, წიგნის წერას კი — 1916 წლის იანვარში. ამავე წლის იანვრის დამლევს ლენინი გადავიდა ციურიხში და განაგრძო მუშაობა წიგნზე ციურიხის საკანტონო ბიბლიოთეკაში. ლენინის მიერ გაკეთებული ამონაწერები, კონსპექტები, შენიშვნები, ცხრილები უცხო ენებზე დაწერილი ასობით წიგნებიდან, ჟურნალებიდან, გაზეთებიდან და სტატისტიკური კრებულებიდან, შეადგენენ 40-ზე მეტ ნაბეჭდ ფორმას. ეს მასალები გამოცემულია 1939 წელს ცალკე კრებულად სახელწოდებით «რვეულები იმპერიალიზმის შესახებ».

1916 წლის 19 ივნისს (2 ივლისს) ლენინმა დაამთავრა შრომა და გაუგზავნა ხელნაწერი გამომცემლობა «პარუსს». გამომცემლობაში მოკალათებულმა მენშევიკურმა ელემენტებმა ამოაგდეს წიგნიდან კაუცკისა და რუსი მენშევიკების (მარტოვის და სხვ.) ოპორტუნისტული თეორიების მკაცრი კრიტიკა. ლენინის გამოთქმა «გადაზრდა» (კაპიტალიზმისა კაპიტალისტურ იმპერიალიზმში) შეცვალეს სიტყვით «გადაქცევა», «რეაქციული ხასიათი» («ულტრაიმპერიალიზმის თეორიისა») — სიტყვებით «ჩამორჩენილი ხასიათი» და ა. შ.. წიგნი სათაურით «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი» დაბეჭდილ იქნა «პარუსის» გამომცემლობის მიერ 1917 წლის დამდეგს პეტროგრადში.

რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ ლენინმა დაწერა წინასიტყვაობა წიგნისათვის. 1917 წლის სექტემბერში წიგნი გამოვიდა.

წიგნის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» მნიშვნელობის შესახებ იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 207 — 211. — **229.**

76 ეს წინასიტყვაობა პირველად გამოქვეყნდა სათაურით «იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი» ჟურნალ «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალის» მე-18 ნომერში, რომელიც გამოვიდა 1921 წლის ოქტომბერში. — **233.**

77 «გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტია» — ცენტრისტული პარტია, რომელიც შეიქმნა 1917 წლის აპრილში. პარტიის ძირითადი ნაწილი შეადგინა კაუცკელთა ორგანიზაციამ — «შრომიოი თანამეგობრობა». «დამოუკიდებლები» ქადაგებდნენ «ერთიანობას»

აშკარა სოციალ-შოვინისტებთან, ამართლებდნენ და იცავდნენ მათ, მოითხოვდნენ ხელის აღებას კლასობრივ ბრძოლაზე.

1920 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ჰალლში მოხდა გათიშვა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი 1920 წლის დეკემბერში გაერთიანდა გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან. მემარჯვენე ელემენტებმა შექმნეს ცალკე პარტია და მიიღეს ძველი სახელწოდება დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომელმაც იარსება 1922 წლამდე. — **238.**

78 სპარტაკელები — წევრები კავშირისა «სპარტაკი», რომელიც წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ომის დასაწყისში გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისაგან ჩამოყალიბდა ჯგუფი «ინტერნაციონალი», რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი, ფ. მერინგი, კ. ცეტკინი და სხვ.. ამ ჯგუფსაც აგრეთვე ეწოდებოდა «სპარტაკის» კავშირი. სპარტაკელები ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას მასებში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ააშკარავებდნენ გერმანიის იმპერიალიზმის დამპყრობელურ პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადთა გამყიდველობას. მაგრამ სპარტაკელები, გერმანელი მემარცხენეები ვერ განთავისუფლდნენ ნახევრადმენშევიკური შეცდომებისაგან თეორიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში: ავითარებდნენ იმპერიალიზმის ნახევრადმენშევიკურ თეორიას, უარყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მარქსისტულ გაგებას (ე. ი. თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე), უარყოფდნენ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობას იმპერიალიზმის ეპოქაში, სათანადოდ არ აფასებდნენ რევოლუციური პარტიის როლს და ჭედს იხრიდნენ მოძრაობის სტიქიურობის წინაშე. გერმანელი მემარცხენეების კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის შრომებში «იუნიუსის ბროშურის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 385 — 405), «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» და სხვ. და ი. ბ. სტალინის წერილში «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი, «ლენინიზმის საკითხები», მე-11 გამოც., გვ. 449 — 463). 1917 წელს სპარტაკელები შევიდნენ «დამოუკიდებელთა» ცენტრისტულ პარტიაში, შეინარჩუნეს თავიანთი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ გერმანიაში სპარტაკელებმა კავშირი გაწყვიტეს «დამოუკიდებლებთან» და იმავე წლის დეკემბერში დააარსეს გერმანიის კომუნისტური პარტია. — **238.**

79 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «ხზხულებანი, ტ. XIX, ნაწ. II, 1947, გვ. 156. — **269.**

80 გრიუნდერულ სკანდალებს ადგილი ჰქონდა აქციონერულ საზოგადოებათა დამფუძნებლობის (გრიუნდერობა გერმანული სიტყვადან Gründer — დამფუძნებელი) გაძლიერებული ზრდის პერიოდში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში. გრიუნდერობის ზრდას თან ახლდა გამდიდრებული ბურჟუაზიული საქმოსნების თაღლითური ოინები, თავაწყვეტილი სპეკულაცია ბირჟაზე მიწითა და ფასიანი ქაღალდებით. — **271.**

81 «ფრანკფურტის გაზეთი» («Frankfurter Zeitung») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა ქ. ინის ფრანკფურტში 1856 წლიდან. — **273.**

82 ლენინს მხედველობაში ჰყავს გ. ვ. პლეხანოვი. — **285.**

83 ფრანგული პანამა — გამოთქმა, რომელიც წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთში 1892 — 1893 წლებში გამომჟღავნებულ იქნა აურაცხელი ბოროტმოქმედებანი და გამყიდველობა სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწეებისა, ჩინოვნიკებისა და გაზეთებისა, რომელნიც მოსყიდულნი იყვნენ პანამის არხის გამყვანი საფრანგეთის კომპანიის მიერ. — **296.**

84 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 107. — **358.**

85 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 529, 530. — **358.**

86 სპექტატორი — მენშევიკი ს. მ. ნახიმსონი. — **365.**

87 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 126 — 127. — **367.**

88 ბოქსიორთა აჯანყება — სახალხო აჯანყება 1900 წელს ჩინეთში უცხოელი იმპერიალისტების ბატონობის წინააღმდეგ; «ბოქსიორთა» დაერქვა აჯანყების მომწყობი ჩინეთის ერთ-ერთი საიდუმლო საზოგადოების — «დიდი მუშტის» მიხედვით. აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი იმპერიალისტური სახელმწიფოების გაერთიანებული დამსჯელი კორპუსის მიერ გერმანელი გენერალის ვალდერზეეს მეთაურობით. დიდი როლი ითამაშეს აჯანყების ჩახშობაში გერმანელმა, იაპონელმა და ინგლის-ამერიკელმა იმპერიალისტებმა. 1901 წელს ჩინეთი იძულებული იყო მოეწერა ხელი ეგრეთწოდებულ «საბოლოო ოქმზე», რომლის მიხედვით ჩინეთს ეკისრებოდა უზარმაზარი კონტრიბუცია და ქვეყანა საბოლოოდ იქცეოდა უცხოეთის იმპერიალიზმის ნახევარკოლონიად. — **374.**

89 იუნიუსი — როზა ლუქსემბურგი. — **385.**

90 ლენინს მხედველობაში აქვს მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა საერთო-გერმანული კონფერენცია, რომელიც შედგა 1916 წლის 1 იანვარს ბერლიხში კ. ლიბკხეხტის ბინაზე. კონფერენციამ მიიღო «ინტერნაციონალის» ჯგუფის თეზისები, დამუშავებული რ. ლუქსემბურგის მიერ. — **385.**

91 «Bremer Bürger-Zeitung» («ბრემენის სამოქალაქო გაზეთი») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანელი სოციალ-დემოკრატების ბრემენის ჯგუფის ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1890 — 1919 წლებში; 1914 — 1915 წლებში ფაქტიურად გერმანელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანო იყო; 1916 წელს გადავიდა კაუცკელთა ხელში. — **388.**

92 «Volksfreund» («ხალხის მეგობარი») — ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, რომელიც დაარსებულ იქნა 1871 წელს ბრაუნშვეიგში; 1914 — 1915 წლებში ფაქტიურად გერმანელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანო იყო; 1916 წელს გადავიდა კაუცკელთა ხელში. — **388.**

93 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერების ორტომეული, ტ. I, 1950, გვ. 625. — **397.**

94 «თეზისები იმპერიალიზმისა და ნაციონალური ჩაგვრის შესახებ», შეადგინა «გაზეტა რობოტნიჩას» რედაქციამ. გამოქვეყნებულ იქნა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 1-ში 1916 წლის ოქტომბერში. — **406.**

95 პოლონეთის დამოუკიდებლობაზე ამ სამი თვალსაზრისის შეფასება იხ. ლენინის სტატიაში «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 479 — 560). — **406.**

96 ლენინს მხედველობაში აქვს 1903 წლის დისკუსია რსდმპ პარტიის პროგრამის გამომუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა პარტიის II ყრილობის მიერ (იხ. თხზულებანი. მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 1 — 80, 391 — 412, 564 — 576) და 1913 წლის დისკუსია, ერთი მხრივ, ბოლშევიკებსა და, მეორე მხრივ, ლიკვიდატორებსა, ტროცკისტებსა და ბუნდელებს შორის, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» საკითხზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 645 — 653; ტომი 20, გვ. 1 — 46, 479 — 560; ი. ბ. სტალინი — «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი», თხზულებანი, ტ. 2, 1947, **83.** 312 — 395). — **407.**

97 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერების ორტომეული, ტ. II, 1950, გვ. 27. — **410.**

98 **იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XI, ნაწ. II, 1934,** გვ. 49 — 50 — **410.**

99 **იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 201 —** 220. — **432.**

100 **იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. I, 1936,** გვ. 155. — **435.**

101 «Lichtstrahlen» («სინათლის სხივები») — ყოველთვიური ჟურნალი, გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის ორგანო, რომელიც გამოდიოდა ი. ბორჰარდტის რედაქციით. ჟურნალი გამოდიოდა არარეგულარულად 1913 — 1921 წლებში ბერლინში. — **445.**

102 მხედველობაშია რ. ლუქსემბურგის სტატია «ნაციონალური საკითხი და ავტონომია» ჟურნალ «Przeglad Socjaldemokratyczny»-ს («სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა») 1908 და 1909 წლების 6, 7, 8 — 9, 10, 12 და 14 — 15 ნომრებში. — **446.**

103 «ფ რ ა კ ე ბ ი» — მემარჯვენე ფრთა პოლონეთის სოციალისტური პარტიისა (პპს) — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიისა. რომელიც დაარსებულ იქნა 1893 წელს. დაუდო რა საფუძვლად თავის პროგრამას ბრძოლა დამოუკიდებელი პოლონეთისათვის, პპს ეწეოდა სეპარატისტულ, ნაციონალისტურ პროპაგანდას პოლონელ მუშებში და ცდილობდა ჩამოეშორებინა ისინი რუს მუშებთან ერთობლივი ბრძოლისაგან თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით პპს 1906 წელს გაითიშა ორ ფრაქციად: პპს-ის «ლევიცად» და პპს-ის «პრავიცად» («ფრაკები»). მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) «ლევიცის» დიდი ნაწილი ინტერნაციონალისტურ პოზიციას დაადგა და დაუახლოვდა პოლონეთის ს.-დ. პარტიას. 1918 წლის დეკემბერში მათ შექმნეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია.

«პრავიცა», რომელსაც სათავეში ედგა პილსუდსკი, განაგრძობდა ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას. შემდეგში მისგან აღორძინდა პპს. მას შემდეგ, რაც 1918 წელს შეიქმნა პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო, პპს, რომელიც ბმართველი პარტია გახდა, ანტისაბჭოთა პოლიტიკას ახორციელებდა და მხარს უჭერდა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა დამონებას, რომლებიც პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დროს პპს გაითიშა ორ ჯგუფად. პპს-ის რეაქციულ-შოვინისტური ნაწილი, რომელიც გამოდიოდა ვრნ-ს სახელწოდებით («Wolność, równość i niepodległość» — «თავისუფლება, თანასწორობა და დამოუკიდებლობა»), დაადგა ფაშიზმთან თანამშრომლობის გზას. მეორე ნაწილი, რომელსაც ეწოდებოდა «პოლონელ სოციალისტთა მუშათა პარტია», პოლონეთის მუშათა პარტიასთან (კომუნისტები) და უპარტიო პოლონელ პატრიოტებთან ერთად ეწეოდა ბრძოლას ფაშისტური მონობისაგან პოლონეთის განთავისუფლებისა და სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პპს პოლონეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კოალიციის შემადგენლობაში შედის. — **446.**

104 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 356 — 357. — **449.**

105 კ. რ. — კარლ რადეკი. — **452.**

106 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან; დახურა პეტერბურგის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს); გამოდიოდა სხვა. სახელწოდებებით 1918 წლის აგვისტომდე. — **452.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(1915 წლის დეკემბერი — 1916 წლის ივლისი)

1915

დეკემბერი — 1916 წლის იანვრის ბოლო.	ლენინი ცხოვრობს ბერნში (შვეიცარია).
შუა დეკემბერი.	ლენინი ატარებს სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა თათბირს მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მომზადების საკითხზე.
დეკემბერი, 29 (1916 წლის 11 იანვარი).	ლენინი უგზავნის ა. მ. გორკის პეტროგრადში გამოსაცემად ხელნაწერს წიგნისას «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ».
დეკემბერი, 29— 1916 წლის 19 ივნისი (11 იანვარი — 2 ივლისი).	ლენინი მუშაობს ბერნის, ხოლო შემდეგ ციურიხის ბიბლიოთეკებში წიგნზე «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია».
დეკემბერი.	ლენინი წერს წინასიტყვაობას ნ. ბუხარინის ბროშურისათვის «მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი».
	ლენინი ბოლშევიკების ჟენევის სექციისადმი წერილში მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ განსაკუთრებული რეზოლუციით დავმონ მენშევიკების მიერ არჩევნების გაყალბება «მუშათა ჯგუფებში» პეტროგრადის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებთან.
დეკემბერი, 1915— იანვარი, 1917.	ლენინი რედაქტორობს რსდმ პარტიის ცენტრალურ ორგანოს გაზეთ «სოციალ-დემოკრატს».

1916

იანვარი, 2 (15). ლენინი ხელმძღვანელობს ციმერვალდელ მემარცხენეთა ბიუროს სხდომას, რომელზედაც იხილება საკითხი ბიუროში მემარცხენე ჰოლანდიელ სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლობისა და ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ორგანოს — ჟურნალ «Vorbote»-ს («წინამორბედი») გამოცემის შესახებ.

იანვარი, 12 (25). ლენინი ხელმძღვანელობს ციმერვალდელ მემარცხენეთა ბიუროს სხდომას, რომელზედაც იხილება ღონისძიებანი ჟურნალ «Vorbote»-ს პირველი ნომრის მომავალ გამოსვლასთან დაკავშირებით.

იანვარი, 12 (25)-ის შემდეგ. ლენინის სტატია «ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი» ქვეყნდება ჟურნალ «Vorbote»-ს 1-ლ ნომერში.

იანვარი, 17 (30). ლენინი ბოლშევიკების ციურიხის სექციას სწერს ინსტრუქციულ წერილს ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ, ახალგაზრდული ორგანიზაციების საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მომავალ მოწვევასთან დაკავშირებით.

იანვარი, 23—26 (თებერვალი, 5—8). ლენინი მონაწილეობას იღებს ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებულ თათბირში ბერნში, წერს რეზოლუციის პროექტს მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევისა და ამ კონფერენციაზე წარმომადგენლობის პირობების შესახებ.

იანვარი, 26 (თებერვალი, 8). ლენინი გამოდის ინტერნაციონალურ მიტინგზე ბერნში იმპერიალისტური ომისა და პროლეტარიატის ამოცანების საკითხზე.

იანვარი, 28 (თებერვალი, 10). ლენინი წერს წერილს «ოპოზიციის ამოცანების შესახებ საფრანგეთში».

იანვარი, 28 ან 29 (თებერვალი, 10 ან 11). ლენინი ბერნიდან გადადის ციურიხში.

იანვარი—თებერვალი. ლენინი წერს თეზისებს თემაზე «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება». თეზისები ქვეყნდება 1916 წლის აპრილში ჟურნალ «Vorbote»-ს მე-2 ნომერში.

თებერვალი, 3 (16). ლენინი ბოლშევიკების საზღვარგარეთულ სექციებს უგზავნის ინფორმაციულ ცნობას 23—26 იანვარს (5—8 თებერვალს) შემდგარ ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებული თათბირის შესახებ; დირექტივას იძლევა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მემარცხენე ციმერვალდელთა ძალების მობილიზაციას და არჩევნებს აპრილში ჩასატარებელი მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის.

თებერვალი, 4 (17). ლენინი ციურიხში კითხულობს რეფერატს თემაზე «ორი ინტერნაციონალი».

თებერვალი, 5 (18). ლენინის სტატია «აქვთ თუ არა საკუთარი ხაზი ორგანიზაციულ კომიტეტს და ჩხეიძის ფრაქციას?» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» მე-50 ნომერში.

თებერვალი, 13 (26). ლენინი ციურიხში კითხულობს რეფერატს თემაზე ««ზავის პირობები» ნაციონალურ საკითხთან დაკავშირებით».

თებერვალი, 16 (29). ლენინის სტატიები «უანექსიო ზავისა და პოლონეთის დამოუკიდებლობის, როგორც რუსეთის სადღეისო ლოზუნგების შესახებ», «ვილჰელმ კოლბი და გიორგი პლეხანოვი», ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 51-ე ნომერში.

თებერვალი, 17 (მარტი, 1). ლენინი ჟენევაში კითხულობს რეფერატს თემაზე ««ზავის პირობები» ნაციონალურ საკითხთან დაკავშირებით».

თებერვალი, 27 (მარტი, 11). ლენინი მითითებას იძლევა შეწყდეს ჟურნალ «კომმუნისტის» გამოცემა ბუხარინ-პიატაკოვის ჯგუფის ანტიპარტიული პოზიციის გამო; ეს ჯგუფი ცდილობდა გამოეყენებინა ჟურნალი თავისი ფრაქციული მიზნებისათვის; ლენინი სახავს «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» გამოცემას რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციით.

თებერვალი — მარტი. ლენინი წერს «საზღვარგარეთის ორგანიზაციების კომიტეტის წერილს რსდმ პარტიის სექციებისადმი».

თებერვლის ბოლო — მარტი. ლენინი წერს «რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებას მე-2 სოციალისტური კონფერენციისადმი» (თეზისები), აწყობს თეზისების გადათარგმნას გერმანულ და ფრანგულ ენებზე და უგზავნის ბოლშევიკების საზღვარგარეთულ სექციებსა და სხვადასხვა ქვეყნების მემარცხენე ინტერნაციონალისტებს. თეზისები ქვეყნდება 9 (22) აპრილს ბერნში საერთაშორისო სოციალისტური კომისიის ბიულეტენის მე-4 ნომერში.

თებერვლის ბოლო — აპრილი. ლენინი წერს სტატიას «გათიშვა თუ ლპობა?»

მარტი, 6 (19). ლენინი ნორვეგიაში ა. მ. კოლონტაის უგზავნის წერილს, რომელშიც ავალებს მას გადათარგმნოს ინგლისურ ენაზე და გამოსცეს ნორვეგიაში «ინტერნაციონალური მფრინავი ფურცელი» № 1 ციმერვალდელ მემარცხენეთა რეზოლუციის პროექტითა და მანიფესტით და მიიღოს ზომები მისი გავრცელებისათვის ამერიკაში, ინგლისში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში და სხვა ქვეყნებში.

ლენინი აგზავნის ნორვეგიაში თეზისებს «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» შვედი და ნორვეგიელი მემარცხენე სოციალისტებისათვის გასაცნობად.

მარტი, 12 (25). ლენინის სტატია ««საზავო პროგრამის» შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 52-ე ნომერში.

მარტი — ივნისი. ლენინი თავის შრომებში და წერილებში საზღვარგარეთ მყოფი ბოლშევიკებისადმი ააშკარავებს ბუხარინ-პიატაკოვის ჯგუფის ანტიპარტიულ შეხედულებებს მარქსიზმის თეორიისა და ტაქტიკის ძირითად საკითხებში, გმობს ამ ჯგუფის თვალთმაქცურ საქციელს პარტიულ ცენტრთან დამოკიდებულებაში.

ლენინი ააშკარავებს აგრეთვე ზინოვიევის თვალთმაქცობას, რომელიც საქმით ხელს უწყობდა ბუხარინ-პიატაკოვის ჯგუფს.

აპრილი, 5 (18). ლენინი გამოდის მოხსენებით «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უახლოესი ამოცანების შესახებ» ბოლშევიკების ციურიხის სექციისა და პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა გაერთიანებულ კრებაზე.

აპრილი, 11—17 (24—30). ლენინი მონაწილეობას იღებს კინტალში მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მუშაობაში, რაზმავს და აკავშირებს მის მარცხენა ფრთას, ხელმძღვანელობს იმ რეზოლუციების გამომმუშავებელი კომისიის მუშაობას, რომლებშიც გაკრიტიკებულია პაციფიზმი და საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს საქმიანობა; ლენინი იბრძვის ამ რეზოლუციების მიღებისათვის.

აპრილი, არა უადრეს 16 (29)-ისა. ლენინი ადგენს სტატიის ან მოხსენების გეგმას მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის წედეგების შესახებ.

მაისი, 20 (ივნისი, 2). ლენინი ჟენევაში კითხულობს რეფერატს თემაზე «ორი მიმდინარეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში».

მაისი, 31 (ივნისი, 13). ლენინის სტატია «გერმანული და არა გერმანული შოვინიზმის შესახებ» ქვეყნდება ჟურნალ «ვოპროსი სტრახოვანიას» მე-5 (54-ე) ნომერში.

მაისი—ივლისი. ლენინი წერილებში სკანდინავიის ქვეყნების მემარცხენე სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტებისადმი იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციის მომზადებისათვის, განსაზღვრავს მემარცხენეთა წარმომადგენლების ტაქტიკას ამ კონფერენციაზე.

ივნისი, 19 (ივლისი, 2). ლენინი ამთავრებს მ შაობას წიგნზე «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» და აგზავნის ხელნაწერს «პარუსის» გამომცემლობაში.

4 და 7 (17 და 20) ივლისს შუა.	ლენინი გადადის მთიან ადგილას დაბა ფლიუმსში (ციურიხთან ახლოს).
ივლისი, 12 (25).	ლენინის დედის, მ. ა. ულიანოვას გარდაცვალება პეტროგრადში.
ივლისის პირველი ნახევარი.	ლენინი წერს სტატიებს «იუნიუსის ბროშურის შესახებ» და «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ», რომლებიც გამოქვეყნდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 1-ში 1916 წლის ოქტომბერში.

შინაარსი

წინასიტყვაობა VII

1914—1915 წ.წ.

ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. **ნაკვეთი I.** კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში . . . . . 1—116

1. სამი მთავარი რაიონის ზოგადი დახასიათება. კოლონიზებული დასავლეთი და ჰომსტედები . . 8
2. სამრეწველო ჩრდილოეთი 12
3. ყოფილი მონათმფლობელური სამხრეთი . . . 14
4. ფერმათა საშუალო ოდენობა. «კაპიტალიზმის დაშლა» სამხრეთში 19
5. მიწათმოქმედების კაპიტალისტური ხასიათი . . 25
6. ყველაზე ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონები. 31
7. მანქანები და დაქირავებული შრომა მიწათმოქმედებაში 40
8. წვრილ მეურნეობათა განდევნა მსხვილ მეურნეობათა მიერ. დამუშავებული მიწის რაოდენობა 46
9. გაგრძელება. მონაცემები ფერმათა ღირებულების შესახებ 55
10. ეკონომიური გამოკვლევის ჩვეულებრივი წესების ნაკლოვანებანი. მარქსი მიწათმოქმედების თავისებურებათა შესახებ 59
11. წვრილ და მსხვილ მეურნეობათა უფრო ზუსტი შედარება 68

12. მეორნეობათა სხვადასხვა ტიპები მიწათმოქმედებაში 78
13. როგორ ამცირებენ მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების განდევნას მიწათმოქმედებაში . . 85
14. წვრილ მიწათმოქმედთა ექსპროპრიაცია . . . 94
15. მრეწველობისა და მიწათმოქმედების ევოლუციის შედარებითი სურათი 104
16. შედეგები და დასკვნები 113

ფინასიტყვაობა ნ. ბუხარინის ბროშურისა «მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი» . . . . . 117—124

ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი . . 125—141

I 125
II 130
III 133

1916 წ.

პროექტი დადგენილებისა მეორე სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ . . . . . 142—143

1916 წ. 24 აპრილის კონფერენციისათვის. დელეგაციის წინადადება . . . . . 144—145

სიტყვა ინტერნაციონალურ მიტინგზე ბერნში 1916 წ. 8 თებერვალს . . . . . 146—150

ოპოზიციის ამოცანების შესახებ საფრანგეთში (წერილი ამხანაგ საფაროვს) . . . . . 151—156

აქვთ თუ არა საკუთარი ხაზი ორგანიზაციულ კომიტეტს და ჩხეიძის ფრაქციას? . . . . . 157—164

უანექსიო ზავისა და პოლონეთის დამოუკიდებლობის, როგორც რუსეთის სადღეისო ლოზუნგების შესახებ . . . . . 165—169

ვილჰელმ კოლბი და გიორგი პლეხანოვი . . . . 170—172

სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება (თეზისები) . . . . . 173—191

1. იმპერიალიზმი, სოციალიზმი და ჩაგრულ ერთა განთავისუფლება 173
2. სოციალისტური რევოლუცია და დემოკრატიისათვის ბრძოლა 174
3. თვითგამორკვევის უფლების მნიშვნელობა და მისი დამოკიდებულება ფედერაციასთან 177
4. ერთა თვითგამორკვევის საკითხის პროლეტარულ-რევოლუციური დაყენება 178
5. მარქსიზმი და პრუდონიზმი ნაციონალურ საკითხში 181
6. ქვეყნების სამი ტიპი ერთა თვითგამორკვევის თვალსაზრისით 183
7. სოციალ-შოვინიზმი და ერთა თვითგამორკვევა . . 184
8. პროლეტარიატის კონკრეტული ამოცანები უახლოესი მომავლისათვის 186
9. რუსეთისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის და II ინტერნაციონალის დამოკიდებულება თვითგამორკვევისადმი 187

საზღვარგარეთის ორგანიზაციების კომიტეტის წერილი რსდმ პარტიის სექციებისადმი . . . . . 192—196

«საზავო პროგრამის» შესახებ . . . . . 197—206

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ კონფერენციას . . . . . 207—221

გათიშვა თუ ლპობა? . . . . . 222—223

გერმანული და არა გერმანული შოვინიზმის შესახებ . . . . . 224—227

იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია. პოპულარული ნარკვევი . . . . . 229—384

წინასიტყვაობა 231
წინასიტყვაობა ფრანგული და გერმანული გამოცემებისათვის 233

I 233
II 234
III 235
IV 237
V 238

I. წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლიები 242
II. ბანკები და მათი ახალი როლი 261
III. ფინანსური კაპიტალი და ფინანსური ოლიგარქია 281
IV. კაპიტალის გატანა 301
V. მსოფლიოს განაწილება კაპიტალისტთა კავშირებს შორის 308
VI. მსოფლიოს განაწილება დიდ სახელმწიფოებს შორის 319
VII. იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის განსაკუთრებული სტადია 333
VIII. კაპიტალიზმის პარაზიტიზმი და ლპობა . . . 347
IX. იმპერიალიზმის კრიტიკა 360
X. იმპერიალიზმის ისტორიული ადგილი . . . 377

იუნიუსის პროგრამის შესახებ . . . . . 385—405

შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ. 406—459

1. სოციალიზმი და ერთა თვითგამორკვევა . . . 408
2. შესაძლებელია თუ არა დემოკრატიის «განხორციელება» იმპერიალიზმის დროს? 413
3. რა არის ანექსია? 416
4. ანექსიებისათვის თუ ანექსიების წინააღმდეგ? . . 420
5. რატომ არის სოციალ-დემოკრატია ანექსიათა წინააღმდეგი? 426
6. შეიძლება თუ არა ამ საკითხში კოლონიები დავუპირდაპიროთ «ევროპას»? 428
7. მარქსიზმი თუ პრუდონიზმი? 432
8. განსაკუთრებული და საერთო ჰოლანდიელ და პოლონელ სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა პოზიციაში 442
9. ენგელსის წერილი კაუცკისადმი 448
10. ირლანდიის 1916 წლის აჯანყება 450
11. დასკვნა 457

შენიშვნები . . . . . 461—484

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 485—492

ილუსტრაციები

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნისა «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთ. შტატებში». — 1917 წ. 3

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ კონფერენციას». — 1916 წ. თებერვალი — მარტი 211

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნისა «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია». — 1917 წ. . . . . 230—231

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია». — 1917 წ. იანვარი — ივნისი . . . . . 240 — 241

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XI-1951.
უე 03638. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 31,75.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფგამომცემლობის
საქმეთა სამმართველოს
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.
შეკვეთის № 525